საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

ერეკლე აბაშიძე

პერსონალისტური ფსიქოლოგია

(ვ. შტერნი)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი—1962

ერეკლე აბაშიძის მონოგრაფია წარმოადგენს „კრიტიკული პერსონალიზმისა“ და პერსონალისტური ფსიქოლოგიის ფუძემდებლის ვილიამ შტერნის ფართოდ ცნობილი ფსიქოლოგიური კონცეფციის სისტემატურ გადმოცემასა და საუუძლიან კრიტიკულ განხილვას. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „რეალური“ ფსიქოლოგიის აგებისათვის პიროვნების ცნების მნიშვნელობის პრობლემას. ვ. შტერნის პიროვნების პერსონალისტური თეორიის ყოველმხრივი კრიტიკის შედეგად ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამ თეორიის დადებითი ელემენტების რაციონალური გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის პრინციპების საფუძველზე.

წინასიტყვაობა

პერსონალისტური ფსიქოლოგია ისეთ ფსიქოლოგიურ მოძღვრებას ეწოდება, რომელიც ფსიქიკურის სუბიექტად მთლიან პიროვნებას აღიარებს. მსოფლიო ფსიქოლოგიის ისტორიაში პირველად ვილიამ შტერნმა ჩაუყარა საფუძველი ამგვარ მოძღვრებას და, ამიტომ, „პერსონალისტური ფსიქოლოგია" ყველას მიერ ვ. შტერნის ფსიქოლოგიური მოძღვრების საკუთარ სახელად იყო უსიტყვოდ შეჩნეული. ეს გარემოება უკვე სამყოფია იმისთვის, რომ თანამედროვე ფსიქოლოგიის მრავალ მოძღვრებათა შორის ვ. შტერნის მოძღვრებასაც მისი წვლილი ყურადღება დაეთმოს. მაგრამ ქართული ფსიქოლოგიისათვის ვ. შტერნის პერსონალისტური ფსიქოლოგია სრულიად განსაკუთრებული ინტერესის საგანია. ეს ინტერესი იმითაა გამოწვეული, რომ ქართული ფსიქოლოგია თითონაც, ძირითადად, პერსონალისტურია. თითქმის ოცი წლის წინ აკადემიკოსმა დიმიტრი უზნაძემ საფუძველი ჩაუყარა ფსიქოლოგიის ახალ მიმართულებას, რომელიც დღეს განწყობის ფსიქოლოგიის სახელით არის ცნობილი. ფართო და ღრმა ექსპერიმენტული და თეორიული კვლევის შედეგად, რომელსაც აწარმოებდა აკად. დ. დიმიტრი უზნაძე თავისი მოწაფეების დახმარებით, შესაძლებელი გახდა ფსიქოლოგიის ყველა ძირითადი პრობლემის გადასინჯვა განწყობის თეორიის თვალსაზრისით და ამ თეორიის საფუძველზე ფსიქოლოგიის სისტემის აგება, სისტემისა, რომელიც საბჭოთა ფსიქოლოგიის მუშაკების მიერ ერთხმად აღიარებულია მოწინავე ფსიქოლოგიურ მოძღვრებად[1]. განწყობის ფსიქოლოგია პერსონალისტური ფსიქოლოგიაა და გასაგებია მისი ინტერესი ვ. შტერნის მოძღვრებისადმი, როგორც

---

[1] პედაგოგიურ მეცნ. სრულიად საკ. კონფერენციის ანგარიში, აპრილი, 1941, მოსკოვი.

პერსონალისტური ფსიქოლოგიის სისტემის აგების პირველი ცდისადმი.

პერსონალისტურ საფუძველზე ფსიქოლოგიის აგება ვ. შტერნმა ჩვენი საუკუნის დამდეგს დაიწყო და 1935 წ. დაასრულა თავიდანვე თავის სამეცნიერო მოღვაწეობის ამოცანად დასახული საქმე, ზოგადი ფსიქოლოგიის კურსის გამოქვეყნებით. ვ. შტერნს თავისი მოძღვრება სავსებით ორიგინალურად მიაჩნია. ნაწილობრივ ეს მართლაც ასეა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პერსონალისტური პრინციპები „არარადან". გაჩნდა. ე. წ. „პერსონალისტური ფსიქოლოგია" სავსებით კანონზომიერი მოვლენაა ფსიქოლოგიური აზროვნების განვითარებაში. მისი პოპულარულობის ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ ისაა, რომ მასში განხორციელდა და ჩამოყალიბდა პერსონალისტური ტენდენციები, რომლებითაც გაჟღენთილი იყო ფსიქოლოგიური ატმოსფერო მეოცე საუკუნის დამდეგიდან.

ვ. შტერნის ფსიქოლოგიური მოძღვრების საფუძვლიანი შესწავლა ჯერ არავის უცდია. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ვ. შტერნი ჩვენი თანამედროვეა (1871—1938) და ჯერ ნაადრევი დაძნელია „ისტორიულ პერსპექტივაში" მისი დანახვა; ან — იმ უცნაური გარემოებით, რომ მიუხედავად მისი მოძღვრების ფართო პოპულარულობისა, მას „მემკვიდრე" არ დარჩენია: მას არ შეუქმნია ფსიქოლოგიური სკოლა, სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. ასეა თუ ისე, მსოფლიო ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში მე არ მეგულება „პერსონალისტური ფსიქოლოგიის" საფუძვლიანი გამოკვლევა. ქართული ფსიქოლოგიისათვის ვ. შტერნის ფსიქოლოგიური მოძღვრება, როგორც ვთქვი საგანგებო ინტერესის საგანია და ბუნებრივია, რომ მისი შესწავლის ინიციატივა აკად. დიმიტრი უზნაძისგან მომდინარეობდეს. ეს საქმე მე ვიკისრე და წინამდებარე შრომა ამ შესწავლის ნაყოფია.

შრომის შესავალში, სულ მოკლედ, განვიხილე ფსიქოლოგიის განვითარების ძირითადი ტენდენციები იმისთვის, რომ ნათელი გახდეს ვ. შტერნის მოძღვრების ადგილი ფსიქოლოგიის ისტორიაში.

შრომის პირველ ნაწილში მოცემულია მოძღვრების დალაგება შეძლებისდაგვარად ხელსაყრელად მისი ავტორისთვის: სახელდობრ, ნაცადია ავტორის თვალსაზრისის ღირსებათა ნათელყოფა ფსიქოლოგიის საკითხების განხილვისთვის. ამ ნაწილში მოცემუ-

ლია მხოლოდ ის, რაც მთავარი და არსებითია პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის და ნაცადია მისი იმგვარად მოცემა, რომ ამ ნაწილის წაკითხვა სამყოფი იყოს ვ. შტერნის მოძღვრების გასაცნობად.

შრომის მეორე ნაწილში კრიტიკული თვალითაა განხილული ვ. შტერნის ფსიქოლოგიური მოძღვრება. მაგრამ ეს უკანასკნელ ხომ ს ი ს ტ ე მ ა ა ფსიქოლოგიისა და, ამდენად, მის ამომწურავად განხილვისათვის ფსიქოლოგიის ყველა პრობლემის განხილვა იქნებოდა საჭირო, რაც იმგვარ შრომაში, როგორიცაა წინამდებარე ჩემი შრომა, სრულიად შეუძლებელია. ამიტომ მე მხოლოდ ის პრობლემები განვიხილე, რომლებიც განუყრელადაა დაკავშირებული ჩემთვის ძირითად საკითხთან: რამდენად არის ვ. შტერნის ფსიქოლოგიური მოძღვრება ჭეშმარიტად პერსონალისტური ფსიქოლოგიის დამაკმაყოფილებელი სისტემა?

1943
თბილისი

შესავალი

ფსიქოლოგიის ისტორიაში ვილიამ შტერნის პერსონალისტური ფსიქოლოგიის ადგილისა და როლის გასარკვევად საჭიროა ფსიქოლოგიის განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და გზების ზოგადად გათვალისწინება. უწინარეს ყოვლისა საჭიროა ფსიქოლოგიის ფილოსოფიასთან ურთიერთობის ისტორიის გათვალისწინება და ვ. შტერნის მიერ ამ ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტის გაცნობა.

ფსიქოლოგიის, როგორც ფილოსოფიისგან დამოუკიდებელი მეცნიერების, ისტორია იწყება არისტოტელის ტრაქტატით სულის შესახებ. მასში პირველადაა მოცემული საკუთრივ ფსიქოლოგიური პრობლემატიკის სისტემატურად მეცნიერულად დამუშავების ცდა. არისტოტელის შემდეგ სულის ბუნებისა და სულიერ მოვლენათა კანონზომიერების შესწავლა ცოდნის დამოუკიდებელ დარგად რჩება, მაგრამ მეცნიერების ეს დარგი, საუკუნეების განმავლობაში, მაინც, სხვა დარგებზე უფრო მჭიდრო კავშირს ინარჩუნებს ფილოსოფიასთან.

მე-19 საუკუნეში ფსიქოლოგია განსაკუთრებით მჭიდროდ უკავშირდება ბუნებისმეტყველებას, რომელიც ამ დროს არნახული ტემპებით ვითარდება. ბუნებისმეტყველების აყვავებით მოხიბლული ფსიქოლოგია ცდილობს გაჰყვეს მის კვალს: სესხულობს მისგან მეთოდებს, პრინციპებს და ლამობს თავადაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებად იქცეს. ფილოსოფია დავიწყებას ეძლევა. მე-19 საუკუნის ფსიქოლოგია, არსებითად, საბუნებისმეტყველო, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეგნებულად „აფილოსოფიური" მეცნიერებაა. ეს ტენდენცია მას მე-20 საუკუნეშიც გამოჰყვა. ბიჰევიორიზმში და რეფლექსოლოგიაში განსაკუთრებით მკაფიოდაა წარმოდგე-

ნილი ბუნებისმეტყველური ტენდენცია. მაგრამ ჩვენს საუკუნეში ეს აღარაა ერთადერთი ტენდენცია, რომელიც ფლობს ფსიქოლოგიურ აზროვნებას. მე-20 საუკუნე იგივეა ფსიქოლოგიისათვის, რაც ბუნებისმეტყველებისათვის მე-19 საუკუნე იყო. მართალია, ფსიქოლოგიის კრიზისის საკითხი სწორედ მე-20 საუკუნეში დგება, მაგრამ ეს კრიზისი არაა გამოუვალ ჩიხში მომწყვდევა, არამედ, უფრო მეტად, ფსიქოლოგიური ჰორიზონტების სწრაფად გაფართოება, რის გამოც ფსიქოლოგია ერთხანს ორიენტაციას კარგავს. ამ ხანში იქმნება უამრავი მიმართულება ფსიქოლოგიაში და მათ შორის — პერსონალისტური მიმართულებაც. მისი ავტორი, ვილიამ შტერნი, შეგნებულად და მეღგრად იბრძვის ფსიქოლოგიის კავშირის აღსადგენად ფილოსოფიასთან. მისი თქმით, „ფსიქოლოგები ანგარიშს არ უწევენ ფილოსოფიას და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სულერ მოელენათა ზუსტი კვლევის წარმატების მიუხედავად, დღეს ჯერაც არ მოგვეპოვება ერთიანი ფსიქოლოგია"[2]. ავტორისათვის მდგომარეობას ართულებს და ამძიმებს ის, რომ წინამორბედ კულტურას არ გააჩნია ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. ამიტომ ავტორმა მისი შექმნაც იკისრა და შექმნა კრიტიკული პერსონალიზმის მსოფლმხედველობა. ავტორის რწმენით, მხოლოდ მას შეუძლია მოგვცეს თვალსაზრისი და ნიადაგი ფსიქოლოგიის სისტემის ასაგებად. „მეცნიერული ფსიქოლოგია და პერსონალისტური ფილოსოფია არამცთუ უცხო და ინდიფერენტული არ არიან ერთმანეთისათვის, არამედ, უდაოდ, არსებითად არიან ურთიერთთან დაკავშირებული"-ო[3], ამბობს ივი. მაგრამ გარეგნულად იმდენად „ანტიფსიქოლოგისტურად" ეჩვენება ავტორს საკუთარი მსოფლმხედველობა, რომ საგანგებო ამოცანად ისახავს ხიდის გადებას „ფსიქოლოგიის ნაყოფიერი ყანისა და ფილოსოფიური პერსონალიზმის ციცაბო ნაპირის შორის"[4]. ხიდის გადება ერთდროულად უნდა მოხდეს ორივე მხრიდან. ფსიქოლოგიის ნაპირიდან ამ ამოცანის შესრულება ეკისრება „Die Psychologie und der Personalismus"-ს, ფილოსოფიის

---

[2] 9,2. პირველი რიცხვი მიუთითებს შრომას დართული სიის მიხედვით, შეორე — აღნიშნული შრომის გვერდს, რომლიდანაც აღებულია ციტატა.

[3] 9, 3.

[4] 9, 4.

ნაპირიდან—ფილოსოფიური სამტომეულის „Person und Sache" მეორე ანუ — როგორც ავტორი იტყოდა — ცენტრალურ ტომს ქვესათაურით: „Die menschliche Persönlichkeit". რამდენად შესძლო ვ. შტერნმა ამ ამოცანის შესრულება? — ვ. შტერნის მკელეკრების აზრით, პერსონალისტურ ფსიქოლოგიას, გარდა სხვა ღირსებებისა, ერთი დამატებითი ღირსებაც აქვს — „მტკიცე და მკაფიო შერწყმულობა ავტორისავე მეტაფიზიკურსა და ეთიკურ ფილოსოფიასთან"[8], ე. ი. პერსონალისტურ მსოფლმხედველობასთან. რამდენად ხელსაყრელი აღმოჩნდა ფსიქოლოგიისათვის ასეთი შერწყმა? — ამ კითხვაზე მხოლოდ პერსონალისტური ფსიქოლოგიის რაობის გულდასმით განხილვა მოგვცემს პასუხს. ეს კითხვა წინამდებარე შრომის მთავარი საკითხია და ამიტომ აქ მასზე პასუხის გაცემა არ იქნებოდა გამართლებული. აქ მხოლოდ იმას მინდა მივაქცეთ ყურადღება, რომ ვ. შტერნისათვის ფსიქოლოგია არაა იზოლირებული მეცნიერება, არამედ ერთ-ერთი ძირითადი ფილოსოფიური დისციპლინა. ავტორს არ აკმაყოფილებს კერძო პრობლემების განხილვა, არამედ იგი, უწინარეს ყოვლისა, ესწრაფვის ფსიქოლოგიის პრობლემების სისტემად გაერთიანებას და ამ უკანასკნელის ჭეშმარიტად უნივერსალურ დასაბუთებას[9]. ვ.შტერნის ურყევი რწმენაა ფსიქოლოგიის არსებითი კავშირი ფილოსოფიასთან, ფსიქოლოგიის — მეტაფიზიკით საფუძველდების აუცილებლობა. ფილოსოფიასთან ფსიქოლოგიის ურთიერთობის საკითხი ვ. შტერნისათვის მკაფიოდაა გადაჭრილი მათი უმჭიდროესი კავშირის, ურთიერთგამსჭვალვის სასარგებლოდ. ამით არაა აღდგენილი არისტოტელის წინადროინდელი მდგომარეობა, რადგან მაშინ ეს კავშირი პირობადებული იყო ფსიქოლოგიის პრობლემატიკის არ-გაცნობიერებით, გამოწვეული იყო იმით, რომ ფსიქოლოგიას არ გააჩნდა საკუთარი საკვლევი საგანი. ვ. შტერნისათვის საკუთარი გარკვეულია ფსიქოლოგიის საგანი. ესაა განცდა, რომელთანაც, როგორც ასეთთან, ფილოსოფიას არა აქვს საქმე. მაგრამ, ემპირისტული ორიენტაციის ფსიქოლოგებისგან განსხვავებით, მისთვის ფსიქოლოგია ვერ

---

[8] Allport G. W., „..an added virtue that it (the personalistic psychology of W. Stern) possesis, is it firm and explicit anchorage in the author's own metaphysical and ethical philosophy", გვ. 231.

[9] Cassirer E., William Stern, გვ. 11.

ეტევა მხოლოდ ფენომენურ სამკვიდროში, არამედ იძულებულია გასცდეს მის საზღვრებს, რათა შესძლოს განცდის კანონზომიერებათა დადგენა. საბოლოოდ, ფსიქოლოგია მხოლოდ პიროვნებაში ნახავს განცდების წარმმართველი კანონზომიერების საწყისს. თვით ადამიანის პიროვნება, ისევე როგორც ზოგადად პერსონა, ფსიქოლოგიის კომპეტენციის გარეშე დგას. მისი რაობისა და ბუნების შესწავლა ფილოსოფიის საქმეა. იგი პერსონალისტური მსოფლმხედველობის ძირითადი ცნებაა. ამრიგად, ვ. შტერნისათვის სრულიად აუცილებელია ფსიქოლოგიის კავშირი ფილოსოფიასთან, სახელდობრ — პერსონალისტურ ფილოსოფიასთან, რადგან, ავტორის აზრით, მხოლოდ ამ ფილოსოფიას შეუძლია მტკიცე საფუძველი მისცეს თანამედროვე ფსიქოლოგიას.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ე. წ. მეტაფიზიკურ ფსიქოლოგიას, რომელიც ფაქტიურად „ფილოსოფიის მბეველი" იყო. და არა დამოუკიდებელი მეცნიერება, — მთელ მომდევნო ფსიქოლოგიაში ვერ ვნახავთ ვერც ერთ სისტემას, თუ მიმდინარეობას, რომელსაც ისეთივე განუყრელი კავშირი და „საქმიანი" ერთიერთობა ჰქონდეს ფილოსოფიასთან, როგორიც პერსონალისტურ ფსიქოლოგიას აქვს მისივე ავტორის მსოფლმხედველობასთან. პერსონალისტური ფსიქოლოგია ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის განუყრელობის ფაქტიური საბუთია.

ფსიქოლოგიის ისტორიაში ვ. შტერნის ადგილისა და როლის გასარკვევად საჭიროა, აგრეთვე, ფსიქოლოგიის ისტორიის მანძილზე ფსიქიკის სუბიექტის პრობლემის განვითარების გათვალისწინება და ვ. შტერნის მიერ ამ პრობლემის გადაწყვეტის გაცნობა.

მეტაფიზიკურ ფსიქოლოგიას ფსიქიკა სუბსტანციური სულის გამოვლენად მიაჩნდა. საგულისხმო გამონაკლისს წარმოადგენს ფსიქოლოგიის „ოფიციალური ისტორიის" დამწყები — არისტოტელი. თუმცა მისი ფსიქოლოგიური თხზულების სათაურია „სულის შესახებ", თუმცა მას „ჰსურს განიხილოს და შეიცნოს სულის ბუნება და არსი. შემდეგ კი—ყველაფერი ის, რაც სულს ემართება"[7] მაგრამ კვლევის შედეგად იმ დასკვნამდე მიდის, რომ „როგორც ჩანს, ჯობს ის კი არ ვთქვათ, რომ სული ნანობს, ან სწავლობს, ან ფიქრობს, არამედ — რომ სულის მეოხებით ადამიანი ნანობს, სწავლობს, თუ

---

[7] Аристотель, О душе, 402 а.

ფიქრობს"[8]. არისტოტელის ფსიქოლოგიური ნააზრევის მართებულად გაგება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ვიგულისხმებთ, რომ ფსიქიკის სუბიექტი მისთვის, ფაქტიურად, მთლიანი ადამიანი ან ორგანიზმია და არა სული.

ცნობილია, რომ არისტოტელის მოძღვრება — ყოველ შემთხვევაში პიროვნების იდეა, როგორც ფსიქიკის სუბიექტისა — არ იქნა გამოყენებული ფსიქოლოგიის მიერ და არც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო. ქრისტიანული კულტურის გარემოში საუკუნეების განმავლობაში ფსიქიკის სუბიექტად, ძირითადად, აბსტრაქტული მეტაფიზიკური სული რჩება. ასევე სულის გამოვლენად მიაჩნია ფსიქიკა დეკარტსაც. მაგრამ იგი უკვე იძულებულია ანგარიში გაუწიოს ფსიქიკაში „განფენილი სუბსტანციის" მონაწილეობას. ცხოველების ქცევა კი მან სრულიადაც სულის მონაწილეობის გარეშე ახსნა და ამ თავისი მოძღვრებით ცხოველების ქცევის შესახებ დასაბამი მისცა ქცევის მექანისტურ-მატერიალისტურ გაგებას, რაც ჩვენ ხანაში ბიჰევიორიზმისა და რეფლექსოლოგიის სისტემების სახით განხორციელდა. ადამიანის შემთხვევაში მან ვერ შესძლო სულიერი სუბსტანციის მონაწილეობის უგულებელყოფა, მაგრამ, მეორე მხრივ, ვერ დაასაბუთა სულისა და სხეულის, მოაზროვნე და განფენილი სუბსტანციების ურთიერთზემოქმედება და გადაუჭრელად უანდერძა მომდევნო საუკუნეებს ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთობის პრობლემა — ერთ-ერთ ძირითად პრობლემათაგანი ფსიქოლოგიისა. ეს — ცნობილი ამბავია. მე მინდა საქმის ვითარების მეორე მხარეს მივაქციო აქ ყურადღება, სახელდობრ — ფსიქიკის სუბიექტის პრობლემის მდგომარეობას დეკარტთან და, დეკარტის გავლენით, ამ პრობლემის ბედ-იღბლის მომდევნო განვითარებას.

დეკარტისათვის ფსიქიკის სუბიექტის საკითხი საესებით გარკვეულია: იგი არის სულიერი სუბსტანცია, რომელიც არსებითად „განთავისუფლებულია" ყველა სხვა ფუნქციისგან, გარდა აზროვნებისა, ანუ — დღევანდელი ფსიქოლოგიის ტერმინი რომ ვიხმარო — გარდა ცნობიერებისა. და, მიუხედავად ამისა, დეკარტის დუალისტური სისტემა მნიშვნელოვან სტიმულად იქცა ფსიქიკის სუბიექტის არსებობის უარსაყოფად. რამდენადაც წარმატებით ახსნა

---

[8] Аристотель, О душе, 408 в.

დეკარტმა ქცევის მექანიკური კანონზომიერება, იმდენადვე ვერ შესძლო მან ადამიანის სიცოცხლეში სულიერი სუბსტანციის მონაწილეობის ჩვენება. იგი, ფაქტიურად, ფსიქიკის ეპიფენომენურობას ამტკიცებს. დეკარტის მომდევნო ფილოსოფია ვერ ურიგდება სუბსტანციურ დუალიზმს. მისი რღვევის საწყისიც უკვე თვით დეკარტის ფილოსოფიაშია მოცემული: ერთი მხრივ, ღმერთის ცნების სახით, მეორე მხრივ კი დამოუკიდებელ სუბსტანციათა ურთიერთზემოქმედების სახით: სუბსტანცია ვერ ითმენს ვერც უფრო მაღლა მდგომ სუბსტანციას და ვერც მეორე, თანამდებარე სუბსტანციის მხრივ ზეგავლენას. დეკარტის მოძღვრების ლოგიკური განვითარება, რაც, არსებითად, მისი უარყოფაა, ოკაზიონალიზმის სახითაა მოცემული. ფსიქოლოგიურ აზროვნებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა კარტეზიანული ფილოსოფიის ნიადაგზე აღმოცენებული სპინოზას ფილოსოფიიდან გამომდინარე დებულებამ ღვთაების ორი ატრიბუტის: აზროვნებისა და განფენილობის პარალელიზმისამ. საგანთა და იდეათა თანრიგის იგივეობის აზრმა (Ordo rerum idem est atque ordo idearum) მტკიცედ გაიდგა ფესვები ახალ ფსიქოლოგიაში ფსიქოფიზიკური პარალელიზმის თეორიის სახით. ამ თეორიით, ფაქტიურად, უარყოფილი თუ არაა ფსიქიკის სუბსტანციის არსებობა, უგულებელყოფილი მაინცაა იგი, რამდენადაც ეპიფენომენური ფსიქიკური სფეროს კვლევისთვის უშუალოდ არაა საჭირო სუბსტანციის ბუნების კვლევა.

ახალი ფსიქოლოგიის მიერ ფსიქიკის სუბიექტის უგულებელყოფის მეორე, კიდევ უფრო ძლიერ ფესვს ინგლისური ემპირიული ფილოსოფია წარმოადგენს. მან პრინციპულად გაანთავისუფლა ფსიქოლოგია სუბსტანციის ცნებისაგან და შესაძლებლობა მისცა მას, ფსიქიკის ფენომენური მოცემულობის კვლევით დაკმაყოფილებულიყო. სუბსტანციის არსის კვლევა, მართლაც, არაა მეცნიერების საქმე და, ამდენად, ემპირიზმის გავლენა ნაყოფიერი აღმოჩნდა. ფსიქოლოგიის განვითარებისათვის, რამდენადაც უცხო ამოცანის გადაჭრის ვალდებულება მოხსნა მას. ლოკისა და ბერკლის მიერ დაწყებული საქმე იუმმა დაასრულა სუბსტანციის სრული უარყოფით და, ასოციაციონისტური ფსიქოლოგიის პრინციპების შესატყვისად, ადამიანის „მე"-ც წარმოდგენათა უბრალო კონად გამოაცხადა. საკვლევ საგნად შეგრძნებები და წარმოდგენები

და მათი ყოფის კანონზომიერებაღა დარჩა ფსიქოლოგიას. სუბსტანციის არარსებობა მე-19 საუკუნეში ერთხელ კიდევ დაუდასტურა მას ფილოსოფიამ: ე. მახის პირით იგი ღაღადებს, რომ „სამყარო მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი შეგრძნებებისგან შესდგება“, რომლებიც იმდენად დაუყვანადია რაიმე სუბსტრატზე, რომ უმართებულოა, მაგ., გამოთქმა „მე ვფიქრობ“, ხოლო მართებული იქნებოდა ამ აზრის უპიროდ გამოთქმა, სახელდობრ, უნდა ითქვას: „ფიქრობს, ისევე, როგორც ითქმის: „ელავსო“[9]. „მე“-ს უარყოფა — ზოგადად სუბსტანციის უარყოფის კერძო შემთხვევას წარმოადგენს. ამგვარი ფილოსოფიის გავლენით „მეცნიერება სულის შესახებ“ ნამდვილად იქცა „უსულო მეცნიერებად“. ასეთი ფილოსოფიური საფუძველი საუსებით შეესატყვისება ასოციაციონისტურ ფსიქოლოგიას. ჰერბარტის „წარმოდგენათა მექანიკა“ საუკეთესო ნიმუშია ფსიქოლოგიური პრობლემების სუბსტანციის პრობლემის გარეშე გადაწყვეტისა.

ამრიგად, არისტოტელის შემდეგდროინდელი ფსიქოლოგიისათვის — ზოგადი ხაზებით რომ მოვხაზოთ — ფსიქიკურის სუბიექტი მეტაფიზიკური სულია. ინგლისური ფილოსოფიის დახმარებით მე-17 ს-დან ფსიქოლოგია თანდათან თავისუფლდება ფსიქიკის სუბიექტისგან და მე-19 ს-ში საბოლოოდ ღებულობს იმ სახეს, რომელიც მოსწრებულად „უსულო ფსიქოლოგიადაა“ კვალიფიკაციაქმნილი.

ვ. შტერნი ვერ ურიგდება ამ მდგომარეობას. მისთვის დაუშვებელია ფსიქოლოგიის ამოცანების შეზღუდვა მხოლოდ ფენომენების აღწერით, რაც ლოგიკურად გამომდინარეობს, ერთი მხრივ, სუბსტანციის უარყოფიდან, მეორე მხრივ კი — სუბსტანციის მიღების აუცილებლობიდან; ფსიქოლოგიისათვის აუცილებელი ხდება ფენომენური სინამდვილის მიღმა რაღაც არსის დაშვება, განსაკუთრებით მას მერე, რაც ასოციაციის კანონები უკმარიღა ხდება გამდიდრებული ფსიქოლოგიური ემპირიის მოსაწესრიგებლად. ფიზიოლოგიური ფსიქოლოგია, როგორც ასეთი, ფსიქიკის სუბსტრატის მონახვის აუცილებლობითაა შთაგონებული და მასში ფსიქოლოგიის „სტიქიური მატერიალიზმი“ პოულობს გამოსავალს. ფიზიოლოგიური ფსიქოლოგია ვერ წყვეტს ფსიქოლოგიის საკითხებს,

---

[9] ვისარგებლე Boring, გვ. 391 და E. Wentscher, Das Ich als Seeleneinheit.

რადგან „სტიქიური“ მატერიალიზმი სამყოფი არაა მეცნიერების მატერიალისტურად საფუძველდებისთვის. ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის მესვეურები იდეალისტურ ფილოსოფიასთან ცდილობენ ფსიქოლოგიის მორიგებას. ამიტომ, როგორცვე საქმე ფაქტების დადასტურებასა და ფსიქიკურისა და ფიზიკურის კორელაციების დადგენას გასცდება და ფსიქიკურისა და ფიზიკურის არსებითს ურთიერთობას შეეხება, ფსიქოლოგიის წინაშე დგება მთელი თავისი საიდუმლოებით გადაულახავი ე. წ. ფსიქოფიზიკური პრობლემა. ვებერისა და ფეხნერის, ჰელმჰოლცის, ი. მიულერის, ბროკას და მრავალ სხვათა შემდეგ ფსიქოლოგიას აღარ ძალუძს უარჰყოს სხეულის მნიშვნელობა ფსიქიკისთვის. მაგრამ, ფსიქოლოგიას არც ის ძალუძს, რომ ახსნას სხეულისა და „სულის“ ურთიერთობა. ასეთი მდგომარეობის ფილოსოფიური საფუძვლის გაჯანსაღების ნაცვლად, ფსიქოლოგიური აზროვნება გამოსავალს იმაში პოულობს, რომ სულ უარს ამბობს ახსნაზე და ლამობს ფენომენების აღწერით შემოფარგლოს თავისი ამოცანა (დილტაი), ანდა ხელს იღებს ფსიქოლოგიის სისტემების შემუშავებაზე. ამ გარემოებამ, ერთი მხრივ, დადებითი გავლენა იქონია ფსიქოლოგიის განვითარებაზე, რამდენადაც მთელი ენერგია, სისტემების შემუშავების ნაცვლად, ემპირიული კვლევისკენ წარიმართა და საზღაპრო სისწრაფით გაზარდა ემპირიული მონაპოვარი; მაგრამ ეს მონაპოვარი სრულიად გაუაზრებელი და სისტემაში მოუყვანელი დარჩა შესატყვისი ფილოსოფიური საფუძვლის უქონლობის გამო.

ახალ ფსიქოლოგიას ფსიქიკური მოვლენები იმანენტურ კანონზომიერებაზე დაჰყავდა. საამისოდ ორი საბუთი არსებობდა: ჯერ ერთი ის, რომ ფსიქიკას არ გააჩნდა არავითარი სუბსტრატი; რაზომ „სამყარო მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი შეგრძნებებისაგან შესდგებოდა“ — არ არსებობდა ინსტანცია, რომელსაც შეეძლებოდა „გარედან“ დაეკისრებინა ფსიქიკისთვის კანონზომიერება და, ამიტომ, მისი კანონზომიერება — ლოგიკურად — მხოლოდ იმანენტური შეიძლებოდა ყოფილიყო. მეორე მიზეზი უფრო „ფსიქოლოგიური“ ხასიათისა იყო, სახელდობრ — ბუნებისმეტყველების წაბაძულობა. ღვთისმეტყველების მონობისგან განთავისუფლების შემდეგ, ბუნებისმეტყველება ვალდებული და იძულებული გახდა ბუნების კანონები ბუნებაშივე ეძია. მისი წარმატება იდეალად იქცა ფსიქოლოგიისათვის და მანაც შეიმუშავა საკუთარი „მსოფ-

ლიო მიზიდულობის კანონი" — ასოციაციის კანონები: ორი მოვლენის თანხვედრა, ასოციაციონისტური ფსიქოლოგიის თანახმად, უზრუნველყოფდა მათ კავშირს, სრულიად დამოუკიდებლად ამ მოვლენათა ბუნებისაგან. როგორც სამართლიანად შენიშნავს ვ. კელერი, არც ფიზიკამ და არც ქიმიამ ასეთი უცნაური კანონის მსგავსიც კი არაფერი იცის[10]: ფსიქოლოგიამ გადააჭარბა ნიმუშად აღებულ ბუნებისმეტყველებას და დაამახინჯა სინამდვილე. ასოციაციონიზმის დაძლევის შემდეგ, რაც ფსიქოლოგიაში მთლიანობის თვალსაზრისის შემოტანით იყო პირობადებული (მის შესახებ — ქვემოთ), ფსიქიკის კანონზომიერების საკითხის გადაჭრა არსებითად იგივე რჩება: ფსიქიკურ მოვლენებს ისევ და ისევ ფსიქიკური კანონზომიერება წარმართავს, მაგრამ უკვე წარმოდგენათა კანონზომიერება კი არა, არამედ ფსიქიკური მთლიანობისა, maximum — „მე"-ს კანონზომიერება. დღესდღეობით „მე" გაგებულია, როგორც „განვითარების უნარის მქონე სულიერი არსი, რომელიც გარკვეულ წარმოდგენებში, გრძნობებში და მისწრაფებებში ცოცხლობს, რომელიც სხვადასხვაგვარ განცდებში თავისთავის იდენტური რჩება, რომელიც ამ განცდების სუბიექტს წარმოადგენს"[11]. არა მსოფლმხედველობის მოსაზრებებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ აშკარა ფსიქოლოგიური ფაქტების მხრივ ძალდატანების გამო დაუშვა ახალმა ფსიქოლოგიამ „მე", როგორც ცვალებად მოვლენათა უცვლელი სუბიექტი[12]. იგი (თანამედროვე ფსიქოლოგია) შეგნებულად გაურბის ფსიქიკის სუბსტანციურობის პრობლემას, რადგან სუბსტანციურობის კატეგორია ფსიქოლოგიურ კატეგორიად არ მიაჩნია. გ. კაფკას, მაგ., ფსიქოლოგიის საკითხად ისიც კი არ მიაჩნია, „ფსიქიკურის სუბიექტის იდენტურია თუ არა ფიზიკური ანუ ენერგეტიკული „სუბიექტი"[13].

ვ. შტერნს დასაშვებად მიაჩნია, რომ, გარკვეული მიზნით, ფსიქოლოგიამ ფსიქიკა განიხილოს მხოლოდ როგორც მოვლენა, თუ მოვლენათა ჯამი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს მას უფლება ჰქონდეს უარყოს ამ მოვლენათა დამოკიდებულება სუბსტრატზე,

---

[10] Köhler W., Gestaltpsychologie, გვ. 280.
[11] Wentscher E., Das Ich als Seelencinheit, გვ.381.
[12] Wentscher E., Unser Ich., გვ. 156.
[13] Kafka G., Zum Begriff des „Psychischen" usw. . . . გვ. 208.

რადგან ფსიქიკური ვერ იქნება „ჰაერში დაკიდული"(nicht in der Luft schweben kann)[14]. მისთვის „ფსიქიკური მოვლენები, პროცესები და თვისებები მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც რომელიმე ინდივიდურ მე-ს ეკუთვნის, რომელსაც „აქვს" ისინი"[15]. ფსიქიკურის სუბსტრატის არსებობა მისთვის ყოველ ეჭეს გარეშეა; საკითხი მხოლოდ მისი რაობის შესახებ შეიძლება დადგეს. ამჟამად მე მისი როგორობა კი არ მაინტერესებს, არამედ მისი „ფორმალური" დამოკიდებულება ფსიქიკასთან. იგი ტრანსცენდენტულია ფსიქიკისადვის. თანამედროვე ფსიქოლოგიის ძირითადი ტენდენციის საწინააღმდეგოდ, ფსიქიკა თავისთავად არსებული რამ კი არაა მისთვის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ თვისება ჭეშმარიტი „მეტაფსიქიკური" სუბსტანციისა. ასეთი შეხედულება, თითქოს, უკან დახევაა „სულის შესახებ მეცნიერებისკენ". ნაწილობრივ ეს ასეცაა. რამდენადაც ფსიქიკისათვის (ანუ „ფსიქიკურისათვის", როგორც ამბობს ავტორი ფსიქიკის დამოკიდებული ხასიათის აღსანიშნავად) მის გარემდებარე სუბსტანციაა მონახული. მაგრამ: „მე-ს" პერსონალისტური ცნების განსხვავება სულის სპირიტუალისტური ცნებისაგან მის სინთეზურ ხასიათში მდგომარეობს. „სულები" — ანალიზურად და ეგზოტერიულად გააზრებული, მარტივი, წარუვალი, სხეულებრივს ელემენტებზე გარედან მოქმედი სუბსტანციებია. „პერსონები"... თვით არიან „სხეულები," — რამდენადაც სხვა პერსონების მიერ თვალსაჩინოდ არიან წვდომილნი, „მეები", — რამდენადაც უშუალოდ შეუძლიათ საკუთარი თავის განცდა"[16].

ფსიქოლოგიის ისტორიის (განსაკუთრებით ახალი ფსიქოლოგიის ისტორიის) საერთო ტენდენციის საწინააღმდეგოდ, ვ. შტერნმა გადაჭრით უარჰყო ფსიქიკის თავისთავადი ღირებულება, და მომსახურებითი როლი მიაკუთვნა მას სუბსტანციის — პიროვნების — სიცოცხლეში. პერსონალიზმისთვის მნიშვნელობათა ლოგიკურ სისტემაში პირველადია პერსონა, ხოლო ფსიქიკა — საკუთარი თავის ასახვა ცნობიერებაში — მეორადია. „თუ უწინო — ამბობს ავტორი — პიროვნების არსს მის ფსიქიკურობაში სეკვრეტდნენ, ჩვენ ფ ს ი ქ ი კ უ რ ი ს არსს ეკვრეტთ პერსონისთვის მის მნი-

---

[14] იხ. 2,123 და 201.

[15] 1,96.

[16] 2,206.

მენელოვანობაში"[17]. ფსიქიკის ამგვარ შეფასებაშია მოცემული პერსონალისტური პოზიციის მთელი არსი. პერსონალიზმისთვის ფსიქიკა მოკლებულია თავისთავადს არსებობასაც და თავისთავადს ღირებულებასაც; მას მომსახურებითი ღირებულება, მომსახურებითი მნიშვნელობა აქვს „მეტაფსიქიკური" პიროვნებისთვის. მაგრამ ფსიქიკა არაა „ეპიფენომენი", რომელსაც საერთოდ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და რომელიც სამყაროს სისტემაში პარადოქსად რჩება. მას უეჭველი ღირებულება აქვს ყოფიერებისთვის, რადგან იგი პიროვნების სიცოცხლის ასახვაა და, ამასთანავე, იარაღი პიროვნების მიზანთა განხორციელებისა. ფსიქიკის კუთვნილება მეტაფსიქიკური პიროვნებისთვის განსაზღვრავს ფსიქოლოგიის ადგილს მეცნიერებათა სისტემაში. იგი არაა დამოუკიდებელი მეცნიერება სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არამედ ეკუთვნის ადამიანის პიროვნების შესახებ მეცნიერებათა ჯგუფს. ფსიქოლოგია მთლიანად კი არ შეისწავლის ადამიანის პიროვნებას, არამედ მხოლოდ განცდის თვალსაზრისით, ანუ უკეთ: იგი შეისწავლის განცდას, როგორც პიროვნების თვისებას, მისი აღმოცენების პირობებს, მის მნიშვნელობას პიროვნებისთვის. ამ საქმის შესასრულებლად მას ესაჭიროება საფუძველი, პიროვნების შესახებ ზოგადი მეცნიერების სახით. ასეთი მეცნიერება აუცილებელია, ავტორის აზრით, ყველა იმ მეცნიერებათათვის, რომლებიც ადამიანს შეეხება — ფსიქოლოგია იქნება ეს, ფიზიოლოგია, თუ სხვ. ვ. შტერნმა სცადა ასეთი მეცნიერების დაფუძნება და მას „პერსონალისტიკა" უწოდა.

ვ. შტერნის ადგილისა და როლის გასარკვევად ფსიქოლოგიის ისტორიაში საჭიროა, ბოლოს, იმის გათვალისწინებაც, თუ როგორ იცვლებოდა ისტორიის განმავლობაში ფსიქიკის სტრუქტურის გაგება და როგორ გადასწყვიტა ვ. შტერნმა ეს პრობლემა.

როგორადაც არ უნდა ყოფილიყო გაგებული ფსიქიკის სუბსტრატი, მეცნიერული ფსიქოლოგია ყოველთვის იძულებული იყო ანალიზის ხერხით ეწარმოებია ფსიქიკის შესწავლა: ანალიზი მეცნიერული აზროვნების აუცილებელი მეთოდია. უკვე არისტოტელი, მიუხედავად სულის ერთიანობის და განუყოფელობის აღიარებისა, ანალიზჰყოფს მას და დაადგენს სულის სამ სახეობას: ვე-

---

[17] 3,223.

ბეტაციურის, ცხოველურისა და მოაზროვნე სულისას. მას შემდეგ ფსიქოლოგია განუხრელად ადგა ანალიზის გზას. ყოფიერების უკანასკნელი ელემენტების დადგენის ტენდენცია, რომელიც ძველი საბერძნეთის ფილოსოფიაში ჩაისახა, მე-19 საუკუნის მიწურულამდე გაჰყვა ფსიქოლოგიას და მისთვის მუდამ წამყვან იდეას შეადგენდა. ინგლისური ემპირიზმის მიერ მონახულ იქნა ფსიქიკის ელემენტები: შეგრძნებები და. წარმოდგენები. მთელი შემდეგდროინდელი ფსიქოლოგია უყოყმანოდ აღიარებს მათ ელემენტურ ბუნებას და მთელ გულისყურს მათ — როგორც ელემენტების — შესწავლას აპყრობს. ფსიქიკური ელემენტების დადგენის თვალსაზრისით უეჭველ წარმატებას წარმოადგენს ახალი ელემენტის — მარტივი გრძნობის — აღმოჩენა. ელემენტების მრავალგვარობა ოდნავადაც არ ეწინააღმდეგება ელემენტარიზმის დედააზრს: ელემენტარიზმის იდეალი სუფველაფრის ერთ ელემენტზე დაყვანა კი არაა, არამედ ნამდვილად მარტივი, განუყოფელი, დაუყვანადი ელემენტების დადასტურება და მათგან სინამდვილის — ფსიქოლოგიის შემთხვევაში ფსიქიკური სინამდვილის — აგება.

მაგრამ იმავე ვუნდტმა, რომელმაც დაამტკიცა ელემენტური გრძნობის არსებობა, პირველი იერიში მიიტანა ელემენტარიზმზე. მის თანახმად „ფსიქიკური წარმონაქმნების თვისებები არასოდეს არ ამოიწურება მათში შემავალი ფსიქიკური ელემენტების თვისებებით, არამედ ელემენტების შეკავშირების შედეგად ჩნდება ხოლმე ახალი თვისებები, რომლებიც ეკუთვნის წარმონაქმნებს, როგორც ასეთებს“[18]. ე. ი. შინაგან გამოცდილებაში მოცემული წარმონაქმნი მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ელემენტების უბრალო შეჯამება იქნებოდა. აქ უკვე მოცემულია მთელის, როგორც ელემენტების ჯამისგან განსხვავებული, აზრი. მაგრამ მთელი, ჯერჯერობით, გაგებულია როგორც რეზულტანტი. იგი არის ელემენტების ისეთი შეკავშირება, რომელიც განსხვავდება შეჯამებისგან. შეკავშირება არაა ელემენტების მიერ შინაგანად პირობადებული, არამედ „გარედან“ არის განხორციელებული, ფსიქიკის შემოქმედების პროდუქტია, შემოქმედებითი სინთეზია (Schöpferische Synthese).

იმ საკითხისათვის, რომელსაც მე აქ განვიხილავ, ფსიქიკური რეზულტანტებისა და შემოქმედებითი სინთეზის შესახებ ვუნდტის

---

[18] W. Wundt, Gr. d. Ps., გვ. 108—109 (VIII გამოცემა).

მოძღვრებაში ორი მომენტია საგულისხმო: ერთი ის, რომ რთული წარმონაქმნი თავისებურ რომელობადაა აღიარებული და უკმარადაა მიჩნეული მისი კვლევა მხოლოდ ანალიზის გზით. აქვე შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხედულება ფსიქოლოგიის უეჭველ დადებით მონაპოვარს წარმოადგენს და მცირე გამონაკლისით — რომელიც ფსიქოლოგიის განვითარების პრინციპული გზების გათვალისწინებისას შეიძლება უგულებელ იქნეს — საყოველთაოდაა გავრცელებული. კიდევ მეტი: ეს არაა ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მონაპოვართაგანი, არამედ ჭიმართულების მიმცემი დებულებაა მე-20 საუკუნის ფსიქოლოგიისათვის.

მეორე მომენტი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ჩემი საკითხისთვის, შემდეგია: შემოქმედებითი სინთეზის მოძღვრების თანახმად, რთული წარმონაქმნი ელემენტებისაგან არის შედგენილი შემოქმედებითი სინთეზის შემწეობით, ე. ი. პირველადს ფსიქიკურ რომელობად, ისევ და ისევ, ელემენტი რჩება. რთული წარმონაქმნის თვისებები, მართალია, შემადგენელი ელემენტების თვისებებზე ვერ დაიყვანება, მაგრამ რთული წარმონაქმნი მაინც ელემენტებისგანაა შედგენილი. იგი გენეზურად თითქოს მაინც „გამოიყვანება" მათგან. ამ მხრივ, მოძღვრებას შემოქმედებითი სინთეზის შესახებ მხოლოდ ისტორიული, წარმავალი მნიშვნელობა აქვს. როგორც ახსნის პრინციპი იგი არ გამართლდა, რადგან გულისხმობდა, რომ მთლიანობა სინთეზურია, ე. ი. მეორადია. ელემენტარიზმის გავლენა ჯერ კიდევ ისე ძლიერი იყო, რომ წარმონაქმნის თავისებურობამ, ელემენტებზე დაუყვანადობამ, მისმა იმთავითმა მოცემულობამ შინაგანი გამოცდილებისთვის — ვერ უკარნახა ვუნდტს ის მარტივი დასკვნა, რომ წარმონაქმნი არა მარტო თვისებითაა ორიგინალური, არამედ გენეზურადაც ვერ გამოიყვანება ელემენტებისგან. თუმც, უნდა ითქვას კი, რომ ასეთი დასკვნა „მარტივია" ჩვენთვის, ხოლო მე-19 ს-ის დასასრულს, იმდროინდელი ფსიქოლოგიური კულტურის ფონზე, ავტორის ფსიქოლოგიური კონცეფციის წიაღში იგი ვერ იქნებოდა ნავარაუდევი.

ფსიქიკური რეზულტანტისა და შემოქმედებითი სინთეზის სახით ფსიქოლოგიაში შეიპრა მთლიანობის იდეა. მაგრამ თითონ ვუნდტმა ვერ გაიგო მთელი მისი აზრი, მისი ანალიზი განიზრახა და დაჰკარგა მტკიცე საყრდენი: აღარც თავისთავად-საკმარისი ელემენტები შერჩა და აღარც შემოქმედებითი სინთეზის მონოპოლია.

ფსიქიკური წარმონაქმნის თავისებურობის აღმოჩენას თან უნდა დართოდა ბისი პირველადობის შეგნება. მართლაც, თანამედროვე ფსიქოლოგიამ აღიარა მთლიანობის პირველადობა. „ცნობიერების ერთიანობა", „სტრუქტურა", „კომპლექსკვალიტეტი" — ეს ის ცნებებია, რომლებიც საფუძვლად ედება თანამედროვე ფსიქოლოგიას. ელემენტის პრობლემა აქამომდელი აზრით — მოიხსნა თანამედროვე ფსიქოლოგიაში. ელემენტური შეგრძნება მისთვის მხოლოდ რეალური მთლიანობის ანალიზით მიღებული აბსტრაქციის სახითლა არსებობს.

ვ. შტერნი ამ საკითხში სავსებით თანახმიერია ეპოქის სულისკვეთებისა. მან გაიზიარა მთლიანობის იდეა, მაგრამ ფსიქიკურით არ შეზღუდა იგი. მისთვის მთლიანობას წარმოადგენს თვით სუბსტრატიც ფსიქიკურისა — პერსონა. „პერსონა თავდაპირველი მთლიანობაა, ხოლო მასში მოცემულ ორგანოებს, სტრუქტურებს, გეშტალტებს, ცნობიერობებს (Bewusstheiten), ფუნქციებს, დისპოზიციებს და ა. შ., მხოლოდ „პერსონის წყალობით" აქვთ მთლიანობათა ხასიათი"[10]. ფსიქიკური — მთლიანობითი ხასიათისაა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მთლიანობითი ხასიათის მქონე პერსონის გამოსხივებაა.

ამრიგად, ფსიქიკური მოცემულობის შესწავლა მისი ანალიზით დაიწყო ფსიქოლოგიამ. მან ანალიზის მეოხებით აღმოაჩინა ფსიქიკის შემადგენელი ელემენტები და დაადგინა მათი ურთიერთობის კანონები (იუმი). კვლევა-ძიების შემდგომს ეტაპზე ხლმოჩნდა, რომ რთული ფსიქიკური წარმონაქმნის უნაშთოდ ელემენტებად დაშლა ვერ ხერხდება: ანალიზუყოფელი რჩება თავისებური, მხოლოდ რთული წარმონაქმნისთვის ჩვეული თვისება (ვუნდტი). ბოლოს, კი ფსიქოლოგია იმ დასკვნამდეც მივიდა, რომ ფსიქიკა განუწყვეტელი მთლიანობაა, ელემენტები კი — მხოლოდ და მხოლოდ აბსტრაქციის ნაყოფი.

მაგრამ ფსიქიკის სტრუქტურის საკითხი ამით ჯერ კიდევ არ იქნა გარკვეული. საჭირო იყო თვით ამ მთლიანობის როგორობის, მისი ხასიათის გაგება. წამოყენებულ თეორიებს შორის ყველაზე მეტადაა გავრცელებული გეშტალტის თეორია, რომლის მიხედვით ფსიქიკური მთლიანობა გარედან შემოსაზღვრულია და შინაგანად

---

[10] 14,158.

დანაწევრებული. ფსიქიკური ფაქტი მხოლოდ გეშტალტის სახით შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ერთი ფსიქიკური შინაარსი მეორისგან გეშტალტურობის ხარისხით შეიძლება გახსხვავდებოდეს: არსებობს „კარგი" გეშტალტები და „ცუდი" გეშტალტები. პირველები სხვა შინაარსებისგანაც უკეთაა გამოყოფილი და შინაგანადაც უკეთაა დანაწევრებული და ჩამოყალიბებული. მეორეები კი, პირიქით, ამ მხრივ სრულუყოფელნი, მანკიერნი არიან. ვ. შტერნისთვის „ცუდი" გეშტალტების არსებობა სიმპტომი გახდა იმისა, რომ გეშტალტურობა არაა ფსიქიკის აუცილებელი ნიშანი, და რომ გეშტალტთან ერთად „უნგეშტალტიც" პოზიტიურ ფსიქიკურ (და უფრო ზოგადადაც — პერსონულ) რომელობას წარმოადგენს. ეს შეხედულება მჭიდროდაა დაკავშირებული მისი მოძღვრების პრინციპებთან და უფრო ახლო მას შემდეგში განვიხილავ.

ფსიქოლოგიის განვითარების ძირითადი ტენდენციები ისტორიის განმავლობაში, სულ მოკლედ, შემდეგნაირად უნდა იქნეს დახასიათებული:

საუკუნეების განმავლობაში ფსიქოლოგია შერწყმული იყო ფილოსოფიასთან და, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, არ არსებობდა, მიუხედავად იმისა, რომ საფუძველი მის დამოუკიდებლობას უკვე არისტოტელმა ჩაუყარა. მაგრამ რარომ „განთავისუფლდა" ფილოსოფიისგან, — ფსიქოლოგიამ მოინდომა სულაც გაეწყვიტა კავშირი მასთან. სანამ იგი იყო „მეცნიერება სულის შესახებ" — იგი ვალდებული იყო ეკვლია სული. სული კი სუბსტანცია იყო და მისი ბუნების კვლევა ფილოსოფიად გადააქცევდა ფსიქოლოგიას. ამიტომ ფსიქოლოგიამ სცადა სულაც უგულებელეყო სუბსტანციის არსებობა და იგი იქცა მეცნიერებად „სულიერი მოვლენების შესახებ". სულიერი მოვლენები რთული ბუნებისაა და

მათ შესასწავლად მათი გაანალიზებაა საჭირო. ანალიზი მხოლოდ პირველი საფეხურია შესწავლისა; ფსიქოლოგიამ კი გაანიზრახა ანალიზის შედეგად მიღებული აბსტრაქციებით დაკმაყოფილებულიყო, რეალურად არსებულად აღიარა ისინი და, ძველთაგანვე მომდინარე ატომისტური ტრადიციებითა და ახალი ატომისტური ბუნებისმეტყველების წარმატებებით წაქეზებულმა მოისურვა მათგან აეგო, მათი კანონზომიერებით აეხსნა „სულიერი მოვლენები". იმდენად ძლიერი იყო სუბსტანციის შიში, რომ ფსიქოლოგიამ შეესაძლოდ მიიჩნია მოვლენა „მომვლენის" გარეშე თავისთავად არსებულად აღეარებია.

ფსიქოლოგიური კვლევის წარმატებამ უეჭველჰყო, რომ წარმონაქმნი კი არაა ელემენტების ჯამი, არამედ ელემენტებია წარმონაქმნის ანალიზის შედეგად მიღებული აბსტრაქციები და, მაშასადამე, მათგან არაფრის წარმოქმნა არაა შესაძლებელი. გარედან მოტანილი ვერავითარი ძალა (შემოქმედებითი სინთეზი) ვერ შეაკოწიწებს ელემენტებად დარღვეულ მთლიანობას.

სხვებთან ერთად ვ. შტერნიც აღიარებს, რომ სულიერი მოვლენები რთული წარმონაქმნების სახით არსებობს. მაგრამ, სხვებისგან განსხვავებით, იმასაც აღიარებს, რომ მოვლენა „მომვლენის" გარეშე ვერ იარსებებს და, ამიტომ, იგი იცავს მოვლენათა სუბსტრატის არსებობის აზრს. ხოლო რადგან ფსიქიკურის სუბსტრატი, ამასთანავე, მთელი ყოფიერების სუბსტანციაა და, ამდენად, — ფილოსოფიური კატეგორია, ამიტომ ფსიქოლოგიას განუყრელი კავშირი აქვს ფილოსოფიასთან.

ვ. შტერნის შეხედულება ფორმალურად სავსებით მისაღებია ჩვენთვის. ფსიქიკურის მთლიანობითი ბუნება ჩვენთვისაც უდავო ფაქტია. სულიერ მოვლენებს ჩვენც სუბსტანციის მოვლენებად ვთვლით. ჩვენც მიგვაჩნია, რომ ფსიქოლოგიას მჭიდრო კავშირი აქვს ფილოსოფიასთან, ისევე როგორც ყველა სხვა მეცნიერებას, და რომ ეს კავშირი „სტიქიური" კი არ უნდა იყოს, არამედ მთელი სიღრმით გააზრებული. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვ. შტერნის

ფსიქოლოგიური მოძღვრება სავსებით და უდავოდ მისაღები უნდა იყოს ჩვენთვის. იგი უდავოდ საგულისხმოა საბჭოთა ფსიქოლოგიისათვის, განსაკუთრებით კი ქართული ფსიქოლოგიისათვის. ეს ინტერესი ვ. შტერნისადმი იმით აიხსნება, რომ ზოგადად საბჭოთა ფსიქოლოგია, განსაკუთრებით კი ქართული ფსიქოლოგია, პერსონალისტური ფსიქოლოგიაა. ხოლო პერსონალისტური ფსიქოლოგიის ტერმინიც და სისტემის შექმნის პირველი ცდა ვ. შტერნს ეკუთვნის.

ნაწილი პირველი

ვ. შტერნის ფსიქოლოგიური მოძღვრების დასაბამი

ფსიქოლოგია

ვ. შტერნის თანახმად, „ფსიქოლოგია არის მეცნიერება განმცდელი და განცდის უნარის მქონე პერსონის შესახებ". მისი კვლევის საგანია განცდა, როგორც პერსონული ნიშანთვისება. სახელდობრ: ამ განცდის აღმოცენების პირობები, რაგვარობა, ფუნქციობის რაობა, კანონზომიერება, მისი მნიშვნელობა პერსონის ყოფიერებისა და ცხოვრების მთლიანობისთვის"[20]. მაშასადამე, ფსიქოლოგია მეცნიერებაა პერსონის შესახებ, ერთ-ერთი მეცნიერებათაგანი პერსონის შესახებ, რომელიც თვალსაზრისით განსხვავდება მონათესავე მეცნიერებათაგან. ფსიქოლოგიის თვალსაზრისი ცნობიერების თვალსაზრისია, მაგრამ რამდენადაც მას ცნობიერების აღმოცენებისა და მისი პერსონული სიცოცხლის მთლიანობისთვის მნიშვნელობის შესწავლაც ეკისრება, იგი სცილდება მხოლოდ ცნობიერების ფარგლებს და ვრცელდება განცდის გარდა აგრეთვე ყოველივე იმაზეც, რაც პერსონაში არსებითადაა დაკავშირებული განცდასთან. პერსონულ მოვლენათა ამ უფრო ფართო სფეროს ავტორი ფსიქიკას უწოდებს[21].

განცდასა და ცნობიერებას შორის ვ. შტერნი არავითარ განსხვავებას არ ხედავს და პირველ ტერმინს აკუთვნებს უპირატესობას ორი მოსაზრებით: პირველი მოსაზრება ისაა, რომ სიტყვა „ცნობიერებას" ინტელექტუალისტური ელფერი აქვს. მეორე კი ის, რომ სიტყვა „განცდა" (Erleben, Erlebnis) გერმანულად ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია სიცოცხლესთან (Leben), რაც ავტორისთვის განსაკუთრებით მარჯვე და ხელსაყრელია. თუმცა იგი ზოგჯერ იმასაც ამბობს, რომ ცნობიერება განცდათა ერთობლიობას

---

[20] 1,99; 799.

[21] 1,108.

ეწოდებაო, ე. ი. სხვაა ვიდრე განცდა, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, განსხვავება მხოლოდ მოცულობას შეეხება და არა არსს ცნებისას.

ამრიგად, ფსიქოლოგია არის მეცნიერება განცდის შესახებ, მხოლოდ კი, ვინაიდან იგი იკვლევს განცდის არა მარტო რაგვარობას, არამედ კანონზომიერებასაც, უმთავრესად კი იმიტომ, რომ იგი იკვლევს, აგრეთვე, განცდის აღმოცენების პირობებსა და მის მნიშვნელობას პერსონის სიცოცხლის მთლიანობისათვის, — იგი იძულებულია გასცდეს საკუთრივ განცდის ფარგლებს და ხელი შეახოს პერსონის მთლიან ყოფიერების რაობასაც, — რადგან განცდა არაა თავისთავად არსებული რამ. იგი მხოლოდ და მხოლოდ თვისებაა პერსონისა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ერთადერთ ეშმარიტ სუბსტანციას.

იმისთვის, რომ გავიგოთ, თუ რას წარმოადგენს განცდა (ცნობიერება), რომელიც ფსიქოლოგიის კვლევის მთავარ საგნად ესახება ავტორს, აუცილებელია გავეცნოთ, თუ როგორ ესმის მას იმ სუბსტანციის რაობა, რომლის თვისებასაც წარმოადგენს, მისი აზრით, განცდა.

პერსონა

პერსონის ცნება ძირითადი, ცენტრალური ცნებაა ვ. შტერნის არა მარტო ფსიქოლოგიური მოძღვრებისა, არამედ მთლიანი მსოფლმხედველობისაც. პერსონის რაობის ამომწურავად გათვალისწინება ვ. შტერნის მთელი მოძღვრების შესწავლას უდრის, რამდენადაც უკანასკნელი — პერსონის ყოფიერების შესახებ მოძღვრებაა მხოლოდ და მეტი არაფერი. ამიტომ, ერთი მხრივ, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური მოძღვრების ყველა საკითხების შესწავლის შემდეგ გადაიშლება მხოლოდ ჩვენს წინაშე პერსონის ყოფიერების მთელი მრავალფეროვნება; მაგრამ, მეორე მხრივ, სრულიად აუცილებელია პერსონის ცნების წინასწარი გარკვევა იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს მოძღვრების დეტალების კვლევა. ჩემოვის პერსონის ცნების გარკვევა იმდენადაა აქ მხოლოდ საინტერესო, რამდენადაც იგი ვ. შტერნის ფსიქოლოგიურ მოძღვრებასთანაა დაკავშირებული; მაგრამ უკანასკნელი იმდენად მჭიდროდაა ჩაქსოვილი ავტორის ფილოსოფიაში, რომ მისი სრული იზოლაციის შესახებ ოცნებაც არ შეიძლება.

პერსონის სუბსტანციურობა საფუძველია ე. შტერნის მსოფლმხედველობისა. როგორც თითონვე ამბობს, მისი მსოფლმხედველობა ახსნის პრინციპების რაოდენობის თვალსაზრისით — მონიზმია: მისი პრინციპია პერსონა. მაგრამ სუბსტანციათა რაოდენობის თვალსაზრისით იგი პლურალიზმია, რადგან იგი აღიარებს უსასრულოდ მრავალი პერსონების სისტემას, რომელთაგან (პერსონებისაგან) თითოეული თავისთავად სუბსტანციურ არსს წარმოადგენს[22].

„სუბსტანცია, თავისთავში მყოფი, ყველგან და ყოველთვის პერსონაა მხოლოდ. იგი არაა მატერია, იგი არაა სული, იგი არაა არც შენაერთი მატერიულისა და უსხეულო — სულიერი სუბსტანციისა — იგია მთლიანობა, აქტივობა, სიცოცხლიანობა, მიზანმისწრაფებულობა, თ ა ვ ი ს ი თ ა ვ ი ს გ ა ნ მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ე რ თ ი ა ნ ო ბ ა“[23].

რა არის პერსონა? პერსონა არის „ისეთი არსებული, რომელიც, მიუხედავად ნაწილების სიმრავლისა, რეალურ თავისებურსა და თვითღირებულ ერთიანობას წარმოადგენს, და როგორც ასეთი, მიუხედავად ნაწილობრივი ფუნქციების სიმრავლისა, ერთიან მიზანმისწრაფებულ აქტივობას ახორციელებს“[24]. იგი არის „ინდივიდური, თავისებური მთლიანობა, რომელიც მიზანმისწრაფებულად მოქმედებს, თავისთავზეა მიმართული, ღიაა სამყაროსათვის, ცოცხლობს და განიცდის“[25]. უკანასკნელი ნიშანი — განცდა — არაა საკალდებულო. მისი არქონება არ სპობს პერსონის არსებობას, რაც არ ითქმის დანარჩენი ნიშნების შესახებ: მრავალერთიანობა მიზანმისწრაფებულობა და ინდივიდურობა პერსონის კონსტიტუციური ნიშნებია, და თუ აკლია ერთი მათგანიც, — აღარც პერსონა არსებობს. პერსონის არსებობა შეგვიძლია და უნდა დავადასტუროთ ყველგან, სადაც მიზეზობრიობა შინაგანი მიზანმისწრაფებულობის სახით გამოვლინდება. წარმონაქმნი, რომელიც მიზანმისწრაფებული მოქმედების წყაროცაა და მიზანიც ერთსა და იმავე დროს, არის პერსონა[26].

---

22 2.

23 4,142.

24 2,16. ძირითადი განსაზღვრებაა, რომელსაც იმეორებს შემდეგში სხვა შრომებშიც.

25 1,99.

26 3,18.

ყოველივე არსებული მხოლოდ პერსონის სახით შეგვიძლია ვიაზროთ; მთელი სამყაროც, როგორც მთლიანობა, პერსონული ხასიათისაა, პერსონაა, სახელდობრ — ყოვლადპერსონა. პერსონები ურთიერთთან ორმაგად არიან დაკავშირებულნი. უწინარეს ყოვლისა, თითოეული პერსონა, როგორც მრავალერთიანობა, შეიცავს თავის ერთიანობაში მრავალ სხვა, უფრო დაბალი საფეხურის პერსონებს, ხოლო თითონ შედის შემადგენელ ნაწილად უფრო მაღალი საფეხურის პერსონაში. ამრიგად იქმნება პერსონათა იერარქია — კოსმოსი, სამყარო, რომელიც თითონაც მრავალერთიანობას, ანუ პერსონას წარმოადგენს. მეორე მხრივ, თითოეულ პერსონას, როგორც სამყაროსათვის ღიად მყოფ არსებულს, ურთიერთობა აქვს სხვა პერსონებთან არა მარტო როგორც ზემდებარე, ქვემდებარე თუ თანამდებარე — არამედ როგორც გ ა რ ე მ დ ე ბ ა რ ე პერსონებთან.

პერსონის მიზნები

პერსონის ძირითადი ნიშნებია მრავალერთიანობა, მიზანმისწრაფებულობა და ინდივიდურობა. ცენტრალური მნიშვნელობა მიზანმისწრაფებულობას აქვს. იგია, რომ პირობადებს და განსაზღვრავს პერსონის ყოფიერების კანონზომიერებას. „პერსონის სამი კატეგორიიდან: მრავალერთიანობიდან, მიზანმისწრაფებულობიდან, ინდივიდურობიდან... მხოლოდ პერსონული მიზეზობრიობის თავისებური ფორმაა იმისი გარანტია, რომ მის მატარებელს ჰეშმარიტად ერთიანი ყოფიერება (ამრიგად: სუბსტანციურობა და ინდივიდურობა) ახლავს"[27]. იგი მიჩნია ავტორს ცენტრალურ კატეგორიად, რომლითაც უნდა იწყებოდეს პერსონის ანალიზი, რადგან ყველაზე უფრო უშუალოდ სწორედ მასთანაა დაკავშირებული პერსონის ყველა სხვა ნიშანი. მიზანმისწრაფებულობის ნიშნის ასეთი შეფასება სავსებით მართებულია: მართლაც, მხოლოდ იქ შეიძლება ჰეშმარიტად ერთიანი პერსონის შესახებ ლაპარაკი, სადაც მოვლენები არ დაიყვანება ნაწილობრივ მოვლენათა ჯამზე და მექანიკურ მიზეზობრიობაზე, არამედ მთლიანობას შეეხება და მთლიანობიდან მომდინარეობს. ამიტომაც პერსონის ჰიპოსტაზის კრიტერიუმად იმანენტური მიზანმისწრაფებულობაა აღიარებული. მიზან-

---

[27] 3,17.

მისწრაფებულობა მართლაც კონსტიტუციური, მართლაც ცენტრალური ნიშანია პერსონისა და მეტიც: თვით პერსონა ერთიანი, ინდივიდური მიზანმისწრაფებულობაა.

როგორია ეს მიზანმისწრაფებულობა ფორმალურად და შინაარსობლივად? მიზანმისწრაფებულობაში ორი მომენტია მოცემული: მიზნისა და მისწრაფებულობისა. პირველი ნიშნავს იმას, რომ პერსონა საითკენღაცაა მიმართული. მეორე ნიშნავს იმას, რომ იგი ამ მიმართულებით მოქმედებს, ან აღჭურვილია სამოქმედოდ.

პერსონის პირველი და ძირითადი მიზანი თვითშენარჩუნებაა. იგი ორგვარ მიზანს შეიცავს: არსებობის შენარჩუნებისას და არსის შენარჩუნებისას. არსებობის შენარჩუნება პერსონული ყოფიერების მინიმუმია, აუცილებელი პირობაა მისი არსებობისა. ეს მიზანი ან საესებითაა განხორციელებული, ან სრულიად განუხორციელებელია; მისი განხორციელების მეტ-ნაკლებობის, საფეხურების დაშვება უაზრობა იქნებოდა.

არსებობის შენარჩუნება გულისხმობს არსებულს, რომლის არსებობაც უნდა იქნეს შენარჩუნებული. ამიტომ არსებობის შენარჩუნების მიზანს არსის შენარჩუნების მიზანი ერთვის: პერსონა ესწრაფვის ამგვარად ყოფნის შენარჩუნებას. ამგვარად ყოფნის შენარჩუნებაში ორი მომენტია: შინაარსის შენარჩუნება და სამყაროსთან არსებული მიმართების შენარჩუნება. .შინაარსის შენარჩუნებას „მნემე" ეწოდება. მნემე ნიშნავს შეძენილი (შემკვიდრეობით, თუ ინდივიდური გამოცდილებით მიღებული) შინაარსის დაცვას; მაგრამ შინაარსის შენარჩუნების მიზნის სრულად განხორციელება — აბსოლუტური ინერციაა, აბსოლუტური იგივეყოფნა, რაც არ-ყოფნას უდრის. ასეთი რამ პერსონის რეალურ ყოფნაში შეუძლებელია ორი მიზეზის გამო: პირველი მიზეზი ისაა, რომ პერსონას აქვს თვითგანვითარების მიზნები (მათ შესახებ შემდეგში იქნება თქმული), რაც ამგვარადყოფნის გადალახვას ნიშნავს სხვაგვარად ყოფის მიერ. მეორე მიზეზი—სამყაროსთან ურთიერთობაა: პერსონა „ღიაა სამყაროსთვის", ხოლო სამყარო განუწყვეტლივ ცვალებადობს. პერსონა უცვლელი რომ დარჩენილიყო, — დაირღვეოდა სამყაროსთან მისი მიმართების ამგვარობა; არსის შენარჩუნება კი — ისეთი არ-

სებულისათვის, რომლისაც კონსტიტუციური ნიშანია სამყაროსთან ურთიერთობა, — სამყაროსთან მიმართების უცვლელად დაცვას ნიშნავს. აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა პერსონის ცვალებადობისა სამყაროს ცვალებადობის შესატყვისად, ანუ „შ ე გ უ ე ბ ი ს“ აუცილებლობა. შეგუება აუცილებელია პერსონის რეალური არსებობის შენარჩუნებისათვის. პერსონა, რომელიც ვერ ეგუება სამყაროს ცვლილებებს, — ისპობა.

თვითშენარჩუნების მიზანთა შორის შეგუება, ანუ სამყაროსთან მიმართების დაცვა, უმაღლესი მიზანია, მაგრამ მასში ჯერ კიდევ სრულიად არ ჩანს პერსონის სპონტანური აქტიურობა. შეგუებელი პერსონა ჯერ კიდევ სავსებით რეაქტიული არსებაა.

პერსონის სპონტანურობა, მისი აქტიური (სპონტანურად — აქტიური) ბუნება მხოლოდ თ ვ ი თ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს მიზნებში მეღავნდება. თვითგანვითარების მიზანი ორგვარია: კ ო ნ ს ე რ ვ ა ც ი ე ულ ი და პ რ ო დ უ ქ ც ი ე ულ ი თვითგანვითარება, ტერმინი „კონსერვაციული თვითგანვითარება“ იმას ნიშნავს, რომ პერსონას აქვს ისეთი მიზანი, რომელიც პირადად მის მიერ ჯერ კიდევ მიუწვდომელია, მაგრამ სადღაც და ოდესღაც — სახელდობრ, მის გვარში, მისი წინაპრებისა თუ მისი გვარის სხვა ინდივიდების მიერ — უკვე არის განხორციელებული. პერსონა იმ მიზნის განხორციელებით ობიექტურად ახალს არაფერს არ ქმნის, არამედ მხოლოდ იმეორებს იმას, რისი ნიმუშიც უკვე არსებობს. პ რ ო დ უ ქ ც ი ულ ი თ ვ ი თ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს შემთხვევაში კი პერსონა ახორციელებს მიზანს, რომელიც მანამდე არასოდეს არსად არ ყოფილა განხორციელებული. ასეთი მიზანი მხოლოდ ადამიანს ესახება, და სწორედ იგია, ადამიანის მიზნისეულობის სპეციფიკას რომ ქმნის. პროდუქციული თვითგანვითარების მიზანდასახულობა აბსოლუტურად ახლისა და ჯერ არყოფილისადმი სწრაფვაა.

არსებობის შენარჩუნება, შინაარსის შენარჩუნება (მნემე), სამყაროსთან მიმართების შენარჩუნება (შეგუება) და, ბოლოს, კონსერვაციული თვითგანვითარებაც — იცავს მყობადში იმას, რაც აწმყოში უკვე განხორციელებულია: პირველ სამ შემთხვევაში განხორციელებულია ამავე ინდივიდის მიერ, უკანასკნელის შემთხვევაში — სხვა პერსონების მიერ.

კონსერვაციულ თვითგანვითარებაშიც (ამგვარადყოფნის შენარჩუნების ანალოგიურად) ორი მომენტია: ზრდა და მომწიფება. ზ რ დ ა ნიშნავს რაოდენობითს მატებას: სხეულის მასისა, ფსიქიკის მოცულობისა; ნიშნავს მატებას ორგანოებისა და ფუნქციების როგორც დიფერენციაციისას, ისე ინტეგრაციისას (სპენსერი). მ ო მ წ ი ფ ე ბ ა ნიშნავს რომელობითს ცვლილებას, რომელსაც გახიცდის პერსონა მთელი რიგი მეტამორფოზების სახით, სანამ ახალშობილის მდგომარეობიდან — ზრდადასრულებულის მდგომარეობას მიაღწევდეს. თითოეული ფუნქციის განვითარება ოთხ სტადიას გაივლის: ლ ა ტ ე ნ ტ უ რ ობ ის სტ ა დ ი ა ს, რომელშიც ფუნქცია გარეგნად ჯერ არ ვლინდება, დ ა კ ვ ი რ ტ ე ბ ი ს, საკუთრივ მ ო მ წ ი ფ ე ბ ი ს, დ ა გ ა ნ წ ე ს რ ი გ ე ბ ი ს ა დ ა გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს სტადიას. ფუნქციის განვითარება არც ამ უკანასკნელ სტადიაში შეწყდება, მაგრამ წინა სტადიასთან შედარებით, რომლის დროსაც ფუნქციის გრიგალისებური განვითარება ჯაბნის და ჩქმალავს ყველა სხვა ფუნქციებს, აქ იგი უფრო მშვიდად მიმდინარეობს. ამ სტადიისათვის არსებითია ის, რომ ფუნქცია შედის ფუნქციათა საერთო წესრიგში, ხდება მისი გამოყენება პერსონის მთლიანი მიზნების განხორციელებისათვის, რის გამოც ამ ფუნქციას ეკარგება თავისთავადღირებულობის ხასიათი, რომელიც მას მომწიფების სტადიაში ჰქონდა.

ყველა ამ საფეხურების გავლის შემდეგ პერსონა ზრდადასრულებულ პერსონად იქცევა და დაემსგავსება მისი გვარის ზრდადასრულებულ სხვა ეგზემპლარებს. მიზნისეულობა ზოგადად — არაა პერსონის სპეციფიკური კუთვნილება. „მიზანი ნივთებსაც აქვს: წიგნს, ფულს, მომუშავე მანქანას, წარმოდგენების რიგის მიმდინარეობას (ყველა ესენი—„ნივთებია") აქვთ დანიშნულება, რომელსაც ისინი ემსახურებიან. მაგრამ ეს დანიშნულება მათში კი არაა, არამედ სადმე მათ გარეშე. მათი მიზანგანსაზღვრულობა „ჰეტეროტელია"-ა. პერსონას კი, პირიქით, მიზანგანსაზღვრულობის იმანენტურობა ჰყოფს პერსონად. იგი საკუთარი თავის მიზანია, მას აქვს „ავტოტელია". რაც მასში არის და ხდება — შუალობით თუ უშუალოდ, ნაწილობრივად თუ მთლიანად, — ერთიანი პერსონის და-

დასტურებისა და განხორციელების მიზანდასახვითაა გაწსაზღვრული"[28].

მაგრამ პერსონის მიზნები ავტოტელიით არ ამოიწურება. ყოველი პერსონა, პერსონულობასთან ერთდროულად, „ნივთიცაა" ზემდგომი პერსონისთვის. ნივთისათვის კი „ჰეტეროტელია" არის ჩვეული. ამიტომ, პერსონას ავტოტელიასთან ერთად ჰ ე ტ ე რ ო ტ ე ლ ი ა ც უნდა ჰქონდეს და აქვს კიდეც. მას აქვს პერსონის გარემდებარე მიზნების მთელი ჯგუფი, რომელიც ორ ძირითად ქვეჯგუფს შეიცავს. ერთი ქვეჯგუფია „ჰ ი პ ე რ ტ ე ლ ი ა" — ზემდგომი პერსონის მიერ ნაკარნახევი მიზნები. ასეთია, მაგალითად, შთამომავლობის წარმოქმნა. იგი ინდივიდის თვითგანვითარებისა და, მით უმეტეს, თვითშენარჩუნების მიზნებს სცილდება, და მხოლოდ ზეინდივიდური პერსონის — გვარის — მიზნებს ემსახურება. ასევე, სამშობლოსათვის თავდადება მხოლოდ ზეინდივიდური პერსონის — ერის — მიზნებისადმი მისწრაფებითაა პირობადებული.

ჰეტეროტელიის მეორე ქვეჯგუფი „ს ი ნ ტ ე ლ ი ა"-ა — თანამდებარე პერსონების მიზნებით გამსჭვალულობა. „სინტელიის არსია მიზანმისწრაფების გადატანა ისეთ პერსონაზე, რომელიც უპირისპირდება ინდივიდს, როგორც გ ა რ ე მ დ ე ბ ა რ ე და, ამასთანავე, თ ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ო დ მ ო ც ე მ უ ლ ი რამ; არც ერთსა და არც მეორეს (გარემდებარებასა და თვალსაჩინოებას) არა აქვს ადგილი ჰიპერტელიაში, რომელიც იმანენტურად მოქმედებს (ზეინდივიდური მთლიანობიდან — ნაწილზე) და რომელსაც ინდივიდისთვის არათვალსაჩინო მთლიანთან აქვს საქმე"[29].

ერთი შეხედვით, თითქოს, შესაძლებელი უნდა იყოს ჰეტეროტელიის სახეობათა ურთიერთზე დაყვანა და, მართლაც, არსებობს მოსაზრება, თითქოს ჰიპერტელია — სინტელიების შეჯამებას უნდა წარმოადგენდეს, თითქოს ზემდგომი პერსონა (ოჯახი იქნება ეს, ერი, თუ კაცობრიობა) მხოლოდ და მხოლოდ თანამდებარე ინდივიდური პერსონების კრებადობა უნდა იყოს და პერსონის გამსჭვალულობა თანამდებარე პერსონების ინტერესებით — ჯამში — ზემდგომი პერსონის (ოჯახის, ერის თუ კაცობრიობის) ინტერესებით გამსჭვალულობას — ჰითერტელიას — უნდა ქმნიდეს.

---

[28] 3,19.

[29] 3,46.

არსებობს დიამეტრულად საწინააღმდეგო შეხედულებაც, რომელსაც ვ. შტერნი იცავდა თავდაპირველად[30],— რომ თანამდებარე პერსონის მიზნებით გამსჭვალულობა მათთვის საერთო ზემდგომი პერსონის მიზნებით გამსჭვალულობიდან მომდინარეობს, ე. ი. რომ სინტელია დაიყვანება ჰიპერტელიაზე, მაგრამ, საბოლოოდ, იგი დარწმუნდა, რომ ჰეტეროტელიის ეს ორი სახეობა არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მართლაც, განა „ჯარისკაცს, რომელიც მტკიცედ დგას მიყრუებულ საგუშაგოზე; მოწამეს, რომელიც მსხვერპლად ეწირება კაცობრიობის იდეალებს — რამენაირად რომელიმე ინდივიდური თანამოძმისადმი სიმპათია, ან მისი ინტერესები ამოქმედებს? განა უაზრო არ იქნებოდა მათი მოქმედება, ზეღირებულება — და ზეპერსონა, როგორც ამ ზეღირებულების მატარებელი — რომ არ ჰყოფდეს მათ უმაღლესი მიზნების ორგანოებად"[31]. მეორე მხრივ, ჰიპერტელიის მომენტი მართლაც მონაწილეობს სინტელიაში, მაგრამ სპეციფიკური და არსებითი მისთვის არის ე. წ. რ ა პ ო რ ტ ი ს მომენტი. „რაპორტში ორმაგი საიდუმლოებაა მოცემული, რომლებიც... ამოუცნობად უნდა მივიჩნიოთ. იგი შესაძლებელჰყოფს მიმართების წევრების გარემდებარების უშუალოდ დაყვანას იმანენტურობაზე: ესაა საკუთარი სიცოცხლის გადატანა სხვის სიცოცხლეში, სხვისი მიზნების მიღება საკუთარ ავტოტელიაში. მეორე მხრივ, რაპორტი გაუგებარ არჩევანს ახდენს: განსაკუთრებით მტკიცედ და მყარად ერთმანეთს ის ინდივიდები უკავშირდებიან, რომლებისაც ინდივიდური ავტოტელები ურთიერთს მოერგება და გაამდიდრებს: ან მსგავსების (რეზონანსი) ან შევსების (კომპლემენტარიზმი) მეოხებით"[32].

ამიტომ, საბოლოოდ, ჰიპერტელია და სინტელია ჰეტეროტელიის თავისებურ, ურთიერთისაგან განსხვავებულ სახეობებად უნდა იქნეს მიჩნეული.

განხილული მიზნებით ამოიწურება ზოგადად პერსონის მიზანთა ნაირსახეობა. ეს მიზნები არაა შემთხვევითად თანდებული, არამედ სისტემას ქმნის. მიზანთა სისტემა მოწოდებულია ახსნას

---

[30] 2,167; 446.
[31] 3,47.
[32] 3,49.

პერსონის სიცოცხლის მიმდინარეობა, რადგან სიცოცხლე მიზნითაა განსაზღვრული.

პერსონის მიზანთა სისტემა შემდეგი სქემის სახით შეიძლება იქნეს წარმოდგენილი:



ეს სქემა საერთოა ყველა ბიოლოგიური პერსონისთვის. კერძოდ ადამიანის შემთხვევაში კი სქემაში ცვლილებებია შესატანი, სახელდობრ — დამატებანი. პირველი დამატება ავტოტელიას ეხება, კერძოდ — თვითგანვითარებას. ბიოლოგიური პერსონის შემთხვევაში თვითგანვითარება კონსერვაციულია. ადამიანს კონსერვაციული თვითგანვითარების მიზნის გარდა პ რ ო დ უ ქ ც ი უ ლ ი თ ვ ი თ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს მიზანიც აქვს. „ყოველი თვითგანვითარება ესწრაფვის აწმყო მდგომარეობის გადალახვას, მაგრამ იგი კონსერვაციულად რჩება, სანამ მიზანი, რომელსაც იგი ისახავს, სადღაც და ოდესღაც (გვარში) უკვე განხორციელებულია. ხოლო თუ თვითგანვითარება ჯერ არსად — არ-განხორციელებულ მიზანს ესწრაფვის — იგი „პროდუქციულია“[33]. „პროდუქციული თვითგანვითარების მიზნის შესახებ ლაპარაკის უფლებას მხოლოდ მისი მოქმედების შედეგები გვაძლევს. ადამიანის პიროვნებაში მიმდინარეობს პროცესები, რომლებიც ვერც გარესამყაროს გავლენით აიხსნება და ვერც ავტოტელიის აქამდე ხსენებული სახეობებით,

[33] 3,35.

სახელდობრ, თვითშენარჩუნებითა და კონსერვაციული თვითგანვითარებით, და რომლებიც, მაშასადამე, მოქმედების ახალ ფაქტორს (Wirkungsfaktor) საჭიროებს ასახსნელად, თუკი საერთოდ უნდა იქნეს ახსნილი"[34]. ეს პროცესები ისეთ მოქმედებებში ვლინდება, რომლებსაც შედეგად გარკვეული პროდუქტები(Werke) მოსდევს.

ამ მოქმედებათა შედეგები აბსოლუტურად ახალია: ახალია როგორც შემოქმედი ინდივიდისთვის, ისე გვარისთვის. ასეთი მოქმედების ყველაზე ხელსახები ნიმუში მხატვრული შემოქმედებაა. პროდუქციული თვითგანვითარების მიზნის პოზიტიურად დახასიათება შეუძლებელია სამი გარემოების გამო: 1. რამდენადაც იგი მრავალერთიანი პერსონის მიზანია, — შეუძლებელია მისი გაცნობიერება, რადგან გაცნობიერება, აუცილებლად, მთლიანიდან ერთ-ერთი ნაწილობრივი შინაარსის ამოგლეჯას ნიშნავს. ეს ერთ-ერთი საბუთია პროდუქციული თვითგანვითარების მიზნის ცნობიერ იდეალთან გაიგივების საწინააღმდეგოდაც. 2. შეუძლებელია მისი წმინდა ფორმალურად აღნიშვნაც, რადგან ყოველგვარი სახელდება ძველი ცნებებით სარგებლობს და, ამდენად, ეს მიზანი უკვე განხორციელებული მოცემულობის მხოლოდ და მხოლოდ კვანტიტეტური მატების სახით შეუძლია წარმოადგინოს. და ბოლოს: 3. ყოველგვარი ფორმულა — განზოგადოებაა. პროდუქციული თვითგანვითარების მიზანი კი ინდივიდურია ყოველი კერძო პერსონისათვის. ამ მიზნების დახასიათება მხოლოდ ნეგატიური სახითაა შესაძლებელი, და ისიც მხოლოდ ფორმალურად. იგი არ შეიძლება პერსონის ცალკეულ სფეროდ იქნეს გაგებული, რადგან მას პერსონისთვის, როგორც მ თ ლ ი ა ნ ი ს თ ვ ი ს აქვს მნიშვნელობა; იგი ცნობილი ცნებებით ვერ ამოიწურება, რადგან კვანტიტეტურად ახალია; არ შეიძლება მისი საყოველთაო მნიშვნელობით აღნიშვნა, რადგან იგი თავისებურია ყოველი ცალკეული პერსონისთვის.

შეორე დამატება ჰეტერონომიაშია შესატანი. გარდა ჰეტერონომიისა და სინტელიისა, რომელიც ყველა ბიოლოგიურ პერსონას აქვს, ადამიანს აქვს აგრეთვე „ი დ ე ო ტ ე ლ ი ა". იგი სპეციფიკური და განსაკუთრებით დამახასიათებელია ადამიანისთვის. სახელწოდებიდანვე ნათელია, რომ საქმე აქ იმ მიზნებს ეხება, რომლებიც რაიმე იდეითაა ნაკარნახევი. მაგრამ იდეა პერსონალიზმისთვის

[34] 3,35.

აბსტრაქციაა, პერსონულ ყოფიერებას მოკლებულია და, ამიტომ, მას არც შეიძლება ჰქონდეს საკუთარი მიზნები, მით უმეტეს არ შეიძლება ვინმეს დააკისროს ისინი. იდეები, რომლებსაც ეწესახურება ინდივიდი: „ჭეშმარიტება", „სიკეთე", „მშვენიერება", „სიწმიდე" — თავისთავად კი არ არსებობენ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ზეინდივიდის მიზნების — ინდივიდის მიერ გაცნობიერებას წარმოადგენენ. იდეები ზემდგომ პერსონათა სიცოცხლის ფორმებია, რომლებსაც, ამრიგად, ინდივიდებისათვის მნიშვნელობა აქვს, როგორც ჰიპერტელიას[35]. ამ თვალსაზრისით გასაგები ხდება განსხვავებაც „იდეისა" და „იდეალის" შორის. „ი დ ე ა გამოხატავს მარად ერთსა და იმავე და კონსტანტურ მოთხოვნილებას, რომელსაც ზე-ერთიანობის თვითშ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ი ს ტენდენციაა წაუყენებს ადამიანს. ი დ ე ა ლ ი კი კაცობრიობისა, თუ ერის პროდუქციული თ ვ ი თ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს იარაღად და თანამშრომლად აქცევს მას"[36]. ზე-ერთიანობა თავის მიზნებს აკისრებს ადამიანს; და რაც უფრო დაშორებულია ზეინდივიდური პერსონა ინდივიდს, მით მეტად საჭიროებს იგი შუამავალს აბსტრაქტული იდეების სახით. ახლომდებარე ზეპერსონა, როგორიცაა მაგ. ოჯახი, ნაკლებ საჭიროებს ასეთ აბსტრაქტულ შუამავლებს, რადგან მისი მოთხოვნილებანი მაშინვე თვალსაჩინო სახეს ღებულობს.

იდეათა ასე გაგების თანახმად, „სიწმინდე" უმაღლესია იდეათა შორის, რადგან იგი ყოვლადპერსონისაგან მომდინარეობს. სიწმიდის იდეის სამსახური ადამიანის ყოვლადპერსონისადმი კუთვნილების მაჩვენებელია, მაჩვენებელია ინდივიდის — ყოვლადპერსონის მიზნებით გამსჭვალულობისა.

განსხვავება ავტოტელიისა და ჰეტეროტელიის შორის უეჭველია. და არა მარტო განსხვავება, არამედ წინააღმდეგობაც კი: პერსონის სიცოცხლე, რომლის ძირითადი მიზანი თვით პერსონაა, მისი შენარჩუნება და განვითარება, აღსავსეა შემთხვევებით, როდესაც საკუთარი კეთილდღეობა დაითრგუნება ხოლმე თანაქვემდებარე პერსონის, ან, განსაკუთრებით, ზემდგომი პერსონის მიზნებით. შთამომავლობისათვის ზრუნვას ბევრი ზიანი მოაქვს ინდივიდური ცხოველისთვის. ზეინდივიდური ერთიანობის (ოჯახის, ერის, კაცობრიობის) მიზნების განხორციელებისადმი მისწრაფებას ხშირად

---

[35] 3,52.
[36] 3,53

ინდივიდის თვით სიცოცხლეც კი შეეწირება ხოლმე. მიზანთა ეს წინააღმდეგობა განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება ადამიანში, რომელიც არ შეიძლება ზეინდივიდის ისეთივე ბრმა იარაღი იყოს, როგორიც არის ცხოველი ან მცენარე. ამ წინააღმდეგობიდან გამოსავალს, ავტოტელიისა და ჰეტეროტელიის სინთეზი — მიზანთა ე. წ. „ინტროცეფცია" (შინაგანად შეთვისება, innere Aneignung) წარმოადგენს. ინტროცეფცია არის „ერთ-ერთი იმ უკანასკნელ მისტერიათაგანი, რომლისაც ჩვენ არც ახსნა შეგვიძლია და არც გამოყვანა (ableiten), არამედ — მხოლოდ აღწერა. უცხო მიზანი, როგორც მანამდე, ისე მას შემდეგაც, არა-მეზია მიმართული, მაგრამ იგი კარგავს მე-სთვის უცხოობას, რადგან პერსონა არა მარტო მისდევს მას, არამედ შინაგანად მიითვისებს (eigen macht) და საკუთარი თავის შესატყვისად ჩამოაყალიბებს"[37]. ინტროცეფცია ჰეტეროტელიის ყველა ფორმებზე ვრცელდება. ჰიპერტელიის მიმართ იგი ნიშნავს, რომ ინდივიდი მხოლოდ ნაწილი კი არაა უმაღლესი პერსონისა, არამედ მონაწილეობს კიდეც მასში. სინტელიის მიმართ იგი საკუთარ თავზე ხელის აღებას კი არ ნიშნავს, არამედ საკუთარი თავის გამდიდრებას სხვისი მიზნებით. პერსონა „არა მარტო შთაიგრძნობს თავის თავს სხვაში, არამედ სხვასაც შთაიგრძნობს თავისთავში"[38]. იდეოტელიის მიმართ ასეთივე მდგომარეობაა: „იდეალი, რომელსაც მე დაკისაბაე, სხვისთვის დამონების ბორკილები კი აღარაა, არამედ — მიუხედავად მისი გარედან, თუ ზევიდან მომდინარეობისა — ჩემი მოქმედების ობიექტი და ამით — ჩემი საკუთარი ავტოტელიის შინაარსი"[39]. ინტროცეფცია არაა ცნობიერი მიზანდასახვა. ჰეტეროგენული მიზნები პერსონის სიცოცხლის ფაქტორებად იქცევა და, ამ თვალსაზრისით, მათი ცნობიერყოფა მეორეხარისხოვანია და „შემთხვევითი" (არა — აუცილებელი). უარ უნდა ვყოთ ინტროცეფციის უტილიტარისტულად გაგებაც: მასში პერსონის ეგოცენტრიზმი გამომჟღავნდება და არა ეგოიზმი. უკანასკნელი ნიშნავს ყველა მიზნების დამორჩილებას საკუთარი მიზნებისათვის; პირველი კი — სხვადასხვა მიზნების კონ-

---

[37] 3,58.

[38] იქვე, „. . . man fühlt nicht nur sich in ihn, sondern fühlt auch ihn in sich hinein".

[39] იქვე.

ცენტრულად განლაგებას პერსონის ირგვლივ. ეგოცენტრიზმი ყველა მიზნების შევიწროვებაა და საკუთარ მიზნებზე დაყვანა კი არაა, არამედ მე-ს გაფართოება მიკროკოსმოსად. ინტროცეფცია ავტოტელიისა და ჰეტეროტელიის იმთავითი ჰარმონია კი არაა, არამედ მათი ბრძოლის შედეგი. ბრძოლაც მუდამ ჰარმონიული შეთანხმებით არ მთავრდება: ძალიან ხშირად ერთ-ერთი მხარე გამოდის გამარჯვებული. ეს ბრძოლა პერსონის ორი მხარის ბრძოლა კი არაა, არამედ — ერთიანი პერსონის დაპირისპირება სამყაროსადმი.

როგორც ავტოტელიისა და ჰეტეროტელიის გაერთიანება, ეს ბრძოლაც ადამიანის პიროვნების სპეციფიკური უპირატესობაა. ცხოველში იგი ან სრულიად არაა, ან ოდნავ შესამჩნევი კვალის სახით თუა წარმოდგენილი.

ამრიგად, პერსონულ მიზანთა შორის სპეციფიკური ადამიანური არის პროდუქციული თვითგანვითარება, იდეოტელია და ინტროცეფცია.

დისპოზიცია

მიზნისეულობა არაა საკმარისი იმისათვის, რომ რაიმე არსება პერსონად იქნეს მიჩნეული. პერსონას მიზნის იმანენტურობა ჰყოფს პერსონად: პერსონისთვის აუცილებელია ავტოტელია. თუ რეალურად მას ჰეტეროტელიაც ახასიათებს, ეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც, გარკვეული თვალსაზრისით, იგი ნიეთიცაა — არა თვითღირებულების, არამედ სხვა პერსონისთვის მომსახურებითი ღირებულების მატარებელი. ასეთი ნიეთია ყოველი პერსონა ზემდგომი პერსონისათვის. მაგრამ რამდენადაც პერსონა პერსონაა, იგი საკუთარი თავის მიზანია, ანუ მისი მიზანი მასშივეა მოცემული. პერსონის სიცოცხლის მიმდინარეობას ბრმა მიზეზობრიობა კი არ განსაზღვრავს, არამედ მიზანი. მიზნის ცნებაში თავისთავად არაფერია ისეთი, რაც შეიძლება მოქმედების უშუალო მიზეზი, „მოტორი" იყოს. პერსონაში მიზანთა სისტემამ, რაღაცნაირად, „მიზეზთა" სისტემის სახე უნდა მიიღოს, რათა შესაძლებელი გახდეს პერსონის ნამდვილად ამოქმედება. ამის შესაძლებლობას იძლევა „ენტელექიის" ცნება, რომელიც პერსონის ერთიანი მიზანმისწრაფებული მიზეზობრიობის გამომხატველია. „ენტელექია... არის პერსონის ტენდენცია და უსარი საკუთარი თავის (ე. ი.

საკუთარ მიზანთა სისტემის) განხორციელებისა"[40]. პერსონა დრო-შიც ერთიანია. მაგრამ ვინაიდან, ერთი მხრივ, მისი თვითშენარ-ჩუნების თუ თვითგანვითარების აქტები მუდამ გამომჟღავნებულად არაა მოცემული, მეორე მხრივ კი შეუძლებელია დაშვება იმისა, რომ ისინი მხოლოდ მაშინ ჩნდებიან, როდესაც მჟღავნდებიან და, ისიც, უნდა ჩნდებოდნენ არარაობიდან, რადგან უშუალო პირობე-ბით მათი აღმოცენების ახსნა შეუძლებელია, ამიტომ უნდა დავუ-შვათ, რომ პერსონას გააჩნია მოქმედების უნარი, რომელიც მაში-ნაცაა მოცემული, როდესაც ახდილად არ მჟღავნდება. ასე თუ გავ-გებთ ენტელექიას — იგი პოტენციად უნდა ვიგულოთ. მისი რეა-ლიზაციისთვის აუცილებელია გარესამყაროსთან ურთიერთობა. თავისთავად კი ენტელექია დისპოზიციური ხასიათისაა: იგი ტენ-დენციაცაა და უხარიც. იგი გამოხატავს პერსონის მიმართებულობას მიზნისკენ და მის აღშურვილობას მიზნის მისაღწევად. მოქმედების უნარი და მიმართებულობა შეიძლება ყოველ მომენტში გამომჟღავ-ნებული არ იყოს, მაგრამ იგი მაინც მუდამაა მოცემული პერსონა-ში. რამდენადაც პერსონა მიზანმისწრაფებულია, — იგი ენტელე-ქიაა. მაგრამ რაკი პერსონა, ამასთანავე, მრავალერთიანობაა, ამიტომ ენტელექიას ნაწილობრივი გამოსხივებანი აქვს. ენტელექიის ამ ნაწილობრივ გამოსხივებებს უწოდებს ავტორი საკუთრივ დ ი ს-პ ო ზ ი ც ი ე ბ ს. რამდენადაც დისპოზიცია ერთიანი ენტელექიის გამოსხივებაა, — იგი მთლიანობითი ხასიათისაა. მაგრამ რამდენა-დაც ენტელექიაში ორი მომენტია მოცემული: მიმართებულობისა და აღშურვილობისა, ამდენად დისპოზიციაშიც ხან უპირატესად მიმართებულის მომენტი მჟღავნდება და ხან უპირატესად აღშურვი-ლობისა. ეს გარემოება შესაძლებელყოფს, პრინციპულად, დისპოზი-ციების კლასიფიკაციას მიმართებულობისა და აღშურვილობის დის-პოზიციებად. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რეალურად შესაძლებელი იყოს ან აღშურვილობის ან მიმართებულობის დისპოზიციის წმინ-და სახით არსებობა, არამედ მხოლოდ იმას, რომ მასში ხან ერთი მომენტია მეტად თვალსაჩინო, ხან კი მეორე.

არ შეიძლება დისპოზიციამ „ნიჭიერების" (Vermögen) ძველი ცნება არ გაგვახსენოს, მაგრამ ავტორი საგანგებოდ ამახვილებს

---

[40] 3,68.

ყურადღებას მათ შორის განსხვავებაზე. „ნიჭიერება“ სრულიად დამოუკიდებელი, თავისთავადი ძალა იყო. დისპოზიცია კი მხოლოდ ხელოვნურად აბსტრაქციაქმნილი გამოსხივებაა მთლიანი ენტელექიისა, ანუ პერსონისა. ნიჭიერება თავისით მოქმედებდა, შიგნიდან იწვევდა მოქმედებას, იმორჩილებდა გარემო სამყაროს. დისპოზიცია კი მხოლოდ ისე მოქმედებს, როგორც პერსონის ერთი მომენტი; იგი კი არ იმორჩილებს, არამედ შეეთანხმება გარესამყაროს და მოქმედებაც ამ შეთანხმების, „კონვერგენციის“, შედეგია. დისპოზიცია, რომელიც თავისთავად მხოლოდ პოტენციაა, გარესამყაროსთან კონვერგენციაში პოულობს რეალიზაციას.

დისპოზიცია, თავისი არსით, პოტენციურია, მაგრამ იგი, ამასთანავე, პერსონის რეალური ყოფიერების განმსაზღვრელიცაა. რეალიზაციის შესაძლებლობა მასში სწორედ იმდენადაა მოცემული, რამდენადაც იგი პოტენციაა. მაგრამ ძველი „ნიჭიერებისაგან“ იგი, სხვათა შორის, სწორედ იმით განსხვავდება, რომ არ ძალუძს თაკისით რეალობად იქცეს, მხოლოდ შინაგანი ძალების მეოხებით გამოვლინდეს და განხორციელდეს. იგი მიმართებულია ასეთი თუ ისეთი გამომჟღავნებისაკენ, მაგრამ თავად მოკლებულია რაიმეგვარ „სახეს“. თუ როგორ „გამოიყურება“ დისპოზიცია — ფუჭი კითხვაა; პოტენციურობა—„არ გამოიყურება-ო“[41], ამბობს ვ. შტერნი მნემური დისპოზიციების შესახებ. იგივე ითქმის ყველა დისპოზიციების შესახებაც. იმისათვის, რომ დისპოზიცია პოტენციიდან რეალურ მოცემულობად იქცეს, ან, უკეთ რომ ვთქვათ, იმისთვის, რომ დისპოზიციამ გარკვეული გამოვლინება მოგვცეს, — აუცილებელია მისი შეხვედრა გარესამყაროს ძალებთან.

სანამ დისპოზიციის რეალიზაციის მექანიზმის განხილვას მივყოფდეთ ხელს, დავუბრუნდები პერსონის კონსტიტუციური ნიშნების განხილვას. აქამდე სამი ძირითადი ნიშნიდან მხოლოდ მიზანმისწრაფებულობაზე მქონდა თხრობა. პერსონისათვის კი კონსტიტუციურია აგრეთვე მრავალერთიანობისა და ინდივიდურობის თვისება. რას წარმოადგენს, რაში მდგომარეობს თითოეული მათგანი? რადაა აუცილებელი პერსონისათვის მრავალერთიანობად და ინდივიდურობად ყოფნა?

---

[41] 1,269.

მ რ ა ვ ა ლ ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს ნიშნის დასახასიათებლად, ჯერ-ჯერობით, სამყოფი იქნება ვ. შტერნისავე სიტყვები მოვიტანოთ: „ერთიანი ყოფიერება არ უნდა იყოს მარტივი. unitas multiplex (მრავალერთიანობა) უკანასკნელი საიდუმლოებაა, რომლისაც ჩვენ არც ახსნა ძალგვიძს და არც უარყოფა, არამედ რომელიც უნდა ვა-ღიაროთ ჩვენი მთლიანი მსოფლგაგების საფუძვლად. ეს თე-ზისი მხოლოდ ელემენტების თანდებას კი არ შეეხება, არამედ, ავ-რეთვე, ფაზების თანმიმდევრობას. ე რ თ ი ა ნ ი ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა ს რ უ ლ ი ა დ ა ც არ უ ნ დ ა ი ყ ო ს უ ძ რ ა ვ ი (starr)"[42].

ი ნ დ ი ვ ი დ უ რ ო ბ ა ს, როგორც პერსონის ძირითად ნიშანს, ვ. შტერნი „თავისებურობის" (Besonderheit) აზრით გულისხმობს. ეს ნიშანი ლოგიკური აუცილებლობით გამომდინარეობს პერსონის სუბსტანციურობიდან. სუბსტანცია აუცილებლად განუმეორებე-ლი უნდა იყოს. ეს კი ნიშნავს, რომ თითოეული პერსონა მხოლოდ ერთხელაა მოცემული გარკვეული კონკრეტული სახით. მისი პერ-სონულობა სწორედ მის ამგვარადყოფნაშია მოცემული. თავისებუ-რობა, განუმეორებლობა, ერთხელობრიობა აუცილებლად ახასია-თებს სუბსტანციას, ანუ, ამ შემთხვევაში, პერსონას. „მიუხედავად ყველა იმ შეთანხმებულობისა, რომლის მეოხებითაც პერსონები ურთიერთს ემსგავსებიან: როგორც კაცობრიობის ეგზემპლარები, ერთი რასის წარმომადგენლები, ერთი სქესისადმი კუთვნილნი და ა. შ., მიუხედავად ყველა იმ... კანონზომიერებებისა, რომლებსაც ძა-ლა აქვს ყველა პერსონებისთვის, მაინც მუდამ რჩება რაღაც უკანას-კნელი იმთავით-საკუთარი (letztes Ureigenstes), რომლითაც პერ-სონა უპირისპირდება ყველა სხვა პერსონებს, როგორც თავისთავადი რაღაც სამყარო[43]. ამრიგად, პერსონის თავისებურება, ინდივიდურო-ბა ლოგიკურადაც და ემპირიულადაც გამართლებულია ვ. შტერნისა-თვის. ის, რაც აქამდე ვთქვით პერსონის შესახებ, ახასიათებს მას, როგორც ი დ ე ა ლ ურ პ ე რ ს ო ნ ა ს. ეს ცნება გულისხმობს პერსონის შინაგან მიზანმისწრაფებას, თვითშენარჩუნებასა და, უმთავრესად, თვითგანვითარების მიზნების აბსოლუტურ, პირობაუდებელ განხო-რციელებას. იდეური პერსონა ზღვრული ცნებაა, რომლის ამ სახით

---

[42] 3,6.

[43] 3,7.

განხორციელება შეუძლებელია. რეალური პერსონა. პირიქით, რეალური ფაქტია. ავტორის სიტყვით „პიროვნება"[44], როგორადაც ჩვენ ჯერ აქამდე განვიხილავდით, თუმც აუცილებელი, მაგრამ მაინც მხოლოდ და მხოლოდ აბსტრაქციაა. ჩვენ მისი იზოლაცია მოვახდინეთ, რათა შეგვძლებოდა წმინდა სახით ვწვდომოდით მის მიზანთა სისტემას და მისი მოქმედების წარმმართველ ძალებს (Triebkräfter), ხოლო თუ როგორ ხორციელდება ეს მიზნები, სადაა თვით ამ ძალების საწყისი — ეს შემდგომი, სრულიად ახალი საკითხებია, რომლებზედაც პასუხის გასაცემად საჭიროა **სამყაროს** აქამდე უგულებელყოფილი ფაქტორი მოვიტანოთ. რადგან პერსონული ინდივიდი არაა „ერთადერთი", სამყარო კი მისი „საკუთრება"; არამედ ორმაგი ჯაჭვებითაა იგი ჩაბმული სამყაროში: დროის მხრივ თავისი გვარის მწკრივში, სივრცის მხრივ — თავისი გარემოცვის ვითარებაში. **წინასამყარო** და **გარემოსამყარო** არის ორი სამყაროისეული პირობა, ორი არა-მე, რომლებისგანაც ღებულობს „მე" თავის სახეს სინამდვილეში; მემკვიდრეობა და შეძენა (Erwerbung) — ორი გზაა, რომლებიც ურთიერთს ხვდება — კონვერგენციაში მოდის — გადაკვეთის წერტილში: „პიროვნებაში"[45].

ამ ციტატიდან სავსებით ნათელი ხდება რეალური პერსონის **გენეზისი**: პერსონა წინასამყაროსა და გარესამყაროს თანხვედრის, კონვერგენციის ნაყოფია, პროდუქტია.

წინასამყარო მემკვიდრეობის გზით „შემოდის" პერსონაში. მემკვიდრეობა ზეინდივიდური პერსონის — გვარის — დისპოზიციაა. მემკვიდრეობით სუბსტანციური საგნები კი არ გადაეცემა შთამომავლობას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ტენდენციები და უნარები, რომლებიც კონვერგენციის მეოხებით იქცევიან ერთმნიშვნელოვან სინამდვილედ ამა თუ იმ თაობაში. მემკვიდრეობის ასეთ გაგებას მრავალი უპირატესობა აქვს თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემის თეორიის წინაშე. სულ ადვილი გასაგები ხდება, მაგალითად, მონაცვლეობითი მემკვიდრეობა და ატავიზმები: თუ მემკვიდრეობა დისპოზიციაა, ბუნებრივია მისი ლატენტურობა თაობათა მთელი რიგის მანძილზე, სანამ რომელიმე თაობაში იგი აქტუ-

---

[44] იგივე ითქმის ზოგადად პერსონის შესახებაც.
[45] 3,95.

ალურად არ გამომჟღავნდება სათანადო პირობების მეოხებით. მემკვიდრეობისათვის დაბრუნება კვლავ მოგვიხდება კონვერგენციის ფაქტორების ურთიერთზემოქმედების განხილვისას. ახლა კი განვიხილავ კონვერგენციის მეორე, გარეგან ფაქტორს,— გარემოსამყაროს.

პერსონული სამყაროს შესახებ მოძღვრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვ. შტერნის ფსიქოლოგიური შეხედულების გასარკვევად. თვით მას მიაჩნია, რომ პერსონალისტიკის[46], ე. ი. ადამიანის პერსონის შესახებ ზოგადი მეცნიერების — მთავარი პრობლემებია: ერთი — პერსონის პრობლემა და მეორე — პერსონული სამყაროს პრობლემა. პერსონა, ცნების განსაზღვრების თანახმად, ღიაა სამყაროსათვის, ე. ი. მას განუწყვეტელი ურთიერთობა აქვს სამყაროსთან. სამყაროსთან ურთიერთობის გარეშე შეუძლებელია სიცოცხლე. პერსონა კი ცოცხალია. „სიცოცხლე ყოფისა და ვლენის ერთიანობაა სამყაროსათვის ღია მთლიანობაში. ცოცხალია ისეთი არსება, რომელიც თავის მთლიანობითს ფუნქციობაში მუდამ განახორციელებს თავის მთლიანობითს ყოფას, და რომელიც გარემომცველ სამყაროსთან უწყვეტი გაცვლა-გამოცვლისას მაინც მთლიანობად რჩება"[47].

პერსონული სამყარო

თითქოს სამყოფი უნდა იყოს მეცნიერებისათვის პერსონის შესახებ, როგორიცაა, სხვათა შორის, ფსიქოლოგია, პერსონის რაობის ცოდნა, რათა შესაძლებელი გახდეს მისი სამყაროსთან ურთიერთობის ხასიათის კვლევა, რამდენადაც სამყაროს რაობას თუ როგორობას სხვა მეცნიერებანი და ფილოსოფიის დარგები არკვევს. მაგრამ ვ. შტერნისათვის ეს ასე არაა. ეთქვი კიდეც: სამყა-

---

[46] პერსონალისტიკა არის ვ. შ-ის მიერ დაფუძნებული მეცნიერება ადამიანის ინდივიდური პერსონის შესახებ. მისი (ამ მეცნიერების) არსებობის გამართლებას ავტორი იმაში ხედავს, რომ „პერსონა, როგორც აზრიანი, მიზანსიმართული მთლიანობა, თავს იჩენს სხვადასხვა სპეციალურ მეცნიერებაში, მაგრამ ეს მეცნიერებანი ჯერ არ არის გამთლიანებული. საჭიროა გაკეთდეს ერთი პერსონალისტიკა, როგორც ადამიანის პერსონის შესახებ ყველა ცალკეულ მეცნიერებათა საერთო საფუძველმდებელი და წინა-მეცნიერება" (5, გვ. V).

[47] 1,99.

როს, სახელდობრ პერსონული სამყაროს კვლევა მას პერსონალისტიკის ერთ-ერთ ამოცანად, და კიდევ მეტი: ერთ-ერთ ძირითად პრობლემად მიაჩნია. პერსონალისტიკა არ იკვლევს სამყაროს არსებობა-არარსებობის საკითხს. ამ საკითხის კვლევა საერთოდაც არაა მეცნიერების საქმე, რადგან მეცნიერების არსებობა უკვე გულისხმობს აუცილებელ პირობად სამყაროს არსებობას. „სამყაროს სინამდვილე შემეცნების რაიმეპროცესის ნ ა ყ ო ფ ი კი არაა, არამედ წ ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი ა შემეცნების ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი პროცესისა. წანამძღვარი, რომელიც, ამრიგად, ათეორიულ მომენტში უნდა მდგომარეობდეს. ამ ათეორიულ მომენტს რ წ მ ე ნ ი ს გარდა სხვას ვერაფერს ვუწოდებთ. ასეთი იმთავითი რწმენა რომ არ ჰქონოდა ადამიანს, რომლის არც დამტკიცებაა შესაძლებელი და არც უარყოფა: რომ მას, სუბიექტს, უპირისპირდება რეალური ობიექტი, — ვერავითარი ჯადოთი ვერ მოახერხებდა იგი სუბიექტიდან თეორიული გზით ობიექტის შექმნას (hervorzauberu)“[48]. სამყაროს არსებობის რწმენა აპრიორული წინასწარი პირობაა ყოველი მეცნიერებისა[49]. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მეცნიერება განთავისუფლებულია სამყაროს კვლევისაგან. პირიქით, სწორედ ესაა მეცნიერების ამოცანა, და ყოველი ცალკეული მეცნიერება თავისი თვალსაზრისით იკვლევს და შეისწავლის რეალურ სამყაროს, ან მის რომელიმე მონაკვეთს. პერსონალისტიკას საქმე აქვს „სამყაროს იმ მონაკვეთთან, რომელსაც მნიშვნელობა აქვს პერსონის სიცოცხლისათვის, და ამ მონაკვეთის იმ თვისებასთან, რომლითაც მას მნიშვნელობა აქვს პერსონისთვის... ყოველ პერსონას გააჩნია თავისი პერსონულად მნიშვნელოვანი სამყარო — „პ ე რ ს ო ნ უ ლ ი ს ა მ ყ ა რ ო“[50]. პერსონალისტიკის ამოცანაა გამოიკვლიოს პერსონული სამყაროების ზოგადი, საყოველთაო თვისებები, ის თვისებები, რომლებიც განასხვავებს მათ სხვავვარი სამყაროებისაგან: მათემატიკურისაგან, ფიზიკალურ-კოსმიკურისაგან თუ სოციოლოგიურ-ისტორიულისაგან.

პერსონული სამყაროს შესწავლისას პირველი საკითხი ისაა, თუ რითი გამოეყოფა იგი ზოგადად-სამყაროს. პერსონული სამყა-

---

[48] 2,117.

[49] 4,25.

[50] 1,123.

როში შედის მ ხ ო ლ ო დ ის და ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ის, რასაც მნიშვნელობა აქვს პერსონისათვის (რაც პერსონულად რელევანტურია), ხოლო ყოველივე ის, რასაც არა აქვს პერსონისთვის მნიშვნელობა, მისი საზღვრების გარეშე რჩება. თუ რას აქვს და რას არა აქვს მნიშვნელობა პერსონისთვის, ამის დადგენა „გარედან", ტრანსპერსონული რაიმე კრიტერიუმით, შეუძლებელია. პერსონამ თითონ უნდა მოახდინოს მნიშვნელობის არმქონის გადარჩევა, გაკიდეგანება. გადარჩევა, უწინარეს ყოვლისა, წმინდა რაოდენობით (კვანტიტეტური) მხრივ ხდება. ობიექტურ სამყაროში არსებობს უამრავი მდგომარეობა და მოვლენა, რომელნიც, სწორედ მათი მცირე ინტენსივობის გამო, სრულიად უმნიშვნელოა პერსონისთვის. მართალია, პერსონის თვითშენარჩუნება მოითხოვს მისგან სამყაროს ცვლილებისადმი შეგუებას, მაგრამ სამყაროს ყ ო ვ ე ლ ი ცვლილება არ მოითხოვს, არ საჭიროებს პერსონის მიერ შეგუების ახალი აქტის წარმოებას. პერსონის ძალები და შესაძლებლობები ზღვარდებულია და უსასრულო სამყაროს უწყვეტ ცვალებადობასთან თანაზომიერად ცვალებადობა მას არ ძალუძს. რომელიმე ძალიან მცირე ინტენსივობის მქონე მოვლენას — სწორედ მისი ინტენსივობის სიმცირის გამო — შეიძლება არავითარი სასიცოცხლო მნიშვნელობა არ ჰქონდეს პერსონისთვის. მაგრამ თუ იმავე მოვლენას მეტი ინტენსივობა ექნება, ამით მას უკვე პერსონისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. გარესამყაროს მოვლენის ის ინტენსივობა, რომელიც მას პერსონისთვის მნიშვნელოვნად აქცევს და ამით უზრუნველყოფს მის „შეტანას" პერსონულ სამყაროში, ზ ღ უ რ ბ ლ ა დ იწოდება.

ზღურბლის ცნებაც და ტერმინიც ფსიქოფიზიკისაგანაა ნასესხები. მაგრამ, თუ ფსიქოფიზიკაში იგი გამღიზიანებლის იმ ინტენსივობას ნიშნავდა, რომელიც საჭირო იყო ცნობიერი ფსიქიკური მოვლენის — შეგრძნების — გამოსაწვევად (ან გამღიზიანებლის ინტენსივობის იმ ცვლილებას, რომელიც საჭირო იყო შეგრძნების ინტენსივობის ცვლილების გამოსაწვევად), პერსონალისტიკაში ამ ტერმინს ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობა მიეწერება. სახელდობრ: აქ იგი მოვლენის იმ ინტენსივობას ნიშნავს, რომელიც შეგუების აქტს მოითხოვს პერსონისგან; თვით ეს აქტი კი, შესაძლოა, სრულიადაც არ იყოს ფსიქიკური ხასიათისა. ზღურბლი ნიშნავს

„პერსონისათვის სამყაროს მნიშვნელოვანობის საზღვარს, რამდენადაც რიცხობრივად შეიძლება იქნეს იგი დადგენილი“[61]. ნიშნავს იმ ადგილს, სადაც წყდება ობიექტური განზომილებადი სამყაროს კავშირი პერსონასთან[62]; ნიშნავს მხოლოდ პირველ ნაბიჯს პერსონის განთავისუფლებისას კოსმიკური უსასრულო სამყაროს გავლენისაგან. ზღურბლი მხოლოდ იმას გვეუბნება, თუ რა არ შეიძლება იყოს პერსონულ სამყაროში, და ისიც — კვანტიტეტური თვალსაზრისით, და სწორედ ამიტომ, მხოლოდ ნეგატიურად, და ისიც მხოლოდ ცალმხრივად (მხოლოდ კვანტიტეტურად და არა კვალიტეტურად), ახასიათებს პერსონულ სამყაროს.

პერსონული სამყაროს პოზიტიური დახასიათებისათვის საჭიროა მისი შედგენილობისა და აგებულების გარკვევა. კვანტიტეტური მხრივ გადარჩევის მექანიზმს ზღურბლი წარმოადგენს. კვალიტეტური მხრივ შერჩევის პრინციპი პერსონის სიცოცხლისთვის შესატყვისობაა.

პერსონის სიცოცხლე სამ პლანში, სამ სიბრტყეში შეიძლება მიმდინარეობდეს, მას სამი მოდუსი გააჩნია, რამდენადაც ადამიანის პერსონის შესახებ გვაქვს მსჯელობა. ერთი სიბრტყე წმინდა ვ ი ტ ა ლ უ რ ი ყოფის სიბრტყეა. იგი საერთოა ყველა ცოცხალი ინდივიდური ბიოლოგიური პერსონისათვის. ამ საფეხურზე, ამ სიბრტყეში პერსონა განუწვალებლადაა შერწყმული თავის სამყაროს, და მხოლოდ გარედან მაყურებლისთვისაა შესაძლებელი პერსონისა და მისი სამყაროს ერთიანობის მთლიანობაში, — რომელსაც „აწმყო“, ან უფრო ზუსტად და უშეცდომოდ „პ რ ე ზ ე ნ ც ი“ შეიძლება ეწოდოს, — განასხვავოს პერსონა სამყაროსაგან. სამყარო, როგორც პერსონისთვის გარემყოფი, მისთვის დ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ უ ლ ი, როგორც ო ბ ი ე ქ ტ ი — ჯერ არ არსებობს თვით პერსონისთვის (ამ კონტექსტში პერსონას „ცენტრალურს“ უწოდებს ვ. შტერნი). ობიექტები ცენტრალური პერსონისთვის მხოლოდ ისაა, რაც მათ შეიძლება უ ქ ნ ა ს პერსონამ. პერსონული სამყარო შედგება ობიექტებისგან, რომლებსაც ვიტალური მნიშვნელობა აქვს პერსონისათვის მაგრამ, ცენ-

---

[61] 1,244.

[62] 3,191.

ტრალური პერსონისთვის ეს არაა „ობიექტები". ასე, მაგალითად, „ბალახი არარაა მტაცებელი ცხოველისათვის, რაღაც საჭმელია ძროხისათვის, რაღაც საფარია მღილისთვის — ყოველი ცხოველისთვის სრულიად განსხვავებული რაღაცაა, ბაკრამ არცერთი ამ არსებისათვის არაა იგი „ბალახი", როგორც საგანი, ინდივიდის ბიოსფეროზე ცენტრირებისაგან დამოუკიდებლად"[53]. ასეთი არის „ვიტალური სამყარო" ანუ „ბიოსფერო"[54].

სპეციფიკური ადამიანურია „საგნობრივი სამყარო". თანდათანობითს განვითარებაში ადამიანი უპირისპირდება სამყაროს; პერსონა, სუბიექტი უპირისპირდება ობიექტს. ხდება „პრეზენცა"-ის შემადგენელი მომენტების გამოკვეთა. თუმც არასოდეს არ ხდება მათი სრული და მკაფიო გათიშვა, არამედ ვიტალური სამყარო განაგრძობს კვლავ არსებობას, როგორც ასეთი. მისგან აღმოცენდება და მხოლოდ დაემატება მას საგნობრივი სამყარო. საუკეთესო საბუთს იმისას, რომ სუბიექტის და ობიექტის გათიშვა სრული არაა, წარმოადგენს ე. წ. „მედიუმი" (Heider): ჰაერი, ეთერი, წყალი. ფიზიკალური თვალსაზრისით მედიუმი სხვა საგნებს არ ჩამოუვარდება თავის ობიექტურობით. ადამიანის სიცოცხლისთვის კი იგი სულ სხვა კატეგორიის ფაქტია, ვიდრე საგანი. ეს „სხვა"-ობა სწორედ ვიტალური სამყაროს ობიექტ-უყოფელობის ნაშთია. ან კიდევ „წმინდა მეცნიერული ან ხელოვნების საგნების მაღალხარისხოვანი ობიექტურობა საერთოდ არ გეხვდება მრავალი პერსონის პერსონულ სამყაროში; საგნები, რომლებსაც პირდაპირი მიზნობრივი კავშირი არა აქვს პერსონულ ვიტალურ სფეროსთან, ამ პერსონებისათვის მიუწვდომელია. რამდენი ვინმეა, რომ თვით ვარსკვლავთა ასტრონომიული სამყაროს წედომაც მხოლოდ ასტროლოგიურად, ე. ი. საკუთარ ბედისწერასთან მიმართებაში ძალუმს!"[55] ვიტალური სამყაროს ასეთი „გადმონაშთები" უფრო

---

[53] 5,94.

[54] ტერმინი „ბიოსფერო" ომონიმია დ. უზნაძის მიერ უწინ (1925 წ.) ხმარებული ტერმინისა.

[55] 5,97.

თვალსაჩინოდ ჰყოფს წმინდა საგნობრივი სამყაროს განსხვავებას წმინდა ვიტალურ სამყაროსგან. ვიტალურ სამყაროში სუბიექტი და ობიექტი გაუთიშველია — საგნობრივ სამყაროში ობიექტი ჩამოშორებულია და დაპირისპირებულია სუბიექტისათვის (აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ფსიქოლოგიის კვლევის სფერო, სწორედ საგნობრივი სამყაროა).

პერსონული სამყაროს მესამე მოდუსი ინტროცეფციული მოდუსია. მისი ობიექტები მხოლოდ და მხოლოდ თავისთავადარსებულნი კი არ არიან, როგორიც საგნობრივ სამყაროში იყვნენ, არამედ, აგრეთვე — თავისთავად-მნიშვნელოვანნიც. ეს ის ობიექტებია, რომლებსაც აღიარებს პერსონა და რომლებიც ასეთ აღიარებას მოითხოვენ მისგან. ესაა ობიექტები, რომლებიც პერსონამ შეიძლება და უნდა შეიყვაროს და გაიგოს, ესთეტიკურად სწვდეს და რელიგიურად წმიდაჰყოს (heiligen), მორალურად მოეპყროს და ხელოვნურად ჩამოაყალიბოს. ამ ობიექტებს ნორმატული მნიშვნელობა ენიჭება. ცენტრალური პერსონა აქ აღარაა საკუთარი სამყაროს ერთადერთი ცენტრი: მთელი სამყარო მნიშვნელობის ცენტრებისაგან სამყაროს ერთადერთი ცენტრი; მთელი სამყარო მნიშვნელობის ცენტრებისაგან არის აგებული. ასეთებია, მაგალითად, სხვა ინდივიდური, თუ ზეინდივიდური პერსონები, აბსტრაქტული იდეალები და ღირებულებები, ბუნებისა თუ კულტურის საგნები. მხოლოდ ამ სამყაროში ენიჭება პერსონას ღირებულება, რადგან საკუთარი ღირებულების დადასტურება სხვა ღირებულებათა აღიარების გზით ხდება[56]. მაგრამ ეს საკითხები ძალიან შორს სცილდება ფსიქოლოგიის პრობლემებს, და ამიტომ მათ აღარ გავყვები.

ამრიგად, სამი მოდუსი, სამი ასპექტი არსებობს პერსონული სამყაროსი: ვიტალური, საგნობრივი და ინტროცეფციული სამყაროები. ეს განსაზღვრავს პერსონული სამყაროს შედგენილობას კვალიტეტური მხრივ. პერსონულ სამყაროში ზოგადად — სამყაროდან შეეა ის, რასაც — ინტენსივობით — ძალა შესწევს ზღურბლის გადალახვისა და რასაც ან ვიტალური, ან საგნობრივი, ან ინტროცეფციული მნიშვნელობა აქვს ცენტრალური პერსონისათვის.

როგორღა აიგება მათგან პერსონული სამყარო, როგორია მისი სტრუქტურა? ამ საკითხზე პასუხს პერსონულ განზომი-

---

[56] 5,98 და 1,102.

ლ ე ბ ა თ ა გათვალისწინება მოგვცემს. დრო და სივრცე არის ის განფენილებანი, რომლებშიც მოცემულია სამყარო. პერსონული სამყაროც დროსა და სივრცეშია მოცემული, მაგრამ არა ობიექტურ, არამედ პერსონულ დროსა და სივრცეში. ეს პერსონული განზომილებანი განსხვავებულია ობიექტურ განზომილებათაგან და, ამდენად, პერსონული სამყაროს აგებულებაც სხვაგვარია, ვიდრე ზოგადად — სამყაროსი.

უპირველესად ყოვლისა, ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ს ა მ ყ ა რ ო უ ს ა ზ ღ ვ რ ო ა, როგორც სივრცეში, ისე დროში. პ ე რ ს ო ნ უ ლ ი ს ა მ ყ ა რ ო ზ ღ ვ ა რ დ ე ბ უ ლ ი ა სივრცეშიც და დროშიც. სივრცეში იგი შემოფარგლულია იმ ობიექტებით, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს პერსონის სიცოცხლისათვის. დროში იგი განსაზღვრულია პერსონის სიცოცხლის ხანგრძლივობით: პერსონული სამყარო ჩნდება პერსონის დაბადებისას და პერსონის სიკვდილისთანავე ისპობა.

ო ბ ი ე ქ ტ უ რ ს ა მ ყ ა რ ო ს ა რ ა ა ქ ვ ს ც ე ნ ტ რ ი: ეს გარემოება აუცილებლად გამომდინარეობს მისი უსაზღვროებიდან. ობიექტურ განზომილებათა ამოსავალი პუნქტი პირობითია: იგი რაგინდარა მათემატიკური ნულეული პუნქტი შეიძლება იყოს როგორც სივრცეში, ისე დროში. პერსონულ განზომილებას გააჩნია აბსოლუტური სავალდებულო ამოსავალი პუნქტი — ცენტრალური პერსონა. პერსონის „პ რ ე ზ ე ნ ც ი". ობიექტური სივრცის განზომილების ამოსავალი ნებისმიერი პუნქტი არის აბსოლუტურად უშინაარსო და განუფენელი მათემატიკური წერტილი, რომელშიც გადაიკვეთება კოორდინატთა ღერძები, და მეტი არაფერი. პერსონული სივრცის განზომილების ამოსავალს განფენილებაც აქვს და საკუთარი შინაარსიც. ამიტომ მას არც შეიძლება პუნქტი, წერტილი ეწოდოს, სიტყვის მათემატიკური მნიშვნელობით, არამედ უნდა ეწოდოს „შუაგული" (Mitte).

მათემატიკური სამყაროს განზომილება მუდამ და მხოლოდ „გარეთაა" მიმართული, რადგან თვით ამოსავალი პუნქტი განფენილებას მოკლებულია დროშიც და სივრცეშიც. პერსონული განზომილების ამოსავალი კი საკუთარი განფენილების მქონე პერსონაა. ამიტომ, ძირითადი დამახასიათებელი და განმასხვავებელი თვისება პერსონული განზომილებისა მისი ორმხრივ მიმართებულობაა „გარეთ" და „შიგნით". უკანასკნელი — საკუთრივ პერსონათა-

ნაა დაკავშირებული, პირველი — მის გარემოსამყაროსთან. სივრ-ცითი ასპექტით „შიგნით"-განზომილება ზედაპირიდან სიღრმე-სკენ მიდის. ზედაპირს შეადგენს პერსონის ის მომენტები, რომლე-ბიც გარემოსამყაროსთან უშუალო ურთიერთობაში არიან, მაქსი-მალურად არიან გამოკვეთილი პერსონის ტოტალურობას, მაქსიმა-ლურად არიან გეშტალტყოფილნი. სიღრმის საბოლოო საზღვარია პერსონის სრული განუსაზღვრელობა, შინაგანი დაუსრულებლობა.

„გარეთ" მიმართულება პერსონულ „ახლო"-დან პერსონულ „შორი"-სკენ მიემართება. „ახლო" არის ის, რასაც უშუალო კავ-შირი აქვს პერსონასთან: მისი ს ი ტ უ ა ც ი ა, სრული, ერთმნიშვნე-ლოვანი გარკვეულობა. „შორს" არის სამყარო მისი სრული პერ-სონული უშინაარსობით, დაუსრულებლობით. მათ შორის ძევს ჯერ კიდევ ერთმნიშვნელოვნად ჩამოუყალიბებელი, მრავალმნიშვ-ნელოვანი შესაძლებლობის სფერო.

რადგან არსებობს „შიგნით" და „გარეთ" მიმართულება, თით-ქოს უნდა არსებობდეს მათ შორის ინდიფერენტული ნულეული რკალიც (რკალი და არა წერტილი, რამდენადაც შიგნით-გარეთ გან-ზომილება ყოველმხრივია, რადიალურია), ნამდვილად კი სადემარკა-ციო ხაზი — მათემატიკური ერთგანზომილებიანი წრეხაზი კი არაა, არამედ განფენილი ზონა, „შემოგარე" (Bereich). მასში ჯერ გა-ნუწვალებლადაა მოცემული პერსონა და მისი სამყარო. შემოგარეს არსებობის დამამტკიცებელია შემდეგი მაგალითები: ჰაერი, რომლი-თაც ვსუნთქავთ, ძნელი სათქმელია, თუ რა მომენტში სწყვეტს გა-რემოსამყაროს ნაწილად ყოფნას და იქცევა პერსონის ნაწილად; იგი შემოგარეს ეკუთვნის. საკუთარი ფეხი, რომელსაც თითქო ბავშვი ეთამაშება, მისთვის პრინციპულად არ განსხვავდება ტიკინისაგან; ისიც შემოგარეს ეკუთვნის.

სივრცის განზომილებათა შორის განსხვავების ანალოგიურია განსხვავება ობიექტურისა და პერსონული დროის განზომილებათა შორის.

ობიექტური დროის განზომილების ამოსავალს არ გააჩნია არც განფენილება-ხანიერება, — არც რაიმე შინაარსი. ობიექტური „ახლა", „აწმყო" მხოლოდ და მხოლოდ ნულეული ზღვარია, რო-მელიც ურთიერთს აშორებს ნამყოსა და მყობადს. პერსონული „ახ-ლა" სავალდებულო ამოსავალია პერსონული დროის განზომილე-

ბისა. იგი კი არ სთიშავს, არამედ, პირიქით, აკავშირებს პერსონულ ნამყოსა და მყობადს. იგი სავსეა საკუთარი შინაარსით და — რაც, შეიძლება, ყველაზე უფრო უცხაური იყოს — იგი ხანიერია, განფენილია დროში და, ამასთანავე, მისი ხანიერება, ობიექტურად გაზომილი, შეიძლება ძალიან დიდი აღმოჩნდეს.

პერსონული „ახლო" და „შორს" სივრცით-დროითად ნეიტრალურია. „ახლო" შეიძლება იყოს ცხრა მთას იქით მყოფი სატრფო, ათეული წლების წინათ მომხდარი სამწუხარო შემთხვევა. ბავარიელი გლეხისთვის ძალიან შორია ბრაზილიის ტყვრი, მაგრამ. თუ ქონებრივი სიდუხჭირე აიძულებს მას ემიგრაციაზე იფიქროს — ეს ტყვრი, შესაძლოა. ძალიან „ახლო" გახდეს მისთვის. პატარა ბავშვისთვის შეიძლება ძალიან „შორს" იყოს მშობლების წიგნთსაცავი, მაგრამ რარომ ბავშვი წამოიზრდება და კითხვით დაინტერესდება, ეს წიგნთსაცავი „ახლო" გახდება მისთვის.

პერსონულ პრეზენცში ერთ მთლიანობადაა შერწყმული პერსონული დროის და სივრცის ამოსავალი: „აწმყო" და „აქმყო" (სწორედ ამიტომ შეიქმნა საჭირო უცხოური ტერმინის ხმარება, რომელიც უკეთ გამოჰხატავს პრეზენცის ამ თავისებურებას, ვიდრე ქართული „აწმყო", რომელსაც გარკვეულად დროის ელფერი აქვს. არც გერმანული „Gegenwart" აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი ტერმინი ანალოგიური ეტიმოლოგიური მოსაზრებებით). გაუგებრობა რომ არ მოხდეს: პრეზენცი პერსონული აწმყოსა და აქმყოს ერთიანობით არ ამოიწურება, — მასში საკუთრივ სამყაროისეული მომენტიცაა მოცემული „სიტუაციის" სახით.

პერსონული სივრცის კოორდინატთა სისტემა, ისევე, როგორც ობიექტური სივრცისა, სამგანზომილებიანია, მაგრამ ობიექტური განზომილების ღერძები თანაბარღირებულია (უმჯობესი იქნებოდა გვეთქვა: რომ ღირებულების გარეშე არსებულია და თანაბრობაც მათი ღირებულებისა მხოლოდ და მხოლოდ ღირებულების არ-ქონებითაა პირობადებული). ამის გამო მათი შენაცვლებაა შესაძლებელი: არ არსებობს აბსოლუტური ვერტიკალური, აბსოლუტური საგიტალური, აბსოლუტური ფრონტალური ღერძები[17]. თითოეული ღერძი (ცხადია, არა ერთსა და იმავე დროს და, ცხადია, რომ არც სამივე ღერძი ერთდროულად) ვერტიკალურიც შეიძლება

[17] Aufrecht, Geradeaus, Seitlich.

იყოს, საგიტალურიც და ფრონტალურიც. თითოეული ღერძის „მონაკვეთი“ ნულეული ამოსავალი წერტილიდან დაუსრულებლობისკენ, მხოლოდ ნიშნით განსხვავდება ამავე ღერძის მეორე მონაკვეთისგან, რომელიც იმავე ნულეული წერტილიდან მოპირდაპირე მხარისკენ მიიმართება: თუ ერთ მონაკვეთს დადებითი (პლუს) ნიშნით აღვნიშნავთ, მისი მოპირდაპირე მონაკვეთი უარყოფითი (მინუს) ნიშნით უნდა აღვნიშნოთ. მაგრამ ამა თუ იმ პოლუსის პლუსად თუ მინუსად აღიარება სავსებით ნებისმიერია.

პერსონული განზომილების ღერძები არაა თანაბარღირებული და, ამის გამო, მათი შენაცვლება შეუძლებელია. არსებობს აბსოლუტური ვერტიკალური, საგიტალური და ფრონტალური ღერძები. ადამიანისთვის ძირითადი მნიშვნელობის, და მაშ. უდიდესი ღირებულებისაა ვერტიკალური ღერძი. ვერტიკალური მდგომარეობა ადამიანის ორგანიზმისთვისაა სპეციფიკური და, ამასთანავე, არსებითიც. „დგომა“-ში გამოიხატება ადამიანის პერსონის პერსონულობა, აქტიური სტაბილურობა, პერსონის თვითდადასტურება. „წოლა“-სთან შედარებისას კიდევ უფრო მკაფიო ხდება დგომის უპირატესობა: წოლა, დება (Liegen) იმპერსონულია, მიმზიდველობის კანონის მექანიკური შედეგია. დგომა პერსონული თვითმოქმედების მაჩვენებელია. რამდენადაც „პოლუსი“ შეიძლება ეწოდოს — მართალია ურთიერთისთვის დაპირისპირებულს, მაგრამ რომელობითად და არა მხოლოდ პლუს-მინუს ნიშნით ურთიერთისაგან განსხვავებულ მიმართულებას — ვერტიკალური ღერძის პოლუსებია „ზევით“ და „ქვევით“. სრულიად უეჭველია, რომ ნიშნების შენაცვლება, რაც ობიექტური ღერძების პოლუსების მიმართ შეიძლება ვაწარმოოთ, აქ სრულიად შეუძლებელია. ასევე უეჭველია „ზევით“-პოლუსის პირველობა (პრიორიტეტი). იგი გამოხატავს ძლიერებას, დამოუკიდებლობას, მაშინ როდესაც „ქვევით“ პოლუსი სისუსტის, მორჩილების მაჩვენებელია. პირველი — პერსონის სპონტანურობის გამომხატველია, უკანასკნელი კი — მისი გან-პერსონებისა. ადამიანის მეტყველება გამსჭვალულია „ზე“... და „ქვე“-ს ასეთი აზრით. და არა მარტო მეტყველება: მითი, ხელოვნება, სიზმარი, თამაში, ნევროზები და სხვ.

პერსონული სივრცის განზომილების მეორე ღერძი საგიტალური ღერძია. მისი ღირებულება ამითაა პირობადებული, რომ პერსონული დინამიკა უპირატესად ამ მიმართულებით წარმოებს.

ამ ღერძის პოლუსებია „წინ“ და „უკან“. უპირატესობა პირველ მათგანს ეკუთვნის. ადამიანის ორგანიზმი თავით ფეხამდე ისეა აგებული, რომ მისთვის, ბუნებრივად, ყოველი მოქმედება ერთი მიმართულებით—„წინ“ არის მარჯვე და მოხერხებული. ეს გარემოებაც სპეციფიკური ადამიანურია და ყველა ცოცხალ არსებას არ ახასიათებს. — მაგ. ამებას, მცენარეს. ადამიანის წინამხარე კარგადაა დიფერენცირებული როგორც რეცეფციისათვის, ისე მოქმედებისთვის, ამ სიტყვების ფართო მნიშვნელობით. უკანა მხარე კი, მართლაც, მხოლოდ და მხოლოდ „ზურგია“, საფარი, სასიგნალო მოწყობილობა წინამხრისათვის.

მესამე — ფრონტალური — ღერძი ყველაზე ნაკლებადაა სპეციფიკურ-ადამიანური. სიმეტრია ადამიანის შემთხვევაში ამ სიბრტყეში იშლება. თუმც მის პოლუსებს შორის უპირატესობა (პრიორიტეტი) ჩვეულებრივ „მარჯვენა“ პოლუსს ეკუთვნის „მარცხენის“ წინაშე, რაც აგრეთვე, მეტყველებაშიცაა ასახული, მაგრამ არის პოლუსების აღრევის შემთხვევებიც (ცაციობა, ამბიდექსტრია), რაც სრულიად წარმოუდგენელია სხვა ღერძების პოლუსების მიმართ. სიმეტრიულობით ადამიანი ემსგავსება უსულო საგნებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ორგანიზმის სიმეტრია არაა სრულყოფილი და ეს გარემოება მისი უსრულობის მამხილებელი კა არაა, არამედ პოზიტიური სტრუქტურული თვისებაა მისი. ასეთია თუ ისეთი, ეს სიმეტრია ღერძზე კი არაა აგებული, რორგორც უსულო სხეულების (კრისტალების) ან ზოგიერთი ცოცხალი ორგანიზმის (მცენარეების) შემთხვევაში, არამედ სიბრტყეზე, სახელდობრ საგიტალურ სიბრტყეზე, რომელიც შუა ჰკვეთს ადამიანის ორ, დაახლოებით ერთნაირ ნაწილად: მარჯვენა და მარცხენა მხარეებად.

პერსონული სივრცისგან განსხვავებით პერსონული დრო ერთ განზომილებიანია. მისთვის უცხოა „ზევით-ქვევით“ და „მარჯვნივ-მარცხნივ“ განზომილებანი. იგი მხოლოდ „წინ-უკან“ მიმართულებით განეფინება. აქაც ისევე, როგორც სივრცის განზომილებისას, „წინ“ პოლუსი „უკან“ პოლუსზე ბევრად უფრო მაღალი ღირებულების მატარებელია, რადგან პერსონის მთელი სიცოცხლე, როგორც მიზნით განსაზღვრული, მთლიანად მომავლისკენ — ე. ი. „წინ“ არის მიმართული. დროის განზომილების პოლუსების ურთიერთშეცვლა შეუძლებელია და ამის გამო „ყველაფერი წმინდა დროითი პერსონის სიცოცხლეში ერთხელ ობრივი და განუ-

მ ე ო რ ე ბ ე ლ ი ა (unwiederruflich). ერთხელობრივი და განუმეორებელია პერსონული დროის საზღვრებშიც: დაბადება და სიკვდილი. ამ ერთხელობრიობაშია მოცემული ყოველი პერსონული სიცოცხლის სპეციფიკური ისტორიულობა, სიცოცხლის ყოველი მომენტის თავისებური ღირსება". პერსონული დროის „წინ" და „უკან" („აწი" და „უკვე") მრავალმნიშვნელოვანი და განუსაზღვრელია. ერთმნიშვნელოვან რეალობას მხოლოდ პერსონული დროის აწმყო, „ახლა", წარმოადგენს. მაგრამ იგი საკუთარ შერწყმულია პერსონული სივრცის „აქმყოსთან" პრეზენტში.

პერსონის ირგვლივ განლაგებაში, მის ირგვლივ ცენტრირებაში სიტუაცია — პერსონასთან უახლოესი წრეა გარემო სამყაროსი. უკანასკნელი მრავალმნიშვნელოვანია, პოტენციურია თავისი არსებით.

პერსონასთან შეხვედრისას ხდება მისი განსორციელება და, მაშ, გაერთმნიშვნელოვანება, რადგან რეალური — მხოლოდ კონკრეტული სახით შეიძლება არსებობდეს. სიტუაცია, სწორედ, რეალიზაციაქმნილი გარემოსამყაროა. ნამდვილად—მასთან აქვს ურთიერთობა პერსონას. სიტუაცია, როგორც კონკრეტული რეალობა, ინდივიდურია, ე. ი. თავისებურია და განუმეორებელია. სიტუაციაში ცხოვრობს პერსონა; სამყაროსთვის მისი ღიად ყოფნის თვისება, საკუთრივ და უფრო ზუსტად, სიტუაციისთვის მის ღიადყოფნას ნიშნავს. სიტუაცია ახდენს გავლენას პერსონაზე და განიცდის პერსონის გავლენას. სიტუაცია არის სამყაროსეული მომენტი პერსონა-სამყაროს განუთიშველი შერწყმულებისა — „პრეზენციისა". პერსონული მომენტი კი ამ მთლიანობისა არის „ც ო ც ხ ლ ობ ა".

„ცოცხლობა" ერთ-ერთი ტალღაა პერსონის სიცოცხლის მდინარებისა[58]. იგი მოიცავს პერსონის მომენტანური ქცევის მთლიან გეშტალტს (მაგ., ინსტინქტური ქცევა, ნებითი ქმედობა, საუბარი და სხვ.) ცოცხლობაში — პერსონის მიზანმისწრაფებული მოქმედების („აქტის") მეოხებით — ერთიანობადაა შედუღებული თანადროული შინაარსები[59]. იგი „გარდიგარდმო ჭრილს" წარმოადგენს პერსონის სიცოცხლისას. მაგრამ კი იმ შესწორებით შეიძლება მხოლოდ ამ გამოთქმის გამოყენება, რომ თუ „გარდიგარდმო ჭრილი" სრულიად თავისუფალია დროითი განზომილებისაგან, ცოცხლობა

---

[58] იხ. 10,72.

[59] იხ. 4,138.

განფენილია დროში, იგი ხანიერია. ეს მისი საკუთარი შინაგანი ხანიერებაა. სიცოცხლის მთლიანი ნაკადის ხანიერებას ის კი არ განსაზღვრავს თავისთავად, არამედ ამგვარ, ხანიერების მქონე ცოცხლობათა თანამიმდევრობა.

პრეზენცი, პერსონის აქ, ახლა და ამგვარად მოცემულობა იდეური პერსონის რეალიზაციაა, მისი გადაქცევა რეალურ პერსონად, რომელიც, როგორც ვიცით, კონვერგენციის პროდუქტს წარმოადგენს. სწორედ პრეზენცი არის კონვერგენციის პირველადი ფაქტი (თუ: შედეგი, ნაყოფი). პერსონის წინასამყარო, დისპოზიციების სახით, და გარემოსამყარო აქ უკავშირდება. აქ შეერწყმის ურთიერთის. ასეთი პრეზენცების უწყვეტი თანამიმდევრობა ქმნის პერსონის რეალურ ყოფიერებას, მისი სიცოცხლის მდინარებას. თითოეული პრეზენცი ერთხელობრივია, განუმეორებელია, წარმავალია და ასეთივე ერთხელობრივი, განუმეორებელი და წარმავალი მისი, როგორც პერსონული მომენტი — ცოცხლობა, ისე სამყაროისეული მომენტი — სიტუაცია. ერთსაც და მეორესაც აქვს დასაწყისი და დასასრული; სიტუაცია, დასრულდება რა, სამუდამოდ და აბსოლუტურად ისპობა. მისი არავითარი კვალი არ რჩება სამყაროში, რადგან სამყარო ობიექტურია, სიტუაცია კი პერსონული ასახვაა სამყაროსი. არ რჩება მისი კვალი არც პერსონაში, რადგან სიტუაცია სამყაროისეული მომენტია პრეზენცისა.

განსხვავებულია ცოცხლობის მდგომარეობა. მართალია, მასაც აქვს დასასრული, რომლის შემდეგაც იგი აღარ არსებობს, ისპობა როგორც ცოცხლობა; მაგრამ იგი უკვალოდ კი არ ქრება, არამედ „გარდაიცვლება" აქტუალური, რეალური, აკუტური მდგომარეობიდან არააქტუალურ, პოტენციურ, ქრონიკულ დისპოზიციად, ან უფრო ზუსტად: დისპოზიციის განმსაზღვრელ მომენტად. რამდენადაც იგი აწ-მყოფიდან ნა-მყოფად იქცევა — ნამყოდ, რომელიც გამოცდილების სახით, მემკვიდრეობასთან ერთად, განსაზღვრავს მომავალი კონვერგენციის პერსონულ ფაქტორს.

ცოცხლობა, როგორც პერსონის აქ-ახლა-და ამგვარადყოფნა სავსებით აქტუალურია, ერთმნიშვნელოვანია, ჩამოყალიბებულია. იგი თავისთავად სრულიად მოკლებულია რაიმე პოტენციურობას. მისი შინაგანი გასტრუქტურება მაჩვენებელია პერსონის მთლიანობისგან—მისი მაქსიმალურად დამოუკიდებლობისა. მაჩვენებელია იმისი, რომ იგი მაქსიმალურადაა გამოყოფილი პერსონის მრავალმნიშვნელოვანი მთლიანობიდან. ცხადია, სრული გამოყოფა მო-

შენტისა პერსონის მთლიანობიდან შეუძლებელია, როგორიც არ უნდა იყოს ეს მომენტი, თორემ იგი ხომ გასწყვეტდა ყოველგვარ კავშირს პერსონასთან და აღარც იწოდებოდა პერსონულად. „რაროგ ყოველი მომენტი ნაწილობრივი მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა ა, იგი რაღაცნაირად უნდა გ ა მ ო ე ყ ო ს პერსონის ტოტალობას; რაროგ იგი მხოლოდ ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი მთლიანობაა, მან უნდა შეინარჩუნოს პერსონისათვის კუთვნილობა, მასში ჩ ა ნ ე რ გ ი ლ ი უნდა დარჩეს"[60]. ყოველი რაგინდარა მომენტი მეტად თუ ნაკლებად გამოყოფილია პერსონის მთლიანობიდან და, ა მ ა ს თ ა ნ ა ვ ე, მეტად თუ ნაკლებად ჩანერგილია მასში. რაც მეტადაა იგი გამოყოფილი, მით მეტადაა შინაგანად ჩამოყალიბებული და. პირიქით: რაც მეტადაა ჩანერგილი, მით ნაკლებაა გამოკვეთილი მისი საკუთარი სტრუქტურა. ამრიგად. ცოცხლობა მაქსიმალურად გამოყოფილი მომენტია პერსონის სიცოცხლის მთლიანობისა, დისპოზიცია — მინიმალურად გამოყოფილი ანუ მაქსიმალურად ჩანერგილი მისი მომენტი.

მომენტი ეწოდება ყოველივე იმას, რისი ერთობლიობაც ქმნის პერსონას მრავალერთიანობას. მომენტი არის სწორედ ეს „მრავალი" პერსონის ერთიანობაში. ამრიგად, „ყოველი მთლიანობა თავისი მომენტების ერთიანობაა.

მთლიანის ფორმალური ურთიერთობა თავის მომენტებთან ხშირად „სტრუქტურად"იქნება ხოლმე წოდებული. ეს ნიშნავს: ზემდგომ (übergreifende) მთლიანობაში ყოველ მომენტს აქვს თავისი ნაწილობრიობის ხასიათი, თავისი ადგილი, თავისი განსაკუთრებული დანიშნულება და მნიშვნელობა, თავისი აზრითი მიმართება სხვა მომენტებისადმი და თვით მათი საერთო ზემდგომი ერთიანობისადმი. ამრიგად, მთლიანობა არის მომენტების იერარქიულად სტრუქტურაქმნილი ანუ დანაწილებული ერთიანობა"[61].

გამოყოფილობა-ჩანერგილობის დიალექტიკა პერსონულ სამყაროზეც ვრცელდება. დიფუზური გარემოსამყარო გაერთმნიშვნელოვანებას სიტუაციაში პოვებს, რომელიც (სიტუაცია) მკვეთრადაა გეშტალტქმნილი. ხოლო თუ და როდესაც სიტუაციას რომელიმე მომენტი ღებულობს სრულიად მკაფიო გეშტალტს და ამით, თითქოს, სულ გამოეყოფა სიტუაციას, ვღებულობთ იმას, რასაც

---

[60] 5,26.

[61] 5,13.

ფსიქოლოგები (ფიზიოლოგებიც, ბიოლოგებიც და სხვანიც), ვინც პერსონას შეისწავლიდა ამა თუ იმ თვალსაზრისით) „გამღიზიანებელს“ უწოდებდნენ, სთვლიდნენ მას ობიექტური სამყაროს ელემენტარულ მოვლენად, რომელიც ზემოქმედებდა სუბიექტზე, ან უკეთ: სუბიექტის ამა თუ იმ ორგანოზე, და იწვევდა სუბიექტში ელემენტარულ საპასუხო პროცესს, მაგ., შეგრძნებას. პერსონალისტური თვალსაზრისით გამღიზიანებელი მაქსიმალურად გამოკვეთილი, ჩამოყალიბებული, გამახვილებული მომენტია. სიტუაციისა, ელემენტური ფსიქიკური პროცესი კი — ცოცხლობის ასეთივე მომენტი.

პერსონისა და სამყაროს ურთიერთობა

პერსონა თავისთავად, იდეური პერსონა, მხოლოდ მრავალმნიშვნელოვანი პოტენციაა და ტენდენციაა. ასეთივეა პერსონული სამყარო თავისთავად. პერსონის სიცოცხლე შესაძლებელია მხოლოდ სამყაროსთან ურთიერთობაში. სამყაროსთვის ღიადგომის ნიშანი არსებითია პერსონისთვის. აქედან გამომდინარეობს, რომ სამყაროც ღიაა პერსონისთვის. ისინი ურთიერთზემოქმედებენ. პერსონის ზემოქმედების გარეშე სამყარო სიტუაციად ვერ ჩამოყალიბდებოდა. ხოლო სამყაროს ზეგავლენის გარეშე ვერ იქნებოდა პერსონის არამცთუ მთლიანი სიცოცხლე — ცალკეული ცოცხლობაც კი.

პერსონისა და სამყაროს ურთიერთზემოქმედება პერსონის თვალსაზრისით ნიშნავს იმას, რომ პერსონა, ერთი მხრივ, განიცდის სამყაროს ზეგავლენას, მეორე მხრივ კი თითონ ზემოქმედებს სამყაროზე. ასეთი ურთიერთობა შესაძლებელია მხოლოდ იმ გარემოების წყალობით, რომ პერსონა არა მარტო რეაქტიული არსებაა, რომელიც მიმღებლობს გარემოს გავლენის, არამედ აქტიურიც, რომელსაც სპონტანური მოქმედების ძალა შესწევს. პერსონის ყოველ გამოვლენაში გამოუკლებლივ პერსონა-სამყაროს ურთიერთობის ეს ორივე მხარეა მოცემული. „არ არსებობს არავითარი იმდენად პასიური და იმდენად მექანიკური რეაქცია, რომ გამღიზიანებელზე უბრალოდ ერთმნიშვნელოვანი რეაქცია იყოს, და არც იმდენად თავისუფალი და გენიალური სპონტანური მოქმედება, რომელიც გარემოსამყაროსგან არ ღებულობდეს უკანასკნელ ჩამოყა-

ლიბებასა და გამოკვეთილობას"[62]. გარეგანი ფაქტორის (გარემოსამყაროს) ზემოქმედება პერსონაზე გულისხმობს, საჭიროებს თავისი განხორციელებისთვის შინაგანი ფაქტორის — პერსონის — შთაბეჭდილების — უნარიანობას (Empfänglichkeit). შინაგანი ფაქტორის (პერსონის) სპონტანური მოქმედება მოითხოვს გარეგან ფაქტორს—გარემოსამყაროს—როგორც მასალას თავისი მოქმედების განხორციელებისას. გარემოსამყარო პირველ შემთხვევაში „გამომწვევი ხასიათით" არის აღბეჭდილი (Aufforderungscharakter. K. Lewin), მეორე შემთხვევაში — „მასალის ხასიათით" (Materialcharakter). „გამომწვევი ხასიათი" სამყაროისა კარგად ხსნის პერსონა-სამყაროს ურთიერთობას ერთი მიმართულებით. მაგრამ თუ მხოლოდ გამომწვევი ხასიათი მიეაწერეთ გარემოს, მაშინ უარი უნდა ვთქვათ პერსონის სპონტანური მოქმედების აღიარებაზე. ეს კი შეუძლებელია პერსონალისტური თვალსაზრისით. „მასალის ხასიათით" აღჭურვილობა — „გამომწვევი ხასიათით" აღჭურვილობასთან ერთად — გასაგებად ხდის პერსონა-სამყაროს ურთიერთობას მეორე მიმართულებითაც. პერსონის ყოველ გამოვლენაში მოცემულია პერსონის სპონტანური საწყისიც და სამყაროს გამომწვევი ხასიათიც, მხოლოდ კი სხვადასხვა შემთხვევაში — სხვადასხვა პროპორციით. არსებობს შეხედულება, რომ პერსონის გამოვლენა მისი შინაგანი, საკუთარი რაობის გამოვლენაა, და გარემოსამყარო მხოლოდ სარბიელია, რომელზეც ხორციელდება ეს პოტენციური რაობა. ან, პირიქით, ფიქრობენ, რომ პერსონა სხვა არარაა, გარდა ორგანიზმისა, რომელიც აღჭურვილია უნარით, — გარკვეული ცვლილებები განიცადოს გარემოსამყაროს მოვლენების ზეგავლენით. ორივე ეს შეხედულება მცდარია, მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მათგანს აუარებელი საბუთის მოტანა შეუძლია თავის სასარგებლოდ და მოპირდაპირე თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ. პერსონისთვის თანაბარღირებული და ძირითადი მნიშვნელობისაა ორივე ნიშანი: ისიც, რომ იგი თავისთავზეა მიმართული (Selbstbezogen), „აუტისტურია", და ისიც, რომ იგი სამყაროზეა მიმართული (Weltbezogen). ამის შესატყვისად, პერსონული სამყაროსთვის თანაბრად მნიშვნელოვანია გამომწვევი ხასიათიც და მასალის ხასიათიც. ეს „ხასიათები" ჰყოფს მას „ღიად" პერსონისთვის.

---

[62] 9.52.

პერსონისა და სამყაროს ურთიერთობა უფრო მჭიდროა, ვიდრე ეს ოდესმე გააზრებული ყოფილა, თვით კონვერგენციის თეორიაშიც კი. პერსონული სამყარო თაებიდან უცხო კი არაა პერსონისთვის და მხოლოდ შემდგომს კონვერგენციაში კი არ ამყარებს ურთიერთობას პერსონასთან, არამედ პერსონისა და სამყაროს კონვერგენცია იმთავითი ფაქტია (Urfactum); სამყარო იმთავითვე „ღიაა პერსონისთვის" ისევე, როგორც პერსონა „ღიაა სამყაროსთვის"[63].

პერსონისა და სამყაროს შორის კავშირი იმდენად შინაგანია, რომ მხოლოდ აბსტრაქციაშია შესაძლებელი მისი წევრების გამოცალკევება და გამოცალკევების შემდეგ ურთიერთმიმართებაში მოყვანა. „სინამდვილეში პერსონა მუდამ და ყოველგან ერთდროულად საკუთარი თავის განმსაზღვრელიცაა, სამყაროს მიერ განსაზღვრულიც და სამყაროს განმსაზღვრელიც; აყალიბებინებს რა თავისთავს სამყაროს, იგიც, თავის მხრივ, აყალიბებს სამყაროს; შეითვისებს რა სამყაროს მნიშვნელობას, იგი არა მარტო თავის საკუთარ მნიშვნელობას გაამდიდრებს, არამედ სამყაროსაც მნიშვნელობის ახალსა და სხვა აქცენტს მიანიჭებს"[64]. ამიტომაა სამყარო, სწორედ—პერსონული სამყარო. და რამდენადაც პერსონული სამყარო არის, იმდენადაა მხოლოდ პერსონის არსებობა შესაძლებელი, იმდენად არის პერსონაც.

თითოეულ გამოვლინებაში აუცილებლად მონაწილეობს შინაგანი — საკუთრივ პერსონული — და გარეგანი — სამყაროისეული — ფაქტორიც და საკითხი მხოლოდ ისაა, თუ რაა შინაგანი და რაა გარეგანი.

მომენტის გამოყოფილობა-ჩანერგილობას უშუალო კავშირი აქვს პერსონისა და სამყაროს ურთიერთობასთან: რაც მეტად მონაწილეობს სამყაროისეული ფაქტორი, მით მეტად გამოეყოფა მომენტი პერსონის მთლიანობას, ხოლო რაც მეტადაა გამოყოფილი იგი პერსონის მთლიანობას, მით მეტადაა შინაგანად ჩამოყალიბებული. „არ არსებობს პერსონული გამოყოფილობა გარეშე გეშტალტყოფილობისა"[65]. „მაქსიმალურად გამოყოფილი მომენტი იმითაა აღბეჭდილი, რომ გარედან იგი მკაფიოდაა განსაზღვრული, და

---

[63] 5,33. VI.
[64] 5,20.
[65] 5,33.

ამასთანავე — რარომ იგი ნაწილობრივი მთლიანობაა — იმითაც, რომ შინაგანად სტრუქტურაქმნილია, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ: მას აქვს „გ ე შ ტ ა ლ ტ ი“.* ერთიან პერსონას მხოლოდ, გეშტალტური ფორმით შეუძლია გამოჰყოს მომენტი. „გეშტალტი— ყოველი გამოყოფილი მომენტის ნიშანია“[66].

გეშტალტის ცნება ფართოდ გავრცელდა და მტკიცედ დამკვიდრდა თანამედროვე მეცნიერებაში, კერძოდ კი ფსიქოლოგიაში. დადასტურებულ იქნა გეშტალტიზაციის კანონები; აღნიშნულ იქნა ის გარემოება, რომ ყველა წარმოქმნანი თანაბრად მკაფიო გეშტალტის მქონე არაა, რომ არსებობს „კარგი“ გეშტალტები და „ცუდი“ გეშტალტები. მაგრამ ორი გარემოება დარჩა ყურადღებელი: ერთი ის, რომ გეშტალტიზაცია წარმონაქმნისა თავისით არ ხდება და არ შეიძლება ხდებოდეს; რომ „არ არსებობს გეშტალტი გარეშე გეშტალტ-მყოფელისა“[67]. ამას კი შედეგად მოჰყვა გეშტალტების ჰიპოსტაზირება: ისინი იქცნენ ცალკეულ საგნებად, საკუთარი კანონზომიერების მატარებლებად, მოკლედ — თუმცა უფრო მაღალი რანგის, მაგრამ მაინც ელემენტებად, რომლების წინააღმდეგაც იყვნენ მიმართულნი. მეორე გარემოება, რომელიც ვერ გაიაზრა მოძღვრებამ გეშტალტების შესახებ, ეს ისაა, რომ ცუდი გეშტალტები კარგი გეშტალტებისგან განსხვავებით მხოლოდ ნეგატიურადაა დახასიათებული („ცუდი“), ნამდვილად კი მათაც სჭირდება პოზიტიური დახასიათება. გეშტალტის გეშტალტურობა სწორედ კ ა რ გ გეშტალტშია მოცემული. ცუდი გეშტალტი კი მარტო და მხოლოდ კვანტიტეტურად არაა განსხვავებული მისგან. ის, რაც „ცუდი გეშტალტის“ სახელით იყო ცნობილი, არ შეიძლება მხოლოდ ნეგატიურად იქნეს დახასიათებული, როგორც გეშტალტის არმქონე, არამედ პოზიტიურად როგორც უ ნ-გ ე შ ტ ა ლ ტ ი ს მქონე. ის, რაც გამოყოფილია პერსონის მთლიანობას — გეშტალტის მქონეა. ის, რაც ჩანერგილია პერსონის მთლიანობაში — უნგეშტალტის მქონეა. თუ გეშტალტი აქ, ახლა და ამგვარად მოცემულობაა, უაღრესი განხორციელება და, მაშ, გაერთმნიშვნელოვანება შესაძლებლობისა, — უნგეშტალტი არის აწმყო მოცემულობა, გამსჭვალული შესაძლებლობით, მრავალმნიშვნელოვანი, ჯერ განუხორციელებელი დისპოზიცია.

---

[66] 5,32.

[67] 5,33.

ულ-გეშტალტის ცნების შემწეობით, გამოყოფა-ჩანერგვის თეორიის საფუძველზე შესაძლებელი გახდა გადალახვა დისპოზიციის ძველი (1917, Psychol. u. Pers-mus.) გაგებისა, რომელიც ფენომენისა და დისპოზიციის სრულ გათიშვას აღიარებდა. „ერთი მხრივ სავსებით გეშტალტყოფილი მოცემულობანი, მეორე მხრივ კი გეშტალტუყოფელი დისპოზიციები, — ერთი უწყვეტი რიგის უკიდურეს პოლუსებს, ზღვარულ ცნებებს წარმოადგენს; ყოველი მომენტი, რომელიც კი შეიძლება დადასტურებულ იქნეს პერსონაში, ისევე, როგორც თვით პერსონაც, ერთიცაა და მეორეც ერთდროულად, მაგრამ ცხადია, აქტუალურისა და პოტენციურის წვლილი სხვადასხვაგვარია სხვადასხვა შემთხვევაში"[65].

ჩანერგვის ცნება გულისხმობს, რომ პერსონას აქვს არა მარტო ზედაპირი, რომელზეც იშლება მისი მოვლენები, არამედ სიღრმეც, რომელშიც შეიძლება ჩანერგილ იქნეს პერსონის ესა თუ ის მომენტი. პერსონის თანადროული მომენტები ერთ სიბრტყეზე არაა მოთავსებული, როგორც ძველად ეგონათ, არამედ მესამე — სიღრმის — განზომილებითაც არის განლაგებული, მხოლოდ ეს სიღრმე გაქვავებული ფენების წყებად არ უნდა იქნეს გაგებული. ასეთი გაგების შედეგად ღრმა ფენას მიეწერება ხოლმე მეტი ღირებულება, ზედაპირს კი უმნიშვნელოდ და შემთხვევითად სთვლიან. ნამდვილად კი „პერსონის ის შემადგენელი ნაწილები, რომლებიც უშუალოდაა მიმართული გარემოსამყაროსკენ, რათა მასთან კონტაქტს ემსახურონ, წარმოადგენენ პერსონის „გარე"-ს, მის ზედაპირს. ყველაფერი დანარჩენი კი „შიგ" არის და მით უფრო შიგნით (ანუ მით უფრო ღრმად), რაც უფრო მეტადაა მიმართული პერსონის თავისთავადობისადმი, სპონტანურობისადმი, მის თვითკანონზომიერებისადმი, მის შედარებითს დამოუკიდებლობისადმი „სამყაროსაგან"[66]. მეტი ღირებულება ზედაპირულ ფენებთან შედარებით ღრმა ფენებს იმ თვალსაზრისმა შეიძლება მიაწეროს, რომელიც მოისურვებს პერსონის შესწავლას სამყაროს გავლენისგან დამოუკიდებლად. მაგრამ ეს თვალსაზრისი არაა არც საკმარისი, არც ერთადერთი და არც საუკეთესო. ჯერ ერთი: ფენების ადგილი სიღრმითს ჭრილში არაა უცვლელი. ფენა, რომელიც ერთ გარკვეულ გა-

---

[65] 5,36.
[66] 5,23.

რემოში ღრმადაა ჩაძირული, მეორე გარემოში ზედაპირზე შეიძლება ამოტივტივდეს. მეორე ის, რომ სამყაროსთან ურთიერთობა პერსონის არსის შემადგენელი ნიშანია, და ამიტომ სიღრმე მხოლოდ მაშინ იქნება მეტი ღირებულების მქონე, როდესაც მოვისურვებთ პერსონის შესწავლას სამყაროსგან გამოთიშულად; ხოლო როდესაც მოვისურვებთ მისი რაობის გათვალისწინებას მისი სიცოცხლის ბუნებრივ პირობებში, ე. ი. სამყაროსთან ურთიერთობაში, მაშინ „ზედაპირი" გახდება ძირითადი ღირებულების მქონედ. მესამე: რაც შინაგანი ფენების ზედმეტად დაფასების წინააღმდეგ ღაღადებს, ეს ისაა, რომ „პერსონის არსი უპირატესად ერთ რომელიმე ფენაში არაა კონცენტრაციაქმნილი (სულ ერთია, რომელი ფენა იქნება ეს): იგი ფენათა წყობით ვერ იქნება გამოხატული, არამედ მთლიანობითი სიღრმით, რომლისადმი ფენები თანადროული გამოყოფა-ჩანერგვის მიმართებაში იმყოფებიან". „ნაცვლად იმისა, რომ ვეძიოთ პერსონის ძირითადი ფენა, რომლისგანაც გამოიყვანება და გასაგები გახდება პერსონული მთელი შემდეგი ყოფა და გამოვლენა, — თვით დალაგების რაგვარობა ფენებისა, ანუ ს ი ღ რ მ ი ს ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა უნდა მივიჩნიოთ გადამწყვეტი მნიშვნელობის ნიშანთვისებად"[70].

სიღრმე და ზედაპირი, ჩანერგვა და გამოყოფა, გე'მტალტი და უნგეშტალტი, დისპოზიცია და ფენომენი — პერსონის სიცოცხლის გამოვლენის ფორმებია. პერსონის სიცოცხლე მხოლოდ სამყაროს გარემოცვაში შეიძლება განხორციელდეს და ზემოთ მოყვანილი დაპირისპირებანი სწორედ სამყაროსთან ურთიერთობის შედეგადაა შესაძლებელი. პერსონის სიცოცხლე პერსონისა და სამყაროს ურთიერთობაა, ყოველი პერსონა პერსონათა სამყაროში იმყოფება. და მხოლოდ ეს ჰქმნის მასში ორმაგობას, სახელდობრ, რომ თავის ყოფიერებას იგი ერთი მხრივ თავისთავისთვის („შიგნით") გამოავლენს, მეორე მხრივ კი სხვისთვის, მის გარეშე მყოფისთვის („გარეთ")[71]. პერსონის გამოვლინება ან „შინავლენაა" ან „გარეგლენა". ანუ: „რადგან პიროვნება გარკვეულ გარემოცვაში ცხოვრობს, იგი ორგვარად გამოვლინდება, მაგრამ ისე, რომ მისი მთლიანობა არ ირღვევა; ერთი მხრივ იგი თავისთვის („შიგნით") გამოვლინდე-

---

[70] 5,56—57.

[71] 4,143.

ბა, მეორე მხრივ — სხეულთან („გარეთ"). ამგვარად აქ ორი, მუდამ პარალელურად მიმდინარე, მყარი ატრიბუტი კი არ არის (როგორც სპინოზას და თანამედროვე პარალელიზმს წარმოუდგენიათ), არამედ ორი გზა მოქმედი პიროვნების მთლიანი არსის გამოვლენისა, პიროვნების იმთავითი აქტიობის განხორციელებისა. ყოველივე სხეულებრივი — „გარეგანია" პიროვნებისა, სულიერი კი — „შინაგანია" (Innerung) (იგი შიგნით მიიმართება)"[72].

„რამდენადაც პერსონა ცოცხლობს, უშუალოდ ეძლევა თავის ყოფიერებასა და მოქმედებას, იგი ამოუხსნელად გახლართულია კონვერგენციაში; იგი ჩაფლულია სამყაროში და საყარო — მასში, აუხსნელად და გაუთიშველად, მაგრამ არა გაუთიშვადად (unscheidbar). გ ა თ ი შ ვ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ა ა. „სიცოცხლე" აბსოლუტური ცნებაა, ხოლო „განცდა"— რელატიური; იგი განმცდელისა და განცდილის შორის განეფინება; იგი მე-ს მიპმართავს ობიექტზე; ყველა განცდათა ერთობლიობას კი ჩვენ ცნობიერების სახელით აღვნიშნავთ"[73].

განცდა პერსონის მთელ სიცოცხლეს კი არ ახლავს, არამედ მხოლოდ ზოგიერთ ნიშანდობლივს (nusgezeichnete) მის ადგილს. პერსონაში მე-ს ნაწილისა და სამყაროს ნაწილის ცნობიერი განწვალება საჭირო იქ ხდება მხოლოდ, სადაც ამ ორივეული მშვიდი ურთიერთშერწყმა შეფერხებას განიცდის, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ: სადაც კონვერგენცია უკონფლიქტოდ ვერ მიმდინარეობს. ამრიგად, ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ა მ უ დ ა მ კ ო ნ ფ ლ ი ქ ტ ი ს მ ა ნ ი შ ნ ებ ე ლ ი ა (Zeichen) დ ა მ ი ს ი პ რ ო დ უ ქ ტ ი ა.

სადაც სამყარო დაურღეველად შეიძლება იყოს მიღებული, წინააღმდეგობის გარეშე შინაგანად გადამუშავებული და უბრძოლველად გარეგანად დამუშავებული, იქ ადამიანს (ანუ პერსონას) არ სჭირდება ცნობიერების იარაღი[74].

„ყველაფერს არ განიცდის პერსონა ცნობიერებაში, რასაც ცოცხლობს. ცნობიერება მხოლოდ იქ მოქმედებს, სადაც ეს საჭიროა პერსონული ტელეოლოგიის საფუძველზე, — ამას კი მხოლოდ კ ო ნ ფ ლ ი ქ ტ ი ს შემთხვევაში აქვს ძალა. სანამ პერსონის სიცო-

---

[72] 10,67.
[73] 3,224.
[74] 3,225.

ცხლე ჩვეული გზებით ან თავისთავად ცხადი სიზუსტით მიმდინარეობს, სანამ კონვერგენცია გარემოსამყაროს პირობებისა და შინაგანი დისპოზიციების უფრიქციო (reibungslos) ურთიერთზემოქმედებას ნიშნავს, სიცოცხლე სავსებით მშვიდი (ruhend) რჩება და არ საჭიროებს შინაგან ასახვას. მხოლოდ მაშინ, როდესაც შინაგანი და გარეგანი უთანხმოებანი, შეფერხებანი და წინააღმდეგობანი ჩნდება, ფრიქციისაგან (შეჯახებისაგან) გამოიკვეთება ცნობიერების ნაპერწკალი. დაირღვევა პერსონული თვითშენარჩუნების ჩვეული მსვლელობა სიცოცხლის ახალი პირობების მიერ, რომლებიც გადამუშავებული ან დაძლეული (bekämpft) უნდა იქნეს; თუ პერსონის სხვადასხვა ნაწილობრივი მიზნები (თვითშენარჩუნება და თვითგანვითარება, საკუთარი მიზნები და სხვისი მიზნები) ერთდროულად წაუყენებენ პერსონულ მოქმედებას მოთხოვნილებებს, რომლებიც მოგვარებულ უნდა იქნეს; თუ, ბოლოს, აწმყო მომენტის სასიცოცხლო ტენდენციები გადიკვეთება სიცოცხლის ადრინდელი ფაზების შემდეგმოქმედებით, ან მომავალი ფაზების წინასწარმოქმედებით — ყველგან გამოვლინდება კონფლიქტი ცნობიერების მოვლენების აღმოცენებაში. ამრიგად, ცნობიერებაში მთელი სიცოცხლე კი არ აისახება, არამედ მ ხ ო ლ ო დ მ ე ბ რ ძ ო ლ ი მ ხ ა რ ე (Kampfseite) ს ი ც ო ც ხ ლ ი ს ა; მე-ს ცნობიერებაში — მე-ს მებრძოლი ნაწილი, ობიექტის ცნობიერებაში—სამყაროს მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც „დაუფლებული" (ე. ი. ძალით მითვისებული), ან აცილებული უნდა იქნეს"[75].

ფსიქიკის ამგვარად გაგებიდან თავისთავად გამომდინარეობს, თავისთავად გასაგებია, რომ პერსონა, იმთავით, ფსიქიკურისა და ფიზიკურის გარეშე დგას, ანუ ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურია. ფსიქიკური და ფიზიკური მხოლოდ სახეობანია მისი ვამოვლენისა: შინავლენა და გარევლენა. ფსიქოფიზიკური ნეიტრალურობის აღიარებით განსუბსტანციურება ხდება ფსიქიკურისაც და ფიზიკურისაც, დაიძლევა დუალიზმი და ფსიქოლოგიისათვის გადაიჭრება, ან უკეთ — სულ მოიხსნება ძველთაძველი ე. წ. „ფსიქოფიზიკური პრობლემა". ადამიანი არაა ცალკე სხეული და ცალკე სული, არა-

---

[75] ამ განსაზღვრებას იმეორებს ავტორი სამგან: 1—„Die menschl. Persönlichkeit und ihr psych. Leben" (1917), 2—„Wertphilosophie" (1924), 3—„Personalistische Psychologie" (1927).

შედ — განცდის უნარის მქონე პერსონა. იგი არის სამყაროს ნაწილი, რომელიც, თუმცა გარედან შემოფარგლულია, მაგრამ მაინც სუბსტანციისა და ფუნქციის მუდმივს გაცვლა-გამოცვლაშია სამყაროს სხვა ნაწილებთან: ესაა მისი სხეულებრივობა. და, ამასთანავე, მას ძალუძს შინაგანად ასახოს საკუთარი თავი და სამყარო: ესაა მისი ფსიქიკური. პერსონული სიცოცხლე ორიეს შეიცავს; ამდენად, არ არსებობს არავითარი განცდა და განცდის უნარიანობა, რომელიც დაკავშირებული არაა სიცოცხლის სხეულებრივ სფეროებთან და ფუნქციებთან"[76]. ურთიერთზემოქმედების თუ პარალელიზმის ძველი დუალისტური ჰიპოთეზებისაგან ასეთი შეხედულება არსებითად განსხვავებულია. ცნობიერებისა და სამყაროს ურთიერთობაში ეს ჰიპოთეზები ორ წევრს გულისხმობდნენ: სამყაროსა და ცნობიერებას. სამყაროს რაიმე მოვლენა იწვევდა ცნობიერების რაიმე მოვლენას, და პირიქით.

პერსონის ფსიქოფიზიკური ნეიტრალურობის აღიარებას კი შედეგად მოსდევს ამ ურთიერთობის სამწეროვანად გაგება: სამყაროს რაიმე მოვლენა იწვევს პერსონის მთლიან ცვლილებას, რაც ცნობიერებაში სათანადოდ აისახება (მაგ., აღქმა) და პირიქით: ცნობიერების რაიმე მოვლენა იწვევს პერსონის მთლიან ცვლილებას, რაც სამყაროში გარკვეული ქმედობით გამოვლინდება (მაგალითად, ნებითი ქმედობა). სამყაროსი და ცნობიერების ურთიერთობის სქემა იქნება: ტრანსპერსონული სამყარო — პერსონული, „ცოცხლობის" სამყარო — განცდილი სამყარო. ფიზიკალური სამყაროს და ცნობიერების შორის დგას პერსონა[77].

განცდის არსებობა მთლიანად სცვლის პერსონის სიცოცხლის რაგვარობას. ცხოველებისა და საერთოდ დაბალი ცოცხალი ორგანიზმების სიცოცხლეს ვიტალურობა შეიძლება ეწოდოს, ე. ი. ისეთი არსებობა, რომელიც — სამყაროს თვალსაზრისით დანახული — „ბიოსფეროს" პლანში იშლება, სადაც, პრინციპულად, პერსონისა და მისი სამყაროს ურთიერთობა უკონფლიქტოდ მიმდინარეობს და პერსონას ვიტალური მიზნების განხორციელებას ემსახურება, სადაც გარემოსამყარო შემოგარეული (Bereich) ამოიწურება და შემოიფარგლება.

---

[76] 1, 118.
[77] 3,102.

მაგრამ პერსონისა და სამყაროს ურთიერთობაში კონ-ვერგენციას კონ-ფლიქტი აფერხებს. ირღვევა იმთავითი შეთანხმებულობა პერ-სონისა და სამყაროს შორის, სამყარო კი აღარ შეერწყმის, არამედ უპირისპირდება[78] პერსონას, ობიექტად იქცევა. პერსონა ასახავს მას უკვე როგორც გარემდებარეს, უცხოს, „სხვას". ეს ასახვა განცდის სახით ხდება. პერსონული სამყარო „საგნობრივი სამყა-როს" სახეს ღებულობს, პერსონის სიცოცხლე განცდის მოდუსით გვევლინება. ეს მოდუსი სპეციფიკური ადამიანურია. ფსიქოლოგი-ის კვლევის სფერო, კვლევის საგანი, სწორედ სიცოცხლის ეს მო-დუსია[79].

მხოლოდ განცდის საფუძველზეა შესაძლებელი სიცოცხლის უმა-ღლესი მოდუსი — ინტროცეფციის — განხორციელება, რომელშიც დაძლეულია განხეთქილება სუბიექტსა და ობიექტს შორის და მაღალ საფეხურზე კვლავ მიღწეულია პერსონისა და სამყაროს შერწყმა. ინ-ტროცეფცია ნიშნავს შინაგან შეთვისებას (innere Aneignung), რა-საც წინ უნდა უსწრებდეს სხვა პერსონათა თვითღირებულების დადასტურება; თვით ინტროცეფცია რომ ცნობიერების გარეთ მდე-ბარეობს, ეს არ ათანაბრებს მას ვიტალურობასთან: ვიტალურო-ბა ცნობიერების უწინარესი ერთიანობაა პერსონისა და სამყაროსი, ინტროცეფცია კი — გაცნობიერების შემდგომი გაერთიანება პერ-სონისა და ობიექტივაციაქმნილი სამყაროსი, სხვათა მიზნების შე-სისხლხორცება საკუთარ მიზნებად მიჩნევა. ინტროცეფციის სფერო ფსიქოლოგიის თვალთახედვის გარეთ მდებარეობს, იგი პერ-სონალიზმის საგანია.

განცდა

პერსონისა და სამყაროს ერთობლიობის რეალიზაცია პერსო-ნულ პრეზენტში ხდება. ცოცხლობა და სიტუაცია მხოლოდ სუბი-ექტური და ობიექტური, პერსონული და სამყაროისეული ასპექტია ამ განუწყვეტელი ერთიანობისა. კონვერგენციის შეფერხებას კი მოსდევს ამ ერთიანობის დარღვევა, განწყვეტა, განხეთქილება, ერთგვარი დაძაბულობის წარმოშობა პერსონისა და სამყაროს

---

[78] აქ ძალიან მარჯვეა გერმანული სიტყვა Gegenstand! იხ. 1,105.

[79] იხ. გვ. 48.

ურთიერთობაში. რარომ უმტკივნეულო შერწყმა ვეღარ ხერხდება, თავს იჩენს კონვერგენციის წევრების შორის განსხვავებულობა. პერსონა „გამოეყოფა“ სამყაროს და სწორედ ეს გარემოება აისახება პერსონაში განცდად. მაშ, შეიძლება ითქვას, რომ განცდაში სიცოცხლის დარღვეეაა მოცემული, თუ სიცოცხლე პერსონისა და სამყაროს იმთავითს ერთიანობად იქნა გაგებული. „ცოცხლობის კონვერგენციაში პიროვნება (პერსონა) ჯერ საესებით შერწყმულია სინამდვილესთან; განცდაში კი პიროვნება ისწრაფვის დაარღვიოს ეს შერწყმულობა“[80].

ყოველივე ზემოთ თქმულიდან უეჭველია, რომ განცდა თავისთავადი ფაქტი კი არაა, არამედ ნაწილობრივი ვლენაა ცოცხლობისა. ცოცხლობაა ჭეშმარიტად თავისთავადი არსებობის მქონე, როგორც მთლიანი პერსონის მთლიანი გამოვლენა. ან უკეთ: გამოვლენა კი არა — თვით მთლიანი პერსონის პირველადი მოცემულობა. ამიტომაც განცდის შესწავლა მხოლოდ პერსონის შესწავლასთან დაკავშირებითაა შესაძლებელი.

განცდაში ცოცხლობის განხეთქილება აისახება. მაგრამ განხეთქილება თუა — აღარაა ცოცხლობის ერთიანობა, არამედ ამ თავდაპირველი ერთიანობის ორი წევრი ცალ-ცალკეა მოცემული: ცალკე პერსონა და ცალკე სამყარო. რას ასახავს განცდაში პერსონა: საკუთარ თავს, თუ სამყაროს? რადგან: ერთიანობა რომ ყოფილიყო — განცდაში ასახვაც არ იქნებოდა საჭირო, ხოლო თუ გათიშულობაა — ერთიანად მისი ასახვა შეუძლებელია. მართლაც, განცდაში ხან პერსონა აისახება, ხან სამყარო. განცდა ორმხრივაა მიმართული. მაგრამ თუ ეს ორმხრივობა ცოცხლობის განხეთქილებითაა გამოწვეული და პირობადებული, ისიც ახდენს გავლენას განცდის რაობაზე, რომ განხეთქილება არასოდეს არაა და არ შეიძლება იყოს სრული. სრული განხეთქილება, პერსონისა და სამყაროს სრული დაშორება, სიცოცხლის აღკვეთა იქნებოდა, რადგან სიცოცხლე სამყაროსთან პერსონის ურთიერთობაა. სიცოცხლის აღკვეთის შემდეგ კი განცდის შესახებ ლაპარაკი აბსურდიღაა. სამყაროს განცდა, ამიტომ ვერასოდეს ვერ სწვდება პერსონისაგან სრულიად დამოუკიდებელ სამყაროს ცნობიერ ასახვას, ასახვას „საგნისა თა-

---

[80] 10.73.

ვისთავად". განცდილი სამყარო მხოლოდ „ნაცოცხლი" (gelebte) სამყარო შეიძლება იყოს და, მაშ, მეტად თუ ნაკლებად — პერსონული დაღის მატარებელი. მეტად თუ ნაკლებად, რადგან ობიექტივაციის მრავალი საფეხური არსებობს შეხებითი შთაბეჭდილების პირველი გამოკრთომიდან — მსოფლმხედველობამდე.

„თოთო ბავშვის სიცოცხლის ბუნდოვანი განცდიდან ზრდადასრულებულის გამოკვეთილ თვითცნობიერებამდე და თვითლირებულების განცდამდე მიდის ს უ ბ ი ე ქ ტ ი ვ ა ც ი ა მ ყ ო ფ ე ლ ი გ ა ნ ც დ ი ს კიბური"[81]. მაგრამ თვითშემეცნებაც, რომელიც ამ კიბურის უმაღლეს საფეხურზე იმყოფება, არ შეიძლება იყოს პერსონის აბსოლუტურად წმინდა არსის ასახვა, „რადგან ამ შემთხვევაში განმცდელი და განცდილი — ერთი უნდა ყოფილიყო და მოსპობილ უნდა ყოფილიყო განცდის პირობა: დაძაბვა და განხეთქილება[81]a". ამიტომ სუბიექტივაციამყოფელი განცდაც არასოდეს არ სწვდება თავის საბოლოო მიზანს — „მე"-ს თავისთავად".

განცდას უსათუოდ აქვს ობიექტი. ამითი განსხვავდება იგი ცოცხლობისაგან, რომელიც თავისთავად ა რ ი ს, ყოველგვარი მიმართების გარეშე. განცდის მიმართებას კი ობიექტისადმი ორი მხარე, ორი ასპექტი აქვს: ერთი არის ნეგატიური მიმართება — განხეთქილება, ჩამოშორება, დაპირისპირება, ობიექტის გაკიდეგანება, თუ შეიძლება ასე ითქვას. მეორე მხარე არის პოზიტიური მიმართება — ასახვა: განცდაში აისახება ობიექტი, მასში მოცემულია ობიექტის სახე (Schein — Erscheinen) და არა თვით ობიექტი. მაგრამ განცდაში მოცემული სახე ობიექტისა არსსმოკლებული კი არაა, არამედ, პირიქით, მასში აისახება პერსონისათვის არსებითი მხარე ობიექტისა. ობიექტის სუბიექტურად არსებითის ასახვით აიხსნება მცდარი, ასე ვთქვათ, ობიექტური ობიექტის" შესატყვისი,—განცდების არსებობა. „ადამიანი ისე განიცდის ს ა კ უ თ ა რ თ ა ვ ს, რ ო მ საუკეთესოდ შეუძლია არსებობა თავისთვის და იგი ისე განიცდის ს ა მ ყ ა რ ო ს, რომ ახლობელი (Nahe) დიდად მოსჩანს შორეული—პატარად, მნიშვნელოვანი — მკაფიოდ, უმნიშვნელო,— გაურკვეველად,

[81] 1,104.

[81]a 1,104.

საყვარელი—სიყვარულის ღირსად და ცხოვრება—სიცოცხლის ღირ-
სად"[82].

მართალია: განცდას თავისთავადი არსებობა არ გააჩნია. არც ის, არც განცდათა ერთობლიობა არაა თვითარსებული სუბსტანცია, არამედ ერთადერთი სუბსტანციის — პერსონის — გამოვლინება, სახელდობრ, მისი შინაელენა. ამიტომ განცდას არ შეიძლება ჰქონდეს საკუთარი შინაგანი კანონზომიერება და იგი სრულიად უნდა ემორჩილებოდეს პერსონის კანონზომიერებას. ეს უკანასკნელი — ტელეოლოგიური კანონზომიერებაა. ამიტომ ყველაფერი, რაც პერსონაში ხდება, მხოლოდ ტელეოლოგიურად შეიძლება და უნდა იქნეს გაგებული. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც პერსონაში ხდება, ყოველი ცალკეული ფაქტი და მოვლენა პერსონის ყოფიერებისა დადებითად მიზანშეწონილი იყოს, ემსახურებოდეს პერსონის ენტელექიის განხორციელებას; ეს იმას ნიშნავს, რომ მიზნისეულობას, მიზნისათვის მნიშვნელობას მოკლებული არაა არც ერთი მოვლენა პერსონის სიცოცხლეში. ეს ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, პერსონის მრავალერთიანობის გამო, არ არსებობს მოვლენა პერსონის სიცოცხლეში, რომელიც სავსებით დამოუკიდებელი, თავისთავადი იყოს და დაკავშირებული არ იყოს პერსონის სხვა მოვლენებთან. პერსონა მუდამ ერთიანია და ნაწილობრივ გამოვლენაში იგი მუდამ ავლენს თავის ერთიანობას. ცალკეულ მოვლენაში, მართალია, ა მ ო წ უ რ უ ლ ა დ არ მეღავნდება მთელი პერსონა, მაგრამ ნაწილობრივ და ცალმხრივ სწორედ მ თ ე ლ ი პერსონა მეღავნდება.

განცდა მოკლებულია თავისთავადს არსებობას. იგი პერსონის, სახელდობრ მისი ცოცხლობის ვლინებაა საკუთარი თავისთვის და, როგორც ასეთს, მას ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ერთი მხრივ — მომსახურებითი მნიშვნელობა პიროვნების მიზნებისათვის, მეორე მხრივ — გამოსხივებითი მნიშვნელობა მისი მთლიანობის გამოვლენისთვის. განცდის მნიშვნელობის ასე გაგების საფუძვლად ავტორისეული ღირებულების ფილოსოფია უდევს.

---

[82] 1,108.

ღირებულების ფილოსოფია

ყოველივე არსებული — ღირებულია. მაგრამ ყოველივე არსებული არაა თანაბარღირებული. ღირებულება უსათუოდ რაიმესათვის ღირებულებაა. ყველაფერს, რაც არსებობს, ღირებულება აქვს რაღაცისთვის. ღირებულება ტრანსცენდენტულია. მაგრამ არსებობს ისეთი არსებული, რომელსაც საკუთარი თავისთვის აქვს ღირებულება. ეს მხოლოდ ისეთი_არსებული შეიძლება იყოს, რომელსაც თავისთავადი • მნიშვნელობა აქვს. ეს კი მხოლოდ ისეთ არსებულს შეიძლება ჰქონდეს, რომლისაც თვით არსებობაც თავისთავადია, რომელიც „თვითარსებულია". ასეთია პერსონა. პერსონას თავისთავადი ღირებულება გააჩნია. მას მხოლოდ სხვისთვის კი არა აქვს ღირებულება, არამედ — პირველ ყოვლისა — საკუთარი თავისთვის. რადგან პერსონები კარჩაკეტილი მონადები არ არიან, არამედ იერარქიულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ერთმანეთთან, ამიტომ თითოეულ მათგანს სხვებისთვისაც აქვს ღირებულება, მაგრამ ძირითადი მნიშვნელობის გარემოება სწორედ მათი თვითღირებულებაა. მ ხ ო ლ ო დ პერსონას და ყ ო ვ ე ლ პერსონას აქვს თვითღირებულება.

პერსონის საწინააღმდეგო ცნებაა ნივთი. განსაზღვრების თანახმად, „იგი არის ისეთი არსებული, რომელიც — შედგება რა მრავალი ნაწილისგან — არ ჰქმნის რეალურ თავისებურსა და თ ვ ი თ ღ ი რ ე ბ უ ლ (დაყოფა ჩემია — ერ. ა.) ერთიანობას და რომელიც,— ფუნქციობს რა მრავალ ნაწილობრივ ფუნქციებში — არ ახორციელებს ერთიან მიზანმისწრაფებულ აქტიობას"[23].

რამდენადაც პერსონა უფრო მაღალი რანგის პერსონის ერთიანობაში შედის (მაგ., ინდივიდური ადამიანი — ოჯახის, ერის, კაცობრიობის ზეინდივიდურ პერსონაში), ამდენად იგი ნაწილია ამ უმაღლესი ერთიანობისა, ამდენად იგი ემორჩილება ამ უკანასკნელის მიზანმისწრაფებას, ემსახურება მას, ამდენად იგი „ნივთია" ამ უმაღლესი რანგის პერსონისთვის. ქვემდგომი პერსონის ღირებულება, როგორც ქვემდგომისა, „საგნის ღირებულებაა" — არა თვითღირებულება, არამედ „სხვისთვის ღირებულება".

---

[23] 2,16. მრავალგანაა გამეორებული.

პერსონის ყოველ ნაწილს, ყოველ მომენტს აქვს ღირებულება, მაგრამ არა თავისთავადი ღირებულება: იგი — ეს ნაწილი, თუ მომენტი — არ შეიძლება თვითღირებული იყოს, რადგან იგი არაა თვითარსებული. მისი არსებობა — პერსონის ერთიანობის არსებობითაა პირობადებული, მისი ღირებულებაც პერსონის ღირებულებითაა პირობადებული. მომენტი ემსახურება მთლიანის მიზნებს და ამაშია მისი ღირებულება: მომენტი მომსახურებითი ღირებულების (Dienstwert) მქონეა. „პერსონა კი არაა ღირებულების მქონე იმიტომ, რომ იგი ფსიქიკურია, არამედ ფსიქიკურია ღირებულების მქონე იმიტომ, რომ იგი პერსონულია"[84]. განცდა, ცნობიერება პერსონისთვის იარაღია სამყაროსთან კონფლიქტის დასაძლევად. განსაკუთრებით აუცილებელია იგი სიცოცხლის უმაღლეს ფორმებში, როგორიცაა სპეციფიკური ადამიანური ფორმები სიცოცხლისა: თვითგანვითარება, ინტროცეფცია, შემეცნება.

მაგრამ განცდას, ცნობიერებას არა მარტო მომსახურებითი ღირებულება აქვს; ისევე, როგორც, საერთოდ, ნაწილის, მომენტის ღირებულება არასოდეს არ ამოიწურება ხოლმე მომსახურებითი ღირებულებით. იმის გამო, რომ ნაწილი—მთლიანის ნაწილია, მასში აირეკლება მთლიანი თავისი ერთიანობით (ამიტომაცაა, რომ სიტყვა „ნაწილი" უვარგისია, უხერხულია და მის მაგიერ ტერმინი „მომენტი" შემოაქვს ავტორს). გარდა იმისა, რომ ნაწილი ანუ მომენტი ემსახურება მთლიანს, მომენტში, აგრეთვე, აირეკლება, გამოსჭვივის მთლიანი. განცდაში მაგ., როგორც სათქვამი იყო უკვე, გამოსჭვივის, აისახება ცოცხლობა. ამიტომ ნაწილს, მომენტს მთლიანისას გარდა მომსახურებითი მნიშვნელობისა (Dieustbedeutung) გამოსხივებითი მნიშვნელობაც აქვს. გარდა მომსახურებითი ღირებულებისა (Dienstwert) — გამოსხივებითი ღირებულებაც (Strahlwert) აქვს.

გამოსხივებითი ღირებულების არსებობის დადასტურება ვ. შტერნს დიდმნიშვნელოვან გარემოებად მიაჩნია. აქამომამდელი ღირებულების ფილოსოფია მხოლოდ თვითღირებულებასა და მომსახურებითს ღირებულებას იცნობდა. ღირებულებათა უდიდესი სფერო კი სრულიად შეუმჩნეველი რჩებოდა. მხოლოდ პერსონალიზმის ნიადაგზე გახდა შესაძლებელი ღირებულებათა ამ სფეროს არსებობის დადასტურება; მხოლოდ მას შემდეგ, რაც თვითარსე-

---

[84] 4,196.

ბულ და თვითღირებულ სუბსტანციებად აღიარებული იქნა პერსონა, როგორც მრავალერთიანობა (unitas multiplex), რომლისთვისაც მრავლობა (multiplicitas) ერთიანობისადმი კუთვნილი მომენტების სახითაა გაგებული.

განცდაც, როგორც ერთ-ერთი მომენტი მრავალერთიანი პერსონისა, ემსახურება კიდეც პერსონის მიზნებს და გამოასხივებს კიდეც მის რაობას.

ფსიქიკური

განცდა ცალკეული ცოცხლობის შინავლენაა. ცოცხლობა მთლიანი სიცოცხლის შედარებით გამომიჯნული, ჩამოყალიბებული მონაკვეთია. ცოცხლობა მომენტია მთლიანი სიცოცხლისა, მაგრამ ცალკეულ, თანამიმდევარ ცოცხლობათა შეჯამება არ გვაძლევს სიცოცხლეს, სწორედ იმიტომ, რომ ცოცხლობა მხოლოდ მომენტია სიცოცხლისა და არა მექანიკურად ამოგლეჯილი მისი ნატეხი. სიცოცხლის მთლიანობის — როგორც, მთლიანობის, ხანიერი ერთიანობის — გაგება მხოლოდ ერთიანი პერსონის თვალსაზრისით არის შესაძლებელი. ასევე განცდის გაგებაც მხოლოდ უფრო მაღალი მთლიანობის თვალსაზრისითაა შესაძლებელი, სახელდობრ — ცოცხლობის თვალსაზრისით, რომლისასაც ერთ ასპექტს წარმოადგენს იგი. სიცოცხლის მანძილზე პერსონას უამრავი განცდები აქვს. ყველა ამ განცდის ერთობლიობისთვის ავტორს საჭიროდ მიაჩნია შეინარჩუნოს ფსიქოლოგიაში განმტკიცებული ტერმინი „ცნობიერება“, მაგრამ შეინახოს იგი მხოლოდ ამ აზრით: როგორც განცდათა ერთობლიობის გამომთქმელი. განცდისა და ცნობიერებისთვის ცოცხლობა სრულიად გარემდებარე ცნებაა. რას ვგულისხმობ გარემდებარეობაში? იმას, რომ ცოცხლობა რეალური ფაქტია, ცნობიერება და განცდა კი მხოლოდ ერთგვარი ხედვა ამ ფაქტისა, ხედვა მისი გამოვლენის გარკვეული სახისა, მისი შინავლენა. ცოცხლობაზე დაყვანა განცდისა — მისი ტრანსცენდენტულ სფეროში გადატანაა.

პერსონის სიცოცხლეში ვლინდება პერსონის დროშიერთიანობა და, ამრიგად, სიცოცხლე ერთიანია. მაგრამ იგივე არ ითქმის ცოცხლობათა თანამიმდევრობის შესახებ. ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს განუწყვეტელ ერთიანობას; ერთ ცოცხლობიდან შინაგანი

აუცილებლობით არ გამომდინარეობს მეორე ცოცხლობა; ცოცხლობათა შორის დროითი ხარვეზია და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლოგიკური ხარვეზიც. გეშტალტისა და უნ-გეშტალტის წინააღმდეგობის პლანში განხილული—ცოცხლობა სიცოცხლის უნ-გეშტალტში გამოკვეთილი გეშტალტია. ამ უნ-გეშტალტის გარეშე შეუძლებელია ცალკეული ცოცხლობის გაგება.

რაღა ითქმის ცნობიერების შესახებ, რომელიც არამცთუ თითონ არ წარმოადგენს განუწყვეტელ მთლიანობას, არამედ სიცოცხლის განუწყვეტელ მთლიანობასთანაც კი არაა თუნდაც ისე დაკავშირებული, როგორც ცოცხლობა? შეიძლება ცნობიერების გაგება მისი საკუთარი კანონზომიერებით? ცხადია — არა! განცდათა თანამიმდევრობა შინაგანი აუცილებლობით არაა პირობადებული. ერთი განცდიდან მეორე არ გამომდინარეობს, და ეს სავსებით გასაგებია, რადგან განცდა მხოლოდ შინაელენაა ცოცხლობისა.

მეცნიერება, რომელიც ცდილობდა განცდათა შესწავლას, აუცილებელი დილემის წინაშე იდგა: იგი ან ცალკეულ განცდათა აღწერით უნდა დაკმაყოფილებულიყო, ან — თუ მათ ახსნასა და გაგებას განიზრახავდა — უნდა გასცილებოდა განცდის საზღვრებს, რადგან გათიშული მოკლენების და ფაქტების ურთიერთის საშუალებით ახსნა შეუძლებელია, რამდენადაც ახსნა ნიშნავს ერთი მოვლენისა თუ ფაქტის გამოყვანას, ან დაყვანას მეორე მოვლენასა თუ ფაქტზე. განცდები კი ურთიერთზე არ დაიყვანება და ურთიერთისგან არ გამოიყვანება, ვინაიდან თითოეული მათგანის რეალური საფუძველი სხვადასხვა (ან თუნდაც ერთი და იგივე!) ცოცხლობაა. რაც შეეხება გაგებას — აქაც ანალოგიური მდგომარეობაა. გაგება — აზრის, მნიშვნელობის გაგებას ნიშნავს. რაიმე მოვლენის თუ ფაქტის გაგება ნიშნავს იმას, რომ უნდა დადასტურდეს მისი მნიშვნელობა ისეთი ფაქტისა თუ მოვლენისთვის, რომელსაც საკუთარი, თავისთავადი მნიშვნელობა, თავისთავადი ღირებულება გააჩნია. განცდების გაგების შემთხვევაში ან მათი თვითღირებულება უნდა ყოფილიყო აღიარებული, ან მონახული უნდა ყოფილიყო თვითღირებული სუბსტანცია, რომლისთვისაც მათ შეიძლება ჰქონოდათ მნიშვნელობა. ცალკეული განცდა თვითღირებულებად ვერ იქნებოდა მიჩნეული: ამას ეწინააღმდეგება უბრალო საღი აზრი. სუბსტანციის ძიებისას კი ყველაზე მომხიბლავი და საიმედო ჩანდა გზა

სულისკენ. სული იქნა აღიარებული სუბსტანციად, რომლის გამოვლენებს წარმოადგენდა განცდები.

განცდების შესწავლისას, საკუთრივ აღწერის სფეროში მეცნიერებამ დიდი წარმატება იქონია, მაგრამ მეცნიერების, როგორც ასეთის, შინაგანი მოთხოვნილების შესატყვისად, იგი იძულებული იყო ა ე ხ ს ნ ა სულიერი მოვლენები ანუ განცდები. მათი გათიშულობა მაშინვე თვალში ეცა მეცნიერებას და ამ გარემოებამ აუცილებელჰყო ისეთი რაღაცის არსებობის აღიარება, რასაც განცდათა ფრაგმენტულობის საწინააღმდეგოდ უწყვეტი ხასიათი უნდა ჰქონოდა. „ანალიტიკოსების მისწრაფებისას, სულიერი ცხოვრება ფსიქიკური ელემენტების კაუზალურ უწყვეტ ჯაჭვად ჩამოეყალიბებიათ, ნაყოფიერად იქნა მოხმარებული უახლესი ფსიქოლოგიის სადავო ცნება „არაცნობიერისა", რომელიც — თუმც ჯერ კიდევ უამრავ გადაუწყვეტელ პრობლემებს შეიცავდა, — თანდათანობით სულ უფრო და უფრო ამტკიცებს თავის აუცილებლობას"[85]. არაცნობიერი მოწოდებული იყო გაეერთიანებია გათიშული განცდები. ცნობიერების მოვლენების უეცარი გაჩენა და გაქრობა გაგებულ იქნა როგორც არაცნობიერებიდან „ამოტივტივება" და მასშივე „ჩაძირვა". განცდები კი არ ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ, არამედ ლატენტურად არსებობდნენ არაცნობიერში და, სათანადო პირობებში, კვლავ ამოტივტივდებოდნენ ხოლმე „ცნობიერების ზედაპირზე".

არაცნობიერ განცდათა არსებობის აღიარების საწინააღმდეგო პირველ არგუმენტად ის უნდა იქნეს მოტანილი, „რომ გამოთქმა „არაცნობიერი წარმოდგენა", „არაცნობიერი გრძნობა" მარჯვეა, მაგრამ აბსურდულია. განცდათა შინაარსები ნივთები კი არაა, რომ შეიძლებოდეს განცდებიდან მათი ამოღება, სხვაგან სადმე შენახვა და შემდეგ, შენარჩუნებული იგივეობით, კვლავ განცდაში შემოტანა"[86].

განცდა — ცნობიერია და ამიტომ ვერ იქნება არაცნობიერი. „არაცნობიერი განცდა" უდრის „არაცნობიერ ცნობიერს", რაც, ლოგიკის ძირითადი კანონების თანახმად, დაუშვებელია.

არაცნობიერის სფეროს შინაგანი სტრუქტურა და კანონზომიერება სრულიად უცხო და უცნობი იყო მეცნიერებისათვის და,

---

[85] 6,45.
[86] 1,110.

ამიტომ თვითნებური ნავარდობის ფართო სარბიელს წარმოადგენდა. საკმარისი იყო არაცნობიერზე მითითება, რომ ცნობიერების ყოველგვარი იდუმალება ახსნილად ყოფილიყო აღიარებული. ასეთი ყოვლისშემძლეობა მეორე არგუმენტია არაცნობიერის ცნების მეცნიერული ღირებულების წინააღმდეგ.

მესამე და ძირითადი არგუმენტი კი არის არაცნობიერის სუბსტანციადყოფნის დაუშვებლობა, რაც პერსონალისტური ფსიქოლოგიის პრინციპებიდან და მთელი სისტემიდან გამომდინარეობს.

არაცნობიერის ცნება აუცილებელი ხდება როგორცვე განცდათა აღწერის სიბრტყეს გავცილდებით. აუცილებელია იგი ელემენტარისტული მეცნიერებისთვისაც და პერსონალისტური მთლიანობითი მეცნიერებისთვისაც მაგრამ უკანასკნელს სხვაგვარად აქვს იგი გაგებული.

„არაცნობიერის" ფილოსოფიამ და ფსიქოლოგიამ — ლაიბნიციდან შელინგისა და ედუარდ ფონ ჰარტმანის გზით თანამედროვე სიღრმის კვლევამდე (Tiefenforschung) — გამოიმუშავა ძირითადი აზრი, რომ ცნობიერების მოვლენები თავისთავად ვერ იქნება გაგებული და ახსნილი: მაგრამ მათი ხედვა (Blick) ფსიქიკურიდან (ცნობიერებიდან?—ერ. ა.) უკან იყო მიმართული და მათი გამოთქმა ფსიქიკურით იყო განსაზღვრული"[87].

პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის არაცნობიერი „არის ყველაფერი ის პერსონაში, რასაც კავშირი აქვს მისი ცნობიერების ფაქტებთან, ან მნიშვნელობა აქვს მათთვის, თითონ კი არაა ცნობიერების ფაქტი"[88]. არაცნობიერი ორი სახის შეიძლება იყოს: ან „ქვეცნობიერის" ან „ზეცნობიერის".

„ქვეცნობიერია" პერსონის ყოველი მდგომარეობა, რომელიც ჯერ არაა, ან უკვე აღარაა ცნობიერი, რომელიც, ამრიგად, არის რა მოსამზადებელი საფეხური, ან შემდეგმოქმედება ცნობიერების მოვლენებისა, მათთან შედარებით ერთგვარ მინუსს წარმოადგენს"[89].

ქვეცნობიერია, ამრიგად, ყოველი ზღურბლსქვედა გამღიზიანებელი; ქვეცნობიერია შთაბეჭდილების „კვალი", რომელიც მოგო-

---

[87] 1,100.
[88] 3,241.
[89] 3,243.

ნების სახით კვლავ ცნობიერი შეიძლება გახდეს; ქვეცნობიერია „ყველა ის პერსონული მდგომარეობა, რომელიც ცნობიერების მდგომარეობის წინ, მათ შორის, ან მათ შემდეგაა მოცემული, და ტელეოლოგიურადაა მათთან დაკავშირებული“[90].

„ზეცნობიერს“ მიეკუთვნება ყოველივე ის პერსონაში, რაც მეტია ვიდრე მხოლოდ ცნობიერება. „ცნობიერების განცდები თავისთავად პასიურია, უბრალო მოცემულობანია; მაგრამ ისინი არიან ძალის მიყენების პუნქტები (Angriffspunkte), ნედლი მასალა, ასახვა, იარაღი პერსონის ქცევის აქტიური სახეებისთვის. ამდენად ეს აქტივობა თავად არაა ცნობიერება, რაც არ უნდა მუდმივად იყოს იგი დაკავშირებული ცნობიერების მოვლენებთან; იგი არის ის, რაც ქმნის ცნობიერებას, სარგებლობს ცნობიერებით, ცნობიერებაში აისახება — მაგრამ, სწორედ ამიტომ, ცნობიერების სიბრტყეს არ ეკუთვნის“[91].

ასეთი „ზეცნობიერია“, უწინარეს ყოვლისა, პერსონის ცალკეული აქტები სპონტანური აქტივობისა, თუ რეაქტივობისა. აქტი თავისთავად არაა ცნობიერი. იგი ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურია, რამდენადაც მთლიანი პერსონის მოქმედებაა და, ამდენადვე, მეტია ვიდრე მხოლოდ ცნობიერი ასახვა ამ მოქმედებისა შინაგლენაში. განცდის კავშირი ცნობიერებასთან არის მისი „ცნობიერებაში ყოფნა“, აქტის კავშირი კი — „ცნობიერებით დატვირთულობა“ (Bewusstseinsbehaftet). თითოეული აქტი შეიძლება მეტად ან ნაკლებად იყოს „დატვირთული“ ცნობიერებით, მაგრამ იგი არასოდეს არაა მხოლოდ-ცნობიერი.

აქტები არაა თვითმოქმედი, ისინი დისპოზიციების პროდუქტებია. დისპოზიციები (— პერსონის მიზნისადმი მიმართებულობის და აღქურვილობის ნაწილობრივი გამოსხივებანი —) ზეცნობიერის მეორე საფეხურს წარმოადგენს. „ცხადია, რომ დისპოზიცია არ შეიძლება უბრალოდ გაიგივებულ იქნეს ცნობიერების მოვლენების მოცემულობასთან; იგი უფრო ზეცნობიერ მოქმედებისუნარიანობას წარმოადგენს.

და მაინც შეიძლება ვილაპარაკოთ დისპოზიციის — მაგალითად, ტალანტის „ცნობიერობის“ შესახებ, მაგრამ სულ სხვა აზრით. ეოა

---

[90] 3,242.

[91] 3,243.

დისპოზიცია, როგორც ასეთი, არის ცნობიერების მოვლენა, არამედ ინდივიდისთვის ცნობიერია ამ მისი დისპოზიციის არსებობა და როგორობა. ამით ჩვენ მივადგებით ზეცნობიერების უმაღლეს საფეხურს, თვით პერსონას.

პერსონა კი არ არ ი ს ცნობიერი, არამედ მას აქ ვ ს ცნობიერება. და ამიტომ თვითონ იგი „ზეცნობიერად" უნდა იქნეს დახასიათებული"[92]. იგი არის „ცნობიერების შემოქმედი", რადგან „გია სუბსტრატი პერსონული ცხოვრების იმ უწყვეტობისა, „რომლის წყალობითაც ცნობიერების ცალ-ცალკე ნაპერწკლები (ისინი რომ იზოლირებულად განიხილო — წერტილთა ქაოსი. გამოვა) აზრიანად გაერთიანებული არიან"[93]. „ფსიქიკური განცდა პერსონულ ცხოვრებიდან გამომდინარეობს და მისით შეიძლება იქნეს გაგებული"[94].

„ცნობიერება და არაცნობიერი ერთად ქმნის „ფსიქიკურის" ცნების მოცულობას"[95]. „ფსიქიკური მხოლოდ თვისებაა და ნიშანი, და არა თვით სუბსტანცია (ამიტომაც განზრახ იხმარება ადიექტივური აღნიშვნა: „ფსიქიკური", „სულიერი"— მისი დამოკიდებული, „ინჰერენტული" ხასიათის გამოსახატავად)"[96]. „ფსიქიკური მოვლენები, პროცესები და თვისებები არსებობენ მხოლოდ როგორც რომელიმე ინდივიდური მე-სადმი კუთვნილნი, რომელსაც ისინი „აქვს". საკითხი შეიძლება დადგეს სუბსტრატის არა არსებობის, არამედ როგორობის შესახებ" და ამ საკითხის პასუხს პერსონის ცნება წარმოადგენს. „ფსიქიკურს" ა რ გააჩნია თავისთავადი მნიშვნელობა, საბოლოო, გამოუყენელი აზრი. ადამიანის პიროვნების დახასიათება არ შეიძლება იმითი, რომ იგი ფსიქიკურია, რადგან, პირიქით, ფსიქიკური თვით უნდა იქნეს დახასიათებული იმით, თუ რას ნიშნავს იგი ადამიანის პიროვნებაში და პიროვნებისთვის"[97]. ფსიქოლოგიის „აქამომდელ ცენტრალურ ცნებას — „ფსიქიკურის" ცნებას — უარი უნდა ეთქვას მის პირველადს მდგომარეობაზე და დამოუკიდებლობაზე „პიროვნების" ცნების სასარგებლოდ"[98].

---

[92] 3,246.
[93] 10,70.
[94] 3,13.
[95] 3,248.
[96] 1,96.
[97] 1,117.
[98] 9,3—4.

ფსიქოლოგიის საგანი

ფსიქოლოგიის საგანს ვ. შტერნი შემდეგნაირად განსაზღვრავს: ფსიქოლოგია არის მეცნიერება განმცდელი და განცდისუნარიანი პერსონის შესახებ, მან უნდა იკვლიოს განცდის პერსონული ნიშანთვისება: მისი აღმოცენების პირობები, მისი რაგვარობა, ფუნქციობის ყაიდა და კანონზომიერება, ,ისი ნაწილობრივი მნიშვნელობა პერსონული ყოფიერებისა და სიცოცხლის მთლიანობისთვის"[99]. ეს განსაზღვრება მხოლოდ მეცნიერულ ფსიქოლოგიას შეეხება, მაგრამ „მეცნიერული ფსიქოლოგიის" შესახებ თუ ვლაპარაკობთ, ამით უკვე ნაგულისხმევია არამეცნიერული ფსიქოლოგიის არსებობაც, ან, ყოველ შემთხვევაში, შასაძლებლობა მაინც. არამეცნიერული ფსიქოლოგია არსებობს, როგორც ფაქტი,. და მისი საგნის გათვალისწინება სასურველია საკუთრივ მეცნიერული ფსიქოლოგიის საგანში უკეთ გასარკვევად. არამეცნიერული ფსიქოლოგიის საგანი სხვაა, ვიდრე მეცნიერულისა. მაგრამ, რადგანაც ერთიც და მეორეც ფსიქოლოგიაა — მათ საერთოც უნდა ჰქონდეთ რაღაც. მართლაც, შესაძლებელია ფსიქოლოგიის საგნის ისე ზოგადად განსაზღვრება, რომ ამ განსაზღვრებამ დაიტიოს ყოველგვარი შესაძლო ფსიქოლოგიის საგანი. „ერთობლიობა ყველა შეხედულებისა, შემეცნებისა და ქცევისა, რომელიც სულის არსსა და სულის სიცოცხლეს შეეხება" — ფსიქოლოგიის სფეროა[100]; სულის არსი და სულის სიცოცხლე — ფსიქოლოგიის საგანია. ს უ ლ ი ს ა რ ს ი, თუ სულის სიცოცხლე, ანუ სულიერი მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ი? ზოგჯერ ერთია კვლევის, შესწავლის, ზემოქმედების საგანი, ზოგჯერ — მეორე. ამის გამო „ფსიქოლოგები" ორად შეიძლებოდა დაგვეჯგუფებია საგნის თვალსაზრისით. მაგრამ ასეთი დაჯგუფება არ იქნებოდა სამყოფი, რადგან არსებითი მნიშვნელობა აქვს საგნისადმი მ ი დ გ ო მ ა ს, და ისიც აუცილებლად უნდა იყოს მხედველობაში მიღებული და ანგარიშგაწეული. მიდგომა სულის არსისა, თუ სულიერი მოვლენებისადმი სამგვარი შეიძლება იყოს: ან გულუბრყვილო, ან ხელოვნებითი (Künstlerische), ან მეცნიერული. გ უ ლ უ ბ რ ყ ვ ი ლ ო მეტაფიზიკური (სულის არსის შესახები) ფსიქოლოგია განხორციელდება სულის მითიურ-რელიგიურ

---

[99] 1, 99.

[100] 1,5.

გაგებაში; ემპირიული (სულიერ მოვლენათა შესახები) — ადამიანთა პრაქტიკულ ცოდნაში. მეორე — ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს — თვალსაზრისი შესატყვისად იძლევა სამყაროსა და საგნების ხელოვნებითს გასულდგმულებას, და ხელოვნებითს გაგებას და გადმოცემას სულიერი ცხოვრებისას. მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი მიდგომის შედეგია ფილოსოფიური ფსიქოლოგია და ფსიქოლოგია, როგორც ცდისეული მეცნიერება.

არაა სადავო, რომ მიდგომათა განსხვავება არსებითს განსხვავებას ქმნის გულუბრყვილოსა, ხელოვნებითსა და მეცნიერულ ფსიქოლოგებს შორის. გულუბრყვილო ფსიქოლოგიასაც და ხელოვნებითს ფსიქოლოგიასაც დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია მეცნიერული ფსიქოლოგიისთვის, მაგრამ, ცხადია, უკანასკნელის მაგიერობას ისინი ვერ გასწევენ.

მეცნიერულ ფსიქოლოგიასაც, როგორც ვთქვით, საგნად ან სულიერის არსი შეიძლება ჰქონდეს, ან სულიერი მოვლენები. ამით განსხვავდება ფილოსოფიური ფსიქოლოგია ფსიქოლოგიისაგან, როგორც ცდისეული მეცნიერებისგან (Erfahrungswissenschaft), მაგრამ იგივე გარემოება აკავშირებს კიდეც ორივეს ერთმანეთთან. „ჯერ ისევ დღესაც ფართოდ გავრცელებული შეხედულება, თითქოს ფსიქოლოგია შეიძლება იყოს, ან უნდა იყოს ფილოსოფიისგან სავსებით დამოუკიდებელი ცალკე დისციპლინა — ან ფსიქოლოგიის „განსულიერების“ საფრთხეს ქმნის, ან არადა მას შედეგად ის მოსდევს, რომ მეცნიერულ მუშაობას, რომელიც, ვითომცდა, თავისუფალია წინამძღვრებისგან, არაცნობიერად საფუძვლად უდებენ მსოფლმხედველობითსა და გნოსეოლოგიურ წინამძღვრებს“. ემპირიული ფსიქოლოგია ისევე მჭიდროდ არის და უნდა იყოს დაკავშირებული ფილოსოფიურ ფსიქოლოგიასთან, როგორაცაა დაკავშირებული მათი საგნები: მოვლენა და არსი სულიერისა.

მართალია, ფსიქოლოგიის ისტორიის მანძილზე ეჭვი იყო შეტანილი სულიერი მოვლენების სუბსტრატის არსებობაში, მაგრამ პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის ეს ეჭვი არ არსებობს და საკითხი იმთავითვე სულიერის სუბსტრატის არსებობის სასარგებლოდაა გადაჭრილი: სულიერი მხოლოდ მოვლენაა და, როგორც ასეთი, არ შეიძლება არსებობდეს „მომავლინებელის“ გარეშე. „სულიერი“ მხოლოდ ერთი ფორმათაგანია რეალურად არსებული სუბსტანციის — პერსონის — გამოვლენისა, სახელდობრ, მისი შინავლენა.

მეცნიერული ემპირიული ფსიქოლოგიის საქმეა ამ გამოვლენის შესწავლა პერსონასთან მიმართებაში. თუ რას ნიშნავს პერსონასთან მიმართება — ზემოთ იყო თქმული. ეს ნიშნავს განცდის (და მასთან უშუალოდ დაკავშირებული პერსონული მოვლენებისა და მდგომარეობების: ყოველივე ცნობიერის და არაცნობიერის, მოკლედ-ფსიქიკის) აღმოცენების, რაგვარობის, ფუნქციობის, კანონზომიერებისა და პერსონულ სიცოცხლის მთლიანობისთვის მისი ნაწილობრივი მნიშვნელობის კვლევას.

ფსიქოლოგიის ამოცანები

მეცნიერული ემპირიული ფსიქოლოგიის საგნის განსაზღვრებიდან გამომდინარეობს მისი ამოცანებიც. ფსიქოლოგიის ძირითადი საგანია განცდა. მისი უპირველესი ამოცანაა განცდის დადგენა, მისი ფენომენური რაობის წვდომა, მისი აღწერა. დ ე ს კ რ ი ფ ც ი ა პირველი აუცილებელი, მაგრამ მხოლოდ მოსამზადებელი წინასაფეხურია განცდათა შესწავლისა.

ცალკეული განცდების აღწერას მათი კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ა მოსდევს. ერთგვაროვანი განცდები ერთ ჯგუფად უნდა იქნეს გაერთიანებული. ეს აუცილებელი პირობაა მეცნიერების შემდგომი წარმატებისა. ასე იქცევა ყოველი მეცნიერება და ასე უნდა მოიქცეს ფსიქოლოგიაც. მაგრამ აქ კლასიფიკაცია სპეციფიკურ სიძნელეს შეიცავს: იგი უსათუოდ მოასწავებს გამარტივებას, გაქვავებას, ნიველირებას. განცდა, რომელიც გარკვეულ ჯგუფს მიეკუთვნება, ამ მიკუთვნების მეოხებით კარგავს თავისებურებას, სწყვეტს კავშირს სხვა ჯგუფის განცდებთან, რომლებთანაც დაკავშირეულია იმდენად, რამდენადაც ყოველი რაგინდარა განცდა ერთმთლიანი პერსონის მომენტია და ზემდგომ ერთმთლიანობასთან სწორედ რომ მთლიანობითს კავშირშია. ეს ნიშნავს, რომ განცდა სწორხაზობრივ მიმართებაში კი არ იმყოფება თუნდაც თვით პერსონასთან, არამედ სულ სხვადასხვაგვარ მომენტებთან მრავალმხრივი კავშირების ქსელშია ჩაბმული. კლასიფიკაციის სქემაში შეტანით მეცნიერება ძალმომრეობს განცდაზე. მიუხედავად ამისა, კლასიფიკაციის აუცილებლობის უარყოფა შეუძლებელია. მაგრამ შესაძლებელია მისგან მოსალოდნელი ზიანის შესუსტება იმითი, რომ ერთი და იგივე სულიერი მოვლე-

ნა სხვადასხვა თვალსაზრისით, სხვადასხვა პლანში განვიხილოთ, თუ შეიძლება ასე ითქვას — მრავალგანზომილებიანი კოორდინატთა სისტემის მეშვეობით განვსაზღვროთ მისი ადგილი ცნობიერებაში და პერსონის სიცოცხლეში.

კლასიფიკაციასთან უშუალოდაა დაკავშირებული სახელდებისა საკითხი. ჯერ თვით ცალკეული განცდის აღწერისას და დადგენისას საჭიროა სპეციალური ტერმინოლოგია. ასევე საჭიროა იგი განცდათა კლასების სახელდებისათვის, არაცნობიერი ფსიქიკური მოვლენებისთვის. სპეციფიკური სიძნელეები, რომლებიც ფსიქოლოგიურ ტერმინოლოგიას ახლავს, ეჭვს გარეშეა: მასალა, რომლის სახელდება უხდება ფსიქოლოგიას, ეს ის მასალაა, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ყოველდღიურ სიტყვახმარებაში ძველთაძველიდან სახელდებულია. მეცნიერულმა ფსიქოლოგიამ ანგარიში უნდა გაუწიოს ამ საყოველდღეო ტერმინოლოგიას და მრავალი ტერმინი უნდა მიიღოს, მრავალი კი უარყოს. განცდის—გარკვეული ჯგუფისთვის მიკუთვნებით თუ მისი გაქვავება, ნიველირება ხდება — ეს სწორედ სახელდების მეოხებითაა. ყოველდღიური ტერმინოლოგიის უგულებელყოფა შეუძლებელია, მაგრამ ყოველდღიურ სიტყვახმარებაში დამკვიდრებული ტერმინები არაა მკაფიოდ განსაზღვრული ცნებების გამომხატველი, მრავალმნიშვნელოვანია და ამ სახით — მეცნიერებისთვის სრულიად მიუღებელი. საჭიროა ცნებებისა და ტერმინების დაზუსტება ყოველგვარი ორაზროვანობის თავიდან ასაცილებლად. ყოველდღიური სიტყვახმარების ტერმინოლოგია ტლანქია; ამ სიტლანქის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ ტრადიციული კლასიფიკაცია და სახელწოდება სულიერი მოვლენებისა „გრძნობად", „გონებად" და „ნებისყოფად". უამრავი ფსიქიკური მოვლენისთვის ყოველდღიურ სიტყვახმარებას საერთოდ არ გააჩნია ტერმინი: საჭიროა ახალი ტერმინების შემუშავება. ახალი ტერმინი ზუსტი უნდა იყოს, უნდა გამოხატავდეს სახელდებული ფაქტის რაობას. ტერმინოლოგია და კლასიფიკაცია, თუ იგი მართებულია, ხელს უწყობს შემდგომი აღწერის წარმოებას [101].

---

[101] აქ ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა პირადად ვ. შტერნისეული ტერმინოლოგიის შესახებ. თუ საყოველდღეო სიტყვახმარება არაა დამაკმაყოფილებელი და სამყოფი საერთოდ ფსიქოლოგიურ ტერმინებად, ვ. შტერნისთვის არც ფსიქოლოგიური სპეციალური ტრადიციული ტერმინოლოგიაა სამყოფი და დამაკმაყოფილებელი. ახალი პრინციპები, რომლებზეც ააგებს იგი თავის ფსიქოლოგი-

უშუალო გამოცდილებას ფსიქიკური მასალა რთული სახით ეძლევა. პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის ეს გარემოება სრულიად კანონზომიერი და თავისთავად ნათელია: მისთვის ცნობიერება პერსონის მრავალერთიანობის შინაგანი ასახვაა და, როგორც ასეთი, არ შეიძლება რთული არ იყოს. კლასიკური ასოციაციონისტური ფსიქოლოგიისათვის ეს სირთულე არ იყო ლოგიკურად აუცილებელი. ფაქტი ფაქტად რჩებოდა, მაგრამ ფაქტი ახსნას მოითხოვდა; ახსნის მეთოდს კი მას ბუნებისმეტყველება უკარნახებდა, რო-

---

ურ მოძღვრებას. ფსიქიკურ მოვლენათა ახალი თვალით დანახვას მოითხოვს და ბევრ ისეთ მოვლენას აღმოაჩენს, რომელიც წინამორბედი ფსიქოლოგიისთვის შეუმჩნეველი იყო. ყოველ ფსიქოლოგს აქვს ორიოდე მაინც თავისი ახალი ცნება. რომლისთვისაც იგი ქმნის ახალ ტერმინს. მაგრამ ვ. შტერნს იმდენი ახალი ცნება აქვს, რომ შეიძლება მისი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი ს შესახებ ვილაპარაკოთ. და უნდა ითქვას, რომ უმრავლეს შემთხვევაში მისი ტერმინები არაჩვეულებრივ მარჯვე და ლაზათიანია. მათში გამოსჭვივის ხოლმე სახელდებული. ფაქტისა თუ მოვლენის არსი. ქართულად მათი გადმოცემა ძალიან ჭირს. ეს იმითი აიხსნება, რომ ავტორი ტერმინების შემუშავებისას გერმანულ ეტიმოლოგიას ემყარება, რომელსაც ქართულ ეტიმოლოგიასთან ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო. ვ. შტერნის მიერ ახლად შემუშავებული ტერმინების თარგმნა ზედმეტ სამუშაოს ქმნის ქართული ტერმინოლოგიისთვის, მაგრამ ამ მუშაობისთვის გვერდის ახვევა არც შესაძლებელია და არც სასურველი.

ვ. შტერნისეული ტერმინების თარგმნისას მე შემდეგ გზას დაეადექი: ის ტერმინები, რომლებიც უკვე თარგმნილი ყოფილა ოდესმე ქართულად — ძველი თარგმნით დავტოვე (მაგ. Lebuis—ცოცხლობა. Deuten—ინტერპრეტაცია). ზოგი ტერმინი, სახელდობრ, ისეთი, რომლის ანალოგიური გერმანული ტერმინი უთარგმნელად შემოვიდა ქართულ ტერმინოლოგიაში — უთარგმნელადვე დავტოვე (მაგ. Ungestalt—უნგეშტალტი. ანალოგი: Gestalt—გეშტალტი). ასეთია, განსაკუთრებით, ბერძნულ-ლათინური ძირებიდან ნაწარმოები ტერმინები (მაგ. Person—პერსონა და არა „პირი". მაგრამ Persönlichkeit—პიროვნება, რომელიც საკუთრივ ისევეა ნაწარმოები „პირი"-სგან, როგორც Persönlichkeit—Person-ისგან. ზოგი ტერმინის ახლად თარგმნა მომიხდა. ამ შემთხვევაში ეცდალობდი დამეცვა ვ. შტერნისეული პრინციპი ტერმინის წარმოებისა: ზოგჯერ ყოველდღიური სიტყვახმარება, ზოგჯერ მონათესავე ცნებიდან წარმოება, ზოგჯერ ცნების არსის გამოხატვა (მაგ. Bereich-შემოგარე, Allperson-ყოველდაპერსონა).

სადაც ტერმინის საკუთრივ ქართული ეკვივალენტი ვერ ვნახე, საერთაშორისო სიტყვა გამოვიყენე (ასეთია, მაგ. Wehmut—მელანქოლია. ანალოგიურად Deuten-ინტერპრეტაციისა).

მელსაც წარმატებით დაპყავდა ყოველი რთული მოვლენა მასში შემავალი ელემენტების ურთ ერთობაზე. ფსიქოლოგიამაც აქეთ წარმართა კვლევა და ფსიქიკური მოვლენები ელემენტებზე დაიყვანა. ანალიზი ძირითადი მეთოდი იყო ფსიქოლოგიური კვლევისა. დადგენილ იქნა უმარტივესი ფსიქიკური ერთეულები და მათგან აგებულ იქნა ურთულესი ფსიქიკური მოვლენები; თვით „მე"-ც კი წარმოდგენათა კონად იქნა მიჩნეული. ასოციაციონისტური ფსიქოლოგია რომ ცლებოდა, დღეს ეს, შეიძლება ითქვას, ყველასათვის ცხადია. უკანასკნელ ათეულ წლებში, განსაკუთრებით ჩვენი საუკუნის დამდეგს, ფსიქიკური ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი ს ბატონობა ფსიქიკურის ძ თ ლ ი ა ნ ო ბ ა მ დასთრგუნა. განცდა შეგრძნებათა ჯამი კი არაა,—მეტია, ვიდრე შეგრძნებათა ჯამი. ცნობიერებაც მეტია, ვიდრე ცალკეულ განცდათა ჯამი. ნაწილების ჯამზე მეტია ფსიქიკაც და არა მარტო ფსიქიკა,—არამედ პიროვნება, პერსონა. ვ. შტერნისთვის პიროვნების "მრავალერთიანობა „უკანასკნელი საიდუმლოებაა, რომლისაც ჩვენ არც ახსნა ძალგვიძს. არც უგულებელყოფა, არამედ რომელიც უნდა აღვიაროთ ჩვენი ზოგადი მსოფლმხედველობის საფუძვლად"[102]. ხოლო ადამიანი რომ სწორედ ასეთი პიროვნებაა „ეს არც მეტაფიზიკური სპეკულაციაა, არც მეტად თუ ნაკლებად მტკიცე რწმენა, არამედ ყველაზე უფრო უეჭველი რამ, რაც კი არსებობს". და სინამდვილისგან უკიდურესი განდგომა იყო საჭირო იმისთვის, რომ მეცნიერებას დაეჭუცმაცებინა ადამიანი მის შემადგენელ ნაწილებად და ფუნქციებად. მეცნიერება იმდენ ყურადღებას აქცევდა იმას, რაც ადამიანში ხდებოდა და ადამიანს ემართებოდა, რომ სრულიად ყურადღებელი დარჩა თვით ადამიანი[103]. ადამიანი ერთმთლიანობაა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ანალიზური მისი შესწავლა ზედმეტია. „თუ ხისი: „ადამიანი არის ერთიანი პერსონა" — ჯერ კიდევ არაა მეცნიერება. მეცნიერების შესაქმნელად პერსონული ყოფიერების უშუალო რეალურობის გაშუალებაა საჭირო დამუშავების გზით. ხოლო ასეთი მეცნიერული დამუშავება, უწინარეს ყოელისა, დეტალურ მუშაობას მოითხოვს, რომელიც ჯერ დაშლას და შემდეგ დაშლილის კვლავ გაერთიანებას მოიხმარს ხერხად"[104].

---

[102] 3,6.

[103] 3,3 შშ.

[104] 5,1—2.

ანალიზის აუცილებლობას პერსონალისტური ფსიქოლოგიაც აღიარებს. მაგრამ მან წინასწარ იცის, რომ ანალიზი ვერ მოგვცემს „ელემენტებს“ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით: ფსიქიკურ ერთეულებს, რომლებიც ვეღარაფერზე ვერ დაიყვანებიან, რომლებიც თავისთავადნი იქნებიან და რომლებისგანაც შესაძლებელი იქნება რთული წარმონაქმნების აგება მათი შინაგანი საკუთარი კანონზომიერების შესატყვისად. ერთმთლიანი პიროვნების ანალიზი მოგვცემს მხოლოდ ამ მთლიანობისგან მეტად თუ ნაკლებად გამოყოფილ, მეტად თუ ნაკლებად გამოკვეთილ და ჩამოყალიბებულ გეშტალტებს, რომლებსაც არ შეიძლება გააჩნდეთ საკუთარი, მთლიანობისაგან დამოუკიდებელი არსებობა და, ამიტომ, არც შეიძლება ელემენტებად იქნენ აღიარებული, არამედ მხოლოდ „მომენტებად“ შეიძლება იქნენ გაგებული, რომლებისაც არსებობაც და აზრიც სავსებით მთლიანობითაა განსაზღვრული. მაგალითად, „მოსმენილ მელოდიაში ცალკეული ტონი, ტონის ელემენტური შეგრძნების სახით კი არაა მოცემული, არამედ როგორც „ტონიკა“ ან „წამყვანი ტონი“ ან „ხმის აწევა“ Höhepunkt და სხვ. მელოდიის გ ე შ ტ ა ლ ტ შ ი თვით ერთმანეთს თითქოს ძალიან დაშორებული სულიერი თვისებები, როგორიცაა: ტემპერამენტი, ფანტაზია, ინსტინქტურობა (Triebhaftigkeit), ინტელიგენტობა „ნიჭიერებებსავით“ ურთიერთისაგან გათიშულად კი არ იმყოფებიან გვერდიგვერდ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მჭიდროდ დაკავშირებული ნაწილობრივი გამოსხივებანია ერთიანი „პერსონისა“[105].

ამიტომ ანალიზს აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც გათვალისწინებულია ანალიზის შედეგად მიღებული „მომენტების“ მთლიანობისადმი მიმართება. ეს მიმართება მრავალგვარია. ესაა მიმართება: შედეგისა — მიზეზთან, საშუალებისა — მიზანთან, მოვლენისა — არსთან, რეალურობისა — პოტენციასთან, გეშტალტისა — უნგეშტალტთან და სხვ. ფსიქოლოგიამ უნდა იკვლიოს ყველა ეს მიმართება, უნდა იკვლიოს განცდა „მის ნაწილობრივს მნიშვნელობაში პერსონული ყოფიერებისა და სიცოცხლის მთლიანობისთვის“*.

ეს ვალდებულება ორ შემდგომ ამოცანას უსახავს პერსონალისტურ ფსიქოლოგიას: ახსნისას და ინტერპრეტაციასას.

---

[105] 1,21.

* იხ. გვ. 78.

ახსნა ბუნებისმეტყველური ორიენტაციის გავლენით გაბატონდა ფსიქოლოგიაში. ბუნებისმეტყველებაში და, საერთოდ, ყოველგვარ შესაძლო მეცნიერებაში ახსნა ნიშნავს კერძო მოვლენის დაქვემდებარებას (ზოგადი) კანონისათვის. ფიზიკაში კანონები მართლაც საყოველთაო მნიშვნელობისაა. ფსიქოლოგიაში ასეთი კანონების დადგენა ვერ მოხერხდა. ფაქტიურად აქ კანონების ნაცელად წესები იქნა დადგენილი, რომლებსაც, კანონებისგან განსხვავებით, „ყოველგვარი პირობის გარეშე კი არა აქვთ ძალა, არამედ მხოლოდ შესაძლონი (plausibel) არიან". ასეთია, მაგალითად, ასოციაციის კანონი, ვებერ-ფეხნერის კანონი, მეხსიერების კანონები და სხვა.

ახსნა ფსიქოლოგიაში სამი კატეგორიის შეიძლება იყოს: ან მიზეზობრივი (მოვლენას მოენახება გამომწვეელი მიზეზი), ან მიზნობრივი (მოვლენას მოენახება მიზანი), ან გენეზური (მოვლენა ახსნილი იქნება როგორც განვითარების ერთ-ერთი ფაზა სხვა ფაზებთან მიმართებაში).

სხვაგვარ ამოცანას ისახავს და სხვაგვარ წინამძღვრებს ეძყარება გ ა გ ე ბ ა, რომელიც თანდათან მეტ ძალაუფლებას იმკვიდრებს ფსიქოლოგიაში. ახსნის ამოსავალი—ცალკეული მოვლენაა. ახსნის შემთხვევაში ამ მოვლენას ვიღებთ, როგორც მოცემულს, თვითარსებულს და ვეძებთ მ ი ს მიზეზებს, მიზნებს, გენეზისს. ა ხ ს ნ ა კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ე ბ ი ს ძიებაა ამ კერძო მოვლენის თვალსაზრისით. გაგება კი მოვლენის ა ზ რ ი ს ძ ი ე ბ ა ს ნიშნავს. გაგებულ უნდა იქნეს ამ კერძო მოვლენის სხვა მოვლენებთან კავშირის აზრი, მნიშვნელობა. „თუ მთლიანობა აზრიანი მნიშვნელობის მატარებელია (ადამიანის პერსონა, საზოგადოება, კულტურული ღირებულება), მაშინ სულიერი მოვლენა გ ა გ ე ბ უ ლ ი ა იმ შემთხვევაში, თუ წვდომილია მისი წვლილი ამ აზრიან მთლიანობაში.

ჩვენ, მაგალითად, „გვესმის" სიტყვები, რომლებსაც ვინმე ამბობს, როგორც მნიშვნელობის მქონე საშუალება მასთან ურთიერთობის დამყარებისა; კიდევ უფრო ვიწრო მნიშვნელობით ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ გაგებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ეს სიტყვები მისი სურვილების, მისწრაფებებისა და ინტერესების აზრს გამოვეიმეღავნებს; როდესაც მისი სიტყვების მეოხებით ჩვენ ვწვდებით მას, როგორც პერსონულ მთლიანობას"[100].

---

[100] 1,25 შშ.

ახსნით დაკმაყოფილება ფსიქოლოგიაში მხოლოდ მას შეეძლო, ვინც ელემენტების იქით მთლიანობას ვერ ხედავდა, ვისაც კანონზომიერების საკითხი აზრიანობის საკითხს უჩრდილავდა. ნამდვილად ფსიქოლოგია სულიერი მოვლენის კანონსაც უნდა ეძებდეს და აზრსაც. და ეს ორივე ამოცანა ერთი ფსიქოლოგიის საქმეა და არა „ახსნითი" და „გაგებითი" ფსიქოლოგიებისა, რომლებიც ხოგს დამოუკიდებელ ფსიქოლოგიებად წარმოუდგენია.

მეცნიერული ფსიქოლოგიის უკანასკნელი ამოცანა არის ინ-ტერპრეტაცია (Deuten). ინტერპრეტაცია მხოლოდ იქაა შესაძლებელი, სადაც დაშვებულია მნიშვნელობის არსებობა, რადგან ინტერპრეტაცია სწორედ მოვლენის, თუ ფაქტის მნიშვნელობის დადგენას ნიშნავს. მნიშვნელობა ვიღაცისთვის, ან რაღაცისთვის მნიშვნელობაა და. ამიტომ. პრინციპულად ტრანსცენდენტულია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოვლენა თუ ფაქტი თვითღირებულების მატარებელია.

ინტერპრეტაცია, ამასთანავე, მხოლოდ იქაა შესაძლებელი, სადაც ნაგულისხმევია მოვლენებისა თუ ფაქტების ურთიერთის „ქვევით" და „ზევით" სხვადასხვა სიღრმით განლაგება: ინტერპრეტაცია — მნიშვნელობის სიღრმის ჭვრეტაა (Tiefenschau). „ინტერპრეტაციის მასალა მუდამ უფრო გარეგანია, გამოცალკევებული, გამოყოფილი; ინტერპრეტაციის მიზანი მუდამ უფრო შინაგანია, პერსონის მთლიანობასთან უფრო შინაგანად შედუღებულია. ეს ვერტიკალური მიმართულება განასხვავებს ინტერპრეტაციას „ახსნისაგან", რომელსაც დასაკავშირებელი მოვლენების „ჰორიზონტულ" თანამდებარეობასთან აქვს საქმე. მაგრამ სწორედ ეს თავისებურება არაჩვეულებრივად ძნელ ამოცანად ხდის ინტერპტერაციას, ვინაიდან გზა სიღრმეში ამავე დროს არის გზა გაურკვეველში, მიახლოებაა ვერ გამოსათქმელთან, პიროვნების ნამდვილ აზრთან"[107]. მართალია, პიროვნება, როგორც მთლიანობა, ფაქტიურად ძალიან იშვიათად თუა ინტერპრეტაციის მიზანი, — მაგრამ ინტერპრეტაცია ყოველთვის მისკენაა მიმართული: ზედაპირიდან — სიღრმისკენ; „ვერტიკალური მიმართულება" ერთ-ერთი ნიშანია, რომლითაც ინტერპრეტაცია განსხვავდება „ჰორიზონტული" მიმარ-

---

[107] 5,70 შშ.

თულების მქონე ახსნისაგან. ამ ვერტიკალური მიმართულებისთვის დამახასიათებელია მიმართების ცალმხრივობა, ერთპოლუსიანობა. ინტერპრეტაცია მხოლოდ ზედაპირიდან სიღრმისკენ შეიძლება იყოს მიმართული და არავითარ შემთხვევაში არა პირიქით. ჰორიზონტული მიმართულებით წარმოებული „ინტერპრეტაცია" კი ორმხრივია, და ეს იმიტომ, რომ იგი მხოლოდ მოჩვენებითი და არა ნამდვილი ინტერპრეტაციაა. თუ ფეხის სიდამბლე სიმპტომია ტვინის გარკვეული წილის დაზიანებისა — პირიქითაც შეიძლება იყოს: ხელსახებად რომ გვქონდეს მოცემული ტვინის გარკვეული წილის დაზიანება (რაც რეალურად საეჭვოთ შესაძლებელია), იგი ფეხის სიდამბლის სიმპტომად შეიძლება გამოგვადგეს. ასეთივეა მდგომარეობა თვისებათა კორელაციების შემთხვევებში: ერთი თვისების ქონება შეიძლება მეორე თვისების ქონებას ნიშნავდეს. მაგრამ აქ ინტერპრეტაციასთან კი არა გვაქვს ნამდვილად საქმე, არამედ დ ა ს კ ვ ნ ა ს თ ა ნ: აქ ერთი მოვლენა მეორე ჰომოგენური მოვლენის ს ი მ პ ტ ო მ ი თუ ს ი მ ბ ო ლ ო კი არაა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ნიშანი. ორივეს კი მასთან მხოლოდ წესზომიერი თანხვედრითაა დაკავშირებული და არა აზრით.

ინტერპრეტაციისთვის დამახასიათებელია პ ო ლ ი ს ი მ პ ტ ო მ ა ტ ი კ ა, რაც ახსნისთვის არაა საკალდებულო. მიმართება სიმპტომისა და ინტერპრეტაციის მიზნის შორის სწორხაზობრივი კი არაა, არამედ რადიალური, და სახელდობრ რადიალური ორივე მიმართულებით. ე. ი. ერთი სიმპტომი—მრავალი განსხვავებული რაიმესი ინტერპრეტაციის მასალა (სიმპტომი) შეიძლება იყოს; ინტერპრეტაციის ერთ მიზანს — მრავალი განსხვავებული სიმპტომი შეიძლება ჰქონდეს (ინტერპრეტაციის მასალად — ერ. ა.).. ვინაიდან ყოველი ინტერპრეტაციის — მიზანი სიმპტომთან შედარებით მთლიანობაა, სხვადასხვამხრივ შეიძლება მისი სიმპტომატურად გამოთქმა (aussprechbar), ინტერპრეტაციაყოფა; მეორე მხრივ. ერთი და იგივე სიმპტომი სხვადასხვაგვარ მთლიანობით კავშირებს უნდა ეკუთვნოდეს და, ამის მეოხებით, მრავალ რამეს უნდა ნიშნავდეს.

პოლისიმპტომატიკის აუცილებლობაზე გულისყურის გამახვილება განსაკუთრებით იმიტომაა საჭირო, რომ სინამდვილეში მავრად აქვს ფეხი მოკიდებული მონოსიმპტომატიკას — ლრმად მდებარე მთლიანობის ერთი სიმპტომით ინტერპრეტაციას. მონოსიმ-

პტომატურია მთელი გულუბრყვილო „გულთამხილავობა“: გრაფოლოგია იქნება ეს, ქირომანტია, თუ ასტროლოგია. მაგრამ არა მარტო გულუბრყვილო, არამედ თვით მეცნიერული ფსიქოლოგიაც ვერ აცდენია მონოსიმპტომატიკურ ცთუნებას. ფსიქოანალიზის მონოსიმპტომატიკური ცოდვა ისაა, რომ სიმპტომებად მას მხოლოდ უნებლიე გამოვლინებანი მიაჩნია, და მიაჩნია ისინი საკმაო სიმპტომად ფსიქიკის სიღრმეების ინტერპრეტაციისთვის. ხელსახები ისტორიული ნიმუში მონოსიმპტომატიკისა არის ებინგჰაუსის ხარვეზიანი ტექსტის ტესტი: მისი შესრულება საკმაო სიმპტომად იყო ხოლმე შიჩნეული კომბინაციის უნარის საწვდომად.

მონოსიმპტომატიკით გატაცება გასაგებია მისი სიმარტივის და „პორტატიულობის“ გამო. მაგრამ სრულიად უეჭველია მისი მეცნიერული გაუმართლებლობა, რამდენადაც ინტერპრეტაციის მიზანი არასოდეს არაა და არ შეიძლება იყოს ერთმნიშვნელოვნად გარკვეული. ასეთი მხოლოდ ფენომენია. ფენომენი არ საჭიროებს ინტერპრეტაციით გაშუალებას; იგი უშუალოდაა მოცემული. უშუალოდ არ-მოცემული კი არასოდეს არაა სრულიად განხორციელებული რეალურობა, არამედ შესაძლებლობა, პოტენცია და, ამიტომ, მეტად თუ ნაკლებად მრავალმნიშვნელოვანია. ეს კი ნიშნავს, რომ იგი სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოვლინდეს და მისი გამოვლენის ერთი მიმართულებით უნაყოფო ძიება არ შეიძლება გავიგოთ როგორც მისი არყოფნა: ებინგჰაუსის ტესტი შეიძლება წარმატებით ვერ შეასრულოს ადამიანმა იმიტომ, რომ მას არა აქვს კომბინაციის უნარი. მაგრამ შეიძლება იმიტომაც — რომ ეს უნარი მას სხვა მასალაზე აქვს მიმართული; ან იმიტომ, რომ ეს მისი უნარი მხოლოდ სპონტანურად ამოქმედდება ხოლმე, ხოლო რეაქტიულ სიტუაციაში, როგორიცაა ცდის სიტუაცია, უმოქმედოდ რჩება პოტენციურ მდგომარეობაში.

ამ ცალმხრივობის დაძლევა ნაცადი იყო ფსიქოლოგიაში პროფილების და საშუალო ინდექსების შემოტანით. პროფილი მხოლოდ ელემენტარისტული თვალსაზრისით თუ შეიძლება იქნეს გამართლებული, პერსონალისტური თვალსაზრისით კი მისი უკმარობა სავსებით ნათელი და უეჭველია: მთლიანი პიროვნების სურათის დახატვას იგი უნაყოფოდ ლამობს მოზაიკური ხერხებით. ასევე უეჭველია საშუალო ინდექსის უვარგისობაც: პიროვნების რომელო-

ბითი თავისებურების გამოხატვა საშუალო არითმეტიკული ოდენობით შეიძლება ძალიან მომხიბლავი, მაგრამ სრულიად განუხორციელებელი ოცნებაა.

„ამრიგად, პოლისიმპტომატიკის შესახებ შემდეგი უნდა დავასკვნათ: მონახული ცალკეული სიმპტომები, ისევე როგორც მათი მტკიცე შეკავშირებანი, მხოლოდ ნედლ მასალას წარმოადგენს პიროვნების ინტერპრეტატორისთვის. ეს უკანასკნელი იმდენად თავისუფალი უნდა იყოს სიმპტომებისა და სიმპტომთა კომპლექსების (Symptomverbindung) შერჩევასა და აკცენტუაციაში, მათს ურთიერთმიმართ შეფასებაში, რომ შესძლოს ამ მეთოდური ხერხების დაკავშირება მთლიანი სურათის ინტუიციურ ხედვასთან“[108].

„ფსიქოლოგიის წინაშე დგას მომავლის დიდი ამოცანა მეცნიერულად უმწიკლო და პრაქტიკულად საიმედო ინტერპრეტაციის ტექნიკის გამომუშავებისა. იგი ორ მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს: 1) ინტერპრეტაციის მეთოდიკა პ ე რ ს ო ნ ა ლ ი ს ტ უ რ ი უნდა იყოს, ე. ი. ცალკეული სიმპტომები პერსონულ მთლიანობასთან მიმართებაში უნდა შეიცნოს და შეაფასოს. 2) მეთოდიკა „პოლი-სიმპტომური“ უნდა იყოს, ე. ი. სუვერენულად უნდა ფლობდეს სიმპტომთა სხვადასხვა არეებს, და მათი შეკავშირება ელასტიურად უნდა შეუხამოს ყოველგვარ ფსიქოდიაგნოსტიკურ ამოცანებს“[109].

ფსიქოლოგიის ამოცანების გაცნობის შემდეგ უფრო ნათელი გახდა ფსიქოლოგიის საგანი: ესაა განცდა მის მიმართებაში პერსონის მთლიანობასთან. ფსიქოლოგიამ უნდა აღწეროს, დააჯგუფოს, ახსნას, გაიგოს და ინტერპრეტაციაჰყოს განცდები.

ფსიქოლოგიის პრობლემატიკის ასე გაგება, ფსიქოლოგიის საგნად განცდის გამოცხადება, — მრავალი უხერხულობის გამომწვევია. მოკლედ აღვნიშნავ ამ უხერხულობას. მოკლედ იმიტომ, რომ აქ ვ. შტერნის ნააზრევის კრიტიკის ადგილი არაა. მაგრამ აღნიშვნა მაინც საჭიროა, თუნდაც იმის დასასაბუთებლად, თუ რად მიმაჩნია მიზანშეწონილად პერსონალისტური ფსიქოლოგიის განხილვა ზოგადი ფსიქოლოგიის ფარგლებით განვსაზღვრო.

---

108 5,82—83.

109 1,28—29.

განცდის არსებობა მხოლოდ ადამიანში შეიძლება დადასტურდეს. და თუ ფსიქოლოგია განცდის შესახები მეცნიერებაა, იგი მხოლოდ ადამიანს შეიძლება შეეხებოდეს. ფსიქოლოგიის კომპეტენციის გარეშე რჩება ყოველივე ის, რაც არაა განცდა, ან ყოველ შემთხვევაში ის, რაც არაა განცდის უნარის მქონე პერსონა. მაგრამ რასაც ვ. შტერნი ამბობს საერთოდ ფსიქოლოგიის შესახებ, სახელდობრ, რომ ფსიქოლოგია არსებობს, როგორც მეცნიერული ფაქტი — შეიძლებოდა თქმულიყო ფსიქოლოგიის მრავალი სპეციალური დარგის შესახებ, რომლის სუბიექტი არაა განცდის უნარით აღჭურვილი პერსონა. ასეთი დარგებია, ერთი მხრივ, ცხოველთა ფსიქოლოგია, მეორე მხრივ — ხალხთა ფსიქოლოგია, სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით. პირველისთვის განცდა ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება ამოსავალი, რადგან მხოლოდ გაუბედავად ვარაუდი თუ შეიძლება აქა-იქ განცდის ჩანასახის არსებობისა ცხოველთა სამეფოში. მეორისთვის კი ვარაუდის საკითხიც არ დგას: ხალხი (Gemeinschaft), როგორც პერსონა — განცდის უნარს მოკლებულია.

მაგრამ ფსიქოლოგიის დარგების დასახელებისას და ეპიზოდი ამოცანების მოხაზვისას, ავტორი არ ივიწყებს და არც არსებობის უფლებას აჰყრის არც ერთ ფაქტიურად არსებულ დარგს ფსიქოლოგიისას.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ მისი ფსიქოლოგიური მუშაობის ობიექტი მუდამ „განცდის უნარის მქონე პერსონა" იყო. გამონაკლისს მხოლოდ ერთი (ორგვერდიანი) შრომა წარმოადგენს — ანთროპოიდის შესახებ[110].

ვ. შტერნის გამოკვლევათა უმრავლესობა ბავშვის ფსიქოლოგიას, მისავე მიერ დაფუძნებულ დიფერენციულ ფსიქოლოგიასა და პრაქტიკულ ფსიქოლოგიას შეეხება, კერძოდ — ინტელიგენტობის კვლევა-შეფასებას. ზოგადფსიქოლოგიური ხასიათის ნაშრომები შედარებით მცირერიცხოვანია და უმეტესობა მათგანი ზოგადი ფსიქოლოგიის კერძო საკითხებს შეეხება, ხოლო საკუთრივ პერსონალისტურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობის ნაშრომები თითებზე ჩამოითვლება. მაგრამ ეს გარემოება არ ამცირებს ვ. შტერნის მნიშვნელობას, როგორც ზოგადი ფსიქოლოგიის მიმართულების დამაარსებლისას. ფსიქოლოგიის ისტორიაში ვ. შტერნი შედის, უწინარეს

---

[110] „Erkennungsleistungen eines Menschenaffen", 1926, ZPdPs, B. 27.

ყოვლისა, როგორც ზოგადი ფსიქოლოგიის პრინციპული რეკონსტრუქციის ავტორი. ფსიქოლოგიის ახალი პრინციპებია მის მიერ წამოყენებული და ესაა მისი ნთავარი დამსახურება.

ფსიქოლოგიის ისტორია ზოგადი ფსიქოლოგიით დაიწყო. არსებობს გენეტიური ფსიქოლოგია, რომელიც შეისწავლის ფსიქიკის განვითარებას მისი პირველი გამოკრთომიდან — განვითარების უმაღლეს საფეხურებამდე; მაგრამ ნამდვილი მისი ამოსავალი არასოდეს არ ყოფილა ფსიქიკის პირველი გამოკრთომის საფეხური. პირიქით, მისი შინაგანი ძრაკი განვითარების უმაღლესი საფეხურია მუდამ. ამითი აიხსნება, რომ განვითარების პრობლემა, რომელიც არსებითად არ უნდა იყოს ზოგადი ფსიქოლოგიის საკანი — მაინც მუდამ შეტანილია ხოლმე ზოგადი ფსიქოლოგიის კურსებში ან ცალკე კარად, ან ცალკეული საკითხების განხილვასთან დაკავშირებით. ზოგადი ფსიქოლოგიისავე კურსებში განიხილება ხოლმე ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საკითხებიც, მეთოდების საკითხებიც. ვ. შტერნის შემთხვევაში განსაკუთრებით გასაგებია ფილოსოფიური საკითხების განხილვის შეტანა ზოგადი ფსიქოლოგიის პრობლემატიკაში, რადგან თუმცა იგი გამოჰყოფს ფილოსოფიურ ფსიქოლოგიას ემპირიულისგან, რამდენადაც უკანასკნელის საგნად ფსიქიკური მოვლენები მიაჩნია, პირველისად კი — ფსიქიკურის არსი, მაგრამ მისთვის ფსიქოლოგიის ეს ორი დარგი არსებითს, საქმიან კავშირშია ერთმანეთთან.

ქვემოთ საგანგებოდ არ შევეხები ფილოსოფიურ საკითხებს, მაგრამ მათი გვერდის აქცევასაც არ შევეცდები საგანგებოდ, რადგან ამ შემთხვევაში ვ. შტერნის მოძღვრების თავისებურება ხელიდან გამისხლტებოდა.

მასალის დალაგება

ფსიქიკის ანალიზი პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს, რადგან ფსიქიკის მატარებელი პერსონა განუწვალებელი ერთიანობაა. მაგრამ ანალიზი აუცილებელია, და პერსონალისტური ფსიქოლოგია ახერხებს ერთმთლიანობაში ნაწილობრივი მომენტების დადგენას. ასეთივე სიძნელეს წარმოადგენს მისთვის ემპირიული ფსიქოლოგიის ფაქტიური მასალის სათხრობლად დალაგებაც. ელემენტარისტული ფსიქოლოგიისთვის

მასალის განლაგება თავისთავად ნათელია: მისთვის ფსიქიკის მრავალფეროვნება ელემენტური ფსიქიკური მოვლენებისგანაა აგებული და, ცხადია, მისი განხილვაც ელემენტების განხილვით დაიწყება, გადავა მათ მარტივ შენაერთებზე და შემდეგ, თანდათან უფრო და უფრო რთული წარმონაქმნების განხილვის გზით მივა ურთულეს წარმონაქმნამდე — „მე"-მდე, პიროვნებამდე, ხასიათამდე, ტემპერამენტამდე.

პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის კი პიროვნება ყველაზე უფრო უდავო და უეჭველი რამაა. მაგრამ პიროვნება ხომ რთული მთლიანობაა და ანალიზური განხილვის არამცთუ პირველი საფეხური ვერ იქნება, — საერთოდაც ვერ იქნება მისი საგანი. ანალიზური განხილვა ნიშნავს პიროვნების განხილვას მის „ნაწილობრივ ფუნქციობაში", ცალკეული მისი ფუნქციების განხილვას. და აქ საკითხი დგება იმ პრინციპის შესახებ, რომლის მიხედვითაც უნდა იქნეს დადგენილი ფუნქციათა განხილვის რიგი. პერსონის მრავალგანზომილებიან კოორდინატთა სისტემის ღერძებიდან ვ. შტერნი პერსონა-სამყაროს ურთიერთობის ღერძზე განალაგებს მათ. ეს არჩევანი სავსებით თვითნებურია. ასეთივე უფლებით შეიძლებოდა ჩანერგვა-გამოყოფის, სიღრმე-ზედაპირის თუ გეშტალტ-უნგეშტალტის ღერძის გასწვრივ. მათი განლაგება. ერთი უპირატესობა აქვს მიღებულ არჩევანს: მის მიხედვით მასალა ისევე განელაგება, როგორც ტრადიციულადაა მიღებული ფსიქოლოგიაში: აღქმა — მეხსიერება — აზროვნება — ფანტაზია — ნებელობა (მისწრაფება, მოქმედება, ნაქმობა) — გრძნობა. როგორაა პერსონალისტურად დასაბუთებული ასეთი თანამიმდევრობა?

აღქმაში: განცდაში ასახულია პერსონის გარესამყაროზე მაქსიმალურად დამოკიდებულება. აღქმის გარესამყარო ამჟამად მოცემული რეალური სიტუაციაა, უძლიერესი მოთხოვნილებითი ხასიათით წარმოდგენილი. აღქმისას პიროვნება რეაქტიული არსებაა, შესაძლო მაქსიმალური სიწმინდით განხორციელებული.

მეხსიერებაში: განცდაში ასახულია ნამყო სიტუაცია კვლავ მოთხოვნილებითი ხასიათით. მეხსიერების მოვლენებში პიროვნება პრინციპულად კვლავ რეაქტიული მხრივ მეღავნდება, მაგრამ მის სპონტანურობას მეტი გასაქანი ეძლევა გარესამყაროს მოთხოვნილებითი ხასიათის ინტენსიურობის შესუსტების შესატყვისად.

აზროვნებაში: განცდაში მყობადი სიტუაციაა ასახული. როგორც მყობადი — იგი პოტენციურია, მოკლებულია ერთმნიშვნე-

ლოვანებას და პიროვნებაც ნაკლებაა მის მიერ შებორკილი. აზროვნებისას პიროვნება შეუდარებლად მეტადაა სპონტანურად აქტიური. აზროვნება პიროვნების აქტივობის გამომეღავნების ერთ-ერთი თვალსაჩინო ფორმათაგანია. მაგრამ ეს ძლიერი აქტივობა სულ თვითნებური არაა: მან უდიდესი ანგარიში უნდა გაუწიოს სიტუაციას; მყობადი სამყაროს მრავალმნიშვნელოვანობის გამო აზროვნებაში პიროვნება შედარებით უფრო თავისუფალია, ვიდრე აღქმაში თუ მეხსიერებაში.

ფანტაზიაში: განცდაში ასახული შეიძლება იყოს ნამყოც, აწმყოც და მყობადი სიტუაციაც. იგი შეიძლება სულაც თავისუფალი იყოს დროითი მიმართებისგან. ეს გარემოება საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ფანტაზიაში პიროვნება კიდევ უფრო ნაკლებ არის შებოჭილი სამყაროს მიერ, ვიდრე თვით აზროვნებაშიც.

ნებელობაში: განცდაში აისახება პიროვნება — სამყაროს ურთიერთობის ხასიათის კარდინალური შეცვლა: თუ აღქმაში უაღრესად გამოკვეთილი იყო განცდის მორჩილება სამყაროსათვის, ხოლო ფანტაზიაში -- მისი განთავისუფლება ამ მორჩილებისაგან — ნებელობაში ასახულია სამყაროს დამორჩილება პიროვნების მიერ. სამყარო აქ მასალის ხასიათის მქონედაა წარმოდგენილი. პიროვნების სპონტანური აქტივობა უწმინდესი, უძლიერესი და უმკვეთრესი სახითაა მოცემული.

გრძნობაში: განცდაში მოცემულია „პიროვნება თავისთავად", რამდენადაც ასეთი რამ შესაძლებელია იყოს და ისიც -- განცდაში იყოს წარმოდგენილი. მაქსიმალურად უგულებელყოფილია, „განსხვისებულია" სამყარო: არც მისდამი მორჩილება, არც მისი დამორჩილება აღარ ეხება პიროვნებას, სამყაროს გაეყრება იგი დასავსებით საკუთარ თავზე და საკუთარ განცდაზე მიემართება. გრძნობით დასრულდება ცნობიერების მოვლენების ის მწკრივი, რომელიც სამყაროსთან უშუალო სიახლოვეში (აღქმით) იწყება.

აღქმა

აღქმა, პერსონალისტური თვალსაზრისით, შედეგია ერთიანი ცოცხლობის განწვალების სუბიექტად ობიექტად, და ობიექტის

განცდა მის ობიექტურობაში. როგორც ყოველი სხვა განცდა, აღქმაც პერსონული სიცოცხლის განცდითი მოდალობის კუთვნილებაა და, ამის შესატყვისად, გარესამყაროც მასში საგნობრივი მოდალობით არის მოცემული.

განცდა მუდამ ტრანზიტიულია. იგი მუდამ მიმართულია რაღაცაზე, რაც არაა თვით განცდა. განცდას მუდამ აქვს საგანი, ისე რომ აღქმისთვის სპეციფიკურ ნიშნად ეს გარემოება ვერ იქნება მიჩნეული. აღქმას სხვა განცდათაგან, ამ თვალსაზრისით, ის განასხვავებს, რომ ის „რაღაც", რაც მასში განიცდება, სამყაროს აწმყო მდგომარეობის ფაქტია, ანუ აქტუალური სიტუაცია, ან სიტუაციის მომენტი. და ეს მომენტი, ან სიტუაცია. მოცემულია. როგორც სუბიექტისთვის დაპირისპირებული (Gegen-stand).

რამდენადაც განცდა საერთოდ. და კერძოდ აღქმაც ცოცხლობის შინაარსია — შეუძლებელია მასში სულ გამოთიშული იყოს პერსონული ფაქტორი. მაგრამ დამახასიათებელი აღქმისათვის ამ ფაქტორის მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა კი არაა, არამედ. პირიქით, მისი მონაწილეობის ს ი ს უ ს ტ ე. აღქმის აქტში გათიშვა არაა დასრულებული, მაგრამ მოცემულია ტენდენცია: პიროვნებისთვის დაპირისპირებული „რაღაც" — წვდომილ იქნეს სუბიექტისგან დამოუკიდებელ საკუთარ რაობაში.

აღქმის ფსიქოლოგიის პრობლემაა, თუ როგორ. განიცდის ადამიანი აწმყო საგნებსა და მოვლენებს, აწმყო ფაქტებს.

აღქმის თანამედროვე ფსიქოლოგიის, შეიძლება ითქვას, ძირითადი „საკვანძო" პრობლემა — გეშტალტის პრობლემაა. ელემენტარისტული ფსიქოლოგიისთვის აღქმა რთული შენადგენი განცდა იყო. იგი ჯამს წარმოადგენდა ელემენტარული განცდებისას, რომლებიც შეგრძნების სახელწოდებით არიან ცნობილი. შეგრძნება ცნობიერების ერთმნიშვნელოვანი პასუხი უნდა ყოფილიყო ელემენტარული ფიზიკური მოვლენის ზემოქმედებაზე. ასეთი მოვლენებია ელექტრომაგნიტური და ჰაერის ტალღები, ქიმიური ნივთიერებანი, მექანიკური ზემოქმედებანი, რომლებიც აღწევდნენ სუბიექტის გრძნობათა ორგანოებს. ისინი იწვევდნენ ფერის, ბგერის, გემოს, სუნის, შეხების, ტემპერატურის შეგრძნებებს. და მათი კომბინაციის მეოხებით ადამიანი აღიქვამდა იმ საგანს, რომლისგანაც მომდინა-

რეობდა ეს გამლიზიანებლები. აბე ფიქრობდა ელემენტარისტული ფსიქოლოგია.

უკანასკნელ ათეულ წლებში დამტკიცდა, რომ აღქმა არაა შეგრძნებათა ჯამი და რომ იგი არა მარტო მეტია ამ ჯამზე (რაც უკვე ვუნდტმაც იცოდა), ვრამედ მასზე უწინარესიცაა. აღქმა პირველადი, უშუალო მოცემულობაა ობიექტისა განცდაში. აღქმული ობიექტი გამოყოფილია გარემოს და შინაგანად სტრუქტურაყოფილია, იგი მთლიანად აღნაგობაა. რომლის ბუნების ადეკვატური გამოხატვა შესაძლებელი გახდა გერმანული სიტყვით: Gestalt. ეს სიტყვა საერთაშორისო ტერმინად იქცა.

გეშტალტფსიქოლოგიურმა სკოლამ ბეჯითად დაამუშავა გეშტალტის პრობლემა და დაამუშავა იგი — უწინარეს ყოვლისა და ყველაზე უფრო დაწვრილებით — სწორედ აღქმის სფეროში. დადგენილ იქნა მრავალი კანონზომიერება, რომელიც თანამედროვე ფსიქოლოგიის საყოველთაო კუთვნილებად და განძად არის მიჩნეული. სხვათა შორის, დადგენილ იქნა ის გარემოებაც, რომ ყოველი საგანი აღქმისა არაა ერთნაირად კარგი გეშტალტის მქონე, რომ არსებობს „კარგი გეშტალტები" და „ცუდი გეშტალტები". ბოლოს, ისიც დადასტურებულია, რომ გეშტალტი მუდამ რაღაც ფონზეა მოცემული, რომელიც, თავის მხრივ, არც გარეგანადაა მკაფიოდ შემოფარგლული და არც შინაგანადაა სტრუქტურაქმნილი. შინაგანად სტრუქტურაყოფა მისი არცაა შესაძლებელი, რადგან იგი ეროვნულია, დიფუზურია; სტრუქტურა კი შინაგან დანაწევრებულობას გულისხმობს, რისთვისაც წარმონაქმნის მრავალფეროვანებაა აუცილებლად საჭირო. აღქმის ასეთი შინაარსები გეშტალტფსიქოლოგებისათვის ფონად დარჩა, რაც მხოლოდ ნეგატიურად ახასიათებს მათ, როგორც რაღაცას, რასაც არა აქვს გეშტალტი, ანუ რაც არაა გეშტალტი.

აღქმის გეშტალტურობით გატაცებულთ — ორი გარემოება დარჩათ ყურადღებელი. პირველი ის, რომ „არ არსებობს გეშტალტი გარეშე გეშტალტმყოფელისა"[111]. გეშტალტთეორეტიკოსებისთვის გეშტალტი თავისთავად ა რ ი ს, სუბიექტის მონაწილეობა არაა საჭირო გეშტალტის შესაქმნელად. ასეთი დებულება ხიფათით აღსავსეა მთლიანობითი ფსიქოლოგიისთვის: „გეშტალტები იქცევიან ცალკეულ ნივთებად, საკუთარი კანონზომიერების იზო-

---

[111] 5,17.

ლირებულ და დამოუკიდებელ მატარებლებად. მოკლედ — თავისებურ უფრო მაღალი რანგის ელემენტებად, ელემენტარისტული თვალსაზრისის წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლის მიუხედავად, გეშტალტფსიქოლოგიამ თითონაც ვერ შესძლო იმ შეცდომებისთვის თავის დაღწევა, რომლებსაც იგი ებრძოდა... გეშტალტთეორიის მიხედვით არსებობს სავსებით იმთავითი და დაუყვანადი „გეშტალტის კანონები", ანუ პრინციპები, რომლის მეოხებითაც „გეშტალტებად" წოდებული ეს წარმონაქმნები ესწრაფიან თავიანთი გეშტალტურობის თვისების განხორციელებას, დადასტურებას, დაზუსტებას; გეშტალტები მოქმედების თავისთავადს ცენტრებად იქცევიან"[112].

პერსონალისტური თვალსაზრისით კი „აღქმები გეშტალტებად იმიტომ გვევლინება, რომ პერსონას, როგორც მთლიანს, მხოლოდ და მხოლოდ უფრო მცირე რანგის მთლიანობათა სახით შეუძლია სამყაროს დანაწევრებულად წვდომა"[113]. ჯერ თვით ცოცხლობა პერსონის სიცოცხლის მთლიანობას გამოყოფილი; აღქმა, როგორც ამ ცოცხლობის შინაარსი, აგრეთვე გამოყოფილი ნაწილია პერსონის მთლიანობისა. მთლიანობიდან გამოყოფა კი ჩამოყალიბებასაც ნიშნავს, რადგან „ერთიან პერსონას მხოლოდ გეშტალტური ფორმით შეუძლია ყოველივე მისდამი კუთვნილის გამოყოფა, ფიზიკურისა ისევე როგორც ფსიქიკურისა და კულტურულისა"[114]. არსებობს აღქმის ისეთი შემთხვევები, რომ აღქმის გეშტალტს უდავოდ თვით აღქმის საგნის გეშტალტურობა ქმნის. მაგ., საგნების გეშტალტებად ხედვა თვით საგნების გეშტალტით არის პირობადებული. მაგრამ არის ისეთი გეშტალტები აღქმაში, რომლების გეშტალტურობა არაა საგნის გეშტალტით განსაზღვრული. მაგალითად, 3/4-იან რიტმად აღიქმება საათის ტიკტიკი, თუ 4/4-იანად — სავსებით სუბიექტზეა დამოკიდებული ტიკტიკს თავისი გაშტალტი არ გააჩნია, და მისი რიტმული აღქმა იმ პრინციპის ნაყოფია, რომლის თანახმად პერსონას მხოლოდ გეშტალტის სახით შეუძლია სამყაროს დანაწევრებულად წვდომა.

მეორე გარემოება, რომელიც ყურადღებელი დარჩა გეშტალტფსიქოლოგიას, შემდეგში მდგომარეობს:

---

112 5,33.
113 1,153.
114 5,32.

აღქმაში, როგორც ვთქვი, ასახულია ერთიანი ცოცხლობის სუბიექტურისა და ობიექტური ფაქტორების გათიშვა. სამყარო ამ შემთხვევაში დაპირისპირებულია პერსონისთვის, როგორც მისი „არა-მე". ასეთი გათიშვა დამახასიათებელი ნიშანია სიცოცხლის იმ მოდუსისა, რომელსაც განცდის მოდუსი ეწოდება, მაგრამ, პერსონალისტური მოძღვრების თანახმად, არასოდეს არ ხდება — თვით განცდის მოდალობაშიც კი, — სუბიექტისა და ობიექტის საბოლოო გათიშვა. პერსონა არასოდეს არაა აბსოლუტურად თავისუფალი სამყაროსთან იმთავითი ერთიანობისგან. ვიტალურობა სიცოცხლისა მუდამ რჩება, თვით განცდის მოდალობაშიც. ვიტალურობა ნიშნავს სამყაროს ასახვას არა როგორც „არა-მე"-სი, არა როგორც უცხოსი და გარემდგომის, არამედ როგორც პერსონასთან შერწყმულისა იმთავითს ერთიანობაში. პერსონისა და სამყაროს შორის არაა მკვეთრი და გარკვეული საზღვარი, არამედ გაურკვეველი ზონა, პერსონის შემოგარე (Bereich), რომელშიც „პერსონული" და „სამყაროსეული" იმთავითს ერთიანობაშია შედუღებული. მხოლოდ ამ შემოგარეს იქით არის ობიექტივაციაქმნილი სამყარო, რომლის აღქმა შეუძლია პიროვნებას, როგორც სავსებით მისგან დამოუკიდებლად, თავისთავად არსებულისა; პიროვნებისგან გამოყოფილისა და გეშტალტყოფილისა. სავსებით გამოყოფილისა და სავსებით ჩანერგილის შორის გარდამავალი საფეხურები არსებობს. თვით ეს პოლუსები გამოყოფა-ჩანერგვის განზომილებისა — ზღვარული ცნებებია (Grenzbegriffe). გამოყოფის ხარისხთან ერთად მატულობს გამოყოფილი მომენტის გეშტალტურობა და პირიქით: რაც მეტადაა რომელიმე მომენტი ჩანერგილი პერსონის მთლიანობაში, მით მეტია მისი დიფუზიურობა.

გეშტალტფსიქოლოგიას აღქმის გეშტალტურობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთპოლუსიანად აქვს წარმოდგენილი. ეს ნიშნავს, რომ მისთვის აღქმა პრინციპულად გეშტალტურია, და თუ რომელიმე აღქმა არაა დასრულებული გეშტალტის სახით მოცემული, თუ მას „ცუდი გეშტალტი" აქვს—ეს მხოლოდ მისი სიცუდის, მისი მანკიერების მაჩვენებელი და შედეგია. ცუდი გეშტალტი — ნეგატიური დახასიათებაა აღქმისა.

პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის „უნგეშტალტი" პოზიტიური დახასიათებაა აღქმისა, რადგან გეშტალტურობა ორპოლუსიანი განზომილებაა. გეშტალტ-უნგეშტალტის განზომილებაში უნ-

გეშტალტი მხოლოდ ნაკლულოვან გეშტალტურობას კი არ ნიშნავს, არამედ პოზიტიურად უნგეშტალტურობას. გეშტალტურია ის, რაც გამოყოფილია პერსონის მთლიანობას. უნგეშტალტურია ის, რაც ჩანერგილია პერსონის მთლიანობაში, რაც ჯერ არაა საკუთარი რეალიზაციაქმნილი ერთმნიშვნელოვანად განხორციელებული, არამედ პოტენციურად მრავალმნიშვნელოვანია. აღქმის შემთხვევაში გეშტალტურია ის, რაც ცნობიერად წვდომილია, როგორც პიროვნებისთვის დაპირისპირებული ობიექტური ფაქტი. უნგეშტალტურია ის, რაც ჯერ კიდევ არაა პიროვნებისგან გამოყოფილი, გამოცალკევებული, მისგან დამოუკიდებელყოფილი. „ქუჩის ხმაური, რომელიც გარკვეული სიმორიდან ჩემ ოთახში შემოიჭრება; ქარი, რომელიც გარშემომიქროლავს, ყვავილების სუნი ოთახში, რომელშიც შევდივარ — ყველა ესენი ისევე უდავოდ გრძნობადი აღქმის საგნებია, როგორც უდავოდ არაა „გეშტალტები", რადგან მათ აკლიათ როგორც გარეგანი შემოსაზღვრულობა, ისე შინაგანი დანაწევრებულობა. ასეთი „უნგეშტალტური" აღქმები — როგორც ჩვენი მაგალითები გვიჩვენებს — არავითარ შემთხვევაში მხოლოდ გეშტალტების „გარემოველს" (Umfeld), ფონს არ წარმოადგენს, არამედ განცდის თავისებურ შინაარსებს"[115]. ყველა ამდაგვარი აღქმები სამყაროს ობიექტივაციის დასაწყისში დგას. ასეთი აღქმები ძალიან ახლო დგას შეგრძნების იმ ფაქტთან, რომელიც უკანასკნელ ხანებში იყო დადასტურებული[116] — „პერსონულად ჩანერგილ აღქმასთან, პერსონის საერთო რეზონანსთან გრძნობად შთაბეჭდილებაზე"[117].

შეგრძნება, როგორც უშუალოდ მოცემული წმინდა სახის განცდა, თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთი დიდმნიშვნელოვანი აღმოჩენათაგანია. ამ ფენომენის მნიშვნელობა ფსიქოლოგიისთვის ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ გააზრებული. ეს, ერთი შეხედვით, ფრიად უცნაური გარემოებაა, რადგან ტერმინი „შეგრძნება" უძველესი ფსიქოლოგიური ტერმინია. საქმე ისაა, რომ ამ ტერმინით სულ სხვა ცნება აღინიშნებოდა. შეგრძნება ეწოდებოდა იმ განცდას, რომელიც ელემენტარული ფიზიკური მოვლენის — გამღიზიანებლის —

---

115 1,154.

116 დ. უ ზ ნ ა ძ ე, „აღქმა და წარმოდგენა" თბ., 1926.

117 1,155.

ზემოქმედების შედეგად უნდა წარმოშობილიყო, როგორც ერთ-მნიშვნელოვანი მისი პასუხი. წმინდა სახით მისი არსებობის დადასტურება უკანასკნელი ხანის (1925 წ.) საქმეა. კლასიკური ელემენტარისტული ფსიქოლოგიის მიერ იგი მხოლოდ ნავარაუდევი იყო. მაგრამ ამას არ დაუბრკოლებია ფსიქიკის ჭეშმარიტ ელემენტად მისი აღიარება: აღქმები შეგრძნებათა შეჯამებად იყო გაგებული. აღქმის იმთავითობის, პირველადობის, შეგრძნებებზე დაუყვანადობისა და კიდევ მეტიც: შეგრძნებებისგან გარკვეულ ფარგლებში დამოუკიდებლობის დადასტურების შემდეგ კელევის გეზი შეიცვალა და შეგრძნებამაც დაჰკარგა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. ეს არ ნიშნავს, რომ ფსიქოლოგიას შეუძლია უგულებელჰყოს იგი. ახალი თვალსაზრისით მისი რაობის განჭვრეტა აუცილებელია პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის.

შეგრძნებას, ელემენტარისტული ფსიქოლოგიის აზრით, იწკეებ სამყაროს ელემენტარული მოვლენა, რომელიც გრძნობათა ორგანოების საშუალებით მოქმედებს ფსიქიკაზე. ასეთ ფიზიკურ (უკეთ: სამყაროისეულ) მოვლენას გამღიზიანებელი ეწოდება. გარკვეული რომელიღაც გამღიზიანებელი მუდამ გარკვეულ რომელიღაც შეგრძნებას იწვევს. შეგრძნებათა შეჯამება კი არის აღქმა. გარკვეული რომელიღაც გამღიზიანებელი მუდამ გარკვეულ რომელიღაც შეგრძნებას არ იწვევს, და არც აღქმა არის შეგრძნებათა შეჯამება. ასეთია თანამედროვე ფსიქოლოგიის მონაპოვარი. მაგრამ სამყაროს გამომწვევი ხასიათი და პერსონის რეაქტიულობა ზოგ შემთხვევაში, კერძოდ კი აღქმის შემთხვევაში, ფაქტად რჩება. „მაგრამ გამღიზიანებელი — ვითარცა სამყაროს იზოლაციაქმნილი ე ლ ე მ ე ნ ტ ი — ისევე ხელოვნურია და შეუძლებელიც, როგორც შეგრძნება — ვითარცა პერსონის იზოლაციაქმნილი ელემენტი". თუ გაეითვალისწინებთ იმას, რომ პერსონას სამყაროსთან, როგორც სიტუაციასთან აქვს ურთიერთობა; რომ სიტუაცია — ისევე როგორც პერსონა (ან უკეთ: მისი ცოცხლობა) — მთლიანობითი ხასიათისაა; რომ იგიც — ისევე, როგორც პერსონა — ემორჩილება მომენტების გამოყოფა-ჩანერგვის დიალექტიკას, — მაშინ გამღიზიანებელი გასაგები გახდება, როგორც „სიტუაციაში შედარებით გამოყოფილი ობიექტური მომენტი. ამ გამოყოფის კრიტერიუმი კი პერსონულ მოქმედიანობაში უნდა ვეძიოთ და არა მის ფიზიკალურ ოვისებებში. ამიტომ უფრო მკაფიო ფორმულა ასეთი იქნება: „გამღიზიანებელი"

არის სიტუაციის ისეთი მომენტი, რომელიც პერსონასე გაძომყოფი მოქმედების მეოხებით თითონაც გამოეყოფა მთლიან სიტუაციას". ხოლო ეს ელემენტური ფიზიკური (სამყაროისეული) მოვლენები, რომლებიც ჭეშმარიტი გამღიზიანებლის ანალიზის შედეგადაა დადგენილი და რომლებიც გამღიზიანებლებად იწოდებოდა ელემენტარისტულ ფსიქოლოგიის მიერ — გამღიზიანებლის მომენტებად (Reizmoment) უნდა იქნეს წოდებული.

ისტორიული ღირებულება შეგრძნების ცნებისა სრულიად უდავო და, შეიძლება ითქვას, დაუფასებელია. მთელი კლასიკური ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის რეალურ საყრდენს სწორედ ის ქმნიდა. „უმისოდ შეუძლებელი იქნებოდა ჰელმჰოლცების, ფეხნერების, ვუნდტებისა და სხვათა მიღწევები"[118]. მრავალ მონაპოვართა შორის, რომელსაც ფსიქოლოგიური მეცნიერება და, კერძოდ, პერსონალისტური ფსიქოლოგია უნდა უმადლოდეს ამ ცნებას, ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობის მონაპოვარია ფსიქოფიზიკა, დარგი, რომელიც საგანგებოდ იკვლევდა რაოდენობითს დამოკიდებულების შეგრძნებისას — გამღიზიანებელზე. მოძღვრება შეგრძნების ზღურბლების შესახებ საფუძვლად დაედო პერსონალისტიკის მოძღვრებას ზღურბლების შესახებ, რომელიც პერსონისა და სამყაროს ურთიერთობის კვანტიტეტურ მხარეს იკვლევს. ზღურბლის ცნების მნიშვნელობა პერსონალისტიკისთვის სცილდება არა მარტო შეგრძნების ფარგლებს, არამედ მთლიანად ფსიქიკის ფარგლებსაც, და ვრცელდება პერსონის მთლიან ყოფიერებაზე იქამდე, სანამ სამყაროსთან ურთიერთობას აქვს მნიშვნელობა პერსონის ყოფიერებისთვის.

ამიტომ ზღურბლის პრობლემა პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის არაა სპეციფიკურად დაკავშირებული აღქმის თუ შეგრძნების პრობლემასთან, მაგრამ რამდენადაც აღქმა განცდისმიერი ასახვაა პერსონა-სამყაროს ისეთი ურთიერთობისა, რომელშიც სამყაროა აქტიური (თუ შეიძლება ასე ითქვას), ხოლო პიროვნება — მაქსიმალურად რეაქტიული, ზღურბლის საკითხს განსაკუთრებით ხელსაყრელად ეფინება შუქი. და პირიქითაც: ზღურბლის ცნების გამოყენებით პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის ნათელი ხდება აღქმის მრავალი თავისებურება.

---

[118] 1,148.

ვებერ-ფეხნერის გარე-ზღურბლების ანალოგს პერსონალისტურ სისტემაში მ ო ც უ ლ ო ბ ი ს ზ ღ უ რ ბ ლ ე ბ ი წარმოადგენს, რომლებიც „ნიშნავს იმ ადგილს, სადაც წყდება ობიექტურად განზომილებადი სამყაროს კავშირი პერსონასთან". „ზღურბლის ცნება გასთიშავს „გარემოსამყაროს" — „სამყაროსგან"; რადგან, თუ სამყარო ყოველივე მოცემულის ერთობლობაა, — გარემოსამყარო მისი ის მონაკვეთია, რომელსაც პერსონისთვის აქვს მნიშვნელობა"[119]. მათ გარეთ არსებულ სამყაროს პერსონისთვის არა აქვს მნიშვნელობა, მისი მოქმედება პერსონამდე არ აღწევს და პერსონა მასზე რეაქციას არ იძლევა. მაგრამ ამ საზღვრებშიც სამყაროს ყოველ ობიექტურ მოვლენაზე არ იძლევა პერსონა რეაქციას. რაროდ შეეგუება სამყაროს მდგომარეობას, პერსონა სამყაროს მხოლოდ ისეთ ცვლილებაზე იძლევა რეაქციას, რომელიც დაარღვევს პერსონა-სამყაროს მიმართების „წონასწორობას", ასეთი კი ყოველი ობიექტური მოვლენა არაა, არამედ მხოლოდ ის, რომელიც მოითხოვს შეგუების ახალ აქტს თავისი სასიცოცხლო მნიშვნელოვანობის გამო. ობიექტური სამყაროს ცვალებადობა უწყვეტი თანდათანობით წარმოებს. პერსონის მისდამი შეგუება კი — საფეხურებრივად. და ეი სამყაროს ცვლილების, ანუ გამღიზიანებლის ცვლილების ის ინტენსივობა, რომელიც შეგუების ახალ აქტს მოითხოვს პერსონისგან, რომელიც იწვევს მის რეაქციას, შ ი ნ ა გ ა ნ ზ ღ უ რ ბ ლ ა დ იწოდება.

რამდენადაც აშკარაა პერსონალისტურად გაგებული ზღურბლის ნათესაობა ფეხნერისეულ ზღურბლთან, იმდენადვე აშკარაა განსხვავება ამ ორი ცნების შორის: ფსიქოფიზიკის ზღურბლმა, მაგ., უერაფერი გააწყო აღქმის კონსტანტურობის პარადოქსულ მოვლენასთან. პერსონალისტური ზღურბლის თვალსაზრისით კი — აღქმის მთლიანობითი ხასიათის ნიადაგზე, — სავსებით ნათელია კონსტანტურობის აზრი: საგნის ცვლილება მხოლოდ მაშინ ხდება შესამჩნევი ცნობიერებისთვის, როდესაც ამ ცვლილების შემჩნევას მნიშვნელობა აქვს პერსონისთვის.

ფეხნერის კანონის „დარღვევა" სუსტი და ძლიერი გამღიზიანებლების შემთხვევაში, — პერსონალისტური თვალსაზრისით საესებით კანონზომიერია, რადგან: გარეგანი ზღურბლებით შემოსაზ-

---

[119] 3,191.

ღვრული გარემოსამყარო ჰომოგენური არაა, არამედ მას აქვს შუაგული („ფიზიკალური შინ" Heimat) და პერიფერია („საზღვრული ფაზები"). უკანასკნელი, მართალია, მისაწვდომია პერსონისთვის, მაგრამ მხოლოდ ე. წ. შუაგულშია იგი „შინ", ისაა ნამდვილად მისი სასიცოცხლო არე. აქ ყველაზე მეტად აქვს მნიშვნელობა სამყაროს ცვლილებათა შემჩნევას, და ყველაზე მეტადაც ამჩნევს მათ პიროვნება. პერიფერია კი პიროვნებისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია, იგი უახლოვდება სამყაროს იმ სფეროებს, რომლებსაც საერთოდ აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს პერსონისთვის. აქ — პერიფერიაში — მომხდარი ცვლილებების შემჩნევას ნაკლები სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს პიროვნებისთვის და იგი, მართლაც, ნაკლებად ამჩნევს მათ.

მეხსიერება

ფსიქოლოგიური მასალის განლაგების პრინციპად პიროვნება-სამყაროს ურთიერთობის მიღება ავალებს ავტორს აღქმის შემდეგ მეხსიერების მოვლენები განიხილოს. აღქმაში გ ა რ ე მ ო ს ა მ ყ ა რ ო ს ცნობიერ ასახვასთან გვაქვს საქმე. მაგრამ სამყარო, „პერსონული სამყარო", რომელთანაც კონვერგენცია გვაძლევს პიროვნების რეალურ ყოფიერებას, მხოლოდ გარემოსამყაროთი არ ამოიწურება. გარემოსამყარო ეწოდება ამჟამად მოცემულ სამყაროს, რომელთანაც ურთიერთობაშია პიროვნება. მაგრამ პიროვნება მარტო ამჟამად კი არაა სამყაროსთან ურთიერთობაში, არამედ ყოველ წარსულ მომენტშიც ჰქონდა მასთან ურთიერთობა. პიროვნების მთლიანობა გულისხმობს მისი ერთდროულად არსებული მომენტების ერთიანობასაც და ასეთ ერთიანობათა დროში განფენილი თანამიმდევრობის ერთიანობასაც. პიროვნება დროშიც მთლიანია, გაჩენის წუთიდან მოსპობის წუთამდე. მაგრამ ასეთი რამ მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ წარსული მდგომარეობანი უკვალოდ არ დაიკარგება პიროვნებისთვის. ადამიანის სიცოცხლეში უამრავი ფაქტია, რომელიც სრულიად უეცველად მიუთითებს იმ გარემოებას, რომ წარსული მისთვის უკვალოდ არ ქრება. „მ ე მ ა ხ ს ო ვ ს ის, რაც წინად მომხდარა", ეს სამყოფია იმის დასადგე-

ნად, რომ წარსული უკვალოდ არ გამქრალა, და ასლაც რაღაცნაირად მოქმედებს, რაღაცნაირად მოცემულია. **განცდის — ნამყოფი პირობადებულება**, ესაა მეხსიერების უზოგადესი განსაზღვრება. ისევ და ისევ: თუ განცდა მხოლოდ ცოცხლობის ცნობიერი ასახვაა — თვით ცოცხლობაც უნდა იყოს პირობადებული ნამყოთი. ბიოლოგიამ, მართლაც აითვისა მეხსიერების ფსიქოლოგიური ცნება და განავრცო იგი ცხობიერებისა და მთლიანადაც ფსიქიკის საზღვრებს გაღმა, ორგანიზმის ბიოლოგიურ ყოფიერებაზე. ამ სახეცვლილებით იგი **მნემეს** სახელწოდებითაა ცნობილი და ნიშნავს ნამყო სიცოცხლის შემდეგმოქმედებას აწმყო სიცოცხლეზე. მნემეს გარეშე ფაქტიურად არ არსებობს არცერთი ცოცხალი არსება. მართალია, მნემეს გამოვლინება ბიოლოგიური კიბურის სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვაგვარია (და ეს გარემოებაა იმის მიზეზი, რომ არ შეიძლება, ადამიანის მეხსიერებისგან განსასხვავებლად, ზოგადად ცხოველის მეხსიერების შესახებ ლაპარაკი, არამედ მხოლოდ აი ამა და ამ ცხოველისა კერძოდ) და, ვთქვათ, ამებისა და ადამიანის შემთხვევებში მნემეს გამოვლენა იმდენადაა განსხვავებული, რომ მათი განსხვავების შესახებ უფრო მეტი უფლებით შეიძლება ლაპარაკი, ვიდრე მსგავსების შესახებ; მაგრამ პრინციპულად ამას არა აქვს მნიშვნელობა ამ კონტექსტში. აქ არსებითი მნიშვნელობისაა ის, რომ ამებისაც და ადამიანისაც სიცოცხლე წარსულითაა პირობადებული. პერსონალისტური თვალსაზრისისთვის მნემეს მოქმედება ბიოლოგიის ფარგლებსაც სცილდება და ყოველივე პერსონულ ყოფიერებაზე ვრცელდება. ამიტომ შეიძლება ვილაპარაკოთ ზეინდივიდური პერსონების მნემეს შესახებაც, სულ ერთია, გვარი იქნება ეს (ბიოლოგიურ პლანში განვრეტილი ზეინდივიდური პერსონა), თუ ადამიანთა რაგინდარა გაერთიანება: ოჯახი, ერი, კაცობრიობა (სოციალურ პლანში განვრეტილი ზეინდივიდური პერსონა). მნემეს გამოვლინებაა მემკვიდრეობა, სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით გაგებული: ბიოლოგიურიც—ფიზიკური თუ ფსიქიკური თუ ფსიქოფიზიკური დისპოზიციები (სხეულებრივი, სულიერი ორგანიზაცია, ინსტიქტები) და კულტურულიც (აგრეთვე სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით): ზნე-ჩვეულებანი, ტრადიციები, ფოლკლორი.

პერსონის მიზანთა სისტემაში მნემეს სრულიად გარკვეული ადგილი უჭირავს. იგი ემსახურება პერსონის თვითშენარჩუნების — სახელდობრ შინაარსის შენარჩუნების — მიზანს. პერსონა ცდი-

ლობს საკუთარი შინაარსის, როგორობის დაცვას და სწორედ ესაა მნემე: შინაარსის შენარჩუნება. მეხსიერება აგრეთვე შინაარსის შენარჩუნებაა, მაგრამ მისი ძალაუფლება უკვე მხოლოდ ფსიქიკურ შინაარსებზე ვრცელდება. შინაარსის შენარჩუნება ლოგიკურად პირველი მიზანია პერსონისა. მაგრამ არასოდეს არაა იგი წმინდა სახით, იზოლირებულად მოცემული. პერსონას აქვს სხვა მიზნებიც, რომლებიც სხვა მიმართულებით ამოქმედებს მას. მნემურ მოვლენებში ეს გარემოება საგულისხმო არეკლებას პოულობს: მნემე მხოლოდ იმთავითვე არსებული შინაარსის შენარჩუნებას კი არ ემსახურება, არამედ ახალი შინაარსის შეძენასაც. როგორც შენარჩუნების ტენდენცია — იგი კონსერვაციულია, როგორც ახლის შეძენის ტენდენცია — პროგრესული. მნემეს ბუნების ეს ორმაგობა განუყრელ ერთიანობაშია.

ყოველ მნემურ მოვლენას და, მაშ, კერძოდ მეხსიერების მოვლენებსაც — ორი ფაზა აქვს: პირველია მნემური გაღიზიანების ფაზა, მეორე — მნემური მოქმედებისა.

ამ ორ ფაზას (პრინციპულად) პშორავს მნემური ლატენტური პერიოდი, რომლის ბუნების გარკვევა იყო მუდამ მეხსიერების ფსიქოლოგიის ნამდვილი პრობლემა. ფიზიოლოგიური, თუ ზოგადად ბიოლოგიური თვალსაზრისისთვისაც ამ ლატენტურ პერიოდშია მნემეს პრობლემის სპეციფიკა. ამ მხრივ არაფერია ორიგინალური პერსონალისტურ ფსიქოლოგიაში: მეხსიერების ლატენტური პერიოდის ბუნების გაგება მისთვისაც მეხსიერების კვლევის მთავარი ამოცანაა. მაგრამ ცხადია, რომ ამ პრობლემის გადასაწყვეტად იგი ფიზიოლოგიის „გაკაფულ გზებს" ვერ გაჰყვება და ვერც კვალის ცნებას გაიზიარებს, რომელიც გულისხმობს პერსონალისტური თვალსაზრისით აბსურდული არაცნობიერი წარმოდგენების არსებობას. მას მეხსიერების განხილვა მნემური მოვლენების ფართო მასშტაბით მოუხდება, მაგრამ არც ეს ნიშნავს იმას, რომ ბიოლოგიისაგან ტერმინ მნემესთან ერთად ენგრამის სესხებაც შეეძლოს მას მნემეს ასახსნელად.

მექანისტური შეხედულებების პერსონალისტური თვალსაზრისით განხილვა-დაწუნებას აქ არ შევუდგები, მხოლოდ ერთ ფაქტიურ ვითარებას აღვნიშნავ, რომელიც სათანადოდ გათვალისწინებული არ იყო ამ თეორიების მიერ და რომელიც ხელის შემწყობიცაა პერსონალისტური თვალსაზრისის მართებულობის დასასაბუთებლად ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი სრულიად ადვილი გასაგე-

ბია ამ თვალსაზრისისთვის: მნემური მეორადი მოვლენა, **მ ე ო რ ე ფ ა ზ ა — ა რ ა ს ო დ ე ს ა რ ა ა პ ი რ ვ ე ლ ი ფ ა ზ ი ს ზ უ ს ტ ი გ ა მ ე ო რ ე ბ ა**. ამ გარემოებას შემდეგ დაეუბრუნდები. აქ განხილვას პირველი ფაზიდან დავიწყებთ.

პირველ ფაზაში ხდება პიროვნების მიერ ახალი შთაბეჭდილების მიღება. შეიძლება გვეფიქრა, რომ მნემურ გამღიზიანებლად გვევლინება სამყაროისეული მოვლენა, ის მოვლენა, რომელიც გამღიზიანებლად გვევლინება სენსორიკაში სიტყვის ფართო მნიშვნელობით. მაგრამ, ნამდვილად, სენსორული გამღიზიანებელი — მნემური გამღიზიანებელი არაა, და აი რატომ: მნემური გამაღიზიანებელი ისეთ მოვლენას შეიძლება ეწოდოს და უნდა ეწოდოს, რომელიც მისი აღკვეთის შემდეგაც რაღაცნაირად განაგრძობს პერსონისათვის არსებობას; რომელიც უმრავლეს შემთხვევაში და, მაშ, პრინციპულად—პერსონაზე შემდეგმოქმედებას ამჟღავნებს. ობიექტური სამყარო, რომელიც პერსონამდე პერსონული სამყაროს სახით აღწევს. სახელდობრ კი სიტუაციის სახით, ე. ი. გაერთმნიშვნელოვანებული და სრულად განხორციელებული, — ეს სამყარო ერთხელობრივია, წარმავალია. სიტუაცია უკვალოდ ქრება. მისი, როგორც სიტუაციის, აბსოლუტურად არავითარი კვალი არ რჩება და, მაშ, შეუძლებელია იმ აზრის დაშვება, თითქოს მას შეეძლოს თავისი აღკვეთის შემდეგ მაინც რამენაირად იმოქმედოს პერსონაზე. მისი პრინციპული წარმავლობა, აკუტურობა, — სწორედ ამას გულისხმობს: რაღრმ ერთხელ არსებობდა, იგი აღარასოდეს აღარ იარსებებს თავისი ამგვარობით. სიტუაცია ერთი — სახელდობრ სამყაროსეული— მომენტია იმთავითი, თავდაპირველი მდგომარეობისა, რომელსაც პერსონული პრეზენცი ეწოდება. პრეზენცის მეორე, პერსონული მომენტი კი ცოცხლობა არის. ცოცხლობა პერსონის მთლიანი სიცოცხლის შედარებით გამოცალკევებული, ჩამოყალიბებული, დასრულებული, თავისებური და ამ თავისებურობით განუმეორებელი მონაკვეთია. მაგრამ იგი არაა უკვალოდ წარმავალი. ცოცხლობა კვალს (სიტყვის არა სპეციალური, ერამედ საყოველდღეო მნიშვნელობით) სტოვებს პიროვნებაში. და ეს წარმოადგენს მნემურ ლატენტურ პერიოდს. მნემური მეორე ფაზა ამ კვალის მოქმედების განხორციელებაა.

მნემური მოქმედების გასაგებად აუცილებელია გავიხსენოთ კონვერგენციისა და რეალურისა და იდეური პერსონის ცნებები. იდეური პერსონა (რომელსაც ზოგჯერ პიროვნებას უწოდებს ავტი-

რი) თვითგანვითარების მიზანდასახულობის სრული განხორციელება იქნებოდა, სამყაროსთან კომპრომისის გარეშე, თუმცა ავტორი თვითვე შენიშნავს, რომ ასეთი რამ შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს, რადგან პერსონის ცნება სამყაროსთან ურთიერთობას, ე. ი. „კომპრომისს" გულისხმობს. სამყაროსთან ურთიერთობა კონვერგენციის სახით ხორციელდება და სწორედ რეალური პერსონა არის კონვერგენციის ნაყოფი. „რეალურია პერსონა, ისეთი, როგორც იგი გამოცდილებაში გვევლინება, ვითარცა მისივე საკუთარი მიზანდასახულებისა და გარეგანი გავლენების კონვერგენციის პროდუქტი"[120]. კონვერგენციისა, რომელიც პერსონისა და სამყაროს მიზნისეულ ურთიერთობას ნიშნავს. კონვერგენცია პრეზენცში ხდება. პერსონა თავისი დისპოზიციური ბუნებით ხვდება მრავალი (პოტენციური) შესაძლებლობის მქონე სამყაროს, რომლიდანაც გამოჰკვეთს სიტუაციას. და ამ სიტუაციასთან ურთიერთობის ერთი — სუბიექტური — ასპექტი არის ცოცხლობა. პერსონა, რარომ მას უცოცხლია, ჰქონია ცოცხლობანი — ველარ იქნება ის, რაც ამ ცოცხლობამდე იყო, რადგან თვით მისი დისპოზიციური რაობა იცვლება ცოცხლობათა გავლენით. სწორედ ცოცხლობათა და არა სამყაროს გავლენით. ასე თქმა უფრო ზუსტი გამოხატვაა კონვერგენციის აზრისა, რადგან სამყარო უშუალოდ კი არ მოქმედებს პერსონის დისპოზიციებზე, არამედ — ცოცხლობათა მეშვეობით.

პერსონის მთლიანობაში ცოცხლობის ადგილის აღმოჩენა პერსონალისტური თვალსაზრისით არაა ძნელი. რეალური პერსონაც გასაგებია, როგორც პერსონის მიზანმისწრაფებათა (იდეური პერსონის) და სამყაროს კონვერგენციის პროდუქტი.-მაგრამ საკუთრივ მნემეს პრობლემისთვის ყოველივე ეს ერთგვარ სიძნელეს შეიცავს; ცოცხლობის ამგვარად გაგებიდან გამომდინარეობს, რომ ყოველი რაგინდარა ცოცხლობა პრინციპულად მნემური გამღიზიანებელია. და, მართლაც, „პრინციპულად არცერთი ცოცხლობისთვის არაა აღკვეთილი მნემურ გამღიზიანებლად გახდომის შესაძლებლობა. მაგრამ ფაქტიურად მკაცრი შერჩევა და დასაფეხურება ხდება. პირველად ცოცხლობათა უმრავლესობა მნემური გაღიზიანების ზღურბლის ქვეეით რჩება; მათი შემდეგმოქმედება არაა შესამჩნევი. ზეზღურბლოვანებს კი მნემური მოქმედიანობის სულ სხვადა-

---

[120] 3,20.

სხვა ხარისხი შეიძლება ჰქონდეთ, როგორც ინტენსიობის, ისე ხანგრძლიობის მხრივ. მოქმედიანობის ეს ხარისხი მხოლოდ პირველადი მოვლენის ობიექტურ ძალაზე კი არაა დამოკიდებული, არამედ პერსონულ ფაქტორზე: მნემურ შთაბეჭდილებისუნარიანობაზე"[121]. ხშირია შემთხვევები, რომ კატასტროფული ხასიათის მოვლენა არავითარ შესამჩნევ შემდეგმოქმედებას არ სტოვებს ბავშვში, თუმცა რეაქცია მასზე შეიძლება ძალიან ძლიერი ყოფილიყო. და პირიქით, მოვლენამ, რომელმაც უშუალოდ არავითარი შესამჩნევი რეაქცია არ გამოიწვია, შესაძლებელია ხანგრძლივი და ძლიერი შემდეგმოქმედება იქონიოს. ამ გარემოების ახსნა მხოლოდ მნემური შთაბეჭდილებისუნარიანობით შეიძლება. მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ თვით მნემური შთაბეჭდილებისუნარიანობა? — მხოლოდ და მხოლოდ პერსონული მიზანმისწრაფებულობის პლანში. სიტუაცია, ან სიტუაციის მომენტი თუ მხოლოდ იმდენადაა პერსონისთვის მნიშვნელობის მქონე, რამდენადაც პერსონულ გამღიზიანებელს (ან ქმედობისათვის მასალას) წარმოადგენს, რომელზედაც რეაქციით (ან რომლის მიმართ სპონტანური აქტივობით) ერთხელ და სამუდამოდ ამოიწურება მისი პერსონული ღირებულება; ანუ, უფრო მართებულად და შესატყვისად რომ გამოვთქვა დებულების პერსონალისტური აზრი: თუ რომელიმე ცოცხლობის ღირებულება მის ერთხელობრიობაშია სრულად განხორციელებული — მისი შემდეგმოქმედება ნულზე დაიყვანება, სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით ამგვარი ღირებულების მქონე მხოლოდ ის ცოცხლობა შეიძლებოდა ყოფილიყო, რომელიც აბსოლუტურად იქნებოდა გამოყოფილი პერსონის მთლიანობას. ასეთი რამ კი შეუძლებელია პერსონალისტური თვალსაზრისით. ამა თუ იმ ცოცხლობისთვის მნემურ გამღიზიანებლობაზე უარის თქმა მხოლოდ პირობითად შეიძლება, სხვა ცოცხლობებთან შედარებით. არსებობს ცოცხლობა, რომელსაც მომდევნო სიცოცხლისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. არსებობს ცოცხლობა, რომლის მნიშვნელობა მომდევნო სიცოცხლისთვის ძალიან მცირეა. მაგ., ასო „ანი"-ს (ა) მოხაზულობის მეხსიერებაში აღბეჭდვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი მომდევნო სიცოცხლისთვის და ანის აღქმა მნემურ გამღიზიანებლად იქცევა. მაგრამ განა ყოველთვის? — მცირეწლოვანი ბავშვისათვის იგი შეიძ-

[121] 1,256.

ლება ჯერ კიდევ არ იყოს მნემური გამღიზიანებელი, სავსებით გასაგები მიზეზების გამო. სახელდობრ: მისი უახლოესი მომდევნო სიცოცხლისთვის ანის დამწერლობას არა აქვს მნიშვნელობა. ან კიდევ: კვებას უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, ჩვეულებრივ, ადამიანს არ ახსოვს რა ჭამა გუშინ, რადგან გუშინდელი კვების სიტუაციის პერსონული ღირებულება სავსებით ამოიწურა დანაყრებით. ასეთი დაპირისპირებული მაგალითები უამრავი შეიძლება მოვიტანოთ და ყოველი მათგანი ნათლად გვიჩვენებს ერთი მხრივ იმას, რომ მართლაც არსებობს ფრიად შესამჩნევი განსხვავება ე. წ. მნემური გამღიზიანებლისა და მნემური მნიშვნელობის არმქონე გამღიზიანებლის შორის; მეორე მხრივ კი იმას, რომ არ არსებობს ცოცხლობა, რომელიც აბსოლუტურად მოკლებულია მნემურ მნიშვნელობას.

ამა თუ იმ ცოცხლობის მნემური მნიშვნელობის დადასტურება მხოლოდ, ასე ვთქვათ, რეტროსპექციულად შეიძლება. პერსონული მოვლენა, რომელიც აწმყო ფაქტორებით ვერ აიხსნება, შეიძლება სულ ადვილად აიხსნას ნამყო ცოცხლობათა შემდეგმოქმედებით. ფსიქოანალიზმა ასეთ ახსნაში უდიდეს წარმატებას მიაღწია. მაგრამ იმის დასადასტურებლად, რომ აწმყო პირობადებულია ნამყოთი, ყოველთვის ფსიქოანალიზური მეთოდი არაა საჭირო. ყოველდღიური გამოცდილება უდავოდ გვიდასტურებს ამ გარემოებას. ასე მაგალითად, რაიმეს ცნობა, მოგონება გულისხმობს ნამყოს „შემოჭრას" აწმყოში. ანალოგიურია მდგომარეობა „შეგუების", „ჩვევის", „გავარჯიშების" შემთხვევაში: ნამყოს შემდეგმოქმედება რომ არ ყოფილიყო, არც მოგონება, არც ცოდნა, არც ჩვევა და არც სხვა ამდაგვარი რამ იქნებოდა. ასეთი მოვლენების არსებობა აუცილებელყოფს მეხსიერების არსებობის დაშვებას ფსიქოლოგიაში, მნემეს არსებობისას — ზოგადად ბიოლოგიაში. მეხსიერება ნიშნავს განცდის, მნემე კი — მთლიანად სიცოცხლის პირობადებულობას ნამყოთი.

დადასტურებულია ფაქტი, რომელიც წინადაც აღვნიშნე, რომ შემდეგმოქმედების გამოვლენა, ე. წ. მეორე ფაზა, არასოდეს არაა ზუსტი გამეორება პირველი ფაზისა. მოგონება არასოდეს არაა მიღებული შთაბეჭდილების ზუსტი ასახვა, იგი მხოლოდ გავს მას მეტად თუ ნაკლებად. ამ ფაქტის ახსნა ასოციაციონისტური ფსიქოლოგიისთვის გარკვეულად ძნელი იყო. ამ თეორიის თანახმად, შთა-

ბეჭდილება გადადის არაცნობიერის სფეროში და აქ ინახება ე. წ. არაცნობიერი წარმოდგენის სახით, რომელიც ზუსტი პირია პირველადი შთაბეჭდილებისა და მისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ცნობიერების თვისებას მოკლებულია. ასოციაციონიზმისთვის ასეთი რამ სავსებით შესაძლებელია. მაგრამ ძნელი ასახსნელია ასოციაციონიზმისთვის ის, რომ ცნობიერებაში არაცნობიერი წარმოდგენა უკვე სახეშეცვლილად ამოტივტივდება ხოლმე. პერსონალისტური ფსიქოლოგია უარყოფს არაცნობიერი წარმოდგენების არსებობის შესაძლებლობას. ეს ცნება მისთვის წინააღმდეგობის შემცველია, რადგან წარმოდგენა ცნობიერების ფაქტია. მაგრამ ის გარემოება, რომ წარმოდგენა, რომელშიც ასახულია პერსონის „არა-აქ" და „არა-აწ" (კერძოდ, მოგონების შემთხვევაში — „სხვაგან" და „უწინ") განსხვავებულია იმ ფაქტისგან, იმ მთაბეჭდილისგან, რომელსაც იგი ასახავს; რომ პირველადი მთაბეჭდილება მასში სახეშეცვლილია — ეს გარემოება პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის სრულიად ნათელია.

მნემური მეორე ფაზაც ისევე გამოყოფილი მომენტია პერსონის მთლიანი სიცოცხლისა, როგორც პირველი ფაზა. იგიც ერთ-ერთ ცოცხლობას წარმოადგენს და, როგორც ასეთი, ამქამად მოცემული პერსონის გამოვლენაა: ცოცხლობა ხომ მხოლოდ მომენტია პერსონული განუთიშველი პრეზენციისა, რომელშიც სამყაროც მონაწილეობს და პერსონაც. პრეზენცში მონაწილე პერსონა მხოლოდ „პრეზენტული" პერსონა შეიძლება იყოს, ამგვარი დისპოზიციების, განწყობების (Anlage) და მომართულობების (Einstellung) მატარებელი. ხოლო პერსონის დისპოზიციები და, საერთოდ, მთელი მისი პოტენციური რაობა უცვლელი, მყარი, გაქვავებული არაა მთელი სიცოცხლის განმავლობაში; იგი ნაყოფია ნამყო კონვერგენციებისა.

ამრიგად, პირველი და მეორე ფაზის დამაკავშირებელი შთაბეჭდილების „კვალი" კი არაა (ამ სიტყვის ვიწრო, ტერმინული მნიშვნელობით), არამედ მთლიანი პერსონა, რომელიც ერთხელ მიღებული შთაბეჭდილების (ე. ი. კონვერგენციის ერთი აქტის) გავლენით სხვაგვარი გახდა პირველი ფაზის დროს და მეორე ფაზაში თავის ამ სხვაგვარადყოფნას გამოავლენს. მნემური ლატენტური

პერიოდი დაიყვანება (თუ აიყვანება?!) პერსონის პოტენციურ მდგომარეობაზე. ეს ვითარება გასაგებად ხდის მოგონების — და ზოგადად მეორე ფაზის — განსხვავებულობას პირველი ფაზისაგან. იმისთვის, რომ მეორე ფაზა აბსოლუტურად მსგავსი იყოს პირველი ფაზისა, საჭიროა პერსონა აბსოლუტურად უცვლელი იყოს მთელი მნემური მოქმედების განმავლობაში: პირველი ფაზის დაწყებიდან მეორე ფაზის დასრულებამდე, ლატენტური პერიოდის ჩათვლით, რაც სინამდვილეში შეუძლებელია.

მეორე ფაზის განსხვავება პირველი ფაზისაგან პერსონის დროში — ცვლილებადობით არის პირობადებული. ამ განსხვავების ხასიათი პირობადებულია, ზოგადად, პერსონის მიზანმისწრაფებულობით: მეორე ფაზა მიზნის მიერ ასიმილაციაქმნილი და სახეშეცვლილი პირველი ფაზაა.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ მნემური პირველი ფაზა ანუ მნემური გამღიზიანებელი ცოცხლობაა. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ცოცხლობა შეიძლება აქტიური ხასიათისაც იყოს და არა მარტო რეაქტიულისა. მნემური ლატენტური პერიოდი გამღიზიანებლის გაელენით სახეცვლილი პერსონის დისპოზიციური მდგომარეობაა. მნემური მეორე ფაზა, ანუ მნემური შემდეგმოქმედება — ამგვარად სახეშეცვლილი პერსონის ცოცხლობაა.

ლატენტური პერიოდის იობიექტური ხანგრძლიობა სულ სხვადასხვა შეიძლება იყოს. თუ იგი თავისუფალია სხვა ცოცხლობათაგან — უშუალო მნემესთან გვაქვს საქმე: ხოლო თუ სხვა ცოცხლობებითაა შევსებული — გაშუალებულ მნემესთან.

ფსიქიკური ფენომენების კლასიფიკაციას დაბრკოლებად ეღობება ზოგი ისეთი მოვლენა, რომელიც აღქმისა და მეხსიერების მოვლენებს შორის გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს. ასეთია ე. წ. მ ო მ დ ე ვ ნ ო კ ვ ა ლ ი, რომელიც სრულიად დამაკმაყოფილებლად აიხსნება ფიზიოლოგიური მოვლენებით გრძნობის ორგანოში; — შემდეგ საფეხურზე დგას ე ი დ ე ტ უ რ ი ხ ა ტ ი. მომდევნო კვალისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ხატის განცდის მომენტი შეიძლება ძალიან დიდი დროითი ხარვეზით იყოს დაშორებული გრძნობადი გამღიზიანებლის მოქმედების მომენტს. მაგრამ, ამის მიუხედავად, ეიდეტურ ხატს იმდენი რამ აქვს საერთო აღქმასთან, რომ შეუძლებელია იგი უბრალოდ მეხსიერების ფენომენების ჯგუფს მივაკუთვნოთ. ამ ფენომენის დაწვრილებით დახასიათება აქ

არაა საჭირო. უნდა აღინიშნოს მხოლოდ ის გარემოება, რომ სუბიექტმა თითქმის ყოველთვის იცის, რომ ობიექტურად ეიდეტური ხატის საგანი არაა ამჟამად მოცემული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეიდეტურ ხატში, თავისთავად, არაა მოცემული აწმყოსა და ნამყოს გათიშვა; იგი არც მეხსიერების ფენომენების ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს და არც აღქმის ფენომენებისას. იგიც უსათუოდ ერთ-ერთი გარდამავალი საფეხურია აღქმის და მეხსიერების ფენომენებს შორის. მესამე საფეხურია ე. წ. „უშუალო მჩნევა". მჩნევის მაგალითია რაიმე მარტივი დავალების შესრულება. ჩვენ არ გვჭირდება დავალების გახსენება, არამედ უშუალოდ გვახსოვს იგი- ან: საბონემენტო წიგნში ტელეფონის ნომერს კი არ ვიხსომებთ — ვამჩნევთ; დარეკვისას არ გვჭირდება მისი გახსენება, იგი უშუალოდაა მოცემული. უშუალო მჩნევის ფაქტია ყოველი დროითი გეშტალტის აღქმა: სიტყვის, მელოდიის, რიტმის და სხვა.

ზოგადად ყველა ამ გარდამავალი საფეხურის დამახასიათებელი ისაა, რომ განცდა განაგრძობს არსებობას გამღიზიანებლის ობიექტურად აღკვეთის შემდეგ, ისე, რომ თვით განცდაში არაა მოცემული ობიექტის არყოფნა, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, სუბიექტმა იცის, რომ ობიექტურად საგანი მისი განცდისა აღარ არსებობს (ეს არ ითქმის მომდევნო კვალის შესახებ).

პერსონალისტური თვალსაზრისით, უშუალო მეხსიერების ბუნება ადვილი გასაგებია. დროის პერსონულ განზომილებას აქვს ამოსავალი პუნქტი — აწმყო. პერსონული აწმყო დროში განფენილია; მას ხანიერება აქვს; მასში ჯერ კიდევ არაა განწვალებული ნამყო, აწმყო და მყობადი. ეს განწვალება მომდევნო განვითარების საქმეა. დროითი გეშტალტების აღქმა შეუძლებელი იქნებოდა, ასეთი განუწვალებელი, იმთავითი, პირველადი აწმყო რომ არ არსებობდეს. სიტყვის, რიტმის, მელოდიის აღქმა მხოლოდ იმიტომაა შესაძლებელი, რომ ისინი ეტევიან პერსონულ აწმყოს შუაგულში, რომელსაც განცდის ჟამი შეიძლება ეწოდოს (Zeithof). უშუალო მეხსიერების ყოველი ფორმა განცდის ჟამის ფარგლებში ეტევა: პირველიცა და მეორე ფაზაც მასშია მოთავსებული; მასშივე, მაშასადამე, მოთავსებული ე. წ. „ლატენტური პერიოდიც".

უშუალო მეხსიერების პერსონული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი შესაძლებელჰყოფს შთაბეჭდილების ამოწურვას და ამით პერსონის მიერ მის შესისხლხორცებას, მომდევნო სიცოცხლეში მის უკეთ გამოსაყენებლად.

ვინაიდან მნემე პერსონის თვითშენარჩუნებას ემსახურება, ამიტომ მისი მოქმედება პერსონის სიცოცხლის ყოველგვარ გამოვლინებაზე ვრცელდება.

მეხსიერების კანონზომიერებათა კვლევა, ისტორიულად, ცნობიერების სფეროში დაიწყო და განვითარდა. მნემეს ცნება შედარებით გვიანი მონაპოვარია მეცნიერებისა და მეხსიერების ცნების გავრცელებას წარმოადგენს ბიოლოგიის ფართო სფეროზე. ცნობიერების ფსიქოლოგია კი საკუთრივ მეხსიერების კვლევით კმაყოფილდებოდა და მისი მოვლენების ახსნას საკუთარი შინაგანი კანონზომიერებით ლამობდა. წარმოდგენათა ასოციაციის ცნება, რომელიც საფუძვლად დაედო ასოციაციონისტურ სისტემას, უწინარეს ყოვლისა, მეხსიერების მოვლენებში პოულობს გამოყენებას და — რამდენადაც შეიძლება მისი მართებულობის შესახებ ლაპარაკი — გამართლებასა და დასაბუთებას.

პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის, ცხადია, წარმოდგენათა ასოციაცია ვერ იქნება ფსიქიკურ მოვლენათა ახსნის პრინციპი, მაგრამ იგი ანგარიშს უწევს წარმოდგენათა ასოციაციას, როგორც ფაქტს.

„ასოციაცია არის ფსიქიკური შინაარსების კავშირი, რომელიც იმაში მეღავნდება, რომ ერთი შინაარსის აღმოცენებას მეორე შინაარსის აღმოცენების მაღალი ხარისხის მზაობა ახლავს. ამ აზრით, ასოციაციის ცნება თანამედროვე ფსიქოლოგიაში არა მარტო გამართლებულია, არამედ აუცილებელიცაა, და სრულიად უსაფუძვლოა ზოგი თანამედროვე მკვლევარის სურვილი მეცნიერულ მეტყველებიდან მისი სრულიად განდევნისა"[122]. ასეთი კავშირი იმ შინარსებს შორის მყარდება, რომლებიც პირველ ფაზაში ან თანადროულად, ან თანამიმდევრულად იყო მოცემული. ამის მიხედვით განასხვავებენ სიმულტანურსა და სუქცესიურ ასოციაციებს. მაგრამ ბევრად უფრო დიდმნიშვნელოვანია განსხვავება ინტრა-ასოციაციებისა და ინტერ-ასოციაციებს შორის. პირველი არის „წევრთა მიმართება იმთავითს განცდის-მთლიანობაში". აქ წევრთა შორის კავშირის დამყარება არაა საჭირო, იგი იმთავითვე, პირველადს მოვლენაშივეა „დამყარებული". ასე, მაგალითად, მელოდიის ტონებს შორის არაა საჭირო კავშირის დამყარება: თუ მელოდია, როგორც მელოდია, ე. ი.

---

[122] 1,296.

როგორც მთლიანი გეშტალტი აღიქვამს, შემდეგში მისი პირველი ტონების მოსმენას მომდევნო ტონის წარმოდგენა მოჰყვება. აქ იგივე პრინციპი მოქმედებს, რომელიც გეშტალტების აღქმაში გეშტალტის დასრულებულობად არის ცნობილი; მაგრამ აქ იგი მთლიანობის თვალსაზრისით კი არ განიხილება, არამედ გეშტალტის მომენტებისა და მათი ურთიერთმიმართების თვალსაზრისით.

ინტრა-ასოციაციები კი ისეთ შემთხვევებს ეწოდება, როდესაც რაიმე წარმოდგენა მეორე წარმოდგენას იწვევს არა იმიტომ, რომ პირველადს მნემურ მოვლენაში ისინი შინაგანად იყვნენ დაკავშირებული, არამედ იმიტომ, რომ ისინი მხოლოდ დროში იყვნენ დაკავშირებული. მაგალითად, უცხო ენის შესწავლისას, დედაენის სიტყვა და უცხო ენის სიტყვა ინთავითს მთლიანობას არ ქმნიან, არამედ მხოლოდ შემდეგში უკავშირდებიან ურთიერთს.

პერსონალისტური გაგება ასოციაციებისა არსებითად განსხვავდება ელემენტარისტული გაგებისაგან. უკანასკნელისათვის იგი წარმოდგენათა მიმდინარეობის შინაგანი კანონზომიერებით იყო განსაზღვრული. პირველისთვის იგი პიროვნების კანონზომიერებას ემორჩილება; და რამდენადაც პიროვნების კანონზომიერება მიზნისეულია, ასოციაციაც მხოლოდ პიროვნების მიზნებთან მიმართებაში შეიძლება იქნეს გაგებული. პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის გასაგებია, რომ დროში თანხვედრა, თუნდაც ძალიან ხშირი, არაა საკმარისი ასოციაციური კავშირის დასამყარებლად ორი ფსიქიკური შინაარსის შორის. ასოციაცია უსათუოდ აზრის მქონეა პერსონისთვის: გეშტალტის მომენტები იმიტომ უკავშირდება ურთიერთს, რომ პერსონისთვის სწორედ გეშტალტს აქვს მნიშვნელობა, როგორც აზრიან მთლიანობას. გასაგებია შერჩევა განზრახი დასწავლისასაც (მაგალითად, უცხო სიტყვის დედაენის სიტყვასთან დაკავშირება). მაგრამ არის ასოციაციები, რომლების პერსონული მნიშვნელობა ასე თვალსაჩინო არაა და მეტიც: რომლებიც პერსონის მიზნებისადმი გარკვეულად საზიანონი ჩანან. აქ შეიძლება ერთგვარ „გადმონაშთებთან" გვქონდეს საქმე: ასოციაცია დღეს საზიანოა, მაგრამ უწინ მას დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა პერსონისთვის. მაგრამ, „უაზრო" ასოციაციების ინტერპრეტაციისთვის კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებას, რომ „პერსონული მნიშვნელობა" არ ნიშნავს პოზიტიურ, რაციონალურ მიზ-

ნისეულობას. „წარმოდგენათა გარკვეულ კავშირებს განსაკუთრებული პერსონული მნიშვნელობა, შესაძლებელია, სწორედ იმიტომ ენიჭებოდეს, რომ ისინი „აზრისსაწინააღმდეგონი“ არიან, რომ მათში დარღვეულია პერსონული წონასწორობა, შერყეულია პერსონული ზედაპირი: „აზრის-საწინააღმდეგობა“ უაზრო მექანიკა არაა; იგიც პერსონული (სახელდობრ, ნ ე გ ა ტ ი უ რ ი პერსონული) მნიშვნელობაა“[123].

ამრიგად, პერსონალისტური ფსიქოლოგიისათვის, წარმოდგენების (და, ზოგადადაც, მნემური პირველადი მოვლენების) დაკავშირების ჭეშმარიტი პრინციპი პერსონის მიზანმისწრაფებულობით პირობადებული და განსაზღვრული შთაბეჭდილებისუნარიანობაა მნემურ გამღიზიანებელთა კავშირების მიმართ.

რითიღაა განსაზღვრული ასოციაციის მეორადი მოვლენა, თვით გ ა მ ო წ ვ ე ვ ა ერთი წარმოდგენისა მეორე წარმოდგენის მიერ?

ასოციაციონისტური ფსიქოლოგიისთვის ეს საკითხი საგანგებოდ არც დგას: მტკიცე კავშირი ელემენტებისა უზრუნველყოფს ასოციაციის ერთი წევრის აღმოცენებისას მეორე წევრის აღმოცენებასაც, და ეს ბით მეტად, რაც უფრო მტკიცეა კავშირი მათ შორის. კავშირის სიმტკიცე კი, ძირითადად, თანხვედრის სიხშირითაა განსაზღვრული. პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის არც კავშირის გასამტკიცებლადაა სამყოფი ხშირი თანხვედრა, არც მტკიცე კავშირის ერთი წევრის განახლებაა თავისთავად სამყოფი მეორე წევრის გამოსაწვევად. ასოციაციის მეორადი მოვლენა დისპოზიციურადაა პირობადებული: „განცდის, რომელიც უწინ დამყარებულ ასოციაციას ეკუთვნის, პერსონამ უნდა დაახვედროს შ ი ნ ა ა რ ს ო ბ ლ ი ვ ა დ მ ი მ ა რ თ უ ლ ი მ ზ ა ო ბ ა (დაყოფა ჩემია—ერ. ა.), რომ შესაძლებელი გახდეს ასოციაციის მნემური განახლება ასეთ შინაარსობლივად მიმართულ მზაობის „განწყობა“ (Einstellung) ეწოდება“. „განწყობა“ პერსონული მზაობაა, რომელიც თუმცა მთლიანად (im Ganzen) რაიმე შინაარსეული სფეროსადმია მიდრეკილი, მაგრამ—როგორც დისპოზიცია — ჯერ კიდევ მრავალმნიშვნელოვანი და პოტენციურია. ამ სფეროს ცალკეული განსაზღვრული შინაარსის აქტივაციისთვის იგი აკუტურ სტიმულს საჭიროებს, რომელიც შეიძლება მისცეს მას რაიმე გრძნობამ, შთაბეჭდილებამ, ან საიდანმე ამო-

[123] 1,301.

ტივტივებულმა წარმოდგენამ[124] (გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია აქვე გამახვილებული იქნეს ყურადღება იმის მიმართ, რომ ე. შტერნისეული „განწყობის" შინაარსი არსებითად განსხვავებულია დ. უზნაძისეული ომონიმური ტერმინის შინაარსისგან). ასეთი თვალსაზრისი აადვილებს ასოციაციური მეხსიერების მრავალი ისეთი მოვლენის გაგებას, რომელიც ასოციაციონიზმისთვის განსაკუთრებით დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა და ფაქტიურად, აპერცეფციისა და კონსტელაციის მოშველიების მიუხედავად, გადაულახავი დარჩა. ასოციაციონიზმისთვის ასოციაცია მხოლოდ გამოცდილების შედეგი შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან ასოციაციის მიმდინარეობა მისთვის წარმოდგენების სიცოცხლის გამოვლენა იყო, წარმოდგენა კი მხოლოდ გამოცდილების პროდუქტი შეიძლებოდა ყოფილიყო. წარმოდგენა ასოციაციონიზმისთვის აღქმის ასლი იყო, აღქმისგან უსათუოდ განსხვავებული, მაგრამ მხოლოდ იმდენად განსხვავებული, რამდენადაც ასლი შეიძლება განსხვავებული იყოს დედნისგან.

პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის წარმოდგენა სულ სხვა რამაა, ვიდრე აღქმის ასლი. ასეთი რამ კიდევ შეიძლება მომდევნო კვალის შესახებ ითქვას, მაგრამ ის ხომ არც ითქმის წარმოდგენად! წარმოდგენა არის აქ და ახლა „არა-აქ" და „არა-ახლა"-ს განცდა კონკრეტული სახით. წარმოდგენის პერსონული მნიშვნელობა და მნიშვნელოვანება ისაა, რომ იგი ათავისუფლებს პიროვნებას აწმყოს ბორკილებისგან. იქ, სადაც პერსონის ყოფიერება აწმყოთი ამოიწურება, — სიცოცხლის ვიტალურ მოდუსში — წარმოდგენას არა აქვს ადგილი. მხოლოდ სამყაროსთვის დაპირისპირება ქმნის წარმოდგენის აღმოცენების შესაძლებლობას. თუ წარმოდგენა ზოგადად „არა-აქ" და „არა-ახლა"-ს კონკრეტული სახით განცდაა, უნდა განვასხვავოთ წარმოდგენები იმის მიხედვით, თუ „არა-აქ" და „არა-ახლა"-ს რომელი სახეობის განცდაა იგი: ნამყოსნ, მყობადის თუ დროითი მიმართებისგან თავისუფალისა. მეხსიერების შემთხვევაში საქმე ნამყოსადმი მიმართულ წარმოდგენებთან, ანუ ე.წ. „მეხსიერების წარმოდგენებთან" გვაქვს.

მეხსიერების წარმოდგენა აღქმის (მნემური პირველადი მოვლენის) შემდეგმოქმედებაა (მნემური მეორადი მოვლენა) წარმოდ-

[124] 1,303.

გენისა და აღქმის ფაქტიურ განსხვავებას ადასტურებს ყოველი მკვლევარი, მაგრამ პერსონალისტური თვალსაზრისისთვის ეს განსხვავება შემთხვევითი გარემოება კი არაა, არამედ პრინციპულადაა აუცილებელი და აი რატომ: პერსონის ყოველი გამოვლენა პერსონული პრეზენციის ასახვაა: ყოველ წარმოდგენაში ცნობიერად ასახულია აქ-მყო და აწ-მყო პერსონის ცოცხლობა, რომელიც (მეხსიერების წარმოდგენის შემთხვევაში) განსაკუთრებული სიცხადით ნამყოთია პირობადებული. მნემური პირველი ფაზიდან — შთაბეჭდილების მიღებიდან — დაწყებული მნემურ მეორე ფაზამდე, — წარმოდგენის აღმოცენებამდე — პერსონას განვითარების გარკვეული გზა გაუვლია, გარკვეული ცვლილება განუცდია და მეორე ფაზის მომენტში იგი სხვაა. ვიდრე პირველი ფაზის მომენტში იყო. ამიტომ არ შეიძლება, რომ მისი რაიმე გამოვლენა იდენტური იყოს ოდესღაც ყოფილი პერსონის გამოვლენისა. წარმოდგენის შინაარსის შესწავლა ნათელჰყოფს აღქმასთან შედარებით მისი ცვლილების მიმართულებას: ეს ცვლილება პერსონულ მიზანთა შესატყვისად ხდება.

ასოციაციონიზმის მოსაზრება აღქმისა და წარმოდგენის განსხვავებულობის შესახებ არ გამართლდა: წარმოდგენა არაა ნაკლები ინტენსიობის მქონე აღქმა. „ის, რაც აღქმასთან შედარებით აკლია წარმოდგენას, ინტენსიობის ხარისხის კი არაა, არამედ ის განსაკუთრებული ნიშანი, რომელიც აღქმის შემთხვევაში „თვალსაჩინოებად"[125] ანუ „ევიდენტობად" აღვწერეთ[126].

წარმოდგენის არა-ერთმნიშვნელოვანება შესაძლებლობას იძლევა წარმოდგენა უფრო ღრმად იქნეს ჩანერგილი პერსონის მთლიანობაში, ვიდრე აღქმა; უფრო მეტი მონაწილეობა მიიღოს პერსონის მუდმივს ცვალებადობაში. წარმოდგენა სხვა აზრით მეკუთვნის მ ე, ვიდრე სიტუაციასთან მტკიცედ დაკავშირებული აღქმა; იგი ისე მკაფიოდ არ გამოეყოფა პერსონულ სხვა შინაარსებსა და მოვლენებს, არამედ უფრო მტკიცეულია მათში ჩანერგილი და სწორედ თავისი მრავალმნიშვნელოვანობის მეოხებით სულ სხვაგვარად შეუძ-

---

[125] 1, 146: „აღქმაში თუ კონკრეტული მოცემულობის უშუალობას გავუსვამთ ხაზს: „ერთბაშად და ერთხელ და ერთმნიშვნელოვნად მოცემულობას", — მას „თვალსაჩინოება" (ანუ პვრეტა — Anschaunung) უნდა ეწოდოს".

[126] 1,288—289.

ლია მიიღოს მონაწილეობა პერსონის მრავალფეროვანსა და მუდამ ცვალებადს სიცოცხლეში[127].

მოგონების წარმოდგენაში ფენომენურადაა მოცემული ნამყოთი მისი პირობადებულობა, მაგრამ არაა და არც შეიძლება ფენომენურად იყოს მოცემული მისი განსხვავება იმ „დედნისაგან" რომლის ასახვაც მოგონების დანიშნულებას შეადგენს.

უშუალო მეხსიერებაში აწმყო და ნამყო არაა გათიშული. ცნობიერებაში, განცდაში ნამყოსადმი მიმართებულობა კი არაა მოცემული, არამედ მხოლოდ ობიექტისადმი მიმართებულობა, რაც ყოველგვარი განცდის კონსტიტუციური ნიშანია და, ამიტომ, არ შეიძლება მეხსიერების დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშნად ჩაითვალოს. უშუალო მეხსიერება მეხსიერების უდაბლესი ფორმაა; ნამყოთი პირობადებულობა მისი შინაარსებისა მხოლოდ ობიექტურად შეიძლება იქნეს დადგენილი, სუბიექტურად კი იგი არ განიცდება. ეს, განსაკუთრებით, სრული უფლებით მომდევნო კვალის, უშუალო მჩნევის, და პერსეევერაციის შესახებ ითქმის.

მეხსიერების დაბალი ფორმებისგან უმაღლესი ფორმის განმასხვავებელი ერთ-ერთი არსებითი ნიშანი არის წარმოდგენის საგნის მიკუთვნება ნამყოსადმი, და მისი სწორედ როგორც ნამყოსი განცდა — „ტემპორალიზაცია" წარმოდგენისა. ეს უაღრესად მარჯვე და ნაყოფიერი ცნება იმ ვითარებას გამოხატავს, რომ სუბიექტი უშუალოდ განიცდის ცნობიერების შინარსის ნამყოთი პირობადებულებას, იმას, რომ ის, რაც მას აქ და ახლა მოცემული აქვს წარმოდგენის სახით, ოდესღაც აღქმის სახით ჰქონდა განცდილი. მოგონების წარმოდგენები განსხვავდებიან ერთმანეთისგან ტემპორალიზაციის სიზუსტის ხარისხით: ზოგჯერ სუბიექტი განიცდის მხოლოდ „ოდესღაც ყოფილობას" წარმოდგენის საგნისას, ზოგჯერ კი მის „მაშინ ყოფილობას". ტემპორალიზაციის დაზუსტება მოგონების განვითარების ფუნქციაა. განვითარების დაბალ საფეხურებზე, როგორც ონტოგენეზში ისე ისტორიაში, ტემპორალიზაცია „ოდესღაც" ყოფილობის დადგენით კმაყოფილდება. „ზღაპრისა თუ თქმულების „ეს იყო ოდესღაც"-ის მსგავსად აქაც აკლია ქრონოლოგიური ერთმნიშვნელოვანება". მაგრამ განვითარების მაღალ საფეხურზე შესაძლებელი ხდება პირველადი შთაბეჭდილების ზუსტი თარიღის დადგენა. და „როდესაც ადამიანი

---

[127] 1,289.

შესძლებს ასეთ ზუსტ ტემპორალიზაციას, იგი გადადის პერსონული ზღაპრული ეპოქიდან პერსონულ ჭეშმარიტ ისტორიულობაში და ზეპერსონულ მატიანეს ეზიარება"[128]. ამრიგად, ზუსტად ტემპორალიზაციაქმნილი წარმოდგენა უმაღლესი საფეხურია ნამყოთი პირობადებული პერსონული აწმყო-ყოფიერების განცდისეული ასახვისა. მოგონების პერსონული აზრი ორმაგი პოლარულობით არის განსაზღვრული: პერსონა (სამყარო და ნამყო) აწმყო.

„მოგონება პერსონის განცდილი ისტორიაა. მაგრამ პერსონის ისტორია მის ირგვლივ მყოფ სამყაროს ისტორიასთან მჭიდრო ურთიერთზემოქმედებაში მიმდინარეობს; საკუთარი ქმნადობა და ცვალებადობა, და გარეგანი მოვლენები და სიტუაციები უკავშირდებიან ერთმანეთს, რათა პერსონის სიცოცხლის მიმდინარეობას კონკრეტული ფორმა, — ხოლო ამ მიმდინარეობის შესახებ მოგონებას — შინაარსი მისცენ"[129].

ნამყო (აწმყო პოლარულობის შესახებ უკვე ვილაპარაკე). პერსონა სამყაროს. პოლარულობა მოგონებაში შემდეგში ვლინდება: როგორც ყოველი განცდა, მოგონების წარმოდგენაც პერსონისა და სამყაროს გათიშვას ასახავს. მასში ასახულია (აწმყო) პერსონის დაპირისპირება (ნამყო) სამყაროსთვის. მასში ერთი მხრივ პერსონაა განთავისუფლებული ნამყო სამყაროსგან, მეორე მხრივ კი, პირიქით, ნამყო სამყაროა განთავისუფლებული პერსონისგან. ამის დეკლარაციას მხოლოდ პრინციპული მნიშვნელობა აქვს. საკითხი დგება და რჩება იმის შესახებ, თუ რამდენადაა ფაქტიურად განხორციელებული ეს განთავისუფლება. წარმოდგენაში ასახული ნამყო ნამდვილად ობიექტური ნამყოა? ამ კითხვას ზევით ვუპასუხე*: წარმოდგენა, პერსონალისტური თვალსაზრისით, არცაა და არც შეიძლება იყოს აღქმის ზუსტი პირი. და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თვით აღქმაში ობიექტური სამყარო პერსონული სამყაროს სახით აისახება და არა ნამდვილი ობიექტური როგორობით, მაშინ გასაგები გახდება, თუ რამდენად განსხვავდება მოგონების წარმოდგენა იმისგან, რასაც იგი უნდა ასახავდეს. ვ. შტერნის მიერ წარმოებულმა კვლევამ ჩვენებათა ფსიქოლოგიის დარგში სრულიად უდავოდ დაადასტურა, რომ სრული 100 %-ით წარმოდგენა არასოდეს

---

[128] 1,340.

[129] 1,338.

* იხ. გვ. 115.

არ გვაძლევს აღქმის შინაარსის გამეორებას. მრავალ ფაქტორთა შორის, რომელნიც პირობასდებენ აღქმისგან მოგონების ვანსხვავებას, ჩემთვის აქ მხოლოდ საკუთრივ პერსონული ფაქტორია საგულისხმო, რომლის შესახებ ზემოთ უკვე ვთქვი, რაც საკმარო იყო.

მეხსიერება არ ამოიწურება განხილული ფორმებით: უშუალო მეხსიერებით და მოგონებით. ყოველივე ფსიქიკურის ნამყოთი პირობადებულება მეხსიერების სფეროში შედის. და შეიძლება ითქვას, რომ მეხსიერების პლანში ყოველი ფსიქიკური მოვლენა შეიძლება იქნეს განხილული, რომელსაც კი ადგილი აქვს პიროვნების ყოფიერებაში. შეგუების, შეჩვევის, გავარჯიშების და ცოდნის ყოველი ფაქტი — მეხსიერების ფაქტია. მე აქ მხოლოდ ზოგადად ვეეცდები პერსონალისტური თვალსაზრისით მათი ადგილის აღნიშვნას პერსონის ყოფიერებაში. ამ თვალსაზრისის თანახმად, ყოველი ცოცხლობა მთლიანპერსონული ყოფიერების მომენტია. ეს ნიშნავს, რომ ყოველ ცოცხლობაში მყისთანად მოცემული პერსონა — მისი აკუტური მდგომარეობა — თავისებური და განუმეორებელია. მეორე მხრივ კი ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი ცოცხლობის შ ე მ დ ე გ პერსონის პოტენციური, დისპოზიციური მდგომარეობა შეცვლილია. ე. ი. პრინციპულად ყოველი ცოცხლობა მნემური გამღიზიანებელიცაა და მნემური შემდეგმოქმედებაც; ამას ნიშნავს პერსონის დროში ერთიანობა. მოგონების წარმოდგენა პოლარული სფეროა პერსონის მთლიანობიდან მნემური მოქმედების გამოყოფილობისა. მისი საწინააღმდეგო — პერსონის მთლიანობაში ჩანერგილობის პოლარული სფერო ვიტალურ პლანში — ჩვევაა, ცნობიერების პლანში — ცოდნა. საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ ორივე სფერო, ისე როგორც მრავალი მათ შორის მდებარე გარდამავალი საფეხური, მნემეს ჰომოგენური მოქმედების სახეობას ეკუთვნის. მართალია, ეს სახეობა მთავარი სახეობაა მნემური მოქმედებისა, მაგრამ ფსიქიკურ მოვლენათა განხილვის სისრულისთვის უნდა ყურადღებულ იქნეს მისი მეორე სახეობაც — ჰეტეროგენული მოქმედებისა. უკანასკნელის ყველაზე უფრო მკაფიო მაგალითია ის ავადმყოფური მოვლენები, რომლებშიც არაცნობიერი მნემური გამღიზიანებელი ცნობიერ მნემურ შემდეგმოქმედებას იწვევს. ეს ის მოვლენებია, რომლებიც ფსიქოანალიზის კვლევის მასალას შეადგენს.

ცოდნისთვის, მოგონებისაგან განსხვავებით, დამახასიათებელია ის, რომ მისი შინაარსი არაა ტემპორალიზაციაქმნილი; იგი, რო-

გორც განცდა, ინდიფერენტულია ტემპორალიზაციის მიმართ. შეიძლება ადამიანმა იცოდეს არა მარტო, ვთქვათ, რომელიმე სიტყვა, არამედ ისიც, თუ როდის შეიძინა, როდის ისწავლა ეს სიტყვა, მაგრამ უკანასკნელი გარემოება შემთხვევითია, და არსებითად სრულიად უმნიშვნელოა ცოდნის რაობისთვის. თუ მოგონება (სახ. არსებითი) პიროვნების სიცოცხლის ისტორიის ცნობიერი ასახვაა, ცოდნა (სახ. არსებითი) — გაცნობიერებული ნაწილობრივი შინაარსია პერსონული მდგომარეობისა. ნაწილობრივი შინაარსი ან მეტად, ან ნაკლებად შეიძლება იყოს გამოყოფილი პერსონის მთლიანობას. ჩვეულებრივ, ცოდნის მასალა მაქსიმალურად გამოყოფილი შინაარსია ხოლმე და ამის წყალობით მაქსიმალურადაა ჩამოყალიბებული. ზეპირად ნასწავლი ლექსი, მაგალითად, მაქსიმალურად გამოყოფილია პერსონის მთლიანობას და თვით სიტყვაშიც კი „ზ ე პ ი რ ა დ" (ისევე როგორც გერმანულ „aus-wendig"-ში) გამოსჭვიეის ეს მისი ზედაპირულობა. ამისთვის დასაპირისპირებლად ე. შტერნი ქმნის ცნებას Inwendiglernen: ცოდნის ისეთი სახით შეძენას, რომ ეეღარ ხერხდება მისი გამოყოფა პიროვნების მთლიანობიდან შედარებით დამოუკიდებელი გეშტალტის სახით. ამგვარი „შინაგანად სწავლის" ნიმუშად ე. შტერნს მოჰყავს ვინმე მსახიობის სიტყვები: „ნამდვილი მსახიობი საერთოდ არ სწავლობს როლებს. იგი იძირება (versenkt-sich) როლში—და უკვე იცის იგი"-ო, და თუმცა თითონვე აღიარებს გამოთქმის გადაჭარბებულობას და მის უმართებულობას სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, მაგრამ მაინც სწორედ მსახიობებისთვის („რეპროდუქციამყოფელ ხელოვანთათვის") დამახასიათებლად სთვლის ამგვარ შინაგან დასწავლას. „შინაგანი დასწავლის" არსი ტრანს-პერსონული მასალის შ ე-თ ვ ი ს ე ბ ა ა და პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის ბუნებრივია მისი ი ნ ტ რ ო ც ე ფ ც ი ულ ს წ ა ვ ლ ა დ კვალიფიკაცია.

აზროვნება

ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა ჭეშმარიტად ფსიქოლოგიურ პრობლემად და დიდ პრობლემად მხოლოდ უახლეს ფსიქოლოგიაში გაჯდა. მას მერე, რაც დადასტურდა, ჯერ ერთი, აზროვნებისათვის სპეციფიკური ცნობიერების არათვალსაჩინო შინაარსები, მეორე — ასევე სპეციფიკური აზროვნების — განცდა ე. წ. „აჰა-განცდა", მესამე კი —

აზროვნების არავერბალური სახეობა, ე. წ. პრაქტიკული აზროვნება. ტრადიციული ფსიქოლოგია აზროვნების შესწავლისას ყურადღებას ამახვილებდა აზროვნების პროცესის წარმოდგენითს შინაარსზე და. ბუნებრივია, რომ წარმოდგენათა ასოციაციებზე ლამობდა მის დაყვანას. მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს ძველ ფსიქოლოგიას არ ჰქონდა შემჩნეული განსხვავება აზროვნების მიმდინარეობისა და წარმოდგენათა თავისუფალ მიმდინარეობას შორის. „ზოგადი წარმოდგენების", „ზეწარმოდგენების" და სხვა ამდაგვარი ცნებები სწორედ ამ გარემოებითაა ნაკარნახევი. მათ უნდა გამოეხატათ აზროვნების სპეციფიკა. მაგრამ თავისი დანიშნულება მათ ვერ შეასრულეს სწორედ იმიტომ, რომ წარმოდგენებისავე ფარგლებში ეძებდნენ განსხვავებას, რომელიც წარმოდგენებისთვის ტრანსცენდენტურ სფეროშია მოცემული. აზროვნებისთვის სპეციფიკურია ინტენცია: აზროვნება უსათუოდ გულისხმობს ცნობიერების შინაარსისთვის ტრანსცენდენტურ საგანს, მაშინ, როდესაც წარმოდგენა ვითარცა ხატი, ამოიწურება თავისი მოცემულობით. წარმოდგენა მ ო ც ე მ უ ლ ი ა, აზროვნებაში ნ ა გ უ ლ ი ს ხ მ ე ვ ი ა რაღაც. „ჰამბურგის ნავთსადგურის წარმოდგენა—გარკვეული პერსპექტივით დანახული ჰამბურგის ნავთსადგურია. აზრი ჰამბურგის ნავთსადგურის შესახებ არაა მოცემული მის კონკრეტულ ხატში. დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორი ხატი მაქვს მისი, მე შეძლია ვიაზრო იგი, როგორც მსოფლიო მიმოსვლის პუნქტი, ან როგორც ნაგებობა, ან როგორც სანახაობა უცხოელებისთვის. და მიუხედავად იმისა, თუ რად ვაზრობ მე მას, იგი მუდამ იგივე ნავთსადგურად რჩება... ორივე განცდითი მომენტი: იგივეობაც და „როგორც" — პერსპექტივაც არათვალსაჩინოა, არაა განხორციელებული ცალკეულ კონკრეტულ წარმოდგენაში, არამედ წმინდა აზრითი ბუნებისაა"[130]. ამგვარი აზრი რაიმეს შესახებ ძალიან ახლო დგას წარმოდგენასთან. ან უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ წარმოდგენა ძალიან ახლო დგას ამგვარ აზრთან. ჩვეულებრივ, წარმოდგენაში მოცემულია ხოლმე საგნის ამდაგვარი აზრობა. და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში, როგორც მაგალითად, ზმანებაში თუა მოცემული ინტენციისგან თავისუფალი წარმოდგენები. ასევე გამონაკლისს წარმოადგენს თვალსაჩინო წარმოდგენათაგან აბსოლუტურად

---

130 1,370.

დაცლილი აზრი, რაც იშვიათად თუ გვხვდება — შემეცნების თეორეტიკოსების თუ მათემატიკოსების შემთხვევაში. აზრთა სხვადასხვა სახეობათა მთელი ფაქტიური სიმრავლე კონკრეტულობისა და აბსტრაქტულობის ამ უკიდურესობათა შორის გარდამავალ საფეხურებს წარმოადგენს. წარმოდგენათა მეტ-ნაკლები თვალსაჩინოებით ვერ მოხერხდება აზროვნების განსხვავება წარმოდგენათა მიმდინარეობის სხვა რომელიმე სახეობისგან. აზროვნება სპეციფიკურია როგორც პროცესი. საგულისხმოა, რომ ტერმინი „აზრი" (Gedanke) გვიანი მონაპოვარია მეცნიერული ფსიქოლოგიისა, ტერმინი „აზროვნება" (Denken) კი—მისი უძველესი ცნებათაგანი. ეს გარემოება იმას მიუთითებს, რომ აზროვნება-პროცესი იყო იმთავითვე ყურადღებული ფსიქოლოგიის მიერ. უახლესი ფსიქოლოგიის მონაპოვართა ნიადაგზე ეს პროცესი შემდეგი სახით გვევლინება: იკი იწყება სააზროვნო იმპულსით, გარკვეული მიზნისკენ არის მიმართული და გარკვეულ მომენტში მთავრდება. ნორმალურად, დამთავრება მიზნის მიღწევაში, ე. ი. ამოცანის . გადაწყვეტაში მდგომარეობს, რაც განცდის პლანში სპეციფიკური ე. წ. „აჰა-განცდის" სახით აისახება. აზროვნების პროცესი საესებით დასრულებული, ჩამოყალიბებული, გამოკვეთილი, მოკლედ: საესებით გეშტალტყოფილი პროცესია. ამით იგი არსებითად და კარდინალურად განსხვავდება წარმოდგენათა თავისუფალი ასოციაციისაგან. აზროვნება უსათუოდ მიზანმიმართულია: პრობლემის დაყენება მიზნის დასახვას ნიშნავს, რომლისკენაც წარიმართება ამიერიდან ცნობიერების მუშაობა. მიზანი მიღწეულია პრობლემის გადაჭრით და ამითვე მთავრდება აზროვნების პროცესი. აზროვნების პროცესის დასაწყისი სტიმული ძველთაძველითგანვე ცნობილია ფსიქოლოგიისთვის. ეს სტიმული განცვიფრებაა. რას ნიშნავს პერსონალისტური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით განმაცვიფრებლობა შთაბეჭდილებისაგ? იმას, რომ პერსონის სასიცოცხლო სფეროში ისეთი ვითარება ხდება, რომლისადმი შეგუება ძველი ხერხებით შეუძლებელიღაა. ცნობილია, რომ სიცოცხლე მის ვიტალურ მოდუსში პერსონის და სამყაროს შერწყმულობის, დაუპირისპირებლობის ნიშნით მიმდინარეობს. პერსონა — სამყაროს ურთიერთობის გართულება იმაში მდგომარეობს, რომ სამყარო უპირისპირდება პერსონას ახალი სიტუაციების სახით. ვინაიდან სრული გათიშვა პერსონისა და სამყაროსი შეუძლებელია, ამიტომ პერსონა უნდა შეეგუოს ახალი სიტუაციის სახით მოცემულ სამყაროს. მაგრამ ძველი საშუალებანი ასე-

თი შეგუებისათვის უკმარია. საჭიროა ახალი ხერხების, ახალი გზების მონახვა, ისეთი ხერხებისა, რომელიც არც გვარის და არც ინდივიდის გამოცდილებაში არაა მოცემული. ამ ამოცანას ემსახურება სწორედ აზროვნება. აზროვნება, ამრიგად, სამყაროს ახალ მოთხოვნილებათადმი შეგუების იარაღია. ეს უეჭველია. მაგრამ ასე დახასიათება აზროვნებისა ცალმხრივია. აზროვნების გაგება, როგორც სამყაროს ახალ მოთხოვნილებათადმი შეგუების იარაღისა, გულისხმობს პიროვნების გაგებას, როგორც სავსებით რეაქტიული არსებისას. პერსონალისტიკისათვის კი პიროვნება არა მარტო რეაქტიული არსებაა, არამედ სპონტანურად აქტიურიც. მას თვითგანვითარების მიზნებიც აქვს გარდა თვითშენარჩუნების მიზნებისა და აზროვნებაც არა მარტო უკანასკნელებს ემსახურება, სახელდობრ — არა მარტო სამყაროსთან შეგუების მიზანს, არამედ პიროველებსაც. ამიტომ აზროვნებაც ორგვარია: რეაქტიული და სპონტანურად აქტიური. რომ იგი მუდამ აქტიური, მოქმედებითი პროცესია, ეს უდავოდ უნდა იქნეს აღიარებული. აზროვნებას პიროვნება განიცდის, როგორც საკუთარ აქტივობას, საკუთარ მოქმედიანობას. ამ მხრივაც იგი ძალიან გავს ნებელობის პროცესს, ისევე, როგორც გავს პროცესის სტრუქტურით: სტიმული — მიზანმისწრაფება — მიზნის მიღწევა. აზროვნების პროცესი არის კიდეც ნებელობის პროცესი, მხოლოდ რომ მიზნად გარემოსამყაროს შეცვლა კი არაა დასახული, არამედ აზროვნებითი ეფექტი (შინაგანი ნებითი მოქმედება)[131].

რეაქტიული აზროვნების სტიმული გარეგანი გამღიზიანებელია, სპონტანურისა — შინაგანი განწყობა (Einstellung) და მოთხოვნილება. სინამდვილეში წმინდა სახით არც ერთი მათგანი არ არსებობს. და თუ ვლაპარაკობთ რეაქტიული აზროვნების ან სპონტანური აზროვნების შესახებ — მხოლოდ პირობითად, რეაქტიულობისა თუ სპონტანურობის მომენტის უპირატესობის საფუძველზე.

აზროვნების რეაქტიული სახის გამომწვევი არის გარესამყაროს ახალი, უჩვეულო, „განმაცვიფრებელი" სიტუაცია. სპონტანური აზროვნების სტიმული შინაგან-პერსონულია; ესაა აზროვნების დისპოზიცია, რომელიც ჩვეულებრივ სიტყვაბმარებასა

---

[131] 1,383.

და, აგრეთვე, ფილოსოფიაში გონებად იწოდებდა, ფსიქოლოგიაში კი სჯობს ინტელექტად იწოდოს. ტერმინი „გონების“ ბველი ფსიქოლოგიური ან ლოგიკური შინაარსით გამსჭვალულობის გამო. მაგრამ მხოლოდ ერთი ცნება სამყოფი არაა აზროვნების დისპოზიციის გამოსახატავად. დისპოზიცია პერსონის მიმართებულობაცაა და აღქურვილობაც მიზნის მიღწევისათვის. აზროვნების დისპოზიციაში კი განსხვავებულ უნდა იქნეს მიმართებულობისა და აღქურვილობის მომენტები. ინტელექტი არის აზროვნებისადმი განწყობილობა, ინტელიგენტობა კი მისდამი უნარიანობა: „აზროვნებისადმი პოტენციურობა არსებითი ნიშანია ადამიანის ყოფიერებისა“[132]. აზროვნების მიზანია არათავისთავად-ნათელის დაძლევა. აზროვნება საშუალებაა ამ მიზნის მიღწევისა, ესაა მისი მომსახურებითი მნიშვნელობა პერსონის ყოფიერებისთვის. და ეს მნიშვნელობა მით მეტია, რაც უფრო რთულია პერსონისა და სამყაროს ურთიერთობა, რაც უფრო ხშირად და ძლიერად ირღვევა მათი წონასწორი მიმართება. კულტურული ზრდადასრულებული ადამიანის შემთხვევაში ყველაზე მეტად აქვს მას ასეთი მომსახურებითი მნიშვნელობა.

აზროვნების საწყისი ვიტალურ სფეროშია მოცემული, მაგრამ აზროვნება არ ეტევა ამ სფეროს საზღვრებში, სცილდება მას და განევრცობა ობიექტურ ღირებულებათა სფეროზე. „თუ უძლიერესი აბსტრაქციისა და გასულიერების საფეხურზე ინტელექტი „სულის მოწინააღმდეგედ“ გვევლინება, მეორე ფესვით იგი ჩანერგილია იმ პერსონულ სფეროებში, რომლებსაც — „გონისგან“ განსხვავებით — უპირატესად „სულად“ აღნიშნავენ, რომ ადამიანი, როგორც მოაზროვნე, ისევეა homo sentiens, როგორც homo sapiens. — ამაშია ნამდვილი გამოსხივებითი მნიშვნელობა ადამიანის ინტელექტისა“[133].

ინტელიგენტობა აზროვნებისთვის აღქურვილობას აღნიშნავს. იგი აღქურვილობის დისპოზიციაა. მისი კვლევის მდელი ისტორია დიფერენციული ფსიქოლოგიის გზით მიდიოდა. არაჩვეულებრივი პოპულარულობა ამ ცნებისა სწორედ მისი დიფერენციულ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობითაა მოპოებული. თვით ვ. შტერნის წვლილი ინტელიგენტობის კვლევის საქმეში მეტად დიდია. ამ ცნების

---

[132] 1,419.

[133] 1,422.

არსის თანახმად ინტელიგენტური ადამიანი იმას კი არ ეწოდება, ვისაც აზროვნებისადმი მიდრეკილება აქვს, არამედ იმას, ვისაც შეუძლია აზროვნების შემწეობით გადაჭრას ახალი სასიცოცხლო ამოცანები. ამის უნარი კი ყველას თანაბრად არა აქვს. და ამ განსხვავებათა ძიებასა და დადგენას ავტორმა დიდი ღვაწლი დასდო. იგი ზოგადი ფსიქოლოგიის კურსშიც საკმაოდ ბევრ ადგილს უთმობს ამ საკითხს. ინტელიგენტობის კვლევა ისე მჭიდროდაა დაკავშირებული ვ. შტერნის სახელთან, რომ ბუნებრივი იქნებოდა, თითქოს, აქ ამ პრობლემის განხილვა. მაგრამ საწინააღმდეგო არგუმენტი უფრო ძლიერია: „ადამიანთა აზროვნების უნარის განსხვავებულობანი დ ი ფ ე რ ე ნ ც ი უ ლ ი ფსიქოლოგიის თემაა და არა ზოგადისა, რომელთანაც ჩვენ აქ გვაქვს საქმე"-ო[134], ამბობს თვით ავტორი ზოგადი ფსიქოლოგიის კურსში.

მნემესგან განსხვავებით და მის საწინააღმდეგოდ აზროვნება მყობადისკენ არის მიმართული. ეს ერთ-ერთი გარემოებაა, რის გამოც ცხოველს არ შეიძლება ჰქონდეს აზროვნება, სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით: ცხოველი ხომ მხოლოდ აწმყოში ცხოვრობს; შეიძლება ეს აწმყო არ იყოს ძალიან ხანმოკლე, პირიქით, შეიძლება დროის მნიშვნელოვან მონაკვეთს შეიცავდეს, მაგრამ ეს მონაკვეთი აუცილებლად ერთ ცოცხლობაშია მოცემული. ცხოველებსაც აქვთ ისეთი ქცევები, რომელთა მიზანშეწონილობაც უეჭველია და მყობადისკენ მიმართებულობაც. შთამომავლობისთვის ზრუნვა, თბილ ქვეყნებში გადაფრენა ბუდეების აგება და სხვ. მაგრამ ამ ქცევებს არაფერი აქვს საერთო აზროვნებასთან.

ფანტაზია

პიროვნებისა და სამყაროს ურთიერთობაში სრულიად თავისებური ადგილი უჭირავს ფანტაზიას: „ფანტაზია არის ობიექტური სამყაროსადმი შეუსატყვისი წარმოდგენების სფერო"[135]. ფანტაზია ისეთი წარმოდგენაა, რომელიც არ ასახავს რეალურ არსებულ საგანს. ასეთი ფანტაზიის ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ მისი შეღებილობა რეალურობიდანაა აღებული. ფანტაზია ხატია, რომელიც შეიცავს აღქმაში ოდესმე ყოფილ ელემენტებს, მაგრამ ელე-

[134] 1,422.
[135] 1,448.

შენტების კომბინაცია და გაერთიანება ისეთია, როგორიც აღქმაში არასოდეს არ ყოფილა მოცემული. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოგონება, მეხსიერების წარმოდგენა იქნებოდა. „ფორმალური“ მხრივ, ფანტაზიასა და მეხსიერების წარმოდგენას შორის ფენომენური თვალსაზრისით განსხვავება არაა და განცდის ფსიქოლოგიას, რომელიც განცდათა აღწერას არ სცილდება, ისევე არა აქვს უფლება ფანტაზიის შესახებ ილაპარაკოს, როგორც არა აქვს უფლება ილაპარაკოს ილუზიების შესახებ. ფანტაზია წარმოდგენის სფეროში იგივეა, რაც ილუზია — აღქმის სფეროში. ილუზიური აღქმა სუბიექტისთვის მის უშუალო მოცემულობაში არაფრით არ განსხვავდება ჭეშმარიტი აღქმისაგან. ილუზიურობის დადგენა მხოლოდ „შუალობით“ შეიძლება. სავსებით ანალოგიურია მდგომარეობა ფანტაზიის შემთხვევაში. თუ განცდის ფსიქოლოგიის ფარგლებში სადავო შეიძლება იყოს ფანტაზიის ცალკე გამოყოფა სხვაგვარი წარმოდგენებისაგან, პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის სრულიად უდავოა, რომ ფანტაზია ცალკეული (რამდენადაც ეს შესაძლებელია პერსონული მოვლენისთვის) სფეროა პიროვნებისა და სამყაროს ურთიერთობის ცნობიერი ასახვისა. ფანტაზიის რაობის საკითხი პიროვნების თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული, ტრანსფსიქიკური პოზიციიდან. ფანტაზიაში, პრინციპულად, ის სამყაროა მოცემული, რომელიც რეალურად, ე. ი. განმცდელი ინდივიდისგან დამოუკიდებლად, არ არსებობს. ბუნებრივია, რომ ფანტაზიისადმი ამ გარემოებამ უარყოფითი დამოკიდებულება წარმოშვა იმ მკვლევარების და მოაზროვნეების მხრივ, რომლებიც ცნობიერების დანიშნულებას ობიექტური სამყაროს მაქსიმალური ადეკვატურობით ასახვაში ხედავდნენ. პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის ცნობიერების მნიშვნელობა ბევრად უფრო ფართოა და, ამიტომ, ფანტაზიაც მისთვის არაა მხოლოდ სავალალო ფაქტი და მეტი არაფერი. ფანტაზიის პრობლემა პერსონალისტურ ფსიქოლოგიაში ორ კითხვას შეიცავს. პირველია ის, თუ როგორაა შესაძლებელი, რომ ადამიანს ჰქონდეს ობიექტური სამყაროს შეუსატყვისი წარმოდგენათა სამყარო. ეს არის ფანტაზიის წარმოშობის საკითხი. მეორე საკითხია ფანტაზიის პერსონული აზრის საკითხი: რას ნიშნავს თვით პერსონისთვის ცნობიერების ეს არა-ობიექტური სამყარო?

ფანტაზიის წარმონაქმნები პიროვნების კონკრეტული პროდუქტებია, რომლებიც სცილდება გამოცდილების საზღვრებს. ისი-

ნი არ უგულებელჰყოფენ გამოცდილებას: ფანტაზმის ანალიზი გვიჩვენებს მის პირობადებულებას გამოცდილებით; გვიჩვენებს, რომ ფანტაზმის შედგენილობაში ყველაფერი გამოცდილებისმიერია. გარდა თვით ამ, გამოცდილებიდან მიღებული „ელემენტების" გაერთიანების რაგვარობისა. პიროვნების სპონტანურობა ფანტაზიაში სწორედ ამაში გამოვლინდება: გამოცდილებიდან მიღებული მასალის თავისებურად ჩაძოყალიბებაში. ის, რაც გარკვეული თვალსაზრისით მანკს წარმოადგენს ფანტაზიისას — მისი არაობიექტურობა მეორე მხრივ, როგორც სუბიექტურობა, მისი უეჭველი ღირსებაა. ადამიანი ფანტაზიაში ააგებს თავის საკუთარ სამყაროს, რომელიც თითქმის სრულიად თავისუფალია ობიექტური სამყაროს გავლენისგან; ეს ფანტასტიკური სამყარო პიროვნების ერთგვარ გაფართოებას წარმოადგენს. გაფართოებასაც და საფარსაც გარემოსამყაროსგან, რომელიც ხშირად შეიძლება საზიანო იყოს პიროვნებისთვის. ფანტასტიკური სამყარო პიროვნების შესაფერისია — იგი ისეთია, როგორიცაა თვით პიროვნება. ფანტაზიაში მეღავნდება და განხორციელდება პიროვნების ოცნება, მისი სურვილები, რომლების განხორციელება ობიექტური სინამდვილის სამყაროში შეუძლებელი გახდა. მაგრამ ფანტაზმაში ყოველთვის და უსათუოდ ცნობიერი სურვილი არ ხორციელდება. პიროვნების მიზნები და მოთხოვნილებანი ცნობიერებაზე უფრო ღრმადმდებარე ფენებიდან მომდინარეობს. გაცნობიერება არაა საეალდებულო მომენტი მიზნისა. მაგიერად, მიზნის განხორციელებისთვის საეალდებულოა სამყარო. სამყაროს გარეშე შეუძლებელია პერსონის განხორციელება. პერსონის მიზანი მუდამ პოტენციად დარჩება, სანამ მას არ ექნება მოცემული, თუნდაც არარეალური, ფანტასტიკური სამყარო. პერსონის რეალური ყოფიერება, პერსონის განხორციელება, მხოლოდ შინა-პერსონული და გარე-სამყაროისეული ფაქტორების კონვერგენციის ნიადაგზეა შესაძლებელი, იგი ამ კონვერგენციის პროდუქტი და გამოვლინებაა. და ფანტაზიის სამყარო რეალური სამყაროს მაგიერობას სწევს იქ, სადაც რეალური სამყარო პიროვნების აი ამგვარი მიზნების განხორციელებისთვის არ იძლევა შესაფერის ნიადაგს. როდესაც მიზანი ცნობიერია, მაშინ ფანტაზია ოცნების სახეს მიიღებს: პიროვნებას ის ეზმანება, რაც ენატრება; მაგრამ თუ მიზანი არაა გაცნობიერებული, ფანტაზიის ხატიც შეიძლება მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობის ძატა-

რებელი იყოს და თავისი უშუალო მოცემულობით არაფერს ამბობდეს პიროვნების მიზნის შესახებ. ფსიქოანალიზმა და ინდივიდუალფსიქოლოგიამ დაბეჯითებით შეისწავლეს ფანტაზიების სიმბოლური მნიშვნელობა. ამ მხრივ, ამ სკოლების დამსახურება ფსიქოლოგიისთვის უდიდესი ღირებულების მქონეა. მაგრამ ორივე სკოლის საერთო შეცდომა ისაა, რომ ფანტაზმაში მათ მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა დაინახეს და ინტერპრეტაციის მასალად იგი პიროვნების ღრმა ფენების მხოლოდ ერთი პატარა სფეროსთვის გამოიყენეს, სახელდობრ ან სექსუალობისა, ანდა მანკიერების კომპენსაციის წყურვილის სფეროსთვის. ძირითადი და ზოგადი შეცდომა ამ სკოლებისა პიროვნების სიღრმის გამარტივება და ერთადერთ ძირითად სწრაფვაზე დაყვანაა. ფანტაზიის საკითხში კი მათი შეცდომაა ფანტაზმაში მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობის დანახვა, ხოლო მისი პირდაპირი მნიშვნელობის უარყოფა. სინამდვილეში ფანტაზია შეიძლება სულაც არ იყოს სიმბოლური ხასიათისა, შეიძლება უშუალოდ და პირდაპირ გამოავლენდეს პიროვნების სწრაფვას. მეორე მხრივ კი, სიმბოლური მნიშვნელობისას, იგი პიროვნების სიღრმის სულ სხვადასხვა სფეროს შეიძლება მიუთითებს, რადგან პიროვნების სიღრმე რთული ერომთლიანობაა და არა მარტივი ერთმნიშვნელოვანი მიდრეკილება. სრულიად მიუღებელია საყოველთაო ერთმნიშვნელოვანი სიმბოლიკა, რომლის თანახმად ერთი და იგივე ხასიათის ფანტაზმა ყოველთვის და ყოველგან, ყოველ პიროვნებაში, ერთი და იგივეს უნდა ნიშნავდეს, როგორც, მაგალითად, ბავშვის მიერ თამაშში რაიმეს ნგრევა — მუდამ მამის მკვლელობის ფარულ სურვილს.

ამრიგად, ფანტაზია უარჰყოფს ობიექტურ სინამდვილეს, იგი არა-ობიექტურია. მაგრამ იგი ქმნის თავისებურ, არაობიექტურ, სუბიექტურ, მოჩვენებითს სინამდვილეს. ესაა მისთვის დამახასიათებელი. მაგრამ ფანტაზია არ კმაყოფილდება სუბიექტური სინამდვილის შექმნით და ახდენს მის გაობიექტურებას: საკუთარი შინაგანი სამყარო მას გარეთ გააქვს. როდესაც პიროვნება მოქმედებს ფანტასტიკური სამყაროს შესატყვისად, ამით მას ობიექტურ რეალურ სამყაროში გააქვს თავისი სუბიექტური სამყარო. „დონ კიხოტი, რომელიც თავისთავს „უკანასკნელ მოხეტიალე რაინდად“ განიც-

დის, ამის შესატყვისად იქცევა და, ამით, საგანთა ობიექტურ მიმ-
დინარეობაში ერევა"[136].

ფანტასტიკური სამყარო, უწინარეს ყოვლისა, განთავისუფლ-
დება ობიექტური სამყაროსგან. უკანასკნელი, როგორც გამომწვევ-
ი ხასიათის მქონე, არ არსებობს ფანტაზიამყოფელი სუბიექტის-
თვის: გარესამყაროს მოვლენები აღარ ქმნიან იმ სამყაროს, რომ-
ლიც პიროვნების გარემოსამყაროს წარმოადგენს. ობიექტური სამ-
ყაროდან ფანტასტიკურ, მოჩვენებითს სამყაროში მხოლოდ „ელ-
მენტები" შედის, რომელთაგან პიროვნება ახალ წარმონაქმნებს,
ახალ ხატებს ააგებს. რარომ ფანტასტიკური სამყარო მაქსიმალუ-
რად თავისუფალია გარემოსამყაროს გავლენისგან, იგი პიროვნების
მხოლოდ შინაგან სამკვიდროს წარმოადგენს; ეს „შინაგანობა" ფან-
ტასტიკური საიყაროსი განმტკიცებულია იმითაც, რომ გარესამყა-
როს „მოთხოვნილებითი ხასიათისგან" თავისუფლების გარდა, პი-
როვნება ფანტაზიაში „მასალის ხასიათის" მქონე გარესამყაროსგა-
ნაც თავისუფალია: იგი არც ემორჩილება ობიექტურ სამყაროს და
არც იმორჩილებს მას. მაგრამ ობიექტური სამყაროსადმი მიმართუ-
ბისგან თავისუფლება მხოლოდ ნეგატიური მომენტია, იგი არაა
სამყოფი ფანტასტიკური სამყაროს დასახასიათებლად. პოზიტიური
მისი დახასიათება მის შინაგანობაში, სუბიექტურობაშია მოცემუ-
ლი. ესაა პრინციპული საფუძველი ფანტასტიკური სამყაროს აგე-
ბისა. მაგრამ მხოლოდ პრინციპული საფუძველი, რომელიც ყოველ-
თვის წმინდა სახით არაა წარმოდგენილი. როდესაც პიროვნება
მოქმედებას იწყებს შინაგანი, სუბიექტური, ფანტასტიკური სამყა-
როს შესატყვისად, სახელდობრ, როდესაც პიროვნების ამგვარი
მოქმედება. განცდის სფეროს სცილდება და ობიექტური ხდება —
პიროვნება, ძალაუნებურად, ობიექტურ სამყაროსთან ამყარებს
კონტაქტს. ერევა „საგანთა ობიექტურ მიმდინარეობაში". ფანტას-
ტიკური შინაგანი სამყარო ობიექტურ რეალურ სამყაროდ იქცევა.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ პიროვნება ან ობიექტურ სამყ-
როში ცხოვრობს, ან სუბიექტურ-ფანტასტიკურში. მაგრამ როგორც
არსად პერსონალისტურ სისტემაში, ისე არც ფანტაზიის სფეროში
კატეგორიული გაყოფა „ან-ან" პრინციპით არაა გამართლებული.
ყველაზე უფრო სუბიექტური სახეობაც კი ფანტაზიისა — ს ი ზ მ-

[136] 1,455.

რი — სულ თავისუფალი არაა ობიექტური სამყაროს ზეგავლენისგან: მძინარე ადამიანზე გარეშთაბეჭდილებათა მოქმედება ძალზე შეზღუდულია, მაგრამ სულ გამოთიშული მაინც არაა. სიზმრის შინაარსის განხილვიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ხშირად იგი პირობადებულია ძილის დროს მიღებული გრძნობადი შთაბეჭდილებით: ხმაურობით, სინათლით, ტემპერატურის ცვლილებით თუ სხვა ამდაგვარით. ხშირად — მნემური გამღიზიანებლით: წარსულში, სიფხიზლეში მიღებული შთაბეჭდილებით. ესეც არ იყოს, ყოველი ფანტაზმა შედგენილობით გამოცდილების ნაყოფია. მისი შინაარსი ოდესღაც ყოფილი აღქმების მომენტებზე დაიყვანება. მაგრამ, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ეს გარემოება არ გვაძლევს უფლებას ფანტაზია მთლიანად ძველ გამოცდილებაზე დავიყვანოთ, მხოლოდ გარესამყაროს შთაბეჭდილებათა გამეორება განვეჭვრიტოთ მასში, გამეორება, რომელიც მოგონებისგან იმითი განსხვავდება, რომ მეტისმეტად ამახინჯებს პირველადს შთაბეჭდილებას. ფანტაზიაში ზოგადად პიროვნების აქტიური, სპონტანური შემოქმედებაც მონაწილეობს და მონაწილეობს, როგორც გადამწყვეტი, ძირითადი მნიშვნელობის მომენტი. სიზმარი ფანტაზიის ის სახეობაა, რომელშიც შინა-პიროვნული მომენტი უფრო მეტად სჭარბობს გარესამყაროისეულ მომენტს, ვიდრე მის (ფანტაზიის) სხვა რომელიმე გამოვლენაში. სიზმრის სამყაროს არაობიექტურობა, გამოყოფა ობიექტური სამყაროსგან განცდაშივეა მოცემული. მაგრამ კაცობრიობა ამ გაორებას ჩანს, ვერ შეეგუა და ყოველდღიური ფსიქოლოგია ყოველთვის ცდილობდა სიზმრის გაგებას ობიექტური ვითარების სიმბოლოდ. წინასწარმეტყველური სიზმრის არსებობა უდავოდ იყო აღიარებული და მის საფუძველზე აიგებოდა ხოლმე ადამიანის ქცევა სიფხიზლეში. მეცნიერული ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, სიზმარში არ შეიძლება წინასწარ ნახული იქნეს ობიექტური სამყაროს ვითარება, რადგან სიზმარი სუბიექტური სამყაროა, რომელსაც ობიექტურ სამყაროსთან მხოლოდ ფორმალური და არა აზრითი კავშირი შეიძლება ჰქონდეს. აქედან გამოტანილი იქნა დასკვნა, რომ სიზმარი აზრსმოკლებული წარმოდგენათა თამაშია და მეტი არაფერი. ფსიქოანალიზის ერთ-ერთი უდავო დამსახურებაა სიზმრის აზრიანობის დადასტურება და აღიარება. ფროიდის შეცდომაა სიზმრისთვის მხოლოდ და ხოლოდ სიმბოლური აზრის მინიჭება, და — მისი მთლიანი სისტემის შესატ-

ყვისად — ამ სიმბოლიზმის ერთადერთ საფუძვლად სექსუალური სფეროს მიჩნევაა. პერსონალისტური თვალსაზრისით სიზმარი აზრის მქონეა. ეს მისი აზრი სავსებით პერსონულია. ძალიან ხშირად — უფრო ხშირად, ვიდრე ზედაპირულ სფეროებს, სიზმარი პიროვნების სიღრმეებს გამოავლენს, მათ მიუთითებს. ძალიან ხშირად, იქნებ უფრო ხშირად, ვიდრე პირდაპირი მნიშვნელობით, ეს გამოვლინება სიმბოლური მნიშვნელობით ხდება, მაგრამ სიზმარისათვის სიმბოლურობა არაა საეალდებულო და საყოველთაო. მას, ძალიან ხშირად, პირდაპირი მნიშვნელობაც აქვს: ცხადში განუხორციელებელი სურვილი სიზმარში ჰპოებს ხოლმე განხორციელებას პირდაპირი მნიშვნელობით. იმ შემთხვევებში კი, როდესაც სიზმრის ფანტაზმას გადატანითი, სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, მისი სიმბოლიკა სავსებით ინდივიდუალია და მეცნიერულად სრულიად გაუმართლებელია სიზმრის საყოველთაო სიმბოლიკის აღიარება, რომლის თანხმად ყოველი კერძო ფანტაზმა ყველა ინდივიდში და ყოველთვის ერთი და იგივე მიზნის სიმბოლო უნდა იყოს. სიზმრის სიმბოლიკის ასე გაგება უდიდესი შეცდომაა ფროიდისა, რომლის სიზმართა სიმბოლიკა, გარკვეული თვალსაზრისით, საყოველდღეო ფსიქოლოგიის სიზმრის სიმბოლიკაზე უფრო მდარეხარისხოვანია: უკანასკნელისთვის ინტერპრეტაციის მიზანი სხვადასხვაა, ფსიქოანალიზისთვის კი მუდამ ერთი და იგივე სექსუალური მომენტი პიროვნებისა, თითქოს პიროვნების ღრმა ფენებში სექსუალობის მეტი არაფერი იყოს! რამდენადაც სიზმარში პიროვნების სიღრმე გამოსხივდება, სიზმარი „წინასწარმეტყველურიც" შეიძლება იყოს, წინასწარმეტყველური პიროვნების საკუთრივ-პიროვნული, შინაგანი მომენტისთვის: მასში ნაადრევად შეიძლება გამოვლინდეს ის სწრაფვანი, რომლებიც ცხადში მხოლოდ შემდეგში გამოვლინდება.

ავტორის აზრს რომ გაეყვეთ, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ სიზმარიც არაა სულ მოკლებული ობიექტურ სამყაროში პროექციის შესაძლებლობას. როდესაც ადამიანი ცუდი სიზმრის შემდეგ ცუდი გუნებით იღვიძებს, ეს მისი გუნება მის ქცევას განსაზღვრავს და ამ ქცევით ერევა იგი ობიექტური სამყაროს ვითარებაში. ამდენად, შეიძლება ვთქვათ, რომ სიზმრის სუბიექტური სამყარო ერევა ობიექტურ სამყაროში, მაგრამ მხოლოდ ამდენად და არა მეტად, — მხოლოდ აღძრული გუნების შემდეგმოქმედების საშუალებით. და

რაკი იმთავითვე უარი უნდა ვთქვათ აბსოლუტურ განსხვავებაზე და გათიშულობაზე სუბიექტური და ობიექტური სამყაროებისა, უფლება გვაქვს სიზმარი სუბიექტური სამყაროს ყველაზე წმინდა სახედ ვაღიაროთ.

ობიექტური და მოჩვენებითი სამყაროების განუთიშველობა თვით სიზმარშიც კი იჩენს თავს. ერთი მხრივ აღმოცენება, მეორე მხრივ მოქმედება (უკეთ — შემდეგმოქმედება) სიზმრისა, თუნდაც მცირედ, ობიექტურ სამყაროსთანაა დაკავშირებული. ეს ერთი პოლუსია ობიექტური და სუბიექტური სამყაროების პირობითი „გათიშულობისა" და ამ პოლუსზეც კი ჩანს, რომ ნამდვილად გათიშვასთან, სრულ დამოუკიდებლობასთან არა გვაქვს საქმე. მსგავსია მდგომარეობა ამ ორ სამყაროთა ურთიერთდამოკიდებულების საწინააღმდეგო პოლუსზე — აღქმაში. იგი ობიექტური ყოფიერების ცნობიერი ასახვაა, და მისი შინაარსი ამ ფუნქციის არსის თანახმად, მთლიანად ობიექტით უნდა იყოს განსაზღვრული. აღქმაში მხოლოდ ობიექტი უნდა იყოს მოცემული. მაგრამ აღქმა აწმყოში მოცემული ობიექტის სუბიექტური ასახვაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი განმსაზღვრელი ფაქტორი, ობიექტთან ერთად, სუბიექტიცაა. სუბიექტური ფაქტორი აღქმისა ფანტაზიაა. მასზე დაიყვანება აუარება პარადოქსული მოვლენები და თვისებები აღქმისა. მოჩვენებითი სამყარო ჩაერევა აღქმაში და თავისებურ სახეს აძლევს აღქმის შინაარსს. ამითი აიხსნება აღქმის უამრავი ილუზია. მაგრამ როგორც სიზმარში ობიექტური სამყარო არაპირდაპირი გზებით, სიხეცვლილად, შუალობით შეიპრება, ასევე აღქმაში წმინდა სახით არ შედის ფანტაზია. ეს ორივე შემთხვევა — სიზმარი და აღქმა — ფანტაზიის თვალსაზრისით საგულისხმოა ორი მოსაზრებით: ერთი მოსაზრებაა ფანტაზიის „დიქტატურა" სიზმარში და მისი უმოქმედობა, არყოფნა აღქმაში. მეორე მოსაზრება კი ისაა, რომლის შესახებ ესესაა ვილაპარაკე: რომ, მიუხედავად შემთხვევათა პოლარულობისა, არც სიზმარშია ფანტაზია სრულიად, სიტყვის უზუსტესი მნიშვნელობით, დამოუკიდებელი ობიექტური სამყაროსგან, და არც აღქმაშია ობიექტური სამყაროს ასახვა სრულიად, სიტყვის უზუსტესი მნიშვნელობით, თავისუფალი ფანტაზიის გავლენისგან. ფანტაზიის ყოველგანმყოფლობა (Allgegenwart) ერთ-ერთი არსებითი ნიშანია ადამიანისა. „მაგრამ, ფანტაზიისმყოფელ ადამიანს

აქვს აგრეთვე უშუალო მოთხოვნილება თავისი შინასულიერი განცდის ტრანსპერსონული გამოვლენისა (Entäusserung). იგი მიდრეკილია, წმინდა წარმოდგენა მოძრაობაში, გამოხატულებაში, პროდუქტში გადაიტანოს"[137].

ფანტაზია ყოველგვარ მოქმედებაში მონაწილეობს. მაგრამ მისი ბუნების გათვალისწინება ყველგან ერთნაირად ხელსაყრელ პირობებში არაა. ზოგჯერ მას ფრიად მცირე მნიშვნელობა აქვს ზოგჯერ მას მხოლოდ ზიანი მოაქვს ადამიანისთვის და ვიცით, რომ ამის გამო მრავალი მკვლევარი საერთოდ უარყოფით მოვლენად სთვლიდა მას. თუ ფანტაზიის ბუნების გაგება გვინდა, უნდა გავითვალისწინოთ ადამიანის მოქმედების ის სახეები, რომელიც სპეციფიკურია ფანტაზიის გამოვლინებისთვის. ერთ-ერთ ასეთ სახეობად სიზმარი მივიჩნიეთ და განვიხილეთ.

ფანტაზიის მოქმედების მეორე სარბიელს თ ა მ ა შ ი წარმოადგენს. ქცევის ეს სახეობა განსაკუთრებით ბავშვის დამახასიათებელია და, ამასთანავე, განსაკუთრებით დამახასიათებელია ბავშვისა. გასაგებია, რომ თამაშის პრობლემა ბავშვის ფსიქოლოგიის პრობლემაა ტრადიციულად, მაგრამ ე. წ. ზოგადი ფსიქოლოგიაც ვერ აუხვევს გვერდს ქცევის ამ ფორმას, რომელსაც ნაკლებ, ვიდრე ბავშვი, მაგრამ მაინც მიმართავს ზრდადასრულებული ადამიანიც. კერძოდ, ფანტაზიის განხილვისას აუცილებელია მისი განხილვა. თამაშინ ყველა სახეობა ამ თვალსაზრისისთვის არაა საინტერესო. საგულისხმოა მხოლოდ ე. წ. ფანტაზიის თამაში. მასში ფანტაზია პირველად სცილდება საკუთარ სულიერ შინასამყაროს და გაიჭრება ობიექტურ სამყაროში. ობიექტური სამყარო აუცილებელი ხდება ფანტაზიის მოქმედებისთვის, რადგან ფანტაზია აქ წარმოდგენათა თამაშით კი აღარ კმაყოფილდება, როგორც სიზმარსა და ოცნებაში, არამედ მოქმედებს გარესამყაროში. ფანტაზიის თამაშისთვის აუცილებელია ობიექტური საგანი, რომლითაც თამაშობს სუბიექტი. მაგრამ ეს საგანი ობიექტურად სულაც არ უნდა იყოს ის, რადაც იგი თამაშში იგულისხმება: ცხენობანისთვის არაა საჭირო ნამდვილი ცხენი, სტუმრობანისთვის — ნამდვილი სტუმარი, მზარეულობანისთვის — ნამდვილი სანოვაგე და ა. შ. ჯოხი, ტიკინა, ქვიშა შესანიშნავად სწევს ცხენის, სტუმრის, თუ სანოვაგის მაგიერობას. ისინი

---

[137] 1,455.

არიან ობიექტები, რომლებიც სუბიექტს შესაძლებლობას აძლევენ მოძრაობებში განახორციელოს თავისი ფანტაზმები. ბავშვი ობიექტურად თუ ჯოხზე ზის — „სუბიექტურად", საკუთარი განცდისთვის იგი ცხენზე ზის და არა ჯოხზე. ეს ცხენი მისთვის არაა ისეთივე რეალური, როგორც ნამდვილი ცხენი. ყოველ წუთს ბავშვს შეუძლია დაივიწყოს, უკუაგდოს, მისი „ცხენობა" და ობიექტური ვითარების შესატყვისად მოექცეს ჯოხს. ამითი განსხვავდება საგნის აღქმა თამაშში ნამდვილი ილუზიისგან. თამაშში საგანი მხოლოდ მასალაა ფანტასტიკური შინაგანი სამყაროს გარეთ პროექციისთვის, და ამ საგანში ურთიერთს ხვდება ორი სამყარო: ობიექტური და სუბიექტური. საგანი აღიქმება ობიექტურ პლანში, ხოლო გამოიყენება სუბიექტურ — ფანტასტიკურ პლანში.

თამაშში ნათლად ჩანს ორი სამყაროს აღრევა, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, — გაერთიანება. ფანტაზიის თვალსაზრისით, თამაში მოქმედების ის სახეობაა, რომლითაც იწყება მოჩვენებითი სამყაროს გაობიექტურობა. ფანტაზიის სამყაროს ადეკვატური ქცევა სცილდება წარმოდგენების სამკვიცროს და მოძრაობებად გამოვლინდება. მოთამაშე ბავშვის მოქმედებას ცელილება შეაქვს ობიექტურ სამყაროში, თამაშს „ფანტაზიის — განცდათა ობიექტივაციების საშუალებით ახალი ფაქტებისა და მოვლენების სამყარო შეაქვს არსებულსა და ღირებულ სამყაროში"[138]. მაგრამ „თამაშის შემთხვევაში გარესამყაროული გამოვლინებანი მხოლოდ იქამდეა ობიექტური, სანამ შემოქმედს ჰსურს და, ამასთანავე, მათი მნიშვნელობა არ სცილდება მოქმედის პერსონას"[139].

თამაშის აზრი ამითი არ ამოიწურება. ბრავალი მხრივ აქვს მას მნიშვნელობა პერსონისთვის. მაგრამ მე მხოლოდ ფანტაზიის თვალსაზრისით მაინტერესებს მისი განხილვა და, ამიტომ, თამაშთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს სრულიად არ გავითვალისწინებ. ფანტაზიის თვალსაზრისით კი თამაში საგულისხმოა, როგორც შ ი ნ ა გ ა ნ ი მ ო ჩ ვ ე ნ ებ ი თ ი ს ა მ ყ ა რ ო ს გ ა ო ბ ი ე ქ ტ უ რ ე ბ ი ს ს ა ფ ე ხ უ რ ი. ასეთ საფეხურს თამაშის მხოლოდ ერთი სახეობა — ფანტაზიის თამაში — წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ ბავშვობის ასაკში გვხვდება. ზრდადასრულებული ადამიანი ასეთ

---

[138] 1,455.

[139] იქვე.

თამაშს არასოდეს არ მიმართავს. და, მიუხედავად ამისა, ზრდასრულებულ ადამიანს არა აქვს აღკვეთილი ფანტასტიკური შინაგანი სამყარო ობიექტივაციის შესაძლებლობა. პირიქით, მისი ხვედრია შემოქმედება, რომელიც ფანტაზიის ობიექტივაციის უმაღლეს საფეხურს შეადგენს.

თამაშთან შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს ისა აქვს საერთო, რომ მასაც „ფანტაზიის განცდათა ობიექტივაციების საშუალებით ახალი ფაქტებისა და მოვლენების სამყარო შეაქვს არსებულსა და ღირებულ სამყაროში". ხოლო თამაშისგან შემოქმედება იმითი განსხვავდება, რომ მასში ფანტაზიის გამოვლინება „მეტია, ვიდრე შემოქმედის თვითჩამოყალიბებისა და გამოხატვის საშუალება... იგი ტრანსპერსონული ხდება, როგორც მნიშვნელობის ახალი, ობიექტური მატარებელი საგანთა აქამომდელ სამყაროში". გარდამავალ საფეხურს თამაშსა და ხელოვნების შემოქმედებას შორის ცეკვა და სახიობა წარმოადგენს. მათში შემოქმედების პროდუქტი განუყრელია შემოქმედისგან. მაგრამ განსხვავება ხელოვანი-მოცეკვავესა და მოცეკვავე ბავშვს შორის ნათელია: პირველი ქმნის ობიექტურ პროდუქტს, თუმც ეს პროდუქტი ვერ გაუთავისუფლებია საკუთარი პიროვნების ზღუდეებისგან. მეორე კი მხოლოდ გამოხატავს საკუთარ პიროვნულ შინაგან სამყაროს, თუმც ეს გამოხატვა ობიექტურ სამყაროში განხორციელდება. ხელოვნების ნამდვილ პროდუქტში: ლიტერატურულ ნაწარმოებში, სურათში და სხვ. ფანტაზიის სამყარო გამოდის პიროვნების საზღვრებიდან, სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით ობიექტური ხდება: პროდუქტი განთავისუფლდება შემოქმედისგან და საგანთა არსებულ სამყაროში შევა შემადგენელ ნაწილად.

ამრიგად, ფანტაზიის განვითარების გენერალური გზა ასეთია: პიროვნება, გარესამყაროსგან მიღებულ შთაბეჭდილებათა მასალით ააგებს საკუთარ შინასამყაროს, რაც შესაძლებლობას აძლევს მას თავი დააღწიოს ობიექტური სამყაროსთვის მორჩილებას. ესაა ფანტაზიის პირველი საფეხური. შემდეგ იმისა, რაც აგებულია შინაგანი „ინტიმური" სამყარო, პიროვნება ესწრაფვის გაშალოს თავისი ცხოვრება ამ სამყაროში. ამით იგი სცილდება წარმოდგენათა სფეროს, იწყებს მოქმედებას (სიტყვის ვიწრო — მოძრაობის — მნიშვნელობით) რასაც აუცილებლად გადაჰყავს იგი წარმოსახულ სამყაროდან ობიექტურ სამყაროში. პიროვნება თავი-

სი მოჩვენებითი სამყაროს შესატყვისად ეპყრობა ობიექტურ სამყაროს საგნებს. მაგრამ ობიექტური საგნები ჯერ მხოლოდ პირადად მისთვის ატარებს სუბიექტურ დაღს. უკანასკნელ, შემოქმედებითს, საფეხურზე ობიექტურ ვითარებაში ფანტაზიის ჩარევის მეოხებით, პიროვნება ობიექტურად სცვლის საგნებს, ქმნის ახალ ღირებულებებს და ამით ათავისუფლებს საკუთარ შინასამყაროს თავისთვის მორჩილებისგან. სუბიექტური სამყარო სავსებით ობიექტურ სამყაროდ იქცევა. იმდენად, რომ იგი სრულიადაც კი სწყვეტს კავშირს შემოქმედთან. ნაწარმოები სრულიად ტრანსპერსონული ხდება. იგი პერსონის გარეშე არსებობს. პერსონა, შემოქმედი — კვლება, ნაწარმოები, შემოქმედება — რჩება. ხელოვნების ნაწარმოების ზე — თუ ტრანსპერსონულობა, შემოქმედისგან დამოუკიდებლობა თვით შემოქმედის მიერაც განიცდება ხოლმე. ამის საუკეთესო საბუთს წარმოადგენს შემოქმედების ანონიმურობა: მხოლოდ იმიტომ, რომ ნაწარმოები ობიექტურ თვითღირებულებად განიცდება და არა პიროვნების გამოვლინებად — შესაძლებელია ანონიმი. ანონიმის საფეხურზე (რომელიც, უნდა ითქვას, რომ არა ხელოვნური შემოქმედების უმაღლესი საფეხური) ხელოვნების ნაწარმოები ზოგადი ფსიქოლოგიის თვალთახედვის გარეშე დგას. ზოგადი ფსიქოლოგიისთვის ხელოვნება მხოლოდ იქამდეა საინტერესო, სანამ მასში პიროვნების ყოფიერება ვლინდება. კერძოდ კი — ფანტაზიის მოქმედება.

პერსონა — სამყაროს ურთიერთობაში ფანტაზიას გარკვეული ადგილი უჭირავს. იგი წარმოადგენს ცნობიერ ასახვას პიროვნების განთავისუფლებისას სამყაროს მორჩილებისგან. ეს განთავისუფლება ერთბაშად და სრულად არ ხდება, თუ ივარგებს ასე თქმა: განთავისუფლების მთელი რიგი თანადროული საფეხურეა არსებობს. აღქმაში ასახულია სრული მორჩილება პიროვნებისა აწმყო გარესამყაროსთვის: პიროვნება აღიქვამს იმას, რაც ობიექტურ სამყაროში ხდება. მეხსიერებაში პიროვნება აწმყო სამყაროსგან თავისუფალია, მხოლოდ ნამყოთია იგი განსაზღვრული. და რადგან ნამყო არაა ისევე ერთმნიშვნელოვანი, როგორც აწმყო, ამიტომ მისი გავლენა უფრო სუსტია, ხოლო პიროვნება, შედარებით იმ შებორკილობასთან, რომელსაც იგი აღქმაში განიცდის — უფრო თავისუფალი და უფრო სპონტანური. აზროვნება ნამყოსგანაც თავისუ-

ფალია. იგი მყობადისკენაა მიმართული და, მაშ, კიდეე უფრო თავისუფალია გარესამყაროს უღლისგან, ვინაიდან მყობადი კიდეე მეტადაა მოკლებული ერთმნიშვნელოვან გარკვეულობას, ვიდრე ნამყო და, მით უმეტეს, ვიდრე აწმყო. მაგრამ ობიექტურ სამყაროს აქვს თავისი კანონები, რომლებსაც აზროვნებამ ანგარიში უნდა გაუწიოს, და ამიტომ მისი თავისუფლება — სამყაროს კონკრეტული მოცემულობისგან თავისუფლება და არა მისი კანონზომიერებისგან თავისუფლება.

თუ აღქმა მხოლოდ აწმყოზე შეიძლება იყოს მიმართული, მეხსიერება — მხოლოდ ნამყოზე, აზროვნება კი მხოლოდ მყობადზე, — ფანტაზია შეიძლება ან აწმყოზე იყოს მიმართული — და ამ შემთხვევაში იგი თავისუფალი იქნება მყობადისგანაც და ნამყოსგანაც; ან ნამყოზე, და მაშინ იგი თავისუფალია აწმყოსაგანაც და მყობადისაგანაც; ან მყობადზე და მაშინ იგი თავისუფალია როგორც აწმყოსაგან, ისე ნამყოსაგან. მიმართების არჩევანის შესაძლებლობაში გამოვლინდება ფანტაზიის თავისუფლება სამყაროს ამა თუ იმ მოდუსის ძალადობისგან და ეს თავისუფლება იქამდე მიდის, რომ ფანტაზია შეიძლება სრულიადაც არ მიემართებოდეს არც ნამყო, არც აწმყო, არც მყობადი სამყაროსადმი, მაშ შეიძლება თავისუფალი იყოს თვით მიმართებისგანაც კი. ეს გარემოება იმაში მეღავნდება, რომ ფანტაზიას არა აქვს ინტენცია. იგი თითონ ა რ ი ს და არაფერს არ გულისხმობს. ეს არც აღქმის შესახებ ითქმის, არც მეხსიერების წარმოდგენის შესახებ, და, მით უმეტეს, არც აზროვნებისა და მისი, წარმოდგენების სახით მოცემული, თვალსაჩინო შინაარსების შესახებ.

აქტივობა

პერსონალისტური თვალსაზრისით, ფსიქიკური მოვლენების რაგინდარა ჯგუფის იზოლირებულად განხილვა პრინციპული სიძნელის შემცველია, და იზოლაცია მუდამ პირობითია ხოლმე. მაგრამ ნებელობის მოვლენების იზოლაცია განსაკუთრებით ძნელია. პირობითადაც კი შეუძლებელია ემოციური მოვლენების განხილვისაგან მისი დაშორება. მეორე მხრივ, ნებელობის მოვლენები მჭიდროდაა დაკავშირებული ფსიქიკის ყველა იმ მოვლენებთან, რომლებშიც

განხორციელდება პიროვნების სპონტანური აქტივობა. ფსიქოლოგიური მასალის განხილვისას იმ თანამიმდევრობით, რომელიც პიროვნება-სამყაროს ურთიერთობის სიმეტიდროვის საფუძველზეა დადგენილი, ნებელობის მოვლენათა განხილვა მხოლოდ გრძნობის მოვლენათა განხილვას უსწრებს წინ. გრძნობის მოვლენები მართლაც მაქსიმალურადაა დამოუკიდებელი სამყაროსგან, და ამ მოვლენების განხილვით ფსიქიკური მოვლენების განხილვის დასრულება საკვანძოთ გამართლებულია მიღებული თვალსაზრისით. ნებელობის მოვლენების ადგილის დადგენა ასევე უდავოდ ძნელია. ალქმიდან ფანტაზიამდე თანდათანობით კლებულობს ფსიქიკურის დამოკიდებულობა სამყაროზე. ნებელობაში, მართლაც, კიდევ უფრო ნაკლებია ეს დამოკიდებულობა. მაგრამ, სამყაროსთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ნებელობის მოვლენები არა მარტო რაოდენობრივად განსხვავდება ზემოგანხილული მოვლენებისაგან. თუ აქამდე განხილულ მოვლენებში პიროვნება თანდათან თავისუფლდება სამყაროს ძალმომრეობისგან — ნებელობის მოვლენებში პიროვნება-სამყაროს ურთიერთობის ხასიათის ძირითადი შეცვლაა ასახული: აქ უკვე სამყაროს ვითარებაა დამოკიდებული პიროვნებაზე, და არა პირიქით. პიროვნება, როგორც ვიცით, არა მარტო რეაქტიული არსებაა, არამედ სპონტანურად აქტიურიც. და ნებელობაში უწმინდესი სახით ვლინდება სწორედ მისი სპონტანური რაობა. პიროვნება (საერთოდ პერსონა) მიზანმისწრაფებულია. მისწრაფებულობა მისი კონსტიტუციური ნიშანია. და, ამასთანავე, იგია ნებელობის მოვლენების ჭეშმარიტი წყარო. ნებელობა ცნობიერების ფაქტია. განცდის პლანში მისი საწყისი მისწრაფების განცდაა. მაგრამ მოქმედების პლანში მას აქვს ცნობიერებამდელი საფუძვლები, და მათი განხილვით იწყებს ვ. შტერნი ნებელობის მოვლენების შესწავლას.

პერსონას აქვს მოძრაობათა წარმოების უნარი. მოძრაობები შეიძლება სამყაროს ზეგავლენის საპასუხოდ ხდებოდეს და მაშინ მათ რ ე ფ ლ ე ქ ს ი ეწოდება: „რეფლექსში გაღიზიანება და გაღიზიანებაზე პასუხი უშუალო ერთიანობას ჰქმნის"[140]. რეფლექსის ცნება საკმაოდ ცნობილია იმისთვის, რომ საკმარო იყოს აქ მისი განხილვა. პერსონალისტური თვალსაზრისის-

---

[140] 1,514.

ფვის საგულისხმოა ის, რომ რეფლექსის მექანიკურობა არ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც მისი უაზრობა, რადგან პერსონის ყოფიერებაში საერთოდ არ არსებობს არავითარი მოვლენა, რომელიც უმიზნო და უაზრო იყოს. მაგრამ რეფლექსის მიზანშეწონილობა ფრიად განსაზღვრულია. რეფლექსი, უწინარეს ყოველისა, წარმოადგენს იარაღს, რომელსაც ინდივიდი წინაპრებისგან ღებულობს და რომლითაც იგი ეგუება გვარისათვის საერთო პირობებს ცხოვრებისას. ახლისადმი შეგუება რეფლექსს არ ძალუძს. ახალი გამღიზიანებლის შემთხვევაში, ან ძველი მოძრაობით უპასუხებს მას პერსონა, თუკი გამღიზიანებლის „სიახლე", ძველისგან განსხვავება არაა შემჩნეული; ან ახალის ზოგადი ხასიათია მხოლოდ ანგარიშგაწეული: მისი საშიშროება, სასურველობა თუ სხვა ამდაგვარი, და რეფლექსიც დიფუზიური ტოტალური ხასიათისაა, რომელიც გამღიზიანებლის სპეციფიკას არ ითვალისწინებს; ან რეფლექსის შეფერხება ხდება. ამას კი მოსდევს გამღიზიანებლის ფსიქიკური გადამუშავება და ცნობიერი ნებითი მოქმედება.

უკანასკნელ ხანებში ფართო პოპულარობა მოიპოვა. არა-მემკვიდრეობითი რეფლექსების (პირობითი, ინდივიდურად შეძენილი, შეუღლებული რეფლექსების) ცნებამ. პირობითი გამღიზიანებლის გაგება, როგორც სრულიად უაზრო მოვლენისა, რომელიც მხოლოდ „შემთხვევით", „გარეგნულად" უკავშირდება ძირითად, „უპირობო" (არაპირობით) გამღიზიანებელს, პერსონალისტიკისთვის მიუღებელია. საქმე ისაა, რომ მემკვიდრეობითს რეფლექსსაც აქვს პირობითი გამღიზიანებელი: ძაღლი, ყოველგვარი ექსპერიმენტის უწინარეს ნერწყვს გამოჰყოფს არა მარტო ჭეშმარიტად არაპირობითი გამღიზიანებლის ზემოქმედებისას, როგორიცაა მაგ: ხორცის შეხება პირის ღრუს ზედაპირზე, არამედ ხორცის მხოლოდ დანახვისასაც, რაც (ხორცის დანახვა) ვერ ჩაითვლება არაპირობით გამღიზიანებლად ნერწყვის გამოყოფის რეფლექსისათვის. ხორცის დანახვას შემამზადებელი სიგნალის მნიშვნელობა აქვს, და ასეთივე მნიშვნელობა ენიჭება ექსპერიმენტულ პირობითს გამღიზიანებელს. „ცხოველის წვრთნა... იმას ემყარება, რომ გარკვეული გამღიზიანებლები, რომლების „საკუთარი" აზრი ცხოველისთვის მიუწვდომელია, რეფლექსის გამომწვევად (Reflexauslöser) იქცევა იმით, რომ მათ — ჩვევის, დაჯილდოების და სხვ. მეოხებით — ხელოვნური

აზრი, სახელდობრ, სიგნალის ხასიათი ენიჭებათ"[141]. შეძენილი რეფლექსისთვის ისევე ჩვეულია სტერეოტიპია, როგორც მემკვიდრეობითი რეფლექსისათვის და, როგორც უკანასკნელი, ისე პირველიც, ხშირად უაზროა და მიზანშეუწონელი. „პარადოქსულია სურვილი, რეფლექსის ასეთი გამრუდება როგორც ცხოველის, ისე ადამიანის სწავლის ყველა ფუნქციების ტიპად, და თვით ზოგადად ადამიანის შესახებ მეცნიერების საფუძვლად იქნეს ქცეული"[142].

რეფლექსი, სულერთია პირობითი იქნება იგი თუ არაპირობითი, შეძენილი თუ მემკვიდრეობითი, მხოლოდ და მხოლოდ საპასუხო მოქმედებაა გარესამყაროს ზემოქმედებაზე. ადამიანის მოქმედებათა შორის ამგვარი მოქმედებანი მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობითაა მოცემული. ბევრად უფრო დიდია რაოდენობითი წვლილიცა და პრინციპული მნიშვნელობაც ისეთი მოქმედებებისა, რომლებიც პიროვნების შინაგანი აქტივობის საწყისიდან მომდინარეობენ.

ასეთ მოქმედებათა ჯგუფიდან, პირველ რიგში წადილის (Trieb) მოქმედებები უნდა განვიხილოთ.

წადილი არის „პ ე რ ს ო ნ უ ლ მ ი ზ ა ნ თ ა გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს ა დ მ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ი (eingestellte) თ ა ნ შ ო ბ ი ლ ი დ ი ს პ ო ზ ი ც ი ა, რ ო მ ლ ი ს გ ა დ ა ტ ა ნ ა ა ქ ტ უ ა ლ უ რ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შ ი უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ პ ე რ ს ო ნ ი ს შ ი ნ ა გ ა ნ დ ი ნ ა მ ი კ ი თ ა ა პ ი რ ო ბ ა დ ე ბ უ ლ ი"[143]. წადილი იძლევა ძრავს ქმედობისთვის (Handlung) ამასთან იგი ყველაზე უფრო დიფუზიურია მიმართებულობის ყველა დისპოზიციათა შორის. ამიტომ, ცხადია, რომ მის მიერ პირობადებული მოქმედებაც არ შეიძლება იყოს ერთმნიშვნელოვანად გარკვეული და ჩამოყალიბებული. მისი მიზანშეწონილებაც არაა უზრუნველყოფილი, გარანტირებული. წადილურ ქმედობათა ბუნების გასათვალისწინებლად კარგი მაგალითია შემთხვევა, როდესაც მძიმე პირობებში მოხვედრილი ადამიანი (მაგალითად, გემის დაღუპვის შემდეგ) ჰამის წადილის გავლენით იწყებს სრულიად წარმოუდგენელი რამეების (მაგალითად, ტყავების, ფეხსაცმელების ძირების) ჭამას. შინაგანი იძულება ჰამისა წადილისეულია. მისი განხორციელება, ამ შემთხვევის თანახმად, შე-

---

141 1,519.

142 იქვე.

143 1,520.

იძლება სრულიად მიზანშეუწონელი იყოს. იგი სათანადო ანგარიშს ვერ უწევს სამყაროს, სწორედ მისი მეტისმეტი „შინაგანობის“ გამო. წადილები მრავალგვარია, მაგრამ მათი „ინვენტარიზაცია“ პრინციპულად შეუძლებელია, რამდენადაც ისინი არ არიან ეგზისტენციური ცალკეული ძალები, არამედ — მთლიან პიროვნული მისწრაფებულობის ცალკეული გამოსხივებანი. მაგრამ შესაძლებელია მათი „საკვალიფიკაციო სქემის“ მოხაზვა. სამ ჯგუფად შეიძლება წადილების გაყოფა: 1. თვითშენარჩუნების ელემენტურ წადილებად (მაგ., კვების, თავდაცვის და სხვ.). 2. თვითგანვითარების ელემენტურ წადილებად (მაგ., ღირებულების, ძლიერების, ზრდისა და სხვ.) და 3 ელემენტურ სოციალურ წადილებად (მაგ., გკარის, ჯოგის, მიბაძვისა და სხვ.).

აქვე უნდა ითქვას, რომ სპეციფიკური ადამიანური წადილების არსებობა სრულიად უმართებულოდ იყო ეჭვმიტანილი. მის (არსებობის) საწინააღმდეგოდ წამოყენებული ორივე არგუმენტი უძლურია გააუქმოს ამგვარი წადილების არსებობის უფლება. ერთი არგუმენტია ე. წ. ჰუმანური წადილების ფილოგენეზური სიახლე. მეორე — ის, რომ ისინი წმინდა სახით არაა გამომჟღავნებული. მაგრამ წადილისთვის სულაც არაა არსებითი და აუცილებელი არც ის, რომ იმთავითვე მჟღავნდებოდეს და არც ის, რომ წმინდა სახით მჟღავნდებოდეს. „წადილი, როგორც დისპოზიცია, სახელდობრ როგორც პერსონის იმანენტური და ხანიერი მიმართებულობის დინამიკა, იქაც უნდა იქნეს დაშვებული, სადაც იგი მხოლოდ როგორც შესაძლებლობა არსებობს, იგი უარყოფილი უნდა ყოფილიყო მხოლოდ იქ, სადაც... მიზნის განხორციელება ამომწურავად გამოიყვანებოდა სხვა ფაქტორებიდან. მაგ., სხვა წადილებიდან ან გარეგან გავლენებიდან“[144]. წადილის უპირატესად დამახასიათებელია აწმყო მდგომარეობის შეცვლისადმი მისწრაფება. მაგალითად, ჩასაფრებულ მებრძოლს მდგომარეობის შეცვლის წადილი უჩნდება და, მიუხედავად თავის გამომჟღავნების რისკისა, იგი იცვლის მდგომარეობას: ეს თვისება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნეგატიურ მნიშვნელობას გვაძლევს წადილისას. უკანასკნელის პოზიტიური მნიშვნელობა მიზანმიმართულობაა, მაგრამ, ფაქტიურად, მასში წ ა რმართვის („Fortdrängen von...“) მომენტი უფრო ძლიე-

---

144 1,523 შშ.

რადაა წარმოდგენილი, ვიდრე მ ი მ ს რ თ ვ ი ს ა („Hindrängen zu...").

როგორც პერსონული, ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური მოვლენა, წადილი როგორც ვთქვი, მაქსიმალურად დიფუზიურია, მინიმალურად ჩამოყალიბებულია. ასეთივეა მისი შესატყვისი ცნობიერება: წადილი განიცდება როგორც დაძაბულობა და მოუსვენრობა, ბუნდოვანი ბიძგი (dumpfer Drang), არსებული სიტუაციის რამენაირად შეცვლის წყურვილი.

წადილის დახასიათება ნათელყოფს, რომ იგი არ შეიძლება იყოს ქმედობის ერთადერთი წყარო, თუ ქმედობად ვიგულისხმებთ პერსონის მოქმედების დახშულ პროცესს, რომელიც სამყაროს აზრიან ცვლილებას იწვევს[145].

წადილის ნიადაგზე მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა აღმოცენდება. ეს მაშინ ხდება, როდესაც შინაგანი დაძაბვა უშუალო გამოსავალს ვერ პოვებს მოქმედებაში, როდესაც იგი შეკავებული იქნება შინაგანი თუ გარეგანი ფაქტორების მიერ და, თავდაპირველად, მხოლოდ შინაგანად შეძლებს გამოვლენას.

„ყველგან, სადაც წადილის დისპოზიციას დრო და შესაძლებლობა ეძლევა თანდათანობითი აქტუალიზაციისთვის, იცვლება მისი თანმხლები განცდაც. წ ა რ მ ა რ თ ვ ა (Fortdrängen von...) მ ი მ ა რ თ ა ვ ა დ (Hindrengen zu...) იქცევა; ზოგადად აწმყო სიტუაციის მხოლოდ და მხოლოდ შეცვლა კი აღარ იწადება, არამედ გარკვეული მიმართულებით შეცვლა. ის გრძნობა, რომელიც აწმყო უკმარობიდან — მყობადი შევსებისკენაა მიმართული „მოთხოვნილებად" იწოდება"[146].

წადილების შეფერხება ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, და მოთხოვნილებანიც, უმთავრესად, ადამიანის კუთვნილებას შეადგენს. სურვილისა და ნატვრისგან განსხვავებით, მოთხოვნილება უსათუოდ დაკავშირებულია წადილის დინამიკასთან და უსათუოდ ესწრაფვის შესრულებას. მოთხოვნილება, რარომ ერთხელ გაჩნდება,— თუ არ ჩაკვდა,— შინაგანი აუცილებლობით იმატებს ინტენსივობას და, თუ შესატყვისი გამოსავალი ვერ პპოვა, ბოლოს „ამოხეთქავს" წადილისეულ მოქმედების სახით. „მოთხოვნილების ინტენ-

---

145 1,511.

146 1,527.

სივობასა და შესრულების ქმედობის ორგანიზაციის სიმაღლის შორის შექცევითი პროპორციულობა არსებობს"[147].

მოთხოვნილების შინაარსი არაა მხოლოდ შინაგანი ფაქტორებით განსაზღვრული. შინაგანი მისი წყარო — ეუშმარიტად შინაგან-პერსონული წადილია; მაგრამ სპეციფიკურ, კონკრეტულ შინაარს იგი გარემოსამყაროსთან კონვერგენციაში, სახელდობრ, გამოცდილებაში პოვებს. სპეციფიკური ადამიანური მოთხოვნილება, რომლის ნიმუშს წარმოადგენს, ვთქვათ, ლუდის წყურვილი და არა საერთოდ წყურვილი, „საგნით დატვირთულია", საგანი კი მხოლოდ გამოცდილებიდან შეიძლება იყოს ცნობილი. „ეს არის სრულიად განსაკუთრებული ღრმა სახის გამოცდილება. არა უბრალოდ შეაბეჭდილებათა მიღება გრძნობების გზით, არა უბრალოდ ცოდნათა ფლობა, არც უბრალოდ რეტროსპექციულ მოგონებათა ქონება — არამედ წადილის დინამიკის პროსპექტიული წარმართვა (Einstellung) საგნობრივ მიზნებისადმი არის იარაღი ამ გამოცდილებისა"[148]. საგნით დატვირთულობის შინაგანი ფაქტორის გარდა, მოთხოვნილების კავშირი სამყაროსთან სამყაროისეული ფაქტორითაცაა პირობადებული. საგნებს „გამომწვევი ხასიათი" აქვს გარკვეული მოთხოვნილების მქონე ადამიანისთვის. „ესა თუ ის საგანი გულუბრყვილო ადამიანის სამყაროს იმდენად კი არ ეკუთვნის, რამდენადაც მას ესა თუ ის ფორმა, სიდიდე, ფერი, ესა თუ ის საგნობრივი თუ ლოგიკური მნიშვნელობა აქვს, — არამედ იმდენად, რამდენადაც მას ძალუძს მოთხოვნილებათა აღძვრა და დაკმაყოფილება"[149].

მხოლოდ გარედან მოთხოვნილების არც შექმნაა შესაძლებელი და არც მოსპობა. „მაგრამ გარეგანი გავლენები ანიჭებენ მოთხოვნილებათა ზოგადსა და გარდაუვალ (unaufhebbare) ტენდენციებს სპეციფიკურ მიმართებულობას გარკვეული საგნებისადმი და დაკმაყოფილებათა სახეობებისადმი (Befriedigungsarte), სცვლიან მოთხოვნილებათა მიმართულებას, აძლიერებენ ან ეფერხებენ მოთხოვნილებათა დინამიკურ გამოვლენას, ახდენენ მათი დაკმაყოფილების რეგულაციას გამღიზიანებელ საშუალებათა და მიზნის მისაღწევობის დოზირებით"[150]. მოთხოვნილებათა ბუნების გა-

---

147 1,528.

148 1,529.

149 1,530.

150 1, 532—533.

თვალისწინება ნათელჰყოფს, ერთი მხრივ, „საგანთა გამომწვევი ხასიათის“ კ. ლევინისეული ცნების მიმართულებას, მეორე მხრივ კი, ამ ცნების უკმარობას, და მისი შევსების აუცილებლობას „საგანთა მასალის ხასიათის“ (ვ. შტერნისეული) ცნებით.

წადილისგან განსხვავებით მოთხოვნილება „საგანმიმართულია“, თუ შეიძლება ასე ითქვას, ანუ „საგნით დატვირთულია“ (Gegenstandsgeladen), როგორც ვ. შტერნი ამბობს. ეს გარემოება ქმნის მოთხოვნილებათა სპეციფიკაციას. იგი უდევს საფუძვლად სპეციფიკურ-ადამიანურ მოთხოვნილებათა წარმოშობას, იგი ჰყოფს შესაძლებლად ადამიანის ცივილიზაციას. თუ წადილის ძირითად დამახასიათებელ თვისებას „წ ა რ მ ა რ თ ვ ა“ ვუწოდეთ, მოთხოვნილებისთვის არსებითია „მ ი მ ა რ თ ვ ი ს“ თვისება. საერთო წადილსა და მოთხოვნილებას მოქმედების განხორციელების თვალსაზრისით ისა აქვს, რომ ორივე მიმართებულების დისპოზიციაა, და ამდენად, როგორც ერთი, ისე მეორე, უკმარია ნამდვილი ქმედობის გამოსაწვეეად. ქმედობა მიზანშეწონილი მოქმედებაა, და მისი განხორციელებისათვის პერსონას უნდა გააჩნდეს არა მარტო სწრაფვა, მისწრაფებულობა, — არამედ უნარიც, აღჭურვილობაც მიზნის მიღწევისა. წადილით და მოთხოვნილებით უშუალოდ გამოწვეული მოქმედების ზემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ მიზნის მიღწევა მათ ანაბარად დარჩენილი პერსონის შესაძლებლობას აღემატება. მოთხოვნილების მიზანშეწონილად დაკმაყოფილების შესაძლებლობას ინსტინქტი იძლევა. ი ნ ს ტ ი ნ ქ ტ ი ისეთ წადილს ეწოდება, „რომლის მიმართებულობა მარტო საბოლოო მიზანს კი არ ეხება (gilt), არამედ ნაწილობრივ მიზნებსაც, რომელთა მეშვეობითაც მიიღწევა საბოლოო მიზანი“[151]. განსხვავება წადილისა და ინსტინქტის შორის ცნების ფარგლებშია მხოლოდ. რეალურად არ შეიძლება არსებობდეს ინსტინქტური ქმედობა, რომელშიც წადილი არ მონაწილეობდეს. ინსტინქტური მოქმედება, (ან —ჰიეში ტერმინოლოგიის თანახმად—ინსტინქტური ქმედობა) წადილისეული მოქმედებისაგან[152] მიზანშეწონილობით და გეშტალტური

---

[151] 1,535.

[152] ვ. შტერნს ეფლება არა აქვს იხმაროს ტერმინი Triebhandlung მას მერე, რაც Handlung სამყაროში მიზანშეწონილი ცვლილების გამომწვევ პერსონულ მოქმედებად აქვს გაგებული.

ხასიათით განირჩევა. განსხვავებაა აგრეთვე ხანიერობის თვალსაზრისითაც: ინსტინქტური მოქმედება დიდხანს გრძელდება სწორედ იმიტომ, რომ შუასაფეხურებს გაივლის მიზნის მიღწევამდე. ინსტინქტის პრობლემა ბიოლოგიისა და ფსიქოლოგიის, განსაკუთრებით კი ბიოლოგიურად ორიენტირებული ფსიქოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და მტკივნეული პრობლემათგანია. მაკ დაუგოლი იძულებული შეიქნა ინსტინქტურ ქმედობაში ინტელიგენტობის მონაწილეობა დაეშვა, რაც უდიდეს მეცნიერულ უხერხულობას ქმნის: ინტელიგენტობა მიზნის ცნობიერად გათვალისწინებას გულისხმობს, რის დაშვებისათვისაც ინსტინქტურ ქმედობაში არავითარი ემპირიული საბუთი არ არსებობს. გარეგნულად ინსტინქტური ქმედობა არაჩვეულებრივად რთული შეიძლება იყოს. ავტორს მაგალითად ფრინველის გადაფრენა მოჰყავს. ასეთივე მოგზაურობის განსახორციელებლად ადამიანს რთული ინტელექტუალური ოპერაციები და ნებითი ქმედება დასჭირდებოდა. მაგრამ, ანალოგიით, წეროს შემთხვევაშიც ასეთი ოპერაციების დაშვების უფლება არა გვაქვს. წერო ამ მოგზაურობას თანშობილი მექანიზმის მეოხებით ასრულებს. ეს კი მხოლოდ იმიტომაა შესაძლებელი, რომ „ადამიანისთვის აფრიკაში გამგზავრება მხოლოდ ერთერთია მოგზაურობის უთვალავ შესაძლებლობათაგან; და თვით ეს ერთი მოგზაურობაც სულ სხვადასხვა ვარიაციებით შეიძლება განხორციელდეს. წეროსთვის კი აფრიკაში გაფრენა ერთადერთი შესაძლებელი შორეული გაფრენაა, რომელსაც გარკვეულ დროს დაუდგება ვადა (fällig wird). ადამიანისათვის მგზავრობის სვლაგეზი და მიზანი — „სხვაა", „უცხოა",—წერისათვის ეს მისი ფრენაა, მისი სვლაგეზი, მისი მიზანი, მისი სიცოცხლის ორგანული ნაწილი. ცხოველის ინსტინქტური მოქმედება ცხოველის მარადერთგვაროვანი ერთი გარემოსამყაროსადმი მარად განმეორებადი შეგუებულობაა; კულტურული ადამიანის არა-ინსტინქტური მოქმედება — სულ მუდამ უცხო სამყაროს მუდამ ცვალებადს, განუსაზღვრელად მრავალ შესაძლებლობათადმი — მუდამ ცვალები მზაობის აუცილებლობაა (Fertigwerdenmüssen)" [153].

ცოცხალი არსების ინსტინქტური მოქმედება დაახლოებით ისევე თავისთავად გასაგები (selbstverständlich) და მიზანშეწონილია,

---

[153] 1,536.

როგორც ზრდის, ნივთიერებათა ცვლის და სხვა ამდაგვარი ფუნ-ქციები. განსხვავება ისაა, რომ ინსტინქტის მიზანდასახვანი უწყვეტად კი არაა მთელი სიცოცხლის განმავლობაში მოცემული, არამედ გარკვეულ ვ ა დ ე ბ თ ა ნ ა ა დაკავშირებული.

ვიტალური სამყარო, რომელშიც ცხოვრობს ცხოველი, განსხვავებულია ადამიანური — საგნობრივი თუ ინტროცეფციული — სამ-ყაროსაგან. განსხვავებას ქმნის პირველის ერთგვაროვანი სიმარტივე და მეორის მრავალფეროვანი ცვალებადობა. მაგრამ ბიოსფეროს „მარადიული ერთგვაროვანობის" შესახებ მხოლოდ პირობითად შეიძლება ლაპარაკი. აბსოლუტური იგივეობა, სიტუაციათა სტერეოტიპული განმეორება ცოცხალი არსების გარემოსამყაროში შეუძლებელია. ამიტომ ინსტინქტური მოქმედებაც სტერეოტიპულად არ მეორდება. ინსტინქტი ელასტიკურია. იგი მეტად თუ ნაკლებად ეგუება სიტუაციის მეტ-ნაკლებ ორიგინალურობას. მიუხედავად კონსერვატიულობისა,—რაც არსებითი დამახასიათებელი ნიშანია ინსტინქტის, როგორც შეგუების მემკვიდრეობითი მექანიზმისა. — ინსტინქტს ძალუძს სიტუაციის თავისებურობისადმი ინდივიდური შეგუება. მუდამ უცვლელი რჩება მხოლოდ ძირითადი იმპულსი და საბოლოო მიზანი.

ინსტინქტის იდუმალობის გაგების შესაძლებლობას პერსონალისტიკის სისტემაში იძლევა მისი განჭვრეტა სიცოცხლის ვიტალური მოდუსის პლანში.

ადამიანური ინსტინქტების არსებობაზე არა ერთხელ ყოფილა მიტანილი ეჭვი. ეპპირიაში, მართლაც, ადამიანის ინსტინქტური ქცევა არასოდეს — ყოველ შემთხვევაში არაჩვეულებრივ იშვიათად — ვლინდება ისევე წმინდა სახით, როგორც ცხოველის ინსტინქტური ქცევა. [illegible]ობილი ბავშვის მიერ ძუძუს წოვის გარდა იქნებ ვერც მოინახოს ადამიანის ქცევაში სხვა მაგალითი ინსტინქტური ქცევისა. ეს გარემოება საკმაებით გასაგებია პერსონალისტიკისათვის: თუ ინსტინქტი ვიტალური მოდუსის ქცევაა, ადამიანთან იგი არ შეიძლება წმინდა სახით ვლინდებოდეს, რადგან ადამიანის ყოფიერება მხოლოდ ბიოსფეროთი (ვიტალური სფეროთი) არ ამოიწურება. ვიტალურ მოდუსთან ერთად ამ შემთხვევაში საგნობრივი და ღირებულებათა სამყაროს მოდუსებიც, ანუ განცდითი და ინტროცეფციული მოდუსიც არის მოცემული. ყოფიერების ამ უკანასკნელი მოდუსისთვის კი ინსტინქტური ქცევა შეუსატყვისია. მაგრამ სწორედ იმიტომ,

რომ ადამიანის ყოფიერებაშიც მუდამ რჩება ვიტალური მომენტი, ადამიანის ქცევაში მუდამ შეიძლება აღმოჩენილ იქნეს ინსტინქტური საწყისი. არც ის გარემოება, რომ ინსტინქტური ქმედობის მექანიზმი იმთავითვე, დაბადებისთანავე, არაა მზამზარეულად მოცემული, არც ის, რომ იგი წმინდა სახით არაა მოცემული—ვერ გამოდგება იმის საბუთად, რომ ადამიანი მოკლებულია ინსტინქტებს. „ინსტინქტური ქმედობა აზრიანად მიმართული ქმედობაა, რომელიც თანშობილი მოთხოვნილების მიერ წარიმართება და რომელიც მიზნის მისაღწევად ააქტივებს მარად აუცილებელ თანშობილ უნარებს, შერჩევას, გადაწყვეტასა და დაგეგმვას. ამ აზრით კი ინსტინქტური და ცნობიერ ქმედობა ადამიანის ქმედობაშიც მონაწილეობს"[184].

ნებელობა

ფსიქიკური ფენომენების სამკვიდროში სულ უკანასკნელ ხანაში დადასტურდა თავისებური განცდის არსებობა, რომელიც მხოლოდ შემდეგი სახით შეიძლება იქნეს აღწერილი: „ახლა მე მნებავს". იგი განსხვავდება სურვილის განცდისგან იმითი, რომ განიცდება, როგორც აქტიური ბიძგი ქმედობის დასაწყებად. ამგვარად გაცნობიერებულ ქმედობას ნებელობის ქმედობა ეწოდება. ადამიანის მოქმედებაში ნებელობითს ქმედობას კვანტიტეტურადაც პირველი ადგილი უჭირავს და კვალიტეტურადაც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. ამგვარი ქმედობა ადამიანის სპეციფიკური და მონოპოლიური კუთვნილებაა. ეს გარემოება იმითია პირობადებული, რომ ნებითი ქმედობა ცნობიერი ქმედობაა, ცნობიერება კი მხოლოდ ადამიანურია.

. ნებელობა პერსონული მოვლენაა, რომელშიც ვლინდება პერსონის აქტიური მიმართება სამყაროსადმი, უკანასკნელის დამორჩილების მიზნით. ნებითი ქმედობა მიზანმისწრაფებულია და მიზანშეწონილია. მაგრამ ეს თვისება არაა სამყოფი მის დასახასიათებლად, რადგან მიზანმისწრაფებული და მიზანშეწონილია ყოველი ქმედობა. ნებელობა სიცოცხლის მხოლოდ ცნობიერების მოდუსშია შესაძლებელი. ე. ი. იქ, სადაც პერსონა და სამყარო გათიშულია, ანუ სა-

---

184 1,534.

დაც მოცემულია ობიექტი, რომელზედაცაა მიმართული ნებელობა. სუბიექტისა და ობიექტის გათიშვა შესაძლებელყოფს აწმყოს (უფრო სწორად: პერსონალური პრეზენსის) დარღვევას, მყობადის დადგენას და მყობადისადმი მიმართებას. ნებელობა მყობადზეა მიმართული ნებითი ქმედობის სუბიექტი — პიროვნებაა. ცნობიერების პლანში ეს ვითარება ს ა კ უ თ ა რ ი ა ქ ტ ი ვ ო ბ ი ს გ ა ნ ც დ ა ד აისახება ფიზიკალურ პლანში—სხეულის დაძაბულობად. ნებითი ქმედობის ობიექტი—მყობადი მდგომარეობაა. ცნობიერების პლანში ეს ვითარება მ ი ზ ნ ი ს ც ნ ო ბ ი ერ ე ბ ა დ აისახება ფიზიკალურ პლანში—სამყაროში გარკვეული ცვლილების შეტანით.

ნებითი მოვლენის ცენტრალური პუნქტი არის ხსენებული განცდა: „ახლა მე მნებავს". მხოლოდ ამ პუნქტიდან შეიძლება ნებელობის სტრუქტურის წვდომა, მისი როგორც წინამორბედი, ისე მომდევნო საფეხურების გათვალისწინება.

ნებითი ქმედობის ორი ჯგუფი უნდა განვასხვავოთ: პერსონის-მიმართი (Selbstbezügliche) და სამყაროს-მიმართი[158] (Fremdbezügliche) ქმედობათა ჯგუფები. იმ თვალსაზრისით, რომლითაც ავტორი განალაგებს ფსიქიკურ მასალას, ე. ი. პერსონისა და სამყაროს ურთიერთობის თვალსაზრისით, მთავარ ინტერესს სამყაროს-მიმართი ნებითი მოქმედებანი წარმოადგენს, მაგრამ პერსონის-მიმართი ნებითი ქმედობანი ისეა დაკავშირებული სამყაროს-მიმართ ქმედობებთან, რომ მათი სრული უგულებელყოფა შეუძლებელია. სამყაროს-მიმართ ნებითს ქმედობას ადამიანი საკუთარი სხეულის მიზანშეწონილი მოძრაობების საშუალებით ახორციელებს. ეს მოძრაობანი არ წარმოადგენს მიზანს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საშუალებას მიზნის მისაღწევად. მაგრამ არის მდგომარეობა, როდესაც თვით მოძრაობა იქცევა მიზნად. ამისი თვალსაჩინო მაგალითია სპორტიული ვარჯიში. ასეთ შემთხვევაში, როდესაც საკუთარი მოძრაობის შესრულება შეადგენს ნებითი ქმედობის მიზანს, ერთადერთ მიზანს, რომლის შედეგი პიროვნებისთვის შემთხვევითი ხასიათისაა — საქმე გვაქვს პერსონის-მიმართ ნებით ქმედობასთან. უკანასკნელი მხოლოდ სხეულებრივი მოძრაობებით არ ამოიწურება, არამედ ფსიქიკურ მოვლენებზეც შეიძლება იყოს მიმართული, მაგალითად, დავიწყებული სიტყვის გახსენებაზე, განცდათა დაკვირვებაზე, შიშის გრძნობის დაძლევაზე და სხვა. დაბოლოს, პერ-

---

[158] ტერმინი აზრის მიხედვითაა თარგმნილი.

სონის-მიმართი ნებითი მოქმედება შეიძლება დისპოზიციური ხასიათის რომელობაზე იყოს მიმართული: მიზანი ჩ ე მ შ ი რ ა ი-მ ე ს შეცვლა კი არაა, არაპედ მთლიანად ჩ ე მ ი შ ე ც ვ ლ ა. ეს უკანასკნელი სახეობა პერსონის-მიმართი ნებითი ქმედობისა იმი-თი განსხვავდება სხვა სახეობათაგან, რომ, მართალია, იგი გარკვე-ულ მომენტში იწყება, მაგრამ არა აქვს დროში განსაზღვრული და-სასრული, რადგან მიზანი — საკუთარი მომდევნო სიცოცხლის შე-ცვლილი მიმდინარეობაა და არა აკუტური მდგომარეობა.

პერსონის-მიმართი (Selbstbezügliche) ნებითი ქმედობის შემ-თხვევაში დაცულია ნებითი ქმედობის ზოგადი პრინციპი: სუბიე-ქტი მიმართულია ობიექტზე. სუბიექტისა და ობიექტის გაიგივება აქ არ ხდება. ქმედობის სუბიექტი აწმყო ტოტალური პერსონაა, ობიექტი — მისი გამოცალკევებული, მხოლოდ მომავალში განსა-ზორციელებელი მომენტი[158].

აქ იძულებული ვარ შევაჩერო თხრობა და კრიტიკული თვა-ლით შევხედო ავტორის მოსაზრებას. ავტოტელიური ნაკვთები ხა-სიათისა, ე. ი. საკუთარი თავის ჩამოყალიბებაზე მიმართული ნე-ბითი ქმედობანი, ფრიად ზოგადი ხასიათის შეიძლება იყოს. ამიტომ ნებელობის ობიექტი შეიძლება არც იყოს „გამოცალკევებული მო-მენტი“ პერსონისა. აზრთა წინააღმდეგობისთვის თავის დაღწევის შესაძლებლობას, როგორც ჩანს, ნებითი ქმედობის სუბიექტისა და ობიექტის განსაზღვრებაში ლოგიკური მახვილის გადანაცვლება წარმოადგენს. ასეთი ოპერაციის შემდეგ განსაზღვრებამ შემდეგი სახე უნდა მიიღოს: ქმედობის სუბიექტი ა წ მ ყ ო ტოტალური პერსონაა — ობიექტი — გამოცალკევებული მ ხ ო ლ ო დ მ ო მ ა-ვ ა ლ შ ი გ ა ნ ს ა ზ ო რ ც ი ე ლ ე ბ ე ლ ი მომენტი მასში. ან, უმ-ჯობესი იქნებოდა ასე გვეთქვა: ქმედობის სუბიექტი აწმყო პერსო-ნაა, ობიექტი — მყობადი პერსონა (ან მისი ერთ-ერთი მომენტი). ობიექტი ამგვარი განსაზღვრებით არ დაჰკარგავდა ობიექტურობას, რადგან მისი მყობადობა საკმაო გარანტიაა მისი ამჟამადმოცემუ-ლობის უარსაყოფად; მყობადობა გათიშვის შემდეგაა მხოლოდ შე-საძლებელი და, როგორც ასეთი, იგი მუდამ ობიექტი შეიძლება იყოს პერსონისთვის. თუ არ ობიექტური — ან უკეთ: ობიექტივა-ციაქმნილი — მყობადი არ არსებობს პერსონისთვის. რაც განუ-

---

158 1,555.

წვალებელ ყოფიერებაში შედის, ის ხომ პერსონული პრეზენსია, რაც არ უნდა დიდი იყოს მისი ობიექტური დროითი სიდიდე!

სამყაროს-მიმართი ნებითი ქმედობა მხოლოდ საკუთარ მოძრაობათა დაუფლების შედეგად არის შესაძლებელი, რადგან სამყაროზე ზემოქმედება მხოლოდ საკუთარი მოძრაობებით შეიძლება. თვით ტელეკინეზიის მოვლენებიც კი,—თუკი ასეთი რამ არსებობს, ან შეიძლება არსებობდეს, — აუცილებლად საჭიროებს სხეულებრივს ზემოქმედებას, თუნდაც შორეულ მანძილზე. ამას მოწმობს ტრანსის მდგომარეობის სხეულებრივი თავისებურება. დღესდღეობით ტელეკინეზიის საკითხი მეცნიერული განხილვისათვის არაა მოწყობილი. სამყაროს-მიმართის სხვა ნებითს ქმედობაში კი გამოუკლებლივ ყველგან უეჭველია სხეულებრივი ზემოქმედება, საკუთარი სხეულის მოძრაობანი. პერსონის-მიმართ ნებელობითს ქმედობას მხოლოდ ლოგიკურად ეკუთვნის პირველობა. ფაქტიურად ონტოგენეზისში პირველად სამყაროს-მიმართი ქმედობანი ვლინდება. ეს სრულიად ვასაგები გარემოებაა. სუბიექტ-ობიექტის განუწვალებელი მთლიანობა სიცოცხლის ვიტალურ მოდუსში— საგნობრივ მოდუსში განწვალებას განიცდის. სუბიექტის თვალსაზრისით ეს განწვალება განცდად აისახება, ობიექტის თვალსაზრისით — საგნის დადგენად. „ყოველი ნებელობის წინაპირობაა მანძილი (ბარეეზი, Abstand) მსწრაფი პერსონისა და მისწრაფებული რეზულტატის შორის; თვით ნებელობა ამ მანძილის გადალახვაა“[167]. ნებელობისთვის იმდენად აუცილებელია გაორება სუბიექტისა და ობიექტის შორის, რომ თვით პერსონის-მიმართი ნებითს ქმედობაშიც კი მიზანი გაობიექტებულია და ამიტომ, მეტად თუ ნაკლებად, მაგრამ მაინც კონკრეტული გეშტალტის სახითაა მოცემული და არა დიფუზიური მთლიანი პერსონის სახით. ასეთი რამ შეუძლებელია იყოს, რადგან ნებითი ქმედობის მიზანი ცნობიერია. ცნობიერებაში კი მხოლოდ გეშტალტური შინაარსი შეიძლება იყოს მოცემული.

ნებელობის ყოველ ცალკეულ აქტს გააჩნია მოსამზადებელი პერიოდი, წინამორბედი პროცესი, რომელიც პიროვნებაში მიმდინარეობს და დასრულებას პოვებს იმ მომენტში, რომელსაც ნებითი ბიძგი უნდა ეწოდოს. ამ მომენტიდან იწყება ნებითი აქტის მეორე პერიოდი — ქმედობის განხორციელების პერიოდი. ცალკეული ნე-

---

167 1,547.

ბითი აქტის პირობამდებელ შინაგან ფაქტორს მ ო ტ ი ვ ი უნდა ვუწოდოთ. ამრიგად, ნებითი ყოველი ქმედობა აუცილებლად მოტივირებულია, ე. ი. შინაგანი მიზეზებით პირობადებულია. ცალკეული ნებითი ქმედობის ცალკეული მოტივი, ცხადია, გათიშულად და დამოუკიდებლად არ არსებობს მთლიან პერსონას მოწყვეტილი. მოტივებს საერთო საფუძველი მოეპოვებათ პერსონაში, მაგრამ მის შესახებ მხოლოდ შემდეგში გვექნება ლაპარაკი.

რამდენადაც ნებითი ქმედობა მიზნის გაცნობიერებისა და მისდამი ცნობიერი მისწრაფების აქტია, — მოტივი, პირველ რიგში, ცნობიერი უნდა იყოს. მიზნის ცნობიერი დასახვა ცნობიერი მოტივის საფუძველზე შეიძლება მხოლოდ მოხდეს. ამითი მხოლოდ ისაა თქმული, რომ ნებელობის ბიძგს აუცილებლად უსწრებს წინ ცნობიერი მოტივი: „ახლა მე მნებავს", თუ შეიძლება ასე ითქვას, ცნობიერების პლანში უსათუოდ შედეგია „ასე უნდა იყოს, ამიტომ"-ისა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ცნობიერი მოტივით, ე. წ. „ფენომოტივით" ამოიწურება ცალკეული ნებითი ქმედობის მოტივაცია. ფენომოტივი, თავის მხრივ, პირობადებულია ე. წ. გენომოტივით, რომელიც ცნობიერებამდელი ბუნებისაა. თუ ფენომოტივი გამოვლინებულ მოტივად შეიძლება ვიგულოთ, გენომოტივი გამომწვევი მოტივია.

ფენომოტივი პროსპექტიული ბუნებისაა, მაგრამ ყოველი პროსპექცია არაა ფენომოტივი: სურვილი, შიში, იმედი, მოლოდინი აგრეთვე პროსპექტიული ხასიათის მოვლენებია, მაგრამ ისინი პასიურნი არიან, მყობადის შესაძლებლობაზე მიემართებიან და არა მყობადის სინამდვილეზე, და ამიტომ არ მთავრდებიან ნებითი იმპულსით „მხოლოდ მაშინ, როდესაც ნებითი ქმედობა განხორციელდა, ცნობიერების წინამორბედ პროსპექტიულ შინაარსებს შეგვიძლია ვუწოდოთ მისი „მოტივები" (სახელდობრ „ფენომოტივები")[158]. ფენომოტივისთვის არსებითი მნიშვნელობისაა მისი გრძნობითი აქცენტი, რომელიც პირობადებულია მოთხოვნილებასთან კავშირით და რომლითაც მოტივი მხოლოდ ინტელექტუალური აზრისაგან განირჩევა და შესაძლებელს ჰყოფს ნებითი იმპულსის აღმოცენებას.

არსებობს მარტივი ნებითი ქმედობანი, რომლებსაც წინ უსწრებს მხოლოდ ერთი მოტივი. არსებობს ე. წ. რთული ნებითი

---

158 1,559.

ქმედობანი, რომლებიც მარტივ ქმედობათაგან სწორედ მოსამზადებელი შინაპერიოდით განსხვავდებიან. მოსამზადებელ პერიოდში ცნობიერობაში ორი ან მეტი მოტივია წარმოდგენილი და მათ შორის არჩევანის საკითხი დგას: რომელს მიეცეს უპირატესობა[153]. ასეთი მდგომარეობა „მოტივების ბრძოლად" იწოდება. ტერმინი ელემენტარისტული ფსიქოლოგიური წარმოშობისაა. მოტივები დამოუკიდებელ ძალებად იყო გააზრებული, რომელთაც შეეძლოთ ურთიერთთან ბრძოლა, ურთიერთზე გამარჯვება. უგულებელი იყო, რომ ფენომოტივები გენომოტივებიდან აღმოცენდება.

ნებელობის უშუალო გ ე ნ ო მ ო ტ ი ვ ი — მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ა. მოთხოვნილება, როგორც ვიცით, წადილისაგან (Trieb) მომდინარეობს. რარომ ერთხელ აღმოცენდება, იგი განუწყვეტლივ ძლიერდება და მიაღწევს რა გარკვეულ ინტენსიობას, უშუალოდ გადადის მოქმედებაში. ასეთ შემთხვევაში უნებლიე (არა ნებისმიერ) მოქმედებასთან გვაქვს საქმე.

„სხვაგვარადაა საქმე, როდესაც მოთხოვნილება ამ აფეთქების მომენტის მიღწევამდე დაილეკება მიზნის ცნობიერ გათვალისწინებად (ფენომოტივად) და, ამის მეოხებით, თავის დინამიკას გარკვეული გეზით წარმართავს". ასეთ შემთხვევაში გვაქვს საქმე ნებით ქმედობასთან. მოთხოვნილებისთვის ჩვეული ბუნდოვანი, გაურკვეველი მისწრაფებულობა, მიზნის გაურკვეველი სახით მოცემულობა — გარკვეულობას პოვებს, მიზნის წარმოდგენად, თუ გააზრებად იქცევა და საშუალებათა შერჩევის შესაძლებლობას იძლევა. ნებელობის მოთხოვნილებისეული გენეზისი სრულიად უეჭველია. მაგრამ, მეორე მხრივ, ნებელობა უკუმოქმედებს მოთხოვნილებაზე და სწორედ ისაა, რომ ქმნის სპეციფიკურ ადამიანურ, დიფერენცირებულ მოთხოვნილებებს, ახდენს მათ სუბლიმაციას. ის „სრულიად განსაკუთრებული ღრმა სახის გამოცდილება", რომელიც მოთხოვნილებას გარკვეულ შინაარს აძლევს, სპეციფიკურ-ადამიანურ მოთხოვნილებად აქცევს მას, გამოცდილება, რომლის შესახებ ზემოთ იყო ლაპარაკი — ნებელობითი გამოცდილებანია არსებითად. „ნებელობის კუთვნილი შესაძლებლობანი წინასწარ განჭვრეტისა, შერჩევისა, დაგეგმვისა, დროით დაშორებულისა და აბსტრაქტული მიზნებისადმი მიმართებისა — ეს შესაძლებლობანი სცელიან, ამრავალ-

---

[153] 1,562.

ყეროვანებენ და აფაქიზებენ ადამიანის თვით მოთხოვნილებებსაც"[160].

გენომოტივი ცნობიერებაში ფენომოტივად გვევლინება, მაგრამ ურთიერთობა ფენომოტივისა და გენომოტივს შორს ასე მარტივი არაა, რომ პირველი მეორის გაცნობიერებას წარმოადგენდეს მხოლოდ. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის შემთხვევები, როდესაც ფენომოტივი ჰეტეროგენულია გენომოტივისა. ფსიქიკურ მოვლენათა ინტერპრეტაცია სიღრმის ფსიქოლოგიის მთავარი ამოცანაა და ჰეტეროგენია მოტივებისა (ფენო და გენომოტივისა) — ერთ-ერთი ძირითადი მისი მასალა. ასეთ შემთხვევებში „ფენო-მოტივი" არა მარტო ცნობიერად გამოვლენილ მოტივს ნიშნავს, არამედ მოჩვენებითს მოტივსაც. ფსიქოანალიზისათვის ყოველი ფენომოტივი აუცილებლად მოჩვენებითი, ცრუ-მოტივია. პერსონალისტური ფსიქოლოგიისათვის ასეთი შეხედულება სულაც არაა საკალდებულო. იგი მოტივდა ჰეტეროგენიასთან ერთად მოტივთა ჰომოგენიასაც აღიარებს და მას არა ნაკლებ მნიშვნელობას მიაკუთვნებს. მოტივების დამოკიდებულება ორმხრივია: არა მარტო ფენომოტივია დამოკიდებული გენომოტივზე, არამედ პირიქითაც. ფენომოტივი ხშირი განმეორების შედეგად მნემური მოქმედების ძალას მოიპოვებს და უკუმოქმედებს გენომოტივზე. მაგალითად, ბავშვი უარს ამბობს რამე საჭმელზე. ფენომოტივად აქ არის აი ამ საჭმლის არმოწონება. გენომოტივი ჰეტეროგენულია: ჯიუტობა, საჭმლის დაწუნება ამ მოტივით მეორდება ერთხელ ორჯერ, ათჯერ, ბოლოს გენომოტივი ფენომოტივის ჰომოგენური ხდება: ბავშვი ნამდვილადაც იმიტომ იწუნებს საჭმელს, რომ არ მოსწონს იგი. ეს გარემოება მრავალმნიშვნელოვანია, ჯერ ერთი, ფენომოტივის ბუნების გათვალისწინებისთვის, მერე კი — ცნობიერების როლის გათვალისწინებისთვის პიროვნების სახვაში, კერძოდ — პიროვნების სიღრმეების ფორმირებაში. ფენომოტივებიდან ახალი გენომოტივების აღმოცენება ერთი ზედმეტი საბუთია ფსიქოანალიზისა, თუ ინდივიდუალფსიქოლოგიის საწინააღმდეგოდ, რომლების მიხედვით, თითქოს, გენომოტივების რიცხვი ძალიან მცირე უნდა იყოს, ხოლო პრაქტიკულად — ერთადერთ გენომოტივზე დაიყვანებოდეს (სქესობრივსა თუ ძლიერების მოთხოვნილებაზე).

---

[160] 1,565.

მოტივაცია წინ უსწრებს ნებით ქმედობას.მაგრამ მას მერეც, რაც ნებითი ქმედობა განხორციელებული ფაქტია, საჭირო ხდება მისი გაცნობიერება და „უკუქცევითი“ მოტივაცია. საქმე ისაა, რომ ნებითი ქმედობა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოკვეთილი ცოცხლობაა პერსონული მთლიანი სიცოცხლისა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას დაკარგული აქვს კავშირი სიცოცხლესთან, პირიქით, როგორც ცოცხლობა, იგი არ შეიძლება უკვალოდ დაიკარგოს პიროვნებისათვის, არამედ იქცევა პერსონულ სამყოდ, რომელსაც, როგორც ვიცით, გარდაუვალი მნიშვნელობა აქვს პერსონული აწმყოსა და მყობადისათვის. ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ნებითი ქმედობა (par excelense) მთლიანპიროვნული ცოცხლობაა და მთლიანმა პიროვნებამ უნდა მიიღოს, თავის კუთვნილებად აღიაროს იგი. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მომდევნო მოტივაცია ახალს არაფერს წარმოადგენს, არამედ წინაძავალი მოტივაციის უბრალო გამეორება, უბრალო მოგონებაა. სამდვილად კი ასე არაა. ჯერ ერთი, სტერეოტიპული გამეორება, მოგონება არ არსებობს. მით უმეტეს მოტივი, როგორც ასეთი, არ შეიძლება უბრალოდ გამეორდეს. წინასწარი მოტივაცია შეიძლება ცნობიერების დაბალ საფეხურზე განხორციელებულიყო. იგი სამყოფი იყო ნებითი ბიძგის (და შედეგად ამისა ნებითი ქმედობის) განსახორციელებლად, მაგრამ როდესაც post factum საჭირო ხდება მისი გამართლება, მისთვის პასუხისგება — აუცილებელი ხდება მოტივის სრული გაცნობიერება, დადასტურება და აღიარება იმისი, რომ „ეს მე ვიყავი. როდელსაც მინდოდა და ვქენი“. მოტივი უნაკლოდ უნდა იქნეს გაცნობიერებული და თვით ეს ფაქტი საკმაო საფრთხეს ქმნის დამახინჯებისას: თუ ქმედობის წინ მოტივი სავსებით არ იყო გაცნობიერებული, იგი არც საკსებით ჩამოყალიბებული და ერთმნიშვნელოვანი იყო. ამიტომ სრული გაერთმნიშვნელოვანება და გაცნობიერება უკვე ერთგვარი შეცვლაა მოტივის ბუნებისა. ასეთი სახის დამახინჯებას ფორმალური დამახინჯება შეიძლება ეუწოდოთ, მაგრამ საქმის ვითარება ამითი არ ამოიწურება. უაღრესად ხშირია შინაარსობლივი დამახინჯების შემთხვევებიც: მოქმედების შემდეგ მოტივის გაცნობიერება ფართო გასაქანს აძლევს პიროვნებას ამ მოტივის „თავის გემოზე გადამღერებისას“. ბრალ-

დებულთა ჩვენებები, ინტიმური დღიურები — უმეტეს წილად ამგვარი მოტივაციის მაგალითებს იძლევა.

ლოგიკურად თითქოს გაუგებარია მომდევნო მოტივაციის ფაქტი. მოტივის ძირითადი აზრი ხომ გადაწყვეტილების მომზადებაა სიტუაციაში, რომელიც ცნობიერ აქტიურ ჩარევას მოითხოვს პიროვნებისგან. ნებითი ქმედობის ტიპიურ შემთხვევებში გადაწყვეტილების მიღებას მოტივების ბრძოლა უსწრებს წინ: შესაძლო ქმედობათაგან საუკეთესოს არჩევანი. აქ, როგორც გადაწყვეტილების მიღების წინამორბედი, მოტივაცია გასაგებია; მაგრამ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მას იმის შემდეგ, რაც არამცთუ გადაწყვეტილებაა უკვე მიღებული, არამედ გადაწყვეტილი ქმედობაც განხორციელებულია? პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის არავითარი პარადოქსულობა არაა მომდევნო მოტივაციის აუცილებლობაში. მისთვის ნებითი ქმედობა ყველაზე მეტად გამოკვეთილი. პიროვნების მთლიანობას უაღრესად გამოყოფილი ცოცხლობაა, მაგრამ მაინც ცოცხლობაა, მთლიანპიროვნული სიცოცხლის „ნაკეთი". ცოცხლობა, საერთოდ, არასოდეს არ იკარგება უკვალოდ; იგი პიროვნების ნაყოფში, მის ისტორიაში შედის. ეს ვითარება მრავალ არსებობაშია მოცემული. მაგრამ ამ დებულებიდან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ნებითი ქმედობა ყოველი სხვაგვარი მნემური გამღიზიანებლისდაგვარად მოქმედებს, თუ გნებავთ, ძლიერი შემდეგმოქმედების მქონე მნემური გამღიზიანებელია. მაგრამ მარტო აქედან არ გამომდინარეობს მომდევნო მოტივაციის საჭიროება და, მით უმეტეს, აუცილებლობა. ნებითი ქმედობის მნემური შემდეგმოქმედება. სპეციფიკური ხასიათისაა. ეს სპეციფიკა — მისი, როგორც მნემური გამღიზიანებლის, სპეციფიკურობითაა პირობადებული. უკანასკნელს კი ის ქმნის, რომ ნებითი ქმედობა მაქსიმალურად სპონტანურ-აქტიური ცოცხლობაა, მნემური პირველადი ფაზის არსებითი ნიშანი კი შთაბეჭდილების მიმღებლობაა; თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი სარბიელია პიროვნების ბუნების არა სპონტანურ-აქტიური, არამედ, პირიქით, რე-აქტიული მხარე. აქ წიაღსვლაა საჭირო! მდგომარეობა ისეთი იქმნება, რომ, თითქოს, შეუძლებელიღა ხდება ნებითი ქმედობა მნემურ გამღიზიანებლად იქცეს: პირველი — პიროვნების სპონტანურობის ნიმუშია, მეორე — მისი რეაქტიული ხასიათის ნიადაგზე არსებული პერსონული თვისება. მნემურ პირველად ფაზაში პიროვნება პრინციპულად მიმღებია. ნებითს ქმედობა-

ში იგი პრინციპულად მოქმედია. მაგრამ მნემეს განხილვისას ვნახეთ, რომ ობიექტური სამყაროსეული მოვლენა კი არაა მნემური გამღიზიანებელი, არამედ პერსონული ცოცხლობა და რომ, პრინციპულად, ყოველი ცოცხლობა მნემური გამღიზიანებლის ბუნების მატარებელიცაა. საკუთრივ მნემური გამღიზიანებელის განსხვავების შესახებ სხვა ცოცხლობათაგან თავის დროზე უკვე ვთქვი. ამიტომ აქ მხოლოდ მოკლედ ვიტყვი, რომ მისი დადგენის კრიტერიუმი კვანტიტეტური ხასიათისაა.

დავუბრუნდეთ მომდევნო მოტივაციის საკითხს. ნებითი ქმედობის ცოცხლობას ცნობიერება ახლავს, იგი ცნობიერი ქმედობაა. მისი მნემური შემდეგმოქმედებაც აგრეთვე ცნობიერებაშიც შეიძლება გამოვლინდეს და ვლინდება კიდეც ხოლმე (მას, აგრეთვე, არაცნობიერი შემდეგმოქმედებაც შეიძლება ჰქონდეს!) ცნობიერებაში ნამყო ნებითი ქმედობა წარმოდგენილია როგორც მოგონება საკუთარი — ცნობიერად და შეგნებულად ჩადენილი — მოქმედების შესახებ, რომელიც მ ე მინდოდა და მ ე ვანვახორციელე; მოქმედებისა, რომლისთვისაც პასუხისმგებელი მ ე ვარ. ეს მოქმედება გამართლებას მოითხოვს. „რატომ და რისთვის ჩავიდინე ესა თუ ის საქციელი?" — დგება საკითხი პიროვნების წინაშე, და პასუხი ამ საკითხზე დამოკიდებულია პიროვნების ამჟამად-მოცემულ რაობაზე. ის, რაც პირობასდებდა მესსიერების მოგონების დამახინჯებას — პირობასდებს „მოტივის დამახინჯებულ მოგონებასაც: სახელდობრ, მოგონების პერსონულობა. მოტივის მოგონების[161] დამახინჯება უფრო გასაგები, მოსალოდნელი და გამართლებულია, ვიდრე რომელიმე შთაბეჭდილების მოგონების დამახინჯება: უკანასკნელ შემთხვევაში ობიექტური ვითარების აღდგენაა დასახული მიზნად. პირველ შემთხვევაში კი სუბიექტური ვითარებისა რომლისთვისაც პიროვნება მორალურადაც პასუხისმგებელია".

ამრიგად, ნებითი ქმედობის მოტივაცია ორჯერ ხდება: ერთხელ გადაწყვეტილების მიღებამდე, მეორედ — ქმედობის შესრულების შემდეგ: თავისთავად ცხადია, რომ მომდევნო მოტივაციას აი ამ გარკვეული ქმედობისთვის მნიშვნელობა არა აქვს, რად-

---

[161] პერსონალისტიკის თვალსაზრისით ქართული სიტყვა „მოგონება" ძალიან მარჯვეა პოზიციური ბუნების გამო მოგონების (Erinnerung) ობიექტის უზუსტობის გამოსახატავად.

გან ობიექტურად მისი შეცვლა ცხადია, აღარ შეუძლია. ამიტომ, თუ ნებითი ქმედობის შესწავლა გვინდა როგორც ასეთისა, მომდევნო მოტივაცია სულაც შეიძლება უგულებელვყოთ. მას მნიშვნელობა აქვს პერსონის სიცოცხლის მთლიანობის თვალსაზრისით. წინასწარი მოტივაცია კი აუცილებელი მომენტია ყოველი ცალკეული ნებითი ქმედობისა. მოტივაციის გარეშე შეუძლებელია ნებითი ბიძგი.

ნებელობა განიცდება როგორც საკუთარი აქტივობა. ამ განცდაში მთლიანობადაა შერწყმული მიზნისადმი მისწრაფებულობის განცდა და მიზნის მისაღწევად აღჭურვილობის განცდა. ეს ორივე მომენტი აუცილებელია ნებელობის განცდისთვის. მართლია, ხან ერთი მომენტია უფრო ძლიერი, ხან მეორე, მაგრამ შეუძლებელია, რომ ერთ-ერთი სრულიად არ იყოს მოცემული. ასეთი რამ თუა, კერძოდ, თუ აკლია მიზნის მისაღწევად აღჭურვილობის განცდა, უკვე ნებელობასთან კი აღარ გვაქვს საქმე, არამედ სხვა რამ პროსპექციულ (მყობადისადმი მიმართულ) განცდასთან, სურვილთან, მოლოდინთან, იმედთან თუ შიშთან.

„გარკვეულ მომენტში მოქმედების უნარიანობის განცდა გამოხვილდება უშუალო მოქმედების განცდად „ახლა მნებავს მე". ეს „ნებელობის ბიძგი", რომლის შემდგომი აღწერა შესაძლებელი აღარაა (dieser nicht weiter beschreibbare „Willensrück") ყოველი ნებითი ქმედობის ცენტრალური პუნქტია"[162]. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადგება ეს მომენტი, ე. ი. მხოლოდ უკუქცევითად (რეტროსპექციულად) შეიძლება ცნობიერების განვლილი შინაარსის კვალიფიკაცია მოტივად და მისი განსხვავება ავრეთვე პროსპექციული, მაგრამ გარემიმართულ აქტივობას მოკლებული განცდებისაგან, როგორიცაა სურვილი, მოლოდინი, იმედი თუ შიში.

ნებელობის ბიძგის უშუალო საფუძველი მოტივია. მისი უშუალო შედეგი — ქმედობა. ნებელობის ბიძგი გადაწყვეტილების მიღების მომენტია. გადაწყვეტილება კი ორმაგი მიმართულების მქონეა: იგი უკუმიმართულიცაა და წინმიმართულიც: Entscheidung-იცაა და Entschluss-იც. გადაწყვეტილების მიღებით მთავრდება მოტივთა ბრძოლა. თუ შეიძლება ასე ითქვას, გადაწყვეტა ნამყოსთან კავშირის გაწყვეტაა, ის მომენტია, როდესაც ყოყმანი, მოსაზრება დაიძლევა და ამის შემდეგ პიროვნება მათ აღარ დაუბრუნდება. მოტივ-

---

162 1,548.

თა ბრძოლა დასრულდება და „ისტორიას ჩაბარდება“ ამდენად გადაწყვეტა რეტროსპექციული ბუნებისაა მეორე მხრივ კი გადაწყვეტა იმასაც ნიშნავს, რომ მომავალში, აი ამ მომენტის შემდეგ, პიროვნება ნამდვილად შეასრულებს გარკვეულ ქმედობას, რომ იგი გარანტიას აძლევს თავის თავს ამ ქმედობის შესრულებისას, — რომ მან გადაწყვიტა გარკვეული ქმედობის შესრულება: სხვა სიტყვებით ძნელია გადაწყვეტის პროსპექციული ბუნების გადმოცემა, როდესაც ნებელობის ბიძგი ნებითი ქმედობის ცენტრალურ პუნქტად იქნა კვალიფიკაციაქმნილი, სწორედ მისი ეს ორმაგი მიმართულება იყო მიღებული მხედველობაში.

უნდა ითქვას, რომ გადაწყვეტილება ყოველთვის ორმხრივი მიმართულების მქონე არაა: ნებითი ქმედობის უმრავლესი შემთხვევა ადამიანის ცხოვრებაში ე. წ. მარტივი ქმედობაა, სადაც მოტივების არავითარი ბრძოლა არ არსებობს. ამგვარ შემთხვევაში ნებელობის ბიძგის რეტროსპექციული მნიშვნელობა ნულზე დაიყვანება. მაგრამ პროსპექციული მხარე მას უსათუოდ ყოველთვის აქვს.

ნებითი ქმედობა არაა მხოლოდ ფსიქიკური, არამედ—მთლიანპერსონული ქმედობაა, ამიტომ, გადაწყვეტა წმინდა ცნობიერების სფეროდან ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურ სფეროში უნდა იქნეს გადატანილი: სხეულს უნდა მიეცეს შესატყვის მოძრაობათა ინერვაცია. ამ მოვლენას ი მ პ უ ლ ს ი ეწოდება.

ნებელობა არაა მხოლოდ ცნობიერი მისწრაფებულობა მიზნისადმი, არამედ მის მისაღწევად აღჭურვილობის გაცნობიერებაც; ანუ — ცოდნა იმ გზებისა და საშუალებებისა, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს დასახული მიზნის მისაღწევად. ეს კი ნიშნავს ამ გზებისა და საშუალებების წინასწარ გათვალისწინებას, ქმედობის რეალურად განხორციელების უწინარეს.

ორგანიზმის უწინ განხილული ქცევებიდან ნებელობის ანალოგს ინსტინქტური ქმედობა წარმოადგენს და არა წადილური მოქმედება. განსხვავება ინსტინქტისა და ნებითი ქმედობის შორის ძალიან დიდია: ინსტინქტი არაა ცნობიერი და ამიტომ არ შეიძლება ლაპარაკი, საშუალებათა ნამდვილად გათვალისწინების შესახებ. ერთი მხრივ, მისი მიმდინარეობა იმდენადაა განსაზღვრული სიტუაციით, რომ მკვლევრებს შესაძლებლობა მიეცათ ჯაჭვურ რეფლექსად (თუ რეფლექსთა ჯაჭვად) აღეარებიათ იგი. მეორე მხრივ კი იგი იმდენად ბიზანშეწონილია, იმდენად ელასტიურია, რომ იმის შესაძლებლობაც

ჰქონდა ზოგიერთ მკვლევარს (Mac Dougall) ეფიქრა, თითქოს, ცხოველის ე. წ. ინსტინქტურ ქცევაში, მეტად თუ ნაკლებად, ყოველთვის მონაწილეობს ინტელექტი.

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ, პერსონალისტური ფსიქოლოგიის აზრით, არც ერთი ამ შეხედულებათაგანი ჭეშმარიტებას არ შეეფერება. ნებელობასთან ინსტინქტის ანალოგია იმაში მდგომარეობს, რომ მასში — წადილისაგან განსხვავებით — მიზანმისწრაფებულობასთან ერთად, არსებითი მნიშვნელობა აქვს მიზნის მისაღწევი გზების გათვალისწინებას. მაგრამ ინსტინქტის შემთხვევაში ვზების გათვალისწინების შესახებ მხოლოდ პირობით შეიძლება ლაპარაკი, რადგან ინსტინქტური ქმედობა ცნობიერების დაუხმარებლად სრულდება; ნებითი ქმედობის შემთხვევაში კი ცნობიერების აქტივობასთან გვაქვს საქმე, და გზებიც ცნობიერადაა გათვალისწინებული. ნარტივი ნებითი ქმედობის შემთხვევებში, როდესაც არც მოტივთა ბრძოლა ყოფილა, და გადაწყვეტილებაც ცალხმრივ იყო მხოლოდ მიმართული, სახელდობრ პროსპექტულად. — გზების ცნობიერი გათვალისწინებაც არ ხდება. მაგრამ ასეთი შემთხვევები — დეე, ძალიან ხშირი, შეიძლება უხშირესიც კი ადამიანის ცხოვრებაში — არაა ტიპიური ნებითი ქმედობისთვის. უკანასკნელის მაღალი ფორმებისთვის დამახასიათებელია ე. წ. მოტივთა ბრძოლაც, რეტროსპექციული გადაწყვეტაც და მიზნისკენ მიმავალი გზების ცნობიერი გათვალისწინებაც. ნებითი ქმედობა წინასწარ მოწესრიგდება, მისი სტრუქტურა წინასწარ დაიგეგმება. დაგეგმვა შეიძლება გადაწყვეტილების მიღებამდეც ხდებოდეს, მაგრამ ეს არაა აუცილებელი. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კი დაგეგმვა აუცილებელი მომენტია ქმედობისა. რთული ნებითი ქმედობის შემთხვევაში პიროვნება გაითვალისწინებს მიზნის მისაღწევ საშუალებებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქრონოლოგიური თანამიმდევრობით. ამასთანავე, უახლოესი საშუალება უფრო მკაფიოდაა გათვალისწინებული, უშორესი — უფრო ბუნდოვნად. საშუალებათა ქრონოლოგიურ განლაგებაზე უფრო მნიშვნელოვანია საშუალებათა იერარქიული სისტემის აგება. საბოლოო მიზანი უმაღლეს საფეხურზე დგას. მას ემორჩილება ის საშუალებანი, რომელნიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად. მაგრამ ვინაიდან ეს საშუალებანიც არაა უბრალოდ მოცემული, არამედ მოპოებული უნდა იქნეს, ამიტომ ისინიც მიზნებად იქცევა.

მიზნებად, რომლებიც, ამასთანავე, საშუალებად გაიაზრებს პიროვნების მიერ. მიზანთა ასეთი რთული სისტემისათვის დამორჩილება ქცევისა, იმგვარად დამორჩილება, რომ პიროვნება მხოლოდ იმ ქმედობებს აწარმოებს, რომლებიც მიზნისთვის შესატყვისია, შეუსატყვის მოქმედებას კი ან სულ არ აწარმოებს, ან აღმოცენებისთანავე ჩაჰკლავს — ძალიან ჰგავს აზროვნების ბიმდინარეობას, სადაც, აგრეთვე, მხოლოდ მიზნის შესატყვისი შინაარსები ამოტივტივდება ცნობიერებაში. ძალა, რომელიც წარმართავს მოქმედებათა ამგვარ მიმდინარეობას, დეტერმინაციამყოფელი ტენდენციის ცნებით[163] არის წვდომილი. დეტერმინაციამყოფელი ტენდენცია გადაწყვეტილების მიღებისთანავე იწყებს მოქმედებას და მოქმედებს ვიდრე მიზნის მიღწევამდე.

დეტერმინაციამყოფელი ტენდენცია მიზნის წარმოდგენას მიეწერება ხოლმე. პერსონალისტური თვალსაზრისით ეს ასე უნდა იყოს საქმის ვითარების მართებულად ვაგება. ქმედობის წარმმართველი — მით უმეტეს ასეთი მკაფიოდ პერსონული, ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური ქმედობისა, როგორიცაა ნებითი ქმედობა — მხოლოდ პიროვნება შეიძლება იყოს და არა წარმოდგენა; ამიტომ უფრო შესაფერისი უნდა იყოს სინამდვილისთვის ლევინისეული გაგება ნებითი ქმედობისა, როგორც ინდივიდუმის მიერ „დაუფლებული" ქმედობისა — განსხვავებით წადილური მოქმედებისაგან, რომელიც ველის ძალებითაა განსაზღვრული.

მოტივაციისა და გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე ნებითი ქმედობა ცნობიერების მაღალ დონეზე მიმდინარეობს. გადაწყვეტილი ქმედობის განხორციელებისას კი ცნობიერობა კლებულობს, ან სულაც გამოითიშება. გადაწყვეტილება, ნებელობის ბ ი ძ გ ი, ხანმოკლე აკუტური განცდაა, იგი არ რჩება ქრონიკულად, ნებითი ბიძგის რეტროსპექციული მხარე პირობასდებს იმ გარემოებას, რომ წინამზადებელი პერიოდის დაძაბულობა აღიკვეთება და გადაწყვეტის მომენტი შვებად განიცდება. მაგრამ შვება ერთობ ხანმოკლეა, რადგან გადაწყვეტილი ქმედობის პროსპექცია ახალ დაძაბულობას ქმნის. ჩნდება ახალი მოთხოვნილება: ქმედობა წარმოდგენილ და-

---

[163] ტრადიციით განმტკიცებულია ქართულში ტერმინი „დეტერმინაციის ტენდენცია". იგი არ შეესაბამება დედანს: determinierende Tendenz და ვერ ადმოსცემს ტენდენციის ნამდვილ ბუნებას.

სასრულამდე იქნეს მიყვანილი. ეს მოთხოვნილება განსხვავებულია პირველადი მოთხოვნილებისაგან, რომელიც უშუალოდაა წადილზე აღმოცენებული. ამ განსხვავების აღსანიშნავად მას „ვითომც-მოთხოვნილება". „კვაზი-მოთხოვნილება" ეწოდება(K.Lewin). კვაზი-მოთხოვნილებები განსხვავდება ნამდვილი მოთხოვნილებისაგან დინამიკური ხასიათითაც: თუ უკანასკნელები ქრონიკული ხასიათისაა, პირველები გარკვეულ მომენტში ჩნდება და ასევე გარკვეულ მომენტში ისპობა. სახელდობრ: ჩნდება ნებითი ქმედობის უშუალოდ წინ. და ის.პობა ნებითი ქმედობის დასრულების, ე. ი. მიზნის მიღწევისთანავე.

ნებითი ქ მ ე დ ო ბ ა კი ხანგრძლივია და ერთხელ აღმოცენებულმა ბიძგმა რამენაირად უნდა წარმართოს იგი. ერთგვარი სტაბილიზაციაა საჭირო გადაწყვეტილებისა და ამ სტაბილიზაციას იგი გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ა შ ი პოულობს. განზრახვა რჩება ნებითი მთელი ქმედობის განმავლობაში. „ქრონიკული საფუძველი" ქმედობას იმიტომ სჭირდება, რომ მის მიმდინარეობას დაბრკოლებები ეღობება წინ. დაბრკოლება შეიძლება ან შინაგანი წარმოშობის იყოს (მობეზრება, ინტერესის შეცვლა) ან გარეგანისა (სიტუაციის ცვლილებები), მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს იგი, მის დროს, ბუნებრივია, რომ ქმედობის კვლავ გაცნობიერება ხდება აუცილებელი. და დაბრკოლებისას აღმოცენებული ახალი ამოცანის გადაწყვეტა სათანადო მიმართულებით, განზრახვის საფუძველზეა მხოლოდ შესაძლებელი. ავტომატური განწყობანი, მიმართულებანი (Einstellungen), რომლებიც წარმართავდნენ ქმედობას ქვეცნობიერ საფეხურზე. საკმაო აღარ არის ასეთ კრიტიკულ მომენტებში; სიტუაციის გააზრების საფუძველზე შესაძლებელია შეიცვალოს მიზანდასახულობაც, მაგრამ ახალი განზრახვა უბრალოდ ძველის ადგილს კი არ იკერს ამ შემთხვევაში; იგი პირველადი იმპულსის ძალით იკვებება, რომელიც ნებელობის ახალი ბიძგით მხოლოდ მიმართულებას სცვლის ქმედობისას. ელასტიკურობა დადებითად ახასიათებს ნებელობას: „გაქვავებული" განზრახვა, რომელიც ვერ ეგუება ახალი სიტუაციის მიერ წამოყენებულ ახალ მოთხოვნილებას. — სუსტი ნებისყოფის დამახასიათებელია სიჯიუტე — ნებელობის სისუსტის მაჩვენებელია და არა სიმტკიცისა. მიზნის შეცვლის ფაქტი არ ეწინააღმდეგება იმ გარემოებას, რომ ნებითი ქმედობა დახშული, გეშტალტური ბუნების ცოცხლობაა! ერთხელ დასახული მიზნისკენ გადაუხრელად

სვლა ნებითი ქმედობის დამახინჯებაა მაშინ, როდესაც შეცვლილი გარემოება პირველადს მიზანს უაზროდ ჰყოფს პიროვნების სიცოცხლისთვის, რადგან ნებელობა პიროვნების ჭეშმარიტი მიზნისადმი მისწრაფების უმაღლესი სახეობაა.

ნებითი ცალკეული ქმედობის განხილვისას ჩვენ დაგვჭირდა გარე-გამოვლენილი ქმედობის წინასაფეხურების გათვალისწინება. სახელდობრ — ნებელობის ბიძგისა, ანუ გადაწყვეტილებისა, მის რეტროსპექციულისა და პროსპექციული რომელობით; იმპულსის შომდევნო, და უმთავრესად,— წინასწარი მოტივაციისა. ყველა ის ცნებები, რომელთაც აქ შევხვდით — გენომოტივის გამოკლებით — ფენომენური სფეროდანაა აღებული. ნებელობის აქამდე განხილული მომენტები პიროვნების ზედაპირული მოვლენებია, გარდა გენომოტივისა. და ყველა ეს ცნება — გენომოტივიც მათ შორის — ცალკეულ ნებით ქმედობასთანაა დაკავშირებული. თქმული იყო, რომ ნებელობის ბიძგი არარადან არ ჩნდება, არამედ მოტივის ნიადაგზე აღმოცენდება. მოტივის შესახებაც იგივე შეიძლება ითქვას: არც იგი ჩნდება არარადან. და თუ ფენომოტივის ნიადაგად ჟენომოტივი იქნა დადასტურებული, გენომოტივის ნიადაგი და საფუძველი, უკვე, პიროვნების უფრო ღრმა ფენებია. ამის შესახებაც იყო თქმული: გენომოტივი — მოთხოვნილებაა. მოთხოვნილება კი მხოლოდ იმჟამად კი არაა მოცემული, როდესაც იგი ნებითს ქმედობად იქცევა, არამედ იქამდეც და იმის შემდეგაც განაგრძობს დისპოზიციურად არსებობას. მასში მოცემულია პერსონის ქრონიკული მიმართებულება და აღშურვილობა, მ ზ ა ო ბ ა და ძ ა ლ ი თ დატვირთულობა, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა ნებელობის ბიძგის სახით მისი აკუტური გამოვლენა. ამგვარად, პერსონის შედარებით ქრონიკულ მდგომარეობას, რომელიც გარკვეული სახის ნებით ქმედობისადმია დისპონირებული, „ნ ე ბ ე ლ ო ბ ი ს პ ო ზ ი ც ი ა“ (Willenshaltung) ეწოდება. ნებელობის პოზიციის რაგვარობა სამყარო-პერსონის კონვერგენციითაა გაისაზღვრული და როგორც კონვერგენციის ყველა სხვა შემთხვევებში, ისე ამ შემთხვევაშიც, ხან შინაგანი ფაქტორის წვლილია მეტი და ხან გარეგანისა. პირველის ნიმუშია ბავშვის სიჯიუტე, რომელიც გარკვეულ ასაკში იწყება და გარკვეულ ასაკში ისპობა. მეორისა — მებრძოლის ნებელობის პოზიცია, რომელიც გარედან ზემოქმედებით — აღზრდით — არის შექმნილი და რომელიც მხოლოდ გარკვეულ სი-

ტუაციაში არსებობს. ნებელობის პოზ..ცია გენომოტივის მომდევნო საფეხურია პიროვნების სილრმისაკენ, საიდანაც მომდინარეობს საბოლოოდ ნებითი ქმედობა.

ნებელობის პოზიცია ნებითი ქმედობის უკუმოქმედებას განიცდის. გარკვეულ გარემოში — მაგ.. ბოროტმოქმედთა წრეში — ადამიანს შეიძლება შეექმნას ბოროტმოქმედების ნებელობის პოზიცია, მაგრამ მაღალი მოსაზრებებით წინააღმდეგობა გაუწიოს მას და, გარემოსთან ავტომატურად კონვერგენციის ნაცვლად. ზნეობრივად ღირსეული ნებითი ქმედობა განახორციელოს. ასეთი ქმედობის გავლენით თვით ნებელობის პოზიციაც შეიცვლება. „არსად არ მეღავნდება ადამიანის პიროვნების თავისებური მთლიანობითი სტრუქტურა ისე თვალსაჩინოდ. როგორც ამ ურთიერთმიმართებაში: პერსონის მთელი ძალღონე და მიზანმისწრაფებულობა შეიძლება კონცენტრირებული იქნეს ცალკეული მოქმედების აქტუალურ მოცემულობაში, რომელიც (მოქმედება) სიცოცხლის ხანიერ ერთიანობაზე მოქმედებს, ანიჭებს რა მას ნებელობის პ ო ზ ი ც ი ა ს; ნებელობის ამ პოზიციის აზრი კი ისაა, რომ იგი მომდევნო პრეზენცებში მუდმივი (jeweilige) მოთხოვნილებებისა და სიტუაციების შესატყვისად ნებელობის ახალ მ ო ქ მ ე დ ე ბ ებ შ ი გამომეღავნდება“[164].

ამ მოქმედებაშიც მონაწილეობს წინასამყარო და გარესამყარო, (Anlage და მილიე), მაგრამ მოქმედება ამ ორივე გარე-პერსონული ფაქტორის კონვერგენციის უბრალო პროდუქტზე მეტია; და ამ პ ლ უ ს შ ი, ამ უშუალო გამომდინარეობაში თვით პერსონიდან, იგი თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ა, რადგან „თავისუფლება“ უმიზეზობა კი არაა, არამედ პერსონის აქტუალური თვითგანსაზღვრებით მიზეზდება (Verursachung)[165].

ნებელობის პოზიციის აზრი ნებელობის ქმედობად აქტუალიზაციაა. ამ აქტუალიზაციის გზას წარმოადგენს აკუტური ხასიათის არაცნობიერი გენომოტივი, მასზე აღმოცენებული ფენომოტივი გადაწყვეტილება. ანუ ნებელობის ბიძგი და იმპულსი. ფენომოტივი ისეთი საფეხურია ამ გზისა, რომელსაც შეიძლება გვერდი აუაროს პიროვნებამ. ასე ხდება ხოლმე ნებელობის მარტივ შემთხვევებში. სადაც მოტივის გაცნობიერება, მისი თავისთავადი სიცხადის გამო,

---

164 1,600.

165 იქვე.

არ ხდება საჭირო. (რაც არ უნდა მარტივი იყოს ქმედობა, თუ იგი ნამდვილად ნებითი ქმედობაა, ერთხელ მაინც უნდა იყოს იგი ცნობიერებაში მოცემული; სახელდობრ, გადაწყვეტის მომენტში: „ახლა მე მნებავს" — უსათუოდ ცნობიერია. თუ კ. ლევინი გადაწყვეტას ნებელობის აუცილებელ მომენტად არ თვლის, ეს გაუგებრობის შედეგია: იგი არ განასხვავებს გადაწყვეტას რეტროსპექციულს, პროსპექციული გადაწყვეტისაგან. პირველი კი, მართლაც, არაა აუცილებელი, სახელდობრ, ნებითი ქმედობის ისეთ შემთხვევებში, რომლებიც მოტივების ბრძოლიდან არ გამომდინარეობენ; მაგრამ ეს — სხვათა შორის) მაგრამ ხშირად მოტივაციის გაცნობიერება ხდება საჭირო. ეს მაშინ, როდესაც ნებელობა რთულ შინაგან და გარეგან ვითარებაშია მოცემული: და მაშინ გენომოტივი ფენომოტივის სახით ეძლევა ცნობიერებას. თუ რამდენად ადეკვატურია ფენომოტივი გენომოტივისა — ამის შესახებ ზემოთ ვთქვი კიდეც. თავისთავად გენომოტივი არაა ცნობიერი. იგი არ განიცდება. ასევე არ განიცდება გენომოტივის უახლოესი საფუძველი—ნებელობის პოზიცია. მაგრამ როგორც გენომოტივის გაცნობიერება ხდება ფენომოტივში, ისე ნებელობის პოზიციის გაცნობიერება ხდება ზ რ ა ხ ვ ა-ში (Gesinnung). ზრახვა ქრონიკულად ქცეული ფენომოტივია. ზრახვა ისეთივე მიმართებაშია ნებელობის პოზიციასთან, როგორ მიმართებაშიცაა ფენომოტივი აქტუალურ ნებითს ქმედობასთან: ზრახვაში პიროვნება ასახავს და გაამართლებს თავის ნებელობის პოზიციას საკუთარი თავის და სხვებისთვის[16]. იგი ნებელობის პოზიციის დალეკვას წარმოადგენს ცნობიერებაში.

ზრახვა, ფენომოტივის ანალოგიურად, შეიძლება ადეკვატურად არც გამოხატავდეს თავის საფუძველს — ნებელობის პოზიციას. იგი სწორიც შეიძლება იყოს, მცდარიც (ილუზიაზე აგებული) და ცრუც (სხვისი მოტყუების მიზნით შეთხზული). არის შემთხვევები, როდესაც მთელი ძალ-ღონე და ენერგია, რომელიც ნებითი ქმედო-

---

[16] Gesinnung-ის ზრახვად თარგმნა მავალებს „განზრახვასთან" მისი ურთიერთობის გარკვევას. Gesinnung-ისა და Vorsatz-ის ეტიმოლოგიური დამოუკიდებლობის გამო ავტორი თავისუფალი იყო ამ ვალდებულებისგან.

თუ „განზრახვა" ნებითი პროცესის (დინამიკის) გაცნობიერებული საფუძველია და მისი განუხრელად ერთი მიმართულებით წარმართვის პირობა, — „ზრახვა" ნებითი მდგომარეობის (სტატიკის) უზრუნველმყოფელი ცნობიერების მდგომარეობაა.

ბის განხორციელებას უნდა მოხმარებოდა, ზრახვაში პოვებს გამოსავალს და მასში ამოიწურება, რის გამოც ნამდვილი ქმედობისთვის ენერგია უკვე აღარ რჩება.

კონკრეტული ნებითი ქმედობის საფუძვლების ძიებაში ჩვენ გავიარეთ ერთი მხრივ ფენომოტივისა და ზრახვის საფეხურები, მეორე მხრივ კი — გენომოტივისა და ნებელობის პოზიციის საფეხურები. ზრახვა ცნობიერების მოვლენაა და ნებელობის ცნობიერების უკანასკნელი საფეხური. ფენომოტივთან შედარებით იგი მყარია, ხანიერად უფრო ვრცელია; მაგრამ ეს — მხოლოდ ფენომოტივთან შედარებით. პიროვნების სიცოცხლის მთლიანობასთან შედარებით იგი მაინც ერთხელობრივია, სიცოცხლისავე ფარგლებში დასაწყისისა და დასასრულის მქონე. იგივე ითქმის ნებელობის პოზიციის შესახებ: იგი არის პიროვნების შ ე დ ა რ ე ბ ი თ ქ რ ო ნ ი კ უ ლ ი მდგომარეობა, რომელიც გარკვეული სახის ნებითს ქმედობათადმი განაწყობს (disponiert) მას. «ამით ნებელობის პოზიციები ერთიანობის პრინციპს ქმნიან ცალკეული მოქმედებებისთვის, მაგრამ პერსონის მთლიანობის მიმართ ისინიც, თავის მხრივ, მხოლოდ ნაწილობრივ მოვლენებს წარმოადგენენ და მხოლოდ ხელოვნურად შეიძლება გამოყოფილ იქნან მისგან, რადგან საბოლოოდ მ თ ლ ი ა ნ-პ ე რ ს ო ნ უ ლ ი ნ ებ ე ლ ო ბ ი ს პ ო ზ ი ც ი ა შ ი ა ქ ვ თ გ ა დ გ მ უ ლ ი ფ ე ს ვ ი (wurzelu); ეს პოზიცია, მართალია უცვლელი არ არის, მაგრამ მას შინაგანი აზრიანი დახშულობა და აზრიანი განვითარება ახასიათებს. ნებელობის ამ პოზიციას ეწოდება „ხასიათი“».

ხ ა ს ი ა თ ი ამრიგად, არის ნებელობის თვალთახედვით განკვრეტილი ერთმთლიანი პიროვნება. ხასიათის ცნება რომ საკუთრივ ფსიქოლოგიური ცნება არაა სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ეს პერსონალისტიკაზე უფრო ადრე სხვების მიერაც იყო გაგებული. პერსონალისტური თვალსაზრისით, ხასიათის რაობის გაგება სიძნელეს არ წარმოადგენს. იგი (როგორც ყველა სხვა დისპოზიცია) მთლიან-პიროვნული დისპოზიციაა, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის ნებითს ქმედობას. მისი სპეციფიკურ-ადამიანურობა თავისთავად ნათელია. ადამიანის ხასიათი შეიძლება დავუპირისპიროთ ცხოველის „ბუნებას“ (Naturell), რომლითაც პირობადებულია წადილური (ცხოველისთვის არსებითად ერთადერთი სახის) ქმედობა.

თუ ხასიათი მიზნისეულობის დისპოზიციაა, მისი რაობის შესახებ მრავალი დასკვნის გამოტანა შეიძლება მიზანთა სისტემის როგორობიდან. ავტოტელია, ჰეტეროტელია და ინტროცეფცია პიროობასდებენ ხასიათის შესატყვის ნაკვთებს (Zilge). ამ ნიადაგზე აღმოცენებული შორსმწვდომი ინტერინდივიდური განსხვავებანი ქარაქტეროლოგიური და დიფერენციულ-ფსიქოლოგიური კვლევის მთავარი საგანია, ზოგადი ფსიქოლოგიის კვლევის სფეროს კი სცილდება და ამიტომ საჭიროდ არ მიმაჩნია აქ მათ განხილვაზე შეჩერება, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი საკმაო ყურადღებას უთმობს მათ. ზოგადფსიქოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა ის, რომ მიზანთა რაგვარობის მიხედვით, რომელიც საფუძვლად უდევს ხასიათს, ეს უკანასკნელი შინაარსობლივადაა განსაზღვრული. მაგრამ მარტო შინაარსობლივი კვალიფიკაცია ხასიათისა არ არის სამყოფი. რამდენადაც ხასიათია ნებითი ქმედობის საფუძველი, საჭიროა გავითვალისწინოთ მისი ის მხარეებიც, რომელნიც ნებითი ქმედობის დინამიკასა და სტრუქტურას უდგება საფუძვლად. ნებითი ქმედობის დინამიკა წადილიდან მომდინარეობს. მაგრამ ნებითი ქმედობა არაა წადილური ქმედობა. ხშირად პირიქით: ნებითი ქმედობა ეწინააღმდეგება წადილს. ნებელობა არის საკუთარ ბუნებასთან და აგრეთვე გარედან მომდინარე იძულებებთან შებრძოლება: წადილების შეფერხებას არა მარტო ნეგატიური მნიშვნელობა აქვს, არამედ პოზიტიურიც; იგი გაათავისუფლებს ენერგიის მარაგს და შესაძლებელყოფს ქმედობაში მის გამოყენებას. ნებელობის სიმტკიცე, ე. ი. ნებელობის აქტზე ენერგიის კონცენტრაციის უნარი; ნებელობის გამძლეობა, ე. ი. ხანგრძლივი ნებითი ქმედობის წარმოების უნარი; ნებელობის შეთანხმებულობა, ე. ი. დიდი დროის განმავლობაში წარმოებული ნებითი ქმედობების შეთანხმების უნარი — ყველა ეს დინამიკური თავისებურებანი ხასიათისა, მხოლოდ წადილისგან ნაყაირათევი ენერგიის წყალობით შეიძლება არსებობდეს. ტიპოლოგიურ განსხვავებას ამ თვალსაზრისით წარმოადგენს ხასიათის სიმტკიცე და სისუსტე. ეს თვალსაზრისი რაოდენობითი თვალსაზრისია. რომელობითი მხრივ შეიძლება განსხვავება ქმედობათა დაუფლებულობისა და დაუუფლებლობისა. როდესაც ქმედობა წადილურ ქმედობასთან ახლო დგას, მაშინ იმპულსური, უდარდელი, ზარმაცი, უწესრიგო ხასიათის შესახებ ვლაპარაკობთ. პირიქით. თუ ქმედობა წადილების უარყოფაზე, მის შეფერ-

ხებაზეა აგებული, — სიზუსტესთან, ბეჯითობასთან, მუყაითობასთან, პედანტიზმთან გვაქვს საქმე.

ხასიათის როგორობა მნიშვნელოვნადაა განსაზღვრული იმ გარემოებით, რომ პიროვნება (და მაშ ხასიათიც) მრავალერთიანობაა. თუ მიზნის რომელობა შინაარსობლივად განსაზღვრავს ხასიათს, წადილთან ურთიერთობა კი დინამიკურად, — მიზანთა სიმრავლე ხასიათის სტრუქტურას განსაზღვრავს. სტრუქტურული როგორობის პოლუსები ჰარმონიულობა და კონფლიქტურობაა (Gespaltenheit) განსაკუთრებით ძლიერია ცნობიერების მონაწილეობა კონფლიქტური ხასიათის შემთხვევაში, რაც ადვილი გასაგებია ცნობიერების ბუნების საფუძველზე: იგი ხომ კონფლიქტის ნაყოფი და სარკეა. ჰარმონიული ხასიათის შემთხვევაში პიროვნების ზედაპირისა და სიღრმეების შორის თანხმობა სუფევს, გამიზნულობათა სხვადასხვა სფეროებში — ერთგვაროვან ქმედობებთან, ერთგვაროვან რეაქციებთან გვაქვს საქმე; სიცოცხლის მიმდინარეობაში, განვითარების სხვადასხვა ფაზებს შორის ადგილი არა აქვს შეუთანხმებლობასა და წინააღმდეგობას. კონფლიქტური ხასიათი განხილულ სამივე განზომილებაში (სიღრმის, სიფართოვის ანუ მოცულობისა და დროის) დიამეტრულად საწინააღმდეგო სურათს წარმოადგენს.

ნაქმობა

როგორც ცნობილია, ნებელობა არის პერსონული ელინები, რომელშიც გამოიხატება პერსონის აქტიური მიმართება სამყაროსადმი, უკანასკნელის დამორჩილების მიზნით (იხ. ზემოთ). ნებითი ქმედობის ობიექტი — სამყაროს მყოფადი მდგომარეობაა. ცნობიერების პლანში ეს ვითარება მიზნის ცნობიერად აისახება; ფიზიკალურ პლანში — სამყაროში გარკვეული ცვლილებების შეტანით. ნებითს ქმედობას ადამიანი საკუთარი სხეულის მიზანშეწონილი მოძრაობებით განახორციელებს. სხეულებრივი მოძრაობანი და მათი საშუალებით ობიექტური რეზულტატის მიღება დამახასიათებელი, არსებითი ნიშანია ნებელობისა და, უნდა ითქვას, რომ სულ უკანასკნელ ხანამდე, როდესაც აღმოჩენილ იყო სპეციფიკური ვანცდა „ახლა მე მნებავს“ განცდა, ნებელობის ფსიქოლოგიის გულისყური მხოლოდ ამ მოძრაობებისადმი იყო მიმართული. ნებელობის სპეციფიკური განცდის აღმოჩენამ ახალი სარბიელი გადა-

უშალა განცდის ფსიქოლოგიას და ახალი ფსიქოლოგიის კვლევა-ძიება ამ სარბიელზე გაიშალა. მაგრამ კერძოდ პერსონალისტური ფსიქოლოგიისათვის ეს არ ნიშნავს, თითქოს, შეიძლებოდეს გარეგამოვლენილი ნებითი ქმედობისადმი ყურადღების შესუსტება. ეს ქმედობა პერსონალისტური თვალსაზრისისთვის ძველებურად მნიშვნელოვანია, როგორც პერსონა — სამყაროს კავშირის ასახვის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოდუსი.

ცნობილია, რომ სამყაროში ობიექტური ცვლილებანი პერსონას არა-ნებითი ქმედობის საშუალებითაც შეაქვს. ასეთი ქმედობების სახეობანია რეფლექსური, წადილური და ინსტინქტური მოქმედებანი. ნებითი ქმედობით გამოწვეული ცვლილებები, როგორც საკუთარი სპეციფიკის მქონენი, საგანგებო განხილვას მოითხოვს, ნებითი ქმედობის თავისებურობის აღსანიშნავად ვ. შტერნი მათთვის საგანგებო, სხვა ქმედობათა აღმნიშვნელი სიტყვებისგან (როგორიცაა მოქმედება — Tun და ქმედობა — Handlung) განსხვავებულ ტერმინს ხმარობს, — Leistung. ეს სიტყვა ნიშნავს ღირებულების შექმნას ენერგიის დახარჯვის საშუალებით (Werteschaffung durch Energieaufwand). მაგრამ ასეთი რამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიეწეროს მხოლოდ ნებით ქმედობას — ენერგიის ხარჯვის საშუალებით ღირებულებას ქმნის არა მარტო ნებისმიერად მოქმედი ადამიანი, არამედ ინსტინქტურად მოქმედი ცხოველიც, და კიდევ მეტი: მანქანაც. ამიტომ ნებითი ქმედობის თავისებურობის გამოსახატავად სიტყვა Leistung-ს უნდა დერთოს მსაზღვრელი: „პერსონული". ტერმინი personale Leistung ნიშნავს: ღირებულებათა შექმნას ნებითი ქმედობით, პერსონული ძალის დახარჯვის საშუალებით[167].

---

[167] Leistung (bzw. leisten) ნაქმობად ვთარგმნე. შეიძლებოდა უთარგმნელად მეხმარა, როგორც, მაგალითად, „პერსონა" (და არა „პირი"), „გეშტალტი" (და არა „აღნაგობა") და სხვა მრავალი ამდაგვარი, მაგრამ „პერსონისგან" განსხვავებით Leistung არა ლათინური, არამედ სპეციფიკური გერმანული სიტყვაა, რაც აფერხებს მის ქართულში გადმოტანას. „გეშტალტი" ამ მხრივ იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს, საერთაშორისო ტრადიციითაა განმტკიცებული. ამის გარდა Leistung საესებით საყოველდღეო სიტყვაა და მისი უთარგმნელობა კი მწიგნობრულ იერს მისცემდა მას. „ნაქმობა" — სუსტია: ხელოვნურია, არაკეთილხმოვანია, მაგრამ ღირსება მისი ისაა, რომ პროცესუალობაცაა მასში (-ობა) და რეზულტატისეულობაც (ნა-), ძირი „ქმნა" საესებით გამოხატავს ცნების არსს.

ცნება „ძალა“ განსხვავებულ უნდა იქნეს „ენერგიის“ ცნებისგან. უკანასკნელი ნიშნავს მუშაობის უნარის რაოდენობას, იგი პერსონული იერისგან სრულიად თავისუფალია. პირველი ნიშნავს ცოცხალი სუბიექტის აქტივობას, რომელიც (აქტივობა) დაბრკოლებათა გადალახვას ემსახურება[168].

ნაქმობის ცენტრალური ფაქტორია თავისთავისადმი მოთხოვნის წაყენება (Selbstbeanspruchung. Lipmann). პერსონული ნაქმობის შეფასება მიღწეული შედეგის აღრიცხვით კი არ უნდა სდებოდეს, არამედ იმ ცნობიერი ძალისხმევით, რომელსაც ჭიჭართავს ადამიანი ნებითი ქმედობისას. ვინც ობიექტური წარმატებისთვის იღწვის, ამასთანავე პერსონულ ნაქმობასაც ახორციელებს: „იგი მოთხოვნებს უყენებს საკუთარ თავს, ღირებულებათა აქტიური ინტროცეფციით სთრგუნავს საკუთარ უბრალოდ ვიტალურ ყოფას. ცდილობს რა მ ო ი მ ო ქ მ ე დ ო ს საუკეთესო. რაც კი ძალუძს, პიროვნება ამით ესწრაფვის გ ა ხ დ ე ს კიდევაც საუკეთესო, რამდენადაც ამის შესაძლებლობა არის მასში პოტენციურად მოცემული. ნაქმობისთვის პიროვნებას უნდა გააჩნდეს სათანადო აღქურვილობის დისპოზიციები. მაგრამ მარტო ეს დისპოზიციები არაა საკმარისი, არამედ მათი რეალიზაციის ფაქტორიც—საკუთარი თავისადმი მოთხოვნაც—აუცილებელია. საკუთარი თავისადმი მოთხოვნის დისპოზიცია ნაქმობისთვის მზაობას (Lipmann) ნიშნავს. პერსონული და ობიექტური ნაქმობის შორის განსხვავება თვალსაჩინოა შემდეგ მაგალითში: არითმეტიკული ამოცანის გადაწყვეტისას ნიჭიერმა მოწაფემ შეიძლება არც ერთი შეცდომა არ დაუშვას, ნაკლებ ნიჭიერმა კი — ხუთი შეცდომა. ობიექტური წარმატება პირველისა უდავოდ მეტია მეორისაზე, მაგრამ პერსონული ნაქმობა მეორისა შესაძლებელია უფრო მაღალი ღირებულების იყოს, რამდენადაც ამ შედეგის მისაღწევად „უნიჭო“ მოწაფე ბევრად უფრო მეტად „დაშვრა“ ვიდრე პირველი, ნაქმობის ხარისხის მაჩვენებელი სწორედ „დაშრომის“ ხარისხია და არა ობიექტური პროდუქცია.

ნაქმობა, ამრიგად, არის პიროვნების შესაძლებლობათა ნებისმიერი გამოყენება ცნობიერად მიზნად დასახული წარმატების მისაღწევად. ნაქმობის ცნება გულისხმობს როგორც მიღწეულ შე-

---

[168] An lebendigen Träger geknüpfte, zur Überwindung von Widerständen dienende Aktivität, 1,640.

დეგს (Leistung), რომელსაც წარმატება შეიძლება ეწოდოს, რამდენადაც იგი აღემატება აქამომდე მოცემულს, — ისე ქმედობის პროცესს, რომლითაც მიიღწევა ეს წარმატება. ნაქმობა ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურია, მხოლოდ რომ მისთვის აუცილებელია ნებელობის ფსიქიკური კომპონენტი. თავისთავად წარმატება კი შეიძლება შეეხებოდეს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ სფეროს.

ნაქმობის პროცესი პერიოდული ხასიათისაა. პერიოდს ტალღისებური ბუნება აქვს: ინტენსიობა თანდათანობით მატულობს, აღწევს მაქსიმუმს, ერთხანს რჩება ამ მწვერვალზე და შემდეგ თანდათანობითვე კლებულობს. პერიოდულობა და ტალღისებურობა პერსონული სიცოცხლის მდინარების ზოგადი კანონზომიერებაა. ადამიანის (ანუ პერსონის) მთელი სიცოცხლეც ერთ ტალღას წარმოადგენს: დასაწყისიდან მომწიფებამდე ტალღა მატულობს, აღწევს „აკმეს"-ს, და მოხუცებისას დაბლა ეცემა. ეს ერთი ტალღა შეიცავს უფრო მცირე ხანგრძლიობის პერიოდებს. ამ უკანასკნელთა სიგრძის ზუსტი დადგენის ცდა ჯერჯერობით ნაადრევია, მათი არსებობა კი—უეჭველი ფაქტი. ადრე ბავშვობის, სასკოლო ასაკის და სიყრმის პერიოდები კი მართლაც 6—7 წელიწადი გრძელდებიან: თითოეულ მათგანში ტალღის ინტენსიობა სწრაფად აღწევს განვითარების უმაღლეს მწვერვალს, რომელსაც მოსდევს ნელი კლება მონაპოვარის უფრო შინაგანი გადამუშავებითა და შესისხლხორცებით. ეს პერიოდებიც უფრო მცირე — წლიური — პერიოდებისგან შედგება. კიდევ უფრო მცირე პერიოდებს წარმოადგენს-დღიური პერიოდები და, ბოლოს, არსებობს უმცირესი პერიოდები, რომლებსაც „რიტმი" ეწოდება. რიტმი ისეთ პერიოდებს ეწოდება, რომლების ტალღისებურობა უშუალოდ განიცდება ერთ აწმყოში, და მეორეც — რომლების თანამიმდევრობაც უშუალოდ განიცდება, როგორც განმეორება. პერსონულ პერიოდიკის ზოგად ფორმას განსაზღვრავს სხვადასხვა სიდიდის დინამიკური ტალღების სუპერპოზიცია. ცალკე ტალღის გამოყოფა მხოლოდ აბსტრაქტულად შეიძლება. სიცოცხლის რეალურ მდინარებაში ისინი მხოლოდ და მხოლოდ დამოკიდებულ მომენტებადაა მოცემული. დიფერენციული ფსიქოლოგიისთვის პერსონული პერიოდიკის შესწავლას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს მას ფსიქოლოგიის გამოყენებითს დარგებში, სახელდობრ, შრომის ფსიქოლოგიაში. ნაქმობის ზოგადი ფსიქოლოგიისთვის საგანგებოდ

ყურადსაღებია განსხვავება ზოგადი პერიოდიკისა და რიტმის შორის. პირველის ხანიერება სცილდება ერთი ნებითი ქმედობის ხანიერებას და ამდენადვე — ნებელობის ფსიქოლოგიის კომპეტენციას. ნაქმობის მხოლოდ ისეთი პერიოდია ნებელობის ფსიქოლოგიის საქმე, რომელიც უშუალოდ ეძლევა ცნობიერებას. ასეთი კი, ფსიქიკის სფეროში, ყურადღების რხევაა. ამ გარემოებას მივყევართ ყურადღების პრობლემასთან.

ყურადღება

„ყურადღება არის ის პერსონული მდგომარეობა, რომელიც პერსონული ნაქმოაის განხორციელების უშუალო წინასწარ პირობას წარმოადგენს. ყურადღების არსებითი ნიშნებია: მიზნის ნ ა თ ე ლ ყ ო ფ ა ცნობიერებაში, და პერსონის განკარგულებაში მყოფი ძალების კონცენტრაცია მიზნის ნათელყოფასა და მის მიღწევაზე"[109]. ასეთი განსაზღვრება არკვევს, ერთი მხრივ, ყურადღების ადგილს ფსიქიკაში, მეორე მხრივ, კი — ყურადღების ფსიქოლოგიის პრობლემატიკას.

თუ ნაქმობა ღირებულებათა შექმნისკენ მიმართული ნებითი ქმედობაა, უეჭველია, რომ მისი უშუალო წინასწარი პირობაც ნებელობის კატეგორიას მიეკუთვნება. საქმის ასეთი ვითარებიდან კი გამომდინარეობს, რომ ჩვეულებრივად წარმოებული განსხვავება (ზმნა) ნებისმიერი და უნებლიე ყურადღებისა, ანუ აქტიური და პასიური ყურადღებისა უმართებულოა, რადგან ყურადღება უსათუოდ ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ი ა და უსათუოდ ა ქ ტ ი უ რ ი ა. რამდენადაც ყურადღება ნებელობის კატეგორიის მოვლენაა, შეუძლებელია იგი უნებლიე იყოს. რამდენადაც ნებელობა აქტიურია — შეუძლებელია ყურადღება პასიური იყოს. გაუგებრობის სათავე ისაა, რომ საბაბი ყურადღების აქტისა, რომელიც თავისთავად არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება თავისუფალი იყოს ნაქმობის ნებაყოფისგან, შეიძლება ნებელობის გარემდებარე იყოს. იგი შეიძლება გარესამყაროს რომელიმე მოვლენა იყოს და ამ შემთხვევაში ყურადღების აქტი რ ე აქტიული იქნება და არა სპონტანურად აქტიური, სპონტანურია ყურადღება იმ შემთხვევაში, როდესაც მისი საბაბი გარედან კი არაა მოცემული, არამედ თავშივეა მოპოვებული.

---

109 1,653.

რეაქტიული იქნება ყურადღება თუ სპონტანურ-აქტიური, ორივე შემთხვევაში იგი პიროვნების აქტივობის სახეობაა.

ჩვეულებრივ, რეაქტიული ყურადღების აღმძვრელი გარეგანი მოვლენა ან ძლიერი ინტენსივობის ბგერა ხოლმე, ან მოძრავია, ან ახალია. ამიტომ მიღებული იყო, რომ ე. წ. უნებლიე ყურადღებას იწვევს ინტენსიური, ახალი ან მოძრავი[170] გამღიზიანებელი.

ეს დებულება სწორად აღნიშნავს უმრავლესი შემთხვევის გარეგან მხარეს, მაგრამ ჯერ კიდევ არაა საკმარისი საქმის არსის საწვდომად. ნამდვილად რეაქტიული ყურადღების საბაბად პერსონულად მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება ხოლმე. ინტენსივობა, მოძრაობა და სიახლე კი მეორეხარისხოვანი გარეგანი თვისებებია მისი. ამის ფაქტიურ საბუთს იძლევა ის, — მართალია, შედარებით იშვიათი — შემთხვევები, როდესაც ყურადღებას აღძრავს სუსტი ინტენსივობის გამღიზიანებელი, მაშინ, როდესაც ანალოგიური, მაგრამ ბევრად უფრო ძლიერი გამღიზიანებელი არ ხდება ყურადღების საბაბად. მაგალითად, მებრძოლი უყურადღებოდ სტოვებს კანონადას, ხოლო „უნებლიედ" ყურადღების საგნად ხდის მეთაურის ბრძანებას. დედის ყურადღებას იქცევს შვილის ოდნავი კრუსუნი მეზობელ ოთახში, ხოლო უცხო ბავშვის ღრიალი სადმე მახლობლად — მას სრულიად ყურადუღებელი რჩება. გარეგანი საბაბის საკუთარ ძალას, რომ არ ძეიძლება მიეწეროს ყურადღების აღძვრა პერსონული აქტივობის მონაწილეობის გარეშე, ეს ექიდანაც ნათლად გამოსჩვივის, რომ ე. წ. „მოძალადე"[171] გამღიზიანებელი ყოველთვის ყურადღებას კი არ აღძრავს, არამედ შეიძლება სულ სხვაგვარი პერსონული რეაქცია გამოიწვიოს. ხანძრის სანახაობამ, მაგალითად, მშიშარა ბავშვი შეიძლება დააფრთხოს და აატიროს; მეხანძრე გუშაგი ავტომატურად ზარის რეკვას დაიწყებს, ჯერ კიდევ სანამ გააცნობიერებდეს თუ რა მოხდა; ესთეტმა შეიძლება მხოლოდ თვალწარმტაცი სანახაობა ნახოს აქ; მეოთხე კი ეცდება გააცნობიეროს თუ რა მოხდა: სადაა და როგორია ხანძარი, რა იწვის და რატომ იწვის. მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში გვაქვს საქმე ყურადღებასთან: ნებელობის აქტთან, რომელიც შემეცნებითს ნაქმობაზეა მიმართული. ეს ორი საბუთი: 1. ყურადღების აღმძვრე-

---

[170] ზოგადად — aufdringliche.

[171] aufdringlich, назойливый

ლი გარეგანი მოვლენის „მოძალადეობის" (Aufdringlichkeit) ობიექ-ტური კვალიფიკაციის შეუძლებლობა და 2. ერთისა და იმავე მოვ-ლენის მიერ სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარი რეაქციის გამოწვევის შესაძლებლობა — სავსებით სამყოფია ყურადღების აქტში შინაგანი პერსონული ფაქტორის პრიორიტეტის დასადასტუ-რებლად. რაც ყურადღების — ნებელობისათვის მიკუთვნებიდანაც ლოგიკურად გამომდინარეობს.

სპონტანური ყურადღების პერსონისმიერობა მით უმეტეს უე-ჭველია. პერსონულ ძალთა კონცენტრაციის მიზანი შიგნიდანაა ნაკარნახევი და ყურადღების მისამართავად საჭირო არაა გარეგანი რაიმე საბაბი. სპონტანური ყურადღების შემთხვევაში განსაკუთრე-ბით მკაფიოდ ჩანს ყურადღების პირობადებულობა ინტერესით. ინტერესი გრძნობის დისპოზიციაა; იგი არის „ძიება" გრძნობის მონაწილეობით; იგი არის ჯერ კიდევ გაურკვეველ მიზნისადმი მია-ხლოებაზე მიმართებულობის გრძნობითი დისპოზიცია. ინტერესის აკუტურად გამოვლინება არის სწორედ ყურადღება. გამოთქმები „აკუტური ინტერესი" და „ყურადღება" ერთსა და იმავე მოვლენას აღნიშნავს, მხოლოდ სხვადასხვაგვარი მახვილით: პირველი მახვილს აკეთებს მოვლენის გრძნობისეულ მომენტზე, მეორე — მის ლინა-მიკურ დაძაბულობაზე.

ყურადღების პერსონული რაობის გასარკვევად (ან: ყუ-რადღების რაობის გასარკვევად პერსონალისტური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით) უნდა გვახსოვდეს: 1. ცნობიერების აღმოცენების ძირითადი პირობა და 2. პერსონული ენერგიის როგორობა.

ცნობიერების აღმოცენების ძირითადი პირობა არის კონფლი-ქტი პერსონასა და სამყაროს შორის. მხოლოდ იქ და მაშინ, სადაც და როდესაც ირღვევა პერსონასა და სამყაროს იმთავითი „თავის-თავად გასაგები" ურთიერთშერწყმულობა პერსონასა და სამყა-როს შეჯახებისაგან (Reibung) გამოიკვეთება ცნობიერების ნა-პერწკალი. ცნობიერების პერსონული დანიშნულებაა შინაგანად აუსახოს პიროვნებას კონფლიქტი, მისი გადალახვის, დაძლევის მიზნით. ყურადღება „შემეცნებითი ცნობიერების" (თუ შეიძლება, ასე ითქვას) ნებისმიერი მიმართვაა საგნისკენ, მისი საუკეთესოდ გაცნობიერების მიზნით. პერსონული ყოველგვარი მოქმედება, სი-ტყვის უფართოესი მნიშვნელობით, მოითხოვს ენერგიის ხარჯვას. პერსონული ენერგიის რაოდენობა კი ზღვარდებულია და ამიტომ

პერსონას ერთდროულად მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის მოქმედებათა წარმოება შეუძლია. რამდენადაც ყურადღების ამოცანაა ნაქმობის მიზნის ნათელყოფაზე პერსონული ძალის კონცენტრაცია — მისი მოქმედების წარმატება პრინციპულად ზღვარდებულია ამ ძალის რაოდენობით. ძალის კონცენტრაციას ორი მხარე აქვს: პოზიტიურად იგი ნიშნავს მთელი ძალის ერთ საგანზე მიმართვას, ნეგატიურად კი იგი ნიშნავს ძალის მიმართულების შეზღუდვას ერთი საგნით და სხვა საგნებისგან მის „წარმოზიდვას" (Entziehen). თქმა არ უნდა: ძალის რაოდენობა რომ განუსაზღვრელი ყოფილიყო, ეს ნეგატიური მომენტი სრულიად ზედმეტი იქნებოდა ფსიქიკის და, კერძოდ, ყურადღების მოქმედების მიზანშეწონილების თვალსაზრისით.

ასეთი ოპერაციის შედეგად ყურადღებული საგანი განსაკუთრებული სინათლით, სიცხადით ეძლევა ცნობიერებას. მაგრამ რაც მეტი სიცხადითაა მოცემული ერთი საგანი, მით უფრო „ბნელადაა" მოცემული სხვა საგნები; ერთი საგნის მიმართ თუ მაქსიმალურ სიფხიზლედ გვესახება ყურადღება, სხვა საგნების თვალსაზრისით იგი „ნაწილობრივი ძალის" მდგომარეობაა. შთაბეჭდილებათა ჰეშმარიტად გაცნობიერება აღარ ხდება. ასეთი მდგომარეობა სავსებით გასაგებია „ენერგეტიკული" თვალსაზრისით. ერთი საგნისადმი ყურადღება სხვა საგნებისადმი უყურადღებობაა ამავე დროს. აქ უყურადღებობის იმ სახეობასთან გვაქვს საქმე, რომელსაც ყურადღების „გადახრილობა" (Abgelenktheit) ეწოდება. ყურადღების გადახრილობა მხოლოდ არა-ყურადღებული საგნების მიმართაა უყურადღებობა, ყურადღებული საგნის მიმართ კი ყურადღების კონცენტრაციაა მოცემული. ამითი ყურადღების გადახრილობა არსებითად განსხვავდება უყურადღებობის მეორე სახისგან — გაფანტულობისგან (Zerstreutheit). ამ შემთხვევაში ცნობიერების სტრუქტურულად განსხვავებულ მდგომარეობას ვხედავთ. პიროვნება საერთოდ არაფერზე არ ახდენს ძალების კონცენტრაციას, და მის ცნობიერებაში უწესრიგოდ ხან ერთი შინაარსი შედის მეტი სინათლის ხარისხით, ხან მეორე. თუ ყურადღების კონცენტრაციისა და გადახრილობისას დესპოტიური სტრუქტურა ჰქონდა ყურადღებას, გაფანტულობის შემთხვევაში იგი ანარქიულია.

საყოველდღეო არამეცნიერული გამოცდილებისთვისაც ცნობილი იყო, რომ მაქსიმალური ყურადღებისა და სრული უყურადღებობის შორის მკაფიო და გარდაუვალი ზღვარი არ არსებობს, რომ საგანი მეტად თუ ნაკლებად შეიძლება იყოს ყურადღებული. ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა დააზუსტა ეს დაკვირვება. აღმოჩნდა, რომ ყურადღების, ან უკეთ: საგნის ცნობიერების ოთხი ხარისხი შეიძლება იქნეს დადასტურებული: 1. მხოლოდ დანახვა ამოცანასთან დაუკავშირებლად (უბრალო მოცემულობა). 2. ამოცანის თვალსაზრისით შეეჩნევა (beach en), 3. შედეგის პოტენციური ცოდნა, სიტყვიერად ფორმულირების გარეშე და 4. კონსტატაცია[172].

მაქსიმალურ ყურადღებას რაღაც განფენილება, რაღაც მოცულობა აქვს, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, სრული სინათლით ცნობიერებაში ერთდროულად მხოლოდ ერთი კი არა — რამდენიმე საგანი, რამდენიმე შინაარსი შეიძლება იყოს მოცემული. ხატოვანად ყურადღების ამ თვისებას ყურადღების ველი ეწოდება. ელემენტარისტული ფსიქოლოგიისთვის ყურადღების ველის განფენილების, ანუ ყურადღების მოცულობის პრობლემა შემდეგ საკითხად ჩამოყალიბდა: რამდენ ელემენტს იტევს ერთდროულად ყურადღება? ექსპერიმენტების თანახმად ეს მოცულობა 4-6 ელემენტით განიზომება. მაგრამ აღმოჩნდა, რომ გეშტალტში მოცემულობისას ელემენტების რაოდენობა არაჩვეულებრივად მატულობს. ეს მონაპოვარი ერთ-ერთი უძლიერესი არგუმენტია ელემენტარისტური ფსიქოლოგიის საწინააღმდეგოდ: ყურადღებას „ელემენტები" კი არ ეძლევა, არამედ — მხოლოდ ნაქმობის მთლიანობითი მიზნები: ფიგურა საცნობად, სიტყვა გასაგებად და ა. შ.; თუ რამდენად მოახერხებს პიროვნება ასეთი გეშტალტის ყურადღებას, მისი შემადგენელი, მასში მოცემული ელემენტების რაოდენობაზე სულ უმნიშვნელოდ თუა დამოკიდებული, არსებითად კი დამოკიდებულია გეშტალტის პერსონულ ღირებულებაზე ანუ პერსონისთვის მნიშვნელობაზე.

ცნობიერების საფეხურები, რომლებიც სუქცესიურად იყო დადასტურებული, სიმულტანურადაც მოცემულია ყურადღების ველში და ამიტომ უკანასკნელის (ყურადღების ველის) სტრუქტუ-

---

172 ცდები სენსორიუმის ოპტიკურ სფეროში იყო წარმოებული (Westphal).

რა კონცენტრულია: ცენტრში მოთავსებულია მაქსიმალური ყურადღების (კონსტატაციის) პუნქტი, მის ირგვლივ კი განლაგებულია კლებადი ინტენსივობის წრეები. მაგრამ ყურადღების ველს ყოველთვის არ გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული წერტილი. მისი შუაგული, ზოგჯერ, მიკლებულია კონკრეტულ ერთმნიშვნელოვანობას და ერთგვარ შემოგარეს (Bereich, სფეროს) წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც ბოლოდ შემდეგში იქნება მონახული კონცენტრაციის ნამდვილი წერტილი. ასეთია მდგომარეობა მოლოდინის, ძიებისა და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში. ყურადღების ველის სტრუქტურის ასეთი განსხვავებულობა ერთი მხარეა უფრო ძირითადი ორმაგობისა, რომელიც ყურადღებას ახასიათებს. ცნობიერება ორმხრივადაა მიმართული ყურადღებაში: ერთი მხრივ მოცემულზე, მოპოებულზე, მეორე მხრივ — მოსაპოებელზე; იგი ერთსა და იმავე დროს ცნობიერების განსაკუთრებული სინათლის მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ცაა და დაძაბული მ ო ძ რ ა ო ბ ა ც უფრო მაღალი და ცნობიერობისკენ. მიზნად დასახული ნაქმობის შესრულებისთანავე ქრება მეორე (მოძრაობითი, დინამიკური) კომპონენტი და მასთან ერთად, ან უშუალოდ მის შემდეგ ისპობა საერთოდ ყურადღების მდგომარეობაც. რადგან წმინდა სტატიკურ მდგომარეობაში დარჩენა მისთვის შეუძლებელია.

დავუბრუნდეთ ყურადღების ველის სტრუქტურას. კონცენტრული ველი (თუნდაც მკაფიოდ გამოუკვეთელი შუაგულით — კონკრეტული ცენტრის ნაცვლად) ერთი მხრივ მიმართული ყურადღებისას გვაქვს. ასეთ ყურადღებას „უნიფოკალური" შეიძლება ეწოდოს, რამდენადაც ყურადღების მიერ წარმართული ძალები ერთ ფოკუსში იყრის თავს (ანუ, დინამიკური კომპონენტის ჭარბობისას, როდესაც ველის ცენტრი ჯერ არაა მონახული — ესწრაფვის ერთ ფოკუსში მოიყაროს თავი).

უნიფოკალურობა აუცილებელი არაა ყურადღებისთვის. იგი ერთდროულად ორი ან მეტი მიზნის ნათელყოფასა და შესრულებაზე შეიძლება იყოს მიმართული, „ბიფოკალური" ან „მულტიფოკალური" შეიძლება იყოს. ასეთი ყურადღება ორი სახის შეიძლება იყოს თავის მხრივ: თუ ყურადღების ფოკუსები ერთ კომპლექსურ ზოგად ამოცანას ეკუთვნის ყურადღების გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა ხდება; თუ საქმე ორი თუ მეტი დამოუკიდებელი ამოცანისადმი ძალების მიმართვაშია — ხდება ყურადღების გ ა ყ ო ფ ა (გ ა ნ წ ვ ა ლ ე ბ ა).

ძველი ფსიქოლოგიისთვის, რომელიც ცნობიერების ერთიანობის პოზიციაზე იდგა, ბიფოკალური (თუ, ზოგადად, მულტიფოკალური) ყურადღება თავსამტვრევი ფაქტი იყო. პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის ერთიანი პიროვნების მრავლიანობის (multiplicitas) პოზიციიდან მისი გაგება არავითარ სპეციფიკურ სიძნელეს არ წარმოადგენს: მიზანია სიმრავლის ერთდროულობიდან თავისთავად უნდა გამომდინარეობდეს ყურადღების მიმართულებათა სიმრავლის შესაძლებლობა. ერთი კია, რომ ყურადღების ველის „მწვერვალები" თანაბარი არაა: ყოველ მომენტში ხან ერთი მწვერვალია უფრო „მაღალი", ე. ი. მეტი პერსონული მნიშვნელობის მქონე, ხან მეორე და ენერგიის მეტი რაოდენობაც ხან ერთისკენ მიიმართება, ხან მეორისკენ. ყურადღების განაწილების შემთხვევაში უპირატესად თვით საგნის ბუნება განსაზღვრავს ენერგიის განაწილებას. მაგ., ფორტეპიანოზე დაკვრისას (ცხადია, თუ ხელების მოძრაობები ავტომატიზაციაქმნილი არაა) მარჯვენა ხელი, ჩვეულებრივ, მეტ ყურადღებას ითხოვს და ყურადღების ველში სწორედ ის წარმოადგენს უმაღლეს მწვერვალს, მაგრამ თუ მეტო�ia დროებით მარცხენა ხელის პარტიაში გადავიდა, ველის სტრუქტურაც იცვლება მარცხენა ხელის სასარგებლოდ. (ველის სტრუქტურის პრინციპი, ამ შემთხვევაში, კომპლექსური ამოცანის აზრშია Sinngehalt) მოცემული.

ყურადღების გაყოფა მაშინ ხდება, როდესაც ერთდროულად რამდენიმე დისპარატული ამოცანა დგას პიროვნების წინაშე. საგნის მსრივ ცნობიერება არაა დაზღვეული სრულ გახლეჩისგან, მაგრამ გახლეჩა მაინც არ ხდება, რადგან გამაერთიანებელ ძალად პიროვნების ერთიანობა გამოდის. ძალთა განაწილებაც სავსებით მასზეა დამოკიდებული. ამოცანების გადაწყვეტა პერსონის ხვადასხვა სიღრმის ფენების ძალებს ევალება. ცნობიერების ერთიანობის პრინციპიდან ამომავალი ყურადღების თეორია უარყოფდა ყურადღების მულტიფოკალურობის შესაძლებლობას, განაწილების სახით იქნებოდა იგი გამოვლენილი თუ გაყოფის — სულერთია და შესატყვის ფაქტებს ხსნიდა ყურადღების რხევით, სხვადასხვა ფოკუსებზე თანამიმდევრობით გადასვლით. ყურადღების გაყოფის (მხოლოდ გაყოფის და არა განაწილების!) შემთხვევაში ეს ღებულება ნაწილობრივ მართლდება: ერთ-ერთ ნაქმობისკენ დროებით მონარჩენ ზედმეტ ენერგიას პიროვნება მეორე ნაქმო-

ბისთვის გამოიყენებს ხოლმე და ცდილობს ისე მოაწესრიგოს თავისი მოქმედება, რომ შესაძლებელი იყოს ამგვარი სესხება.

ყურადღების ცნების განსაზღვრება არაფერს ამბობს მისი ერთი მნიშვნელოვანი მხარის—მიმდინარეობის ხასიათის შესახებ. ამ განსაზღვრების (იხ. გვ. 171) მიხედვით ყურადღება, თუ შეიძლება ასე ითქვას, პრინციპულად წარმავალი პერსონული მდგომარეობა უნდა იყოს, რამდენადაც იგი მხოლოდ მოსამზადებელი საფეხურია ნაქმობისა, მიზნის ცნობიერად ნათელყოფისა, და მის განსასორციელებლად საჭირო ძალების გამოყენებისა, სახელდობრ — ძალების მხოლოდ და მხოლოდ კონცენტრაციის ეტაპია.

მიუხედავად ამისა, ხასიერობის თვალსაზრისით მაინც შესაძლებელია ყურადღების ორ სახეობად განკგუფება: მომენტანურ და ხანგრძლივ (dauernde) ყურადღებად. ობიექტური ზუსტი განსაზღვრა თითოეული მაოგანის ხასიერებისა, ცხადია, არ ხერხდება. მაგრამ მათ შორის განსხვავება, მით უმეტეს ტიპიურ შემთხვევებში, თვალსაჩინოა. საქმე ისაა, რომ ყურადღების აქტში ენერგიის დინამიკა ტალღისებურია. მომენტალური, ანუ აკუტური ყურადღებისას ენერგიის მხოლოდ ერთი ტალღაა, ხანგრძლივი ყურადღებისას კი ტალღების მთელი რიგი. ხანგრძლივი ყურადღების მიმდინარეობის ტალღისებური ხასიათი საფუძვლად უდევს რიტმის მოვლენებს. რიტმის თითოეული ტაქტი ყურადღების თითოეული ტალღის შესატყვისია. აქცენტი თითოეულ ტაქტში ტალღის მწვერვალს შეესატყვისება. რიტმის ხანგრძლიობის თანახმად შეიძლება დავასკვნათ, რომ ყურადღების ტალღის სიგრძე სეკუნდებს არ აღემატება. სწრაფად ცვალებადი შთაბეჭდილებების ყურადღებისას შესაძლებელია ერთ ტალღას მეორე მოსდევდეს, მაგრამ ყურადღება ამიტომ არ იქნება ხანგრძლივი ყურადღება. უცვალებელის არსებითი ნიშანია ყველა ამ თანამიმდევარი ტალღის ერთი მიმართულებით დინება. ოპტიმალურია ხანგრძლივი ყურადღებისთვის ისეთი ამოცანა, რომელიც პერსონულად ღირებულ აზრითს მიზნიანობას წარმოადგენს, მაგრამ ცალკეული საფეხურები მიზნისკენ მიმავალი კიბისა ურთიერთისგან განსხვავებულია. პესიმალურია პირიქით, მონოტონური მუშაობა, მით უმეტეს თუ მისი საბოლოო შედეგი პერსონისთვის ღირებულებას მოკლებულია. პირველ შემთხვევაში საკუთრივ ყურადღების მუშაობას დაერთვის აზრევნება,

განსაკუთრებით კი გრძნობა ინტერესის სახით, რაც ხელს უწყობს ენერგიის კონცენტრაციის გახანგრძლივებას.

მაგრამ ყურადღების კონსტანტურობა თუ ცვალებადობა: ერთ საგანზე დიდი ხნის განმავლობაში მიმართულობა, თუ ერთი საგნიდან მეორეზე ხშირი გადასვლა — საკუთრივ პერსონული ფაქტორითაც შეიძლება იყოს პირობადებული, სიტუაციას შეიძლება არ შეესატყვისებოდეს. აქ ტიპოლოგიურ თავისებურებათა საკითხი დგება. არსებობს კონცენტრაციის (იგივე ფიქსაციის) ტიპი; არსებობს გაფანტული ყურადღების ტიპი; ბოლოს არსებობს მათი საშუალო, დისტრიბუციული (განაწილებული) ყურადღების ტიპიც. ტიპოლოგიურ განსხვავებას ვხედავთ ყურადღების მიმართების საგნის თვალსაზრისითაც: გრძნობადი შინაარსებისკენ მიმართული და საკუთარი სულიერი შინაარსებისკენ, ან აზროვნებისა პრობლემებისკენ მიმართული ყურადღება. მათი რაობის დაწვრილებით განხილვა ზოგადი ფსიქოლოგიის საგანს არ შეადგენს.

ზოგადი ფსიქოლოგიისთვის მნიშვნელოვანია ყურადღების ერთი მხარე, რომლის შესახებაც ჯერ არაფერი გვითქვამს: იგი ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურია იმდენად, რამდენადაც ენერგიის დაძაბულობა, რომელიც ყოველთვისაა ყურადღებასთან დაკავშირებული, ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურია: არა მარტო ცნობიერებაა „დაძაბული" იმის მიმართ, რაც ახლა უნდა ამოხდეს, არამედ დაძაბულია სხეულის ის კუნთებიც, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ახლა შესასრულებელ ნაქმობაში. ამ დაძაბვის შეგრძნება ყურადღების განცდის თანმხლები მოვლენებია ცნობიერებაში. ყურადღების ნაქმობასთან ურთიერთობის ხასიათი სავსებით გასაგებად ხდის ყურადღების ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურობას.

ვარჯიში და დაღლა

ტერმინი „ნაქმობა" (გერმანული Leistung) მიღწეულ წარმატებასაც ნიშნავს და წარმატების მისაღწევად წარმოებულ ქმედობასაც. როგორც ქმედობისთვის, როგორც პროცესისთვის მისთვის დამახასიათებელია თანდათანობითი გაუმჯობესება, თანდათანობითი მატება მოქმედების შედეგისა (წარმატება). წარმატების შინაგანი პერსონული ფაქტორი და პირობაა სათანადო ქმედობის შესატყვისი ფუნქციების მომწიფება. მაგრამ იგი არაა სამყოფი და

არც მთავარი მნიშვნელობის მქონე პირობა. გარეგანი ფაქტორები — სახელდობრ კარჯიში და დაღლა — თამაშობენ მთავარ როლს წარმატების პროცესის მიმდინარეობაში. ვარჯიში არის ნაქმობათა ნებისმიერი განმეორების საშუალებით წარმატების მიღწევა, ანუ — მიზნის თვალსაზრისით თუ დავახასიათებთ, — წარმატების ძიზნით შესატყვისი ნაქმობის ნებისმიერი განმეორება. ამგვარი განმეორების მეოხებით ნაქმობის რეზულტატი თანდათან მატულობს, ხდება ნაქმობის გაუმჯობესება. ვარჯიშის ორი სახეობა უნდა განვასხვავოთ: აკუტური და ხანგრძლივი. აკუტურ ვარჯიშთან საქმე გვაქვს ნაქმობათა თანმიყოლებით, უხარვეზოდ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ერთ იჯრაზე" განმეორებისას. ხანგრძლივ ვარჯიშთან კი მაშინ, როდესაც ნაქმობათა ციკლები დაშორებულია ერთმანეთს გარკვეული დროით (ჩვეულებრივ — თითო დღით). აკუტური ვარჯიშის შედეგად ვღებულობთ გავარჯიშებულობას[13], რაც იმაში გამოიხატება, რომ ციკლის უკანასკნელი ნაქმობა პირველებზე უკეთესია, ე. ი. ნაკლები ენერგიით მეტ ეფექტს აღწევს. ასევეა. საქმე ხანგრძლივი ვარჯიშის შემთხვევაშიც: ყოველ მომდევნო დღეს (თუ ერთი დღის ხარვეზით მეორდება ქმედობა) წარმატება სულ უფრო მეტი და მეტია. მაგრამ წარმატების (ანუ გავარჯიშებულობის) შესაძლებლობა განსაზღვრულია და ამიტომ გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ წარმატება აღარ მატულობს, თუნდაც ნაქმობა აუარებელჯერ იქნეს განმეორებული. ვარჯიშის დამახასიათებელია წარმატების არათანაბარი მატება; ვარჯიშის დასაწყისში წარმატების მატება უფრო მნიშვნელოვანია, მერე და მერე კი თანდათან ნაკლები. ეს აკუტურ ვარჯიშშიც ასეა და ხანგრძლივშიც. უკანასკნელის შემთხვევაში მომდევნო ნაქმობის უპირატესობა წინამორბედთან შედარებით ბოლოს — როგორც ვთქვით კიდეც — სრულიადაც ისპობა. ხანგრძლივ ვარჯიშში გავარჯიშების მეორე თავისებურობაც იჩენს თავს, რომელსაც „განვარჯიშება" (Übungsverlust) ეწოდება. იგი განსაკუთრებით მაშინაა შესამჩნევი, როდესაც ხანგრძლივი ვარჯიშის შემადგენელი აკუტური ვარჯიშები დროის

---

[13] ვეტორი აღნიშნავს, რომ „უმჯობესი იქნებოდა მხოლოდ მოქმედებისთვის ეკეწოდებია „ვარჯიში", მდგომარეობისთვის კი „ვავარჯიშებულობა"-ო (Übung - Geübtheit), მაგრამ თითონ ორივე შემთხვევაში „ვარჯიშს" ხმარობს. იხ. 1,678.

დიდი ხარვეზითაა დაშორებული ერთმანეთს. მაგრამ სრული განვარჯიშება მაშინაც კი არ უნდა ხდებოდეს, როდესაც ხარვეზები წელიწადებით განიზომება: მნემური შემდეგმოქმედება ალბათ სიცოცხლის დასასრულამდე გრძელდება. მიუხედავად ამისა, ყოველი მოშდეენო დღის (ანუ ყოველი მოშდეენო ციკლის) დასაწყისში წარმატება საყოველთაოდ ნაკლებია ხოლმე, ვიდრე წინა დღის (ანუ ციკლის) დასასრულს. საქმის ასეთი ვითარება განვარჯიშებას ვერ მიეწერება. აქ განწყობის[174] ფაქტორთან გვაქვს საქმე. „როდესაც ადამიანი იწყებს რაიმე მოქმედებას, რომელსაც აქამდე არ ასრულებდა, იგი ჯერ არაა მისდამი „განწყობილი"; იგი სხვა საქმით იყო გართული. ამის გამო მისი სხეულის მომართულობა (körperliche Haltung), მისი ყურადღება, მისი ინტერესი, მისი ძალების ეკონომია, მოკლედ — მთლიანად პერსონა სხვა მიზნისადმი იყო მიმართული. საჭიროა ყოველივე ამისი გადართვა (umschalten). პერსონა-სამყაროს მთელმა ურთიერთობამ უნდა გადაინაცვლოს, რომ პერსონული მოქმედების ცენტრში ახალი მიზანდასახულება მოაქციოს. ეს ერთბაშად არ ხდება; ახალი ტოტალური განწყობა მხოლოდ თანდათანობით ვლინდება. ამ პროცესს ძალიან უწყობს ხელს განმეორება; მაგრამ იგი მაინც არაა „ვარჯიში" ნამდვილი მნიშვნელობით, მიუხედავად იმისა, რომ მისი მიმდინარეობის დროს წარმატება იზრდება"[175]. მით უმეტეს მნიშვნელოვანია განწყობის მოქმედება სრულიად ახალი საქმიანობის დასაწყისში.

ვარჯიში ერთი რომელიმე ორგანოსი ან ფუნქციისა ხდება, მაგრამ იგი თავს იჩენს სხვა ორგანოების ან ფუნქციების მოქმედებაშიც. მარცხენა ხელით წერის წარმოება — მარჯვენა ხელის გავარჯიშებულობით აიხსნება. ეს რომ არ ყოფილიყო — მარცხენა ხელის წარმატება შეუდარებლად უფრო დაბალ დონეზე იდგებოდა. გავარჯიშება ხდება არა მარტო ორგანოსი თუ ფუნქციისა, არამედ ნაქმობისა, თუმც ერთგვაროვან მასალაზეა მიმართული ამ ორგანოსი თუ ფუნქციის მოქმედება ვარჯიშის პროცესში, მაგრამ გავარჯიშებულობა თავს იჩენს სხვა მასალის მიმართაც. მათემატიკაში გავარჯიშებულობა ამაღლებს ლოგიკის სილოგისტიკის ფიგურების გაგების წარმატებას. უაზრო მარცელების დასწავლაში გავარ-

---

[174] Einstellung.

[175] 1,678.

ჯიშება წარმატებას ანიჭებს ლექსიკის დასწავლასაც. „თანავარჯიშის“ ეს მოვლენები არ უნდა იქნეს გაგებული როგორც გავარჯიშებულობის გადატანა ერთი პერსონული სფეროდან მეორეზე, არამედ „მთელ პერსონას მოიცავს ვარჯიშის მოქმედება, იმგვარად, რომ მას ყოველ შესაფერის სფეროში შეუძლია გამოიყენოს ახლად შეძენილი უნარი. ამრიგად თანავარჯიშის ცნებას მივუყვართ „ფორმალური ზოგადი ვარჯიშის“ და „ფორმალური აღზრდის“ (Bildung) ცნებასთან. ყოველი სპეციფიკური ვარჯიში იწვევს ზოგად მატებას მზაობისა და უნარისას იმ ნაქმობათა და ქცევათაოვის, რომლებიც ენათესავებიან გავარჯიშების სფეროს“[176].

ვარჯიში ორი მხრივ მოქმედებს ნაქმობაზე: ერთი მხრივ აუჯობესებს ეფექტს, მეორე მხრივ ამცირებს ენერგიის ხარჯს. ეფექტის გაუმჯობესება ნაქმობის პერსონულ მთლიანობაში მაქსიმალურად გამოყოფას მოითხოვს, ცნობიერების მისკენ მიმართვას, ყურადღების კონცენტრაციას. ენერგიის ხარჯის შემცირებისთვის კი, პირიქით, აუცილებელია ნაქმობის მაქსიმალურად ჩანერგვა პიროვნების მთლიანობაში, ქვეცნობიერების სიღრმეებში ჩატანა. ერთდროულად ორივე ამოცანის განხორციელება ვერ ხერხდება და ამიტომ უპირატესობა ხან ერთს ენიჭება, ხან მეორეს. საყოველდღეო ამოცანების შესრულებისას მთავარი გულისყური ენერგიის მომჭირნეობას ექცევა და წარმატება მოქმედებათა ავტომატიზაციის გზით მიიღწევა. წმინდა სპორტული ხასიათის ნაქმობაში კი ქმედობის შესრულების ხარისხის გაუმჯობესებაა წამყვანი და წარმატებაც სწორედ ეფექტის გაუმჯობესებაში გამოიხატება, თუმც იგი შეიძლება ენერგიის დაუზოგავად ხარჯვის საშუალებით იყოს მიღწეული. ნაქმობის შემადგენელი ცალკეული მოძრაობებისა აქაც ხდება ავტომატიზაცია, თუკი ეს შესაძლებელია. მაგრამ პირველი სახის ნაქმობისგან პრინციპულ განსხვავებას ის ქმნის, რომ წარმატება აქ თვითმიზანია, იქ კი — საშუალება სხვა მიზნისთვის, სხვა ამოცანისთვის.

ვარჯიშის გავლენას პერსონის მოქმედების ყოველი სფერო განიცდის. პრინციპულად ყოველი ფუნქცია ვარჯიშდება, მაგრამ გავარჯიშება ყველა ფუნქციისა ერთნაირად ძლიერი არაა. ყველაზე ნაკლებად ვარჯიშდება ვიტალური ფუნქციები. სუნთქვა, ჭამა და სხვა ამდაგვარი იმთავითვე იმდენად კარგადაა დაუფლებული

---

176 1,685—686.

მემკვიდრეობის ინსტინქტურ საფუძველზე, რომ არ საჭიროებს ვარჯიშს. საკუთრივ ნამდვილი ვარჯიში იმ ფუნქციებს ესაჭიროება, რომლებიც ადამიანის სიცოცხლის კულტურულ ზედნაშენს ქმნიან, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში ვიტალური ფუნქციების გავარჯიშებაც ხდება საჭირო და მაშინ მათი წარმატება განსაკუთრებით ძლიერია. ეს ხდება დეფექტების შემთხვევაში, როდესაც დაზიანებული ფუნქციის ან ორგანოს საქმე სხვა ფუნქციას ანუ ორგანოს ეკისრება. წარმატება იმითი აიხსნება, რომ „შემნაცვლებელი ფუნქცია" სასიცოცხლო მოთხოვნილების დაკმაყოფილების ერთადერთ საშუალებადღა რჩება, შესატყვისი ფუნქციის თუ ორგანოს მოქმედების გამორიცხვის გამო. ამას უნდა მიეწეროს, მაგალითად, დაბრმავებულების სმენის თუ შეხების გრძნობის არაჩვეულებრივი გავარჯიშება. ვარჯიში შეიძლება დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულებისა იყოს: არა ვიტალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებათა წარმატება, არამედ მათი დათრგუნვა იყოს მისი მიზანი. ასკეტიზმის ძირითადი და ნამდვილი აზრი სწორედ ესაა: ვიტალური მოთხოვნილების დამორჩილება უფრო მაღალი კატეგორიის მოთხოვნილებისთვის, „სპირიტუალური ნებელობის გაბატონება ვიტალურ ინსტინქტურ სიცოცხლეზე ზოგადად"[177].

ამრიგად, ვიტალური ფუნქციების თვალსაჩინო გავარჯიშება მხოლოდ არანორმალურ შემთხვევაში ხდება: დეფექტის, ასკეტიზმის, სპორტული მონომანიის შეთხვევებში. უკვე ეს გარემოება მიგვითითებს, რომ ნორმალურად სხვადასხვა — მაგალითად, ვიტალური და „კულტურული", — ფუნქცია სხვადასხვაგვარად, მეტ-ნაკლები ხარისხით ვარჯიშდება: ფუნქციას აქვს მეტი თუ ნაკლები „გავარჯიშებადობა" (Übbarkeit), თითოეული ცალკეული ფუნქციის ამ მხრივ შესწავლას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ფსიქოტექნიკური პროგნოსტიკისთვის.

არანაკლები პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს პროვნებათა განსხვავებულობის დადგენას „გავარჯიშების უნარის" მიხედვით. განსხვავებას ქმნის, ერთი მხრივ, ამ უნარის რაოდენობითი მხარე: ზოგს მეტად აქვს წარმატების უნარი, ზოგს ნაკლებად; მეორე მხრივ კი—

---

177 1,688.

მისი რომელობითი მხარე: ზოგის წარმატება ნაქმობის სრულყოფას შეეხება, ზოგისა კი — მის ავტომატიზაციას.

ვარჯიშის კვლევას აძნელებს ნაქმობის მეორე კომპონენტი, რომელიც მუდამ ახლავს ქმედობის განმეორებას — დ ა ღ ლ ა. იგი ვარჯიშის საწინააღმდეგოდ მოქმედებს და აკუტურ ნაქმობაში თანდათანობით აუარესებს ქმედობის შედეგს. ეს მისი უარყოფითი გაელენა წარმატებაზე თავს იჩენს აკუტურ ნაქმობის მეტად თუ ნაკლებად დიდი ხნის განმავლობაში წარმოებისას. ნაქმობის ფაქტიური მიმდინარეობის ხასიათის ინტერპრეტაცია, როგორც ვარჯიშის, ისე დაღლის ფაქტორის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. ხანგრძლივი აკუტური ნაქმობისას ვარჯიშს უნდა მიეწეროს ნაქმობის ფორმალური წარმატება; სახელდობრ: აჩქარება და ავტომატიზაცია; დაღლას კი — ნაქმობის ხასიათის გაუარესება. ვარჯიში აუმჯობესებს, აჩქარებს, ამექანიკურებს ნაქმობას, ამცირებს ენერგიის ხარჯვას; დაღლა კი, ენერგიის ხარჯვის შედეგად, ამცირებს მის მარაგს. აძნელებს და აუარესებს ნაქმობას. ენერგიის ხარჯვა აუცილებელია ნაქმობაში და ესაა დაღლის გამომწვევი მიზეზი. მაგრამ გარდა ასეთი „ნაქმობის დაღლისა" (Leistungsermüdung) ცნობილია დაღლის გამომწვევი გარეშე მიზეზებიც: გარემოს ფიზიკო-ქიმიური პირობების მავნე გაელენა და ენერგიის გადაჭარბებული დაძაბვა ცხოვრების ცუდი რეჟიმის გამო. ამათ გარდა დაღლას იწვევს გამღიზიანებლების მონოტონურობა, რაც აძნელებს დინამიკური კონცენტრაციისოვის აუცილებელ გამოყოფას საგნისას მის დროითსა და სივრცითს გარემოდან. „ყველა დროებისა და ხალხების დედებმა იციან, რომ ბავშვის დაღლის და დაძინების ყველაზე უებარი საშუალებაა მონოტონური სიმღერა და რწევა"[178].

დაღლა შეიძლება ლოკალური იყოს და შეიძლება — ტოტალური. უწინარეს ყოვლისა იღლება მოქმედი ორგანო თუ ფუნქცია. მაგრამ დაღლა ყოველთვის არ შემოიფარგლება ამ ვიწრო სფეროთი და მთელ პიროვნებაზეც ვრცელდება ხოლმე. ვარჯიშის ანალოგიურად აქაც შეიძლება თ ა ნ ა-დაღლაზე ვილაპარაკოთ. დაღლის ირადიაცია ვარჯიშისაზე უფრო ფართოც კია. იმდენად ფართოა, რომ ჩვეულებრივად მიღებული განსხვავება ფიზიკური და გონებრივი დაღლისა არსებითად უმართებულოა. ნამდვილად, მხოლოდ დაღლის გამომწვევი მიზეზის თვალსაზრისით შეიძლება

---

178 1,693.

ასეთი განსხვავების დადგენა და არა დაღლის გამოვლენის თვალსაზრისით. ირადიაციის საწინააღმდეგო მოვლენას წარმოადგენს დაღლის შეცვლა (Abwe hslung): ერთი სფეროს დაღლა მეორე სფეროში ნაქმობის უნარიანობის მატებას იწვევს. ეს მოვლენა თავს იჩენს განსაკუთრებით შინაარსობლივად ურთიერთს დაშორებულ სფეროებში: გონებრივ დაღლას ფიზიკური შრომისუნარიანობის მატება მოსდევს ხოლმე ხშირად. ირადიაციისა და შეცვლის ურთიერთდამოკიდებულება ფრიად რთულია. პირველი თითქოს დაღლის მაღალ ხარისხს უნდა ახასიათებდეს, მეორე კი—დაბალს, მაგრამ ყოველთვის ასე არაა სინამდვილეში. თვით გადაკარბებული დაღლის, ე. წ. დაქანცვის დროსაც კი შესაძლებელია აქტივობის მატება: ადამიანი ერთ აღვილას ვერ ჩერდება, აუარებელს ლაპარაკობს, „ჯარასავით უტრიალებს თავში აზრები", ნაცვლად იმისა, რომ წუნარად იყოს.

დაღლა აღშურვილობის დისპოზიციის შემცირებაა. მისგან უნდა განვასხვავოთ ნაქმობაზე აგრეთვე უარყოფითად მოქმედი მოყირჭება, რომელიც მიმართებულობის დისპოზიციის შემცირებას ნიშნავს. პიროვნებას შესაძლოა სრულიად სამყოფი ენერგია გააჩნდეს ნაქმობისთვის, მაგრამ „მეტი აღარ შეეძლოს" მოქმედება. მოყირჭება თავს იჩენს ყველაზე უფრო მეტად მონოტონური მუშაობის შემთხვევაში. მოყირჭების მიმდინარეობა განსხვავებულია დაღლის მიმდინარეობისგან: უფრო ერთბაშად გამომჟღავნდება და უფრო გვი[illegible] და ძნელად გაივლის, ვიდრე დაღლა.

დაღლის საწინააღმდეგო მოვლენა არის დასვენება. იგი ისეთივე მიმართებაშია დაღლასთან, როგორშიც განვარჯიშებაა გაუარჯიშებასთან. დასვენებისას ხდება ენერგიის მარაგის აღდგენა თუ შევსება. ამიტომ დასვენებას უმოქმედობა აუწყობს ხელს. მაგრამ იგი აუცილებელი არაა ყოველთვის. ზოგჯერ დასვენება ნაქმობის შეცვლისას უკეთ ხდება, ვიდრე სრული უმოქმედობისას. ახალი ხასიათის ნაქმობისთვის სხვა წყაროდან მომდინარე ენერგიაა საჭირო და ამიტომ მის დროს შეცვლილი ნაქმობის მკვებავი ენერგია შეუფერხებლად ახერხებს დაგროვებას. დასვენება მით უფრო საყოფიერია, რაც უფრო ნაკლებია დაღლა. დაქანცვისას ძალიან ხანგრძლივი პაუზაც აღარაა სამყოფი დასასვენებლად. დაქანცვის პროფილაქტიკა ფსიქოტექნიკის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, რამდენადაც post factum მასთან ბრძოლა ხშირად ნამდვილ მკურნალობასაც კი მოითხოვს ხოლმე.

დაღლა განცდაში დაღლილობის გრძნობად აისახება. იგი პროსპექციული გრძნობაა და გაცნობიერებულ გამაფრთხილებელ სიგნალს წარმოადგენს ენერგიის სახიფათო ხარჯვისას. ამდენად იგი უსიამოვნების იერით უნდა ყოფილიყო აღბეჭდილი და ჩვეულებრივ ასეც არის ხოლმე. მაგრამ, ზოგჯერ, მცირე ხარისხის დაღლა სიამოვნების ელფერის მქონე დაღლილობის გრძნობასაც იწვევს. ორივე შემთხვევაში დაღლილობის არსებითი ნიშნებია აქტივობისა და იმპულსების სისუსტის და, აგრეთვე, მოდუნებულობის ცნობიერება. რამდენადაც დაღლილობა დაღლის ცნობიერ ასახვას წარმოადგენს, ლოკალური და საერთო დაღლის შესატყვისად არსებობს ადგილობრივი და საერთო დაღლილობის გრძნობები. საგულისხმოა დაღლილობის პარადოქსული მოვლენები: ზოგჯერ ადამიანი მაქსიმალურად ამოსწურავს ენერგიის მარაგს, ე. ი. ობიექტურად არამცთუ დაღლილი — დაქანცულია, მაგრამ ეს მდგომარეობა არაა გაცნობიერებული: ადამიანი სრულიად არ გრძნობს დაღლილობას. თითქოს დაღლილობამ უარი სთქვაო სიგნალური ფუნქციის შესრულებაზე. ასეთი რამ ისეთი ამოცანის შესრულებისას ხდება, რომელსაც „სამკვდრო-სასიცოცხლო" მნიშვნელობა აქვს პიროვნებისთვის და ენერგიის მომჭირნეობას ამ დროს ბევრად მეტი ზიანი შეიძლებოდა მოეტანა მისთვის, ვიდრე დაქანცვა მოუტანს: მაგ., ადამიანისთვის, რომელიც გაურბის ბოროტის მზრახველ მდევარს, ან სტუდენტისთვის, რომელიც მოკლე ვადაში ჩასაბარებელი გამოცდისთვის ემზადება. პირიქით, ზოგჯერ (მაგალითად, ნეკრასთენიის შემთხვევაში) დაღლილობა წინ უსწრებს დაღლას. აქ იგი ცრუ სიგნალის როლში გამოდის და აფრთხილებს პიროვნებას ენერგიის ხარჯვისგან, თუმც ნამდვილი მისი საფუძველი ენერგიის ნაკლებულობა და მომჭირნეობა კი არაა, არამედ მოქმედების არნდომა, მისდამი ზიზღი.

გრძნობა

გრძნობების ფსიქოლოგია ვ. შტერნის ფსიქოლოგიის კურსის უკანასკნელ თავს შეადგენს. ფსიქიკური სინამდვილის განხილვის დასრულება გრძნობების განხილვით განმტკიცებული ტრადიციაა ფსიქოლოგიაში, და ამ ტრადიციას არც ვ. შტერნი ღალატობს. როგორც თავის დროს აღვნიშნე, ფსიქოლოგიური მასალის განლაგების

პრინციპად ავტორის მიერ მიღებულია პერსონის სამყაროზე დამოკიდებულების თუ მისგან დამოუკიდებულობის ხარისხი და ამ პრინციპიდან გამომდინარეობს ფსიქიკის მოვლენების განხილვის აღქმების განხილვით დაწყება და გრძნობების განხილვით დამთავრება. ფსიქოლოგიის კურსის ამა თუ იმ ადგილას მოთავსებით, რა თქმა უნდა, არ გამოიხატება ამა თუ იმ მოვლენის ადგილი ფსიქიკაში თუ პერსონის მთლიან სიცოცხლეში. ეს განსაკუთრებით გრძნობის შესახებ ითქმის. საკითხი, თუ რა ადგილი უჭირავს გრძნობებს პერსონის ყოფიერების მთლიან სტრუქტურაში — გრძნობათა პერსონალისტური ფსიქოლოგიის ამოსავალი საკითხია. ამ საკითხის გადაჭრა უაღრესად პასუხსაგები ამოცანაა პერსონალისტური ფსიქოლოგიისა.

სიცოცხლის სამ სახეობას, სამ მოდუსს ადასტურებს პერსონალისტიკა: ვიტალურს, განცდისას და ინტროცეფციულს. განცდისა ზოგადად, და მაშ გრძნობისაც ადგილი მხოლოდ მეორე მოდუსშია. ვიტალური მოდუსი სიცოცხლის იმ რაგვარობას ნიშნავს, როდესაც პერსონა ჯერ კიდევ არაა გამოყოფილი სამყაროს, როდესაც ჯერ კიდევ არაა კონფლიქტური ურთიერთობა მე-სა და არა-მეს შორის, როდესაც სიცოცხლე „თავისთავად გასაგებია" და ამიტომ საჭირო არაა ცნობიერების მონაწილეობა მის „გასაგებად". ხოლო როდესაც პერსონის და სამყაროს შორის ურთიერთობის გართულების გამო სიცოცხლის მდინარება შეფერხდება, როდესაც ხდება „შეჯახება" პიროვნებისა და სამყაროს შორის, საჭირო ხდება ცნობიერების მონაწილეობა პიროვნების სასარგებლოდ კონფლიქტის გადასაწყვეტად. ასეთია ცნობიერების მომსახურებითი მნიშვნელობა პერსონის სიცოცხლისათვის პერსონალისტური თვალსაზრისით, მაგრამ ამავე თვალსაზრისით პერსონულ ყოველ მომენტს გამოსხივებითი მნიშვნელობაც (Strahlbedeutung) აქვს. ცნობიერებაში გამოსხივდება პერსონის სიცოცხლის კონფლიქტური მხარე, განცდა კონფლიქტის „შინაგანი ასახვაა", პერსონის შინაგანი ენაა. ცნობიერების თვალსაზრისით პიროვნების სიცოცხლეში ორი სფერო შეიძლება გავარჩიოთ: განცდისგან თავისუფალი სიცოცხლე (ე. წ. „არაცნობიერის" სფერო) და განცდილი სიცოცხლე (ცნობიერების სფერო). პირველ სფეროს შეადგენს ავტომატიზმები, ინსტინქტური მოქმედებანი, მნემე, დისპოზიციები. მეორე სფეროს კი ცნობიერების ყველა მოვლენა სიტყვის ფართო მნიშვნელობით: შემეცნება, ნებელო-

ლობა, გრძნობა. ამრიგად, გრძნობა „ცნობიერების სფეროს ეკუთვნის. მაგრამ ამის დადასტურება საკმარისი არაა ფსიქიკაში მისი ადგილმდებარეობის ზუსტად გამოსარკვევად. ამისთვის საჭიროა მეორე თვალსაზრისი, კოორდინატთა მეორე ღერძი, სახელდობრ, ჩანერგვა-გამოყოფის ღერძი. პერსონის ყოველი მომენტი (რამდენადაც იგი პ ე რ ს ო ნ ი ს მომენტია) ჩანერგილია პერსონის მთლიანობაში და ამავე დროს (რამდენადაც იგი პერსონის მ ო მ ე ნ ტ ი ა) — გამოყოფილია მას. ჩანერგვა-გამოყოფის დიალექტიკა განცდებზეც ვრცელდება. ყოველი ცალკეული მომენტი შეიძლება მეტად თუ ნაკლებად იყოს ჩანერგილი (ანუ გამოყოფილი) პერსონის მთლიანობაში. რაც უფრო მეტადაა იგი ჩანერგილი, მით მეტად გამოხატავს პერსონის მთლიანობას, მით უფრო ახლოდგას იგი ამ მთლიანობასთან, როგორც მთლიანობასთან. და, პირიქით: რაც უფრო მეტადაა გამოყოფილი, მით ნაკლებადაა მასში გამოვლენილი პერსონის მთლიანობითი ბუნება. მაქსიმალური გამოყოფის შემთხვევაში წარმოადგენს შემეცნებისა და, უმთავრესად, ნებელობის მოვლენები. ნებითი ქმედობა საუკეთესოდ ჩამოყალიბებული, სტრუქტურაქმნილი, გეშტალტქმნილი მოვლენაა ადამიანის სიცოცხლის მიმდინარეობაში. გეშტალტურობის ხარისხი კი, როგორც ცნობილია, გამოყოფის ხარისხს შეესატყვისება. აბსოლუტური გამოყოფა პერსონული რაგინდარა მომენტისა, ცხადია, განუხორციელებელია სინამდვილეში; გამოყოფასთან ერთდროულად მოქმედებს ჩანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ამ „გამონაყოფის“ პერსონისთვის კუთვნილებას. „ცნობიერების ცალკეული გამოყოფილი გეშტალტები და სტრუქტურები უჰაერო სივრცეში კი არაა დაკიდული. არამედ მათ გარს არტყავს და გამსჭვალავს ატმოსფერო; მათ ფესვი აქვთ გადგმული ნიადაგში, რომლის მეოხებითაც განუყრელად უკავშირდებიან პერსონას. ჩ ა ნ ე რ გ ვ ი ს-გ ა ნ ც დ ე ბ ი ა რ ი ს გ რ ძ ნ ობ ე ბ ი“[179]. გრძნობის აღწერა კიდევ უფრო მეტადაა ძნელი, ვიდრე სხვა რომელიმე განცდისა სწორედ მი-

---

[179] „Die einzelnen abgehobenen Bewusstseinsgestalten und — Strukturen schweben nicht im Leeren, sondern haben eine Atmosphäre, die sie umspielt und durchdringt; sie ruhen auf einem Untergrund, vermittels dessen sie unlösbar dem Mutterboden der Person verwurzelt sind. Diese Einbettungs—Erlebnisse sind die Gefühle.“, 1, 730.

სი მინიმალური გამოყოფილობის გამო. მაგრამ მისი ზოგიერთი თვისების დადასტურება მაინც შესაძლებელია ღანაყოფიერია მისი გაგებისათვის. უწინარეს ყოვლისა მისი „ატმოსფერული ხასიათი", რომლის წყალობითაც იგი გარს ერტყმის და გამსჭვალავს ცნობიერების გამოყოფილ გეშტალტებს. გრძნობა ცნობიერებაში ასახვაა იმ ვითარებისა, რომ პერსონა ჩაინერგავს, თავისკენ მიიზიდავს მისთვის საწყვდომ, მისდამი კუთვნილ ყველა შინაარსს. გრძნობა ცნობიერი ასახვაა ცნობიერების შინაარსის პერსონულობისა, პიროვნებისმიერობისა. ვიტალური სიცოცხლე, რარომ მასში განხორციელებულია პერსონისა და სამყაროს იმთავითი ერთიანობა, სრულიად მოკლებულია ცნობიერებას. მაგრამ, როდესაც კონვერგენციის ნაცვლად პერსონისა და სამყაროს შორის კონფლიქტი ჩნდება, მუშაობას იწყებს ცნობიერებაც. მისი ბიოლოგიური მნიშვნელობა პერსონის ბიოლოგიურ მიზანთა განსორციელებისთვის ხელისშეწყობაა. მას, უწინარეს ყოველისა, ევალება „ანიშნოს" პერსონას საფრთხის არსებობა, ან კეთილდღეობისათვის ხელის შემწყობი მდგომარეობის მიღწევა. ბიოლოგისტური ორიენტაციის მქონე ფსიქოლოგიისთვის ცნობიერების ეს „სიგნალური" მნიშვნელობა განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცა. პირველი სიგნალი სიამოვნების, ან უსიამოვნების ფიზიკური განცდაა. უსიამოვნების გრძნობას პერსონა იმ შემთხვევაში განიცდის, როდესაც ირღვევა მისი იმთავითი შეგუებულობა სამყაროსთან. სიამოვნების გრძნობა შეგუებულობას ახლავს, მაგრამ არა ყოველთვის. უკვე თქმულია, რომ შეგუებულობა დამახასიათებელია სიცოცხლის ვიტალური მოდუსისთვის, რომლისთვისაც უცხოა საერთოდ განცდა. ამით ახსნება, რომ რაოდენობითად უსიამოვნების განცდა უფრო ხშირია, ვიდრე სიამოვნებისა. ეს ვითარება საფუძველად დაედო შორსმწვდომ პესიმიზმს. პესიმისტურმა მსოფლმხედველობამ უკუქცევითი გავლენა იქონია სიამოვნების განცდის კვალიფიკაციაზე და იგი (აქვე გაკვრით ვიტყვი: სიტყვის ეტიმოლოგიის საწინააღმდეგოდ) უსიამოვნების არყოფნად აღიარა. ესე იგი პოზიტიური მნიშვნელობა და შინაარსი ჩამოართვა სიამოვნების გრძნობას და მხოლოდ უსიამოვნებას მიაკუთვნა იგი.

თუმც პესიმიზმ-ოპტიმიზმის საკითხი ფსიქოლოგიურ პრობლემატიკაში არ შედის, მაგრამ მისი თავისთავადი დიდი მნიშვნელობისა და მისდამი საყოველთაო ინტერესის გამო დასაშვებად მივაჩნია წიაღსვლა ვ. შტერნის შეხედულების გასათვალისწინებლად.

უსიამოვნების განცდის რაოდენობითს ჭარბობას იგიც აღიარებს. მაგრამ პესიმისტური დასკვნების გამოსატანად ეს სრულიად არ მიაჩნია საკმაო საფუძვლად. სიამოვნება-უსიამოვნების რაოდენობითი ურთიერთობის საფუძველზე პესიმისტური დასკვნების გაკეთება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი და დასაშვები, ცნობიერება მთლიანად რომ ასახავდეს ყოფიერებას. მაგრამ ეს ხომ ასე არაა პერსონალისტიკისთვის! ცნობიერება მისთვის მხოლოდ სიცოცხლის კონფლიქტური მხარის ამსახველია და, ამიტომაც, ბუნებრივია, რომ უსიამოვნება სჭარბობდეს მასში. პესიმიზმ-ოპტიმიზმის საგანი ცნობიერება კი არაა, არამედ ყოფიერება. ყოფიერება კი უპირატესად კონფლიქტის გარეშე მიმდინარეობს და ამიტომ სიცოცხლის სიაკარგის შეფასებისას სასწორის ერთ თვალზე — პესიმიზმის მხარეს — უსიამოვნებას თუ დავდებთ, მეორე თვალზე სიამოვნების განცდებთან ერთად სიცოცხლის უკონფლიქტო გამოვლენანიც უნდა დავდოთ და მაშინ უეჭველად ოპტიმიზმის თვალი გადასძლევს.

გრძნობათა ფსიქოლოგიური ანალიზის დასაწყისიდანვე შემჩნეული იქნა გრძნობათა პოლარულობა: ს ი ა მ ო ვ ნ ე ბ ა-უ ს ი ა მ ო ვ ნ ე ბ ა. და დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერული ფსიქოლოგია ფიქრობდა, რომ შესაძლებელი იყო გრძნობათა ერთგანზომილებიანი სისტემის აგება გრძნობის მოვლენათა განლაგებით სიამოვნებისა და უსიამოვნების პოლუსებს შორის. ასეთმა სქემამ ვერ გაუძლო სინამდვილეს. აღმოჩნდა ისეთი გრძნობები, რომლებიც სიამოვნება-უსიამოვნების განზომილებას სცილდება. ამან გამოიწვია გრძნობათა სამგანზომილებიანი კვალიფიკაციის ცდა სიამოვნება-უსიამოვნება, აგზნება-გაყუჩება და დაძაბვა-შვების კოორდინატებით. ასეთ სისტემას სრულიად უდავო უპირატესობა აქვს ერთგანზომილებიან სისტემასთან შედარებით. იგი შესაძლებელყოფს ცალკეული გრძნობის უფრო მრავალმხრივ დახასიათებას. მაგრამ არც იგია უნაკლო და საბოლოოდ სამყოფი გრძნობათა მრავალფეროვნების მოსაგვარებლად, რადგან გრძნობის, როგორც ერთიანი მოვლენის, რომელობა სხვაა, ვიდრე სიამოვნება-აგზნება-დაძაბვის თუ სხვა ამდაგვარების ხარისხების უბრალო კომბინაცია. როგორც ერთგანზომილებიანი , ისე სამგანზომილებიანი სისტემები ელემენტარისტული სისტემებია. ასეთი კი, ელემენტების რაოდენობისდა მიუხედავად, პრინციპულად უკმარია გრძნობის რაობის გასაგებად.

ცნობიერების ყოველ მოვლენაში პრინციპულად უსათუოდ წარმოდგენილია სუბიექტიც, რომელსაც ეკუთვნის ეს განცდა, და ობიექტიც, რომელთანაც ურთიერთობა არის ასახული განცდაში. ობიექტისგან დაცლილი განცდის არსებობა ისევე შეუძლებელია, როგორც სუბიექტს მოკლებული განცდისა. სუბიექტური და ობიექტური მომენტის მონაწილეობის თვალსაზრისით განცდათა შორის მხოლოდ რაოდენობითი განსხვავებაა (— „მეტად თუ ნაკლებად") და არა ალტერნატიული („კი თუ არა"). ამდენად, გრძნობაშიც მოცემულია ობიექტი, თუმც მისი მონაწილეობა აქ ხშირად კიდეე უფრო შენიღბულია, ვიდრე, პირიქით, სუბიექტის მონაწილეობაა შენიღბული შემეცნების განცდებში. ამიტომ მრავალი მკვლევარი სხვა განცდებისგან გრძნობის განსხვავებას მის სუბიექტურობაში ჰვრეტს. შემეცნების მოვლენებშიც მონაწილეობს გრძნობა. და სუბიექტის პირველი ტენდენციაა ობიექტივაცია მოახდინოს თავისი გრძნობისა. რაიმეს აღქმისას ჩვენი განცდა ასე შეიძლებოდა გამოგვეთქვა: „ესა და ეს სასიამოვნოა", ნაცვლად გამოთქმისა: „ესა და ეს მსიამოვნებს მე". პირველ გამოთქმაში გამოსატულია გრძნობის ობიექტივაციის ტენდენცია: „სასიამოვნო" — საგნის ნიშანთვისებადაა დადასტურებული, და არა ჩემს მდგომარეობად. ამ გარემოებამ ბიძგი მისცა მეცნიერებას, უარეყო გრძნობის თავისთავადობა და აღქმის თვისებად, მის „გრძნობითს ტონად" მიეჩნია იგი. ფსიქოლოგიაში ელემენტარისტული თვალსაზრისის დაძლევის შემდეგ გრძნობის თავისთავადობისა თუ არა-თავისთავადობის საკითხმა დაკარგა სიმწვავე: პერსონაში არც ერთი მომენტი არაა თავისთავადი, დამოუკიდებელი. ასეთი მხოლოდ თვით პერსონაა.

გრძნობათა სუბიექტურობაზე გულისყურის გამახვილებამ მცდარი დასკვნები მიაღებინა მეცნიერებას, თითქოს გრძნობა სუბიექტის ასახვას წარმოადგენდეს ცნობიერებაში. ასეთი რამ მართლაც სჩვევია გრძნობას, მაგრამ არა საერთოდ და ყოველთვის, არამედ გრძნობების მხოლოდ გარკვეულ ჯგუფს, რომელსაც თვითგრძნობის განცდები შეიძლება ეწოდოს. მათ გარდა კი არსებობს სხვაგვარი გრძნობები, რომლების შესახებ ვილაპარაკეთ: გრძნობები, რომლებიც იმდენად ესწრაფვიან ობიექტივაციას, რომ საგნის თვისებებად განიცდებიან („ლამაზი", „კარგი" და სხვ.). განმცდელი სუბიექტის თვალსაზრისით, საკუთრივ ცნობიერების საზღვრებში, გრძნობის „სუბიექტურ განცდად" კვალიფიკაცია არაა გამართლებული. გრძნო-

ბის სუბიექტურობაზე ლაპარაკი მხოლოდ „გარედან", ობიექტურად მისი შეფასებისას შეიძლება. და ეს სუბიექტურობა გაგებულ უნდა იქნეს, როგორც არა-საკმარისი ობიექტურობა; გრძნობის ასე შეფასების საფუძველია მისი ინტერინდივიდურიც და ინტრაინდივიდურიც შეუთანხმებლობა; ცნობილია, რომ de gustibus non est disputandum სწორედ იმიტომ, რომ იგი არაა ობიექტური. ცნობილია ისიც, რომ რაც დღეს სასიამოვნოდ მიმაჩნია, ის ხვალ უსიამოვნოდ შეიძლება მეჩვენოს, თუმც ობიექტურად საგანი უცვლელად დარჩა. ამაში მდგომარეობს გრძნობათა ინტერ და ინტრაინდივიდური შეუთანხმებლობა. მაშასადამე: გრძნობათა სუბიექტური ხასიათი განცდაში კი არაა მოცემული, არამედ „გარედან" დაინკვნება და ამიტომ დამკვირვებლისათვის უფრო ადრე ხდება შესამჩნევი, ვიდრე განმცდელისთვის.

ზემოთ თქმული იყო, რომ გრძნობების ამომწურავი და დამაკმაყოფილებელი კლასიფიკაცია ვერც ერთგანსომილებიანი და ვერც სამგანზომილებიანი სქემის შემწეობით ვერ მოხერხდა. მაგრამ უწინარეს ყოველივე მეცნიერული კლასიფიკაციისა, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ისინი ორად ჯგუფდება. ერთ ჯგუფს შეადგენს ე. წ. „ე მ ო ც ი ე ბ ი" (Gemütsbewegungen, სულიერი მოძრაობანი) ე. ი. ისეთი სულიერი მდგომარეობანი, რომლებიც დროდადრო სრულიად ავსებენ განცდას და მთელ დანარჩენ სულიერ ცხოვრებას იმორჩილებენ; მეორე ჯგუფს შეადგენს ისეთი სულიერი მოვლენები, რომლებსაც სხვაგვარი სულიერი მოვლენებისა და შინაარსებისთვის მომსახურებითი მნიშვნელობა აქვთ და ამიტომ უფრო ვიწრო ხასიათისანი არიან. ამ ჯგუფის მოვლენებს საკუთრივ „გ რ ძ ნ ო ბ ე ბ ი" ეწოდება.

გრძნობის ის ორმაგი ბუნება, რომლის შესახებაც ზემოთ მქონდა ლაპარაკი და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მისი მეოხებით შესაძლებელი ხდება გამოყოფილი შინაარსების პერსონის მთლიანობაში „უკუჩანერგვა" — გრძნობების ამ ორ ჯგუფად განაწილებაში თვალსაჩინოდაა გამოვლენილი: საკუთრივ გრძნობები გამოყოფის მომენტის, ობიექტივაციის ჭარბობას გვაძლევს; ემოციები— ჩანერგვის, პერსონიფიკაციის მომენტის ჭარბობას.

გრძნობა ჩანერგვის განცდაა. ასე თუ გავიგებთ მას, ბევრი რამ გასაგები გახდება გრძნობის მოვლენებისა ისეთი, რაც აქამდე არაპერსონალისტური თვალსაზრისისთვის გაუგებელი რჩებოდა.

ზაგ, ამბივალენტობა, გრძნობის პოლუსთა ასიმეტრია, ორმაგი პოლარულობა.

გასაგები ხდება, უწინარეს ყოვლისა, პერსონისადმი გრძნობის სიახლოვე. ცნობიერების სხვა მოვლენებთან, განსაკუთრებით აზროვნებისა და ნებელობის მოვლენებთან დაპირისპირებით ცხადი ხდება, თუ რად უნდა იყოს გრძნობები „ახლობელი" პერსონისთვის. აზროვნების, ნებელობის მოვლენების ძირითადი ტენდენციაა ამა თუ იმ პერსონული მომენტის ობიექტივაცია, გან-პერსონულობა, განშორება პიროვნების დაუნაწევრებელი მთლიანობიდან, რადგან, ერთი მხრივ, ამ მოვლენებით პერსონა ლამობს დაუპირისპირდეს სამყაროს, „მისეული" სახე მიანიჭოს მას. განასხვავოს იგი საკუთარი თავისგან. მეორე მხრივ, ამავე მოვლენებით პიროვნება ესწრაფვის მაქსიმალურად ჩამოაყალიბოს, საუკეთესო ეშტალტი მიაკუთვნოს გამოყოფილ შინაარსს: იქნები ეს აზროვნების პროცესი, ნებითი ქმედობა, აღქმა თუ სხვა რამ შემეცნებითი პროცესი. მომენტის „განთავისუფლებას" პერსონისგან მსარდამხარ მისდევს ამ მომენტის ეშტალტიზაცია: რაც უფრო გამოყოფილია მომენტი, მით უფრო ეშტალტყოფილია იგი. და პირიქით: რაც უფრო ეშტალტყოფილია იგი, მით უფრო გამოყოფილია პერსონის მთლიანობიდან. ისე რომ ეშტალტურობის უმაღლესი ხარისხის შემთხვევაში პიროვნება საძებნელიღა ხდება: მომენტი დამოუკიდებელ არსებობას ღებულობს. ამით იგი ცხადია, კარგავს პიროვნებისადმი კუთვნილების თვისებას და კულტურის საგნად (სიტყვის ფართო მნიშვნელობით) იქცევა. ხელოვნების რომელიმე ძეგლი — ობიექტურად არსებულია. შემომქმედი პერსონის არსებობა შეიძლება მხოლოდ დავასკვნათ; პიროვნებასთან ასეთ ობიექტს გენეტური კავშირი თუღა აქვს[180].

ობიექტივაციის უმაღლეს ხარისხს განცდასთან აღარ აქვს კავშირი მაგრამ უმაღლესი საფეხურის მიღწევამდე, სრულ ობიექტივაციამდე განცდა გაივლის ობიექტივაციის უფრო დაბალ საფეხურებს და გარკვეული სახის განცდებისთვის (ზემოდასახელებული შემეცნებითი და ნებელობითი სფეროსადმი კუთვნილი განცდების-

---

[180] ამ აზრთაწყობაში განზრახ უგულებელყოფ იმ გარემოებას, რომ ასეთ მაქსიმალურად ობიექტივაციაქმნილ ნაწარმოებშიც მოცემულია პერსონა, რადგან შეუძლებელია ნაწარმოები გამოსახეულებას არ იძლეოდეს პიროვნების რაობისას.

თვის) ფვით უდაბლეს საფეხურზე, ასე ვთქვათ ჩასახვის წუთიდან-ვე, დამახასიათებელია ობიექტივაციისადმი — პერსონის მთლიანობიდან გამოყოფისადმი — სწრაფვა. დიამეტრულად საწინააღმდეგო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მეორე სახის განცდების — სახელდობრ, გრძნობათა სფეროსადმი კუთვნილი განცდების — შემთხვევაში: გრძნობის განცდების ძირითადი ტენდენცია. ჩანერგვისადმი. „პერსონიფიკაციისადმი“ სწრაფვაა. ცალკეული გრძნობები სხვადასხვა ხარისხითაა ჩანერგილი პიროვნების მთლიანობაში, არსებობს გრძნობები, რომლებიც იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული ობიექტთან, რომ მის თვისებად განიცდება. ასეთი გრძნობები ფსიქოლოგიაში შეგრძნების გრძნობითს ტონად იქნა აღიარებული. კონსონანსი სასიამოვნოა. ეს ნიშნავს, რომ სიამოვნება, ან უფრო სწორად: სასიამოვნოება — ობიექტის (კონსონანსის) თვისებაა, ისევე როგორც მისი ტონალობა, ხანიერება თუ ინტენსივობა. ასეთი გრძნობა მაქსიმალურად გამოყოფილი გრძნობაა. არის თუ არა იგი აბსოლუტურად თავისუფალი სუბიექტისგან,—ცხადია, არა! ჯერ ერთი აბსოლუტურად თავისუფალი, აბსოლუტურად გამოყოფილი პიროვნების მთლიანობას იმიტომ ვერ იქნება იგი, რატომაც ასეთი არაა კონსონანსის არც სხვა თვისებები: იმიტომ, რომ განცდა, როგორიც არ უნდა იყოს იგი, სუბიექტური ასახვაა სიცოცხლისა. მაგრამ, ალქმის შემეცნებითი შინაარსისგან განსხვავებით, ამ განცდაში გამოსჭვივის სუბიექტივაციის, პიროვნებაში ჩანერგვის ტენდენცია. განცდიდან, რომელიც გამოითქმის: „ეს კონსონანსი სასიამოვნოა“, განცდამდე, რომელიც გამოითქმის: „ეს კონსონანსი მესიამოვნება“—ერთი ნაბიჯია მხოლოდ. ეს ნაბიჯი სულ ადვილი გადასადგმელია, მაგრამ მიუხედავად ამისა — ძალიან დიდმნიშვნელოვანი, შეტიც: გადამწყვეტი მნიშვნელობისა. აქ უკვე ნათლადაა მოცემული მე-ს, სუბიექტის, პიროვნების მონაწილეობა. ნათლადაა მოცემული განცდის პიროვნებაში ჩანერგვის ტენდენცია; არა მარტო ტენდენცია, არამედ უკვე თვით ფაქტიც ჩანერგვისა: სიამოვნება პიროვნების კუთვნილებად განიცდება, კონსონანსის ინტენსივობის, ხანიერების და სხვა თვისებათაგან განსხვავებით, რომლებიც ობიექტს მიეწერება, გრძნობა „გარედან“ — „შიგნით“ მიემართება. შემდეგი საფეხური პიროვნების სიღრმისკენ ისეთი გრძნობითაა წარმოდგენილი, რომელიც შემდეგნაირად შეიძლება გამოითქვას: „სასიამოვნო რაღაცაა“. ამ საფეხურზე ობიექტი მხოლოდ „რაღაც“-ის სახითაა წარმოდგენილი. ბოლოს იკარგება ობიექტის თვით ეს სუსტი კვა-

ლიც, და რჩება მხოლოდ სიამოვნების განცდა, რომელიც ცნობიერების თვალსაზრისით, ცნობიერების პლანში, თავისუფალია ყოველივე ინტენციისგან. ობიექტისგან სრული განთავისუფლება ზრდადასრულებული ადამიანის შემთხვევაში არასოდეს არ ხდება. მაგრამ მეტად თუ ნაკლებად იგი უახლოვდება ასეთ განცდას თვლემის, დაძინების, გაღვიძების მდგომარეობაში. გრძნობის ამ მდგომარეობის აღწერა შეუძლებელია, მას შეიძლება ეუწოდოთ „სულიერი განწყობილება" (Zumutesein) და გავიგოთ იგი, როგორც ზოგადი სულიერი ატმოსფერო. იგი ყველაზე მეტად ჩანერგილ გრძნობას წარმოადგენს და, მაშასადამე,—რამდენადაც საერთოდ გრძნობა ყველაზე მეტად ჩანერგილი ფორმაა განცდისა — ყველაზე უფრო მეტად ჩანერგილს განცდათაგან. აღმოჩენილ და დადასტურებულ იქნა თვითგრძნობის უმჭიდროესი კავშირი სისხლის მიმოქცევის, სასუნთქავ, ნივთიერებათა ცვლის ორგანოების ფუნქციობასთან. ეს გარემოება — სრულიად უმართებულოდ — იმის საბუთად იქნა აღიარებული, რომ თვითგრძნობა ორგანულ შეგრძნებებზე დაიყვანება. ნამდვილად თვითგრძნობა არ დაიყვანება ორგანულ შეგრძნებებზე: იგი წინ უსწრებს მათ: გარკვეული რომელობის თვითგრძნობა უკვე არსებობს უწინარეს გულისფრიალის თუ სულისხუთვის თუ სხვა რამ ამდაგვარის განცდისა. ორგანოთა ფუნქციობა „ცნობიერების-დონის ქვეშეთ" ახდენს გავლენას თვითგრძნობაზე, ისევე, როგორც გარემოს გავლენები. „ნათელი ხალიჩებით მოფენილ, ფართო, მზიან ოთახში ადამიანი სხვაგვარად გრძნობს თავს, ვიდრე ბნელ, ვიწრო შენობაში — და ამისთვის საჭირო არაა, რომ ამ შეცვლილ მთლიანი გრძნობის მიზეზები განცალკევებულად იქნეს გაცნობიერებული. თვითგრძნობა, როგორც პერსონისადმი უახლოესი გვარის განცდა, ამასთანავე პერსონის შინაგანი ვლინებაა (innere Darstellung) თვით პერსონისთვის, რაგვარობაა იმისა, თუ როგორ აქვს პიროვნებას „საკუთარი თავი" მოცემული, სახელდობრ, მოცემული აქ და ახლა, ამ აწმყო სიტუაციაში. ამ შემთხვევაში „სულიერ მდგომარეობათა" (Gemütsverfassung) შესახებ ვლაპარაკობთ. „მე ვწუხვარ" ნიშნავს არა მარტო იმას, რომ მოცემულია მწუხარების გრძნობა, არამედ იმას, რომ მ ე ვარ მწუხარე; მწუხარებაში მე ჩემ დაქვეითებულ მეს — ყოფიერებას (Ich– Sein) განვიცდი"[181].

---

[181] 1,757.

თვითგრძნობის კავშირი ორგანულ შეგრძნებებთან ფაქტია და ამ ფაქტს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის. იგი გამოხატავს საქმის იმ ვითარებას, რომ გრძნობები განსაკუთრებით ახლო დგას პიროვნების მთლიან მდგომარეობასთან, რომელშიც ფიზიკა და ფსიქიკა ჯერ კიდევ არაა განწვალებული. „ფსიქიკური და ფიზიკური არსად არაა ისე განუყრელად დაკავშირებული, როგორც სულიერი განწყობილებისა და გამომხატველი ქცევის, სულიერი აგზნებისა და გამომხატველი მოძრაობის მიმართებაში. მხიარულება, როგორც პერსონული მდგომარეობა არა მარტო განცდისეულად გვეელინება, როგორც მხიარული, სამყაროსთვის ღია სულიერი მოძრაობა, არამედ ამასთანავე, როგორც თავისუფალი ექსპანსიური მოძრაობა, რომელიც ვრცეულად და დინამიკურად აფართოებს პერსონულ სფეროს და სამყაროსთვის ფიზიკურადაც ღიად ჰყოფს მას... ამრიგად გარედან დამკვირვებლისთვის აღქმული სხვისი გამომხატველი მოძრაობანი— შინაგანი სულიერი განწყობილების სიმპტომებად და სიმბოლოებად იქცევა. მაგრამ სიმპტომისა და განცდის ეს გათიშვა მხოლოდ გარედანაა შესაძლებელი: თვით განმცდელი პერსონისთვის ასეთი გათიშვა არ არსებობს; მისთვის სიხარულის გრძნობა და გაცხოველებული მოძრაობა უპირობოდ შერწყმულია“[183].

„ყოველი ადამიანის სულიერი განწყობილება მუდამ ახლავს მისი სიცოცხლის მიმდინარეობას და ასახავს როგორც სიცოცხლის უწყვეტობას, ისე ცვალებადობასა და რხევებს“[184]. სულიერი განწყობილების დასახასიათებლად უნდა დავსძინოთ, რომ იგი იმდენად დიფუზურია, რომ სიამოვნება-უსიამოვნების მიმართაც კი ინდიფერენტულია[184].

ამ დიფუზიურ ფონზე გამოიკვეთება სულიერი მდგომარეობანი (zuständliches Zumutesein), რომლებსაც უკვე ერთგვარი გეშტალტი აქვთ, რამდენადაც აქვთ გარკვეული სტაბილობა და რომელობა. ეს მდგომარეობანი — „გ უ ნ ე ბ ა დ“ იწოდება. გუნების დახასიათება არანაკლებ ძნელია, ვიდრე სულიერი განწყობილებისა, მაგრამ აუცილებელია მისი განსხვავება უკანასკნელისგან. სულიერ ზოგად განწყობილებასთან შედარებით გუნება უფრო ჩამოყალიბებული

---

[183] 1,757—758.

[184] იხ. 1,756.

განცდაა, როგორც ვთქვი კიდეც. იგი მეტადაა განსაზღვრული დროში, თუმც ზუსტად დადგენა მისი დასაწყისისა და დასასრული მომენტისა არაა შესაძლებელი. იგი მეტადაა განსაზღვრული რომელობითად: მისი რომელობითი დახასიათება დაახლოებით და ზოგადად მაინც შეიძლება, როგორც „კარგი" ან „ცუდი" გუნებისა. იგი მეტადაა დაკავშირებული ცნობიერების გამოყოფილ შინაარსებთან, მაგრამ ჯერ კიდევ არაა შემოფარგლული ცალკეული შინაარსებით. მისი დამახასიათებელია „ატმოსფერული" ბუნება: იგი ვრცელდება მთელ ფსიქიკაზე, მოიცავს მთელ პიროვნებას, გარსერტყმის და გამსჭვალავს ცნობიერების ცალკეულ მოვლენებსა და შინაარსებს. გუნების გავლენა ცნობიერების შინაარსზე მით მეტია, რაც მეტად ჩანერგილია შინაარსი პიროვნების მთლიანობაში, მით ნაკლებია რაც მეტადაა შინაარსი გამოყოფილი პიროვნების მთლიანობაში. მაგრამ არ არსებობს ცნობიერების ფაქტი, რომელიც სრულიად თავისუფალი იყოს გუნების გავლენისგან, და ეს გასაგებიცაა იმ ზოგადი დებულების საფუძველზე, რომლის თანახმად ცხობიერების ყოველი კერძო მოვლენა თუნდაც მინიმალურად, მაგრამ მაინც ჩანერგილია პიროვნების მთლიანობაში. „მათემატიკოსმა გუნების მიუხედავად უნდა აღიაროს გამოანგარიშების შეცდომა; მაგრამ ამ შეცდომის მნიშვნელობის შეფასება და მისი გამოსწორების იმედი კვლავ გუნებით შეიძლება იქნეს პირობადებული"[185]. გუნება მისი ატმოსფერული ხასიათის გამო, პიროვნების ფარგლებშიც ვერ ეტევა, სცილდება მის საზღვრებს და ვრცელდება იმ საგნებზეც, რომლებსაც კავშირი აქვს მგრძნობელ პიროვნებასთან „მზის ჩასვლის გუნება მხოლოდ ჩ ე მ ი გუნება კი არაა მზის ჩასვლის ყურებისას, არამედ სამყაროსი და პერსონის საერთო მდგომარეობა. თუ გლოვისზარის დრეს დარბაზი და მუსიკა „გუნებით აღსავსე" (stimmungsvoll) მეჩვენება, ეს მხოლოდ მიზეზობრივად არ უნდა გაეიგოთ (როგორც ადამიანში გუნების აღმძვრელი), არამედ ამასთანავე სიმპათეტიკურად (როგორც: ადამიანის გუნებასთან თანხმიერი, მასთან ერთიანობის წარმომქმნელი). აქ სულ სხვაგვარ ობიექტივაციასთან გვაქვს საქმე, ვიდრე შემეცნებისა და ქმედობის ობიექტების შემქმნელი ობიექტივაციაა; გამოხატულობის (Ausdrukshaltigkeit) „ფიზიონომიურ" ობიექტივაციასთან"[186].

---

[185] 1,759.

[186] 1,760.

გუნების მიზეზი ცალკეული მოვლენა შეიძლება იყოს და არის კიდევაც ხოლმე. მაგ., რამე სასიამოვნო ამბავმა შეიძლება კარგი გუნება შეგვიქმნას, მაგრამ ეს გუნება ამ ამბის „გრძნობით ტონად" კი არ რჩება, არამედ მთელ პიროვნებას მოეფინება. გუნების შესახებ ლაპარაკი ისე, რომ „მე" არ ვიგულისხმოთ, არცაა შესაძლებელი. ჩვენ ვამბობთ: „კარგ გუნებაზე ვარ", „ცუდ გუნებაზე ვარ" და სხვა ამდაგვარი; ყოველ ამ გამოთქმაში იგულისხმება „მე", პიროვნება, რომელიც ასეთ თუ ისეთ გუნებაზეა. გამოთქმა „კაცია და გუნებაო" სწორედ იმას ნიშნავს, რომ გუნება განსაზღვრავს ადამიანის ყოველგვარ ქცევას, სიტყვის ფართო მნიშვნელობით. გუნება სულიერი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ა და ამითი განსხვავდება ერთი მხრივ სულიერ განწყობილებისგან, რომელიც მისი დიფუზიურობის გამო არ შეიძლება მდგომარეობად იქნეს გაგებული, მეორე მხრივ კი აფექტისგან, რომელიც პროცესის ხასიათის მქონეა.

აფექტი სულიერი განწყობილება კი არაა, არამედ ამ განწყობილების შექმნის პროცესი (nicht „Zumutesein", sondern „Zumutewerden"), არის შემთხვევები, როდესაც პერსონა-სამყაროს ურთიერთობა ერთბაშად ირღვევა, სრულიად იკარგება აქამდე არსებული წონასწორობა; და ეს დარღვევა იმდენად უეცარია, რომ ვერ ხერხდება „შეკუების აპარატის" მყისვე მობილიზება, ხელახლა შეგუება და წონასწორობის აღდგენა. ასეთ შემთხვევებში პერსონისა და სამყაროს ურთიერთობა სიტუაციის ტოტალურ სხვაგვარობაზე პერსონის ტოტალურ ქაოტურ რეაქციაში გამოიხატება. ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ფრიად ზოგადი ხასიათის მიმართებულობის შესახებ, როგორიცაა აღტაცება, სასოწარკვეთილება, შიშის ზარი თუ სხვა ამდაგვარი. მთავარი მახვილი კი ტოტალურ შეძრწოლებას (Erschütterung), ხვდება. ასეთი შეძრწოლება — რეტროსპექციულად — აბათილებს, სპობს, აღკვეთს ყველა აქამომდელ ფსიქიკურ მდგომარეობებს, პროცესებს თუ შინაარსებს, პროსპექციულად კი — აბრკოლებს სულიერი ცხოვრების ახალი მდინარების დაწყებას, სულიერ მოვლენათა დამორჩილებას აქტიური ქმედობისთვის, აზროვნებისა და ნებელობის ახალი აქტების წარმოებას. ამგვარი დაბრკოლების შედეგად ფსიქიკა ან სრულიად „ცარიელი" რჩება, ან მისი შინაარსები „საკუთარი თავის ანაბრადაა მიტოვებული" და მათი მიმდინარეობა აზრს მოკლებული არევ-დარევის ხასიათის მქონე

უეცარი თავზარდაცემის შემდეგ მაინც ახერხებს შეგუებას შეცვლილ სიტუაციისადმი. ზემოთ აღწერილ „შეძრწოლებას“ აფექტი ეწოდება. აფექტის მიმდინარეობის თავისებურება ისაა, რომ იგი უეცრად, „მოსამზადებელი წინაპერიოდის“ გარეშე იწყება, ძალიან სწრაფად აღწევს ინტენსივობის უმაღლეს დონეს, მცირე ხანს რჩება ამ დონეზე, შედარებით ნელ-ნელა სუსტდება და ბოლოს ისპობა როგორც ასეთი, მაგრამ უკვალოდ არ ქრება: იგი უსათუოდ სტოვებს „კვალს“ გუნების სახით. გუნება შეიძლება აფექტის შესატყვისი იყოს რომელობით, მაგრამ შეიძლება მისი საწინააღმდეგოც იყოს: აფექტური აღტაცება მხიარულ გუნებად შეიძლება დაილეკოს, მაგრამ შეიძლება სევდიან გუნებადაც გარდაიცვალოს. პერსონალისტური თვალსაზრისით აფექტის მიმდინარეობის ბუნება ადვილადაა გასაგები. უწინარეს ყოვლისა, გასაგებია მისი უეცარი აღმოცენება: სიტუაციის გაუთვალისწინებელი შეცვლა ელდას სცემს ასეთი ცვლილებისთვის წინასწარ მოუმზადებელ პერსონას და დასაწყისში მით უფრო უჭირს მას შესაგუებლად საჭირო გზებისა და ღონისძიებათა მიგნება, რაც უფრო მნიშვნელოვნად განსხვავდება ახალი სიტუაცია ძველისგან. ასეთი ძლიერი კონფლიქტი სამყაროსთან შეუძლებელია ცნობიერების მონაწილეობის გარეშე გადაწყდეს. მაგრამ ვინაიდან სიტუაციის ცვლილება ზოგადი ხასიათისაა, იმთავითვე ნაგულისხმევიც ვერ იქნება, თუ აქტივობის რომელი სფერო უნდა იქნეს გამოყენებული მის დასაძლევად. მ თ ლ ი ა ნ ა დ ახალი სიტუაციის დასაძლევად, ამიტომ, მ თ ლ ი ა ნ ა დ ფსიქიკა იღებს მონაწილეობას და რამდენადაც ამ კონფლიქტის დაძლევაში მთლიანად მონაწილეობს ცნობიერება, იგი ჯერ კიდევ დაუნაწევრებელი და უნგეშტალტური სახით ვლინდება. ამიტომ არის აფექტი გ რ ძ ნ ო ბ ი ს ე უ ლ ი რეაქცია.

გასაგებია აფექტური მდგომარეობის სწრაფი წარმავლობაც. აფექტი ხომ მიზანშეუწონელი რეაქციაა სიტუაციის ცვლილებაზე. მისი მეოხებით შეგუება შეუძლებელია და თუ დროულად არ იქნა იგი ვადალახული პერსონა განწირული იქნება სიტუაციასთან შეუგუებლობისთვის. დაბოლოს, გასაგებია ისიც, რომ პერსონულ „არარადან“ აღმოცენებული იგი „არარად“ ღარ იქცევა, უკვალოდ არ გაქრება. გასაგებია, რადგან იგი ერთ-ერთი ცოცხლობათაგანია (Lebnis), სავსებით მკაფიოდ გამოკვეთილი პერსონული მთლიანი სიცო-

ცხლის მდინარეობაში, ხოლო ყოველი ცოცხლობა შედის საბოლოოდ ამ მთლიანობაში, ჩაინერგება მასში და, ამდენად, შემდეგმოქმედების ძალის მქონეა. გასაგებია ისიც, რომ მისი შემდეგმოქმედება უწინარეს ყოველისა გუნებად გამოვლინდება, ე. ი. გამოვლინდება მის ადეკვატური გრძნობის სფეროში.

სულიერი განწყობილებანი, გუნებები და აფექტები კიდით კიდემდე მოეფინებიან მთელ ცნობიერებას და ამიტომ არ არიან საგანთან დაკავშირებული, მაშინაც კი, როდესაც მათი აღმოცენება უეჭველად რომელიმე ერძი, ააგნით (ანუ მოვლენით) არის პირობადებული.

„მაგრამ არსებობს გრძნობათა სიცოცხლის მოვლენები, რომლებიც უფრო მჭიდროდ დაკავშირებული რჩება პერსონული სიცოცხლის ცალკეულ შინაარსებთან. ამრიგად, აქ გრძნობა იმდენად საერთო ნიადაგს აღარ წარმოადგენს ცალკეული შინაარსებისას (Besonderung) რამდენადაც ფესვს, რომლითაც ცალკეული მომენტი ამ პერსონულ ნიადაგს უკავშირდება“[187]. ასეთი დაკავშირება პრაქტიკული მოქმედებისაც ხდება და განცდის გამოყოფილი შინაარსებისაც. პრაქტიკული მოქმედებისას წარმართავს გრძნობა, განცდის შინაარსებს კი ელფერს აძლევს. გრძნობითი წარმართვა მოქმედებისა შედეგად გვაძლევს ასეთ ქმედობას, რომელიც რეფლექსთან შედარებით მეტად დაუფლებულია, მეტად „პერსონიფიკაციაქმნილია“, მაგრამ ამავე დროს ჭეშმარიტ ნებელობით ქმედობას ამ მხრივ — ე. ი. დაუფლებულობისა და გაპიროვნებულობის მხრივ — ძალიან ჩამორჩება. ასეთი, გრძნობით წარმართული, ქმედობის ნიმუშია მოყინულ გზაზე სიარული. მხოლოდ ავტომატიზაციაქმნილი სვლა აღარაა სამყოფი გარემოპირობების გართულების გამო. მაგრამ ნამდვილი ნებითი ქმედობაც არაა აქ საჭირო. გარემოპირობები არც ისეა გართულებული, რომ საჭირო იყოს ინტელექტის ინტენსიური მუშაობა, გადაწყვეტილების მიღება, მომდევნო ქმედობის დაგეგმვა და სხვა. ამგვარ ფაქტებს „ქვეცნობიერ“ თუ „ნახევრადცნობიერ“ მოვლენებად თვლიან ხოლმე და გულისხმობენ „ქვეცნობიერი წარმოდგენების“ მონაწილეობას. პერსონალისტური თვალსაზრი-

---

[187] 1,762.

ნით, საქმის ასე გაგება ორგზის მცდარია. ჯერ ერთი ქვე—თუ არა-ცნობიერი წარმოდგენები ფიქცია და მათზე რაიმესი დაყვანა — აბსურდი. მეორეც ის, რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითის ანალოგიურ შემთხვევებში ცნობიერება ხარისხობრივად, რაოდენობითად კი არ განსხვავდება ნებელობის ცნობიერებისგან, არამედ რომელობითად. „ასეთ შემთხვევებში საერთოდ არავითარი წარმოდგენები და აზრები არაა ცნობიერებაში, არამედ მხოლოდ ფარული (hintergründige) გრძნობა, რომლისგანაც შუაწევრის გარეშე გამომდინარეობს მოძრაობა- ის გარემოება, რომ მძიმე დაბრკოლებისას ეს გრძნობა აღძრაა სამყოფი, და რომ მას უნდა გამოეყოს წარმოდგენები. აზრები და ნებელობანი (Wollungen), რათა გზის გაგრძელება გახდეს შესაძლებელი—„ეს გარემოება არავითარ უფლებას არ გვაძლევს ვიგულისხმოთ, თითქოს ამგვარი შინაარსები ერთგვარი წარმონაქმნების სახით უკვე თვით წარმმართველ გრძნობაში იყოს ჩამარხული“[188].

წარმმართველ გრძნობათა პერსონული ღირებულება ფსიქიკური ენერგიის მომჭირნეობაში მდგომარეობს: სადაც ვიტალური, ან უკეთ რომ ვთქვათ: უკონფლიქტო შეგუება სამყაროსთან აღძრაა შესაძლებელი, იქ ცნობიერება იწყებს მონაწილეობას. მაგრამ თუ შესაძლებელია შეგუება ცნობიერების დაბალ დონეზე, საჭირო არაა ფსიქიკის უმაღლესი პროცესების წარმოებაზე ზედმეტი ენერგიის ხარჯვა: ნებელობის საქმეს წარმმართველი გრძნობა კისრულობს, სადაც კი ეს შესაძლებელია.

„ადამიანის ცხოვრებისთვის წარმმართველი გრძნობების მნიშვნელობის დაფასება არასოდეს არ შეიძლება გადაჭარბებული იყოს: რადგან ადამიანის ცხოვრების გზა, უმთავრესად, ზემოთ მოყვანილ მაგალითში ხსენებული გზის ბუნებისაა: არც ისეთი ერთგვაროვანი და თანასწორია, რომ საკუთარი ავტომატიზმები კმარობდეს, მაგრამ არც ისე სრულიად უცხო და დაბრკოლებებით აღსავსე, რომ მხოლოდ შემეცნებისა და ნებელობის საკუთარი გამოყოფილი ფუნქციებით შეიძლებოდეს მისი დაძლევა. ამიტომ არის ცხოვრების მოქმედებათა (Lebensvollzug) გრძნობით

---

[188] ... dieser Umstand gibt kein Recht, solche Inhalte gleichsam als verborgene Gebilde auch schon in das steuernde Gefühl hineinzuprojizieren“, 1.763.

წარმართვა—საყოველდღეო ცხოვრების მოწესრიგების ძირითადი ფორმა“ [189].

ნათელია ისიც, რომ სულიერ განწყობილებებთან, გუნებებთან, აფექტებთან შედარებით წარმმართველი გრძნობა უფრო გამოყოფილი განცდაა პიროვნების იმთავითი მთლიანობიდან. იგი მთელ ცნობიერებას კი არ მოეფინება მათ მსგავსად, არამედ ცნობიერების მხოლოდ იმ სფეროს, რომელთანაც სიტუაციის გარკვეულ სფეროს, გარკვეულ მომენტს აქვს ურთიერთობა. ამიტომ წარმმართველ გრძნობაშიც არის საგნისეული მომენტის, საგნისადმი მიმართებულობის ჩანასახი. მაგრამ ამ შემთხვევებში მოქმედების ცვალებადობა ისე უშუალოდ მისდევს სულიერ განწყობილებათა ცვალებადობას, რომ მონაწილე გრძნობა ცალკეულ რომელობებად არ ყალიბდება. იგი მოძრაობებში განიტვირთება იქამდე, სანამ ცნობიერებაში სიამოვნებად თუ უსიამოვნებად გამოვლინდებოდეს. ასეთი ვითარება შესაძლებელია სიცოცხლის იმ საფეხურზე, რომელზეც სამყარო ჯერ კიდევ არაა სავსებით და საბოლოოდ გაობიექტებული. გარკვეულ საფეხურზე კი ხდება სამყაროს გამოყოფა პერსონის უშუალო აწმყოდან, მისი ობიექტივაცია. პერსონა უპირისპირდება სამყაროს, როგორც არა-მეს. უ პ ი რ ი ს პ ი რ დ ე ბ ა, მაგრამ საბოლოოდ არ სწყდება, არ სწყვეტს მასთან ურთიერთობას. ამის შესახებ არა ერთხელ იყო თქმული: სამყაროს გარეშე, გარეშე მასთან ურთიერთობისა არც პერსონა არსებობს. პერსონის მთელი ყოფიერება სამყაროსთან ურთიერთობით არის განსაზღვრული და მაშუალად სამყაროსა და პერსონას შორის გრძნობა გვევლინება. ობიექტი სუბიექტისგან „განთავისუფლებული“ სამყაროისეული ფაქტია. მაგრამ მიუხედავად ამ განთავისუფლებისა, იგი მაინც სუბიექტურია მის განცდისეულ მოცემულობაში და ამ მის სუბიექტურობას საუკეთესოდ გამოხატავს საგნის ე. წ. „გრძნობითი ტონი“, მისი გრძნობითი ელფერი. გრძნობა, რომელსაც ობიექტი აღძრავს სუბიექტში, უკუვრცელდება ამ გრძნობის აღმძვრელ ობიექტზე. განცდა, რომელიც ასე გამოითქმის: „შოკოლადის გემო შესიამოვნება“, გადადის განცდაში „შოკოლადს სასიამოვნო გემო აქვს“. პირველ გამოთქმაში სუბიექტურ მდგომარეობაზე — სიამო-

[189] 1,764.

ვნებაზე — არის ლაპარაკი, მეორეში კი ობიექტის თვისებაზე — სასიამოვნოებაზე. ეს უკანასკნელი ობიექტის ისეთივე თვისებად არის მიჩნეული, როგორც მისი სიტკბო და ამიტომ შესაძლებელია, რომელიმე მომენტში ადამიანს ჰქონდეს განცდა: „შოკოლადის გემო არ მესიამოვნება“, მაგრამ შეუძლებელია ითქვას: „შოკოლადს უსიამოვნო გემო აქვს“, ისევე, როგორც შეუძლებელია მისი სიტკბოს უარყოფა. პირველი თვისება თითქოს ისევე ობიექტური თვისებაა შოკოლადისა, როგორც მეორე. ეს მაგალითი გამონაკლისს არ წარმოადგენს. პირიქით: ცნობიერების ყოველგვარ გამოყოფილ შინაარსს აქვს გრძნობითი ტონი.

რაც უფრო მეტად გამოყოფილ შინაარსთანაა დაკავშირებული გრძნობა, მით მეტადაა თითონაც გამოყოფილი და გაობიექტებული. რაც მეტადაა იგი მთლიანპერსონული მდგომარეობის ასახვა, მით ნაკლებადაა იგი დაკავშირებული ცნობიერების კერძო რაიმე შინაარსთან. გრძნობის მოვლენათა ორ ჯგუფად — ემოციებად და საკუთრივ გრძნობებად—გაყოფა, რის შესახებაც ზემოთ იყო ლაპარაკი (იხ. გვ. 192) ჩანერგვა-გამოყოფის მიმართულებით ხდება. მაქსიმალურად ჩანერგილ გრძნობას წარმოადგენს სულიერი განწყობილება (Zumutesein), მაქსიმალურად გამოყოფილს — გრძნობითი ტონი. აბსოლუტური არც ერთი მათგანი არაა. ორივე შედარებითია: ჩანერგილობაც და გამოყოფილობაც. მაგრამ განსხვავება მათ შორის იმდენად მკაფიოა, რომ, როგორც ვთქვით, მათი განსხვავება „წინამეცნიერული“, ყოველდღიური ფსიქოლოგიისთვისაც შესამჩნევი გახდა. ეს არ ნიშნავს, რომ მათ შორის მკაფიო საზღვრის ქავლენა იყოს შესაძლებელი და ეს თავისთავად ცხადია ჩანერგვა-გამოყოფის თვალსაზრისით: ყოველი პერსონული მომენტი ერთდროული ჩანერგვა-გამოყოფის მატარებელია. არ არსებობს არც ჩანერგვის არც გამოყოფის ხასიათს სრულიად მოკლებული პერსონული ვლენა, მხოლოდ ზოგში ჩანერგვის მომენტი სჭარბობს, ზოგში კი გამოყოფის მომენტი. ემოციები—მეტად ჩანერგილი, გრძნობები — მეტად გამოყოფილი განცდებია. და, ამის შესატყვისად, პირველები პერსონასთანაა მეტად დაკავშირებული, მეორეები — გარესამყაროსთან.

გრძნობათა კლასიფიკაცია — განჯგუფება მხოლოდ ერთი თვალსაზრისით — ჩანერგილობა-გამოყოფილობის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ იგი პერსონის ყოფიერების უძირითადესი

განზომილებისმიერია, არაა საკმარისი გრძნობათა მრავალფეროვნების დასახასიათებლად და პერსონის სიცოცხლის მთლიანობაში მათი ადგილისა და მნიშვნელობის გასათვალისწინებლად.

პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის სხვა თვალსაზრისით გრძნობათა მოვლენების განჯგუფება არაა იმდენად სპეციფიკური და ამიტომ მათ შესახებ სულ მოკლედ ვიტყვი; თქმა კი მათ შესახებ მაინც აუცილებელია, რადგან სწორედ პერსონალისტური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობა აქვს ფსიქიკური მოვლენის მრავალგანზომილებიანობისთვის ყურადღების მიქცევას.

ერთ-ერთი განზომილებათაგანია გრძნობის ჭეშმარიტებასიცრუე სიცრუე ანუ სიყალბე (Unechtheit) განზრახ ტყუილს, „თავის მოკატუნებას", „ნიანგის ცრემლებს" არ ნიშნავს. მოზარდი გოგონა თუ აღტაცებულია რომელიმე მომღერლის ხმით, მას თითონაც სჯერა, რომ მისი აღტაცების მიზეზი ხელოვნებაა და ცნობიერად თითონაც არ ეპარება ეჭვი, რომ ნამდვილი სარჩული მისი აღტაცებისა თვით მომღერლის პიროვნებით ეროტიკული გატაცება შეიძლება იყოს.

სერიოზულობა-არასერიოზულობის განზომილება გრძნობების დამახასიათებელია სიცოცხლის სხვადასხვა ასპექტში. სერიოზულია გრძნობა, რომელთანაც საქმე გვაქვს სერიოზულ ცხოვრებაში, ჭეშმარიტ სასიცოცხლო პრაქტიკაში, არასერიოზულია თამაში და სახიობაში მონაწილე გრძნობა: „შიში ადამიანისა, რომელიც ცდილობს გაექცეს მდევრებს, სერიოზულია. შიში ბავშვისა, რომელიც როლის თანახმად „მგელს" გაურბის — არასერიოზულია. ასეთივეა იჭვი მსახიობისა, რომელიც ოტელოს არდგენს"[100].

გრძნობაია „დაბალ"[101] და „მაღალ" გრძნობებად დაყოფა ჩვეულებრივი ამბავია საყოველდღეო სიტყვახმარებაში, მაგრამ აქ ეს განსაზღვრება მორალური კატეგორიების დადგენას უდრის, რაც ფსიქოლოგიური მეცნიერებისთვის გარემდებარეა. ფსიქოლოგიაში ასეთი განზომილება გრძნობისა მისაღებია, მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობით. დაბალი იქნება გრძნობა, რომელიც ინდივი-

---

[100] 1,750.

[101] ქართულად ამ კონტექსტში — მორალის კონტექსტში — სწორი იქნება „მდაბალი" და არა „დაბალი".

დური განვითარების დაბალ დონეზე გვხვდება, მაღალი კი ის—რომელიც განვითარების მაღალ დონეზე გვხვდება. ასეთი დონე ადვილი დასადგენია პერსონის სიცოცხლის მოდუსების მიხედვით. უდაბლესია ვიტალური მოდუსი. დაბალი გრძნობებიც — ვიტალურ ფუნქციებთან დაკავშირებულ გრძნობებს შეიძლება ეწოდოს: კვების, გამრავლების, შეგუების, დაავადების, განკურნებისა და სხვ. გრძნობებს. უმაღლესია ინტროცეფციული სფეროსადმი კუთვნილი სპეციფიკურ-ადამიანური გრძნობები: ესთეტიკური, ეთიკური, რელიგიური და აგრეთვე კულტურის პროდუქციასთან და რეცეფციასთან დაკავშირებული გრძნობები. საშუალო ადგილი უკავია საგნობრივ სფეროსადმი კუთვნილ გრძნობებს (რომელთა ჩანასახი ცხოველთა შორისაც შეიძლება იქნეს დადგენილიც ცნობისმოყვარეობის, ყურადღების, უცხოობის, შინაურულობის სახით), უმთავრესად ინტელექტუალურ გრძნობებს: განცვიფრებას, ცოდნისმოყვარეობას, შემეცნებითს სიამოვნებას, „სევდას პრობლემისთვის" და სხვ. ამდ., — რადგან საგნობრივ მოდუსში პერსონის ერთ-ერთი ძირითადი, ცენტრალური ამოცანა ობიექტური სამყაროს შემეცნებაა.

არსებითი მნიშვნელობის მქონეა გრძნობათა ფ ო რ მ ა ლ უ რ ი კლასიფიკაცია ინტენსივობის, ექსტენსივობისა და ხანიერების (Stärke, Breite, Dauer) მიხედვით.

ზემოჩამოთვლილი ყველა განზომილება კიდევ არ ამოსწურავს გრძნობის დახასიათებას, კიდევ ვერ არკვევს მის ადგილს პიროვნების სიცოცხლის მთლიანობაში, რადგან სიცოცხლის მთლიანობა არა მარტო თანადროული მომენტების ერთიანობას ნიშნავს, არამედ მომენტების თანამიმდევრობის ერთიანობასაც პერსონის სიცოცხლე დროშია განფენილი და გრძნობებსაც ერთგვარი მიმართება აქვთ სიცოცხლის მდინარებასთან. სულიერი განწყობილებანი, გუნებანი, საკუთრივ გრძნობები, რომლების შესახებაც იყო ლაპარაკი: წარმმართველი გრძნობები და გრძნობითი ტონი— ყველა ესენი პიროვნების აწმყოსთანაა დაკავშირებული არა მოცემულობის მხრივ — ამ მხრივ ყოველი განცდა მხოლოდ აწყმოსთანაა დაკავშირებული, რადგან მოცემულობა მხოლოდ აწმყოში შეიძლება იყოს — არამედ მიმართების მხრივ, მიმართების თვალსაზრისით: ისინი ასახავენ პიროვნების — ვიტუვი ზოგადად: — გრძნობითს მიმართებას პიროვნულ აწმყოსადმი. მაგრამ პიროვნებაც მი-

შართება აქვს საკუთარი ნამყოსა და მყობადისადმიც. პირველისადმი ფსიქიკური მიმართების სპეციფიკური გამომხატველია მნემე, უკანასკნელისადმი — ნებელობა. მაგრამ ეს მიმართებანი მნემეთი და ნებელობით არ ამოიწურება და, სხვათა შორის, გრძნობაშიც პოულობს გამოხატულებას. ამიტომ გრძნობები დროითი მიმართულებულობის მხრივაც შეიძლება და უნდა იქნეს განჯგუფებული არსებობს აწმყოს გრძნობები: მათ შესახებ ზემოთ იყო თქმული. არსებობს მყობადისადმი მიმართული და, ბოლოს, ნამყოსადმი მიმართებული (ანუ: პროსპექციული და რეტროსპექციული Vor— და Rückgreifende) გრძნობები.

მყობადისადმი მიმართებულობა გრძნობისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი წინასაფეხურს წარმოადგენს ცნობიერების გამოყოფილი შინაარსებისას. ეს ითქმის ფსიქიკის განვითარების შესახებ ზოგადად: როგორც ფილოგენეზური, ისე ონტოგენეზური განვითარების შესახებ. გრძნობა პირველი საფეხურია ცნობიერების გამოკრთომისა, განცდის — ამ აზრით — უპრიმიტიულესი სახეობა. „თუკი ვიკისრებთ რამენაირად აღვნიშნოთ ახალშობილი ბავშვის (და შესაძლებელია თვით ემბრიონისაც) ცნობიერების სულ თავდაპირველი ჩანასახი, — მხოლოდ სრულიად უგეშტალტო, ბუნდოვანი სულიერი განწყობილება (Zumutesein) შეიძლება ვუწოდოთ მას, რომლის შერყევაც ქცევის საჭირო ცვლილებათა წარმართვას ემსახურება; იმთავითვე სრულიად არაა მოცემული ცნობიერების გამოყოფილი შინაარსები; და მხოლოდ ხანგრძლივ პროცესში გამოეყოფა ამ ფსიქიკურ პირველად ბურუსს განცალკევებული სიმკვრივენი (Ballungen) და გეშტალტები, აღქმების, წარმოდგენების და ნებელობის სახით"[102]. გრძნობა, როგორც წინასაფეხური, თავს იჩენს არა მარტო ასეთ „დიდ პლანში", არამედ განვითარების ცალკეულ, სულ მცირედ მოვლენებშიც, ე. ი. ყველგან, სადაც ცალკეული ცოცხლობა დროის გარკვეულ ხანგრძლივობას საჭიროებს საბოლოოდ გაშლისთვის"[103]. მაგ., მოულოდნელ უცხო სიტუაციაზე პირველი პერსონული რეაქცია სრულიად გაუფორმებელი მდგომარეობაა, რომელიც დეზორიენტაციის შოკად გვეელინება. აქედან გამომდინარეობს, მასზე აღმოცენდება გან-

---

[102] 1,766.

[103] 1,767.

ცვიფრების გრძნობა, რომლის ნიადაგზე შემუშავდება საკითხი: „რა მოხდა?“ და შემდგომი პრობლემატიკა: „რა უნდა ქ�?“ რაც თავდაპირველად გრძნობა იყო, მოსაზრებად (მოფიქრებად) და ნებელობად იქცევა. ან კიდევ მაგალითი: ავადმყოფობის სრულ ცნობიერებას ტკივილის ზუსტი კვალიფიკაციით და ლოკალიზაციით, წინ უსწრებს ხოლმე უქეიფობის ზოგადი, დიფუზიური გრძნობა.

ზემოთქმული მართებულია და მოყვანილი მაგალითები — თვალსაჩინო და დამარწმუნებელი. მაგრამ — არა ამომწურავი. გრძნობა არა მარტო ქრონოლოგიურად, ან, თუ გნებავთ გენეზურად არის პირველადი, არამედ ა ზ რ ი ს ე უ ლ ა დ ა ც. გრძნობას შეიძლება აზრითი მიმართებულობაც ჰქონდეს მყობადისადმი. იგი შეიძლება „წინაგრძნობა“ იყოს მყობადი ცნობიერების შინაარსებისა. ერთი მხრივ აქ უნდა ვიგულისხმოთ ის, რაც წარმმართველი გრძნობების შესახებ ითქვა, იმ განსხვავებით და შესწორებით კი, რომ თუ წარმმართველი (steuernde) გრძნობები მოქმედებასთან ერთდროულად ერთ პერსონულ პრეზენცშია მოცემული, — „წინაგრძნობა“, კერძოდ კი მისი ის სახეობა, რომელიც „ი მ პ უ ლ ს უ რ ი ხ ა ს ი ა თ ი ს“ მქონედ (Antriebscharakter) შეიძლება მოინათლოს, დროითად წინ უსწრებს შემდგომ შინაარსებს. ამ გრძნობების არსია „აწმყო გრძნობითი წარმართვა მყობადის. ტენდენციით, მყობადის ცნობიერების გარეშე (ასე შეიძლება განისაზღვროს ინსტინქტური ქმედობა გრძნობის განცდის თვალსაზრისით)“[104]. ცხოველის ცნობიერებაში მხოლოდ ამ სახით შეიძლება წარმოდგენილი იყოს მყობადი. ადამიანის შემთხვევაში კი პროსპექციულმა გრძნობამ, რარომ იგი უშუალოდ არ განიტვირთება მოქმედებაში, მყობადი მიზანი გამოყოფილი შინაარსის სახით შეიძლება მიაწოდოს ცნობიერებას. იმპულსურ გრძნობად შეიძლება ჩაითვალოს ყოველი მოთხოვნილება, რომელიც დროის დიდ მანძილს წვდება. იმპულსური გრძნობისთვის სიამოვნება-უსიამოვნების ნიშანი მეორეხარისხოვანია. არსებითია გარკვეული მიმართულების მქონე დ ი ნ ა მ ი კ ა.

იმპულსური გრძნობის ნიმუშს წარმოადგენს შემდეგი შემთხვევა: წერის დროს მაგიდიდან რაღაც გადამივარდა. თავდაპირ-

---

[104] ... eine gegenwärtige Gefühlssteuerung mit Zukunftstendenz ohne Zukunftsbewusstsein, 1,769—770.

ველად ეს არ მიშლის ხელს და განვაგრძობ წერას. მაგრამ წერაზე ფიქრში შეიძლება გაურკვეველი მოუსვენრობა და ასევე გაურკვეველი მიზიდულება (უკეთესი იქნებოდა „წარზიდულობა“ Zug იმ მიმართულებით, საითაც გადავარდა საგანი. ჯერ არც საგნის რაობაა გაცნობიერებული და არც მისი გადავარდნის ადგილი. გრძნობა სრულიად დიფუზურია, მაგრამ მასში მოცემულია მოქმედებად განხორციელების ტენდენცია. ბოლოს, მისი ინტენსივობა მატულობს იმდენად, რომ წერას ვწყვეტ, ვცდილობ გავარკვიო, თუ რა საგანი გადავარდა, ან სად გადავარდა, და ბოლოს ნებელობის აქტს განვახორციელებ და ვიღებ საგანს.

პროსპექტიული გრძნობების მეორე სახეობას წ ი ნ ა გ რ ძ ნ ო ბ ე ბ ი[195] შეადგენს. წინაგრძნობაში საკუთარი პერსონული მოქმედება კი არაა ანტიციპაციაქმნილი, როგორც იმპულსურ გრძნობებში იყო, არამედ მყობადი ფაქტი, რომელიც პასიურად უნდა იქნეს ჩვენ მიერ მიღებული. ადამიანს უქეიფობის დიფუზიურ განცდაში უქეიფოდ-ყ ო ფ ნ ა კი არ ეძლევა მხოლოდ, არამედ ავად-გ ა ხ დ ო მ ი ს ცოდნაც. მათემატიკოს გაუსს უთქვამს ერთ-ერთ პრობლემაზე მუშაობისას: „შედეგი უკვე მოცემული მაქვს ჯერ არ ვიცი მხოლოდ, თუ როგორ მივაღწიე მას“. ცნობილია შემთხვევები, როდესაც ზოგი ადამიანი წინასწარ გრძნობს ამინდის ცვლილებას. ცხოველთა შორის ასეთი წინაგრძნობა საყოველთაოდ გავრცელებული მოვლენაა. ადამიანმა, კულტურული განვითარების შედეგად, როგორც წესი, დაკარგა ასეთი უნარი. მაგრამ საინტერესო აქ ეს კი არაა, არამედ ის, რომ იმ გამონაკლის იშვიათ ატავისტურ შემთხვევებში, როდესაც ადამიანი კვლავ ამჟღავნებს ამ უნარს, მისი გამომჟღავნება არსებითად განსხვავებულია ცხოველთა შორის მისი გამოვლინებისგან. ამინდის მოსალოდნელი ცვლილების გავლენით ცხოველი უშუალოდ ცვლის ქცევას, ისე რომ — ცხადია—არავითარი ც ო დ ნ ა ამინდის ცვლილებისა არა აქვს. ადამიანში კი, პირიქით: ქცევაში სრულიადაც შეიძლება არ ამჟღავნებდეს, მაგრამ მან ი ც ი ს, რომ მისი სულიერი მდგომარეობა ამინდის მომავალი ცვლილებითაა პირობადებული და, მაშ, ი ც ი ს, რომ ამინდი შეიცვლება: ყველა ეს შემთხვევები წინაგრძნობის მაგალითებია. წინაგრძნობასა და იმპულსური გრძნობის შორის მკა-

---

[195] პროსპექტიული გრძნობა—Vorgreifende, წინაგრძნობა—Ahnengefühl.

ფიო ზღვარის გავლება არ შეიძლება. გაუსის მაგალითი იმპულსური გრძნობა ისევეა, როგორც წინაგრძნობა.

წინაგრძნობის შესახებ ლაპარაკი მეცნიერებაში მხოლოდ გარკვეულ, საკმაოდ ვიწრო ფარგლებში შეიძლება. ჯერ ერთი, წინასწარ ნაგრძნობი მოვლენის ჩანასახი თვით პერსონის ეტელექტში უნდა იყოს მოცემული; წინასწარგრძნობა მხოლოდ იმ მყობადისა შეიძლება, რომელიც პიროვნების აწმყოში აღმოცენდება და მისგან განვითარდება. ასეთია ამინდის წინაგრძნობა, გაუსის მიერ პრობლემის გადაწყვეტის წინაგრძნობა და სხვა მისთანანი. ნაშდვილად ობიექტურის, ე. ი. ისეთი რაობის წინაგრძნობა, რასაც პერსონის აწმყოსთან არავითარი გენეზური კავშირი არა აქვს (ვთქვათ: მიწისძვრის, მზის დაბნელების და სხვ.)[106], მეცნიერულად გაუგებარი, გაუმართლებელი და შეუძლებელი (ან სრულიად შემთხვევითი) წინასწარმეტყველება იქნებოდა. მეორე მხრივ კი ანგარიშგასაწევია პერსონული მყობადის მრავალმნიშვნელოვანება და გაურკვევლობა. მყობადის სახეაში პიროვნება მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია მრავალ ფაქტორთა შორის და მყობადიც მხოლოდ იმდენად შეიძლება იქნეს წინასწარ ნაგრძნობი, რამდენადაც პიროვნულ ფაქტორზეა იგი დამოკიდებული. მყობადის მრავალმნიშვნელოვანობის ადეკვატურია წინაგრძნობის დიფუზურობა. მაგრამ როდესაც ეს დიფუზურობა გარკვეული, კონკრეტული სახის წარმოდგენად დაიხვეწება, მაშინ მის მცდარობასთან გვაქვს საქმე. „გულუბრყვილო გაიგივება წინასწარნაგრძნობი მიმართულობისა და წარმოდგენილი ერთმნიშვნელოვანობისა — პროსპექციის უპრიმიტიულესი ფორმაა". ობიექტივაციისადმი შემდეგ საფეხურს წარმოადგენს წინაგრძნობის დიფუზურობის ვარაუდად (vermutung) და არა ერთმნიშვნელოვან მყობადში დარწმუნებულობად ქცევა. ობიექტივაციის შემდეგ საფეხურზე მყობადის კონკრეტული რაობის ვარაუდიც კი აღარაა და რჩება მხოლოდ მისი მიგნებისადმი ტენდენცია. ეს ტენდენცია „საკითხად" დგება პიროვნების წინაშე. „პრობლემისთვის სევდა" (Leiden am Problem) აზროვნების გრძნობითს საფუძველს ქმნის და ამ საფეხურზე განცდის სუბიექ-

[106] მაგალითები ჩემია!

ტისადმი მიმართებულობა—ობიექტისადმი მიმართებულობას უთ-ბობს ადგილს.

იმპულსური და წინა-გრძნობები, როგორც პროსპექციული გრძნობები, ობიექტური მყობადისადმია მიმართული — საკუთარ მყობადი მოქმედებისა თუ რაიმე მოვლენისადმი. მათ გარდა არსებობს სხვა პროსპექციული გრძნობებიც, რომლებითაც განიცდება უკმარობა და წინასწარ იგრძნობა მომავალი კმა-ყოფა[107]; ასეთი გრძნობებია მ ო ლ ო დ ი ნ ი, შ ი შ ი დ ა ი მ ე დ ი.

მოლოდინის გრძნობა საკუთარი თავის დროში-გადანაცვლების (Zeitverschiebung) განცდაა. აწმყო მხოლოდ წინასაფეხურია, დაძაბვაა მომავლისაკენ (Die Gegenwart ist nichts als Vorstufe, Gespanntheit nach vorn hin). პიროვნება ესწრაფვის მყობადის გაერთმნიშვნელოვანებას და ამით — დაძაბვის გადალახვას. განცდა, რომელსაც მომავალში ელის პიროვნება, პერსონულად მახლობელია მისთვის, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად შორეულია იგი ობიექტურად მოსალოდნელი ფაქტი მეტად თუ ნაკლებად შეიძლება იქნეს გამოყოფილი: სულ სხვა რამეს „ელის" ბავშვი თეატრში პირველად მისვლისას, სულ სხვა რამეს დიდი ადამიანი, რომელსაც არა ერთხელ აქვს უკვე ნახული პიესა. პირველის მოლოდინის საგანი ბევრად ნაკლებაა გამოყოფილი. დაბოლოს: მოლოდინის გრძნობა ნეიტრალურია სიამოვნება-უსიამოვნების განზომილების მიმართ. „არსებობს საშიშარი, არსებობს სასიხარულო, არსებობს, აგრეთვე ინდიფერენტული მოლოდინი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დაძაბულობაა და მეტი არაფერი. როდესაც მოლოდინის გრძნობას ძლიერი უსიამოვნება ახლავს, ან უკეთ: როდესაც მოლოდინის გრძნობა უსიამოვნების ელფერის მქონეა, საქმე გვაქვს შიშთან. შიშის ობიექტი მოლოდინის ობიექტზე კიდევ უფრო ნაკლებ გარკვეულია. საჭიროა განსხვავებულ იქნეს საგნობრივ ინტენციას მოკლებული შიში (Angst), გარკვეული საგნისადმი მიმართული შიშისაგან (Furcht). შიშის პირველი სახეობა პირველ დანალექია. ცნობიერებაში პერსონის შეუგუებლობისა „გაუშინაურებულობისა" გარემოსთან, იმ ვითარებისა. რომ პერსონული არსებობა ყოველ წუთს განსაცდელშია. ივი, თავისი ჩამოუყალიბებლობის, ობიექტისგან დამოუკიდებლობისა და

---

[107] „Unerfülltheit wird erlebt; kommende Erfüllung wird vorgefühlt", 1,774.

მისდამი მიმართებას მოკლებულობის მეოხებით, მისი სუბიექ-
ტთან უმჭიდროესი კავშირის გამო — სულიერი განწყობილების
ხასიათის მქონეა. ობიექტივაცია შიშისა საფეხურების მთელ წყე-
ბას გაივლის. სპეციალური მემკვიდრეობითი 'შიში'[108] (წიწილას მემ-
კვიდრეობით აქვს ქორის შიში), გამოცდილების შიში („ფაფაზე
დამწვარი—დოს უბერავს"), ვინმეზე წუხილი და, ბოლოს, ვინმე-
ზე მზრუნველობა. მზრუნველობა უშუალოდ ახლო დგას ვინმეზე
წუხილთან, მაგრამ მასში სულაც აღარაა უსიამოვნების მომენტი
და, ამიტომ, იგი შიშადაც ვეღარ ჩაითვლება. მზრუნველობა აუცი-
ლებლად ფიქრსა და მოქმედებაში ვლინდება და ამით გრძნობის
ფარგლებს სცილდება. შიში, როგორც პროსპექციული გრძნობა,
განსხვავებულია აწმყოში მოცემული საგნის შიშისგან. ამ განსხვა-
ვებას ქმნის პირველის დაურწმუნებლობა, მრავალმნიშვნელოვანება
და გაურკვეველი ხანგრძლივობა. დარწმუნებისა და გაერთმნიშვნე-
ლოვანებისადმი სწრაფვას პიროვნება ფანტაზიის შემწეობით იკმა-
ყოფილებს: იგი უხატავს ცნობიერებას მომავალი საშინელების
კონკრეტულ ხატს, რომელიც — აქვე ვიტყვი — ხშირად სინამ-
დვილეზე ბევრად უფრო საშინელი აღმოჩნდება ხოლმე.

შიშის მოპირდაპირე გრძნობა — იმედი, გენეზურად ბევრად
უფრო გვიანია. ფილოგენეზში იგი მხოლოდ ადამიანთან გვხვდება.
ადამიანთანაც შიშის განცდა იმედის განცდაზე უფრო ხშირია.
მძლავრია და უფრო წმინდა სახითაა მოცემული. ამ ვითარების
გაგებას პიროვნების სიცოცხლის მთლიანობასთან კავშირში ცდი-
ლობდნენ და პესიმისტურ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ ადამიანს
საშიშარი მეტი მოელის, ვიდრე საიმედოო. ასეთი ახსნა უმართე-
ბულია იმდენად, რამდენადაც შიშისა და იმედის განცდები პი-
როვნების ყოფიერების სხვადასხვა ასპექტთანაა დაკავშირებული.
„იმედის ობიექტური მიზნები მეტწილად ამასთანავე დაგეგმვისა
და ნებელობის მიზნებიცაა, მაშინ როდესაც შიშის მომგვრელი
ობიექტური საგნები საკუთარი აქტივობის მიმართულების წინააღ-
მდეგნი არიან. ამიტომ ადამიანი უმალვე საშიშროებისთვის (Tremen-
dum) განწირულად და მიტოვებულად გრძნობს თავს, სანამ აქტიური
წინააღმდეგობისთვის ძალას მოიკრებდეს; და იგი პასუხობს საშიშ-
როებას თავზარდაცემულობის, შიშის და ხრუნვის სულიერი გან-

---

[108] Unheimlichkeit.

წყობილებით. „საიმედო“ (Speraudum) ამასთანავე მნიშვნელოვნად „სანატრელიც“ (Appetendum) არის. მომავალი მიზნებისას, რომელთა მიღწევა შესაძლებლად გვეჩვენება, არა მარტო ვიმედოვნებთ მიღწევას, არამედ გვნებავს კიდეც მათი მიღწევა (... werden nicht nur erhofft, sondern auch gewollt). ნებელობის აქტივობაში კი, მისდამი კუთვნილ სააზროვნო ოპერაციებთან, გადაწყვეტილებებთან და სხვ. ერთად, ძალიან მცირე ადგილიღა რჩება მსგავს მიზანთა თავისთავად და გაშლილად გრძნობითს პროსპექციისთვის ანუ იმედისთვის. მოქმედი ადამიანისთვის თავისთავად იგულისხმება, რომ მას დასახული მიზნის მიღწევის იმედი აქვს. გრძნობის გამოცალკევებულ განცდად იმედი მხოლოდ მოქმედებათა შორის პაუზებში შეიძლება გამოვლინდეს და ისიც მოვლენის იმ ფაქტორების მიმართ, რომლებიც საკუთარ მის ნებელობაზე არაა დამოკიდებული“[109]. მაგრამ ეს ფაქტორები ისევე შეიძლება აღმოჩნდეს ხელსაყრელი, როგორც სახიფათო. ამიტომ პასიური იმედოვნება შიშს ეთანაბრება. ოღში წასული ქმრის კვლავ ნახვის იმედი უფრო ხშირად უიმედობად იქცევა ხოლმე. შიშისა და იმედის ურთიერთობა ორმხრივია; თუ იმედი სრული პასივობისას შიშად იქცევა, შიშიც იმედში პოვებს ხოლმე გამოსავალს. თუ ადამიანის სიცოცხლე ერთი მხრივ ტოტალური შიშითაა გამსჭვალული, მეორე მხრივ იგი ტოტალური იმედითაა გამსჭვალული: უკვდავების იმედით.

პერსონის სიცოცხლის მთლიანობის თვალსაზრისით გაგებულია გრძნობის, როგორც პრეზენტული და როგორც პროსპექციული განცდის raison d'être. როგორც ერთი, ისე მეორეგვარი მისი მნიშვნელობა იმ ასპექტში ისახება, რომ ცნობიერებასმოკლებული, „თავისთავადგასაგები“ სიცოცხლის პირობების გართულებისას საჭირო ხდება პიროვნების სამყაროსთან კონფლიქტის გაცნობიერება, და გაცნობიერების პირველი საფეხური გრძნობისეულია. მხოლოდ განცდის ამ პრინციპულად დიფუზური მდგომარეობის ნიადაგზე აღმოცენდება მეტად თუ ნაკლებად გეშტალტიზაციაქმნილი შინაარსები. გრძნობის „ეტაპს“, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაივლის ადამიანის სიცოცხლე მომენტების სრული ჩანერგილო-

---

[109] 1, 780—781.

ბიდან სრული გამოყოფილობისა, და ცნობიერებას მოკლებულობიდან სრული გაცნობიერებისკენ მიმავალ გზაზე. მაგრამ სიცოცხლის მდინარებისთვის უკუქცევაც ჩვეულია: გაცნობიერებული და გამოყოფილი შინაარსები უკუჩაინერგება პიროვნების პირველადს მთლიანობაში. მნემური ხასიათის მოვლენებში ყველაზე უფრო მკაფიოდ და თვალსაჩინოდ გვეძლევა უკუჩანერგვის ფაქტი: თავდაპირველად ცნობიერი ნებითი ქმედობანი ავტომატიზმებად იქცევა ხოლმე. გაუცნობიერების, არაცნობიერად ყოფის პროცესიც იმავე გზით მიდის, რა გზითაც გაცნობიერების პროცესი, მხოლოდ საწინააღმდეგო მიმართულებით; და ამიტომ ჩანერგვის გზაზე იგიც გაიკვლევს გრძნობის ეტაპს. ოდესღაც გამოყოფილ შინაარსთა ჩანერგვის შედეგად დარჩენილი განცდითი გარდმონაშთი ქმნის რეტროსპექციული გრძნობების სფეროს.

„პერსონის გრძნობითი კავშირი საკუთარ ნამყოსთან ბევრად უფრო ფართოა და ღრმად მწვდომი, ვიდრე ამ ნამყოს შესახებ ცოდნით დადგენილი მიმართებანი. ზრდადასრულებული ადამიანის კავშირი საკუთარ ბავშვობასთან და ყოველი ინდივიდის კავშირი მის წინაპრებთან, მის ტომთან, მის ერთან, მის საზოგადოებასთან, მის სამშობლოსთან — უზრუნველყოფილია არა მისი მოგონებებით, ისტორიის ცოდნით, საერთო იდეალებით, გარკვეული ზნე-ჩვეულებით, მოვალეობებით — ე. ი. გამოყოფილი შემეცნებითა და ქმედობით, არამედ ბევრად უფრო ელემენტარული სახით — გრძნობების მეოხებით. რა არ უნდა მცირედი იყოს, მათი უძირიოადესია ასეთ, ნამყოსადმი მიმართულ გრძნობებში შინაურულობის გრძნობა (Vertrautheitsgefühl). ადამიანთა ურთიერთობაში, ადამიანების მიმართ იგი სიყვარულში (არა „ეროსის" აზრით)[200], შეჩვევაში გამოიხატება. გარემოს მიმართ — „კერისადმი", „სასიცოცხლო სფეროსადმი", სამშობლოსადმი გრძნობაში (Heim, Lebensraum, Heimat). პროსპექციული გრძნობების ანალოგიურად, რეტროსპექციული გრძნობების საფუძველმდებელი შინაურულობის გრძნობა იმთავით სავსებით ატმოსფერული ხასიათისაა, ე. ი. მოკლებულია არა მარტო გეშტალტს, არამედ ნამყოსადმი მიმართებულობის ცნობიერებასაც. ამ სულიერი განწყობილების გაცნო-

---

[200] Geborgenheitsgefühl.

ბიერების შედეგად კი ხდება მისი გეშტალტიზაცია, მიმართებულობის გარკვევა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცნობიერი დასაბუთება. გაცნობიერებული ხდება ამ გრძნობათა ისტორიულობა; დედისადმი შვილის სიყვარული მადლიერების გრძნობის ელფერს იღებს, მამულის სიყვარულში სამშობლოს ისტორიაც მონაწილეობს და ქმნის ეროვნული სიამაყის გრძნობას. ეს გრძნობა ისტორიის ცოდნაზე ბევრად უფრო პრიმიტიულია. იგი მითებში, თქმულებებში, გმირების კულტში, ტრადიციულ დღესასწაულებში და სიმბოლოების თაყვანისცემაში პოებს ობიექტივაციას.

შინაურულობის გრძნობაში და მისგან გამომდინარე ყველა სხვა გრძნობებში ნამყოსადმი პოზიტიური დამოკიდებულებაა ასახული. ეს გრძნობები სასიამოვნო გრძნობებია. მაგრამ ნამყოსადმი მიმართული გრძნობა უსიამოვნოც შეიძლება იყოს. უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ნამყო—წარსულია. ადამიანს ენანება ის, რაც წავიდა და აღარ მობრუნდება, იგი წუხს, გლოვობს წარსულს. წარსულის „დაკარგვის" განქრობის მიზეზი შეიძლება იყოს ან პიროვნების განვითარების შინაგანი ფაქტორი (და ამიტომ ადამიანი დასტირის „დაკარგულ ბავშვობის სამოთხეს") ან გარემოსამყაროს ცვალებადობის გარეგანი ფაქტორი (საყვარელი ადამიანის დაკარგვა მწუხარებას ჰგვრის პიროვნებას). ნაღვლობა მწუხარების შესუსტებული სახეობაა. ნამყო მასში ძვირფას მოგონებადაა ქცეული და, ამდენადვე, აწმყოშია გადმოტანილი. მის ნიადაგზე შესაძლებელი ხდება ახალ მიზანთა დასახვა და მათდამი სწრაფვა.

ნეგაციური გრძნობის მიზეზი არა მარტო ნამყოსი წარსულობა, დაკარგვა შეიძლება იყოს, არამედ მისი აწმყოში მოქმედებაც. საზღვარგადასული მოკრძალება და თაყვანისცემა, იმთავითვე სიყვარულის. გრძნობაზე აღმოცენებული — ბორკილებად ედება პიროვნების თვითგანვითარების ტენდენციას, დამოკიდებულობის გრძნობად იქცევა. მასში არამცთუ კონსერვაციულობა აღარაა, რაც გრძნობის დამახასიათებელ ნიშნადაა აღიარებული, რითაც თითქოს აზროვნების პროგრესულობისგან უნდა განსხვავდებოდეს გრძნობა, არამედ იგი გარკვეულად რევოლუციური გრძნობაა, რომელიც იმპულსს აძლევს პიროვნებას გაილაშქროს ნამყოს წინააღმდეგ, გაწყვიტოს წარსულთან დამაკავშირებელი ფესვები.

გრძნობები ცნობიერების მოვლენებია. განხილული მათი თვისებები ფენომენურ სიბრტყეზე იშლება. გაცნობიერების ხარისხი

შეიძლება მეტი ან ნაკლები იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს მათ არა-ცნობიერებას. გრძნობები ყველაზე უფრო „ახლობელი“ განცდებია პიროვნებისთვის, ყველაზე უფრო მეტად ჩანერგილი მომენტებია ფსიქიკურ ფენომენებს შორის. აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ გრძნობები ყველაზე ახლო დგანან პერსონის დისპოზიციურ ბუნებასთან. დისპოზიციის ცნების შესწავლამ გვიჩვენა, რომ დისპოზიცია შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად და ამომწურავად იქნეს დახასიათებული მისი მრავალმნიშვნელოვანობის გამო, იმის გამო, რომ იგი მხოლოდ პოტენცია და ტენდენციაა. „უქმი კითხვაა, თუ როგორ გამოიყურება დისპოზიციაო—ამბობს ავტორი,—რადგან პოტენცია საერთოდ არაროგორ არ „გამოიყურებაო“. სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით არც ფსიქიკური თუ ფიზიკური დისპოზიციის შესახებ შეიძლება ლაპარაკი, რადგან როგორც მთლიანი პერსონის მომენტი, დისპოზიცია ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურია, მაგრამ პირობით მაინც შეიძლება დისპოზიციების ურთიერთისგან განსხვავება ამ მხრივ, იმისდა მიხედვით, თუ პიროვნების რა ხასიათის მოვლენების ინტერპრეტაციის შედეგადაა მიღებული დისპოზიციის ესა თუ ის კერძო სახე: ფიზიკურისა თუ ფსიქიკურის. ეს ექსკურსია საჭიროდ მივიჩნიე იმისთვის, რომ გრძნობათა დისპოზიციების შესახებ თხრობისას გაუგებრობას არ ექნეს ადგილი. გრძნობებისთვის ისევე აუცილებელია ვიგულისხმოთ დისპოზიციური საფუძველი პიროვნებაში, როგორც ყველა სხვა განცდისადვის და, შეიძლება ითქვას, რომ მეტადაც კი.

ყოველი ადამიანი გამოუკლებლივ აღჭურვილია გრძნობების განცდისთვის (ზმნა), და ყოველი ადამიანია, ამასთანავე მიმართულია გრძნობების განცდისკენ (ზმნა). მოკლედ ასე შეიძლება გამოითქვას გრძნობების დისპოზიციურად პირობადებულობა. თუ როგორც გრძნობას განიცდის ადამიანი,— რამდენადაც პერსონული ფაქტორითაა იგი პირობადებული, და არა ობიექტურ სამყაროსეულით — ეს დისპოზიციის როგორობაზეა საბოლოოდ დამოკიდებული. ვამბობ „საბოლოოდ“, რადგან ზემოთ თქმული იყო, რომ კერძო გრძნობის სახვა მნიშვნელოვნადაა განსაზღვრული გუნებით, რომელიც, თავის მხრივ, უფრო ქრონიკული ხასიათის სულიერი განწყობილების ნიადაგზე აღმოცენდება. დისპოზიციური საფუძველი ამ უკანასკნელსაც ესაჭიროება და ამ საფუძველის ხასიათი დაღს ასვამს გრძნობის ყველა გამოვლინებას სულიერი გან-

წყობილებით დაწყებული და ობიექტთან დაკავშირებული გრძნობით გათავებული. აღქურვილობის თვალსაზრისით ჭვრეტელი გრძნობის დისპოზიციას ტ ე მ პ ე რ ა მ ე ნ ტ ი ეწოდება, ფრიად საგულისხმოა ის გარემოება, რომ უძველეს დროიდანვე ტემპერამენტი სხეულის თვისებურობაზე დამოკიდებულად იყო მიჩნეული. თვით ტერმინიც ნარევს[201] ნიშნავს, და გულისხმობს სხეულის ოთხგვარი სითხის ნარევს: სისხლისა, ლორწოსი, ყვითელი ნაღვლისა და შავი ნაღვლისა. ერთისა დამეორის ჭარბობა ქმნის შესატყვისად: სანგვინიკურ, ფლეგმატიკურ, ქოლერიულ თუ მელანქოლიურ ტემპერამენტს. აღნიშნული გარემოება იმითია საგულისხმო, რომ მეცნიერების სულ უკანასკნელმა მონაპოვარმა კვლავ მოქალაქეობრივი უფლება აღუდგინა მეცნიერებაში ტემპერამენტის გალენისეულ თეორიას, ცხადია, სათანადო ცვლილების შეტანით მასში. სახელდობრ, ოთხი „ძირითადი სითხის" ადგილი შინაგანმა სეკრეტებმა — ჰორმონებმა — დაიჭირა. ცვლილება უეჭველად დიდმნიშვნელოვანია, მაგრამ პრინციპული მოსაზრება ურყევი დარჩა: გრძნობითი დისპოზიციები უმჭიდროესადაა დაკავშირებული ორგანიზმის სეკრეტორული (ენერგიულ შინაგან-სეკრეტორული) ფუნქციების როგორობასთან. პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის ეს თეორია ძალიან ხელსაყრელი არგუმენტია პერსონის ფსიქოფიზიკური ერთიანობის სასარგებლოდ. ტემპერამენტების კლასიფიკაციის მრავალი სისტემა არსებობს. თვით ეს სიმრავლე—პერსონალისტური შეხედულებების სასარგებლოდ—ღაღადებს, რომ პიროვნული მომენტების კლასიფიკაცია არსებითს დაბრკოლებას ხვდება პერსონის multiplicitas-ში. განსაკუთრებით გრძნობებისა და მით უფრო მათი დისპოზიციების შესახებ ითქმის ეს, როგორც ყველაზე მეტად პერსონული ფსიქიკური რომელობების შესახებ. მიუხედავად ამისა თვით პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის მისაღებია უძველესი ოთხწევროვანი კლასიფიკაცია, რადგან იგი გრძნობების განზომილების ძირითად კოორდინატებზე დაიყვანება: სიამოვნება-უსიამოვნებისა და აგზნება-გაყუჩების კოორდინატებზე (სიამოვნების თანხვედრა აგზნებასთან სანგვინიკურ დისპოზიციას ანუ ტემპერამენტს გვაძლევს, გაყუჩებასთან — ფლეგმატიკურს. ეს ორივე ტემპერამენტი ე. წ. ევკოლიური ტიპების ჯგუფს შეადგენს. მოპირდაპირე, დისკოლიური ტიპი შეიძლე-

---

[201] temperare—შერევა, ob. 1,791.

ხა ან ქოლერიული იყოს, ან მელანქოლიური. პირველი უსიამოვნების გარდა აგზნებასაც გულისხმობს, მეორე — გაუუჩებას).

ტემპერამენტი აღშურვილობის დისპოზიციაა, რამდენადაც დასაშვებია დისპოზიციის სპეციფიკაცია ამ მიმართულებით. მიმართებულობის გრძნობითს დისპოზიციებს კი ფსიქოლოგია მიდრეკილებისა და ინტერესის სახელით (Neigung და Interesse) იცნობს.

„მიმართებულობის ამ ორი სახის დისპოზიციათა შორის ძირითადი განსხვავება დაიყვანება შემდეგ ფორმულაზე: მიდრეკილება არის გრძნობაში „ქონება", „ინტერესი" არის „ძიება" გრძნობის მონაწილეობით. მიდრეკილება მიმართულია კონკრეტულ მზა ობიექტზე, როგორც იგი არის, ინტერესი — ჯერ კიდევ გაურკვეველი მიზნისადმი მიახლოვებაზე. მიდრეკილებას უფრო სტატიკურად აქვს საქმე სინამდვილესთან, ინტერესს — უფრო დინამიკურად იმ შესაძლებლობებთან, რომლებიც შემდეგში უნდა გაიშალოს"[203]. მიდრეკილების საგანს პიროვნება თითქმის საესებით შეერწყმის; ინტერესის საგანი კი გარკვეული მანძილითაა დაშორებული პიროვნებას, რადგან მხოლოდ იმდენად შეიძლება იყოს საგანი „საინტერესო", რამდენადაც საბოლოოდ მაინც არაა დაძლეული და ამოცნობილი. ინტერესი შეიძლება აკუტური იყოს, შეიძლება — ქრონიკული. პირველ შემთხვევაში იგი ყურადღებისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ გრძნობის მონაწილეობაზე გვამახვილებინებს თვალყურს გამოთქმა „ინტერესი", მაშინ, როდესაც გამოთქმა „ყურადღება" დინამიკურ დაძაბულობას მიუთითებს და უგულებელყოფს ამ მოვლენის გრძნობისეულ მომენტს, გრძნობისეულ ელფერს.

გრძნობის დისპოზიციები, ისევე, როგორც ყველა სხვა დისპოზიციები ქრონიკულნი არიან. ქრონიკულობა არ ნიშნავს არც მარადიულობას და არც უკუნითობას: არაა აუცილებელი არამცთუ ის, რომ გრძნობის დისპოზიცია დაბადებისთანავე გამოვლინდეს (ასეთი რამ არც ხდება ხოლმე), არამედ არც ის, რომ იგი თანშობილი იყოს სიტყვის სწორი მეცნიერული აზრით. კონვერგენციის პრინციპი შესაძლებელყოფს შეძენილი დისპოზიციების არსებობის დაშვებას. მიდრეკილება თუ ინტერესი არამცთუ სიცოცხლის მიმდინარეობისას შეიძლება აღმოცენდეს, არამედ თავდა-

---

[203] 1,792—793.

პირველად შეიძლება გაშუალებულიც იყოს და მხოლოდ შემდეგში იქცეს უშუალოდ. ასე, მაგალითად, რომელიმე მოწაფის მიდრეკილება ფიზკულტურისადმი შეიძლება თავდაპირველად იმითი იყოს დაპირობებული, რომ არც შინ გაკვეთილის მზადებაა საჭირო და არც გონების დაძაბვა. შემდეგში კი მიდრეკილება უშუალოდ შეიძლება დაუკავშირდეს ფიზკულტურას. ან კიდევ: ვინმეს შეიძლება აინტერესებდეს ქიმია, როგორც პროვიზორად გახდომის საშუალება. ასეთი ინტერესი — გაშუალებული ინტერესია. მაგრამ ქიმიის სწავლის პროცესში შეიძლება თვით საგანმა გაიტაცოს და დააინტერესებინოს პროვიზორობისადმი მისწრაფება. ამ შემთხვევაში ქიმიას თავისთავადი, უშუალო ინტერესი ენიჭება.

ინტერესების შინაარსეული შედგენილობა, მოტივაცია და განვითარება, მათი აღმოცენების მიზეზები და პირობები მრავალგზის იყო კვლეული და თვით ვ. შტერნს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ამ დარგში. პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის სპეციფიკური ამ კვლევის მონაპოვარში ისეთი არაფერია, რომ მასზე საგანგებოდ ღირდეს შეჩერება. განვითარების პლანში განხილული ეს საკითხი უფრო ფსიქოლოგიის სპეციალურ დისციპლინებისთვისაა საგულისხმო, ვიდრე ზოგადი ფსიქოლოგიისთვის. ამიტომ გრძნობის დისპოზიციების პერსონალისტური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით განხილვისას ნათქვამით შეიძლება დავკმაყოფილდეთ.

დასასრულ დავუბრუნდები გრძნობების ფენომენური მოცემულობის ზოგიერთ საკითხს, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პერსონალისტური ფსიქოლოგიის სიაკარგის გასარკვევად. ეს ის საკითხებია, რომლების შესახებ ამ თავის დასაწყისში უკვე ნათქვამი მაქვს ორიოდე სიტყვა, და რომლების გადაჭრაზეა დამოკიდებული, გაუძლებს თუ არა ვ. შტერნის მოძღვრება „ცეცხლით გამოცდას", Feuerprobe, როგორადაც მიაჩნია თვით ავტორს გრძნობების ფსიქოლოგია პერსონალისტურ-ფსიქოლოგიური სისტემისთვის.

გრძნობების ფილოგენეზური პრიორიტეტი განცდათა შორის, სიამოვნება-უსიამოვნების პოლარულობა და უსიამოვნების ჭარბობა ინდივიდის განცდაში — უკვე ბიოლოგისტური, თუ შეიძლება ასე ეწოდოს: „სიგნალისტური" თეორიისთვის იყო გასაგე-

ბი. გრძნობის ეს თვისებები თავისთავად არ მოითხოვს სხვა რამ ახსნის პრინციპს, გარდა ინდივიდის თავდაცვისათვის შიზანშეწონილობისა. პერსონალისტური ფსიქოლოგია არსებითად იმასვე იმეორებს იმ ფაქტების მიმართ, რომლების ახსნა ხერხდება სიგნალური ბიოლოგისტური თეორიით. მაგრამ გრძნობების სამკვიდროში მრავალია ისეთი ფაქტი, რომელიც ბიოლოგისტური ტრადიციული თვალსაზრისით პარადოქსულად უნდა იქნეს მიჩნეული. ადამიანს ხშირად სიამოვნებას ანიჭებს ისეთი რამ, რაც მისი ბიოლოგიური არსებობისთვის უდავოდ ზიანის მომყენებელია. ჰეტერისტული მიზნებისათვის ბრძოლის სიამე ბიოლოგიური ინდივიდის კეთილდღეობის თვალსაზრისით აბსურდულია. ჰეტეროტელია და ინტროცეფციაც პიროვნების სიცოცხლის უმნიშვნელოვანეს სფეროს წარმოადგენს. ესეც რომ არ იყოს, თვით ავტოტელიის სფეროშიც ვნახავთ მაგალითებს თვითშენარჩუნებისთვის „შეუსატყვისი" გრძნობებისას: შხამები, რომელსაც ადამიანი ღებულობს თამბაქოს, ღვინისა და სხვა ნარკოტიკების სახით, ჩვეულებრივ სიამოვნების გრძნობას აღუძრავენ მას. ამ შემთხვევაში გრძნობის პოზიტიური სიგნალური მნიშვნელობა სრულიად მოხსნილია ბიოლოგისტური თვალსაზრისისთვის, როგორი ახსნაც არ უნდა მოენახოს ამ ფაქტებს, ისინი მაინც პარადოქსულნი იქნებიან, თუ ამ თეორიის საფუძვლებში არ იქნება შეტანილი არსებითი შესწორება. ორგანიზმის მთლიანობად (და არა ელემენტების ჯამად) აღიარება თავისთავად საკმარისი არაა ელემენტარიზმის შეცდომების გამოსასწორებლად; აღიარებულ უნდა იქნეს მთლიანი ორგანიზმის (ანუ პერსონის) მ რ ა ვ ა ლ ი ა ნ ო ბ ა ც. ჰიპოსტაზი უნდა მოხდეს პერსონისა, როგორც მრავალერთიანობისა, და მაშინ თავისთავად გასაგები ხდება ე. წ. „პარადოქსული" გრძნობებიც, როგორც ნაწილობრივი მიზანდასახულებისმიერი, სრულიად „შესატყვისი" განცდები. სადაც მიზანთა სიმრავლეა —შესაძლებელი უნდა იყოს მრავალი მიზნის განცდაც და თითოეული მათგანის განხორციელებასთან (ანუ ვერ-განხორციელებასთან) დაკავშირებული გრძნობის — როგორც განცდის, ცნობიერების ერთ-ერთი სახის — არსებობაც. ბიოლოგიური სიგნალური მნიშვნელობა გრძნობას მხოლოდ სამყაროსთან პერსონის ერთმნიშვნელოვანი ურთიერთობის სფეროში — ბიოსფეროში — შეიძლება ჰქონდეს.

სიამოვნება-უსიამოვნების სიგნალად გაგებიდან გამომდინარეობს ამ ორი გრძნობის პოლარულად დაპირისპირება ურთიერთისთვის. მათ პოლარულობაზე ლაპარაკი მხოლოდ პირობით შეიძლება. ზემოთ უკვე ვთქვი, რომ რაოდენობითად უსიამოვნების განცდა სჭარბობს სიამოვნებისას, განსაკუთრებით სიცოცხლის ვიტალურ მოდუსში, სწორედ მისი სიგნალური დანიშნულების გამო. სიცოცხლის უფრო მაღალ სფეროებშიც არ შეიძლება მათი პოლარულად დაპირისპირება, რადგან პერსონის სიცოცხლე მთლიანად ასიმეტრიულია, რაც პერსონულ განზომილებათა განხილვისას განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა. დაბალ გრძნობებში კიდევ შეიძლება პოლარულ გრძნობათა წყვილების შერჩევა, — მაგალითად, ტკბილ გემოსთან და მწარე გემოსთან დაკავშირებული სიამოვნება — უსიამოვნების წყვილისა — მაგრამ ესიც გამონაკლისის სახით. მაგალითად, „სიამოვნების რომელი გრძნობა შეიძლება დაეუპირისპიროთ კბილის ტკივილის უსიამოვნებას?" და, მით უმეტეს მაგ., „უსიამოვნების რომელი გრძნობა წარმოადგენს ბეთჰოვენის სიმფონიით მოგვრილ წყნარ ხანგრძლივ სიამოვნებას?" მიზანთა სისტემის სხვადასხვა სფეროებთან კავშირი სხვადასხვა გრძნობებისა აძნელებს მათთვის „საერთო მნიშვნელის" მონახვას, უთანაზომოდ (inkommensurabel) ჰყოფს მათ. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, შესაძლებელი იქნებოდა გრძნობებით მათემატიკური ოპერაციების წარმოება; უსიამოვნება გააბათილებდა სიამოვნებას, ან შეამცირებდა მაინც მას; იმისდა მიხედვით, თუ რომელი მათგანი იქნებოდა უფრო ინტენსიური. დროის ყოველ ცალკეულ მომენტში მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი იქნებოდა მოცემული: ან სიამოვნება, ან უსიამოვნება. სინამდვილე კი სწორედ საწინააღმდეგოს გვიჩვენებს — გრძნობათა ცხოვრების კანონი სიამოვნებისა და უსიამოვნების თანადროულობაა და მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის მოცემულობა შემთხვევითს გამონაკლისს წარმოადგენს. ამ ე. წ. „ამბივალენტობის" ფაქტი გრძნობების მათემატიკური პოლარულობის პოზიციიდან სრულიად გაუგებარია. მრავალერთიანი პიროვნების თვალსაზრისით კი იგი სავსებით ლოგიკურია. ენტელექიის ერთი ნაწილობრივი მიზნისადმი მოვლენა შეიძლება დადებითს მიმართებაში იყოს, და განცდაში ეს გარემოება სიამოვნებად აისახება. მაგრამ მეორე ნაწილობრივი მიზნისადმი იგი შეიძლება უარყოფითს მიმართებაში

იყოს, და ეს განცდაში უსიამოვნებად აისახება. ამ გრძნობების „შიმატება-გამოკლება“ კი არ ხდება. არამედ ისინი თანაარსებობენ განცდის მთლიანობაში, ისევე, როგორც მთლიან ენტელექიაში თანაარსებობენ მათი შესატყვისი ნაწილობრივი მიზნები. ამბივალენტური გრძნობა ისევე არაა სიამოვნება-უსიამოვნების უბრალო ნარევი, როგორც პერსონის მთლიანი ენტელექია არაა ნაწილობრივი მიზნების ნარევი. „ადამიანის მიზანთა სისტემის შინაგანი მრავალფეროვანობის გამო საკუთებით შესაძლებელია, რომ რომელიმე პერსონული მოვლენა ერთი მიზნის მიმართ აზრიანია, მეორის მიმართ კი აზრის საწინააღმდეგო და, ამდენად, გრძნობითს ასახვაში სიამოვნების მომენტსაც იძლევა და უსიამოვნებისასაც. გამონაკლისი სწორედ იმ შემთხვევაში უნდა დავინახოთ, რომ მხოლოდ ერთი მიზნისადმი მიმართება იძლევა ჩრდილს ცნობიერებაში და ამით სიამოვნების თუ უსიამოვნების ელფერს შეურყეველადა და ერთმნიშვნელოვნად — ჰყოფს“[203].

ამბივალენტობის ასე გაგება მხოლოდ მ რ ა ვ ა ლ-ერთიანი პიროვნების პრინციპითაა შესაძლებელი და ნაყოფიერი.

---

[203] 1,742.

ნაწილი მეორე

ვ. შტერნის პერსონალისტური ფსიქოლოგიის კრიტიკული განსილვა

პერსონალიზმის საფუძვლები

ვ. შტერნის ფსიქოლოგიური მოძღვრება მჭიდროდაა დაკავშირებული მის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასთან, რომელსაც ავტორი „კრიტიკულ პერსონალიზმს“ უწოდებს. ეს უკანასკნელი აგებულია ობიექტური სამყაროს არსებობისა და ღირებულობის აპრიორულ რწმენაზე. ვ. შტერნისთვის „სამყაროს სინამდვილის აღიარება შემეცნების *რაიმე* პროცესის *შედეგი* კი არაა, არამედ შემეცნების *ყოველი* პროცესის *წინამძღვარი*, რომელიც ამიტომ, ათეორიულ მომენტში უნდა მდგომარეობდეს. ამ ათეორიულ მომენტს სხვას ვერარას ვუწოდებთ — ამბობს იგი — თუ არ *რწმენას* (Glaube). ადამიანს რომ არ ჰქონოდა იმთავითი რწმენა (Ur—überzeugung), რომლისაც დამტკიცება ისევე შეუძლებელია, როგორც უარყოფა — რომ მას, სუბიექტს, უპირისპირდება რეალური ობიექტი, — ვერავითარი ჯადოთი ვერ შესძლებდა იგი სუბიექტიდან თეორიის გზით ობიექტის გამოყვანას (hervorzaubern)“[204]. ავტორი აღიარებს თავის მოძღვრების დოგმურობას. მაგრამ იგი მანკად არ მიაჩნია, რადგან, მისი აზრით, ყოველი ფილოსოფია აუცილებლად დოგმურია და სხვადასხვა სისტემები ურთიერთისგან დოგმურობით, თუ კრიტიკულობით კი არ განირჩევიან, არამედ დოგმატიზმის სიავკარგით: „კარგია“, ანუ კრიტიკულია ის დოგმატიზმი, რომელსაც შეგნებული აქვს საკუთარი დოგმური ბუნება, და ასეთების რიცხვს ეკუთვნის, ავტორის აზრით, პერსონალიზმის მსოფლმხედველობაც. „კრიტიკული დოგმატიზმი“ contradictio in adjecto-დ მოჩანს კრიტიციზმის ტრადიციული გაგების თვალსაზრისით[205]. ავტორის აზრით კი მეტაფიზიკური რწმენა აუ-

---

[204] 2,117.

[205] ob. M. Sztern, 168.

ცილებლად კრიტიკულია. რელიგიური რწმენისგან იკი იმით განსხვავდება, რომ არ გულისხმობს საბოლოო ჭეშმარიტების ფ ლ ო ბ ა ს, არამედ ე ძ ი ე ბ ს მას. ხოლო რადგან იგი მაძიებელია, ამიტომ კრიტიკულიც უნდა იყოს, „ე. ი. ანგარიში უნდა წარმოადგინოს ყოველი ნაბიჯისა, რომლითაც იგი უახლოვდება სამყაროს ყოფიერებასა და ღირებულობას; უნდა გამოარკვიოს: შეესაბამება თუ არა, და თუ კი — რამდენად კარგად შეესაბამება მისი საკუთარი კატეგორიები, დებულებები და ჰიპოთეზები მისი რწმენის უკანასკნელ წინამძღვრებს, რომლებიც თავის მხრივ ირაციონალური იმთავითი პოსტულატებია და, მაშ, ყოველგვარი კრიტიკის უწინარესნი არიან"[206].

მეტაფიზიკური რწმენა, მისი აზრით, აუცილებელი საფუძველია ყოველი მეცნიერებისა, ფილოსოფიისა და მთლიანად მსოფლმხედველობისა. ხოლო ვინაიდან უკანასკნელის ამოცანა ინტელექტუალური შემეცნებისა და არსებულისადმი შემფასებელი მიმართულების გაერთიანებაა, ამიტომ სამყაროს მხოლოდ და მხოლოდ ა რ ს ე ბ ო ბ ი ს რწმენაზე მისი აგება შეუძლებელია და აპრიორული დოგმა შემდეგ სახეს ღებულობს: „მე მწამს სამყარო, რომელიც არსებულიც არის და ღირებულიც"[207].

სამყაროს სისტემის ასაგებად მისი მხოლოდ არსებობისა და ღირებულების წინამძღვარიც არ აღმოჩნდა სამყოფი, რადგან არც ერთი და არც მეორე არაფერს ამბობს მისი რ ო გ ო რ ო ბ ი ს შესახებ. მსოფლმხედველობისთვის კი სწორედ ესაა მთავარი საკითხი. საჭირო შეიქნა მესამე აპრიორი: პ ე რ ს ო ნ ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ა. პერსონის არსებობის აღიარების საფუძველი „ჩვენი აზროვნების აპრიორული იძულება (Zwang)" ყოფილა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი მოვლენა ვიღაც ან რაღაც სუბიექტის, მოქმედი სუბსტანციის მოვლენად ეაზრება. პერსონის არსებობის დადასტურების შესახებ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ იგი რწმენაზეც კი მეტია, მეტია იმით, რომ თუ რწმენა კეთილი სურვილის საქმეა და მრწამსის გაზიარება არავისთვის არაა სავალდებულო,— პერსონის არსებობის დადასტურება ადამიანური აზროვნებისთვის აუცილებელი ყოფილა. მართლაც, პრიმიტიული აზროვნების დამახასიათებელი ფორმა სწორედ ე. წ. არტიფიციალიზმია, მაგრამ მარტო

---

206 11,368. იხ. 4,24 შშ.

207 4,25.

ეს ერთი გარემოება არაა სამყოფი საბუთი მე-20 საუკუნეში პერსონალიზმის აღორძინებისთვის. ფაქტიურად ისტორია მეცნიერებისა და ზოგადად მსოფლმხედველობისა, არსებითად, „უკანასკნელი ელემენტებისკენ" მიმავალი ანალიზის გზით ვითარდებოდა. როგორც ჩანს, პერსონალიზმის აღორძინებისთვის მხოლოდ და მხოლოდ ადამიანური აზროვნების აპრიორული აუცილებლობა უკმარია, თუკი ეს „იძულება" კულტურის წინსვლამ დასძლია. მაგრამ, ავტორის აზრით, მისი გამართლება ისიცაა, რომ მას ისტორიული აუცილებლობაც მოითხოვს: ისტორიული აუცილებლობის თანახმად, გულუბრყვილო პერსონალიზმისა (თეზისი) და იმპერსონალიზმის (ანტითეზისი) სინთეზს კრიტიკული პერსონალიზმი წარმოადგენს. მაგრამ თუ იგი ჰეგელისეული ტრიადის დაგვირგვინებას წარმოადგენს, მაშინ გაუგებარია, თუ რატომ უთანასწორებს ავტორი საკუთარი მეტაფიზიკური სისტემის ბედ-იღბალს ყველა სხვა სისტემებისას და რად მიაჩნია, რომ იგიც „მხოლოდ და მხოლოდ შესვენების ადგილია უსასრულო გზაზე და ამიტომ თავისი არსიდან ვერ გამორიცხავს პირობადებულობასა და დროში ზღვარდებულობას"[203].

მეტაფიზიკის მთავარ საგნად სამყაროში ინდივიდურ, თვითღირებულ, მიზანმისწრაფებულ არსთა ყოფნა-არყოფნის პრობლემაა ავტორის მიერ გამოცხადებული[200]. მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვიერი ფორმალური განცხადებაა, რადგანაც მისთვის პერსონების არსებობა სულაც არაა პრობლემა, არამედ პირველადი აპრიორული რწმენა. ასეთი აპრიორი ძალიან ბევრი რამის მთქმელია. არსებული სამყაროს როგორობის საკითხი, ნაწილობრივ მაინც, გადაჭრილია პ ე რ ს ო ნ ე ბ ი ს არსებობის დაშვებით: სამყაროში მოცემულია სუბსტანციების სიმრავლე. და თუმცა პრინციპების რაოდენობის თვალსაზრისით პერსონალიზმი მონისტურია, რამდენადაც ერთადერთ სუბსტანციად პერსონას აღიარებს, — სუბსტანციების რაოდენობის თვალსაზრისით იგი პლურალისტურია, რადგან აღიარებს უსასრულოდ მრავალი პერსონა-სუბსტანციის არსებობას სამყაროში.

არც ამ აპრიორულ რწმენის დამატებამ იკმარა სამყაროს სისტემის ასაგებად. ამისთვის არ კმარა სუბსტანციის მხოლოდ რაოდენობითი განსაზღვრა, არამედ საჭიროა მისი რომელობის წვდო-

---

[203] 11,369.

[200] 2,12.

მაც. პერსონა-სუბსტანციების სიმრავლის რწმენიდან ისევე ვერ გამოიყვანება მათი როგორობა, როგორც ობიექტური სამყაროს შედგენილობა ვერ იქნა დასკვნილი მისი არსებობის რწმენიდან. და აქაც ჩვენი აზროვნების ბუნება უწევს ავტორს დახმარებას.— ჩვენ, თურმე, სუბსტანცია მხოლოდ როგორც აქტიური სუბსტანცია შეგვიძლია ვიაზროთ. პერსონის კონსტიტუციურ ხიშნებად მიჩნეული: მიზანმისწრაფებულობა, მრავალერთიანობა და თავისებურობა (ინდივიდურობა, ორიგინალურობა)—აგრეთვე აპრიორულადაა მიღებული. მთელი შემდგომი კვლევა ახალს არაფერს იძლევა, მისი შედეგი იგივეა, რაც ამოსავალი იყო; სამყაროს პერსონებისგან შედგენილობის აპრიორული დებულება[310].

თუ პერსონა-სუბსტანცია ადამიანის აზროვნების აუცილებელი ნაყოფია, — შეუძლებელია ვ. შტერნმა დაიჩემოს მისი აღმოჩენა. და იგიც არამცთუ არ იჩემებს, — პირიქით, მსოფლმხედველობის „პრეისტორიას" — პრიმიტიულ აზროვნებას — უთმობს პირველობას. მაგრამ ავტორს საკუთარი პერსონალიზმი გულუბრყვილო პერსონალიზმისგან განსხვავებულად მიაჩნია და პირველის უპირატესობის საფუძველს პერსონიფიკაციის მეთოდში ხედავს. „ეს მეთოდი არ სთიშავს მოცემულობას მის ნაწილებად, როგორც ანალიზური მეთოდი (რადგან პერსონა „განუთიშველია" — „indivisibel"); იგი არც იმთავით გათიშულს აერთიანებს, როგორც სინთეზური მეთოდი (რადგან მთელი ნაწილების უწინარესია), არამედ იგი ჰიპოსტაზს ყოფს: მოჩვენებითს ყოფიერებას საფუძვლად ნამდვილ ყოფიერებას უდებს (unterlegt dem uneigentlichen Sein das eigentliche Sein). ჰიპოსტაზის უფლებას პერსონალიზმი მხოლოდ იქ იტოვებს, „სადაც კაუზალობა იმანენტური მიზანმისწრაფებულობის ფორმით გამოვლინდება", და პერსონიფიკაციას ახდენს იმ წარმონაქმნისას, რომელიც მიზანმისწრაფებული მოქმედების წყაროცაა და მიზანიც".

პერსონის ჰიპოსტაზის კრიტერიუმიც აპრიორულია და არა მარტო აპრიორული, იგი სრულიად არაფრით არ განსხვავდება პერსონის ცნების განსაზღვრებისგან: პერსონა არის იმანენტური მიზანმისწრაფებულობით აღჭურვილი წარმონაქმნი. ასეთია პერსონის ცნების განსაზღვრება. წარმონაქმნი, რომელიც იმანენტურ

---

[310] იხ. E. Bloch, W. Stern usw..

მიზანმისწრაფებულობითაა აღჭურვილი, არის პერსონა. ასეთია ჰიპოსტაზის კრიტერიუმი.

პერსონალისტური მსოფლგაგების პირველობას, როგორც ვთქვი, ავტორი პრიმიტიულ აზროვნებას უთმობს. მაგრამ თავისი პერსონალიზმი ჰიპოსტაზის მეთოდის წყალობით მაღალ საფეხურზე აყვანილად მიაჩნია. ამის უარყოფა უგუნურება იქნებოდა. ვ. შტერნის პერსონალიზმი შესაძლებლობისდაგვარად ჩამოყალიბებული სისტემაა მსოფლმხედველობისა. მის მიერ „გულუბრყვილოდ" წოდებული პერსონალიზმი კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მსოფლიოს ხედვის ფორმაა მხოლოდ, რომელიც მითებში, ზნე-ჩვეულებებში, საყოველდღეო ქცევაში გამოვლინდება. მაგრამ ვ. შტერნი ამ განსხვავების შესახებ არ ლაპარაკობს. პრინციპულ განსხვავებას ხედავს იგი გულუბრყვილოსა და კრიტიკული პერსონალიზმის ჰიპოსტაზის მეთოდში. პირველისთვის სრულიად უცხოა იმანენტური მიზანმისწრაფებულობის კრიტერიუმი. იგი პერსონიფიკაციას ახდენს ყველაფრისას, რაც კი ადამიანზე ზოქმედობს ასეთი თუ ისეთი სახით და, ამდენად, იგი ანტროპოცენტრულია. კრიტიკული პერსონალიზმი კი დაადგენს პერსონას, როგორც თვითარსებულსა და თვითღირებულს, გარეშე მისი მიმართებისა პერსონიფიკაციამყოფელი სუბიექტისადმი.

თამამად შეიძლება დავეთანხმოთ ავტორს, რომ გულუბრყვილო პერსონალიზმი, — თუკი შეიძლება ასე ვუწოდოთ პრიმიტივის მიერ სამყაროს ხედავს, — ანტროპოცენტრულია და არა მარტო ანტროპოცენტრული, არამედ ანტროპომორფულიც: გულუბრყვილო პერსონალიზმის, როგორც ისტორიის ადრინდელი ეტაპის, ან უკეთ: პრეისტორიული მსოფლმხედველობის სამყარო — პერსონა-ღმერთების სამყაროა, ღმერთებისა, რომლებიც ადამიანმა საკუთარი თავის ხატად და მსგავსად შექმნა.

ვ. შტერნი დაუცხრომლად იბრძვის მისი პერსონალიზმისთვის ანტროპრომორფულობის დაწამების წინააღმდეგ. მაგრამ მისი პერსონაც ადამიანის პიროვნების ხატი და მსგავსებაა. ამის დადგენას და დამტკიცებას, ჩემი აზრით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ვ. შტერნის მსოფლმხედველობის შეფასებისთვის.

რამდენად კარგად მოახერხა ავტორმა a priori არსებულად და ღირებულად მიჩნეული სამყაროს აგება სუბსტანციად მიჩნეული პერსონებისგან?

სამყაროს არსებობის რწმენა და პერსონების იმანენტური მიზანმისწრაფებულობის დოგმაც საკმარისი არაა კოსმოსის ასაგებად. გულუბრყვილო პერსონალიზმის ნიადაგზე პანთეიზმი შეიქმნა; კრიტიკულ პერსონალიზმს კი სურს მონისტური სამყაროს აგება, რომელშიც რაღაცნაირად დაძლეული იქნება სუბსტანციების რაოდენობითი მრავლობა. ფილოსოფიის ისტორიას, ლაიბნიცის სახით, მოეპოვება ასეთი ცდის პრეცედენტი. ვ. შტერნისთვის არაა დამაკმაყოფილებელი მონადოლოგიის კოსმოსი. სუბსტანციათა მრავლობის დაძლევას იგი ლამობს მრავლობის გადმოტანით აგეთ სუბსტანცია-პერსონაში. მისთვის პერსონა-სუბსტანცია „ისეთი ერსებულია, რომელიც, მიუხედავად ნაწილების სიმრავლისა, შეადგენს რეალურ, თავისებურსა და თვითღირებულ ერთიანობას“[211], და რომელიც „სულაც არაა საჭირო, რომ მარტივი იყოს. Unitas multiplex უკანასკნელი საიდუმლოებაა, რომელსაც ვერც ავხსნით და ვერც უარვყოფთ, არამედ რომელიც ჩვენი ზოგადი მსოფლგაგების საფუძვლად უნდა ვაღიაროთ“[212]-ო — აცხადებს ავტორი. უწინარეს ყოვლისა, ამით განსხვავდება პერსონა მონადისგან; უკანასკნელი არის „მარტივი სუბსტანცია, რომელიც შედის რთულ სუბსტანციებში: მარტივია ის, რასაც ნაწილები არა აქვს“[213]. ლაიბნიცის მონადებს „სრულიად არა აქვს ფანჯრები, რომელთა საშუალებით რომელსამე საგანს შეუძლია შევიდეს იქ ან გავიდეს იქიდან“[214]. ვ. შტერნის პერსონები კი „ღიაა სამყაროსთვის“. იმისთვის, რომ მონადებისგან სამყაროს აგება ყოფილიყო შესაძლებელი, ცალკეული მონადები უშუალოდ უნდა დაქვემდებარებოდნენ ერთ „აბსოლუტურ სუბსტანციას“ — ღმერთს. პერსონებისგან კი, მათი მრავალერთიანობის წყალობით, შესაძლებელი უნდა გამხდარიყო სამყაროს იერარქიული სისტემის აგება. ავტორისავე ალიარებით, „პერსონათა იერარქიის“ თეზისი კიდევ დიდხანს დარჩება მსოფლმხედველობის რწმენითს დებულებად, რომლის გამოყენება ნაშდვილად სამეცნიერო მიზნებისთვის, იქნება მხოლოდ შემდეგში

---

211 2,10.

212 3,6.

213 ლაიბნიცი, მონადოლოგია § 1.

214 იქვე, § 7.

გახდეს შესაძლებელი"[215]. კოსმოლოგიური მიზნებისთვის კი იგი, შეძლებისდაგვარად, გამოყენებული აქვს ავტორს. ამ თეზისის დადებითი ღირებულება პერსონალიზმისთვის განსაკუთრებით „ნივთის" პრობლემაში იჩენს თავს. ნივთი, როგორც პერსონის კომპლემენტური ცნება, ისეთ არსებულს ნიშნავს, „რომელიც შედგება რა მრავალი ნაწილისგან, არ შეადგენს რეალურს, თავისებურსა და თვითღირებულ ერთიანობას და რომელიც, ფუნქციობს რა მრავალ ნაწილობრივ ფუნქციაში, არ განახორციელებს ერთიან. მიზანმისწრაფებულ აქტივობას" [216]. პერსონათა იერარქიის პერსპექტივაში ყოველი საფეხური პერსონულია ქვემდებარე საფეხურების მიმართ, ანუ იერარქიის „ქვევიდან-ზევით" განხილვისას და ნივთობრივია ზემდებარე საფეხურის მიმართ, ანუ იერარქიის „ზევიდან-ქვევით" განხილვისას. იერარქიის ბოლო საფეხურებზე აღკვეთილია თვალსაზრისის შეცვლის შესაძლებლობა: უმაღლესი საფეხურის „ზევიდან" დანახვა შეუძლებელია, რადგან არ არსებობს მასზე უფრო მაღალი საფეხური; ასევე შეუძლებელია უდაბლესი საფეხურის დანახვა „ქვევიდან". ამ საფეხურებზე მოხსნილია პერსონულობა-ნივთობრიობის ერთ არსებულში მოცემულობა და, ლოგიკური აუცილებლობით, უმაღლესი საფეხური აბსოლუტურ პერსონად ისახება, ხოლო უდაბლესი საფეხური — აბსოლუტურ ნივთად. ეს დასკვნა ლახვარს სცემს პერსონათა იერარქიას და თვით პერსონის ცნებას.

რამდენად შესაძლებელია „აბსოლუტური ნივთის" არსებობა პერსონალიზმისთვის? — ავტორის აღიარების თანახმად „აბსოლუტურად ინდივიდუალიზაციაუქმნელი და, ამიტომ აბსოლუტუოად ერთგვაროვანი ნივთი, როგორც ასეთი, სინამდვილეში სრულიადაც არ არსებობს; იგი მხოლოდ და მხოლოდ ზღვარული ცნებაა"[217]. იგი არ შეიძლება არსებობდეს იმიტომ, რომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, არსებობის უფლება მხოლოდ პერსონას აქვს მინიჭებული; იმიტომ, რომ ნივთის ცნება ნაწილების გაუერთიანებელ სიმრავლეს გულისხმობს, ასეთი სიმრავლის ერთიანობა კი შეიძლებულად არაა პი-

---

[215] 5, გვ. 111.
[216] 2,16.
[217] 2,355.

რობადებული და აბსოლუტურად არაფერი არ ეღირება [illegible] ნაწილებად დაშლას. შეიძლება, პირობით, ნივთი აღარ ვუწოდოთ გამხოლოებულ ნაწილს, არამედ — მხოლოდ ნაწილების აგრეგატი[218], რამდენადაც მხოლოდ ტერმინოლოგიურ სფეროში დავრჩებით, ასეთი რამ დასაშვებია, მაგრამ ყოველგვარ მეცნიერულ ღირებულებასაა მოკლებული და ავტორიც, უეჭველია, სიტყვებით თამაშისთვის არ ხმარობს ტერმინს „ნივთი". იგი ნივთს ზღვარულ ცნებად (Grenzbegriff) თვლის. შეუძლებელია ამაში დავეთანხმოთ მას, თუ ვივულისხმებთ, რომ „ზღვარული ცნება" ლოგიკის აუცილებელი პროდუქტია და საბოლოო პროდუქტიც, საბოლოო პუნქტი დისკურსიული აზროვნების გზისა. პირიქით, ნივთის ასეთ ცნებაზე შეუძლებელია შეჩერება, მას ლოგიკური აუცილებლობით მივყევართ უფრო შორს, — სახიფათოდ შორს პერსონალიზმისთვის. „l+m+n..." გამოხატულება (ესაა სწორედ ნივთის ცნების ძალიან მარჯვე სქემა!) თავისთავად იშლება l-ად, m-ად, n-ად... მათემატიკურ ანალოგიებს რომ გავყვეთ, მათი შემაკავშირებელი მხოლოდ საერთო მნიშვნელი შეიძლება იყოს: $\frac{l+m+n}{p}$

უკვე მთლიანობაა, რომლიდანაც მრიცხველის თითოეული წევრის გამორიცხვა არამცთუ „თავისთავად" არ ხდება — მთელი მიმართების შეცვლას მოითხოვს და იწვევს. ნივთს მხოლოდ პერსონა ანიჭებს მნიშვნელობას. მხოლოდ პერსონის მიმართ შეიძლება არსებობდეს ნივთი, როგორც მრავალი ნაწილები ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მრავალი წევრების აგერატი. პერსონის გარეშე კი „აბსოლუტური მასალა თავისთავად"[219] ე. წ. „ნივთის" მდგომარეობაში ვერ დარჩება და დაიშლება ჯამში შემავალ მარტივ, დამოუკიდებელ წევრებად — ანუ ელემენტებად. მაშასადამე, გამო-

---

[218] ამ შემთხვევაში სიტყვა „ნაწილი" (Teil) აღარ შეიძლება იხმარებოდეს: სადაც საქმე გაერთიანებასთან კი არა გვაქვს, არამედ ჯამთან, იქ ნაწილების შესახებ კი აღარ ვლაპარაკობთ, არანედ ჯამის დამოუკიდებელი წევრების შესახებ. როგორც ავტორი მარჯვედ გამოიყენებს სიტყვის ეტიმოლოგიას და პერსონული მთლიანობის ნაწილის შესახებ ამბობს, რომელსაც იგი მომენტს უწოდებს, — იგი არა მარტო ნაწილია პერსონის მთლიანობისა, არამედ მონაწილეობს კიდეც პერსონის მთლიანობაში (nicht nur Teil ist, sondern auch Teil hat).

[219] 2,168.

დის, რომ პერსონათა იერარქიის უდაბლესი საფეხური ლოგიკურად ელემენტი უნდა იყოს. ავტორი აღიარებს, რომ მ ე თ ო დ ო ლ ო გ ი უ რ ა დ შესაძლებელია პერსონაში მოცემული ელემენტები პერსონის მიზანმისწრაფებულობაზე დაყვანის გარეშე განვიხილოთ, მხოლოდ და მხოლოდ როგორც ელემენტები, რომლებსაც მათი ზემდგომი კანონზომიერება განსაზღვრავს"[220] და ასეც იქცეოდა ასოციაციონიზმი. მაგრამ აბსოლუტური სივთის ცნება, რომლის შესახებაც გვაქვს აქ მსჯელობა, მხოლოდ მეთოდოლოგიური ხერხი კი არაა, არამედ საფუძველმდებელი ცნებაა პერსონათა იერარქიული სისტემისა. ეს ცნება თვითვე უნგრევს ძირს პერსონალიზმის სისტემას, რამდენადაც ელემენტის საფუძველზე ბეუძლებელია პერსონის აგება.

როგორი მდგომარეობაა იერარქიის მწვერვალზე? უმაღლესი პერსონა, არსებითად, ისეთივეა, როგორც ყველა სხვა პერსონა, მხოლოდ — იერარქიის კანონის თანახმად — იგი ყველა სხვა პერსონაზე უფრო ფართო მოცულობისაა. ყოველი ზედა საფეხური იერარქიული კიბისა უფრო ფართო მოცულობის პერსონას უკავია. ესაა: ინდივიდური ადამიანი — ოჯახი — ერი — კაცობრიობა. ყოველი ზემდგომი პერსონა იქვემდებარებს წინა საფეხურზე მდგომი „თანაპერსონების" სიმრავლეს. მაგრამ უმაღლესი პერსონა განსაკუთრებულ მდგომარეობაშია: ის მხოლოდ „უფრო მაღალი" პერსონა კი არაა, არამედ — აბსოლუტურად „უმაღლესი"; იგი „ყოვლადპერსონა"[221].

მის შესახებ ავტორი წერს: „არის თუ არა „სიცოცხლე" (ე. ი. ყველა ცოცხალ არსებათა ერთობლიობა), არის თუ არა დედამიწა, არის თუ არა მზის სისტემა — რაიმე აზრით მეტი, ვიდრე უბრალო ჯამი? არიან თუ არა ისინი აქტიური, საკუთარი მიზნის მქონე ერთიანობანი, ანუ „პერსონები" უფართოესი მნიშვნელობით?

ყოველი პასუხი, რომელიც კი ამ კითხვაზე შეიძლება იქნეს გაცემული, იქნება იგი დადებითი (როგორც პლატონთან და ფეხნერთან) თუ უარყოფითი, — მხოლოდ ფანტასტიკური რწმენის ნაყოფი იქნება და არა რაიმეგვარად დასაბუთებული ცოდნისა. მხოლოდ ერთგან იქცევა ეს რწმენა დარწმუნებულობად (Überzeu-

---

[220] 3,12.
[221] Allperson.

gung), რომელიც თვით ცოდნასაც აღემატება, რადგან ის იძლევა ცოდნის წინნამძღვარს: პერსონების მთელი სისტემის ზედა საზღვარზე რომ „ყოვლადობა" (das All), ბოლოს და ბოლოს, პერსონულია, თვითშენარჩუნებისა და თვითგანვითარების მიზანგანსაზღვრულობით ცხოველყოფილი და ყველა ამ მიზანმისწრაფებულობათა უმაღლესი სრულყოფით შემცველი—ეს არის თეზისი, რომელსაც ემყარება და რომელთანაც ერთად ემხობა პერსონალიზმის მთელი მსოფლმხედველობა. უაზრობა და უგუნურებაც კი იქნებოდა სამყაროს სხვადასხვა სასრულიან (endliche) საფეხურებზე მრავალერთიანობათა არსებობის დაშვება, თვით სამყარო უბრალოდ მხოლოდ მრავალგვარობა რომ ყოფილიყო. სხვადასხვა საფეხურის მიზნების ურთიერთდაქვემდებარება და ურთიერთზე აღმატება შეუძლებელი იქნებოდა, საბოლოოდ ყველაფერი უმიზნო და მექანიკური რომ ყოფილიყო. ამრიგად, ადამიანის ზემდებარე ერთიანობათა იერარქია დასრულებას პოვებს ღვთაებრივი ყოვლადობის იდეაში, რომელიც არის არა საგნობრივი, აბსტრაქტული კანონზომიერებით წარმართული უნივერსუმი, არამედ ნამდვილი ღვთაებრივი ყ ო ვ ლ ა დ-პ ე რ ს ო ნ ა, რომელიც საკუთარი თვითშენარჩუნების მიზნებს აკისრებს ყოველივე არსებულს და რომელიც თავის შემოქმედებითს თვითგანვითარებაში სრულყოფის უკუნითს ტენდენციას ანიჭებს სამყაროს"[22].

უეჭველია, რომ ყოვლადპერსონასაც უნდა ჰქონდეს ყველა ის ნიშანი, რომლითაც საერთოდ ხასიათდება პერსონა. რამდვილად კი ასე არაა. რა განასხვავებს ყოვლადპერსონას იმ პერსონისგან, რომლის „ხატად და მსგავსად" ააგო ვ. შტერნმა პერსონიფიკაციაქმნილი თავისი კოსმოსი?

1. ე. წ. პირველადი, ან უკეთ: საშუალო პერსონა გარკვეული, სახელდობრ, — ზემდგომი პერსონის, თვალსაზრისით ნივთი შეიძლება იყოს. ყოვლადპერსონას კი არ გააჩნია ზემდგომი პერსონა და, ამიტომ, არ არსებობს თვალსაზრისი, რომლითაც იგი ნივთად შეიძლება იყოს გაგებული; იგი პერსონაა აბსოლუტურად, მასში მოხსნილია პერსონა-ნივთის დიალექტიკა.

2. საშუალო პერსონის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია სამყაროსთვის ღიად ყოფნა; ამითი განსხვავდება იგი უპირველესად

---

[22] 3,43 — 44.

ყოვლისა, მონადისგან. ყოვლადპერსონას, მისი ყოვლადობის გამო, არ გააჩნია სამყარო, როგორც ტრანსპერსონული „არა-მე“ და, ამიტომ, სამყაროსთვის ღიად ყოფნა ვერ იქნება მისი თვისება. აქედან გამომდინარეობს ყველა შემდეგი განსხვავებანი.

3. საშუალო პერსონის სიცოცხლის მექანიზმი პერსონა-სამყაროს კონვერგენციაა; პერსონა კონვერგენციის ფაქტორიცაა და პროდუქტიც. ყოვლადპერსონისთვის უცხოა კონვერგენცია, რადგან მას არ გააჩნია კონვერგენციის მეორე ფაქტორი — სამყარო. ყოვლადპერსონა ვერ იქნება ცოცხალი, „სიცოცხე არის ყოფისა და ვლენის ერთიანობა სამყაროსთვის ღია მთლიანობაში“. რადგან „ცოცხალია ისეთი არსი, რომელიც განუწყვეტლივ განახორციელებს თავის მთლიან ყოფას თავისი მთლიანი ფუნქციობით“ და რომელიც, გარემომცველ სამყაროსთან განუწყვეტელი გაცვლა-გამოცვლის მიუხედავად, მაინც მთლიანობად რჩება“[223] — მას კი არ გააჩნია გარემომცველი სამყარო.

4. საშუალო პერსონას, ძირითადად, ორგვარი მიზნისეულობა ახასიათებს: ავტოტელია და ჰეტეროტელია. ყოვლადპერსონას არ შეიძლება ჰქონდეს ჰეტეროტელია, რადგან მასში არაა საგნობრიობის მომენტი, რომელიც აუცილებელია ჰეტეროტელიისთვის, მას არ გააჩნია „heteros“-ი („სხვა“).

5. ავტოტელიის სახეობათაგან ყოვლადპერსონისთვის უცხოა კონსერვაციული თვითგანვითარება, რადგან ეს უკანასკნელი გულისხმობს გვარში სადღაც ოდესღაც განხორციელებულ ნიმუშს მისწრაფებული მიზნისას. ყოვლადპერსონას კი არ გააჩნია „გვარი“.

6. უცხოა მისთვის შეგუებაც, გარესამყაროს არქონების გამო. თავისთავად იგულისხმება, რომ ყოვლადპერსონისთვის უცხოა ინტროცეფცია, მაგრამ ეს გარემოება მისი პერსონულობის წინააღმდეგ არაფერს ამბობს, რადგან ინტროცეფცია სპეციფიკური ადამიანურია და არა ზოგადპერსონული.

7. ყველა ამ კერძოობით ხასიათის განსხვავებაზე უფრო მნიშვნელოვანია გარესამყაროს არქონებიდან გამომდინარე ის თავისებურობა ყოვლადპერსონისა, რომ იგი არაა რეალური, რადგან პერსონა რეალურია მხოლოდ იმდენად, „რამდენადაც ფაქტიურად გვეძლევა გამოცდილებაში, როგორც პროდუქტი საკუთარ მიზან-

[223] 1,99 (დაყოფა ჩემია — ერ. ა.)

დასახულებათა კონვერგენციისა გარეგან გავლენებთან; და ეს რეალური პერსონაა, ამგვარად შეძენილი ნამდვილი ყოფიერების დაცვას რომ ესწრაფვის თვითშენარჩუნებაში. იდეური კი ის პერსონაა, რომელიც შეესატყვისებოდა თვითგანვითარებას, ეს უკანასკნელი (რაც მის ცნებას ეწინააღმდეგება) წმინდა და შეურეველი რომ ყოფილიყო და რომ იგი (რაც აგრეთვე ეწინააღმდეგება მის ცნებას) დროში დასრულებადი ყოფილიყო"[224]. რეალური და იდეური პერსონის გათიშვა მხოლოდ ცნებითს პლანში მიაჩნია შესაძლებლად ავტორს; ამ გათიშვის — ყოფიერების პლანში გადატანას, რაც გათვალსაჩინოების წყურვილითაა გამოწვეული, შედეგად მოჰყვა „სულის", როგორც თავისთავადი საგნის, დადგენა. რეალური და იდეური პერსონის გათიშვის ნამდვილი პირველწყარო თვითშენარჩუნებისა და თვითგანვითარების მიზნების განსხვავებაა და ამდენად ყოვლადპერსონისთვის არავითარი სპეციფიკური მდგომარეობა არაა, რადგან პრინციპში მასაც აქვს როგორც პირველგვარი, ისე მეორეგვარი მიზნები.

განხორციელებული იდეური პერსონა უნდა ყოფილიყო თვითგანვითარების მიზნის სრულად განხორციელებისას. ასეთი რამ შეუძლებელია, რადგან პროდუქციული თვითგანვითარების მიზანი არაა დასრულებული კონკრეტული სახის მქონე და პრინციპულად შეუძლებელია მისი „მიღწევა". თვითგანვითარების მიზნისეულობა მხოლოდ შინაგანი ძრავია,რომელიც,ამასთანავე, მიმართულებასაც აძლევს პერსონის სიცოცხლის მდინარებას. თვითგანვითარების მიზანი მხოლოდ თვითშენარჩუნების მიზანთან ერთად და სამყაროს გარემოცვაში ქმნის რეალურ პერსონას, ერთადერთ რეალურად არსებულ სუბსტანციას. ე. ი. იდეური პერსონა, როგორც ასეთი, რეალურად არ-არსებულია.

ამრიგად, ყოვლადპერსონა არაა რეალური პერსონა. მაშ, იგი უნდა იყოს იდეური პერსონა (tertius non datur.. მაგრამ იდეური პერსონა — არარსებულია. აქედან გამომდინარეობს, რომ ყოვლადპერსონა, როგორც რეალური პერსონა, არ არსებობს, როგორც იდეური პერსონა კი — იგი არ-არსებულია. ეს გრამატიკული ვარჯიში ზმნის — არსებით სახელად გადაქცევისა („არ არსებობს" — „არარსებული"), ვერაფერს შეელის ყოვლადპერსონის არსებობას. ყოვლადპერსონა, როგორც ფაქტი, ვერ იარსებებს, რო-

---

[224] 3,20—21.

გორც ცნება — იგი შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია: „სამყაროს არმქონე სამყაროსთვის ღია არსებას“ ნიშნავს. პერსონის ცნებასთან ასეთი შეუთანხმებლობა ნათელჰყოფს, რომ ე. წ. ყოვლადპერსონა არაა პერსონა. და თუ მართლა ემხობა პერსონალიზმის მთელი მსოფლმხედველობა ყოვლადპერსონის პერსონულობის თეზისთან ერთად — იგი დამხობილად უნდა ვაღიაროთ *.

ყოვლადპერსონის საწინააღმდეგოდ ისიც შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ეპითეტი „ერთხელობრივი“, რომელიც აუცილებელია პერსონისთვის, მისთვის სრულიად შეუფერებელია. ყოველი პერსონა იბადება, ცოცხლობს და კვდება. ასეთია ვ. შტერნის მოძღვრება. ინდივიდური უკვდავება არ არსებობს, უკვდავია მხოლოდ ზეინდივიდური მხარე პერსონისა. შთამომავლობის სახით მას წვლილი შეაქვს ბიოლოგიურ გვარში, კულტურული შემოქმედების სახით (სიტყვის ფართო მნიშვნელობით) — თუ ადამიანთან გვაქვს საქმე, — ზეინდივიდურ პერსონაში — ეაცობრიობაში. ამით იგი განაგრძობს „პოსტ-ინდივიდურ“ არსებობას.

ყოვლადპერსონას ეს არ ეხება, ცხადია! იგი მარადიული და უკვდავი უნდა იყოს მისი ბუნებიდან გამომდინარე აუცილებლობით, და იგი არის კიდეც მარადიული და უკუნითი ფილოსოფიის საყოველთაოდ სავალდებულო დებულების თანახმად, თუ იგი მართლა მსოფლიოა. ღვთაება ერთადერთი პერსონაა, რომელიც განუსაზღვრელია დროში.

დავასკვნი: ყოვლადპერსონას არ გააჩნია გარესამყარო; იგი მარადიული და უკუნითია; იგი არაა რეალური პერსონა. ყოვლადპერსონის ეს თავისებურებანი გვაიძულებს სამგზის უარვყოთ იგი, როგორც პერსონა.

ამრიგად, არც უდაბლესი და არც უმაღლესი პერსონები არ ყოფილან პერსონები. ამის შემდეგ შეუძლებელიღაა სერიოზულად ლაპარაკი პერსონათა მსოფლიო იერარქიული სისტემის შესახებ. აქა-იქ შეიძლება არსებობდეს მეტად თუ ნაკლებად მრავალსაფეხურიანი სისტემები იერარქიისა, მაგრამ ავტორსაც კარგად ესმის, რომ თუ ისინი ერთ სისტემად არ იქნება გაერთიანებული, კრიტიკული პერსონალიზმის კოსმოსი არაფრით არ იქნება გულუბრყვილო პერსონალიზმის პანთეისტურ კოსმოსზე უკეთესი.

---

* შდრ. აქვე, გვ. 230—231.

ვ. შტერნი აღიარებს თავისი მსოფლმხედველობის საფუძველის დოგმურობას. იგი ამბობს, რომ სწამს ობიექტურად არსებული სამყარო. მე ვეცადე ნათელმეყო, რომ სამყაროს მხოლოდ არსებობის რწმენა არაა სამყოფი მსოფლიოს ასაგებად და ავტორს ამ საქმეში ეხმარება პერსონათა არსებობის რწმენა, რაც საბოლოოდ იმაზე დაიყვანება, რომ სამყაროს პერსონული ხასიათი რწმენაა ავტორისა, და არა ნაყოფი ფილოსოფიური სპეკულაციისა, თუ ემპირიული კვლევის შეღეგი. „რწმენის შესახებ არ დაობენ", მაგრამ რადგან ეს რწმენა, ავტორის აზრით, ადამიანური აზროვნების ბუნების აუცილებელი შედეგია, ინტერესს არ იქნება მოკლებული მისი აღმოცენების გამორკვევა. ავტორის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დამოკიდებულება საუკეთესოდ სწორედ ამ რწმენის გენეზისში იჩენს თავს.

შეუძლებელია არ დაისვას საკითხი, თუ საიდან მოიტანა ვ. შტერნმა პერსონის ცნება, თუ მას არც „უდაბლესი პერსონა" შეესატყვისება და არც „უმაღლესი", უეჭველია, რომ პირველადი პერსონა, პერსონის პროტოტიპი, ნიმუში, რომლისასაც მხოლოდ ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს იერარქიის ბოლო საფეხურები, — იერარქიის რომელიღაც შუასაფეხურზე უნდა მდებარეობდეს და, მართლაც, პერსონის პროტოტიპი ვ. შტერნისთვის ადამიანია. ავტორის თქმით „ადამიანის ცალკეული ინდივიდის პერსონულობა — ე. ი. ის, რომ ადამიანი პერსონაა — არამც თუ სპეკულაციის ნაყოფი არაა, არამედ ყველაზე უფრო თვალსაჩინო რამ, რაც კი არსებობს ადამიანთან დაკავშირებით"[25] და კიდევ მეტიც: „ადამიანი რომ პიროვნებაა, ეს არც მეტაფიზიკური სპეკულაციაა და არც მეტად თუ ნაკლებად მტკიცე რწმენა, არამედ — ს ვ ე ლ ა ფ ე რ ზ ე უ ფ რ ო უ ე ჭ ვ ე ლ ი რ ა მ"[26].

ადამიანია პერსონის პროტოტიპი და, ამიტომაცაა, ასე თავგამოდებით რომ უარჰყოფს ვ. შტერნი პერსონალიზმის ანტროპომორფიზმს. მისი აზრით, პერსონის ცნების გავრცელება ადამიანის გარემოდებარე სფეროებზე ისევე არაა ანტროპომორფიზმი და მითოლოგიისკენ უკუქცევა, როგორც „ძალის", „მუშაობის" და

---

[25] 5, §3. III.
[26] 3,3

„ენერგიის“ ცნებების გამოყენება, ფიზიკის მიერ არ ნიშნავს მის უკუქცევას მითოლოგიისკენ[227].

როგორც თითონ აღიარებს ავტორი, მისი მოღვაწეობა თავიდანვე ორი მხრივ იყო მიმართული: ფილოსოფიისკენ და ფსიქოლოგიისკენ. მას სურდა გააერთიანებია შემეცნების ეს ორი სფერო, რომელთა შორის, ერთი შეხედვით, გარდაუვალი უფსკრული მდებარეობდა. მე-19 საუკუნის ფსიქოლოგიური მუშაობის მიმოხილვისას[228], იგი ამბობს, რომ მომავალი მე-20 საუკუნის ძირითადი ამოცანა მსოფლმხედველობის შექმნაა და ფსიქოლოგია მოწოდებულია წელილი შეიტანოს ამ მომავალ მსოფლმხედველობაში. 1901 წელს იგი წერს „წინასწარ მოსაზრებებს მსოფლმხედველობის შესახებ“[229], რომელსაც მხოლოდ 1915 აქვეყნებს, რადგან საუკუნის დამდეგი წლები ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული მსოფლმხედველობის შესათვისებლად.

ფსიქოლოგიური კვლევების დროს ვ. შტერნი ვეღარ კმაყოფილდება კლასიკური ასოციაციონისტური ახსნით. მაგრამ ასოციაციონიზმი კერძო გამონაკლისის ხასიათის მოვლენა არაა; მთელი იმდროინდელი მეცნიერება ატომისტურია, ყოველ კერძო მეცნიერებაში — და მათ შორის ფსიქოლოგიაშიც — ატომის პრინციპი ურყევად და უფიქრელად მიღებულია, როგორც ერთადერთი შესაძლო პრინციპი. საჭიროა ამ საყოველთაო პრინციპის გადალახვა. ფსიქოლოგია მარტოკა ვერ გაექცევა მას, იგი საყოველთაოდვე უნდა იქნეს უარყოფილი. საკმარისი არაა ფსიქოლოგიაში ატომიზმის უარყოფა. აუცილებელია ძირშივე — ფილოსოფიაშივე — მისი მოსპობა. ფსიქოლოგიის მიერ ნაკარნახევ პიროვნების იდეას ვ. შტერნი მსოფლიო ყოფიერებაზე ავრცელებს და უკანვე ღებულობს ონტოლოგიისგან, შევსებული და გაშლილი სახით. „პერსონა — ფსიქიკურის სუბიექტი“ — „პერსონა — სუბსტანციად“ იქცევა. პერსონა „ანტროპოგენურია“, თუ შეიძლება ასე ითქვას, და საგანგებო სიფრთხილეა საჭირო მისი ანტროპომორფიზაციის წინააღმდეგ. უწინარეს ყოვლისა, უნდა დამტკიცდეს პერსონის საყოველთაობა, „ტრანს-ადამიანურობა“. ფილოსოფიის სისტემის-

---

[227] იხ. 2,14.
[228] იხ. 6.
[229] იხ. 7.

თვის მიძღვნილი სამტომეულის პირველი ტომი, ძირითადად, დათმობილი აქვს პერსონებისგან კოსმოსის აგების ამოცანის გადაჭრას. ანტროპოცენტრიზმისა და, კერძოდ, მისი უარესი სახის — ეგოცენტრიზმის დასაძლევად. — ეგოცენტრიზმისა, რომელიც უსათუოდ შეიცავს სოლიფსიზმის საფრთხეს — აუცილებელია არსებითად იქნეს ცნობილი პერსონის დამოკიდებული ბუნება (არათავისთავში დახშულობა). სუბორდინაციის სისტემა შესაძლებელყოფს თითოეულ ცალკეულ პერსონაში მოცემული იყოს მისი საკუთარი რაობაც, ზემდგომი პერსონის რაობაში მონაწილეობაც, და ქვემდგომი პერსონების წვლილიც მის საკუთარ რაობაში. პერსონები შინაგანი კავშირებით არიან გაერთიანებულნი. პერსონა — ენტელექია ქვემდგომ პერსონებს იარაღად გამოიყენებს საკუთარი მიზნების განხორციელებაში. მაგრამ ქვემდგომი პერსონები მისთვის გარემდგომნი კი არ არიან, არამედ მასშივე არიან მოცემული, მის ორგანოებს წარმოადგენენ. ასე, მაგალითად, ინდივიდური ადამიანი ოჯახის ორგანოა. ოჯახი — ინდივიდურ ადამიანების მრავლობის (multiplicitas) ერთიანობაა (unitas). ზემდგომი პერსონა ქვემდგომ პერსონებს თავისი მიზნების განხორციელებას ავალებს და ამდენად — რადგან ეს მიზნები არაა ქვემდგომი პერსონის მიზნები — ქვემდგომი პერსონა „ნიეთია"; ჰეტერონომია ხომ პრინციპულად ანტიპერსონულია, პრინციპულად ნიეთისეულია.

ამგვარად, აიგება პერსონათა იერარქიის დახშული სისტემა, ღვთაებრივი ყოვლადპერსონით დასრულებული.

პერსონალიზმის ავტორი სპეციალობით ფსიქოლოგი რომ არ ყოფილიყო, ადვილად შესაძლებელია, და საფიქრებელიცაა, რომ კოსმოსის ასაგებად პერსონებისგან იგი იმყოფინებდა პერსონათა იერარქიიდან გამომდინარე (ან, იქნებ, პერსონათა იერარქიის პირობამდებელ?) ურთიერთობას პერსონებს შორის, ურთიერთობას, რომელიც სუბორდინაციით განისაზღვრება. რომ პრინციპში შესაძლებელია პერსონალისტური სისტემა დაკმაყოფილდეს პერსონებს შორის მხოლოდ ასეთი ურთიერთობის დაშვებით — ფაქტია. 1918 წლამდე, ადამიანის პიროვნების შესახებ სპეციალური გამოკვლევის გამოქვეყნებამდე, პერსონალიზმისთვის არც არსებობდა სხვაგვარი ურთიერთობა პერსონებს შორის. ამის საუკეთესო პოზიტიური საბუთი ისაა, რომ ავტორი, ემყარებოდა რა Lotze-ს დებულებას, რომ „ყველა ელემენტები, რომელთა შორის შესაძლებელი

უნდა იყოს ურთიერთზემოქმედება, ერთი საერთო ჰეშმარიტი არსებულის ნაწილებად უნდა იქნენ განხილული"[230], — უარყოფდა სინტელიას, როგორც მიზნისეულობის დამოუკიდებელ სახეობას და ჰიპერტელიაზე დაჰყავდა იგი. პერსონათა იერარქიული ურთიერთობიდან სინტელია არ გამომდინარეობს, მაგრამ იგი ემპირიული ფაქტია და მისი ახსნა იერარქიის საფუძველზე შეიძლება მხოლოდ როგორც ჰიპერტელიის სახესხვაობისა.

კონვერგენციის თეორია

ადამიანის პიროვნების სპეციალურად კვლევისას უდავო გახდა, რომ დახშული შინაგანი ურთიერთობა პერსონებისა არ ამოსწურავს მათი ყოფის მრავალფეროვნებას. პერსონას ნამდვილი გარეგანი ურთიერთობაც აქვს ტრანსპერსონულ სამყაროსთან. გამოიკვეთა სრული მნიშვნელობით „გარეგანი" სამყარო, გარესამყარო, რომელთანაც პერსონას აკავშირებს არა მარტო თანაქვემდებარება რომელიმე საერთო ზემდგომი პერსონისადმი, უკიდურეს შემთხვევაში ყოვლადპერსონისადმი, არამედ უშუალო (უკეთ: ზემდგომი პერსონით გაუშუალებელი) ურთიერთობა. პერსონას უპირისპირდება გარესამყარო; ეს უკანასკნელი ნამდვილ „არა-მე"-დ ევლინება პერსონას, რაც ვერ ითქმის იერარქიულად მასთან დაკავშირებული: ზემდგომი, ქვემდგომი თუ „თანამდგომი" — პერსონების შესახებ, რომლებიც, რაღაცნაირად, იმანენტურნი არიან პერსონისთვის. „არა-მე" სამყაროსთან ურთიერთობაა, ნამდვილად რომ „ეღებს ფანჯრებს" პერსონას. პერსონის ცნების უფრო გვიანდელ განსაზღვრებაში არსებით ნიშნად შეტანილია „სამყაროსთვის ღიად ყოფნის" ნიშანი. იგი გულისხმობს, რომ პერსონა არა მარტო იერარქიულადაა დაკავშირებული გარესამყაროსთან, არამედ ურთიერთობა აქვს მასთან, როგორც პრინციპულად უცხოსთან, „სხვა"-სთან. რამდენადაც ახალია იერარქიის იდეა, იმდენადვე ძველია გარესამყაროსთან ურთიერთობის იდეა. სოლიფსისტის მეტი ყველა აღიარებს ამ ურთიერთობას. განსხვავება მხოლოდ ამ ურთიერთობის ხასიათის, როგორობის გაგებაშია. ამ საკითხზე ორი ძირითადად განსხვავებული შეხედულებაა შესაძლებელი: ან გარესამყაროს უნდა მიეკუთვნოს პირველობა „ინიციატივა" პერსონი-

---

[230] ციტირებულია 2,346.

სა და სამყაროს ურთიერთობაში, ან — პერსონას. მართალია, ვ. შტერნამდე „პერსონის" შესახებ არ იყოს ლაპარაკი, არამედ, საუკეთესო შემთხვევაში, ადამიანის ან პიროვნების შესახებ, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. როგორადაც არ უნდა ყოფილიყო გაგებული ადამიანი — და ზოგადად ცოცხალი ორგანიზმი, — დაშვებული იყო გარესამყაროსთან მისი ურთიერთობა. ახალ ბიოლოგიაში და ფილოსოფიაში ცოცხალი ორგანიზმის ზოგადად, და კერძოდ ადამიანის სამყაროსთან ურთიერთობის ხასიათის გაგება ერთი მხრივ—ნატივიზმის, მეორე მხრივ—ემპირიზმის სახით ჩამოყალიბდა. ერთ-ერთი მათგანის სასარგებლოდ გადაჭრა საკითხისა ვერ მოხერხდა და ვ. შტერნის აზრით ვერც ეოხერხდება, რადგან თვით საკითხია უსწოროდ დასმული. „რეალურად არ არსებობს ადამიანის არც ერთი თვისება, არც ერთი მოქმედება, არც ერთი ფენომენი, მოკლედ, — არც ერთი ნიშანი, რომლის შესახებაც შეგვეძლო გვეთქვა, რომ იგი თანშობილია ან შეძენილია. aut—aut (ან—ან) მუდამ მცდარია, et—et (ესეც—ისიც) —მუდამ სწორი"[231].

ნატივიზმისა და ემპირიზმის ცალმხრიობის დაძლევა ვ. შტერნმა „კონვერგიზმით" სცადა. თუ ემპირიზმი ადამიანს სრულიად პასიურ არსებად სახავდა, რომელსაც მხოლოდ გარედან მომქმედ გამღიზიანებლის ს ა პ ა ს უ ხ ო დ შეეძლო რაიმეგვარი მოქმედების განხორციელება, კონვერგენციის თეორიის თანახმად რაც უნდა პასიური და მექანიკური იყოს რეაქცია, შეუძლებელია იგი მხოლოდ გარეგამღიზიანებლის ერთმნიშვნელოვან პროდუქტს წარმოადგენდეს. მასში უსათუოდ მონაწილეობს საკუთრივ-პერსონული „შინაგანი" ფაქტორიც. მაგრამ, მეორე მხრივ, თუ ნატივიზმი ადამიანის ყოველგვარი მოქმედების ახსნას თანშობილი თვისებებით ლამობდა და ადამიანისა და გარესამყაროს ურთიერთობაში სამყაროს სთვლიდა სრულიად პასიურად, — კონვერგენციის თეორიის თანახმად რაც უნდა თავისუფალი და გენიალური იყოს სპონტანური აქტივობა, საბოლოოდ მისი ჩამოყალიბება და გაერთმნიშვნელოვანება მხოლოდ გარესამყაროს მეოხებით შეიძლება განხორციელდეს[232].

---

[231] 3,98—100.

[232] იხ. 9,52.

კონვერგენციის თეორია ვ. შტერნის ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობის მონაპოვარია. ფსიქოლოგიაში კონვერგენციის პრინციპს საყოველთაო მნიშვნელობა აქვს, რადგან პიროვნების ყოფიერება მთლიანად მის საფუძველზეა აგებული, პერსონული ყოველი მოვლენა თუ მდგომარეობა, პერსონული ყოველი ფაქტი — კონვერგენციის შედეგია პერსონალიზმის თვალსაზრისით. მოძღვრება კონვერგენციის შესახებ პერსონალისტური მოძღვრების ორგანული ნაწილია და უმისოდ ვ. შტერნის პერსონალიზმის არსებობა იმ აზრით, რა აზრითაც ჩვენ დღეს გვესმის იგი, სრულიად წარმოუდგენელია. როგორც აღვნიშნე, კონვერგენციის თეორია ავტორის შემოქმედების გვიანი პროდუქტია. ფილოსოფიური სისტემის აგება უმისოდ იქნა დაწყებული და, შეიძლება, ნაწილობრივ მაინც, ამ გარემოებით აიხსნას ის, რომ „პერსონა და ნივთის" პირველმა ტომმა (1906) თითქმის არავითარი გამოხმაურება არ პოვა[233]. კონვერგენციის თეორია ყურადღებელი ვერ დარჩებოდა იმ დროს, როდესაც ნატივიზმისა და ემპირიზმის კამათი დღითი დღე მწვავდებოდა საერთო ბიოლოგიურ მეცნიერებებში და არა ნაკლებ — ფსიქოლოგიაში და პედაგოგიკაში.

ძნელი წარმოსადგენია ნატივისტი, რომელიც სრულიად უარყოფდა გარემოსამყაროს მნიშვნელობას ადამიანის ყოფიერების რაგვარობისთვის და თვით ადამიანის არსებობისთვის. ასევე ძნელი წარმოსადგენია ემპირისტი, რომლისთვისაც სრულიად არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა თუნდაც თვით „დაფის" რაგვარობას, რომელზედაც ემპირიას უნდა დაეწერა სამყაროს მატიანის სტრიქონები. მაგრამ ნატივისტის მხრივ სამყაროს როლის დაშვება კომპრომისი იყო, რომელიც თეორიის პრინციპებს არ უნდა შეხებოდა. ასეთივე კომპრომისი იყო ემპირისტისთვის tabula rasa-ს თვისებების მხედველობაში მიღება. პირველისთვის სამყარი პასიური სარბიელი იყო პიროვნების სამოქმედოდ, მეორისთვის ადამიანი — ნედლი თიხა იყო, რომლისგანაც გამოცდილება სძერწავდა გარკვეული სახის პიროვნებას.

კონვერგენციის თეორიისთვის პიროვნული შინაგანი ფაქტორიც და სამყაროისეული გარეგანი ფაქტორიც თანაბრად აუცილებელია პიროვნების რეალური ყოფიერების ყოველი კერძო გამოვ-

---

[233] მის შესახებ, მგონია, მხოლოდ ერთი რეცენზია არსებობს — Bloch-ისა.

ლენისთვის სამყაროს გარეშე პიროვნება არ არსებობს, მაგრამ არც პიროვნების აქტიური მონაწილეობის გარეშეა შესაძლებელი მისი გამოვლენა, გამომჟღავნება სამყაროს ზემოქმედების საპასუხოდ.

ადამიანის ყოფიერებაში შინაგანი და გარეგანი ფაქტორების თანასწორუფლებიანობა ემპირიით ნაკარნახევი, მაგრამ ფილოსოფიურად გამართლებული დაპერსონალიზმის სისტემის მთლიანობაში შეტანილი ვითარებაა. პიროვნება — და, ზოგადად, პერსონა,—ისეთ არსებულად არის მიჩნეული, რომელიც აუცილებლად ურთიერთობაშია სამყაროსთან „ღიაა სამყაროსთვის".

თავდაპირველად (Person u. Sache, I)პერსონის ცნება ლოგიკურად უფრო უმწიკვლო იყო. მაგრამ, მიუხედავად იერარქიული ურთიერთობისა ყველა სხვა პერსონებთან, რაც პერსონის მრავალ-ერთიანობითი ბუნებიდან გამომდინარეობდა, პერსონა მაინც კარჩაკეტილი იყო. სამყაროსთან კონვერგენციის დაშვებამ. რაც უნდა ვიფიქროთ, ფსიქოლოგიურმა ემპირიამ აუცილებელყო, გაართულა პერსონის ცნება. და არა მარტო გაართულა — მნიშვნელოვნად დააბნელა კიდეც იგი.

არა ნატივისტური, არც ემპირისტული ყაიდის ურთიერთობა არაა დამაკმაყოფილებელი ვ. შტერნისთვის. ორივე შემთხვევაში დადასტურებულია მხოლოდ და მხოლოდ ადამიანისა (ზოგადად — ორგანიზმის) და გარესამყაროს ფაქტიური კავშირი და არა აზრითი, შინაგანი, აუცილებელი ურთიერთზე დამოკიდებულება. მეცნიერული ღირებულება კი მხოლოდ ამ უკანასკნელის ვაგებას და დასაბუთებას შეიძლება ჰქონდეს: მოძღვრება კონვერგენციის შესახებ მოწოდებულია დაამტკიცოს პერსონისა და სამყაროს ურთიერთგამსჭვალულობა.

კონვერგენციის მოძღვრებამ პერსონის ცნების პირველადი გაგების შეცვლა მოითხოვა. პერსონა, მიუხედავად იერარქიული ურთიერთობისა სხვა პერსონებთან, კარჩაკეტილი იყო იმდენად, რამდენადაც უშუალო ურთიერთობა გარესამყაროსთან არ ჰქონდა, არ ჰქონდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გარესამყარო როგორც ნამდვილი „არა-მე", არც არსებობდა კოსმოსის იმ გაგებაში, რომელიც ავტორის პირველ შრომებშია მოცემული. საჭირო შეიქმნა „სამ-

ყაროსთვის ღიად ყოფნის" ნიშნის პერსონის არსებით ნიშნად აღიარება. იდეური და რეალური პერსონის განსხვავება სწორედ სამყაროსთან ურთიერთობის თვალსაზრისით გამოიკვეთა: იდეური პერსონა შინაგანი კანონზომიერების (მიზანმისწრაფებულობისა და მიზანდასახულობის) ერთიანობაა. რეალური პერსონა — მიზნისეულობის განხორციელების ერთიანობა. განხორციელება კი სამყაროში ხდება. მაგრამ სამყარო მხოლოდ მასალა კი არაა, რომელზეც

მთლიანი სიცოცხლის მეშვეობით უკვე გაჟღენთილია კონვერგენციით (konvergenz getränkt)"[238]. ასეთი „გაჟღენთვა" იმის წყალობითაა შესაძლებელი, რომ პერსონას სახვის უნარი — პლასტიკურობა—გააჩნია. გარემოსამყაროს ზეგავლენით იცვლება პიროვნების დისპოზიციური რომელობა, ენტელექია. ისე, რომ კონვერგენციის ნაყოფი მხოლოდ ცალკეული კონკრეტული ვლენა კი არაა, არამედ თვით პერსონაც, რომელიც კონვერგენციის ყოველ მომდევნო კონკრეტულ აკუტურ აქტში მისი (კონვერგენციის) შინაგანი ფაქტორის როლში გამოდის. ამ აზრთამსვლელობას ლოგიკურ დასრულებამდე თუ მივიყვანთ, უნდა დავასკვნათ, რომ პერსონა თვითონაც გარემოსამყაროს პროდუქტია. ამითი, რა თქმა უნდა, გაბათილება პერსონის ორიგინალურობა, თავისთავადობა, აქტიურობა და მივიღებთ „ველის ძალთა" თეორიას, რომელსაც ავტორი არავითარ შემთხვევაში არ დაეთანხმება: პერსონის სუბსტანციურობა და პერსონალიზმის მთელი აზრი მოისპობა, გაქარწყლდება ასეთი დაშვებით. ამიტომ, ავტორი ცდილობს დაუტოვოს პიროვნებას ადგილი და როლი კონვერგენციაში. და კონვერგენციის „შინაგან ფაქტორად" აღიარებს პიროვნების თანშობილ მომენტს, თანშობილ მსარესა თუ რაობას — „წინასამყაროს" (Vorwelt) სახით. ამის დაშვებას ერთი დასკვნა მოსდევს: პიროვნება რეალურ ყოფაში არასოდეს არაა მხოლოდ „შინაგანის", მხოლოდ მემკვიდრეობის განხორციელება, რადგან დაბადებისთანავე იგი კონვერგენციაში მოდის გარემოსამყაროსთან და, კიდევ მეტიც, პრე-ნატალურ მდგომარეობაშივე იგი უკვე კონვერგენციის პროდუქტია. კონვერგენციის პირველი ფაქტი ქრონოლოგიურად თანხვდება ინდივიდური პერსონის არსებობის პირველ მომენტს და არა მარტო ქრონოლოგიურ გარეგნულ თანხვედრას აქვს ადგილი, არამედ ლოგიკურ ერთიანობას, რადგან პერსონის ა რ ს ე ბ ო ბ ა მის ს ა მ ყ ა რ ო შ ი ა რ ს ე ბ ო ბ ას ნიშნავს. მართალია, პერსონა გაჩენისას არაა tabula rasa, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „აპრიორული" ენტელექიის მატარებელია, მაგრამ კონვერგენციის ესოდენ შორს გატანით ინდივიდის ისტორიის დასაბამისკენ, პიროვნება-ენტელექია ფაქტიურად გარემოსამყაროისეულ ძალთა მიყენების, საკუთარ შინაარსს მოკლე-

---

[238] 3, 103.

ბულ პუნქტად ისახება. ამით არაჩვეულებრივ იზრდება გარეგანი ფაქ-ტორის როლი კონვერგენციაში, შინაგანისა კი — მინიმუმზე დაიყვა-ნება, სახელდობრ, პერსონის მხოლოდ და მხოლოდ ა რ ს ე ბ ო ბ ა ზ ე. თითქოს შეიძლებოდა გვეთქვა: „პერსონაში არაფერია ისეთი, რაც წინასწარ არ ყოფილა კონვერგენციაში"-ო და ამით ემპირიზმისა-თვის ხელსაყრელ გაშუქებას მიიღებდა საკითხი (თუმცა კონვერ-გენცია სხვაა, ვიდრე გარემოსამყარო!); მაგრამ ამ ფორმულას უნდა დაემატოს ფილოსოფიის ისტორიაში ასევე კარგად ცნობილი „გარ-და": „გარდა თვით პერსონისა". და ამ დამატების ძალებით საკი-თხი კვლავ ნატივიზმის სასარგებლოდ გადაწყდება, რადგან პერსო-ნა, რომელიც აქ არის ნაგულისხმევი, არ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ გარემოსამყაროს ნაყოფი იყოს, არამედ—მისთვის დაპი-რისპირებული არსება. რეალურ პიროვნებას, ავტორის თანახმად, წინასამყაროს და გარემოსამყაროს კონვერგენცია ქმნის. მაგრამ კონვერგენციის პირველ აქტში შინაგან ფაქტორად წმინდა სახით უნდა იყოს მოცემული წინასამყარო. სხვაგვარად შეუძლებელია საქ-მის ვითარების გააზრება. ასე რომ არ იყოს და კონვერგენციაში მონაწილე პერსონა პრინციპულად მხოლოდ გარესამყაროს ძალთა გადაკვეთის წერტილი რომ ყოფილიყო, მაშინ არავითარ კონვერ-გენციაზე აღარ იქნებოდა ლაპარაკი, რადგან კონვერგენციისთვის უსათუოდ ორი ფაქტორია საჭირო.

ნამდვილად ასე რომ იაზრებოდეს საქმის ვითარება ვ. შტერ-ნის მიერ (ქვემოთ ვნახავთ, რომ ბოლომდე თუ გაეიაზრებთ კონ-ვერგენციის ჭეშმარიტ რაობას პერსონალიზმის საერთო ფონზე, სხვაგვარ დასკვნას მივიღებთ) კონვერგენციის მოძღვრების მდგო-მარეობა ძალიან უნუგეშო იქნებოდა. პერსონისა და სამყაროს და-პირისპირებისას დუალიზმთან გვაქვს საქმე. ამ შემთხვევაში არსე-ბითი მნიშვნელობა არა აქვს სულისა და სხეულის დუალიზმი იქნე-ბა ეს, თუ პერსონისა და ნივთის დუალიზმი — კაცობრიობის აზ-როვნების ისტორიის საკმაო გამოცდილება აქვს გათიშული სუბს-ტანციების ურთიერთზემოქმედების ახსნის უნაყოფო ცდებისა, რომ ღირდეს ასეთი ცდის გაკეთება. შემდეგში საგანგებოდ მექნება მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ სცადა ვ. შტერნმა სულისა და სხეულის დუალიზმის მოხსნა პერსონის ფსიქოფიზიკური ნეიტ-რალობით. აქ საქმე ეხება პერსონისა და სამყაროს (ანუ ნივთის) დუალიზმს, ანუ „დიალექტიკურ ერთიანობას", როგორც ავტორს.

ჰგონია. თუ კონვერგენციის თეორიის შესახებ მსჯელობას იმ დებულებით დავიწყებთ, რომ პერსონას უპირისპირდება სამყარო, როგორც ობიექტი, როგორც „არა-მე“, — ამ თეორიის შესახებ მხოლოდ ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ[238], რომ ამ ორი ფაქტორის თანსვეედრა შემთხვევითია, პრინციპულად ვერ იქნება პერსონის ტელეოლოგიით წარმართული, და პერსონული გამოელენანი, რამდენადაც ისინი გარემოსამყაროისეული ფაქტორითაც არიან პირობადებულნი, სრულიად მოუწესრიგებელნი, არაკანონზომიერნი და მიზანშეუწონელნი არიან. ამ პირობებში რაიმე განვითარების შესახებ ფიქრიც კი არ შეიძლება. კონვერგიზმის ნამდვილ ამოცანას კი სწორედ პერსონის განვითარების მექანიზმის გაგება შეადგენს, რადგან კონვერგენცია პერსონის სამყაროსთან ურთიერთობის, სამყაროს გარემოცვაში ყოფის, ე. ი. პერსონის რეალური არსებობის ფორმაა; ხოლო არსებობა ნიშნავს სიცოცხლეს, ანუ თვითგანვითარების მიზნების უწყვეტ განხორციელებას; იმ მიზნებისა, რომლებისთვისაც განხორციელების პირობების შექმნა ერთადერთი აზრია პერსონის მთელი დანარჩენი ავტოტელიისა.

არ ღირდა სულისა და სხეულის დუალიზმის გადალახვა, თუ მის ნაცვლად პერსონისა და ნივთის (სამყაროსი) დუალიზმი შეგვრჩებოდა ხელთ! აზროვნების განვითარების ისტორიაში ჩვეული და გასაგებიცაა ერთი უკიდურესობის წინააღმდეგ ბრძოლისას მეორე უკიდურესობაში ჩავარდნა, ერთი აზრის მცდარობის დასაბუთება მეორე, შეიძლება, არანაკლებ მცდარი აზრით, ვ. შტერნსაც შეიძლებოდა დამართნოდა ასეთი რამ. პერსონის ცნება მან წამოაყენა, როგორც ფსიქიკურისა და ფიზიკურის გათიშულობის მიღმა მდგომი, ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური „მეტაფსიქოფიზიკური“ არსების ცნება. ძირითადი შეცდომა ვ. შტერნისა სწორედ ესაა: მან სათანადოდ ვერ ისარგებლა, მართალია, მეთოდიკურად უმართებულოდ მიღებული, მაგრამ არსებითად სწორი წინამძღვრით, რომ არსებობს ობიექტური სამყარო. ამ დებულებაზე შეიძლებოდა ისეთი ფილოსოფიის აგება, რომლის ნიადაგზე თავისუფლად მოიხსნებოდა სულისა და სხეულის დუალიზმი, რამდენადაც სული სხეულის თვისებად იქნებოდა გაგებული. ამ საქმის ახლად გაკეთება არც კი დასჭირდებოდა ვ. შტერნს; ეს საქმე უკვე გაკეთებული

---

[238] რომელიც დ. უზნაძემ გამოიტანა 1933 წ. (მოხსენება საფსიქოლ. სახ-ში).

იყო, საჭირო იყო მხოლოდ მისი გააზრება და ფსიქოლოგიური მეცნიერების სპეციალურ სფეროში გამოყენება.

ვ. შტერნი, სრულიად უეჭველად, დიალექტიკოსია თავისი აზროვნების ყაიდით. წინააღმდეგობათა ერთიანობა (მთლიანობა) გამსჭვალავს მის ფილოსოფიასაც და ფსიქოლოგიასაც. ყოველ თეზისს მოეპოვება ანტითეზისი და, ბოლოს, ორივე მოიხსნება უმაღლეს სინთეზით: თვით კრიტიკული პერსონალიზმიც, როგორც მსოფლმხედველობა, გულუბრყვილო-პერსონალისტურისა და იმპერსონალისტური მსოფლმხედველობათა სინთეზად მიაჩნია ავტორს. პერსონის მიზნისეულობაში ავტოტელიისა და ჰეტეროტელიის სინთეზს ინტროცეფცია წარმოადგენს. პიროვნების საკუთარი განზომილება — ჩანერგილობა — გამოყოფილობის, სიღრმეზედაპირის დიალექტიკაზეა აგებული; დიალექტიკური აზროკნებითაა ნაკარნახევი თანამედროვე ფსიქოლოგიის უპოპულარულესი ცნების — გეშტალტის — ანტითეზისის, „უნგეშტალტის" პოზიტიურ რომელობად აღიარება; პერსონის სტრუქტურა, როგორც მრავლიანობის ერთიანობა, აგრეთვე დიალექტიკურია და სხვ.

ძირითადი წინააღმდეგობა კი უნდა იყოს პერსონისა და ნივთის წინააღმდეგობა. არის კი ნამდვილად მოცემული ვ. შტერნის სისტემაში პერსონისა და ნივთის დიალექტიკური წინააღმდეგობა? — მე ვფიქრობ, რომ არა.

წინააღმდეგობათა დიალექტიკური ერთიანობის (მთლიანობის) შესახებ მხოლოდ იქ შეიძლება ლაპარაკი, სადაც ანტითეზისიც ისევე, როგორც თეზისი პოზიტიურად შეიძლება იქნეს დახასიათებული. ეს ვ. შტერნმაც იცის (და ამიტომაა, რომ, მაგალითად, უნგეშტალტის ცნების დადგენისას, საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ უნგეშტალტი არ უნდა გვესმოდეს როგორც ცუდი გეშტალტი ან გეშტალტურობის არ-ქონება, არამედ — როგორც პოზიტიური როგორობა). ნივთის ცნება კი, ამ თვალსაზრისით, სრულიად არადამაკმაყოფილებელია ამ ცნების განსაზღვრება, არსებითად, ნეგატიურია. ეს გარემოება სამყოფია ცნების ღირებულებაში შესაეჭვებლად. მაგრამ მას მეორე მანკიც აქვს: ის, რაც პოზიტიურ დახასიათებას უნდა წარმოადგენდეს ნივთისას, მხოლოდ — თუ შეიძლება ასე ითქვას — გრამატიკულადაა პოზიტიური დახასიათება, ლოგიკურად კი — აბსურდია: ზემოთ დაწვრილებით განვიხილე (იხ. გვ. 228—229) აბსოლუტური ნივთის რეა-

ლურად არსებობის შეუძლებლობაც და აბსოლუტური ნივთის ცნების გაუმართლებლობაც. პერსონისთვის დიალექტიკურად მისი დაპირისპირების თვალსაზრისით კი ამის გარეშეც უვარგისია იგი. რომ არსებულიყო აბსოლუტური ნივთი, იგი თუმც უმდაბლესი, მაგრამ მაინც პერსონა უნდა ყოფილიყო და, ამდენად, არავითარი წინააღმდეგობა პერსონისა და ნივთის შორის მაინც აღარ იქნებოდა. და კიდევ: ავტორის თანახმად ყოველ არსებულ ადამიანს მხოლოდ პერსონის სახით შეუძლია იაზროს, ისე რომ ნივთი, რომც არსებობდეს, ჩვენი შემეცნებისთვის იგი მიუწვდომელი იქნებოდა. მაგრამ ვ. შტერნის ნივთი არაა კანტის თავისთავადი საგანი. ერთ-ერთი მიზეზი ნივთის „ნივთად" სახელდებისა შეიძლება სწორედ იმის შიშიც იყოს, რომ შეუცნობელი საგნის არსებობის აღიარება არავის დაეწამებია ავტორისთვის, თორემ ტერმინი „საგანი" (Ding) საკმაოდ პოპულარულია გერმანულ ფილოსოფიაში იმისთვის, რომ ახალი ტერმინების ძებნა აღარ გამხდარიყო საჭირო.

გაუგებრობის შთაბეჭდილება რომ არ შეიქმნას, უნდა ვთქვა, რომ „გარესამყარო" და „ნივთს" სავსებით შეგნებულად ვაიგივებ. კონვერგენციის პრობლემის პლანში ისინი, შეიძლება ითქვას, სინონიმებია.

ფრიად ნიშანდობლივია ავტორის აღსარება: ადამიანს იმთავითი რწმენა, რომ არ ჰქონოდა ობიექტური სამყაროს არსებობისა—ვერავითარი დისკურსია ვერ შეჰქმნიდა, ვერ „გამოიყვანდა" სუბიექტიდან ობიექტსო (იხ. გვ. 44). ავტორს სწამს ობიექტური სამყაროს არსებობა და მისი არსებითი, აზრითი კავშირი პერსონასთან. ობიექტური სამყაროს არსებობის დასაბუთებაზე ავტორი, როგორც ვიცით, უარს აცხადებს და რწმენის საგნად აღიარებს მას. პერსონასთან მისი კავშირის კვლევა კი პერსონალისტიკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიაჩნია.

ზევით (გვ. 44) ჩვენ ვნახეთ, რომ პერსონას კავშირი აქვს არა სამყაროსთან საერთოდ, არამედ ე. წ. პერსონულ სამყაროსთან. ამ სამყაროს შედგენილობაში მხოლოდ ის შედის ობიექტური სამყაროდან, რასაც მნიშვნელობა აქვს პერსონის სიცოცხლისთვის. მაგრამ ობიექტური სამყაროს ვერც ერთი მოვლენა თავისით ვერ შევა პერსონულ სამყაროში. „ყოველი ინდივიდის გარემოსამყაროს შერჩევა და შემოფარგვლა თვით ინდივიდის მონაწილეობით ხდება. არ არსებობს გარემოსამყარო, როგორც სრულიად უცხო, არაპერსონული,

ერთმნიშვნელოვნად გარედან მომქმედი ძალა"[237]. მოკლედ პერსონა თითონ ქმნის თავის სამყაროს. „გავლენები, რომლებიც პერსონაზე გარედან (სამყაროდან) მოქმედებენ, წმინდა სახის უცხო მოვლენები კი აღარაა, მარტო და მხოლოდ გარემოს ელემენტები კი აღარაა,— არამედ პერსონის მიერაა უკვე შერჩეული და ჩამოყალიბებული"[238]. ე. ი. კონვერგენციის გარეგანი ფაქტორი, კონვერგენციის ყოველ კერძო შემთხვევაში, უკვე კონვერგენციის პროდუქტია!

კონვერგენციის შინაგანი ფაქტორის — პერსონის — მდგომარეობაც ანალოგიურია. მაგრამ მე ვცადე (იხ. გვ. 244) ნათელმეყო, რომ ინდივიდის ისტორიაში არის ერთი მომენტი, როდესაც პერსონა კონვერგენციაში მონაწილეობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, წმინდა, ადრინდელი კონვერგენციების მიერ შეურყვნელი რაობით. ეს უნდა იყოს პერსონის ისტორიის დასაწყისში, პერსონის გაჩენის მომენტში. პერსონული სამყაროსთვის აზრი არა აქვს ასეთი მომენტის ძიებას „ისტორიის სათავეებში", რადგან პერსონულ სამყაროს არ გააჩნია ისტორია: ცალკეულ სიტუაციებს შორის არ არსებობს შინაგანი მიმღებლობა, მათი თანამიმდევრობა „გარედან", ტრანსცენდენტურადაა, განსაზღვრული პერსონის სიცოცხლის მიმდინარეობის უწყვეტობით. ყოველი სიტუაცია ერთხელობრივია, წარმავალია და განუმეორებელია, სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ამიტომ მისი გენეზისის შესწავლაში ვერც ერთ კერძო შემთხვევას ვერ მივანიჭებთ უპირატესობას: კონვერგენციის ყოველ კერძო შემთხვევაში სამყარო უკვე პერსონული ზემოქმედების შედეგია, უკვე „პერსონული სამყაროა". იგი არაა ობიექტური სამყაროს ობიექტური მონაკვეთი (Stück), რადგან მისი ბუნება არსებითად განსხვავებულია ობიექტური სამყაროს ბუნებისაგან; იგი არის სუბიექტურად[239] ასახული ობიექტური სამყარო. ასახვის პროცესში ხდება ობიექტური სამყაროს არსებობის ძირითადი ფორმების: დროისა და სივრცის ძირიან-ფესვიანი გადახალისება; პერსონას ურთიერთობა აქვს ამგვარად ასახულ სამყაროსთან, მხოლოდ ამ-

---

[237] 5,87.

[238] 3,102.

[239] ვ. შტერნი ამბობს, რომ „პერსონული" სამყაროს ნაცვლად შეიძლებოდა „სუბიექტური" სამყაროს შესახებ გველაპარაკა, ცნობიერების ელფერი რომ არ ჰქონოდა ტერმინს: „სუბიექტური"-ო. იხ. 1,123.

გვარად ასახული სამყარო არსებობს მისთვის[240]. კონვერგენციას წინ უსწრებს ასახვა! მაგრამ ასახვა ხომ ურთიერთობაა? ამრიგად, კონვერგენცია შეიძლება იყოს მხოლოდ მეორადი (ლოგიკურად) ურთიერთობა, დაფუძნებული პირველადს ურთიერთობაზე. რომლითაც ხდება ობიექტური სამყაროს გასუბიექტურება. ამ პირველადი ურთიერთობის შესახებ ავტორი არაფერს ამბობს. ჩანს, მას არც უგრძვნია მისი აუცილებლობა.

ზემოთ (გვ. 244—245) ვნახეთ, რომ კონვერგენციის თეორიას დუალიზმში ჩავარდნის საფრთხე მოელოდა; პერსონისა და სამყაროს კავშირი მხოლოდ უბრალო შემთხვევის საქმე უნდა ყოფილიყო, თუ სამყარო გააზრებულ იქნებოდა, როგორც ჰეშმარიტი „არა-მე". თეორიის შემდგომმა განვითარებამ ააცდინა მას დუალიზმის საფრთხე. პერსონული სამყაროს პრობლემის დაბეჯითებით დამუშავებამ[241] ნათელყო პერსონისა და პერსონული სამყაროს კონტაქტის შესაძლებლობა და მეტიც — კანონზომიერება. მაგრამ ეს კონტაქტი ძალიან ძვირად დაუჯდა პერსონალიზმს. ამისთვის აუცილებელი გახდა სრულიად თავისებური — „პერსონული" — სამყაროს აგება. პერსონას კონტაქტის შესაძლებლობა მიეცა სამყაროსთან, მაგრამ ეს სამყარო. თუ შეიძლება ასე ითქვას, „მის-მიერი", სუბიექტური სამყაროა; ობიექტური, ე. ი. პერსონისგან დამოუკიდებლად არსებული სამყარო კი, რომლის არსებობა პერსონალისტური მსოფლმხედველობის პირველ პოსტულატად იყო გამოცხადებული, სრულიად შეუვალი დარჩა პერსონისთვის. პერსონა იქცა „ერთადერთად", სამყარო — „მის საკუთრებად", რისაც ასე ეშინოდა ავტორს[242].

ასეთი დასკვნის გამოტანას გვაიძულებს ლოგიკური აუცილებლობა. ვ. შტერნი, შეგნებულად, უსათუოდ წინაღუდგებოდა ასეთ დასკვნას. მაგრამ ვნახოთ, მართლა არსებითად შეუთანხმებელია იგი პერსონალიზმის ძირითად მოსაზრებებთან?

პერსონალიზმის სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყოვლადპერსონა. ჩემი აზრით, იგი მიუღებელია ამ სისტემისთვის, მრავალი საბუთით (იხ. გვ. 231—232), რომელთა შორის ძირითადია

---

[240] თითქმის: „esse est percipi"!

[241] Personalistik als Wissenschaft, 1930.

[242] იხ. 3,95.

გარესამყაროს-მოკლებულობა. მაგრამ ავტორს უდავოდ დაშვებული აქვს მისი არსებობა. რა შეეძლო ეთქვა მას მოტანილი კონტრარგუმენტის წინააღმდეგ? ალბათ მხოლოდ ის, რომ, საყოველთაოდ, პერსონისა და გარესამყაროს შორის საზღვარი მკაფიო ხაზს კი არ წარმოადგენს, არამედ შემოგარეს, სფეროს (Bereich), ისე რომ ზუსტად არ შეიძლება დადგენილ იქნეს პუნქტი, თუ ხაზი, სადაც თავდება პერსონა და იწყება სამყარო; ეს, განსაკუთრებით, სიცოცხლის ვიტალურ მოდუსშია თვალსაჩინო. მეორე მხრივ, პერსონული განზომილების შუაგულს, ე. წ. „ცენტრალურ პერსონას", გააჩნია საკუთარი შინაარსი, რომელიც განვითარებისდაკვალად, თანდათან გამოეყოფა გარესამყაროს, როგორც შედარებით დამოუკიდებელი წარმონაქმნი — შინა-პერსონა[243]. პერსონისა და სამყაროს დიფუზური განუთიშველობისგან, რომელიც სიცოცხლის ვიტალურ მოდუსს ახასიათებს, შესაძლებელი გახდა შინა-პერსონის გამოკვეთა იმის წყალობით, რომ შემოგარეს ფართო, დიფუზური განფენილობა შევიწროვდა და „საზღვრად" იქცა. პრინციპულად დასაშვები უნდა იყოს შემოგარეს იმდენად შევიწროვება, რომ იგი (თვალსაჩინო ანალოგიები რომ მოვიშველიოთ) მკაფიო წრეხაზად იქცეს, რომლის „შიგ" მხოლოდ შინა-პერსონა მოექცევა თავისი საკუთარი შინაარსით, მთელი დანარჩენი სამყარო კი ამ წრეხაზის „გარეთ" დარჩება. ასეთ შემთხვევაში პერსონას საკუთარი შინაარსისგან მოუხდება საკუთარი „სამყაროს" აგება. მხოლოდ ასე შეიძლება ვიაზროთ ყოვლადპერსონის შემთხვევა: იგი ხომ საკუთარი შინაარსის მასალით აგებს საკუთარ პერსონულ სამყაროს, რომელიც, ამ კერძო შემთხვევაში, ერთადერთი ობიექტური სამყაროცაა. მაგრამ ანალოგიურად აგებული ინდივიდური პერსონული სამყარო არ იქნებოდა ობიექტური სამყარო, არამედ პირიქით, — სავსებით „სუბიექტური". სამყარო-პერსონული სამყაროს განსხვავება ყოვლადპერსონული სამყაროსგან კვანტიტეტურიდან კვალიტეტურად იქცევა: ყოვლადპერსონას კავშირი აქვს ყოველივე არსებულთან, რამდენადაც იგი თვითაა ყოველივე არსებულის ერთობლიობა. ინდივიდურ პერსონას კი, ამ შემთხვევაში, აღარაფერთან აღარ ექნებოდა კავშირი, იგი სრულიად განცალკევებული და თავისთავში დახშული იქნებოდა.

---

[243] იხ. 5,117.

მაშასადამე, თუ ყოვლადპერსონა გამართლებულია პერსონალიზმის თვალსაზრისით, მისთვის მისაღები უნდა იყოს ჩვენ მიერ მიღებული დასკვნა პერსონისა და ობიექტური სამყაროს ურთიერთშეუვალობისა, პერსონული სამყაროს „პერსონოგენურობისა".

პერსონულმა სამყარომ გააბათილა ობიექტური სამყაროს მნიშვნელობა პერსონისთვის და პერსონა უსაშველოდ კარჩაკეტილ აბსოლუტურ „მე"-დ აქცია. ჭეშმარიტად შეიძლება ითქვას ამ შემთხვევაში ვ. შტერნის შესახებ:

„თვით ამხობენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ,
თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან".

საბოლოოდ ასე უნდა შევაფასოთ კონვერგენციის თეორია: უდავოდ დადებითი, პროგრესული მნიშვნელობა აქვს ნატივიზმისა და ემპირიზმის ცალმხრივობათა დაძლევის განზრახვას; კონვერგენციის თეორია — პირველი ასეთი ცდაა ფსიქოლოგიის ისტორიაში[244]. მაგრამ მარტო განზრახვა არაა სამყოფი თეორიის შესამუშავებლად. ამისთვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მტკიცე საფუძველი; ასეთ საფუძველს უნდა შეადგენდეს, ერთი მხრივ — ობიექტური სამყარო, მეორე მხრივ—პერსონა. ერთიც და მეორეც რწმენის საგანია ვ. შტერნისთვის. მაგრამ რწმენის ეს ორი საგანი ფორმალურ ლოგიკურ (და არა დიალექტიკურ, როგორც ავტორს ჰგონია!) წინააღმდეგობაშია ურთიერთთან, და ამიტომ მწყობრი თეორიის აგება ვერ ხერხდება მათ ნიადაგზე.

ფსიქოლოგიური საფუძველი ასეთი უკმარობისა ისაა, რომ ვ. შტერნის მოძღვრებას ორი წყარო აქვს: ფილოსოფიური სპეკულაცია და ფსიქოლოგიური ემპირია. თითონ ავტორი აღიარებს, რომ ფილოსოფიის სისტემის როგორობა ზოგადადამიანურისა და კულტურის ფაქტორის გარდა, აგრეთვე შემოქმედის ინდივიდუროობითაცაა განსაზღვრული. და თუ ასეა,—მის საკუთარ ფილოსოფიაზე იმან იქონია გავლენა, რომ ავტორი პროფესიით (და არა მარტო პროფესიით, არამედ მოწოდებითაც) ფსიქოლოგი იყო. ვცდი ამ ჩემი მოსაზრების დასაბუთებას.

ვ. შტერნის მეთოდის ერთი დიდი ნაკლია რწმენის ლეგალიზაცია.

---

[244] Düring: „Gegenüber diesen einseitigen Anschauungen (ნატივიზმი და ემპირიზმი) ... vertritt nun Stern eine ganz neuartige, in solcher Allgemeinheit noch niemals aufgestellte Theorie". ს. 408.

შინაარსობლივად არ შეიძლება დავეთანხმოთ ზოგიერთ მის მრწამსს, მაგალითად, ობიექტური სამყაროს არსებობისას, რაც მისი ფილოსოფიის ძირითად პოსტულატს შეადგენს. მაგრამ თვით მეთოდი პოსტულაციისა სრულიად მიუღებელია. აშკარად (expeicite)— მხოლოდ ერთხელ მიმართავს იგი ამ მეთოდს, — აღნიშნული არქიპოსტულატის (Urpostulat) დასადგენად. მაგრამ ფაქტიურად რწმენა არა მარტო სისტემის საფუძვლად სჭირდება ავტორს სისტემის შინაარსშიც საკმაო რაოდენობითაა იგი შეტანილი. ზემოთ დავრწმუნდით, რომ პერსონის ცნებაც რწმენაზე აგებულია და არა დისკურსიით გამოყვანილი ობიექტური სამყაროს არსებობიდან. უკეთ რომ ვთქვა: პერსონის ცნება ჰეტეროგენულია (სიტყვის ნამდვილი, ეტიმოლოგიური მნიშვნელობით) ფილოსოფიის სისტემისთვის. „პერსონა და ნივთის" პირველივე ტომის პირველივე გვერდებზე[245] ავტორი ამბობს, რომ პერსონის ცნების გამოყენება ადამიანის გარემდებარე სფეროების მიმართ ისევე არაა ანტროპომორფიზმი და მითოლოგიისკენ უკუქცევა, როგორც არ აქცევს მითოლოგიად ფიზიკას „ძალის", „მუშაობის" და „ენერგიის" ცნებების ხმარებათ.

საჭირო არაა ამონაწერების მოტანა იმის დასადასტურებლად, რომ ავტორი დაუცხრომლად, მაგრამ ამაოდ, იბრძვის პერსონის ანტროპომორფულობის შთაბეჭდილების გასაქარვებლად. მაგრამ qui s'excuse—s'accuse![246].

ადამიანის პიროვნების კვლევისთვის მიძღვნილ ოხზულებას იგი იმის აღნიშვნით იწყებს, რომ პერსონის ცნება წარმოშობით და საყოველდღეო სიტყვახმარების მნიშვნელობით ადამიანთანაა მხოლოდ დაკავშირებული: „ადამიანი რომ პიროვნებაა, ეს არც მეტაფიზიკური სპეკულაციაა, არც მეტად თუ ნაკლებად მტკიცე რწმენა, არამედ ყველაზე უფრო უეჭველი რამ, რაც კი შეიძლება არსებობდეს (das Gewisseste, das es gibt!"[247]. ფრიად საგულისხმოა ამ დებულების ფორმა. აზრი ადამიანის პიროვნულობის შესახებ რწმენაზეც კი უფრო უეჭველი რამ ყოფილა. გასაგებია, რომ იგი ძალიან ძლიერ ცთუნებას წარმოადგენს — მთელი სინამდვი-

---

[245] „Person und Sache", B. 1, S. 14.

[246] ვინც ბოდიშს იხდის—ბრალს იდებს.

[247] 3,3.

ლეც ისეთივე თავისთავად გასაგები გაჰხადო, როგორც ადამიანის პიროვნულობაა. ვ. შტერნი ამ ცნებას, სათანადო ცვლილებებით, მთელ სინამდვილეზე განავრცობს. იცვლება ტერმინიც: „პიროვნება“ ადამიანს შეეხება, „პერსონა“ („პირი“) — ადამიანის ანალოგიურ სხვა წარმონაქმნებს. პერსონის ცნება უფრო ზოგადია, ვიდრე პიროვნებისა; ეს უკანასკნელი პირველის სახეობაა, მისგან განცდისუნარიანობის სპეციფიკური ნიშნით განსხვავებული. ეს ორი ცნება ურთიერთზე მოქმედებს და ურთიერთს აყალიბებს. პერსონის ცნება იქმნება პიროვნების ცნებისთვის სპეციფიკური ადამიანური ნიშნების ჩამოცილებით, პიროვნების ცნება — პერსონის ცნების სპეციფიკაციით. პირველწყაროდ, ნიმუშად, პროტოტიპად პერსონისა კი, უდავოდ, ადამიანის პიროვნება რჩება.

ზემოთ უნდა დავრწმუნებულიყავით, რომ პერსონის ცნება დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა კოსმოსის ასაგებად. რადგან თვით არ ყოფილა შინაგანად გამართული და შინაგან წინააღმდეგობამდე მივიდა იერარქიის უკიდურეს საფეხურებზე. ყოველივე აქამდე ნათქვამი საკმარისად მიმაჩნია იმის ცხადსაყოფად, რომ პერსონა, როგორც სუბსტანცია, მიუღებელია. საჭიროდ არ მიმაჩნია სხვა საბუთების მოტანა იმის დასამტკიცებლად, რომ თანამედროვე ფილოსოფიისთვის სრულიად გაუმართლებელია სამყაროს პერსონული სახით არსებობის აღიარება.

პიროვნების ცნების გაზოგადების, მისი საყოველთაოდ გავრცელების მართებულება არაა ავტორის მიერ დასაბუთებული. იგი მხოლოდ იმას ემყარება, რომ არსებულის გააზრება მხოლოდ პერსონის სახით ძალუძს ადამიანს. ავტორი სრულიად გარკვეულად ამბობს, რომ პერსონის ცნება წარმოადგენს პიროვნების ცნების გავრცელებას სინამდვილის გარეადამიანურ სფეროებზე [248]. და ეს გავრცელება, შეიძლება ითქვას, პირდაპირ უსაზღვროა. როგორც აღნიშნავენ, ვ. შტერნმა პერსონის ცნება ბევრად უფრო ფართოდ გაშალა, ვიდრე აქამდე იყო მიღებული წინამეცნიერულსა და მეცნიერულ სიტყვა-ხმარებაში. „ყოველი მთლიანობა, რომელიც მეტია, ვიდრე აგრეგატი, ვიდრე ნაწილების ჯამი, მისთვის პერსონა არის [249]. ვ. შტერნს ნაჩვენები არა აქვს გზა, რომლითაც გავრცელდა პიროვნების ცნება ყოველივე არსებულზე. იგი მხოლოდ ფ ა ქ ტ ს აღნიშნავს

---

[248] 3,3.

[249] K o n s t a m m, Über Typen usw..., 160.

ამ გავრცელებისას. ადამიანის „პიროვნულობიდან“ სამყაროს „პერსონულობის“ დასკვნის მექანიზმი, — ვ. შტერნისავე ტერმინი რომ ვიხმარო — მხოლოდ „ტრანსდუქციული“ მსჯელობის ნაყოფი შეიძლება იყოს. მაშასადამე, პიროვნების ცნების განზოგადება მეცნიერულად არაა გამართლებული და აბსოლუტურად ერავითარ გარანტიას არ იძლევა დასკვნის მართებულობისას, წინამძღვრისადმი მისი შესატყვისობისას. თუ „ადამიანი — პიროვნებაა“, ეს არ ნიშნავს, რომ „ყოველი არსებული — პიროვნებაა“.

ადამიანის პიროვნება

(ინტროცეფცია. პროდუქციული თვითგანვითარება)

ვ. შტერნის ფსიქოლოგიის ამოსავალი დებულება ადამიანის პიროვნულობაა. ადამიანი ჩვენთვისაც ერთიანი პიროვნებაა, მაგრამ პიროვნების ვ. შტერნისეული გაგება არ ეთანხმება ჩვენ გაგებას.

ვ. შტერნის პიროვნების ცნების პირველი ნაკლია ბიოლოგიურობა. თავდაპირველად ავტორისთვის ადამიანის პიროვნება ყველა სხვა ბიოლოგიური პერსონებისგან მხოლოდ ცნობიერებით განსხვავდებოდა. პირდაპირ კარტეზიანული განსხვავებაა! მაგრამ თუ დეკარტისთვის ეს არსებითი, პრინციპული განსხვავება იყო ორი სუბსტანციისა, პერსონალიზმისთვის იგი არა ასევე მკაფიო და შეურიგებელი. ცნობიერებას აქ არა აქვს სუბსტანციური მნიშვნელობა, იგი მხოლოდ პერსონული სიცოცხლის შინაგანი ასახვაა და ადგილი აქვს იქ, სადაც გარესამყაროსთან კონვერგენცია დაპრკოლებებს ხვდება და კ ო ნ ფ ლ ი ქ ტ ა დ იქცევა. იგი სიცოცხლის კონფლიქტური მხარის ამსახველი სარკეცაა და მისი დაძლევის საშუალებაც. და როგორც საშუალება, იგი სხვადასხვა როლს თამაშობს სიცოცხლის სირთულის სხვადასხვა საფეხურზე. განსხვავებული მიზნები მეტ-ნაკლებად მოითხოვს ცნობიერების დახმარებას და ეს მოთხოვნილება მატულობს „ქვე-ადამიანურიდან“ სპეციფიკურ-ადამიანურამდე. თვალნათლივ ჩანს, რომ აქ ავტორი მხოლოდ რაოდენობითს განსხვავებას ხედავს. ამ პრინციპით ადამიანის სპეციფიკურობის დადგენას ცხოველის ცნობიერების საკითხის გაურკვევლობაც ართულებს. რამდენადაც ცხოველის სიცოცხლე ბიოსფერულ მოდუსში იშლება, ცნობიერებისთვის მასში ადგილი არ

მოიპოვება. მაგრამ რამდენადაც ბიოსფერული მოდუსი საგნობრივისაგან უფსკრულით არაა გამოყოფილი, არამედ გარდამავალ საფეხურების დადგენაა შესაძლებელი მათ შორის, ამდენად ცნობიერების ჩანასახები ცხოველებშიც შეიძლება ვიგულისხმოთ.

1915 წელს ვ. შტერნმა ინტროცეფციის ცნება შეიმუშავა. ავტორი ფიქრობს, რომ ამ ცნებით, რომელიც ჰეტეროტელიის ავტოტელიად მიღებას, ანუ სხვისი მიზნების „შინაგნად შეთვისებას" ნიშნავს, მონახულია ადამიანის სპეციფიკა. მის მიხედვით, ინტროცეფციის შემწეობით ყველა მიზნების საკუთარ მიზნებამდე შევიწროება კი არ ხდება, არამედ—მე-ს გაშლა, გაფართოება მიკროკოსმოსად. ინტროცეფციის ასეთ შეფასებას იზიარებს სხვამხრივ მკაცრი კრიტიკოსი M. Sztern.

მე ვფიქრობ, რომ ინტროცეფციის ახალი ცნების შემოტანა პერსონალიზმის სისტემაში არაა გამართლებული, რადგან ამ ცნების აზრი უკვე ჰეტეროტელიაშია ნაგულისხმევი. ინტროცეფციის ცნების დამუშავებით ავტორმა გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ სხვათა მიზნები „განსხვისებულად" კი არაა მოცემული, არამედ „შეთვისებულია" ინდივიდის მიერ. ამის გააზრება სრულიად აუცილებელია. მართლაც: პერსონა, მისი არსის თანახმად, შეუძლებელია ესწრაფოდეს ისეთ რამეს, რაც აბსოლუტურად უცხოა მისთვის. აბსოლუტურად უცხო, აბსოლუტურად გარემდებარე თუა რამე, იგი არც არსებობს პერსონისთვის. ხოლო რაც არ არსებობს, — ცხადია, ვერც იქნება მისი ყოფიერების წარმმართველი. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სადაც ჰეტერისტული მიზანი გაცნობიერებით არის გაშუალებული, იქ ინტროცეფციასთან გვაქვს საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში კი — ჰეტეროტელიასთან. მით უმეტეს, რომ ავტოტელიისა და ჰეტეროტელიის მორიგება „მარადიული ჰარმონიის სამოთხე" კი არაა, ავტორის თქმით, არამედ ბრძოლის ნაყოფი[250], იმ ბრძოლისა, რომელიც წარმოშობს ცნობიერებას. მაგრამ ავტორი კატეგორიულად უარყოფს ცნობიერების მონაწილეობის არსებითს მნიშვნელობას ინტროცეფციისთვის. სულ ბევრი, რა შეიძლება ითქვას ავტორის სიტყვებით ცნობიერების როლის შესახებ ინტროცეფციაში, ეს ის, რომ: „ინტროცეფციის წინასწარი პირობაა, რომ თავდაპირველად მე-ღირებულებასა და

---

250 3,63.

არა-მე-ღირებულების მკაფიოდ იზოლაცია და დაპირისპირება მოხდეს, რათა ამ ანტიეთიკიდან შესაძლებელი გახდეს „ინტროცეფციის სინთეზური აქტის აღმოცენება", და კიდევ ის, რომ „ცნობიერებაში ინტროცეფციის შ ე დ ე გ ი ც აისახება"[251].

ვ. შტერნი ამბობს: „ინტროცეფცია ერთი იმ უკანასკნელ მისტერიათაგანია, რომლისაც არც ახსნა ძალგვიძს და არც დასაბუთება ableiten), არამედ — მხოლოდ და მხოლოდ აღწერა"-ო[252]. და მრავალი მაგალითი მოჰყავს ინტროცეფციისა და ჰეტეროტელიის სამივე სფეროდან (პიპერტელიისა, სინტელიისა და იდეოტელიისა). ინტროცეფციისადმი მიძღვნილი გვერდები ყველაზე უფრო პათეტიკური გვერდებია ვ. შტერნის თხზულებებისა. პათოსი გასაგებია „Introzipiere!" პერსონალისტური ეთიკის დევიზია, ინტროცეფცია— ფორმალური საფუძველია მორალისა, მაგრამ ყველაფერი ეს ოდნავაც არაფერს მატებს ინტროცეფციის ცნების ჰეტეროტელიის ცნებისაგან განსხვავების საქმეს. გულდასმითი შესწავლის შედეგად პირველი შთაბეჭდილება ქრება და განმტკიცდება აზრი, რომ, არსებითად, ჰ ე ტ ე რ ო ტ ე ლ ი ა დ ა ი ნ ტ რ ო ც ე ფ ც ი ა ე რ თ ი დ ა ი გ ი ვ ე ა.

საქმე შემდეგშია: პერსონის კონსტიტუციური ნიშანი არის თ ვ ი თ მიზნისეულობა და არა მიზნისეულობა ზ ო გ ა დ ა დ: მიზანი ნივთსაც აქვს, მაგრამ ნივთს საკუთარი არსით ნაკარნახევი მიზანი კი არა აქვს, არამედ — გარედან ნაკარნახევი. რაკი ეგზისტენციალურად პერსონა და ნივთი ერთ ინდივიდში, ერთ წარმონაქმნში მოცემული, ამიტომ პერსონული (აუტისტური) და ნივთობრივი (ჰეტერისტული) მიზნისეულობის რეალური სუბიექტი ერთი და იგივეა. რამდენადაც მასში ნივთობრიობის მომენტია გაბზორციელებული, ამდენად მიზანი შეიძლება უცხო (ჰეტერისტული) იყოს მისთვის. ხოლო რამდენადაც პერსონული მომენტი, პერსონული მხარეა მოცემული, ამდენად მიზანი იმანენტური უნდა იყოს. ავტოტელიისა და ჰეტეროტელიის განსხვავება მხოლოდ ობიექტური თვალსაზრისით, ე. ი. „გარედან" შეიძლება. პერსონის, როგორც ასეთის, თვალსაზრისით ჰეტეროტელია, სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არ არსებობს, რადგან ყოველი მიზანი, რომელიც პერ-

---

251 4,354.

252 3,58.

სონას აქვს, — მ ა ს აქვს, ანუ მ ი ს ი ა. ავტოტელიისგან ჰეტეროტელიის მკაფიოდ გამიჯვნა ობიექტურადაც შეუძლებელია, რადგან პერსონა მკაფიოდ არაა გამიჯნული გარემოსგან. საზღვარი მათ შორის დიფუზურია. მაგრამ პ რ ი ნ ც ი პ უ ლ სიძნელეს ასეთი გამიჯვნა არ შეიცავს. სუბიექტური თვალსაზრისით კი გამიჯვნის საკითხის დასმაც არ შეიძლება. მაგალითად: შთამომავლობაზე ზრუნვა, ობიექტურად, ჰეტერისტულია. სუბიექტურად? — მგონი. შეუძლებელია იმისავე თქმა! განა მშობელი რომელიც შვილზე ზრუნავს, მხოლოდ ნივთობრიობის ხასიათით ვლინდება? ნამდვილად ნივთობრივი ხასიათისაა კალამი, რომლითაც, ვთქვათ, მე ახლა ვწერ. ის ემსახურება ჩემ (ე. ი. მისთვის ჰეტერისტულ) მიზნებს. მაგრამ ამ შემთხვევაში კალმის მიზნისეულობაზეც არ შეიძლება ლაპარაკი. მიზანი, იმ აზრით გაგებული, რა აზრითაც შეიძლება ლაპარაკი სხვადასხვა მხრივ მიმართული მიზნების არსებობის შესახებ, მხოლოდ აქტიურ არსებას შეიძლება ჰქონდეს. ადამიანიც შეიძლება ჩავარდეს წვინდა ნივთის მდგომარეობაში. მაგალითად, თუ იგი უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა; ამ შემთხვევაში იქნებ კიდევ შეიძლებოდეს თქმა, რომ ამით იგი მოემსახურა ჩვენთვის მიუწვდომელ მიზნებს ყოვლადპერსონისას. მაგრამ ყოველად შეუძლებელია ამ უბედური შემთხვევის რაგინდა რაგვარად დაკავშირება პერსონულ ტელეოლოგიასთან. ვიმეორებ: ტელეოლოგიური თვალსაზრისი, სახელდობრ — იმანენტურ-ტელეოლოგიური თვალსაზრისი მხოლოდ და მხოლოდ აქტიური სუბსტანციის მიმართაა შესაძლებელი. საგნის ჰეტეროტელია და პერსონის ჰეტეროტელია მხოლოდ ომონიმებია. პირველის დადგენა მხოლოდ ობიექტურად, „გარედან" შეიძლება, იგი სავსებით ტრანსცენდეტულია საგნისთვის. დადგენა — მეორისაც ობიექტურად ხდება, მაგრამ იგი „შთაიაზრება" პერსონაში; პერსონის ჰეტეროტელია იმანენტურია. გამოთქმაში: „იმანენტური ჰეტეროტელია" არაა აზრის წინააღმდეგობა. ჰეტეროტელიის მოპირდაპირე ცნება ავტოტელიაა და არა იმანენტურობა.

პერსონას, განსაკუთრებით — ინდივიდურ პერსონას, შეუძლია საკუთარი სპონტანური აქტიურობა მისი ინდივიდური თვითშენარჩუნებისა და თვითგანვითარების გარემდებარე მიზნებისკენ წარმართოს. ეს შესაძლებელია ხოლოდ იმიტომ, რომ უცხო მიზანი საკუთარ მიზანთა სისტემაში შეაქვს პერსონას, შეითვისებს ს ხ ვ ი ს მიზანს. სხვა საკითხია, თუ რა გზებით და რა ხერხებით

მოხდება ასეთი შეთვისება: იქნება იგი უმაღლესი პერსონისადმი იერარქიული დაქვემდებარებით პირობადებული. სიმპათიის (რაპორტის) „დაუყვანადი საიდუმლოების“ ნიადაგზე აგებული, თუ შემეცნებითი ოპერაციებით მომზადებული. პერსონული ჰეტეროტელია შეიძლება არსებობდეს მხოლოდ როგორც პერსონის მიზანთა მრავალერთიანობის წევრი, მხოლოდ როგორც შინაგანად შეთვისებული და, მაშ, „საკუთარქმნილი“ მიზანი. მიზანი შეიძლება თვით პერსონისადმი მიმართული აქტივობის წყარო იყოს, შეიძლება — ინდივიდური პერსონის გარემდებარე სფეროებისადმი მიმართულისა. ეს ქმნის განსხვავებას ავტოტელიასა და ჰეტეროტელიას შორის. მაგრამ „შიგნით“ და „გარეთ“ მიმართულების გარდა სხვა მიმართულება არ არსებობს. ამიტომ მესამეგვარი მიზნისეულობა მიმართულების მხრივ შეუძლებელია ორიგინალური იყოს. ავტორის მიხედვით ინტროცეფცია ავტოტელიისგან იმითი განსხვავდება. რომ გარემდებარე მიზნებს შეეხება, ხოლო ჰეტეროტელიისგან—იმითი რომ პერსონის „შიგნით“ შემოაქვს ეს მიზნები. ივი ავტოტელიისა და ჰეტეროტელიის სინთეზია. ინტროცეფცია მდგომარეობა კი არაა, არამედ პროცესი. ამას ტერმინიც მიუთითებს. მას არ გააჩნია საკუთარი შინაარსი და სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ იგი ავტოტელიისგან და ჰეტეროტელიისგან განსხვავებული კატეგორიის ფაქტია.

უკანასკნელად (1935 წ.) ინტროცეფციის შესახებ ვ. შტერნი წერს: „ადამიანური სიცოცხლის მიზანი ისაა, რომ ადამიანმა თავის მოქმედებაში და ყოფიერებაში თავისი საკუთარი მნიშვნელობაც დაადასტუროს და სამყაროს ობიექტური მნიშვნელობანიც, რომ მან, საკუთარ შინაარსში სამყაროს ობიექტური შინაარსების შედუღებით, განახორციელოს თავისი თავი, როგორც პერსონამ. ამ შედუღებას ანუ შესისხლხორცებას პერსონალისტური თეორია „ინტროცეფციას“ უწოდებს. ... ინტროცეფციის ცნება ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურია: იგი სასიცოცხლო ფუნქციების მიზანდასახულობას აღნიშნავს და არა მარტო განცდის რაგვარობას: ეს ითქმის ინტროცეფციის ყველა სპეციფიკური სახეობის შესახებ: სიყვარულის, გაგების, წედომის, თაყვანისცემის (Heiligen) და სხვა. მართალია, მათი გააზრება, ცნობიერების ფენომენების გარეშე შეუძლებელია (დაყოფა ჩემია—ერ. ა.). მაგრამ სა-

კუთარ მათ არსს შეადგენს პერსონული ქცევის რაგვარობა (Verhaltungsweise), აზრის განხორციელება (Sinnverwirklichung), რომ. ლების საბოლოო მიზანი შორს სცილდება ყოველივე „ცნობიერებას“[233].

ცნობიერებას ინტროცეფციისთვის მხოლოდ იმდენად არაა აქვს ა რ ს ე ბ ი თ ი მნიშვნელობა, რამდენადაც ინტროცეფცია ა რ ს ე ბ ი თ ა დ არ განსხვავდება ჰეტეროტელიისგან; ის, რასაც ავტორი ინტროცეფციას უწოდებს, ჰეტეროტელიის სახეობაა. ამიტომაა. სხვათა შორის, შესაძლებელი ლაპარაკი ჰიპერ-. სინ- და იდეო-ტელიური ინტროცეფციის სახეობათა შესახებ. ინტროცეფცია ცნობიერებით გაშუალებული ჰეტეროტელიაა. მისი „ადამიანისეულობაც“ ამაში მდგომარეობს და ამით ამოიწურება. იმ ფაქტებს შორის, რომლებსაც ავტორი ჰეტეროტელიით და ინტროცეფციით აღნიშნავს. ძალიან დიდი განსხვავებაა. მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ამ განსხვავების საფუძველი ძიზნის ცნობიერყოფა ვერ იქნება? მათ შორის განსხვავება ინსტინქტური და ნებისმიერი მოქმედების შორის განსხვავების ანალოგიურია.

ცნობიერების მომენტი რომ დიდმნიშვნელოვანია ვ. შტერნისთვის მიზანთა სისტემის ასაგებად, ამის ილუსტრირება იდეოტელიის მაგალითითაც შეიძლება. პერსონალისტური აზრთაწყობისთვის იდეოტელია non sens-ია: იდეას არ შეიძლება ჰქონდეს მიზანი, რადგან იდეა არაა პერსონა; ამიტომ არც შეიძლება მან მიაკუთვნოს, დააკისროს იგი ინდივიდურ პერსონას. ფაქტიურად იდეოტელია გაცნობიერებული ჰიპერტელიაა.

ინტროცეფციის შესახებ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ინტროცეფცია, როგორც მიზნისეულობის დამოუკიდებელი სახეობა, არ შეიძლება ქმნიდეს ადამიანის სპეციფიკას და ეს, უბრალოდ, იმ მიზეზის გამო, რომ ინტროცეფცია არაა მიზნისეულობის დამოუკიდებელი სახე. ის იმედები, რომლებსაც ინტროცეფციის ცნებაზე ამყარებდნენ, ეფიქრობ, გადაჭარბებული უნდა იყოს. ვ. შტერნის თქმის ყაიდას რომ მივბაძო, ასე ვიტყოდი ინტროცეფციის შესახებ: თუ ავტორი ადამიანის არსს ინტროცეფციაში ხედავს, ჩვენ, პირიქით. ინტროცეფციის არსს ვხედავთ ადამიანისადმი მის კუთვნილებაში[234].

---

[233] 1, 101.
[234] იხ. გვ. 265.

ინტროცეფციის ცნება ღირებულების სფეროდანაა მოტანილი და თუმცა ავტორისთვის არსებობა და ღირებულობა მჭიდროდაა დაკავშირებული (თანახმად ძირითადი პოსტულატისა: „მე მწამს სამყარო, რომელიც არსებულიცაა და ღირებულების მქონეც"), ღირებულების კატეგორიებით არსებობის საკითხების გადაჭრა არაა გამართლებული.

თუ ადამიანის სპეციფიკა მაინცდამაინც პერსონულ მიზანსეულობაშია საძებარი, ერთადერთი რაც რჩება, ესაა პროდუქციული თვითგანვითარების მიზანი, რომელიც შეიძლება ქმნიდეს არსებით განსხვავებას ადამიანის პიროვნებისას ზოგადად ბიოლოგიურ არსებათაგან.

პროდუქციული თვითგანვითარების მიზანი მხოლოდ ადამიანს აქვს. იგი უეჭველად განსხვავებულია თვითგანვითარების სხვა მიზნებისგან; ამასთანავე იგი არსებითი მომენტია ადამიანის მიზნისეულობისა და, ამდენად, შეიძლება ადამიანის differentia specifica-ს წარმოადგენდეს.

თუ პროდუქციული თვითგანვითარების მიზანი მდგომარეობს საკუთარი პიროვნების იმ სახით განხორციელებაში, რა სახითაც სხვა დროს და სხვაგან არც ერთი პიროვნება არ ყოფილა განხორციელებული, თუ იგი აბსოლუტურად ახლის წარმოქმნაში მდგომარეობს, — იგი, მართლაც მხოლოდ ადამიანს შეიძლება მივაწეროთ ნამდვილი მნიშვნელობით. სხვა მიზნების არსებობა პერსონის ცნებიდან გამოიყვანება ავტორისთვის. განსაკუთრებით ნათელია ეს თვითშენარჩუნების მიზნების შემთხვევაში. პროდუქციული თვითგანვითარების მიზნის არსებობის აღიარებას კი, ავტორის თქმით, ფაქტები გვაიძულებს. ისეთი ფაქტები, რომლებიც ვერ აიხსნება ვერც ერთი ზოგადპერსონული მიზანმისწრაფებულობით ეს ფაქტები კულტურული პროგრესის ფაქტებია. ფაქტიური განსხვავება, ამ მხრივ, ადამიანისა უბრალოდ ბიოლოგიური ორგანიზმებისაგან, უეჭველია და პერსონალიზმიც ვალდებულია მიზნისეულად ახსნას საქმის ასეთი ვითარება. ამისთვის შემოაქვს მას პროდუქციული თვითგანვითარების მიზნის ცნება.

მაგრამ საკითხი ისაა, თუ რამდენად გამართლებულია ეს ცნება ე. წ. კრიტიკული პერსონალიზმის სისტემაში.

რამდენადაც კრიტიკული პერსონალიზმი კონკრეტულ იდეალიზმად ესმის ავტორს, რამდენადაც სუბსტანცია კონკრეტული პერსონაა, — პროდუქციული თვითგანვითარების მიზნის შესახებ

პროგრესის მნიშვნელობით არ შეიძლება ლაპარაკი. პროგრესი ნიშნავს წინსვლას გარკვეული მიზნის მიმართულებით. ამ აზრით მიზანი ტრანსცენდენტური უნდა იყოს იმისთვის, რაც ვითარდება. როდესაც ობიექტური იდეალიზმი განვითარების შესახებ ლაპარაკობს პროგრესის მნიშვნელობით, იგი გულისხმობს გარკვეული პოზიტიური მიზნისადმი,— მაგალითად აბსოლუტური გონის მიერ საკუთარი თავის შემეცნების მიზნისადმი — მიახლოებას. პროგრესი აქ გასაგებია. როგორც გაუმჯობესების პროცესი. განვითარების ყოველი მომდევნო საფეხური უფრო ახლო დგას ამ მიზანთან და ამით არის იგი წინასაფეხურზე „უკეთესი". რა მიზანი შეუძლია დაუსახოს პერსონას ვ. შტერნმა? ერთი — თვითშენარჩუნება, მეორე — თვითგანვითარება. პერსონა თვითმიზანია და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, თუ იგი სუბსტანციაა. თვითშენარჩუნების მიზნების არსებობა არაა სადავო, მაგრამ განვითარებასთან მათ ხელი არა აქვთ. ე. წ. კონსერვაციული თვითგანვითარების შესაძლებლობა პერსონალისტური თვალსაზრისით უკვე სადავოა. სადავოა ის, რომ კონსერვაციული თვითგანვითარების მიზანი ინდივიდური პერსონის მიზნად იქნეს მიჩნეული. მართალია, ამ მიზნისადმი ინდივიდის სწრაფვის შედეგად ინდივიდი განახორციელებს იმას, რაც მის გვარში უკვე მოცემულია. მაგრამ ის, რაც მის გვარშია მოცემული, ინდივიდისთვის ახალია, ისევე „აბსოლუტურად ახალი", როგორც პროდუქციული თვითგანვითარების მიზნისადმი სწრაფვის შედეგად განხორციელებული მდგომარეობა. კონსერვაციულისა და პროდუქციული თვითგანვითარების შორის მხოლოდ „გარედანაა" შესაძლებელი განსხვავების დადგენა.

ობიექტური თვალსაზრისით კონსერვაციული თვითგანვითარება ზეინდივიდური პერსონის თვითშენარჩუნების მიზნად შეიძლება გავიგოთ; თვითშენარჩუნების მიზნების იმ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ იგი, რომელიც სამყაროსთან მიმართების შენარჩუნებისადმი სწრაფვას უდევს საფუძვლად. თავისებურობა ამ მიზნისა მაინც რჩება: თუ სამყაროსთან მიმართების შენარჩუნებისადმი სწრაფვით, ანუ შეგუებით ვამოწვეული პერსონული ცვლილებები პრინციპულად სამყაროს ცვლილებებით არის პირობადებული — ე. წ. კონსერვაციული თვითგანვითარებით გამოწვეული ცვლილებები ინდივიდური პერსონის სპონტანური აქტივობითაა პირობადებული. ამ ე. წ. კონსერვაციული თვითგანვითარების მიზანია სამყაროსთან მიმართების არა შენარჩუნება, არამედ გაუმჯობესება. ამდენად

მასში არის რაღაც პროგრესული მომენტი. მაგრამ ვინაიდან იგი ძირითადად მაინც შენარჩუნებაა პერსონა-გვარისა, ამიტომ უკეთესი იქნებოდა ავტორს მისთვის „პროდუქციული თვითშენარჩუნება“ ეწოდებინა. ტერმინი ისევეა გამართლებული და დაცული შინაგანი წინააღმდეგობაში (contradictio in adjecto) ბრალის დადებისგან, როგორც „კონსერვაციული თვითგანვითარება“, ხოლო პირველი ცნების უპირატესობაზე ახლა ვილაპარაკე: იგი სწორად გამოხატავს ვითარებას. ეს მიზანი მდგომარეობს პერსონა-გვარის გარემოსადმი შეგუებულობის შენარჩუნებაში, შეგუებულობის იმ სახისა, რომელიც გვარის სრულყოფილი წევრების შემთხვევაშია განხორციელებული. ასე უნდა გაგვეგო პერსონალისტური თვალსაზრისით ე. წ. „კონსერვაციული თვითგანვითარება“.

ინდივიდური პერსონის თვალსაზრისით როგორც ვთქვი, იგი არ განსხვავდება პროდუქციული თვითგანვითარებისაგან. ორივე შემთხვევაში პერსონა განიცდის რომელობითს ცვლილებებს. ეს — ფაქტია. მაგრამ ყოველი ცვლილება არაა განვითარება პროგრესის მნიშვნელობით. პროგრესის შესახებ ლაპარაკი მხოლოდ გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება, სახელდობრ — გარკვეული მიზნის თვალსაზრისით. ამასთან ეს მიზანი პოზიტიურ რაობას უნდა წარმოადგენდეს. ფსიქოლოგიაში მუდამ ლაპარაკობენ განვითარების შესახებ და მუდამ ვაუმჯობესებას გულისხმობენ განვითარებაში. მაგალითად, აზროვნების განვითარება იმაში მდგომარეობს, რომ აზროვნება უფრო და უფრო კარგად წყვეტს თავის ამოცანას, უფრო და უფრო უახლოვდება მიზანს — ჭეშმარიტ შემეცნებას. ასევეა სხვა ფუნქციების განვითარების შემთხვევაშიც. როდესაც ვლაპარაკობთ ადამიანის განვითარებაზე, ვგულისხმობთ რაღაც იდეალს, რომელსაც ადამიანი თანდათან უახლოვდება.

ვ. შტერნი, კონსერვაციული თვითგანვითარების საკითხის განხილვისას, განვითარების ორ ქვესახეს განასხვავებს. პირველია „ზრდა“: რაოდენობითი დიფერენციაცია და ინტეგრაცია. ვ. შტერნის მიერ ამ ქვესახის რაობის გაგებაში არსებითად არაფერია სადავო: ავტორს თითონაც კარგად ესმის, რომ ნამდვილად განვითარება არ შეიძლება ამოიწურებოდეს კვალიტეტური ცვლილებებით. ამიტომაც, მისთვისაც მთავარია განვითარების მეორე ქვესახე — „მომწიფება“. საგულისხმოა, რომ მომწიფების საკითხს იგი ცალკეული ფუნქციის მასალაზე განიხილავს. მომწიფების სტადიების განხილვისას ნათელი ხდება, რომ ფუნქცია მწიფდება იმისთვის,

რომ უკეთ მოემსახუროს პერსონის მიზნებს. საბოლოო სტადია მომწიფებისა ეგზომარეობს ფუნქციის სხვა ფუნქციათა ერთობლიობაში განწესებასა და პერსონის მიზნებისთვის მის გამოყენებაში. ფუნქციის განვითარება შეგვიძლია დავადასტუროთ იმითი, რომ იგი უფრო და უფრო შესატყვისი ხდება პერსონის მიზნებისა. რა აზრით, რა თვალსაზრისით შეიძლება მთლიანი პიროვნების პროდუქციული განვითარების შესახებ ლაპარაკი? უეჭველია, აქაც რაღაც მიზნის თვალსაზრისია საჭირო. „თვითგანვითარება თავისთავად" არ შეიძლება იყოს მიზანი, რადგან მას არა აქვს პოზიტიური შინაარსი. სპონტანური ცვალებადობა, თუ ასეთი არსებობს, სრულიადაც არაა პროგრესის საწინდარი და თავისთავად, როგორც თვითმიზანის, მისი არსებობა არ გამომდინარეობს პერსონალიზმის პრინციპებიდან, და არცაა გასაგები მათ საფუძველზე.

პროდუქციული თვითგანვითარების მიზნის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება. არამცთუ რაიმეგვარად დახასიათება, არამედ თვით გაცნობიერებაც კი შეუძლებელი ყოფილა მისი, ავტორის თანახმად. ერთადერთი, რისი თქმაც შეიძლება მის შესახებ ეს ისაა, რომ იგი რომელობითად ახალია მთლიანპერსონულია და ინდივიდურია. სწორედ ამიტომაც არ შეიძლება მისი არც გაცნობიერება და, მით უმეტეს, არც დახასიათება[255]. თუ ტელეოლოგიური ახსნა საერთოდ არაა მეცნიერულად დამაკმაყოფილებელი, — პროდუქციული თვითგანვითარების შემთხვევაში იგი იმ მოთხოვნილებებსაც კი ვერ აკმაყოფილებს, რომლებსაც ტელეოლოგიური ახსნა აყენებს. ავტორის სიტყვებით: „პროდუქციული თვითგანვითარების მიზნის შესახებ ლაპარაკის უფლებას მხოლოდ მისი მოქმედიანობა გვაძლევს. ადამიანის პიროვნებაში მიმდინარეობს პროცესები, რომლებიც ვერც გარესამყაროს გავლენით აიხსნება და ვერც ავტოტელიის აქამდე ხსენებული მომენტებით, სახელდობრ თვითშენარჩუნებითა და კონსერვაციული თვითგანვითარებით, და რომლებიც, მაშასადამე, მოქმედების ახალ ფაქტორს საჭიროებენ ასახსნელად. თუკი საერთოდ უნდა იქნან ახსნილი"[256]. სხვანაირად რომ ვთქვა: თუ გაუგებარი რამ მოხდა პერსონის განვითარებაში, უფლება გვაძლევა ვთქვათ, რომ პერსონას მიზნად ჰქონია ასეთი რამის გან-

---

[255] იხ. გვ. 34—35.

[256] იხ. იქვე აგრეთვე 3,35.

ხორციელება. ზედმეტია იმის დასაბუთება, რომ ასე გაგებული პროდუქციული თვითგანვითარება არაა მეცნიერული ცნება. ყველაზე უფრო ლოგიკური იქნებოდა პროდუქციული თვითგანვითარების მიზნად ყოვლადპერსონისადმი დაახლოება დაესახა ავტორს და ეთქვა, რომ ეს დაახლოება ყოველი კერძო ინდივიდის შემთხვევაში ორიგინალური სახით ხორციელდება, რომლის წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია. ასეთი რამის დაჯერება, გარკვეული პირობით, კიდევ შესაძლებელი იქნებოდა; მაგრამ ავტორი ამას არ ამბობს და არც აქვს უფლება, რომ თქვას, რადგან პერსონის ცნების ერთ-ერთი მთავარი აზრი სწორედ ისაა, რომ პერსონა საკუთარი იმანენტური მიზნის მატარებელია; და ამდენად, მისი მიზანი არ შეიძლება იყოს სხვა რამ (თუნდაც ყოვლადპერსონა) გარდა საკუთარი თავისა. კონკრეტული ინდივიდური პერსონა სუბსტანციაა და მისი განვითარება შეიძლება გავიაზროთ მხოლოდ როგორც შინაგანი მონაცემების გაშლა. მისი მიზანი, მაქსიმუმ, შეიძლება იყოს საკუთარი პოტენციურობის რეალიზაცია. ავტორისთვის იგი „შიკნიდან" განხილული, „ნიშნავს საკუთარი თავის გადალახვას არსებობის ახალი ფორმებისთვის, რომლებითაც წინამორბედი ფორმები უბრალოდ კი არ გაუქმდება, არამედ რომლებშიც მოიხსნება ისინი"[267]. Post factum ადვილია განვითარების ფაქტის დადგენა, მაგრამ შეუძლებელია „არსებობის ახალი ფორმებით წინამორბედი ფორმების მოხსნა" სუბსტანციის თვითმიზნად იქნეს აღიარებული. პერსონა სუბსტანციაა იმ სახით, რა სახითაც არსებობს და საკუთარი რომელობის მოხსნა არ შეიძლება იყოს მისი არსებობის მიზანი. სხვა რომ არა იყოს რა, იგი დიამეტრულად ეწინააღმდეგება თვითშენარჩუნების (არსის შენარჩუნების) მიზანს.

პროდუქციული თვითგანვითარების მიზანი ემპირიისა და ფილოსოფიური სპეკულაციის კონფლიქტის ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენს.

აქ პროდუქციული თვითგანვითარების განხილვა პერსონის ბიოლოგიურად გაგების საკითხის განხილვამ გამოიწვია. მგონი შეიძლება ვაღიაროთ, რომ იგი უძლური აღმოჩნდა ადამიანის სპეციფიკის დასადგენად პერსონალისტური ფილოსოფიის თვალსაზრი-

---

[267] იხ. 3,20.

სით, რადგან სწორედ ამ თვალსაზრისით არ შეიძლება გაგებულ იქნეს პროდუქციული თვითგანვითარების მიზნის არსებობა.

ის, რასაც ავტორი პროდუქციულ თვითგანვითარებას უწოდებს, ნამდვილად არსებობს ადამიანის ცხოვრებაში, მართლაც სპეციფიკური ადამიანურია და განსაკუთრებით თვალსაჩინოდ შემოქმედების მაღალ ფორმებში გამოვლინდება. შემოქმედებითი მომენტი ყოველ ადამიანურ მოქმედებაშია, ანუ უკეთ, ადამიანური ის მოქმედებაა, რომელშიც შემოქმედება ელინდება. ვ. შტერნს ეს კარგად ესმის და კარგადაც ხსნის ადამიანურ მოქმედებას. იგი ადამიანობის საფუძველს მიზნისეულობაში ეძებს, მაგრამ მიზანთა სისტემის სქემატიზმი ხელს უშლის ნამდვილი არსის დანახვას.

მას სრული უფლება და საკმაო საფუძველი ჰქონდა ადამიანის სპეციფიკა ცნობიერებაში დაენახა. მისი სისტემის პრინციპები, განსაკუთრებით სიცოცხლის მოდუსების შესახებ მოძღვრება, აძლევს მას ამის საშუალებას. და თუ ავტორი ასე არ იქცევა, ამისი ორი მიზეზი არსებობს, მიზეზი, შეიძლება ითქვას, საესებით პირადი ხასიათისა. ერთია ეთიკური საკითხით გატაცება, პრაქტიკული მსოფლმხედველობის (თუ შეიძლება ასე ითარგმნოს Lebensanschauung) აგების წყურვილი, ის „სეედა მსოფლმხედველობისთვის", რომელიც მოიცავს მას, მის მიერ „მსოფლმხედველობის უქონლობის" ნიშნით განცდილ თანამედროვე ეპოქაში. ეთიკისთვის იქმნება ინტროცეფციის ცნება, რომელიც ეგოტიზმისგან (სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით: ეგოიზმისგან, ინდივიდუალიზმისგან, სუბიექტივიზმისგან) გამოსავალს წარმოადგენს და მისი სიდიადით გატაცებული ავტორი მასში უკვე არა მარტო ეთიკურ იდეალს ხედავს („Introzipiere!") არამედ ზოგადად ადამიანურობის სპეციფიკასაც. მას მერე, რაც მონახულია ინტროცეფცია, ავტორს აღარ სჭირდება ახალი სპეციფიკის ძიება და ცნობიერებასაც, ამიტომ, სათანადო ყურადღებას აღარ უთმობს.

ვ. შტერნის მიერ ცნობიერების მნიშვნელობის დაკრნების მეორე მიზეზი ცნობიერების როლის განდიდების წინააღმდეგ შეგნებული ბრძოლაა, „თუ უწინო — ამბობს ავტორი — პიროვნების არსს მის ფსიქიკურობაში (in ihrer psychischen Beschaffenheit) ხედავდნენ, ჩვენ ფსიქიკურის არსს ვხედავთ მის პერსონულ მნიშვნელობაში. პერსონა არის პირველი (prius); საკუთარი თავის

ასახვის — ცნობიერების სახით მოცემულობა — არის მეორე (posterius)—არა ქრონოლოგიურად, არამედ მნიშვნელობათა ლოგიკურ სისტემაში"[258]. პერსონის, როგორც ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური მრავალერთიანობის ჰეგემონიის მტკიცებაში გადაჭარბებით იქნება დაჯაბნილი ფსიქიკის როლი და მას უკვე ვეღარ დააკისრა ამის შემდეგ ავტორმა ისეთი დიდი ამოცანა, როგორიცაა ადამიანის სპეციფიკის საფუძველდება.

თუ ე. წ. „ინტროცეფციაში" მოცემულია ადამიანის „მიკროკოსმიურობა" (სოციალურობა, ვიტყოდით ჩვენ) — მხოლოდ და მხოლოდ ცნობიერების წყალობით. ცნობიერი ჰეტეროტელია აქცევს ჯოგს საზოგადოებად; მხოლოდ ცნობიერება ჰყოფს შესაძლებლად ადამიანის ისტორიულობას; კულტურის მიმღებლობა ცნობიერების გარეშე შეუძლებელია და, ამასთან, ცნობიერება მისი ზედნადები კი არაა. არამედ ძირითადი ფაქტორი; ცნობიერება ქმნის ადამიანურ მოთხოვნილებებს, ადამიანურ ქცევებს; ცნობიერება განასხვავებს ხუროთმოძღვარს ფუტკრისგან. ცნობიერების გენეზისი ვ. შტერნს ძალიან კარგად აქვს გაგებული და ძალიან კარგად აქვს გამოთქმული: „jede Reibung entzündet den Funk des Bewusstseins". სამყაროსთან პერსონის შეჯახებისგან გამოიკვეთება ცნობიერების ნაპერწკალი. შეჯახება კი ხდება იქ, სადაც პერსონის ვიტალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ვეღარ ხერხდება გარემოს გართულებული პირობების გამო; სადაც სამყარო დაუპირისპირდება პერსონას, როგორც ობიექტი. ეს ხდება მაშინ, როდესაც მემკვიდრეობით მიღებული შეგუების მექანიზმი ვეღარ აკმაყოფილებს სუბიექტის მოთხოვნილებას, რომელიც ცვალებადობს ისევე, როგორც შეგუების მექანიზმი: თაობიდან თაობაში. ბიოლოგიური ევოლუციის განმავლობაში ორგანიზმი რთულდება, იცვლება, იძენს ახალ ორგანოებს, ახალ ფუნქციებს და ბოლოს, უმაღლეს საფეხურზე, — ნერვული სისტემის უმაღლესი ორგანიზაციის საფუძველზე—ცნობიერებას. ცნობიერებით აღჭურვილ ცოცხალ არსებას აქვს ისტორია, და ისტორიის მქონე არსების ცნობიერება, როგორც იარაღი სიცოცხლის ახალ, რთულ პირობებისადმი შეგუებისა, ვითარდება ისტორიის განმავლობაში. „ადამია-

---

[258] 3, 223.

ნის სპეციფიკურ თავისებურებას, რითაც იგი მკვეთრად განსხვავდება ცხოველისგან, ის გარემოება შეადგენს, რომ წამყვან როლს მის ცხოვრებაში ცნობიერება ასრულებს"[269].

ფსიქოფიზიკური ნეიტრალურობა

ცნობილია, რომ ფსიქოლოგიის ისტორიის მთელ მანძილზე ფსიქოლოგიის ერთი ძირითადი პრობლემათაგანი იყო ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთობის პრობლემა. დეკარტმა თავისი უკიდურესი სუბსტანციური დუალიზმით ძალიან მწვავე ფორმით დასვა ეს საკითხი და გადაუჭრელად უანდერძა იგი მომდევნო მეცნიერებას. ფსიქოლოგიის თეორიული პრობლემებიდან ეს პრობლემა, მგონი, ყველა სხვაზე უფრო მეტად აწუხებდა ფსიქოლოგიურ აზროვნებას, დაუცხრომელი ინტერესის საგანი იყო და, შეიძლება ითქვას, რომ დღესაც არის. ძირითადად ორგვარი პასუხი არსებობს ამ საკითხზე. ერთია ფსიქიკურისა და ფიზიკურის ურთიერთზემოქმედება, მეორეა მათი პარალელური ბიმდინარეობა, მიზეზობრივად ურთიერთთან დაკავშირების გარეშე. არც ერთი და არც მეორე არაა დამაკმაყოფილებელი. პირველი — იმიტომ, რომ ეწინააღმდეგება ბუნებისმეტყველების მიერ დადგენილ მიზეზობრივ კანონზომიერებას. მეორე — იმიტომ, რომ გულისხმობს მისტიკური ელფერით მოსილ თანხმობას, რომელიც მხოლოდ „მესამის" მიერ შეიძლება იყოს დადგენილი. ეს „მესამე", თავდაპირველად, ღვთაებად იყო ხოლმე კლასიფიკაციაქმნილი (დეკარტის შემდგომი ფილოსოფია). მეცხრამეტე საუკუნეში, ზუსტ მეცნიერებაში, როგორადაც მიაჩნდა თავი ემპირისტულ ფსიქოლოგიას, ღვთაებრივი ძალისადმი აპელაცია ვეღარ ჩერდება და ფსიქიკა ეპიფენომენად ცხადდება, ე. ი. ისპობა ყოველგვარი შესაძლებლობა ფსიქიკას რაიმე აზრი, რაიმე მნიშვნელობა მიეკუთვნოს ყოფიერების მთლიანობაში. ცნობიერება. განცდა, ფსიქიკური — რაც არ უნდა ვუწოდოთ მას — არსებობს მხოლოდ როგორც სუბიექტური მოვლენა, სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. იგი შეიძლება არ არსებობდეს და ამით ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ არაფერი არ შეიცვლება ობიექტურ სინამდვილეში. ასეთი რაიმეს დაშვება ფილოსოფიისათვის არც ისე ადვი-

[269] დ. უ ზ ნ ა ძ ე, ზოგადი ფსიქოლოგია, 72.

ლი საქმეა. მეორე მხრივ, თვით ემპირიაც ვერ ურიგდება სპეკულაციის ამ ნაყოფს. ერთი გამოსავალი რჩება მხოლოდ — ფსიქოფიზიკური დუალიზმის დაძლევა მონისტური თვალსაზრისით: ან ფსიქიკა უნდა იყოს ფიზიკური, ან ფიზიკა უნდა იყოს ფსიქიკური. მოკლედ: ან იდეალიზმი, ან მატერიალიზმი. ფსიქიკურის და ფიზიკურის დუალიზმი არ შეიძლება არსებითი საფუძველმდებელი, სუბსტანციური ხასიათის იყოს. საკითხის იდეალისტური გადაწყვეტის ნიმუშად შეიძლება ბერკლისეული გადაწყვეტა მოვიტანოთ: ყველაფერი ქვეყნიური არსებობს იმდენად, რამდენადაც განიცდება. აქედან მისი აგნოსტიციზმი და, ბოლოს, სოლიფსიზმი. მატერიალისტური გადაჭრა საკითხისა მეთვრამეტე საუკუნეში, ცხადია, მხოლოდ მექანისტური შეიძლებოდა ყოფილიყო. მისი ყველაზე მკაფიო ფორმა საკითხის ფოხტისეული გადაწყვეტაა, რომლის მიხედვით ფსიქიკა ისეთივე სეკრეტია ტვინისა, როგორიც ნაღველი—ღვიძლისა. მეცხრამეტე, მით უფრო, მეოცე საუკუნეში ეს უკანასკნელი პასუხი სრულიად მიუღებელია. ბერკლისეული გადაჭრა საკითხისა აღორძინებას პოულობს ე. მახის ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში.

ვ. შტერნს არ აკმაყოფილებს არც ერთი და არც მეორე. ერთი რამაა მისთვის უდავო: საკითხი მხოლოდ მონისტურად შეიძლება ვადაიჭრას. ე. ი. ორი სუბსტანციის არსებობა, სუბსტანციური განსხვავების დადგენა ფიზიკურსა და ფსიქიკურს შორის, და ამის შემდეგ მათი შეთანხმება, მორიგება, ურთიერთთან დაკავშირება — შეუძლებელია. საქმე მისთვის გათიშული სხეულისა და ხულის შეერთება კი არაა, არამედ მათი იმთავითი ერთიანობის გაგება. ეს ერთიანობა მოცემულია სუბსტანციაში — პერსონაში, რომელიც იმთავით ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურია: არც ფიზიკურია, არც ფსიქიკური. თუ იგი ნეიტრალურია, ვ. შტერნისთვის ეს ნიშნავს, რომ მას ერთნაირი წარმატებით, ერთნაირად ადვილად შეუძლია გამოვლინდეს ხან ფსიქიკურის, ხან ფიზიკურის სახით.

ე. წ. ფსიქოფიზიკური პრობლემის სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ ფიზიკური და ფსიქიკური სხვადასხვა სინამდვილედ იყო მიჩნეული და საკითხი მათ დაკავშირებას ეხებოდა. დღეს სადავოდ აღარ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ორი გათიშული, იმთავითვე განსხვავებული სუბსტანციის ურთიერთობა შეუძლებელია. და, მაშ, ფსიქოფიზიკური პრობლემის გადაჭრა მხოლოდ მონიზმის საფუძველზეა შესაძლებელი.

რამდენადაც მ ე თ ო დ უ რ ა დ სულერთია, თუ როგორი იქნება მონიზმი, ამდენად ვ. შტერნი მართალია. მაგრამ მას არ აკმაყოფილებს არც იდეალისტური, არც მატერიალისტური მონიზმი. ამ პრობლემის გადაწყვეტას იგი პერსონალისტური მონიზმის ნიადაგზე ცდილობს. პერსონა ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურია. ფსიქიკური და ფიზიკური მისი ვლენის ფორმებია მხოლოდ.

არის თუ არა ეს ნამდვილად საკითხის გადაჭრა? რას ნიშნავს ფსიქოფიზიკური ნეიტრალურობა? როგორ უნდა ვიაზროთ ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური პიროვნება? ნეიტრალურობა მხოლოდ ნეგაციურად ახასიათებს პერსონას. იგი ნიშნავს, რომ პერსონა ა რ ა ა ფიზიკური და ა რ ა ა ფსიქიკური. ზემოთ კიდეც ვთქვი, რომ ასეთი რაიმეს გააზრება ჩვენთვის სრულიად შეუძლებელია. დღევანდელ მეცნიერებას არ მოეპოვება კატეგორია არა-ფიზიკურისა და არა-ფსიქიკური ყოფიერების განსასაზღვრავად. მაგრამ ამას თავი დავანებოთ! ვთქვათ, რომ ასეთი რამის არსებობა შესაძლებელია. შეელის იგი რამეს ფსიქოფიზიკური პრობლემის გადაწყვეტას? დუალიზმის ნიადაგზე პრობლემის გადაწყვეტა იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ გაუგებელი და აუხსნელი დარჩა სწორედ ა რ ა-ფსიქიკურის მოქმედება ფსიქიკურზე და ა რ ა-ფიზიკურისა — ფიზიკურზე. ფიზიკური ვერ მოქმედებდა ფსიქიკურზე იმიტომ, რომ იგი (ფიზიკური) იყო ა რ ა-ფსიქიკური. ასევე ფსიქიკური იმიტომ ვერ მოქმედებდა ფიზიკურზე, რომ იგი არა-ფიზიკური იყო. ამითი შემდეგის თქმა მინდა: ორი სუბსტანციის ურთიერთზე მოქმედება შეუძლებელია იმიტომ კი არა, რომ პოზიტიურად ასეთია თუ ისეთი თითოეული მათგანი, არამედ იმიტომ, რომ თითოეული მათგანი ა რ ა ა ის, რაცაა. მეორე. სრულიად არაა აქვს მნიშვნელობა, როგორად იქნება გააზრებული თითოეული მათგანი. მათი ურთიერთობა შეუძლებელია. რადგან ისინი ა რ ა ე რ თ ნ ა ი რ ე ბ ი არიან. კლასიკური მაგალითი რომ ავიღოთ: სულის და სხეულის ურთიერთობა დეკარტთან შეუძლებელია არა იმიტომ, რომ ერთი სუბსტანცია განფენილია და მეორე მოაზროვნე არამედ იმიტომ, რომ ერთი განფენილია, მეორე კი — განუფენელი. რაკი იგი განუფენელია, სრულიად სულერთია, როგორი იქნება მისი თვისებები: მოაზროვნე იქნება, თუ არ იქნება მოაზროვნე — განფენილ სუბსტანციასთან ურთიერთობა მას ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება.

ვ. შტერნისეული პერსონა არაა ფიზიკური. და ამიტომ სხეულთან მისი ურთიერთობა შეუძლებელია, ისევე, როგორც შეუძლებელია მისი ურთიერთობა ფსიქიკურთან. რადგან იგი არაა ფსიქიკური. ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური პერსონის ფიზიკურთან თუ ფსიქიკურთან „ურთიერთობის" შესახებ ლაპარაკი, შეიძლება, საქმის ნამდვილი ვითარების დამახინჯებად მოჩანდეს: ფიზიკური და ფსიქიკური დამოუკიდებელი რომელობანი არაა ვ. შტერნისთვის. იგი საგანგებოდაც აღნიშნავს, რომ ფსიქიკურის შესახებ ადიექტივური ფორმით (ფსიქიკური) სწორედ იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ თვისებაა პერსონისაო. რა თქმა უნდა, აქ მდგომარეობა სხვაა, ვიდრე დეკარტთან იყო: როგორც ფიზიკურის, ისე ფსიქიკურის სუბსტანციურობა უარყოფილია და სუბსტანციად მხოლოდ ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური პერსონაა აღიარებული. ამასთანაა დაკავშირებული სწორედ ის გარემოება, რომ ფიზიკურის და ფსიქიკურის ურთიერთობის მექანიზმი სამწუხროკანი ურთიერთობის სახითაა გაგებული და უარყოფილია მათი უშუალო ურთიერთობა: ფიზიკური პერსონაზე მოქმედებს და მხოლოდ მის საშუალებით — ფსიქიკურზე. ასევე პირუკუც: ფსიქიკური — პერსონის საშუალებით მოქმედებს ფიზიკურზე. ამ საკითხს შემდეგ დავუბრუნდები. აქ საკითხი დგას პერსონის ურთიერთობის შესახებ ფიზიკურთან და ფსიქიკურთან. კანტის „საგანს თავისთავად" ამ მხრივ ის უპირატესობა აქვს პერსონის წინაშე, რომ იგი იმავე კატეგორიის სინამდვილედ იაზრება, როგორადაც ფენომენი, მხოლოდ რომ შეუცნობელია ჩვენთვის. თავისთავად იგი არსებობს, როგორც საგანი. პერსონა იაზრება როგორც რეალურად არსებული. თავისთავადი საგნისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ მისი შეუცნობადობა პრინციპული ხასიათის არაა. შეუცნობადი კი არაა იგი, არამედ შეუცნობელი და ისიც მხოლოდ იქამდე და იმდენად, სანამ პოტენციურ მდგომარეობაშია და არ გამოვლენილა. მაგრამ მისი გამოვლენა მის არსს შეადგენს. იგი არ შეიძლება არსებობდეს გამოუვლენლად. გამოვლენა მისი ყოფიერების შემთხვევითი გარემოება კი არაა, არამედ არსებითი რაობა: პერსონა კონვერგენციის პროდუქტია ე. ი. არსებობს იმდენად, რამდენადაც ურთიერთობაშია გარესამყაროსთან, ანუ — რამდენადაც გამოვლინდება. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ იგი ამოიწურება თავის გამოვლენაში, არამედ იმას, რომ ურთიერთობა სამყაროსთან (ე. ი. გამოვლენა) აუცილე-

ბელია მისი არსებობისთვის. „ფიზიკური" მისი გარეგამოვლენის ფორმაა, „ფსიქიკური" (უკეთ: „ცნობიერება") შინაგლენის ფორმა. ფსიქოფიზიკური ნეიტრალურობა მას მხოლოდ პოტენციურ მდგომარეობაში შეიძლება ჰქონდეს. პოტენციურობის ცნება საკმაოდ დამუშავებული ცნებაა დღევანდელ მეცნიერებაში იმისთვის, რომ მისტიკის იერი არ ჰქონდეს მას. ფიზიკის პოტენციური ენერგია ფიზიკური ენერგიაა. მისგან შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ გარკვეული ინტენსივობის და გარკვეული სხვადასხვა სახის ფიზიკური ენერგია და არა აბსოლუტურად სხვა რამ. პოტენცია ახსნითი ცნებაა, ემპირიაში იგი არაა მოცემული. მისი არსებობის დასკვნა შეიძლება მხოლოდ post factum; როდესაც ფიზიკური ენერგიის გამოვლენას ვხედავთ, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი პოტენციურად არსებობდა გამოვლენამდეც. არაცნობიერის ცნების წარმატების ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ მან შესაძლებელყო ფსიქიკურის პოტენციურის სახით გააზრება. პერსონული პოტენციურიც მხოლოდ იმ კატეგორიის შეიძლება იყოს, რა სახითაც იგი გამოვლინდება: ან ფიზიკური, ან ფსიქიკური — მესამე შესაძლებლობა გამორიცხულია.

პერსონის ფსიქოფიზიკური ნეიტრალურობის განხილვით შემდეგ დასკვნამდე მივდივართ: მისი გააზრება შეუძლებელია, ჩვენ არ მოგვეპოვება არაფიზიკურის და არაფსიქიკურის გააზრების შესაძლებლობა. შეიძლებოდა დაგვეშვა იგი როგორც ირაციონალური „$\sqrt{-1}$", მაგრამ ასეთ დაშვებას მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი, თუ ხელს შეგვიწყობდა სინამდვილის გაგებაში. ფსიქოფიზიკური ნეიტრალურობა კი არაფერს მატებს ჩვენს შემეცნებას. ფიზიკურისა და ფსიქიკურის ურთიერთობის ნაცვლად ახლა, ერთი მხრივ, არაფიზიკურისა და ფიზიკურის, მეორე მხრივ კი, არაფსიქიკურისა და ფსიქიკურის ურთიერთობის ახსნა გვიხდება. ამოცანა გაორმაგებულია და, გარდა ამისა, გართულებულია იმით, რომ ურთიერთობათა ერთი კომპონენტი სრულიად უცხოა ჩვენთვის.

ამ პრობლემის გადაჭრის ერთი ხერხი კიდევ რჩება პერსონალიზმს. პერსონის ფსიქოფიზიკური ნეიტრალურობა შეიძლება ისე კი არ იქნეს გაგებული, რომ პერსონა არც ფიზიკურია და არც ფსიქიკური, არამედ ისე, რომ იგი ფიზიკურიცაა და ფსიქიკურიც ერთსა და იმავე დროს. მაგრამ ავტორი ამ გზას არ მიმართავს. ნეიტრალურობა მას სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით ესმის. ასეთი გა-

გების ერთ-ერთი მანკი ისიცაა, რომ იგი პერსონის რაობის მხოლოდ ნეგატიურ დახასიათებას წარმოადგენს, რაც, ცხადია, არაა მეცნიერული მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი. მაგრამ საწინააღმდეგო, პოზიტიური, დახასიათება აგრეთვე მიუღებელია. ვინც ეცდება ფსიქოფიზიკური პრობლემა გადაჭრას სუბსტანციად ისეთი პერსონის აღიარებით, რომელიც ფიზიკურიცაა და ფსიქიკურიც, ის მხოლოდ ადგილს გადაუნაცვლებს პრობლემას და თვით სუბსტანციაში გადაიტანს მას. „ფიზიკურიც და ფსიქიკურიც პერსონა" ისევე ვერ გაიაზრება, როგორც ვერ გაიაზრება „არც ფიზიკური და არც ფსიქიკური პერსონა".

პერსონის ფსიქოფიზიკური ნეიტრალურობის საკითხთან დაკავშირებით მოკლედ უკვე შევეხე დისპოზიციის საკითხს. აქ უფრო გულდასმით უნდა გავარკვიოთ დისპოზიციის რაობა ამ თვალსაზრისით. დისპოზიცია ერთმთლიანი პერსონული ენტელექიის ნაწილობრივი გამოსხივებაა. მოვიყვან ავტორის სიტყვებს.

„უწინ სულიერი და სხეულებრივი თვისებების განსხვავება თავისთავად გასაგებ ჭ რ თად განსხვავებად იყო მიჩნეული; ახლა საქმე სხვაგვარადაა.

ბუნებრივია, რომ გარკვეული აზრით პერსონალიზმიც სცნობს ამ წინააღმდეგობას. თუ მიზანი, რომელსაც დისპოზიცია ემსახურება, ცნობიერების გარკვეული შინაარსების გამოწვევაში მდგომარეობს, გადატანითი აზრით ოვით დისპოზიციებსაც ფსიქიკური შეიძლება ვუწოდოთ: ფანტაზია, ინტელიგენტობა, მეხსიერება. თუ, პირიქით, დისპოზიცია სხეულებრივი პროცესებისა და მდგომარეობების მიზეზს წარმოადგენს, მას ფიზიკური ეწოდება. მოტილიტეტი, სუნთქვის უნარი, სახის აღნაგობა (Gesichtsbildung), მაგრამ ჩვენ ზემოთ უკვე მივუთითეთ, თუ რამდენად ხელოვნურია ასეთი იზოლაციები პიროვნებაში. ისეთი თვისებაც კი, რომელიც თითქოს მკაფიოდ „ფსიქიკურია", როგორიცაა ფანტაზია, მხოლოდ ფანტაზიის წარმოდგენების გამოწვევის მიზანს კი არ ემსახურება, არამედ აგრეთვე ფანტაზიის გამოვლენის, ე. ი. სხეულებრივი გარეგამოვლენების მიზანსაც; ძალიან თვითნებური იქნებოდა ამ უკანასკნელების: ხელოვანის შემოქმედებითი აქტის, სახიობის (Reproduction), ბავშვის თამაშის და სხვ.—მკაფიოდ გამოყოფა ცნობიერების თანმხლები მოვლენებისაგან და მათი მიზეზობრივად გამოყვანა სხვა თვისებიდან, ვინაიდან მთლიანი პროცესის

ძიზნის ერთიანობა უეჭველია. პირუკუც, არ შეიძლება ადამიანის ტენდენციები სხეულებრივი გამომხატველი მოძრაობებისადმი (მიმიკა ჟესტები, სისხლის მიმოქცევის ცვლილება და სხვ.) მხოლოდ და მხოლოდ „ფიზიკურ“ დისპოზიციებად განვიხილოთ, ვიხაიდან სხეულის ეს მოქმედებანი სულიერ განცდებთან განუთიშველ გამოხატულებითს — ე. ი. მიზნობრივ — ერთიანობაში იმყოფებიან. ამრიგად, ე. წ. „ფსიქიკური“ და „ფიზიკური“ თვისებები ნაძდვილად ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურები არიან და მათი სახელწოდება მხოლოდ საფუძვლად მდებარე ნაწილობრივი მიზნის მიჩედვით აქვთ.

ამ, მაინც უპირატესად ერთი მხრივ მიმართული, დისპოზიციების მიღმა არსებობს უპირობოდ (unbeding) ნეიტრალური დისპოზიციები. რომლებშიც, ამიტომ, ბევრად უფრო უშუალოდ ვლინდება პიროვნების ენტელექია ნებელობისა და ტემპერამენტის თვისებები: დინამიკური თვისებები, რომლებიც დაკავშირებულია ინდივიდში ძალის განწყობათა (Einstellung) განაწილებასთან, რიტმიზაციასთან, მომჭირნეობასთან (კონცენტრაციის უნარი, გადახრის, დაღლისა და დასვენების, ყურადღების რიტმიკის უნარიანობა); ვარჯიშისა და შეჩვევის, სიცოცხლის წარსული შინაარსების — სიცოცხლის მომავალი მიზნებისათვის გამოყენების მნემური დისპოზიციები ისინი განუწყვეტელ ერთიანობაში მოქმედებენ ინდივიდის ფსიქიკურსა და ფიზიკურ ნაქმობაზე (Leistung) და, ამიტომ, გადაულახავ დაბრკოლებას უყენებენ ინდივიდის უნაშთოდ „ფსიქიკურ“ „ფიზიკურად“ ორად გაყოფის ყოველგვარ ცდას. მხოლოდ პერსონალიზმმა მოუნახა მათ სათანადო ადგილი (rechte Ort der zuordnung): ეს არაა არც სულიერი, არც სხეულებრივი, არამედ განუწვალებლად პერსონული თვისებები“ [60].

აქედან ნათელია, თუ რას ემსახურება დისპოზიციის ცნება განსხვავება (და მეტიც: წინააღმდეგობა) სულიერსა და სხეულებრივს შორის ფენომენურ სფეროში. პერსონალიზმისთვისაც არსებობს, მაგრამ იგი ისე არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც აქამდე იყო — იმთავითს ძირითად წინააღმდეგობად,— არამედ ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური (თუ გნებავთ— ერთიანი) პიროვნების გამოვლენის სახეობათა შორის განსხვავებად. ფენომენები პიროვნების გამოვ-

---

[60] 3,75 შშ.

ლენებია, რომელიც (პიროვნება) რომელობითად განსხვავდება თითოეული მათგანისაგან: როგორც ფიზიკურისგან, ისე ფსიქიკურისგან. დისპოზიცია ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური პიროვნებისა და ფსიქიკური და ფიზიკური მოვლენების შუამავალია, დამაკავშირებელია, იგი ხიდია მათ შორის. რამდენადაც დისპოზიცია ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური პიროვნების ნაწილობრივი გამოსხივებაა, ისიც ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური უნდა იყოს; მაგრამ რამდენადაც იგი გამოვლენის უშუალო მიზეზია, იგი ისეთივე რომელობის უნდა იყოს, რომგორიცაა გამოვლენა, ე. ი. ან ფიზიკური, ან ფსიქიკური. ფსიქოფიზიკური პრობლემის (თუნდაც არა მისი ტრადიციული სახით, არამედ „პერსონალისტური ვარიანტის" სახით) მთელი სიმძიმე დისპოზიციას აწვება ტვირთად. მთლიანი, ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური პიროვნების თვალსაზრისით განხილული, დისპოზიცია არის ენტელექიის ნაწილობრივი[6] გამოსხივება და თავადაც ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური უნდა იყოს. მაგრამ საქმე ისაა, რომ დისპოზიცია, ვ. შტერნის ტერმინებით რომ ვილაპარაკოთ, ინტერპრეტაციაქმნილი (erdeutete) სინამდვილეა.

მართალია, იგი არაა რეალურად არსებული ან მოუკიდებელი ყოფიერება, არამედ აბსტრაქციის ნაყოფი, მაგრამ ეს არ ნიშნავს თითქოს შეიძლებოდეს როგორობის გარეშე მისი გააზრება. როგორც ავტორი ამბობს, იგი, როგორც პოტენცია, „არავითარნაირად არ გამოიყურება" და ამიტომ უმართებულოა კითხვა, თუ როგორ „გამოიყურება" იგი (wie sieht sie aus), მაგრამ მისი კვალიფიკაცია მაინც შესაძლებელი უნდა იყოს. იგი უშუალოდ არ გვეძლევა, არამედ ღაისკვნება, გამოიყვანება ფენომენურად მოცემულიდან, როგორც მისი საფუძველი. ცალკეული, ფრაგმენტული მოკლენისათვის — განცდისთვის — ნაგულისხმევია პოტენციური საფუძველი. ეს საფუძველია დისპოზიცია, ანუ „პ ო ტ ე ნ ც ი უ რ ი გ ა ნ ც დ ა"[202]. ამ უკანასკნელ გამოთქმას ავტორი მხოლოდ ერთხელ თითქოს შემთხვევით (თუმც კი კურსივით!) ხმარობს, მაგრამ იგი კარგად გამოხატავს დისპოზიციების ერთი ჯგუფის ბუნებას. ისინი ფაქტიურად ფ ს ი ქ ი კ უ რ ი ს დესპოზიციები კი არაა მხოლოდ, არა-

---

[201] ნაწილობრივობის შესახებ—ქვემოთ!

[202] 1,111

შედ ფსიქიკური დისპოზიციები. ისინი, ცხადია, არ არიან ფსიქიკურნი ცნობიერების მნიშვნელობით, მაგრამ, ცხადია ისიც, რომ აღარც ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურები არიან იმავე აზრით, რა აზრითაც პერსონაა ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური. და შეუძლებელიცაა რომ იყვნენ. შეუძლებელია იმიტომ, რომ ასეთი თუ ისეთი დისპოზიციის არსებობა დასკვნილია ფენომენებიდან: ვინაიდან არსებობს ფენომენი, მას უნდა გააჩნდეს პოტენციური ნიადაგი. რამდენადაც იგი პოტენციურია, ანუ ჯერ განუხორციელებელია, იგი არაა ისევე ერთმნიშვნელოვანი, როგორც განხორციელებული ფაქტი; მაგრამ რამდენადაც იგი ერთმნიშვნელოვანად განხორციელებული ფაქტებისაგანაა გამოყვანილი, მას რაღაც გარკვეულობა მაინც უნდა ჰქონდეს. რაღაც მიმართებულობა, სახელდობრ: აი ამ სახის ფენომენებში განხორციელებისადმი მიმართებულობა. მეხსიერების დისპოზიციის არსებობის დადასტურებას, მაგალითად, მეხსიერების ფენომენების არსებობა აიძულებს პერსონალიზმს. მაგრამ, რარომ აღიარებულია მეხსიერების დისპოზიციის არსებობა. ამით განსაზღვრულია მისი რაობაც: იგი მხოლოდ მეხსიერების ფენომენებში შეიძლება განხორციელდეს და სხვა არაფერში.

იმისგან, რასაც პირობაუდებლად შეიძლება ფსიქიკური ვუწოდოთ, სახელდობრ — განცდისაგან, დისპოზიცია უეჭველად განსხვავდება. განცდა — განიცდება, ე. ი. უშუალოდაა მოცემული; დისპოზიცია არ განიცდება. განცდა აქტუალურია, დისპოზიცია—პოტენციური. განცდა — კონკრეტულია, ერთმნიშვნელოვანია; დისპოზიცია — მრავალმნიშვნელოვანია იმ აზრით, რომ, გარკვეულ ფარგლებში, ს ვადასხვაგვარ განცდად შეიძლება განხორციელდეს, გარკვეული „გასაქანი" აქვს. ყველა ეს განსხვავება არაფერს ანიჭებს დისპოზიციას ისეთს, რაც ფსიქოფიზიკური პრობლემის „პერსონალისტური ვარიანტის" გადაწყვეტისთვის გამოდგებოდა. დისპოზიციის ცნება მალავს, ჩქმალავს საკითხს იმის შესახებ, თუ სად ჩნდება განსხვავება ფსიქიკურსა და ფიზიკურს შორის.

ვ. შტერნის აზრთაწყობა, არსებითად, შემდეგნაირია: მოვლენების, ფენომენების სიბრტყეში ეს განსხვავება ფაქტადაა მოცემული. მაგრამ პრობლემა ამ სიბრტყეში არ დგება, რადგან გამოვლე-

ნების უშუალო საფუძველი დისპოზიციებია და გამოვლენა ისეთია, როგორიცაა მის საფუძვლად მდებარე დისპოზიცია: ფიზიკური დისპოზიცია ფიზიკურ ფენომენებში გამოვლინდება, ფსიქიკური — ფსიქიკურში. აქ აზრთა მსვლელობის ერთი ძაფი წყდება: ფენომენების პოზიციიდან ჭვრეტისას, დისპოზიციის შესახებ მეტის არაფრის თქმა არ შეიძლება. ფენომენის ასახსნელად მეტი არცაა საჭირო: იგი (ფენომენი) შესაძლებელია იმიტომ, რომ არსებობს პოტენციური მიმართებულობა და აღქურვილობა გარკვეული სახით გამოვლენისადმი — გარკვეული დისპოზიცია.

ახლა უკვე დისპოზიციის ახსნის საკითხი დგება. დაშვებულია, რომ არსებობს დისპოზიცია, როგორც პოტენცია და ტენდენცია გარკვეული სახით გამომჟღავნებისადმი. როგორაა იგი შესაძლებელი? რას ემყარება იგი? — მის საფუძველს პიროვნება წარმოადგენს. პიროვნება მრავალერთიანობაა. მის მიზანთა მრავლობა სისტემადაა ჩამოყალიბებული. ამ სისტემის თითოეული წევრი მეტად თუ ნაკლებად მკაფიოდაა გარკვეული. მიზანი მოითხოვს განხორციელებას, და განხორციელების შესაძლებლობა მასშივეა მოცემული. ამიტომ პიროვნება, მიზნისეულობის თვალსაზრისით თუ განვიხილავთ მას, ერთიანი ენტელექიაა, ხოლო ნაწილობრივი მიზნები — დისპოზიციები. დისპოზიცია თავისთავადი და დამოუკიდებელი „ნიჭიერება" კი არაა, არამედ მთლიანპერსონული ენტელექიის ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი გამოსხივება. რამდენადაც იგი ნაწილობრივი გამოსხივებაა, იგი მეტად „სპეციფიკაციაქმნილია", თუ შეიძლება ასე ითქვას, ვიდრე მთლიანი პიროვნების ერთიანი ენტელექია, მაგრამ, რამდენადაც იგი მთლიანპიროვნული ენტელექიის გამოსხივებაა, არსებითად იგი მხოლოდ და მხოლოდ იმავე ბუნების შეიძლება იყოს, რა ბუნებისაცაა მისი საფუძველი — პიროვნება, სახელდობრ — ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურის.

ასეთი აზრთაწყობის შედეგად დისპოზიციის ცნება გაურკვეველი რჩება; მრავალი სხვა საკითხის გასარკვევად იგი შეიძლება ძალიან მარჯვე ჰიპოთეზს წარმოადგენდეს, მაგრამ ფსიქოფიზიკური პრობლემის გადაჭრა, რაც მას დააკისრა პერსონალიზმმა, ოდნავადაც არაფერს იგებს ამ ცნებით.

პიროვნების მრავლიანობა

მეორე ამოცანა, რომელიც დისპოზიციის ცნების საშუალებით უნდა გადაიჭრას, მრავალერთიანი პიროვნების ცალკეულ კონკრეტულ ფენომენებად გამოვლენის მექანიზმის ახსნაა.

პიროვნება მრავლიანია, ერთმთლიანია, პოტენციურია, დიფუზურია. მისი გამოვლენა ერთმნიშვნელოვანია, აქტუალურია, მეტად თუ ნაკლებად გეშტალტურია. ფენომენურ სიბრტყეში მოცემულია კერძოობითი ხასიათის გამოვლენები — ამჟამად სულერთია ჩვენთვის: ფსიქიკური, ფიზიკური, თუ „ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური" ხასიათის იქნებიან ისინი. ყოველი გამოვლენა უსაფუძოდ ნაწილობრივია. პიროვნების მრავალერთიანობა მთელი სისრულით არასოდეს არ გამოვლინდება, მაგრამ ყოველი გამოვლენა პიროვნებ·ს, როგორც მრავალერთიანობის, ნაწილობრივი გამოვლენაა. მაშასადამე, სადღაც უნდა ხდებოდეს მთლიანი პიროვნების „დანაწილება". ცალკეული მოვლენის უშუალო საფუძველი — დისპოზიცია ერთმნიშვნელოვნად მოქმედი ძალა კი არაა, არამედ ერთგვარი „გასაქანის მქონე შესაძლებლობა". სრულ გარკვევას, კონკრეტიზაციას დისპოზიცია მხოლოდ რეალურ განხორციელებისას განიცდის; მაგრამ აქ უკვე საქმე გვაქვს ფენომენთან, რომელიც ცხადია, საკუთრივ ერთმნიშვნელოვანი და კონკრეტულია. დისპოზიცია მხოლოდ შესაძლებლობაა ფენომენის აღმოცენებისა, ან უკეთ: ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც შესაძლებელს ჰყოფს ფენომენს. მეორე ფაქტორი გარესამყაროა, ხოლო დისპოზიციის მასთან კონვერგენცია—მექანიზმია ფენომენის აღმოცენებისა. დისპოზიციის დაზუსტება, ჩამოყალიბება, გარკვევა სიტუაციის მიერ ხდება. მაგრამ უაზრობა იქნებოდა დისპოზიციის ცნების შემუშავება, არაფრით რომ არ განსხვავდებოდეს იგი მთლიანპიროვნული ენტელიქიის ცნებისგან. ენტელექია, ასე ვთქვათ, თავისუფალია ყოველივე შინაარსისაგან. ენტელექია მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ პიროვნებას აქვს მიზანი და ეს მიზანი მოქმედებს, როგორც causa finalis. ენტელექიის ცნება მხოლოდ ფორმალურად განსაზღვრავს პერსონის მიზნისეულობას. თუ როგორია ეს მიზნისეულობა, ენტელექიის ცნებაში არაა ნაგულისხმევი. შეიძლება ითქვას, რომ დისპოზიციაც ფორმალური ცნებაა. ეს სწორი იქნება იმდენად, რამდენადაც დისპოზიცია ენტელექიის ნაწილია. მაგრამ დისპოზიცია, ამასთანავე ნიშ-

ნავს რაღაცა მიზნისკენ მიმართებულობას და მის განხორციელებისთვის აღჭურვილობას პერსონისას. ე. ი. დისპოზიციაში იგულისხმება მიზანი, როგორც შინაარსის მქონე რამ. ამიტომ დისპოზიციასაც ენიჭება შინაარსი. ამიტომაა შესაძლებელი ითქვას: „აზროვნების დისპოზიცია", „მეხსიერების დისპოზიცია" და სხვა. მაშინ, როდესაც „ენტელექია" ამდაგვარ მსაზღვრელს ვერ ეგუება. ერთადერთი მსაზღვრელი, რომელიც შეიძლება დაერთოს „ენტელექიას", ესაა — „პერსონის". „პერსონის ენტელექია". მაგრამ ამითი სრულიად არაფერი ითქმის ახალი, რადგან ცნება „ენტელექიაში" თავისთავად ნაგულისხმევია მისი მთლიანი პერსონისადმი კუთვნილება და მეტიც — ენტელექია თვითაა პერსონა, მიზნისეულობის თვალსაზრისით დანახული.

დისპოზიცია პერსონის მიზნისეულობის ნაწილია და თითოეულ დისპოზიციას პერსონის ყოფიერების მხოლოდ ერთ სფეროსთან აქვს კავშირი. ასეთმა განმარტებამ გაუგებრობა არ უნდა გამოიწვიოს, თითქოს პერსონის სიცოცხლის კონკრეტულ გამოვლენას მხოლოდ ერთი დისპოზიცია უდევს საფუძვლად. ასე, მაგ., ავტორის თანახმად, აზროვნების მოვლენები, უწინარეს ყოვლისა, აზროვნების დისპოზიციას ემყარება, მაგრამ მათ აღმოცენებაში მნემურისა და ნებელობის დისპოზიციებსაც უდევთ წილი. სოლო თუ ასეა, — ეს იმასაც ნიშნავს, რომ თითოეული დისპოზიცია მრავალ სფეროში მოქმედებს. მაგ., მნემური დისპოზიცია, თურმე, აზროვნების მოვლენებში მონაწილეობს; მაგრამ ცხადია, რომ იგი, უწინარეს ყოვლისა, მნემური მოვლენების საფუძველია და სწორედ ამიტომაც ჰქვია მას მნემური დისპოზიცია. იქმნება ზემოთქმულის საწინააღმდეგო შთაბეჭდილება, თითქოს ყოველ კონკრეტულ გამოვლენაში სხვადასხვა (იქნებ, ყველა?) დისპოზიცია მოქმედებს, და თითოეული დისპოზიცია სხვადასხვა (იქნება, ყველა?) კონკრეტულ გამოვლენაში მოქმედებს. ასეთი შთაბეჭდილება არ შეესატყვისება საქმის ნამდვილ ვითარებას. პერსონის სიცოცხლის გამოვლენები მ თ ლ ი ა ნ ი პერსონის გამოვლენებია და, ამიტომ, თითოეულ კონკრეტულ ფაქტში პერსონის სხვადასხვა ასპექტი მეღავნდება. მეცნიერული ანალიზი მოითხოვს თითოეული მათგანის იზოლაციას, პერსონის თითოეული მხარის ცალკე დანახვას. ამიტომ, როდესაც ავტორი ამბობს, რომ მაგ.: აზროვნების პროცესების აღმოცენებაში მნემური და ნებელობის დისპოზიციებიც მონაწილეობს,

ეს მართალია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის მოვლენა, რომელ-საც მან აზროვნების პროცესი უწოდა, არაა წმინდა სახის აზროვ-ნების პროცესი, არამედ, თვალსაზრისისდა მიხედვით, შეიძლება მნემურ, ან ნებელობის მოვლენად წარმოგვიდგეს. რამდენადაც იგი აზროვნების პროცესია, ამდენად იგი აზროვნების დისპოზიცი-ას ემყარება; რამდენადაც მნემური პროცესია — მნემურს და ა. შ. ამრიგად, თუ ანალიზის შედეგად რაიმე მოვლენის კვალიფიკაციას მოვახდენთ, მის საფუძვლად მხოლოდ შესატყვისი დისპოზიცია შე-იძლება ვიგულოთ. მოვლენის „აზროვნებისეულობა", თუ შეიძლება ასე ითქვას, აზროვნების დისპოზიციითაა პირობადებული, „მნემი-სეულობა"—მნემურით, „ნებისეულობა"-- ნებელობის დისპოზიცი-ით და ა. შ. მხოლოდ ასე გაგებისას აქვს მნიშვნელობა დისპოზიცი-ის არსებობის დაშვებას. ერთ-ერთი ამოცანა, რომელიც დისპოზი-ციის ცნებას აქვს დაკისრებული, ეს იმის გაგებაა, თუ როგორ ხდე-ბა, რომ პერსონის ერთიანობა სიმრავლედ გამოვლინდება, როგორ ხდება მრავალმნიშვნელოვანი ერთიანი პერსონის კონკრეტიზაცია. ამ ამოცანის თვალსაზრისით დისპოზიციის ადგილი პერსონაში შემ-დეგნაირად ხასიათდება:

პერსონა მრავალ მიზანთა სისტემაა. თითოეული მიზანი ერთ-მთლიანი სისტემის დამოკიდებული წევრია. ვინაიდან მიზანი პერ-სონის მამოძრავებელი ძალაა, ამიტომ პერსონის მთლიანი მიზნისეუ-ლობა ენტელექიად უნდა ვიაზროთ, ხოლო ნაწილობრივი მიზნე-ბი—დისპოზიციებად. დისპოზიციაში მოცემულია პერსონის ერთი მხრივ მიმართებულობა და ამ მიმართულებით მოქმედების უნარი. დისპოზიციების სიმრავლე პერსონის მრავალმხრივ მიმართებუ-ლობის გამომხატველია. პერსონის ურთიერთობა სამყაროსთან (მი-სი რეალური ყოფიერების აუცილებელი პირობა) რადიალურია, იტყოდა ავტორი, და არა ერთმხრივი. თითოეული დისპოზიცია ამ რადიალური მიმართებულობის ცალკეული „გამოსახვებაა". იგი, როგორც სხივს შეპფერის, თანდათან ფართოვდება და სამყაროს მე-ტად თუ ნაკლებად ფართო სფეროს ეფინება. მთლიანპერსონული ენტელექიისგან განსხვავებით იგი ერთი მიმართულების მქონეა; ფენომენისაგან განსხვავებით მას ჯერ კიდევ არა აქვს ზუსტად გარ-კვეული ერთმნიშვნელოვანი შინაარსი.

ახსნის პლანში პერსონალისტური ფსიქოლოგიის ამოცანაა გარკვეულობას მოკლებული მთლიანი პიროვნებიდან ერთმნიშვნე-

ლოვანი გარკვეულობის მქონე განცდის გამოყვანა. ფსიქოლოგიის იმთავითი მასალა (Urmaterial) მხოლოდ განცდებია. პიროვნებას აქვს განცდები და პიროვნება გამომჟღავნდება განცდებში, ანუ — განიცდის. აქტიურობის და პასიურობის მომენტი სხვადასხვა პროპორციით ერთდროულად მოცემულია ყოველ განცდაში.. აქტიურობის მომენტი ზოგჯერ განცდისეულადაც ე. ი. ცნობიერად აისახება ხოლმე დაძაბვის შეგრძნებების, აქტივობის გრძნობის და სხვა სახით. ეს გარემოება განამტკიცებს ფსიქოლოგიის უფლებას, -- განცდების გამომწვევი აქტების არსებობა იგულისხმოს. ფსიქიკური შინაარსი ფსიქიკური აქტითაა გამოწვეული, უპირატესად პასიური ფენომენების შემთხვევაში მათ საფუძველს მდგომარეობა (Zustand,—და არა აქტი!) შეიძლება ეუწოდოთ. როგორც აქტი, ისე მდგომარეობა აკუტური კონკრეტული განცდის საფუძველია და თვითონაც ერთხელობრივი და გარკვეულია. ახსნის პრინციპად იგი უკმარია, აუცილებლად უნდა იქნეს ნაგულისხმევი რაღაც საფუძველი, რომელიც ამ აკუტურ მდგომარეობების, აქტებისა და განცდების მონაცვლეობის მიერ ხელშეუხებლად მუდმივად განაგრძობს არსებობას. ასეთი საბოლოო საფუძველი პიროვნებაა, მაგრამ იგი შორეული საფუძველია. უახლოესი საფუძველი კი არის დისპოზიცია. იგი, პრინციპულად, ქრონიკული ბუნებისაა. ფაქტიურად სხვადასხვა დისპოზიციის ხანგრძლივობა სხვადასხვაა და ამიტომ, შესაძლებელია ქრონიკული დისპოზიციებისგან განვასხვავოთ ნახევრადქრონიკული დისპოზიციები (ასეთია: Lage, Haltung, Einstellung). უკანასკნელები ერთხელობრივ სიტუაციასთან არიან დაკავშირებული და სწრაფად წარმავალნი არიან. პირველები მუდმივად არსებობენ და პერსონის სიცოცხლის გააზრება უიმათოდ შეუძლებელია. მაგრამ ისინი მუდამ ერთგვაროვანი არ არიან, არამედ ცვალებადობენ სიცოცხლის განმავლობაში. „სრული ლატენტურობიდან, ადრე თუ გვიან, ნამდვილ მზაობად იქცევიან; ამასთან მათი პოტენცია ძალას იმატებს, მათი ტენდენცია — გარკვეულობას. რაც თავდაპირველად მხოლოდ და მხოლოდ დიფუზური, ძალიან მრავალმნიშვნელოვანი „განწყობილობა" (Anlage) იყო, თანდათან „თვისებად" (Eigenschaft) ჩამოყალიბდება[263]. პიროვნების გამოვლენათა კონკრეტიზაციის საკითხის ჭა-

---

[263] 1,114.

სარკვევად ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სრული კონკრეტიზაცია დისპოზიციისა და გარესამყაროს კონვერგენციის შედეგად პიროვნების პოტენციურობის რეალურობად ქცევისას ხდება, მაგრამ გაერთმნიშვნელოვანების დასაბამი დისპოზიციაშივეა მოცემული. გარკვეული ა ი ა მ სახის ფენომენის აღმოცენება მხოლოდ იმიტომაა შესაძლებელი. რომ სამყაროსთან კონვერგენციას, ფაქტიურად, ა ი ე ს გარკვეული დისპოზიცია ამყარებს და არა განუწყვეტელი ერთმთლიანი პიროვნება. ასეთი მდგომარეობა უეჭველ საფრთხეს ქმნის კონვერგენციის მოძღვრების მიერ დასახული ვითარებისთვის, და ავტორი იძულებულია საგანგებოდ აღნიშნოს, რომ დისპოზიცია მხოლოდ და მხოლოდ წინასწარ განწყობაა (Prädisposition) პიროვნებისა და არა ბედისწერა (Prädestination). დისპოზიცია არა მარტო ფაქტორია კონვერგენციისა. არამედ მისი პროდუქტიცაა ამასთანავე. ამის აღიარებით. რა თქმა უნდა. მაქსიმალურად იზრდება სამყაროისეული ფაქტორის როლი კონვერგენციაში. რაც უეჭველ უპირატესობას ანიჭებს დისპოზიციის ცნებას „ნიჭიერების“ ცნების წინაშე. დისპოზიცია აღარ წარმოგვიდგება იმთავითვე სრულიად გარკვეული შინაარსით აღჭურვილ გაქვავებულ რომელობად, არამედ ცვალებადობისუნარიან პოტენციად თუ ტენდენციად. ერთი მხრივ, აღიარებულია, რომ დისპოზიციას აქვს სახვის უნარი. ანუ პლასტიკურობა. ეს იმას ნიშნავს, რომ დისპოზიცია არაა გაქვავებული, გარკვეული უცვლელი რომელობის მქონე ნიჭიერება, არამედ ცვალებადობის უნარით აღჭურვილი შესაძლებლობა. მაგრამ, მეორე მხრივ, პლასტიკურობისავე წყალობით შესაძლებელი ხდება დისპოზიციის გარკვევა, მის მიერ ერთმნიშვნელოვანი შინაარსის შეძენა, დიფუზური განწყობილობიდან (Anlage) გარკვეულ თვისებად (Eigenschaft) ჩამოყალიბება. როგორც ჩამოყალიბებული თვისება, დისპოზიცია, არსებითად, არ განსხვავდება ნიჭიერებისგან, რომლის ერთი დიდი ნაკლი. სწორედ, ერთმნიშვნელოვნად მოქმედებაა, მისი გარკვეულობით პირობადებული. ყოველ ნიჭიერებას მხოლოდ გარკვეული ერთი სახის მოქმედების გამოწვევა შეეძლო ნიჭიერებათა თეორიის თანახმად. ამიტომ დაშვებული უნდა ყოფილიყო იმდენნაირი ნიჭიერება, რამდენნაირი სახის მოქმედებაც არსებობდა. დისპოზიციის შემთხვევაშიც ანალოგიურ მდგომარეობას ვხედავთ: პერსონის ყოველ მოქმედებას, ყოველ გამოვლენას უშუალო საფუძვლად გარკვეულად სპეციფი-

კაციაქმნილი დისპოზიცია უდევს. შთაბეჭდილება რომ არ შეიქმნეს, თითქოს, დისპოზიციის ცნება არაფრით არ განსხვავდება ნიჭიერების ძველი ცნებისგან, განმეორებით უნდა აღვნიშნო, რომ დისპოზიცია, როგორიც არ უნდა იყოს იგი, ვ. შტერნისთვის არსებობს მხოლოდ როგორც პიროვნების მთლიანობის ნაწილი და არა როგორც დამოუკიდებელი ძალა, როგორადაც იყო გაგებული ნიჭიერება.

ამრიგად დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ არსებიანად პიროვნების მრავალმნიშვნელოვანობის გაერთმნიშვნელოვანება დისპოზიციის სფეროში ხდება. თითქოს აღარაფერია გაუგებარი იმაში, რომ მრავალერთიანი პიროვნება კონკრეტულ მოქმედებაში გამოვლინდება: ეს შესაძლებელი უნდა იყოს იმიტომ, რომ დისპოზიცია ერთმნიშვნელოვანია. ხოლო ამასთანავე იგი მთლიანი პიროვნების გამოსხივებაა.

ასეთი ახსნა არაა დამაკმაყოფილებელი. დისპოზიციას მიეწერება ორი, ურთიერთის გამომრიცხველი თვისება: კონკრეტულობა და ზოგადობა. ერთი მხრივ, იგი წარმოდგენილია პოტენციად იმისა, რომ განხორციელებული სახით ფენომენად გვევლინება და ფენომენისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ჯერ არაა განხორციელებული, ჯერ მხოლოდ პოტენციაა. „არაცნობიერი განცდისაგან" იგი უსათუოდ განსხვავებულია: არაცნობიერი განცდა გულისხმობს განცდას, რომელიც არაა ცნობიერი და მხოლოდ ამით განსხვავდება ცნობიერი განცდისაგან. ვ. შტერნს იგი აბსურდად მიაჩნდა. დისპოზიცია (კერძოდ, ფსიქიკურ დისპოზიციაზე რომ ვილაპარაკოთ) არაა განცდა, არამედ არის განცდის (არამარტო Erleben-ის, არამედ აგრეთვე Erlebnis-ის მნიშვნელობით) შესაძლებლობა. განცდა კონკრეტულია და დისპოზიციაც, როგორც სწორედ ა ი ა მ განცდის დისპოზიცია, აგრეთვე კონკრეტულია. ფენომენი მხოლოდ იმდენადაა შესაძლებელი, რამდენადაც სიტუაციას კონკრეტული დისპოზიცია უპირისპირდება. მართალია, დისპოზიციის კონკრეტულობა განსხვავებულია ფენომენის კონკრეტულობისაგან. მაგრამ ეს განსხვავება დაიყვანება პოტენციურობისა და რეალურობის განსხვავებაზე. ავტორის სიტყვებით, პოტენციას არა აქვს სახე. ამიტომ არც კონკრეტული შეიძლება იყოს იგი იმ აზრით, რა აზრითაც კონკრეტულია „სახის მქონე" ფენომენი. მაგრამ—მხოლოდ ამდენად! როგორც პოტენცია, იგი რეალიზაციის წინასაფეხურზე

უკვე აღწევს მაქსიმალურ გაერთმნიშვნელოვანებას და კონვერგენციის მთავარი შედეგი დისპოზიციის კონკრეტიზაცია კი არაა, არამედ მისი რეალიზაცია.

ფენომენი — ფიზიკური იქნება იგი, ფსიქიკური თუ „ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური" — პერსონის გამოვლენაა. ამიტომ იგი მხოლოდ და მხოლოდ მისი რეალურობაში პროექცია შეიძლება იყოს და, მაშ, არ შეიძლება შეიცავდეს რაიმე აბსოლუტურად ახალს, ისეთს, რაც პერსონაში პოტენციის სახით მზამზარეულად არაა მოცემული. ნამდვილად, ასე უნდა გავიგოთ კონვერგენციაში მონაწილე დისპოზიციის ბუნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დისპოზიციაში უკვე გარკვეულია, თუ როგორი სახით განხორციელდება იგი აი ამ კერძო შემთხვევაში, და კონვერგენციის ცალკეულ კერძო შემთხვევაში სიტუაცია ფაქტიურად მხოლოდ სარბიელია დისპოზიციის მოქმედებისა. პლასტიკურობის უნარის წყალობით დისპოზიცია შეიცვლება მხოლოდ კონვერგენციის განხორციელების შემდეგ. მაგრამ კონვერგენციის ყოველ კერძო აქტში იგი მონაწილეობს მზამზარეული სახით. დისპოზიციაზე სიტუაცია კი არ მოქმედებს, არამედ ცოცხლობა (Lebnis). თუ გავიხსენებთ იმას, რომ ბოლოს და ბოლოს თვით სიტუაციაც პერსონის შემოქმედებაა, დისპოზიციის სახვისუნარიანობასაც. არსებითად, თვით-სახვად წარმოგვიდგება. მაგრამ, ამჟამად პიროვნების გამოვლენის მხოლოდ თითოეული კერძო შემთხვევა მაინტერესებს. ნაწარმოები მსჯელობის თანახმად, მისი როგორობა დისპოზიციის როგორობითაა საკვანძოთ განსაზღვრული. დისპოზიციის როგორობა კი ორ ფაქტორზეა დამოკიდებული: გარესამყაროს ზემოქმედებაზე და შინაპერსონულ მიზანმისწრაფებაზე. გარესამყაროსთან ურთიერთობისას განხორციელდება დისპოზიცია და განხორციელების შედეგად ჩნდება, თუ — მატულობს, მისი მზაობა ამგვარად განხორციელებისადმი. შინაპერსონული ზემოქმედება სულ სხვა ბუნებისაა. აქ არც შეიძლება ნამდვილი აზრით ზემოქმედებაზე ლაპარაკი, რადგან პერსონის მიზანმისწრაფება დისპოზიციისთვის გარემდებარე კი არაა, არამედ დისპოზიცია თვითაა მიზანმისწრაფების ნაწილობრივი გამოსახვება.

ჩანერგვა-გამოყოფის თეორიის თანახმად, მომენტი მით მეტადაა გეშტალტური, რაც უფრო მეტადაა გამოყოფილი პერსონის მთლიანობას და შებრუნებითაც: რაც უფრო გეშტალტურია, მით

უფრო მეტადაა გამოყოფილი. დისპოზიცია იმ სახით, რა სახითაც იგი უშუალოდ უპირისპირდება სამყაროს,—რეალიზაციისაკენ მიმავალი გზის უკანასკნელ პოტენციურ ეტაპზე—მაქსიმალურადაა გეშტალტური, რამდენადაც კი შეიძლება გეშტალტური იყოს პოტენციურობა. ამდენად იგი მაქსიმალურად გამოყოფილიცაა პერსონის მთლიანობას. თვისება (Eigenschaft) ბევრად უფრო გეშტალტურია, ვიდრე განწყობილობა (Anlage) და, ამიტომ, იგი ბევრად უფრო თვითმყოფია, ბევრად უფრო დამოუკიდებელია პერსონის მთლიანობისგან. სამყაროსთან ურთიერთობა ამ, მაქსიმალურად დამოუკიდებელ, დისპოზიციას აქვს. რეალიზაცია სწორედ ამ. მაქსიმალურად დამოუკიდებელი, მომენტისა ხდება. გამოვლენაში უშუალოდ პერსონა კი არ გამოვლინდება, როგორც მთლიანობა, არამედ — მისი მხოლოდ ნაწილი, მისგან განთავისუფლებული მომენტი.

პიროვნების ერთიანობა

ვ. შტერნის თანახმად, „დღეს საყოველთაოდ გავრცელებულ „მთლიანობის" — ცნებათა შორის, მტკიცედ უნდა გამოიყოს „პერსონული მთლიანობა": იგი სხვებისგან განსხვავდება თვითგანსაზღვრების ნიშნით და მომენტების: გეშტალტისა და უნგეშტალტის, მოცემულობისა და პოტენციურობის, გამოყოფისა და ჩანერგილობის — დიალექტიკური დაკავშირებით"[264]. „პერსონა იმთავითი მთლიანობაა, მაშინ, როდესაც მასში მოცემულ ორგანოებს, სტრუქტურებს, გეშტალტებს, ცნობიერებებს, ფუნქციებს, დისპოზიციებს და ა. შ. მხოლოდ „პერსონის წყალობით" აქვთ მთლიანობათა ხასიათი"[265].

მაგრამ პერსონის სიცოცხლეში მრავალია ისეთი შემთხვევა, რომლის გაგება და ახსნა მთლიანობითი თვალსაზრისით მნიშვნელოვან სიძნელეს წარმოადგენს, თუ მთლიანობა გაგებულია, როგორც გაუნაწევრებელი „ერთი". ასეთი სიძნელის ნიმუშია, მაგ., ყურადღების განაწილების სახელით ცნობილი მოვლენა. როდესაც ფსიქიკა (როგორადაც არ უნდა იყოს იგი გაგებული, სულ ერთია)

---

[264] 5, გვ. V.
[265] 14, 158

ერთდროულად სხვადასხვამხრივაა მიმართული[266], მთლიანობის პოზიციიდან უეჭველად ძნელია ამგვარი მოვლენის ახსნა. „პერსონალისტური ფსიქოლოგიისათვის, — ამბობს ავტორი, ეს სიძნელე არ არსებობს. ვინაიდან პერსონის მთლიანობა ყველგან და ყოველთვის სიმრავლის ერთიანობაა, ამიტომ არავითარი წინააღმდეგობა არაა, ერთი მხრივ, განწყობის მიმართებულებათა (Einstellungsrichtung), ანუ ენერგიის ფოკუსების (Energiebrennpunk) სიმრავლესა, მეორე მხრივ კი, პერსონულ ერთიანობას შორის. ჩვენი თვალსაზრისით, პირიქით, საკითხი ისაა, თუ როგორ ხდება მრავლობის განწესრიგება ტოტალობაში"[267], საბოლოოდ, ვ. შტერნი ვერ ახერხებს მრავლობის გაერთიანებას. იგი მოიშველიებს პიროვნების სიღრმის სხვადასხვა ფენებს და ამბობს. რომ მრავალი ამოცანის ერთდროულად შესრულებისას ერთი ამოცანა ცენტრალურ ძალებს გამოიყენებს, მეორე უფრო ზედაპირულ ძალებსო. ეს ახსნა არაა დამაკმაყოფილებელი: ყურადღება, როგორც აქტი, მთლიანად ერთ ფენაში თავსდება. მისი საგანი, როგორც ფენომენი — აგრეთვე ერთ ფენაში; ისე, რომ სხვადასხვა ფენებს შორის მისი განაწილება სრულიად შეუძლებელია. მრავალმაგი მოქმედებისას ენერგიის განაწილების ორგანიზაციაც პერსონული ერთიანობის საფუძველზე ხდება მხოლოდ გასაგებია. და ამ მოვლენას ისე ხსნის, რომ ერთი მიმართულებით ენერგიის დაძაბვის შესუსტებისას მისი მეორე მიმართულებით გაძლიერება ხდებაო. ასეთი ახსნა, ფაქტიურად, ნიშნავს ყურადღების განაწილების უარყოფას, მის დაყვანას ყურადღების მიმართულების მონაცვლეობაზე. მთლიანობითი თვალსაზრისი ვერაა გამოყენებული და ყურადღების განაწილება, რომელიც ფაქტადაა მიჩნეული, არსებითად უარყოფილია. მრავალობის მომენტმა სძლია აქ ერთიანობის მომენტს საკითხის დაყენებისას. უწინდელ „მოფილოსოფოსე"* თეორეტიკოსებს უსაყვედურებს ავტორი: თავსამტვრევ საკითხად გაუხდათ ყურადღების განაწილება, რადგან იგი ვერ ეგუება მარტივი სულის და ერთიანი ცნობიერების თეზისს, და იძუ-

---

[266] დღეს ეჭვია მიტანილი თვით ასეთი ფაქტის არსებობაზე. მაგრამ ტრადიციული გაგების თანახმად ნამდვილად არსებობს ყურადღების განაწილების მოვლენები. აქ თავისთავად ეს პრობლემა არ მაინტერესებს და ვღებულობ განაწილებას, როგორც ფაქტს.

[267] № 1, 664.

* philosophierende.

ლებული იყვნენ უარეყოთ ერთდროულად სხვადასხვაგვარი მოქმედების შესაძლებლობაზ. მაგრამ თითონაც, ბოლოს და ბოლოს, იძულებულია ასე მოიქცეს, როდესაც ერთიანობაზე სურს ყურადღების განაწილების დაყვანა.

ე. წ. „ყურადღების განაწილებაში" ყველაზე უფრო მკაფიოდ იჩენს თავს „unitas multiplex"-ის მანკიერება. ფაქტიურად ყოველი წევრი, ყოველი მომენტი ერთიანი პერსონის დამოუკიდებლად, თავისთავად მოქმედებს; მათი მრავალობის ერთიანობა კი, როგორც ასეთი, უშუალოდ არ მონაწილეობს რეალურ ყოფიერებაში. რამდენადაც ემპირიის ახსნა-გაგება მისი ღრმა ფენებზე დაყვანის ძიმართულებით მიდის, — იგი გამართლებულია ხოლმე. მაგრამ დასაბუთების მეორე გზაც არსებობს პერსონალისტურ სისტემაში — პიროვნებიდან გამოყვანის გზა, და უმართებულობანი ამ შეთოდით მონაპოვარში გვხვდება ხოლმე. დისპოზიციების საკითხის განხილვისას ამაში საკმაოდ დავრწმუნდით: რამდენადაც დისპოზიცია პიროვნების ფენომენური ზედაპირის თვალსაზრისითაა დადგენილი და დახასიათებული, რამდენადაც იგი მოვლენათა საფუძვლად მდებარე სინამდვილედაა მიჩნეული, — მისი დახასიათება დამაჯერებელია და დამაკმაყოფილებელი. მართლაც, ფსიქოლოგიის იმ მიმართულებისთვის, რომლებიც განცდების ახსნას ისახავენ მიზნად, იმთავითვე ცნობილია, რომ არაფრიდან არაფერი არ შეიძლება აღმოცენდეს და რომ ფენომენს რაღაც საფუძველი უნდა ჰქონდეს. ვ. შტერნი მართებულად ახასიათებს ამ საფუძველს. იგი პოტენციურია, მაგრამ ეს პოტენცია არაა ინდიფერენტული: იგი მიმართულიცაა. მიმართულობა არაა მტკიცედ და ურყევად გარკვეული, არამედ მეტი თუ ნაკლები გასაქანის. მეტი თუ ნაკლები ვარიაციის უნარის მქონეა. სრულ გარკვეულობას იგი მხოლოდ განხორციელების მომენტში ღებულობს. განხორციელება კი, მხოლოდ გარესამყაროსთან შეხვედრის — კონვერგენციის — შედეგადაა შესაძლებელი. ერთხელ განხორციელების შედეგად დისპოზიცია კვლავ პოტენციად რჩება, მაგრამ მისი პოტენციურობის როგორობა იცვლება, იცვლება მისი გასაქანი და, შეიძლება, მიმართულების ძირითადი გეზიც. ნიჭიერების თეორიისგან განსხვავებით აქ გაგებულია გარესამყაროს მნიშვნელობა პიროვნების სიცოცხლის გამოვლენებისათვის; პიროვნება, მართლაც, სამყაროს ყოფიერების მონაწილე ხდება.

მაგრამ პერსონალისტურმა ფსიქოლოგიამ დისპოზიცია მთლიანი პიროვნების მომენტად უნდა გაიგოს. როგორ უნდა მოთავსდეს იგი პიროვნების მთლიანობაში, რა ადგილი უნდა დაიჭიროს მასში? პიროვნება მიზანმისწრაფებული ერთიანობაა. იგი არაა მარტივი, არამედ—სიმრავლის შემცველია. როგორც სიმრავლის. ერთიანობას, მას მიზანთა სიმრავლე ახასიათებს. ამის გამომხატველია დისპოზიცია: ერთი რაიმე მიმართულებით მოქმედების ტენდენცია და პოტენცია. ძირითადად, მოქმედების მიმართულებანი პიროვნების ცნებითაა ნაგულისხმევი. ესაა თვითშენარჩუნების, თვითგანვითარების, ჰეტერისტული მიზნების და ინტროცეფციის მიმართულებანი. უფრო კონკრეტულად დახასიათება მიზანმისწრაფებულობის მიმართულებისა ძხოლოდ post factum-აა შესაძლებელი - მას შემდეგ, რაც პიროვნება განახორციელებს მოქმედებას. ავტორი უარყოფს ნიკიერებათა მსგავსად დისპოზიციების „ინვენტარიზაციის" შესაძლებლობას. რადგან დისპოზიციები არა ძარტი მეღავნდებიან, არამედ ყალიბდებიან კიდეც მოქმედებაში. ყოველი მოქმედება პიროვნების მოქმედებაა; ჰეშმარიტი სუბიექტი მთლიანი პიროვნებაა. ესაა პერსონალისტური ფსიქოლოგიის ძირითადი ამოსავალი მრწამსი. პიროვნება მრავალ სხვადასხვაგვარ მოქმედებას განახორციელებს. ესაა ძირითადი ამოსავალი ემპირიული ფაქტი ყოველგვარი ფსიქოლოგიისა და, მაი შორის, პერსონალისტურისაც. ამ ფაქტის ასახსნელად იყო შექმნილი „ნიკიერებათა თეორია", რომელიც ყველაზე უფრო უშუალოდ, გულუბრყვილოდ ცდილობდა ფაქტის ახსნას. „ადამიანი აზროვნებს იმიტომ, რომ მას აქვს აზროვნების უნარი". არსებითად ასეთია ამ თეორიის მსჯელობის ყაიდა. უეჭველია, რომ ადამიანი აზროვნებს იმიტომ, რომ მას აქვს აზროვნების შესაძლებლობა, უნარი (ამ სიტყვის ყოველდღიური, არასპეციალური მნიშვნელობით). ვ. შტერნის სისტემაში ეს უნარი დისპოზიციის სახითაა წარმოდგენილი. დისპოზიციის ცნება გულისხმობს მთლიან პერსონაზე მის დამოკიდებულობას, არათავისთავადობას. ძაგრამ ფაქტიურად მისი, როგორც პერსონული მომენტის, მეტ-ნაკლები გამოყოფილობა პერსონული მთლიანობიდან სრულ გამოცალკევებად იქცევა, ისე რომ შეუძლებელიღა ხდება მრავალი დისპოზიციის ჰეშმარიტად გაერთიანება. ვ. შტერნის მრავალერთიანი პერსონა ქრისტეანული სამერთიანი ღმერთის მდგომარეობაში ვარდება, რომლის ბუნება საუკუნეების განმავლობაში ვერ იქნა გაგებული.

უდიდესი ნაკლი ვ. შტერნის პიროვნების ცნებისა ისაა, რომ რეალურ ყოფიერებაში თვით იგი კი არ მონაწილეობს, როგორც ერთიანობა, არამედ მხოლოდ მისი დისპოზიციები. ფსიქიკურის (და, ზოგადად, სიცოცხლესაც) სუბიექტად დისპოზიცია გვევლინება და არა პერსონა. დისპოზიციის არადამოუკიდებლობა ენტელექიისგან ანალოგიურია ინდივიდური პერსონის არა-დამოუკიდებლობისა ზეინდივიდური ერთიანობისგან.

ფაქტი ფაქტად რჩება: პიროვნების გამოვლენები ნაწილობრივი, პარციალური ხასიათისაა. ეს ერთი მხრივ, მეორე მხრივ, ფსიქოლოგიის უდავო მონაპოვარია ფსიქიკურის სუბიექტის მთლიანობა. საკითხი ამ ორი ვითარების ურთიერთთან შეგუება, ურთიერთთან შეთანხმებაა. ვ. შტერნმა ყველა სხვაზე უფრო მკაფიოდ დასვა ეს საკითხი, მაგრამ მისი გადაწყვეტა ვერ შესძლო.

ფსიქოლოგიას მოეპოვება ამ საკითხის გადაწყვეტის ერთი ცდა რომელზედაც მოკლედ შეეჩერდები. ეს ცდა აკად. დიმიტრი უზნაძეს ეკუთვნის.

მისთვისაც პიროვნება მთლიანობაა. მისთვისაც პიროვნების გამოვლენები ნაწილობრივი ხასიათისანი არიან. მაგრამ ყოველ კერძო გამოვლენაში, მის თანახმად, პიროვნება მონაწილეობს. ეს დებულება მისაღებია ყველასათვის, ვინც პიროვნებას სთვლის ნამდვილ სუბიექტად. საქმე მისი დამტკიცებაა. ამისათვის ვ. შტერნის დებულებების ძირიან-ფესვიანი გადატრიალებაა საჭირო.

თავისთავადი პერსონების ერთიანობა კი არ ქმნის ობიექტურ ყოფიერებას, არამედ. პირიქით. თვით პიროვნებაა ობიექტური ერთიანი ყოფიერების ნაწილი. როგორც ასეთი, იგი მუდამ ურთიერთობაშია მის გარეთმყოფი ობიექტური ყოფიერების მთლიანობასთან. ამ ურთიერთობის აუცილებლობა, პიროვნების თვალსაზრისით განხილული. მოთხოვნილებადაა ასახული პიროვნებაში. ანუ, უფრო ზოგადად, — ორგანიზმში. არა მიზანი — ენტელექია. არამედ მოთხოვნილება განსაზღვრავს რეალურ ყოფას. მოთხოვნილების ცნება არსებითად განსხვავდება ვ. შტერნის მიზნის ცნებისაგან. უკანასკნელი,—ე. ი. მიზანი—პირველადია. გარემოსამყაროსაგან პირობაუდებული, ჭეშმარიტად იმთავით საკუთრივ — პერსონული. მიზანს არსებობისათვის კი არ ესაჭიროება სამყარო. არამედ მხოლოდ განხორციელებისათვის. გენეზურად მიზანი თავისუფალია, დამოუკიდებელია სამყაროსაგან. მოთხოვნილება—„სამყა-

როს მოთხოვნილებაა“, არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ ორგანიზმი სამყაროში არსებობს და მასთან ურთიერთობას საჭიროებს. ამის გარეშე მოთხოვნილება არ იარსებებდა, მაშინ, როდესაც მიზნის (ვ. შტერნისეული მნიშვნელობით) გააზრება შესაძლებელია სამყაროსთან დამოკიდებულების გარეშე. თუმცა მიზნის განხორციელება სამყაროსთან ურთიერთობაში ხდება. მაგრამ ეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც განხორციელება მხოლოდ რეალური ყოფიერების სფეროშია შესაძლებელი.

ვ. შტერნის თანახმად, პიროვნების (ანუ პერსონის) გამოვლენათა „მოტორი“ დისპოზიციაა. ვინაიდან პერსონას ერთდროულად მრავალი მიზანი შეიძლება ჰქონდეს, ამიტომ ერთდროულად მრავალი დისპოზიცია შეიძლება იყოს აქტიურ მდგომარეობაში და სხვადასხვა მიმართულებით ლამობდეს პერსონის ამოძრავებას. მათი მოქმედების მოგვარება, ავტორის მიხედვით, იმის წყალობით უნდა ხერხდებოდეს, რომ ეს დისპოზიციები მხოლოდ ნაწილობრივი მიზნებია მთლიანი პერსონისა.

დ. უზნაძის თანახმად პიროვნების (ორგანიზმის) გამოვლენათა პირველწყარო მოთხოვნილებაა. გამოვლენათა მრავალგვარობა იმიტომაა შესაძლებელი, რომ ორგანიზმს მრავალგვარი მოთხოვნილება შეიძლება ჰქონდეს. მათი ერთდროულობა იმიტომ არ იწვევს პიროვნების „გახლეჩას“, რომ ფაქტიურად პიროვნება ერთი მოთხოვნილების თანახმად ამოქმედდება. პიროვნების მოქმედების მექანიზმი მოთხოვნილებით არ ამოიწურება. მოთხოვნილება თავისთავად ჯერ კიდევ ვერ განსაზღვრავს მოქმედების როგორობას. პიროვნება იმგვარად სამოქმედოდ განეწყობა, რაგვარად მოქმედებაც შესატყვისი იქნება ამ მომენტში არსებულ გარემოპირობებში მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა. მომენტანურად მოცემული ობიექტური გარემოება სიტუაციად ეძლევა ორგანიზმს. ეს ნიშნავს, რომ იგი გარკვეული მოთხოვნილების თვალითაა დანახული და დანახულია როგორც გარკვეული სტრუქტურა. ამ სტრუქტურის გარემოში ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება მხოლოდ ამ გზით შეიძლება ორგანიზმიც განეწყობა სწორედ ა ი ა მ გარკვეული სახით მოქმედებისთვის. ეს ნიშნავს, რომ ორგანიზმის ამოქმედების უშუალო საფუძველი მოთხოვნილება კი არა ყოფილა, არამედ მის ნიადაგზე აღმოცენებული განწყობა. განწყობა კი არა მარტო მოთხოვნილებითაა განსაზღვრული, არამედ გარემოპირობებითაც.

განსხვავება დისპოზიციასა და განწყობას შორის არაა მხოლოდ და მხოლოდ ტერმინოლოგიური. კონკრეტულ გამოვლენაში ერთანაწილე დისპოზიცია-კონვერგენციის შინაგანი ფაქტორი—პერსონის შინაგანი მიზნისეულობიდან გამოიყვანება და კონვერგენციის კონკრეტული აქტის განხორციელებამდე სრულიად თავისუფალია კონკრეტულ გარემოსგან. განწყობა ქცევის აქტის განხორციელების უწინარეს უკვე პროდუქტია მოთხოვნილების და სიტუაციის ერთიანობისა. განწყობა მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციაში ჩნდება და თითონაც კონკრეტულია. გამოვლენაში მისი მხოლოდ და მხოლოდ გაშლა, რეალიზაცია ხდება. მაგრამ ამასვე იტყვის ე. შტერნი დისპოზიციის შესახებ. ის ამბობს, რომ მოქმედებაში სდება დისპოზიციის გამკაფიოება, დაზუსტება მისი რეალიზაციის მეოხებით. ე. შტერნის მიერ წარმოდგენილი საქმის ნამდვილი ვითარება ასეთია: არსებობს დისპოზიცია, რომელიც სავსებით გარკვეული შინაარსის ჯერ კიდევ არაა. მისი შინაარსი გაირკვევა სიტუაციის მიერ, რომელშიც მოხდება მისი განხორციელება. დ. უზნაძის მიერ წარმოდგენილი საქმის ვითარება შემდეგია: პიროვნებას აქვს მოთხოვნილება. მოთხოვნილება ის მდგომარეობაა რომელშიც სუბიექტურად ასახულია გარემოსთან ურთიერთობის მანკი. ე. ი. ორგანიზმს რაღაც აკლია და იგი საჭიროებს ამ ნაკლის შევსებასთუ გარემო ამის შესაძლებლობას შეიცავს, იგი გარკვეული სტრუქტურის სახით წარუდგება სუბიექტს, ისეთი სტრუქტურისა, რომლის რაგვარობა ამ მოთხოვნილებითაა განსაზღვრული. ასეთ სუბიექტურად გასტრუქტურებულ გარემოში პიროვნება მოემართება. განწყობა თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესატყვისი მოქმედებისთვის. ეს მისი მომართვა, მისი გადასტრუქტურება, მისი ე. წ. „განწყობა" სრულიად კონკრეტული შინაარსის მქონეა. რეალიზაციისას მხოლოდ განხორციელება ხდება განწყობისა და არა მისი დაზუსტება, რადგან იგი არავითარ დაზუსტებას აღარ საჭიროებს.

მაშასადამე, მოქმედების უშუალო მიზეზი დ. უზნაძისათვის ორის რაიმე მოთხოვნილების მატარებელი პიროვნების (ორგანიზმის) მოწყობა, „მთლიანი მოდიფიკაცია" კონკრეტულ გარემოში ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესატყვისად, როგორც თითონ აკად. დ. უზნაძე ამბობს *, განწყობა შეიძლება შეეადაროთ სა-

* მოხსენება 1943 წ. განსახკომის პედაგოგიკის სამ. საკელ. ინსტ-ში.

მუსიკო ინსტრუმენტის აწყობას: ინსტრუმენტი — გარკვეულ შესაძლებლობათა სქონეა. გარემო ააწყობს მას ისე, რომ ქანგები, რომელსაც ინსტრუმენტი გამოსცემს, ჯერ ერთი, იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია თვით ინსტრუმენტი, და მერე იმაზე, თუ როგორია იგი აწყობილი. ცხადია, რომ აუწყობლად ინსტრუმენტი არავითარ ჰანგს არ გამოსცემს, და ცხადია ისიც, რომ იგი სწორედ და მხოლოდ ისეთ ჰანგს გამოსცემს, სარომლისოდაცაა აწყობილი.

განწყობა პიროვნების მ თ ლ ი ა ნ ი მოდიფიკაციაა და ეს დეკლარაცია კი არაა მხოლოდ, არამედ არსებითად სწორი, აუცილებელი და ექსპერიმენტულადაც დამტკიცებული გაგება განწყობის ცნებისა. ვ. შტერნის დისპოზიცია კი დეკლარაციაქმნილია მთლიანი პიროვნების ნაწილობრივ გამოსხივებად. არსებითი მნიშვნელობის მქონე კი მასში ნაწილობრიობის მომენტია. Unitas multiplex -ის „უკანასკნელი საიდუმლოება" ვერ იქნა გამოყენებული ავტორის მიერ და mul iplicitas-ის მომენტმა გარკვეულად დასჯაბნა და მეტიც: გააბათილა unitas-ი. პერსონის მრავალერთიანობის ალიარება ვ. შტერნს დასჭირდა მარტივი სულის ჰიპოთეზის საწინააღმდეგოდ. მაგრამ „მარტივის" საწინააღმდეგო „რთულია" და არა „მრავალი". სირთულეშიც არის მრავლობის მომენტი, რადგან რთული ნიშნავს ისეთ რაიმეს, რასაც აქვს ნაწილები, რომლებისაც აბსტრაქციაა შესაძლებელი. მაგრამ რთულში, სტრუქტურაში ნაწილების გამოყოფა, მათი რეალურად დამოუკიდებელყოფის აზრით, შეუძლებელია. სტრუქტურის ანალიზი მის დაშლას კი არ ნიშნავს ნაწილებად, არამედ სხვადასხვა პერსპექტივაში, სხვადასხვა მხრიდან მის დანახვას. ვ. შტერნმა პიროვნება ამგვარად კი არ გაიგო, არამედ, უწინარეს ყოვლისა—როგორც მრავლობის ერთიანობა მრავლობა დისპოზიციების სახითაა მოცემული. დისპოზიცია საკმაოდ კარგადაა შესწავლილი ავტორის მიერ. მათი ერთიანობა კი საბოლოოდაც „საიდუმლოებად" დარჩა: ვერც გაგებული იქნა და ვერც გამოყენებული ფსიქოლოგიის ამოცანების გადასაჭრელად. ესაა სწორედ ვ. შტერნის ფსიქოლოგიის სისტემის უდიდესი ნაკლი და, ამასთანავე, ისეთი ნაკლი, რომლის გამოსწორება ამავე სისტემის ფარგლებში შეუძლებელია. იგი აბათილებს სისტემის აზრსა და მნიშვნელობას, რადგან იგი იმას ნიშნავს, რომ ფსიქიკა მთლიანი პიროვნების თვისებად ვერ იქნა გაგებული. ფსიქიკური მოვლენები პიროვნების მთლიანობის პრინციპით ვერ იქნა ახსნილი. კიდევ მეტის თქმაც შეიძლება: პიროვნების მთლიანობის რწმენა ვერ იქნა გა-

ნართლებული. მას არავითარი საქმე არა აქვს ფსიქოლოგიურ მეცნიერებასთან. მართალია, ავტორს საერთოდ არც მიაჩნია საჭიროდ რწმენის მართებულობის მტკიცება, ხოლო ფსიქოლოგიური მეცნიერების ვალდებულებას ეს მით უმეტეს არ შეადგენს, მაგრამ კრიტიკული პერსონალიზმი ვალდებულია თავისი კვლევის შედეგების მართებულობა ამ პოსტულატით შეამოწმოს. სინამდვილეში კი მათ შორის არავითარი შესატყვისობა არაა, და თუ ასეა,—ავტორის თანახმად, შეცდომა დასკვნებში უნდა იყოს, რადგან რწმენა არ შეიძლება მცდარი იყოს. იგი ჭეშმარიტება-მცდარობის განზომილების გარეშე დგას. ასე უნდა შეეფასოთ ვ. შტერნის შეცდომა, თუ მისივე პოზიციაზე დავდგებით. მაგრამ მის პოზიციაზე დგომა ჩვენთვის საეალდებულო არაა. ამიტომ ჩვენ ორმაგი შეცდომა შეგვიძლია დავადასტუროთ პერსონალისტური ფსიქოლოგიისა: ერთი — საფუძვლის მცდარობა და მეორე — დასკვნების მცდარობა. საფუძველის — პერსონის ცნების — მცდარობის შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი. დასკვნების მცდარობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ემპირიის ახსნა არ შეესატყვისება საფუძვლებს. პერსონის ყოველი გამოვლენა ცალკე დისპოზიციით შეიძლება აიხსნას ისე, რომ მთლიანობის საკითხი სრულად არ დადგეს. დისპოზიციაზე ღაყვანით თავდება ფენომენის ახსნა, და თუ შემდეგ კიდევ განვაგრძობთ ძიებას, სახელდობრ — დისპოზიციის მნიშვნელობისას, მხოლოდ მაშინ მივადგებით პიროვნების ცნებას. უშუალოდ კი იგი არ მონაწილეობს მოვლენაში.

რითი შეიძლება აიხსნას საქმის ასეთი უცნაური ვითარება, რომ სისტემა, რომელიც საგანგებოდ იყო შექმნილი ელემენტარიზმის საწინააღმდეგოდ და რომლის წამყვანი იდეა იყო ფსიქიკის ვაგება მთლიანი პერსონის თვალსაზრისით, საბოლოოდ სეპარატიული დისპოზიციების დადგენამდე მივიდა და ფაქტიურად უარყო პიროვნების მთლიანობა, ან, ყოველ შემთხვევაში, ამ მთლიანობის მნიშვნელობა ფსიქიკისათვის?

უდავოდ შეიძლება გავიზიაროთ პერსონალისტური ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის ფაქტიური ამოსავალი რწმენა, რომ ადამიანი — პიროვნებაა. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, მეთოდი პრინციპის დადგენისა ჩვენთვის სრულიად მიუღებელია, რადგან რწმენაზე არ შეიძლება მეცნიერების აგება. ამ „რწმენითი მეთოდის" გააზრებას იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ ადამიანის პიროვ-

ჩებისეული. ბუნების დადგენა ფსიქოლოგიური კვლევა-ძიების ნაყოფი არაა. ადამიანი რომ პიროვნებაა, ვ. შტერნისთვის ამისი კვლევა და მტკიცება არც საჭიროა და არც შესაძლებელი: ეს არის ყველაფერზე უფრო უეჭველი რამ, რაც კი არსებობს. ფსიქოლოგიაში ფილოსოფიიდან შემოქვს ავტორს მრავალერთიანი პიროვნების ცნება.

თანამედროვე ფსიქოლოგია გამსჭვალულია მთლიანობის იდეით, ისე რომ თითქოს ადვილი უნდა იყოს მისი გადანერგვა მზამზარეულ ერსონალისტურ ნიადაგზე, ვ. შტერნი ვერ ახერხებს ამას. იგი მხოლოდ გრძნობს, რომ ფსიქიკის სუბიექტი მთლიანი პიროვნებაა, მაგრამ ვერ ამტკიცებს ამას. მისთვის გაუგებარი დარჩა პიროვნების, როგორც მთლიანობის, მოქმედების მექანიზმი და ყოფიერების როგორობა. ავტორი მთელ გულისყურს იმის ახსნას უთმობს, თუ როგორაა შესაძლებელი, რომ ერთიანი პიროვნება სიმრავლედ გამოვლინდება, თითქოს პიროვნების ერთიანობა იმდენად უეჭველი, თვალსაჩინო და თავისთავად ცხადი რამ იყოს, რომ ახსნას აღარ საჭიროებდეს. ნაწილობრივ, მართალია, ეს ასეცაა ვ. შტერნისთვის. პიროვნება რომ მთლიანობაა — ეს ეჭვმიუტანელია მისთვის, ისე რომ ფსიქოლოგიის მხრივ დასტურსა და დასაბუთებას არ საჭიროებს. მაგრამ განა ფსიქოლოგიისთვის ამ გარემოებას საერთოდ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს? განა სულ ერთია ფსიქოლოგიისთვის, როგორი იქნება მისი სუბიექტი: „სული“ იქნება იგი „მე“, თუ „პიროვნება“? — ცხადია, რომ არაა სულერთი! პირველ, მეორე და მესამე შემთხვევაში ფსიქიკური ერთნაირი ვერ იქნება. მართალია, ვ. შტერნის ფსიქოლოგია განთავისუფლებულია სუბიექტის პიროვნულობის მტკიცების ვალდებულებისაგან, ისევე, როგორც პიროვნების როგორობის კვლევის ვალდებულებისაგან, რადგან ამ საქმეს მეტაფიზიკა აკეთებს მის ნაცვლად, მაგრამ ფსიქოლოგია ვალდებულია ახსნას და გაიგოს ფსიქიკური მოვლენები მიღებული პრინციპით, მიუხედავად იმისა, თუ საიდან და როგორაა მიღებული ეს პრინციპი. ფსიქიკურის სუბიექტის მთლიანობის იდეის გენეზისი ორგვარი შეიძლება იყოს: ერთ შემთხვევაში იგი ფსიქოლოგიური ემპირიის ახსნის მოთხოვნილებითაა ნაკარნახევი და თავდაპირველად მხოლოდ ჰიპოთეზის სახით შეიძლება იყოს მოკვეშული. ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიური კვლევა ვალდებულია დაამტკიცოს მისი მართებულობა და ჰიპოთეზი თეორიად აქციოს. მე-

ორე შემთხვევაში ეს იდეა გარედანაა მოტანილი ფსიქოლოგიაში, როგორც საფუძველი ფსიქოლოგიური ემპირიის ასახსნელად. ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიას არ ეკისრება მისი შემოწმება, პირიქით: ფსიქოლოგია ვალდებულია საკუთარი ემპირიული მონაცემები მისი შემწეობით ახსნას. სწორედ ასეთია მდგომარეობა ვ. შტერნის შემთხვევაში, და ამიტომ ავტორი ვალდებულია დაამტკიცოს, რომ ემპირიაში მოცემული გამოვლენები სუბიექტისა ამ უკანასკნელის ბუნების შესატყვისნი არიან. ვ. შტერნი კი მუდამ ამტკიცებს, რომ ემპირიაში გამოვლინდება პიროვნება თავისი მრავალიანობის მხრივ, და იძლევა ამევარად გამოვლენის მექანიზმს. მის შესახებ დისპოზიციებთან დაკავშირებით ვილაპარაკე. მთლიანობის მხრივ გამოვლენის მექანიზმს კი ავტორი არ ხსნის და არამცთუ მექანიზმს არ ხსნის—გარკვევით და მკაფიოდ არც კი ამბობს ყოველთვის, რომ აი ამ შემთხვევაში პიროვნების მთლიანობის გამოვლენასთან გვაქვს საქმე. ავტორის ფსიქოლოგიურ ალღოს უნდა ვუმადლოთ, რომ მან შენიშნა ამ კატეგორიის მოვლენების არსებობა; მაგრამ თეორიულად მათი გამართლება ვერ შესძლო, რადგან პიროვნების, როგორც მთლიანობის მოქმედების ბუნება მისთვის სრულიად უცნობი იყო. ფრიად ნიშანდობლივია პიროვნების მთლიანობის ვერგაგების თვალსაზრისით ვ. შტერნის მოღვაწეობა გამოყენებითი ფსიქოლოგიის სფეროში. უამრავ ექსპერიმენტებსა და ტესტებს შორის, რომლებსაც მიმართავდა იგი ცდისპირების გამოსარკვევად სხვადასხვა პრაქტიკული მიზნებისათვის, არ მოიპოვება არც ერთი, რომელიც მიზნად პიროვნების, როგორც მთლიანობის, კვლევას ისახავდეს.

ვ. შტერნს უფლება აქვს იამაყოს ინტელიგენტობის ცნების განსაზღვრებით. მის თანახმად „ინტელიგენტობა არის ინდივიდის ზოგადი უნარი — ცნობიერად განაწყოს თავისი აზროვნება ახალ მოთხოვნილებათა მიმართ; იგი არის სიცოცხლის ახალი ამოცანებისადმი და პირობებისადმი გონებით შეგუების ზოგადი უნარი" [29]. ასეთი განსაზღვრება სავსებით ეთანხმება პერსონალისტურ პრინციპებს: ინტელიგენტობა ზოგად პიროვნული ტელეოლოგიური მომენტია პიროვნებისა. მაგრამ ეს მხოლოდ ცნების განსაზღვრებაა ასეთი. მის ნიადაგზე შედგენილი მეთოდიკა ინტელიგენტობის გამოსარკვევად არაფერს მთლიანპიროვნულს არ შეიცავს. გამოკვლევის შედეგად მექანიკურ JQ-ს ვღებულობთ და არა პიროვნების

---

[29] 17, 3

ბთლიანობას. ამას უსაყვედურებდა მაშინვე რ. ზომმერი: მეთოდიკა შევსებას საჭიროებს პიროვნების მთლიანობის წვდომის მიმართულებითო[69]. რა თქმა უნდა, ნამდვილად, შ ე ვ ს ე ბ ა მეთოდიკისა არც არაფერს უშველის და არც ხელმისაწვდომია ე. შტერნისთვის. ფუნქციების შევსებით მთლიანობას მაინც ვერ მიიღებდა ავტორი, მაგრამ მან არც იცის რაა პიროვნების მთლიანობა. ერთადერთი რამ რაც იცის მის შესახებ, ეს ისაა, რომ იგი მრავალი ნაწილის და ფუნქციის შემცველია და მაინც მთლიანია. რატომ? როგორ?—ასეთი კითხვები ფუჭია: unitas multiplex „უკანასკნელი საიდუმლოებაა", რომელიც უნდა ვაღიაროთ როგორც ასეთი, მაგრამ მის გაგებაზე უარი უნდა ვთქვათ. რატომაა ავტორი იძულებული უარი სთქვას მრავალერთიანობის გაგებაზე? — იმიტომ, რომ „მეტაფიზიკური სპეკულაციით" აქვს იგი მიღებული,—რეალურ ყოფიერებაში კი ვერ ხედავს მის გამოვლინებას. იგი ხედავს „მომენტებს", ხედავს, რომ ზოგი მათგანი უფრო დამოუკიდებელია ზოგი კი დამოკიდებული ბუნებისაა. ესმის, რომ დამოკიდებული შეიძლება იყოს მომენტი რაღაცისა. მაგრამ ფსიქოლოგიის თვალით ვერ ხედავს ამ რაღაცას და გულისხმობს, რომ იგი არის სწორედ ის მრავალერთიანი პერსონა, რომელზეც, მისი ფილოსოფიის თანახმად, დამოკიდებულია საერთოდ მთელი სამყაროს ყოფიერება.

ადამიანის პიროვნულობა ყველაფერზე უფრო უფველ რამედ მიიჩნია ავტორმა. ასეთი რამის დადგენა გულუბრყვილო შთაბეჭდილებითაა მხოლოდ და მხოლოდ დასაბუთებული და სხვა საბუთი მას არც ესაჭიროება ავტორის თანახმად. პიროვნულობა ნიშნავს, სხვათა შორის, მრავალერთიანობას. გამოდის, რომ „ყველაზე უფრო უფველი რამ" ის ყოფილა, რომ ადამიანი ამოუცნობი საიდუმლოებაა! ასეთი მრწამსი ეპატიებოდა რომანტიკოს პოეტს, მაგრამ არა რეალისტური მსოფლმხედველობისა და მეცნიერული სისტემის ავტორს.

გეშტალტფსიქოლოგიის შეხედულების საწინააღმდეგოდ — ან იქნებ უფრო სწორი იქნება ითქვას: მის შესავსებად — ე. შტერნმა უნგეშტალტის ცნება წარმოაყენა. გეშტალტ-უნგეშტალტის განსხვავება მან პიროვნების სიღრმისა და ზედაპირის განსხვავებას დაუკავშირა, ჩანერგვა-გამოყოფის კანონზომიერებას დაუმორჩილა.

---

[69] იხ. 17,109.

აბსოლუტური ჩანერგილობაც და გამოყოფილობაც ზღვარული ცნებებია. კონკრეტულ რეალურ შემთხვევაში მხოლოდ მათი მეტ-ნაკლებობის შესახებ შეიძლება ლაპარაკი და რაც მეტადაა ჩანერგილი მომენტი, მით უფრო ახლოა იგი პერსონასთან. ამასთანავე მით ნაკლებაა იგი გეშტალტური, ანუ — მით მეტადაა უნგეშტალტური. პერსონული მთლიანობის დამახასიათებელია „გეშტალტისა და უნგეშტალტის, მოცემულობისა და პოტენციურობის, მომენტების ჩანერგილობისა და გამოყოფილობის დიალექტიკური დაკავშირება"[270]. სანამ საქმე ისეთი მომენტების შესწავლას შეეხება, რომელშიც გამოყოფილობა სჭარბობს ჩანერგილობას, ვ. შტერნს სპეციფიკური სიძნელეები არ ეღობება წინ. აქ თვით მასალა გაიძულებს კაცს განსდგე პიროვნების მთლიანობისაგან და ნაწილობრივობაში, ნაწილობრივობის ასპექტით იკვლიო იგი. გეშტალთეორიის შეცდომა, ვ. შტერნის თვალსაზრისით, იმაში მდგომარეობდა, რომ მან ერთადერთ მასალად კვლევისა აღქმის გეშტალტები, ე. ი. პიროვნების მაქსიმალურად გამოყოფილი მომენტები, აიღო და მათი შესწავლის შედეგები ფსიქიკის ზოგადკანონზომიერებად გამოაცხადა. გ ე შ ტ ა ლ ტ უ რ ობ ა ზ ე ყურადღების გამახვილება მომენტის პ ი რ ო ვ ნ უ ლ ობ ი ს მიმართ ყურადღების შესუსტებას მოასწავებს. გეშტალტფსიქოლოგიას ხელში შერჩა მსოლოდ და მხოლოდ გამოცალკევებული მომენტები და ამის მეოხებით ყურადღების გარეშე დარჩა პიროვნების მთლიანობა. გეშტალტის შედარებითი დამოუკიდებლობა პერსონისაგან — აბსოლუტურ თავისთავადობამდე იქნა_აყვანილი. ხოლო რადგან გეშტალტი გახდა ამოსავალ პუნქტად, უნგეშტალტი მხოლოდ და მხოლოდ „ცუდ" გეშტალტად იქნა გაგებული. ცუდი გეშტალტი — მაინც გეშტალტია. ყოველი გეშტალტი კი — შედარებით დამოუკიდებელი წარმონაქმნია, ისე რომ იგი თავისთავად არასოდეს არ მიგითითებს პერსონისადმი მის კუთვნილებაზე. ლაპარაკი გეშტალტის შ ე დ ა რ ე ბ ი თ ს დამოუკიდებლობის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როდესაც მისი რალაცისადმი კუთვნილება წინასწარაა აღიარებული. ხოლო თუ წინასწარი აზრისგან თავისუფალი ხარ, მაშინ გეშტალტი აბსოლუტურად დამოუკიდებლად იქცევა. ამის შემდეგ იგი აღარ საჭიროებს პიროვნებას, როგორც გეშტალტმყოფელს. ფსიქოლოგიური

---

[270] S, 83. V.

ემპირიიდან ვ. შტერნისეულ პიროვნების ცნებამდე მისასვლელად აუცილებელია ემპირიაში უნგეშტალტის დადასტურება. გეშტალტ-ფსიქოლოგიამ ეს ვერ მოახერხა. პრინციპულად კი მისი დადასტურება მსოლოდ „გეშტალტური ორიენტაციით" შეიძლება. სხვა თვალსაზრისით უნგეშტალტი მხოლოდ და მხოლოდ დიფუზიურობად შეიძლება იქნეს ღანახული; ხოლო დიფუზიურობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს უნგეშტალტს, როგორც გეშტალტთან ღიალექტიკურ ურთიერთობაში მყოფ მის ანტიპოდს. თითონ ვ. შტერნი საწინააღმდეგო გზით მიდიოდა: მან ჯერ პიროვნება ღაადასტურა და, მისგან გამოსულმა, გაუწია რა ანგარიში გეშტალტს, როგორც ფაქტს, მისი შემავსებელი უნგეშტალტიც მონახა. როგორც გეშტალტის წინააღმდეგობა, უნგეშტალტი არც შინაგანადაა ჩამოყალიბებული, და არც გარეგანაა შემოსაზღვრული. პერსონული უნგეშტალტური მომენტი არაა მკაფიოდ გამოყოფილი პერსონის მთლიანობას, ანუ უღრმესად ჩანერგილია მასში. ამ აზრით იგი ახლოა პერსონასთან, როგორც მთლიანობასთან და მასში მძლავრად გამოსჭვივის პერსონის მთლიანობითი ხასიათი. განცდის სფეროში საუკეთესო უნგეშტალტს გრძნობები წარმოადგენს და ამიტომ მიაჩნია ვ. შტერნს გრძნობები პერსონალისტური ფსიქოლოგიის ყველაზე უფრო პასუხსაგებ სფეროდ[271]. გრძნობა, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია განცდისთვის, ჩანერგილია პიროვნების სიღრმეში და პიროვნების მთლიანობა ყველაზე უკეთ გრძნობაში უნდა განიცდებოდეს, პერსონალისტური ფსიქოლოგიის თანახმად. ჩანერგილობის მხრივ ყველა გრძნობა ერთნაირი არაა. ცხადია, ყველაზე მეტად უნგეშტალტურ, ყველაზე მეტად ჩანერგილ გრძნობებს შორის ე. წ. სულიერი განწყობილებაა (Zumutesein). ავტორი მას ახასიათებს, როგორც „ზოგად სულიერ (Gesamtseelische) ატმოსფეროს, რომლისაც უფრო ახლო აღწერა ვერ ხერხდება"[272]. ეს გრძნობა იმდენად ეაურკვეველია, რომ სიამოვნება უსიამოვნების ალტერნატივა არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად გამოყენებულ იქნეს მის მიმართ. სულიერი ცხოვრების მხოლოდ

---

271 „Die Lehre von den Gefühlen stellt gleichsam die Feuerprobe für die personalistische Orientierung der Psychologie dar." 1, 705.

272 1,757.

პრიმიტიულ საფეხურებზეა იგი მეტად თუ ნაკლებად გარკვეულად მოცემული. განვითარებული სულიერი ცხოვრებისთვის კი იგი სრულიად ზღვარულ ცნებას წარმოადგენს. სულიერი განწყობილების პრობლემა უეჭველად ძნელი პრობლემაა პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის. სულიერი განწყობილება, სხვათა შორის, დაკავშირებულია ე. წ. წარმმართველ გრძნობებთან (steuernde Gefühle). ამ უკანასკნელზეა დამოკიდებული მოქმედების იმგვარი რეგულაცია, რომელსაც რეფლექსურ (არაცნობიერი) რეგულაციისა და გამოყოფილი ცნობიერ ნებითს ქმედობას შორის საშუალო მდგომარეობა უჭირავს. ასეთი მოქმედების ნიმუშად ავტორს მოჰყავს მოყინულ გზაზე სიარული: იგი ვეღარც ავტომატურად ხდება, როგორც სწორ გზაზე სიარული, მაგრამ არც ცნობიერი ნებითი წარმათვაა სიარულისა საჭირო.

სულიერი განწყობილებისა და წარმმართველი გრძნობების დასახასიათებლად ვ. შტერნის სიტყვებს მოვიყვან.

„აქ (ე. ი. წარმართველი გრძნობების შემთხვევაში) ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ ვითარებასთან, რომლისთვისაც ხშირად ხმარობენ ხოლმე გამოთქმას „ნახევრადცნობიერი" ან „ქვეცნობიერი". ეს გამოთქმები იმითია სახიფათო, რომ შთაბეჭდილებას ქმნიან, თითქოს ცნობიერების ხარისხია მხოლოდ შეცვლილი და არა განცდის შინაარსის რომელობა. ამიტომაც ლაპარაკობენ ხოლმე ქვეცნობიერ „წარმოდგენებზე", ნახევრადცნობიერ „აზრებზე" და ა. შ. ნამდვილად კი საერთოდ არაა მოცემული არავითარი წარმოდგენები (გზის დაბრკოლებებისა) ან აზრები (შესატყვისი ნაბიჯების შესახებ), არამედ მხოლოდ და მხოლოდ „ფონური გრძნობა" (hintergründiges Gefühl), რომლ[illegible] დახაც შ უ ა წ ე ვ რ ი ს გ ა რ ე შ ე გამომდინარეობს მოძრაობის რეგულაცია. ის გარემოება, რომ ეს გრძნობა სამყოფი აღარ არის, და რომ მას უნდა გამოეყოს წარმოდგენები, აზრები და ნებელობანი (Wollungen) სანამ იგი მოძრაობაში გადავიდოდეს (ehe es zur Weiterbewegung kommt). — ეს გარემოება უფლებას არ გვაძლევს ამგვარი შინაარსები წარმართველ გრძნობებშიც ვიგულისხმოთ ფარულად მოცემული წარმოქმნების სახით"[217].

ამ ამონაწერში ნათლად გამოსჭვივის პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის გრძნობების გაგების სიძნელე. ტექსტის გაგო-

---

[217] 1, 563.

ლებით რომ ვაწარმოოთ კრიტიკა, უწინარეს ყოვლისა, უნდა შეეჩერდე გამოთქმაზე: „ფონური გრძნობა“ (ein ergründiges Gefühl). იგი არაა კანონიერი მას შემდეგ, რაც გეშტალტფსიქოლოგების „ფონის“ ცნების საწინააღმდეგოდ ავტორმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც ფონის შესახებ ვლაპარაკობთ, სინამდვილეში უნგეშტალტის პოზიციურ რომელობასთან გვაქვს საქმეო, თავისთავად ცხადია, რომ ემოცია არსებითად უნგეშტალტურია და, ამიტომ, წარმართველი გრძნობების განსასხვავებლად სხვა ემოციებისაგან, ავტორს დასჭირდა მისი ფონისებური ხასიათის შესახებ ლაპარაკი- ეს რომ მხოლოდ და მხოლოდ თქმის ყაიდა ყოფილიყო. შესაძლებელი იქნებოდა მისი შეწყნარება, მაგრამ ავტორს წარმმართველი გრძნობების ფონური ბუნებიდან ფრიად მორსმეტყველი და სახიფათო დასკვნა გამოჰყავს. თითქოს მათგან „შ უ ა წ ე კ რ ი ს გ ა რ ე შ ე გამომდინარეობდეს მოძრაობის რეგულაცია“[274]. მოძრაობის რეგულაციის გ ა ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ა ც ისეა წარმოდგენილი, თითქოს ა მ გ რ ძ ნ ო ბ ა ს გამოეყოფა წარმოდგენები, აზრები და ნებელობანი. წარმმართველ გრძნობებსა და სულიერ განწყობილებებს შორის განსხვავება არა აქვს ავტორს მკაფიოდ დადგენილი და ხშირად ერთსა და იმავე ფაქტს გულისხმობს ორივე ტერმინით. ასე, მაგალითად, წარმმართველი გრძნობების განხილვისას წერს: „ხშირად ს უ ლ ი ე რ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს (დაყოფა ჩემია—ერ. ა.) რხევებს ისე უშუალოდ მისდევს ქცევის რხევები, რომ მასში მონაწილე ც ა ლ კ ე უ ლ ი გრძნობა ყველაზეტეტერად ვერც კი ჩამოყალიბდება. მას დაასწრებს და დაასრულებს მოტორული რეგულაცია, ჯერ კიდევ მანამ, სანამ იგი ცნობიერებაში მკაფიოდ სასიამოვნო ან უსიამოვნო განცდად შეიჭრებოდესო“[275]. ან კიდევ ახასიათებს მათ როგორც „გრძნობის სიფხიზლეს (Wachheit) რომელიც ქცევას—სიტუაციათა ცვლას შეუგუებს“[276].

---

[274] 1, 154 შ.
[275] 1, 764.
[276] 1, 764.

სულიერი განწყობილების ამგვარი დახასიათებიდან გამომდინარეობს ჯერ ერთი ის, რომ იგი სიამოვნება-უსიამოვნების განზომილების გარეშე იაზრება (იხ. ზემოთ), მეორე ის, რომ უშუალოდ მისგან აღმოცენდება, მას გამოეყოფა ცნობიერების სხვა შინაარსები (წარმოდგენები, აზრები და სხვა) და მოტორული ქცევები. და მესამე ის, რომ ამისთვის არაა საჭირო სულიერი განწყობილება წინასწარ გარკვეული კვალიტეტის მქონე გრძნობის სახით იყოს მოცემული განცდაში.

პირველიც, მეორეც და მესამე დასკვნაც სრულიად შეუსატყვისია პერსონალისტური ფსიქოლოგიის პრინციპებისა. პირველი — იმდენად, რამდენადაც გრძნობის ძირითადი და აუცილებელი განზომილება სიამოვნება-უსიამოვნების განზომილებაა. შეიძლება არსებობდეს გრძნობა, რომელიც სასიამოვნოცაა და უსიამოვნოც. ეს ე. წ. ამბივალენტურობა პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის გასაგებია, როგორც პერსონის მიზანთა სიმრავლის გრძნობისეული ასახვა. მაგრამ არ შეიძლება არსებობდეს გრძნობა, რომელიც არც სასიამოვნო იქნება და არც უსიამოვნო.

მეორე დასკვნა მიუღებელია, იმიტომ რომ ვ. შტერნი უარყოფს პერსონული მომენტების უშუალო ურთიერთობას, და მის მაგიერ აყენებს მათი ურთიერთობის პერსონით გაშუალებულობის მოსაზრებას (იხ. ქვემოთ). ამ შემთხვევაში კი სწორედ მათი უშუალო კავშირი ჭეშმარიტებაა.

მესამე დებულებიდან გამომდინარეობს, თითქოს. შეიძლება არსებობდეს გაუცნობიერებელი გრძნობა. ამას ნიშნავს სწორედ იმის დაშვება, რომ სულიერი განწყობილების მიერ წარმოებული მოტორული რეგულაცია წინ უსწრებს ამ სულიერი განწყობილების გარკვეულ კვალიტეტად ჩამოყალიბებასა და სასიამოვნო თუ უსიამოვნო გრძნობის სახით ცნობიერებაში შეჭრას. ე. ი. თითქოს შეიძლება არსებობდეს, თუნდაც, წარმავალი, „არაცნობიერი განცდა“, რაც პერსონალისტური ფსიქოლოგიის არსის თანახმად non-sens-ია. საჭიროა უფრო დაწვრილებითი განხილვა პერსონული ბომენტების სამწევროვანი ურთიერთობის (ე. ი. პერსონით გაშუალების) დებულებისა[277].

---

[277] ცნობიერების მიმართება სამყაროსადმი „ორწევროვანი კი არაა (ობიექტური სამყარო, — სამყაროს სუბიექტური განცდა“) არამედ სამწევროვანი

„კონვერგენციის ყველა მოვლენებში პერსონა როგორც მთლიანი მონაწილეობს და მისი ტელეოლოგიური ერთიანობით მოქმედებს. ამრიგად, არ შეიძლება გარესამყაროს რაიმე პროცესი პერსონის რაიმე ცალკეულ მოვლენას ან ცალკეულ ელემენტს დავუკავშიროთ (მაგ.: გამღიზიანებელი — შეგრძნებას, ანდა ქმედობის შედეგი — ნებელობის აქტს), არამედ პერსონული ტოტალობა ამ ორი ფაქტორის ურთიერთობისთვის შემაკავშირებელი წევრია და ახსნის საშუალება". ამაში მდგომარეობს კონვერგენციის პროცესის სამწევროვანობა *.

სამწევროვანი ურთიერთობის თეორია

პერსონალისტური თვალსაზრისისთვის (სიტყვის ზოგადი მნიშვნელობით) აუცილებელია პიროვნების ცალკეულ გამოვლენათა ურთიერთობის გაგება, როგორც პიროვნებით გაშუალებული ე. ი. „სამწევროვანი" ურთიერთობისა. ყველა, ვინც პიროვნებას თვლის ფსიქიკურის სუბიექტად, ვალდებულია და იძულებულია პიროვნების გამოვლენათა შორის კავშირი სამწევროვანი სქემის შესატყვისად იაზროს. ასე ესმის ეს კავშირი დ. უზნაძეს [278], ანალოგიურად ცდილობს ფსიქოფიზიკური პრობლემის გადაწყვეტას ს. რუბინშტეინი [279]. ვ. შტერნმაც, უწინარეს ყველა სხვისა, ამ პრინციპით

(ტრანსპერსონული სამყარო, ნაცოცხლი (gelebte) პერსონული სამყარო, განცდილი სამყარო). ფიზიკალური გამღიზიანებლისა და აღქმის, განცდის შორის დგას ერთიანი გამღიზიანებლის სიტუაცია, რომელშიც ცოცხლობს პერსონა" 1,124.

„პერსონული მთლიანობაში არ არსებობს არც ფიზიკური და არც ფსიქიკური ხასიათის არავითარი ცალკეული ფაქტი, რომლებისაც შესაძლებელი იყოს იმდენად იზოლაცია, რომლებიც იმდენად სტაბილური იყვნენ, რომ მათ შეეძლოთ ერთმანეთთან უშუალო — თითქოს პერსონისგან დამოუკიდებელი — ურთიერთობის დამყარება. ფიზიკურისა და ფსიქიკურის ყოველგვარი კავშირი მუდამ პერსონის მეოხებით მყარდება (geht immer durch die Person hindurch), საერთოდ, მხოლოდ მისი ტოტალური ფუნქციებითა და ტოტალური მიზნებით შეიქმნება და მუდამ წარიმართება". 1,118.

„პერსონა აქ ფსიქო-ფიზიკური მოვლენების უბრალო „შეაწყვერად", ან პასიურ სარბიელად კი არ იგულისხმება, არამედ მათ ნამდვილ შემოქმედად და მატარებლად, უფლად და რეგულატორად". 1,119.

[278] იხ. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 36 შშ.
[279] იხ. С. Рубинштейн, Основы общей психологии, გვ. 14.
* 3,102.

უნდა ახსნას პერსონული მომენტების ურთიერთკავშირი. პერსონალისტური თვალსაზრისისთვის მიუღებელია ე. წ. უშუალობის ჰიპოთეზა და სავალდებულოა პერსონით გაშუალებულობის თეორია. რადგან მისთვის ფსიქიკურს გააჩნია ტრანსფსიქიკური სუბიექტი, რომლისაც მხოლოდ თვისებას წარმოადგენს ფსიქიკა. გარესამყაროსთან ურთიერთობა სწორედ ამ სუბიექტს აქვს და არა „ფსიქიკურს". ამიტომ გარემოს მხოლოდ პიროვნებაზე შეუძლია ზემოქმედება და არა ფსიქიკურზე. მით უმეტეს ვერ იმოქმედებს უშუალოდ ფსიქიკურზე სხვა რამ ფსიქიკური: ერთ წარმოდგენაზე მეორე წარმოდგენა და სხვა. სამწეროვანი ურთიერთობის აუცილებლობის მტკიცება ჩემ მხრივ არაა საჭირო,—თითონ ვ. შტერნს ძალიან კარგად აქეს იგი დასაბუთებული. საკითხი აქ ისაა, თუ რატომ ვერ იცავს ავტორი ბოლომდე ამ პრინციპს. რომ ვერ იცავს, ეს უდავოა. ამას მოწმობს ზემოთ მოყვანილი მაგალითი წარმმართველი გრძნობებისა, რომლისგანაც უშუალოდ გამომდინარეობს (sic!) მოძრაობის რეგულაცია.

გრძნობები ყველაზე უფრო „ახლოა" პიროვნებასთან და ბუნებრივია, რომ გრძნობების აღრევა პიროვნებასთან ყველაზე უფრო ადვილია. როდესაც ავტორი, მაგალითად, მოლოდინის გრძნობას განიხილავს, ძალაუნებურად ეპვი გვეპარება: მართლა გრძნობასთან კი გვაქვს აქ საქმე? მაგიერად სრულიად უეჭველია, რომ თუ ეს ნამდვილად გრძნობაა და მეტი არაფერი— განცდების უშუალო ურთიერთზემოქმედება ფაქტად ყოფილა აღიარებული. მოლოდინის გრძნობა, ვ. შტერნის თანახმად, ყოფილა ნაკლულოვანობის განცდა და ნაკლის შევსების წინაგრძნობა. სიამოვნება-უსიამოვნების განზომილების მიმართ ნეიტრალურია იგი. რაც ნიშნავს, რომ გარდა სასიამოვნო მოლოდინისა და უსიამოვნო მოლოდინისა არსებობს „ინდიფერენტული მოლოდინიც, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დაძაბულებაა და მეტი არაფერი" (nichts als Spannung ist). ეს დაძაბვა, სულ ადვილად, უმართებულოდ განიტვირთება ე. წ. მოლოდინის შთაგონებებში (Erwartungssuggestion)[280].

გრძნობის ასე გაგება დაუშვებელია პერსონალისტური თვალსაზრისით. დაუშვებელია მისი ინდიფერენტულობა სიამოვნება-

---

[280] იხ. 1,75.

უსიამოვნების მიმართ, დაუშვებელია მისი უშუალოდ განტვირთვა შთაგონებაში.

ვ. შტერნი თითქოს ივიწყებს, რომ გრძნობა — განცდაა, და ამიტომ — რაც არ უნდა „ახლომდგომი“ იყოს იგი პერსონის მთლიანობასთან — იგი მაინც არ შეიძლება იყოს მთლიანი პიროვნება, არამედ მხოლოდ ნაწილობრივი და ცალმხრივი მისი გამოვლენა. ამიტომვე, თანახმად პერსონალისტური სამწეროვანობის თეორიისა, მან არ შეიძლება უშუალოდ გამოიწვიოს რაიმე ნაწილობრივი მოვლენა.

რით აიხსნება ასეთი შეცდომა? იქნებ შემთხვევითია იგი? — ცხადია, არა! ავტორი, როგორც ფსიქოლოგი, ხედავს ფაქტებს, რომლებშიც პიროვნება მართლაც როგორც მთლიანობა მეღავნდება. მაგრამ ეს ფაქტები მაინც მხოლოდ გამოვლენაა პიროვნებისა, მაო უნდა მოენახოს მიზეზი, საფუძველი ნიადაგი. მხოლოდ იმის თქმა, რომ მათი მიზეზი და გამომწვევი — პიროვნებაა, არ იქნებოდა დამაკმაყოფილებელი მეტისმეტი ზოგადობის გამო. მართლაცდა, ვის დააკმაყოფილებდა, ვთქვათ, თუნდაც მოლოდინის ილუზიის(Erwartungssuggestion) ახსნა ამით, რომ ისინი პიროვნების კუთვნილებას შეადგენენ! საჭირო ხდება ამ მოვლენათა კონკრეტული წყაროსი, კონკრეტული მიზეზის მონახვა და ავტორიც მოლოდინის განცდაში ნახულობს მას. „მელას რაც ენატრებოდა — ის ეზმანებოდაო — ეს სწორად აღნიშნული ფაქტია. მაგრამ მხოლოდ ფაქტი და მეტი არაფერი. მეცნიერება კი ვალდებულია ახსნას ეს ფაქტი. რატომ ვერ ხსნის მას ვ. შტერნი? რითაა გამოწვეული ეს უძლურება—ამაში დამნაშავეა მისი ცნება პიროვნებისა. პიროვნება, როგორც მრავალერთიანობა, მთელი მისი მსოფლმხედველობის საფუძველს წარმოადგენს. როდესაც პიროვნების ნაწილობრივ გამოვლენებს ეხება საქმე, მაშინ უშუალოდ მოქმედი მთლიანი პიროვნება კი არ არის, არამედ მისი ნაწილობრივი გამოსხივება—დისპოზიცია. დისპოზიციის ცნება ისეა აგებული, რომ მისი—თუ შეიძლება ასე ითქვას—„გარედ“ მოქმედება, გარკვეული თვალსაზრისით მაინც, მისაღები და დამაჯერებელია. დისპოზიცია არის მიზანმისწრაფებულობის პოტენცია. მასში მოცემულია ერთი მხრივ მისწრაფების მიმართებულობა, მეტად თუ ნაკლებად ფართო სარბიელიო. მეორე მხრივ მასში მოცემულია აღმურვილობა, შესაძლებლობა დასახული მიზნის მიღწევისა. ამ ასპექტში, ე. ი. მოვლენის მხრიდან.

განხილული, იგი არსებითად არ განსხვავდება ძველი ფსიქოლოგიის „ნიჭიერებისაგან", მაგრამ ეს მისთვის ნაკლი არაა. „ნიჭიერების" ცნების მანკიერება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი დამოუკიდებელ ძალად იყო გააზრებული. დისპოზიცია კი ერთმთლიანი პიროვნების მომენტად იგულისხმება და ამდენად იგი ნიჭიერების ცნების მანკისაგან თავისუფალი უნდა იყოს. მაგრამ სინამდვილეში დისპოზიცია ისევე დამოუკიდებელია, როგორც ნიჭიერება იყო დამოუკიდებელი, რადგან პიროვნებას, რომლის ნაწილობრივ გამოსხივებას უნდა წარმოადგენდეს დისპოზიციები, არ ძალუძს მათი გაეთიანება. ამის მიზეზია პიროვნების აღნაგობის გაგება. რა მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს ამ მხრივ პიროვნება? უწინარეს ყოვლისა იგი უნდა იყოს ერთიანი. შემდეგ — იგი არ უნდა იყოს მარტივი, რათა შესაძლებელი იყოს მისი მრავალფეროვანად გაძოვლენის გაგება. პიროვნება რთული ერთიანობაა და არა სიმრავლის ერთობლიობა. ვ. შტერნი კი სწორედ ასე ახასიათებს მას: მისი პიროვნება არის unitas multiplex „უკანასკნელი საიდუმლოება, რომლისაც არც ახსნა ძალგვიძს და არც უარყოფა". სიმრავლის (multiplicitas) მომენტი დისპოზიციებშია მოცემული. მათი ერთიანობა (unitas) კი ვერაა ვერც გაგებული და ვერც გამოყენებული. იგი მხოლოდ ნაგრძნობია, თუ შეიძლება ასე ითქვას, და უკანონოდ გათანასწორებულია გრძნობასთან, რომელიც ვერაფითარ შემთხვევაში ვერ იქნება პიროვნება. თუნდაც იმიტომ, რომ გრძნობა ფსიქიკურია, პიროვნება კი — ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური.

იმჟამად, როდესაც ვ. შტერნმა პერსონის (პიროვნების) ცნება შეიმუშავა, მთლიანობის იდეა ჯერ სულ ახალი იყო მეცნიერებისთვის. არ არსებობდა გეშტალტის ის ცნება, რომელიც გეშტალტ-ფსიქოლოგებმა შეიმუშავეს შემდეგში, და შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ unitas multiplex შემთხვევითი ტერმინია, რომელიც შეიძლებოდა შეცვლილიყო გეშტალტის ტერმინით და პიროვნების მთლიანობაც ამ ტერმინის შესატყვისად ყოფილიყო გაგებული. ნამდვილად — ასე არაა. ჯერ ერთი, „გეშტალტი" უვარგისია პიროვნების დასახასიათებლად, რადგან ვ. შტერნისეული პიროვნება არაა მარტო გეშტალტური. „პერსონული მთლიანობა ერთსა და იმავე დროს სტრუქტურაცაა და დიფუზიურობაც (Vag-

heit) გეშტალტიც და უნგეშტალტიც"[281]. მაგრამ ცნების შეუცვლელობის მიზეზი საერთოდაც ის კი არაა, რომ უკეთესი ცნება ვერ იქნა შემუშავებული. საქმე ისე კი არაა, თითქოს unitas multiplex უვარგისი იყოს და ავტორი მხოლოდ ითმენდეს მას უკეთესი ცნების უქონლობის გამო. არა! მრავლობის მომენტისათვის საკანონებო ყურადღების მიქცევა სისტემის ინტერესებითაა ნაკარნახევი. პერსონათა იერარქიის ასაგებად აუცილებელია, რომ მისი ნაწილები მაქსიმალურად თავისუფალნი იყვნენ მთლიანისაგან, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რომ არ გასწყვიტონ მასთან კავშირი. პერსონის unitas multiplex-ად გაგება შესაძლებელს ყოფს ნაწილებისაც, თავის მხრივ, პერსონულობას, რაც განსაკუთრებით პერსონალისტური კოსმოსისთვის არის აუცილებელი. პერსონის ცნება ფსიქოლოგიური პიპოთეზა რომ ყოფილიყო, ავტორს არ დასჭირდებოდა ინდივიდის ნაწილობრივი მომენტებისთვის ამდენი თავისუფლების მინიჭება. მაგრამ, როგორც ვიცით, პერსონის ცნება, მიუხედავად მისი „ანტროპოგენურობისა", საბოლოოდ ფილოსოფიური სპეკულაციის ნაყოფია და პირველ რიგში მსოფლმხედველობის მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს. სიმრავლის გაერთიანება არსებით სიჭნელეებს ხვდება და ამიტომ იგი საიდუმლოებად რჩება ავტორისთვის. Unitas multiplex საიდუმლოებაა არა მარტო ადამიანის, ან ინდივიდური პერსონის მიმართ, არამედ ინდივიდური პერსონების მიმართაც, რომლებისთვისაც იგი შეიქმნა. თვით ყოვლადპერსონის მრავალერთიანობითი ბუნებაც, ბოლოს და ბოლოს, რწმენის და არა ცოდნის საკითხია[282]. ინდივიდური პერსონის შემთხვევაში მით უმეტეს ვერ ხერხდება ერთიანობის აღდგენა. ვ. შტერნი ელემენტარისტებს უსაყვედურებდა: იმთავითვე მთლიანობა დაშალეს და მერე მოისურვეს მისი კვლავ აღდგენა ნაწილების შეკოწიწებითო და თითონაც ასევე მოიქცა. შედეგიც ისეთივე მიიღო: მისი პიროვნება, ბოლოს და ბოლოს „დისპოზიციათა კონა". და ცხადია, როგორც მთლიანობა — იგი ვერ გამომჟღავნდება. ასეთი დასკვნა სასიკეთილო გახდებოდა პიროვნებისთვის. მრავალერთიანობის ერთადერთი ღირსება ისაა, რომ იგი შესაძლებელს ყოფს სამყაროს გააზრებას პერსონათა იერარქიულ სისტემად. მაგრამ ამ იერარქიული სისტემის

---

281 5, 14.

282 იხ. 3,43 შშ.

სიმტკიცე დამღუპველი აღმოჩნდა სამყაროს გაგებისთვის: ფაქტიურად, სამყარო, როგორც ჭეშმარიტი „არა-მე“, როგორ ჭეშმარიტი გარესამყარო, — მოისპო ინდივიდისთვის. მისი ადგილი პერსონულმა სამყარომ დაიჭირა. ამით სრულიად გაბათილდა ობიექტური სამყაროს არსებობის რწმენითი პოსტულატის ღირებულება. კონვერგენციის მოძღვრებას დაეკარგა მნიშვნელობა, რადგან მისი ორივე ფაქტორი: პერსონაც და სამყაროც პერსონული აღმოჩნდა, პერსონა საკუთარ სამყაროში გაწოიკეტა. ემპირიული ალღოთი შთაგონებული აზრი სამყაროსთვის პერსონის „ღიად ყოფნისა“ თეორიულად ვერ იქნა დასაბუთებული.

ზემოთ ვთქვი, რომ ფსიქიკის ცნება ზედმეტად მოჩანს ვ. შტერნის პერსონალისტურ ფსიქოლოგიის სისტემაში. ფსიქიკურია, ავტორის თანახმად, ყოველივე ის, რაც ან თითონაა განცდა, ან განცდასთანაა დაკავშირებული პერსონაში. ამ განსაზღვრების თანახმად, ფსიქიკურის ცნება პერსონულის ცნებისგან ალარ განსხვავდება. ამიტომ — ვამბობდი — საკმარისია ცნობიერებისა და პერსონულის ცნებები მეთქი, მაგრამ ფაქტიურად ავტორი მიმართავს ფსიქიკურის ცნებას, თუმცა ყოველ კერძო შემთხვევაში გრძნობს მისი ხმარების საშიშროებას. ეს უმთავრესად დისპოზიციას შეეხება. მის შესახებ, ავტორის თანახმად, მხოლოდ პირობით შეიძლება ვთქვათ „ფსიქიკური“ თუ „ფიზიკური“, იგი პერსონული (ანუ ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური) ბუნების არისო. ასეთი ბუნებისაა იგი პიროვნების თვალსაზრისით: როგორც ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური პიროვნების ენტელექტის ნაწილობრივი გამოსხივება. მაგრამ მოვლენის თვალსაზრისით ზოგიერთი დისპოზიცია მაინც — ფსიქიკურია, როგორც განცდასთან დაკავშირებული პერსონული მომენტი. და არა მარტო ზოგიერთი დისპოზიცია, არამედ, — თვალსაზრისისდა მიხედვით, პიროვნებაც — თუ იგი მართლა მთლიანობაა — ფსიქიკურია: ფსიქიკური უნდა იყოს პიროვნება, თუ ფსიქიკურია დისპოზიცია, რადგან დისპოზიცია პიროვნებისგან ნაწილობრიობით განსხვავდება და არა ბუნებით. სწორედ იმდენად, რამდენადაც იგი მთლიანი პიროვნების ნაწილობრივი გამოსხივებაა, იგი მხოლოდ ისეთი ბუნების შეიძლება იყოს, როგორისაც მთლიანი პიროვნებაა, და პირუკუც, მთლიანი პიროვნების ბუნების შესახებ — დისპოზიციის ბუნებიდან შეგვიძლია დავასკვნათ: თუ დისპოზიცია ფსიქიკურია, ფსიქიკური უნდა იყოს მთლიანი პიროვნებაც. აქ სრულიად აშკარა ორჭოფობასთან გვაქვს საქმე, რომლის

უახლოესი მიზეზი ფსიქიკურის ცნების ვერგაგებაა, რაც, საბოლოოდ, ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური პიროვნების ცნების უმართებულობით არის პირობადებული. პერსონელისა და ფსიქიკურის ცნებათა აღრევა უეჭველია, და რამდენადაც იგი არსებობს, თუ კიდევ შესაძლებელია რაიმე დასკვნების გამოტანა — კერძოდ საჭწევროვანი ურთიერთობის შესახებ უნდა დავასკვნათ, რომ იგი შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა არსებობდეს ამგვარი პერსონალისტური სისტემის წიაღში. ძირითადი დებულება ასეთია: გამღიზიანებელი უშუალოდ კი არ იწვევს რეაქციას (სულერთია, როგორ იქნება გაგებული გამღიზიანებელი ან რეაქცია), არამედ იგი მოქმედებს პიროვნებაზე და პიროვნება უპასუხებს მას სათანადო რეაქციით. მაგრამ მოვლენებთან ურთიერთობა ფაქტიურად პიროვნებას კი არ აქვს, როგორც მრავალერთიანობას, არამედ დისპოზიციებს. დისპოზიცია, რომელიც ღებულობს ფსიქიკურის კატეგორიის შთაბეჭდილებას, ზემოთქმულის თანახმად, თითონაც ფსიქიკურია. იგივე დისპოზიცია პირობადებს რეაქციას, ისე რომ სამწევროვანობა კავშირისა მოჩვენებითია: ფსიქიკური ფსიქიკურზე მოქმედებს ფსიქიკურსავე მეშვეობით, ე. ი. ისე, რომ არ სცილდება ფსიქიკურის პლანს და ხელს არ შეახებს ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურ სფეროს მთლიანი პიროვნებისას.

დასკვნა

ავტორს სრულიად გარკვეული განზრახვა ჰქონდა პერსონალისტური ფსიქოლოგიის სისტემის შექმნისა, მაგრამ ვერ შესძლო მისი განხორციელება. დამნაშავეა ამაში ის, რომ პერსონალისტური თეორია „თავდაპირველად განვითარებული იქნა როგორც ფილოსოფიური სისტემა (ე. წ. „პერსონალიზმი") თანდათანობით კი ადამიანის პიროვნების შესახებ სპეციალური მეცნიერების ხასიათი მიიღო („პერსონალისტიკა") და მხოლოდ ამის შემდეგ იქნა გაშოყვნებული ზოგადი ფსიქოლოგიის საფუძვლად[203]. საფუძვლის მანკიერებას არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა სისტემაზე. მან შეზღუდა ფსიქოლოგიური აზრი, მზამზარეულ ჩარჩოებში მოამწყვდია იგი. ვილიამ შტერნის ფსიქოლოგია არაა პერსონალისტური ფსიქო-

---

[203] 1, 4.

ლოგია. ფსიქოლოგიური ემპირიის გასაგებად და ასახსნელად პიროვნების ვ. შტერნისეული ცნება არ იქნა გამოყენებული და არც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ამ ცნების უმართებულობის გამო. უღრმესი ფილოსოფიური საფუძველი მისი უმართებულობისა მატერიალიზმისთვისაც და იდეალიზმისთვისაც გვერდის ახვევის ცდაშია მოცემული. პერსონალიზმი, ცხადია, ვერ დადგა მათზე „მაღლა".

მაგრამ ვ. შტერნის მნიშვნელობა ფსიქოლოგიის ისტორიისთვის იმით არ ამოიწურება, რომ მან ვერ შესძლო პერსონალისტური ფსიქოლოგიის სისტემის აგება. მისგან მარტო იმის სწავლა კი არ შეუძლია თანამედროვე ფსიქოლოგიას, თუ როგორი არ უნდა იყოს ფსიქოლოგია, არამედ პოზიტიური ცოდნის შეძენაც. საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია მისი ფსიქოლოგიური აღლო. კერძო პრობლემების ვანხილვაში, სანამ საქმე სისტემის უღრმეს საფუძვლებს არ შეეხება, მისი ანალიზი ფრიად მაღალხარისხოვანია, ხოლო მისი მონაპოვარი — უაღრესად ძვირფასი თანამედროვე ფსიქოლოგიისთვის, მაგრამ ეს მეორეხარისხოვანი გარემოებაა მისი შეფასებისათვის.

„ჩემი აზრით, ვილიამ შტერნის გარდაუვალ დამსახურებად დარჩება ის, რომ პერსონალისტურად მიმართული აზროაწყობანი და ტენდენციები, პირველმა მან შეკრიბა, გაიფართოვა და გაღრმავა"[284].

მისი ეს დამსახურება მცირედი არაა. თუმც მან ვერ შესძლო პერსონალისტური ფსიქოლოგიის სისტემის აგება, მაგრამ საფუძველი პერსონალისტურ ფსიქოლოგიას მან ჩაუყარა. პერსონალისტური იდეა, ასე მკაფიოდ გამოხატული, პირველმა მან შემოიტანა ფსიქოლოგიაში. იქნება ნაწილობრივ ამის ბრალიცაა, რომ ფსიქოლოგიით არ დაკმაყოფილდა ავტორი და მსოფლმხედველობაზეც გაავრცელა პერსონალისტური პრინციპი? ანალოგიური შემთხვევები უცხო არაა ფსიქოლოგიისთვის: ზ. ფროიდმა მეცნიერული „ბოიკოტის" დასაძლევად მაქსიმალურად გაამახვილა და ამით დაამახინჯა არაცნობიერის ცნება. გეშტალტფსიქოლოგია ფსიქოლოგიაში გეშტალტისათვის უფლებების მოსაპოვებლად — გეშტალტთეორიად გადაიზარდა. ბიჰევიორიზმმა და რეფლექსოლოგიამ ბიოლო-

---

[284] Konstamm. Über Typen des Personalismus, 157

გიური მომენტის სათანადო დაფასების გულისთვის სულ უარყვეს ცნობიერების როლი და სხვა ამდაგვ. იქნებ ვ. შტერნიც, სხვა ნოვატორებსავით[285], „წყალს გაღმა შეედავა, რომ წყალს გამოღმა შერჩენოდა“ ფსიქიკის სუბსტრატი — მთლიანი, ცოცხალი, რეალური, კონკრეტული ადამიანის სახით?

როგორც არ უნდა იყოს საქმე, — უდავოა, რომ ვ. შტერნი შემთხვევითი პერსონაჟი არაა ფსიქოლოგიის ისტორიაში. მისი „პერსონალისტური ფსიქოლოგია“ ეპიზოდი კი არაა, არამედ გზაჯვარედინი ფსიქოლოგიის გზაზე[286].

ქართული ფსიქოლოგია, ძირითადად, პერსონალისტური ფსიქოლოგიაა. აკად. დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიურ მოძღვრებას დასავლეთის ფსიქოლოგიურ მოძღვრებათა შორის ყველაზე მეტად ვ. შტერნის ფსიქოლოგიასთან აქვს საერთოც და სადავოც: მისთვისაც ფსიქიკის სუბსტრატი მთლიანი, ცოცხალი, რეალური, კონკრეტული ადამიანია; იგიც უარყოფს როგორც ნატივიზმს ისე ემპირიზმს. იგიც უარყოფს „უშუალობის ჰიპოთეზს“. მაგრამ ობიექტური სამყაროს არსებობას იგი არც უარყოფს და არც რწმენისა თუ კეთილი სურვილის საკითხად ხდის.

პერსონალისტური ფსიქოლოგიისთვის: არსებობს პიროვნება და არსებობს მისი პროდუქტი — პერსონული სამყარო. განწყობის ფსიქოლოგიისთვის: არსებობს ობიექტური სამყარო და არსებობს მისი პროდუქტი — პიროვნება. ფსიქოლოგიის ამ ორი სისტემის მრავალმხრივი მსგავსების მიუხედავად, საფუძვლების განსხვავებით პირობადებულია არსებითი ძირითადი უპირატესობა აკად. დიმიტრი უზნაძის მოძღვრებისა ვილიამ შტერნის მოძღვრების წინაშე.

ამ ორი სისტემის მსგავსებათა გამო ქართული ფსიქოლოგია ყველაზე მეტად კანონიერი მემკვიდრეა ვილიამ შტერნისა. განწყობის ფსიქოლოგიის უპირატესობათა გამო — ყველაზე მეტად უფლებამოსილი მისი მსაჯული.

---

[285] Konstamm-ს, მაგ., რევოლუციონერადაც კი მიაჩნია იგი!

[286] ფსიქოლოგიის პერსონალისტურად გადახალისებაში ქრონოლოგიურად პირველობა ვ. შტერნს ეკუთვნის!

გამოყენებული ლიტერატურა

ვილიამ შტერნის შრომები

1. Allgemeine Psychologie auf personalistischer Grundlage. 1935. Haag.
2. Person und Sache. System des kritischen Personalismus. B. I, Ableitung und Grundlehre. 1906, Lpz.
3. Person und Sache. System usw. B. II. Die menschliche Persönlichkeit. 1918, Lpz.
4. Person und Sache. System usw . . . B. III. Wertphilosophie. 1924, Lpz.
5. Studien zur Personwissenschaft. T. I. Personalistik als Wissenschaft. 1930, Lpz.
6. Die psychologische Arbeit des 19. Jahrhunderts, insbesondere in Deutschland. (Zwei Vorträge, gehalten in der Psych. Ges. in Breslau. 1899). 1900, Berlin.
7. Vorgedanken zur Weltanschauung (Niedergeschrieben im Jahre, 1901), 1915, Lpz.
8. Tatsachen und Ursachen der seelischen Entwicklung. 1908, ZAng. Ps. B. I.
9. Die Psychologie und der Personalismus. 1917, ZPs. B. 78, H. 1—2.
10. პერსონალისტური ფსიქოლოგია. 1927. კრებულში: „დას. ევრ. ფსიქ. თანამედრ. მიმდინ.", 1935, თბილისი.
11. ავტობიოგრაფია, 1927. A History of Ps. in Autobiography. 1930, London.
12. Grundfragen der Psychogenesis. 1907, ZPdPs. IX, Jahrgang.
13. Personalistische Psychologie. Proceedings and Papers of VIII intern. congr. of Ps. 1926.
14. Zur Theorie der personalen Ganzheit und Tiefe. Bericht über den XI. Kongr. für experim. Ps. in Wien, 1929.
15. Raum und Zeit als personale Dimensionen (მოხს. ფსიქ. X საერთაშ. კონგრ., 1932), 1935, Acta Psychologica, Vl. I. № 1.
16. (Clara Stern-თან ერთად) Monographien über die seelische Entwicklung des Kindes. II Erinnerung, Aussage und Lüge in der ersten Kindheit. 1909, Lpz.
17. Die psychologischen Methoden der Intelligenzprüfung. (მოხს. ექსპ. ფს. V კონგრ.), 1912, Lpz.
18. Одаренность детей и подростков и методы ее исследования (1922). 1926, Kniiroeniaka.
19. Психология раннего детства. Изд. 2-ое. 1922, Петроград.
20. (Otto Wiegmann-თან ერთად) Methodensammlung zur Intelligenzprüfung von Kinder und Jugendlichen. 1920, Lpz.

21. Allport Gordon W., The personalistic psychology of William Stern. 1937, Caracter and Personality, V. 5, № 3.
22. Bloch Ernst. William Stern, Person und Sache. B. I, Ableitung und Grundlehre. 1938. Ar. Gs., Ps., B. 13, H. 1—2.
23. Cassirer Ernst, William Stern. Zur Wiederkehr seines Todes-tages. 1940, Acta Psychologica, V. V, № 1.
24. G. B. William Stern, Studien zur Personwissenschaft, T. I, Personalistik als Wissenschaft. Journ. de Ps. norm. et path., 1933, №9—10.
25. Heyde Johs. Erich W. Stern: Studien zur Personwissenschaft usw . . . 1931, ZPs, B. 123, H. 4—6.
26. Konstamm Philipp, Über Typen des Personalismus. ZAng Ps. 1931, Bliheft, 59.
27. MacLeod R. B., William Stern (1871—1938), 1938, Psychological Review, V. 45, №5.
28. Messer August, Deutsché Wertphilosophie der Gegenwart. 1926.
29. Stern Erich, William Stern, Die menschliche Persönlichkeit. 19.8, Arch. syst. Philos. B 24, H. 2.
30. Sztern Max, Der „kritische Personalismus" als Weltanschauung, 1928, Kant-Studien, B. 33, H. 1—2.
31. Выготский Л. С., Проблема развития речи в учении В. Штерна. Мышление и речь. 1934, М—Л.
32. Döring W. O., Die Bedeutung des Personalismus für die Pädagogik. ZPdPs.

ნაშრომები

33. Аристотель, О душе.
34. Boring Edwin G., A History of experimental Psychology. 1929, №. y-L.
35. Wentscher Else, Unser Ich. ZPs. 1932, B. 125, H. 5-6.
36. Wentscher Else, Das Ich als Seeleneinheit. Ar. Gs. Ps., 1936, B. 97, H. 3—4.
37. Kafka Gustav, Versuch einer kritischen Darstellung der neueren Anschauungen uber das Ichproblem. 1920, Ar. Gs. Ps., B. 19, H. 1—2.
38. Kafka Gustav, Zur Begriff des Psychischen und seiner Entwicklungsgeschichte. 1924, Ar. Gs. Ps., B. 48, H. 3—4.
39. ლაიბნიცი, მონადოლოგია.
40. Рубинштейн С. Л., Основы общей психологии. 1940, Москва.
41. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია. 1940, თბილისი.
42. უზნაძე დ., განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები. 1941, თ. ს. უ. შრომები, ტ. 19.

ს ა რ ჩ ე მ ი

წინასიტყვაობა 5
შესავალი 8

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ვ. შტერნის ფსიქოლოგიური მოძღვრების დალაგება

ფსიქოლოგია 25
პერსონა 26
პერსონის მიზნები 28
დისპოზიცია 38
პერსონული სამყარო 43
პერსონისა და სამყაროს ურთიერთობა 57
განცდა 66
ღირებულების ფილოსოფია 70
ფსიქიკური 72
ფსიქოლოგიის საგანი 78
ფსიქოლოგიის ამოცანები 80
მასალის დალაგება 91
აღქმა 93
მეხსიერება 102
აზროვნება 120
ფანტაზია 125
აქტივობა 137
ნებელობა 147
ნაქმობა 157
ყურადღება 171
ვარჯიში და დაღლა 179
გრძნობა 186

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

ვ. შტერნის პერსონალისტური ფსიქოლოგიის კრიტიკული განხილვა

პერსონალიზმის საფუძვლები 222
პერსონათა იერარქია, პერსონა და ნიეთი 227
კონვერგენციის თეორია 238
ადამიანის პიროვნება 254
ფსიქოფიზიკური ნეიტრალურობა 257
პიროვნების მრავლიანობა 277
პიროვნების ერთიანობა 284
საშწეროვანი ურთიერთობის თეორია 301
დასკვნა 307

ლიტერატურა ვ. შტერნის შესახებ 310

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ა. ბოჭორიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ნ. მაისურაძე
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი რ. ფარესიშვილი

გადაეცა წარმოებას 14.6.1961; ანაწყობის ზომა 6×9½; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 2.7.1962; ქაღალდის ზომა 60×84 1/16;
ქაღალდის ფურცელი 9,75; საბეჭდი ფურცელი 19,5; საავტორო
ფურცელი 15,80; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 16,05;
შეკვეთა 894; უე 02907; ტირაჟი 1000
ფასი 1 მან. 21 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5